



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# წლიური ანგარიში

2022

აბრევიატურები .....	10
შესავალი .....	14
<b>1 მაკროეკონომიკური გარემო.....</b>	<b>35</b>
1.1 მსოფლიო ეკონომიკა.....	35
1.2 საგარეო სექტორი და საგადასახდლო ბალანსი .....	40
1.3 ეკონომიკური ზრდა .....	58
1.4 ინფლაცია.....	62
<b>2 ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა .....</b>	<b>68</b>
2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა .....	68
2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები.....	77
2.2.1 რეფინანსირების სესხი .....	79
2.2.2 ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი .....	80
2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები .....	80
2.2.4 ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები .....	81
2.2.5 ფასიანი ქაღალდები.....	82
2.2.6 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები .....	88
2.2.7 საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება .....	88
2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა .....	90
<b>3 ფინანსური სტაბილურობა.....</b>	<b>93</b>
3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა .....	93
3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება.....	97
3.3 გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო .....	105
3.4 ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი.....	108
3.5 საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია.....	109
<b>4 საბანკო ზედამხედველობა.....</b>	<b>112</b>
4.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება .....	112
4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი.....	117
4.3 კაპიტალის ადეკვატურობა .....	120
4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა .....	128
4.5 საკრედიტო რისკი.....	129
4.6 საბაზრო რისკი .....	152
4.6.1 სავალუტო რისკი .....	152
4.6.2 საპროცენტო რისკი .....	153
4.7 მომგებიანობის რისკი .....	155
4.8 ლიკვიდობის რისკი.....	156
4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა .....	156
წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი .....	160
4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა .....	160
4.8.3 საცალო დაფინანსება .....	161
4.8.4 საბითუმო დაფინანსება .....	163
4.9 მაკროპრუდენციული რისკები.....	165
4.10 საოპერაციო რისკი .....	169
4.10.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში.....	171

4.11	კიბერ-რისკი .....	175
4.11.1	კიბერ-რისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები .....	178
4.12	ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება .....	179
4.12.1	ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა .....	179
4.12.2	მოდელის რისკი .....	184
4.12.3	საკრედიტო საინფორმაციო ბიურო .....	185
4.12.4	ღია ბანკინგი .....	186
4.13	ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები .....	187
<b>5</b>	<b>მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება .....</b>	<b>189</b>
5.1	მომხმარებელთა უფლებების დაცვა .....	189
5.2	ფინანსური განათლება .....	197
<b>6</b>	<b>არასაბანკო ზედამხედველობა .....</b>	<b>213</b>
6.1	არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო .....	213
6.2	არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები .....	213
6.2.1	მიკროსაფინანსო ორგანიზაციები .....	214
6.2.2	სესხის გამცემი სუბიექტები .....	223
6.2.3	ვალუტის გადამცვლელი პუნქტები .....	226
6.2.4	საკრედიტო კავშირები .....	228
<b>7</b>	<b>ფასიანი ქაღალდების ბაზარი .....</b>	<b>229</b>
7.1	ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი პროდუქტების დასანერგად განხორციელებული ღონისძიებები და გატარებული რეფორმები .....	229
7.2	ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები .....	232
7.3	ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა .....	237
7.4	საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა .....	244
7.5	საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა .....	247
<b>8</b>	<b>ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა .....</b>	<b>248</b>
<b>9</b>	<b>საგადახდო სისტემები .....</b>	<b>255</b>
9.1	საგადახდო სისტემების ოვერსაიტი .....	257
9.2	RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები .....	263
9.3	გადახდის ელექტრონული საშუალებები .....	269
9.4	საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი .....	271
9.5	საგადახდო მომსახურების პროვაიდერები .....	275
<b>10</b>	<b>საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება .....</b>	<b>280</b>
<b>11</b>	<b>საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია .....</b>	<b>289</b>
<b>12</b>	<b>შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა .....</b>	<b>304</b>
<b>13</b>	<b>საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა .....</b>	<b>310</b>
<b>14</b>	<b>ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება .....</b>	<b>319</b>
<b>15</b>	<b>ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება .....</b>	<b>321</b>
<b>16</b>	<b>სტატისტიკური საქმიანობა .....</b>	<b>348</b>
<b>17</b>	<b>ფინანსური ანგარიშგება .....</b>	<b>353</b>

## ჩანართები

ჩანართი 1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა და საკრედიტო სარეიტინგო კომპანიების შეფასებები.....	57
ჩანართი 2 ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით განხორციელებული ცვლილებები .....	113
ჩანართი 3 კაპიტალის კონტრაციკლური ბუფერის განახლებული ჩარჩო .....	127
ჩანართი 4 სისტემური ბუფერები .....	168
ჩანართი 5 „სთეიბლქონების“ რეგულირება .....	182
ჩანართი 6 „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონი .....	231
ჩანართი 7 „სეკიურიტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი .....	232

## დიაგრამები

დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში .....	36
დიაგრამა N 1.2 სფი ინფლაცია მსოფლიოში .....	38
დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა.....	40
დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან .....	42
დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება.....	43
დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2022 წ. ....	44
დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული .....	45
დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2022 წ. ....	46
დიაგრამა N 1.9 უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფების ათეული .....	47
დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები.....	48
დიაგრამა N 1.11 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით .....	49
დიაგრამა N 1.12 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან .....	49
დიაგრამა N 1.13 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება.....	50
დიაგრამა N 1.14 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით .....	51
დიაგრამა N 1.15 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან) ....	52
დიაგრამა N 1.16 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metric).....	53
დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2015=100).....	55
დიაგრამა N 1.18 საქართველოს სუვერენული რეიტინგები .....	58
დიაგრამა N 1.19 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით .....	61
დიაგრამა N 1.20 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან .....	62
დიაგრამა N 1.21 მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები .....	63
დიაგრამა N 1.22 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში .....	64
დიაგრამა N 1.23 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია.....	65
დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი .....	71
დიაგრამა N 2.2 საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (სესხების წლიური ზრდის ტემპი ვალუტების მიხედვით).....	72

დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები .....	74
დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორის ფულადი ბაზარი .....	75
დიაგრამა N 2.5 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) .....	77
დიაგრამა N 2.6 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა .....	83
დიაგრამა N 2.7 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2018-2022 წლებში .....	84
დიაგრამა N 2.8 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა .....	85
დიაგრამა N 2.9 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2022 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი).....	91
დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება.....	97
დიაგრამა N 3.2 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2022 წლის 31 დეკემბრის მიხედვით) .....	107
დიაგრამა N 3.3 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2022 წელს .....	110
დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად .....	122
დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....	124
დიაგრამა N 4.3 კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები და მოთხოვნები ადგილობრივი აღრიცხვისა და ფას-ის მიხედვით .....	126
დიაგრამა N 4.4 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით.....	129
დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით .....	130
დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში.....	130
დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში .....	131
დიაგრამა N 4.8 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში.....	131
დიაგრამა N 4.9 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში .....	134
დიაგრამა N 4.10 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2022 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა).....	135
დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში.....	135
დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით .....	137
დიაგრამა N 4.13 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2022 - დეკ-2021).....	137
დიაგრამა N 4.14 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა) .....	138
დიაგრამა N 4.15 რესტრუქტურირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში .....	138
დიაგრამა N 4.16 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში .....	139
დიაგრამა N 4.17 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში .....	139
დიაგრამა N 4.18 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა .....	140
დიაგრამა N 4.19 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან) .....	140
დიაგრამა N 4.20 სესხების ჩამოწერა და ამოღება.....	141
დიაგრამა N 4.21 პრობლემური აქტივები .....	141

დიაგრამა N 4.22 დასაკუთრებული აქტივები.....	142
დიაგრამა N 4.23 საპროცენტო განაკვეთები თვის შიგნით გაცემაზე.....	146
დიაგრამა N 4.24 უმოქმედო/საყურადღებო სესხების მოცულობის წილი პორტფელში .....	146
დიაგრამა N 4.25 რესტრუქტურირებული სესხების ვალუტების მიხედვით.....	147
დიაგრამა N 4.26 2021-2022 წლების ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის დინამიკა (ათასი აშშ დოლარი) .....	151
დიაგრამა N 4.27 კომერციული ბანკების საბალანსო და კრედიტითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან.....	153
დიაგრამა N 4.28 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან .....	154
დიაგრამა N 4.29 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე .....	155
დიაგრამა N 4.30 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა.....	156
დიაგრამა N 4.31 ლიკვიდური აქტივების დონე.....	156
დიაგრამა N 4.32 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო) .....	158
დიაგრამა N 4.33 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი*.....	159
დიაგრამა N 4.34 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან .....	159
დიაგრამა N 4.35 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა.....	160
დიაგრამა N 4.36 ვალდებულებების სტრუქტურა.....	160
დიაგრამა N 4.37 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა .....	161
დიაგრამა N 4.38 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი.....	162
დიაგრამა N 4.39 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2022 წლის დეკემბერი).....	162
დიაგრამა N 4.40 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჭრილში (2022 წლის დეკემბერი) .....	163
დიაგრამა N 4.41 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით.....	164
დიაგრამა N 4.42 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით).....	166
დიაგრამა N 4.43 2022 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის .....	172
დიაგრამა N 4.44 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2018-2022 წწ.).....	173
დიაგრამა N 4.45 2022 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან) .....	173
დიაგრამა N 4.46 საბანკო სისტემის 2021 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით.....	174
დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით.....	195
დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით.....	195
დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით..	196
დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით .....	197
დიაგრამა N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა.....	214
დიაგრამა N 6.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა .....	214
დიაგრამა N 6.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით .....	215
დიაგრამა N 6.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა.....	215
დიაგრამა N 6.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა .....	216
დიაგრამა N 6.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა.....	216
დიაგრამა N 6.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება .....	217

დიაგრამა N 6.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი .....	218
დიაგრამა N 6.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია .....	218
დიაგრამა N 6.10 დაფინანსების წყარო .....	219
დიაგრამა N 6.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა .....	219
დიაგრამა N 6.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა .....	220
დიაგრამა N 6.13 არარეზიდენტების სახსრები .....	220
დიაგრამა N 6.14 საზედამხედველო კაპიტალი .....	221
დიაგრამა N 6.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა .....	221
დიაგრამა N 6.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით .....	222
დიაგრამა N 6.17 ლიკვიდური სახსრების სტრუქტურა .....	222
დიაგრამა N 6.18 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ 2022 წელი მოგებით დაასრულა. დიაგრამა N 6.19 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა .....	223
დიაგრამა N 6.20 სესხის გამცემი სუბიექტების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით .....	224
დიაგრამა N 6.21 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა .....	225
დიაგრამა N 6.22 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა .....	225
დიაგრამა N 6.23 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო .....	226
დიაგრამა N 6.24 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფილიალების რაოდენობა .....	227
დიაგრამა N 6.25 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით .....	227
დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2022) .....	233
დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2022) .....	234
დიაგრამა N 7.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2022) .....	235
დიაგრამა N 7.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2009-2022) .....	235
დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა (2015-2022) .....	236
დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2022) .....	237
დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2011-2022) ....	238
დიაგრამა N 7.8 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (მილიარდი ლარი) .....	239
დიაგრამა N 7.9 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების პორტფელის განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები) .....	239
დიაგრამა N 7.10 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2011-2022 წწ. ....	241
დიაგრამა N 7.11 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2011-2022 წ) .....	241
დიაგრამა N 7.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2011-2022) .....	242
დიაგრამა N 7.13 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2011-2022) .....	243
დიაგრამა N 8.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2022 წ. ....	248

დიაგრამა N 8.2 ჯარიმების მოცულობა, 2022 წ. ....	251
დიაგრამა N 8.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2022 წ. ....	252
დიაგრამა N 8.4 სწავლების თემატიკა, 2022 წ. ....	254
დიაგრამა N 9.1 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2002-2022 წლებში) ....	264
დიაგრამა N 9.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2022 წელი) .....	264
დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2022 წწ.).....	265
დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2022 წწ.).....	266
დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2022 წწ.) .....	266
დიაგრამა N 9.6 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით .....	267
დიაგრამა N 9.7 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით .....	267
დიაგრამა N 9.8 კომერციულ ბანკებს შორის გადახდების წლიური ზრდის მაჩვენებლების ცვლილება RTGS სისტემაში .....	268
დიაგრამა N 9.9 RTGS სისტემაში კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით .....	269
დიაგრამა N 9.10 უნაღდო გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2022 წლებში .....	271
დიაგრამა N 9.11 უნაღდო გადახდების განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2022 წელი).....	271
დიაგრამა N 9.12 საბარათე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად.....	272
დიაგრამა N 9.13 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბარათე სქემების მიხედვით .....	273
დიაგრამა N 9.14 საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით შესრულებული გადახდისა და ნაღდი ფული გატანის ოპერაციების წილობრივი მაჩვენებლების დინამიკა წლების მიხედვით: .....	275
დიაგრამა N 9.15 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა).....	277
დიაგრამა N 9.16 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო საბარათე ინსტრუმენტით გადახდებისა) (2022 წ.) .....	278
დიაგრამა N 10.1 რაოდენობები მოთხოვნის ტიპების მიხედვით .....	284
დიაგრამა N 10.2 რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით .....	284
დიაგრამა N 10.3 ინციდენტების უმრავლესობა შემდეგ სერვისებს უკავშირდებოდა: .....	285
დიაგრამა N 10.4 ინციდენტები სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით .....	286
დიაგრამა N 10.5 ყველაზე მოთხოვნადი IT სერვისების სტატისტიკა სერვის დესკის წლის ანგარიშის მიხედვით .....	287
დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით*.....	289
დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2018-2022 წლები).....	290
დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2018-2022 წლები)* .....	291
დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი).....	292

## ცხრილები

ცხრილი N 1.1 საგასადახდელო ბალანსი 2018-2022 წლებში (მლნ აშშ დოლარი).....	53
ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების საშუალოწლიური ცვლილება 2022 წელს.....	56



ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ ჭრილში .....	58
ცხრილი N 1.4 ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე .....	66
ცხრილი N 4.1 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში .....	123
ცხრილი N 4.2 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2021 წლის ბოლოს არსებული კურსით) .....	129
ცხრილი N 4.3 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება.....	132
ცხრილი N 4.4 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2021 წლის ბოლოს არსებული კურსით) .....	134
ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით.....	136
ცხრილი N 4.6 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით .....	136
ცხრილი N 4.7 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით .....	164
ცხრილი N 4.8 „სთეიბლქოინის“ ტიპები და მისი გამომშვებები .....	182
ცხრილი N 7.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2021-2022).....	240
ცხრილი N 9.1 საბარათე მოწყობილობების დინამიკა (დეკემბერი 2015-2022) .....	274
ცხრილი N 11.1 2022 წელს შემოტანილი საექვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები: .....	295

## აბრევიატურები

**API** (Application Programming Interface) - გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისი

**ARA** (Assessing Reserve Adequacy) - რეზერვების ადეკვატურობის შეფასება

**BCBS** (Basel Committee on Banking Supervision) - ბაზელის კომიტეტის სტანდარტი

**BI** (Business Intelligence) - მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის თანამედროვე პლატფორმა

**BIA** (Business Impact Analysis) - ბიზნესის ზეგავლენის ანალიზი

**BIS** (Bank for International Settlements) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი

**BISIP** (BIS Investment Pool) - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო პროგრამა

**BMatch** - კომპანია ბლუმბერგის უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმა

**BSCEE** (Banking Supervisors from Central and Eastern Europe) - ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო ზედამხედველობა

**CAREC** (Central Asia Regional Economic Cooperation) - ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობა

**CBDC** (Central Bank Digital Currency) - ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტა

**CICR** (Currency Induced Credit Risk) - სავალუტო საკრედიტო რისკი

**CIF** (Cost, Insurance and Freight) - ხარჯები, დაზღვევა და ფრახტი

**CPMI** (Committee on Payments and Market Infrastructures) - საგადახდო და ბაზრების ინფრასტრუქტურის კომიტეტი

**CRA** (Credit Risk Adjustment buffer) - საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი

**CRD IV** (Capital Requirement Directive) - ევროკავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივა

**CRR** (Capital Requirements Regulation) - კაპიტალის მოთხოვნის რეგულაცია

**CSP** (Customer Security Programme) - მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამა

**CYFI** (Child and Youth Finance International) - ბავშვთა და ახალგაზრდების ფინანსური განათლების საერთაშორისო ორგანიზაცია

**DDos** (Distributed Denial-of-service attack) - მომსახურების შეფერხების განაწილებული შეტევები

**DeFi** (Decentralized Finance) - დეცენტრალიზებული ფინანსები

**DPM** (Data Point Model) - მონაცემთა ლექსიკონი, რომელიც მოიცავს EBA-ს მიერ შემუშავებულ მონაცემთა ჰარმონიზებულ მოთხოვნებს და შედის მის ტექნიკურ სტანდარტებსა და სახელმძღვანელოში

**EAD** (Exposure At Default) – ფინანსური ინსტრუმენტის მოცულობა დეფოლტის დადგომისას

**EBA** (European Banking Authority) - ევროპის საბანკო ასოციაცია

**EBITDA** (Earnings Before Interest, Taxes, Depreciation and Amortization) - შემოსავლები პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე

**EBRD** (European Bank for Reconstruction and Development) - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

**ECB** (European Central Bank) - ევროპის ცენტრალური ბანკი

**EFSE DF** (Development Facility of the European Fund for Southeast Europe) – „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა

**ESG** (Environmental, Social, and Governance) - გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები

**ETL** (Extract, Transform, Load) - ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ

**EVE** (Economic Value of Equity) - კაპიტალის ეკონომიკური ღირებულება

**FAO** (Food and Agriculture Organization) - სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

**FATF** (Financial Action Task Force) - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი

**FEA Georgia** (Financial Education Association of Georgia) - საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაცია

**FinEdu** - ფინანსური განათლების პირველი ქართული საგანმანათლებლო ვებპორტალი - [www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge) („ფინედუ“)

**FINREP** - (Financial Reporting) (An European regulation which applies to credit institutions) - ევროკავშირის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები საკრედიტო დაწესებულებებისთვის

**FOB** (Free on Board) - თავისუფლდება ვალდებულებებისგან, საქონლის საწყალოსნო ტრანსპორტზე დატვირთვიდან

**FRD** (Fraud Data) არავტორიზებული ოპერაციების სტატისტიკური მონაცემები

**FSAP** (Financial Sector Assessment Program) - ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამა

**FSI** (Financial Stability Indicators) - ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები

**GAN** (General Adversarial Networks) - გენერაციული მოწინააღმდეგე ქსელები

**GET** (German Economic Team) - გერმანიის ეკონომიკური ჯგუფი

**GFIN** (Global Financial Innovation Network) - გლობალური ფინანსური ინოვაციების ქსელი

**GGF** (Green for Growth Fund) - მწვანე ზრდის ფონდი

**GRAPE** (General Risk Assessment Program) - რისკების შეფასების საერთო პროგრამა

**GSSS** (Georgian Securities Settlement System) - საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა

**HR** (Human Resource) - ადამიანური რესურსები

**HRMS** (Human Resource Management System) - ადამიანური რესურსების მართვის სისტემა

**IFC** (International Finance Corporation) - საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია

**IFRS** (International Financial Reporting Standards) - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

**IFT** (Inflation Forecast Targeting) - მომავალზე ორინტირებული ინფლაციის თარგეთირება

**IIA** (Institute of Internal Auditors) - შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი

**IMF** (International Monetary Funds) - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

**IOSCO** (Technical Committee of the International Organization of Securities Commissions) - ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციის ტექნიკური კომიტეტი

**IPPF** (International Professional Practice Framework) - საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო

**ISO** (International Organization for Standardization) - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

**IT** (Information Technology) - საინფორმაციო ტექნოლოგიები

**LCR** (liquidity Coverage Ratio) - ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი

**LTV** (Loan to Value) - სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი

**NGFS** (Network for Greening the Financial System) ქსელი ფინანსური სისტემის “გამწვანებისთვის”

**NII** (Net Interest Income) - წმინდა საპროცენტო შემოსავალი

**NPL** (Non-Performing Loan) - უმოქმედო სესხი

**NSFR** (Net Stable Funding Ratio) - წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი

**OECD** (Organizatონ for Economic Co-operaton and Development) – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

**OECD/INFE** (Organizatონ for Economic Co-operaton and Development/International Network on Financial Education) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელი

**PTI** (Payment to income ratio) - სესხის მომსახურების კოეფიციენტი

**ROA** (Return on Assets) - ამონაგები აქტივებზე

**ROE** (Return on Equity) - ამონაგები კაპიტალზე

**ROSC** (Report on the Observance of Standards and Codes) - სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების ანგარიში

**RTGS** (Real Time Gross Settlement) - დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა

**RTP** (Request to Pay) - გადახდის მოთხოვნა

**SBA** (Stand-by Arrangement) სსფ-ს მხარდამჭერი პროგრამა

**SBFN** (Sustainable Banking and Finance Network) - მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელი

**SDR** (Special Drawing Rights) - საერთაშორისო ფულის ფორმა, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განისაზღვრება, როგორც სხვადასხვა კონვერტირებადი ვალუტების შეწონილი საშუალო

**SECO** (State Secretariat for Economic Affairs) - ეკონომიკის საკითხებში სახელმწიფო სამდივნო

**SEPA** (Single Euro Payment Area) - ევრო გადახდების სივრცე

**SMEDA** (Small and Medium Enterprise Development Authority) - მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია

**SWIFT** (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) - მსოფლიო ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციის საზოგადოება

**TIBR** (Tbilisi Interbank Rate) - თბილისის ბანკთაშორისი განაკვეთი

**TMS** (Taxonomy Management System) - ტაქსონომიის მართვის სისტემა

**UNCTAD** (United Nations Conference on Trade and Development) - გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულება

**USAID** (United States Agency for International Development) - შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისთვის

**XBRL** (Extensible Business Reporting Language) - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა

## შესავალი

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ის) 2022 წლის წლიური ანგარიში მომზადებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის მე-60 და 61-ე მუხლების შესაბამისად და მოიცავს ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საზედამხედველო პოლიტიკის მიმოხილვასა და აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს<sup>1</sup>. ამასთანავე, ეროვნულმა ბანკმა ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა უნდა უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას ისე, რომ მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას საფრთხე არ შეექმნას. ფასების სტაბილურობა, თავის მხრივ, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რომელიც მაღალი და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია. საშუალოვადიან პერიოდზე ფოკუსირებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკების შედეგად ინფლაცია შესაძლებელია, მიზნობრივი მაჩვენებლისგან გადაიხაროს, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება, რითაც ფასების სტაბილურობა მიიღწევა.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით წარმართავს. აღნიშნული რეჟიმი, რომელიც დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან მოდელად ითვლება, ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლის წინასწარ გამოცხადებას და შემდგომი პოლიტიკის იმგვარად განხორციელებას გულისხმობს, რომ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მიზნობრივ დონესთან ახლოს იყოს. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია, რომელიც ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალი იქნება, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას გაამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალი იქნება, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას შეარბილებს. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მისი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარჯიც ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ

---

<sup>1</sup> „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ინფლაციის თარგეთირებაზე ეროვნული ბანკი 2009 წლიდან გადავიდა. მას შემდეგ (2009-2022 წლებში) საქართველოში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელი 4.7 პროცენტს შეადგენს. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმამდე 2000-2008 წლებში ინფლაცია საშუალოდ 6.6 პროცენტს უტოლდებოდა. თავდაპირველად, ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლისას, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 6 პროცენტი იყო. მომდევნო წლებში ის ეტაპობრივად კლებულობდა, ხოლო 2018 წლიდან კი 3 პროცენტამდე შემცირდა, რაც წლიური ინფლაციის გრძელვადიან მიზნობრივ დონეს წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში, ისევე როგორც ღია ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში, გარდაუვალია ეგზოგენური (მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელი) შოკები, რომელთა გავლენითაც შესაძლებელია, ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადაიხაროს. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციზის გადასახადის, გლობალურ ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) პირდაპირი რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და მაკროეკონომიკურ მერყეობას იწვევს, რაც საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის მიღწევას უფრო ხარჯიანს ხდის. ამასთანავე, როგორც კვლევები აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების ეკონომიკაზე გადაცემას გარკვეული დრო სჭირდება<sup>2</sup>, შესაბამისად, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლიდან გადახრა დასაშვებია, თუ, პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში ინფლაცია მის მიზნობრივ მაჩვენებელს დაუბრუნდება. თუმცა საყურადღებოა ისეთი ვითარება, როდესაც მსგავსი გადახრა ინფლაციის მოლოდინებს ზრდის, რაც მომავალში, შესაძლოა, ინფლაციის მატებაში აისახოს. ასეთ დროს ეროვნული ბანკი პოლიტიკას შესაბამისად შეცვლის.

2022 წელს როგორც გლობალურად, ისე საქართველოში, ინფლაციის შემცირება იყო მოსალოდნელი. პანდემიით გამოწვეული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი, მიწოდების ჯაჭვების მოშლა და ლოჯისტიკური შეფერხებების ფონზე გაძვირებული ტრანსპორტირება ეტაპობრივად უნდა დარეგულირებულიყო. ამ ფაქტორების მიღვევის ფონზე კი, გლობალურად ინფლაციური წნეხი შერბილდებოდა. თუმცა 2022 წლის დასაწყისში, 24 თებერვალს, როდესაც COVID-19-ით გამოწვეული მიწოდების ჯაჭვების პრობლემები და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი ჯერ ბოლომდე დამლევული არ

---

<sup>2</sup> Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission”, American Economic Review; vol. 82, issue 4, 901-21.

Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission“, the Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48.

იყო, რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო. ომის დაწყებამდე უკრაინა და რუსეთი სხვადასხვა პროდუქტის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები, მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვანი მონაწილენი იყვნენ. ომმა და, შედეგად, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა, მიწოდების ჯაჭვები უფრო მეტად შეაფერხა და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო გააღრმავა. ომის პირველ თვეებში საერთაშორისო ბაზრებზე საკვები პროდუქტების ფასები რეკორდულად გაიზარდა<sup>3</sup>, ხოლო ნავთობის ფასებმა მრავალი წლის მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. შედეგად, გლობალურად ფასების ზრდის ახალი, მძლავრი ბიძგი წარმოიქმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს ინფლაცია არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნების პრობლემაც იყო. გაძვირებული ენერგორესურსებისა და სასაქონლო პროდუქციების ფასებმა გლობალურად ინფლაცია მკვეთრად გაზარდა და რიგ ქვეყნებში ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. 2022 წელს ინფლაციამ აშშ-ში 8.0 პროცენტი, ხოლო ევროზონის ინფლაციამ - 8.4 პროცენტი შეადგინა.

მსოფლიოში ფასების ზრდის აღნიშნული ტენდენცია საქართველოს ბაზარსაც მალევე გადმოეცა და ფართო მოხმარების პროდუქტებზე, როგორებიცაა საწვავი და სურსათი (მათ შორის პური, ზეთი) ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. წლის დასაწყისში ინფლაციური მოლოდინების გაღვივებასა და ფასების ზრდას, ომის საწყის ეტაპზე ლარის გაუფასურებამაც შეუწყო ხელი. შედეგად, ინფლაციის შემცირების ომამდე მოსალოდნელი ტრენდი შენედა და გასული წლის განმავლობაში ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, ინფლაციას წლის განმავლობაში შემცირების ტენდენცია მაინც ჰქონდა და დეკემბერში წლიური ინფლაციის დონე 9.8 პროცენტამდე შემცირდა. წლის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ბაზარზე საქონლის ფასების სტაბილიზაციის და ტრანსპორტირების ღირებულების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. ამასთან ერთად, იმპორტირებულ ინფლაციას ძლიერი საგარეო მოთხოვნისა და გაუმჯობესებული მიმდინარე ანგარიშის ბალანსის შედეგად გამყარებული გაცვლითი კურსიც ამცირებდა. ინფლაციის კლებად ტენდენციას ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა, ფისკალური კონსოლიდაცია და დამატებითი მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ამოქმედებაც უწყობდა ხელს.

წინასწარი მონაცემებით 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წინა წელთან შედარებით რეალურად 10.1 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკის მაღალი ზრდა, დიდწილად, უცხოეთიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა. 2022 წლის დასაწყისისთვის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები თითქმის სრულად მოხსნილი იყო. შედეგად, უცხოელ ვიზიტორთა/ტურისტთა ნაკადებმა აღდგენა სწრაფი

---

<sup>3</sup> გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სურსათის საერთაშორისო ინდექსი <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>



ტემპებით დაიწყო. ამავდროულად, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა ქვეყანაში მიგრანტთა რაოდენობა გაზარდა, რამაც მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლები და ფულადი გზავნილების მკვეთრი მატება გამოიწვია. საბოლოოდ, 2022 წლის განმავლობაში, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები თითქმის გასამმაგდა (გაიზარდა 182.5 პროცენტით), ხოლო უცხოეთიდან ფულადი გზავნილები 86.1 პროცენტით გაიზარდა.

უცხოეთიდან ფულადი შემოსავლების მაღალი ზრდა განსაკუთრებით მომსახურების სექტორზე აისახა, რადგანაც ამ სექტორში უცხოელთა მონაწილეობა შედარებით მაღალია. ეკონომიკური ზრდის 6.7 პროცენტული პუნქტი (პპ) მომსახურებაზე მოდიოდა. აქედან მნიშვნელოვანი წვლილი ტრანსპორტის, ინფორმაცია და კომუნიკაციის, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებს ჰქონდა, რაც, ძირითადად, რესტორნებსა და სასტუმროებს მოიცავს.

როგორც აღინიშნა, რუსეთ-უკრაინის ომის გამო, წლის განმავლობაში რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ხანგრძლივადიანი ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოში მკვეთრად გაიზარდა, რამაც საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები გაზარდა. ამავდროულად, COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქება გლობალურად ტურიზმის აღდგენაზე პოზიტიურად მოქმედებდა. მიგრაციის გამო გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობაც. საბოლოოდ, ამ ტენდენციების ფონზე, 2022 წელს საგარეო მოთხოვნა მაღალი იყო და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 2022 წელს საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს მხოლოდ 4.1 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2022 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტის მოცულობა წინა წელთან შედარებით, 35 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ს 20.9 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტის გაღრმავება იმპორტის მაღალი ტემპით მატებამ განაპირობა. კერძოდ, 2022 წელს ძლიერი ეკონომიკური აქტივობის ფონზე საქონლის იმპორტი 35.8 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქონლის იმპორტის მაღალ ზრდას იმპორტული საქონლის აშშ დოლარში გამოხატული ფასების ზრდამაც შეუწყო ხელი. რაც შეეხება საქონლის ექსპორტს, 2022 წლის განმავლობაში ის წლიურად 36.0 პროცენტით გაიზარდა. წლის პირველ კვარტალში, საქონლის ექსპორტის მატება, რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის გამო, მცირედით შეფერხდა, თუმცა სხვა ქვეყნებში საქონლის ექსპორტი ზრდას განაგრძობდა. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი წლიურად მაღალი ტემპით გაიზარდა, ხოლო რუსეთში მცირედით მოიმატა - უმეტესად ფეროშენადნობების გაყიდვების კლების გამო. წლის მეორე

ნახევრიდან როგორც რეგიონის, ასევე სხვა ქვეყნებში, ექსპორტის მატება დაჩქარდა, რაც ამ ქვეყნების უმეტესობაში მოსალოდნელზე სწრაფ ეკონომიკურ აღდგენას უკავშირდებოდა.

2022 წელს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 629 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით სავალუტო ინტერვენციები, არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდის შედეგად, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების მატება და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები მოქმედებდა. 2022 წელს ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა სავალუტო ბაზარზე (როგორც სავალუტო აუქციონების, ასევე BMatch პლატფორმის საშუალებით) 565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით საგარეო ვალის მომსახურებასა და მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებს ჰქონდა გავლენა. სსფ-ს ARA მეთოდოლოგიით<sup>4</sup> რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მიხედვით, 2022 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 107 პროცენტს შეადგენს, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონის (100-დან 150 პროცენტამდე) ფარგლებშია.

ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობა, ეროვნული ბანკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით, ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა, განსაკუთრებით პანდემიის შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრციკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციის გათვალისწინებით კონტრციკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების გადაწყვეტილება მიიღო.<sup>5</sup> 2022 წლის ბოლოსთვის საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზე, ეკონომიკური ზრდა კი მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა, ასევე, გაუმჯობესდა ბანკების

<sup>4</sup> დაწვრილებით იხილეთ <https://www.imf.org/external/np/spr/ara/>

<sup>5</sup> [nbg.gov.ge/fm/ფინანსური\\_სტაბილურობა/კომიტეტის\\_გადაწყვეტილებები/eng/fsc-pressrelease-q4-eng.pdf?v=5gpx8](https://www.nbg.gov.ge/fm/ფინანსური_სტაბილურობა/კომიტეტის_გადაწყვეტილებები/eng/fsc-pressrelease-q4-eng.pdf?v=5gpx8)

ფინანსური მაჩვენებლები, ხოლო უძრავი ქონების ბაზარზე ფასებისა და ქირის ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა ჩათვალა, რომ მნიშვნელოვანია ფინანსურმა სექტორმა კაპიტალის ბუფერები დააგროვოს, რათა მათი სტრესულ პერიოდებში გამოყენება შეძლოს, როგორც ეს პანდემიის დასაწყისში მოხდა.

ეროვნული ბანკის მიერ პანდემიამდე გატარებული მაკროპრუდენციული და მიკროპრუდენციული ზომებისა და პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ შემუშავებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად, ფინანსურმა სექტორმა მდგრადობა შეინარჩუნა და ეკონომიკის დაკრედიტება წარმატებით განაგრძო. ბანკების უმრავლესობამ პანდემიის შოკის დროს გამოთავისუფლებული ბუფერები უკვე აღადგინა და რეგიონში გეოპოლიტიკურ დამახულობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს სოლიდური ბუფერებით შეხვდა. ფინანსური სექტორის მზაობას, ასევე, ხელი შეუწყო ბანკების აქტივების ხარისხის მდგრადობამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი კრიზისამდელ პერიოდში შინამეურნეობების ჭარბვალუარიანობისა და სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით გატარებულმა მაკროპრუდენციულმა ზომებმა შეიტანა. გატარებული ღონისძიებების ფონზე ფინანსური მაჩვენებლები გაუმჯობესებულია, რაც ქვეყნის ფინანსური სისტემის სიჯანსაღეზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, პირდაპირი სანქციები მხოლოდ ერთ, რუსული ბანკის შვილობილ, ბანკს შეეხო და ეს პრობლემა აქტივ-ვალდებულებების ნაწილის სხვა ბანკებზე გაყიდვით მალევე გადაიჭრა. მდგრადია არასაბანკო საფინანსო სექტორიც, რომელსაც ასევე დაწესებული აქვს პრუდენციული მოთხოვნები.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფონზე 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შინამეურნეობების საკრედიტო რისკი შემცირდა. პანდემიის დროს შინამეურნეობების გაუარესებული გადახდისუნარიანობა უმოქმედო სესხების წილის ზრდაში აისახა, თუმცა, ეკონომიკის გაჯანსაღებასთან ერთად, სესხების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, საყურადღებოა სამომხმარებლო სესხების მაღალი ზრდის ტემპი და ინფლაცია. ეს უკანასკნელი უარყოფითად აისახება შინამეურნეობების რეალურ შემოსავლებზე. აღნიშნული რისკის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადია დაბალშემოსავლიანი და ვალის მომსახურების მაღალი ტვირთის მქონე შინამეურნეობები. აღნიშნული რისკების საპასუხოდ და მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ზრდის ხელშესაწყობად, ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეული მოთხოვნები განაახლა. კერძოდ, უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 10 წლამდე შემცირდა, სესხის მომსახურების კოეფიციენტის 25 პროცენტისანი მოთხოვნა 1,500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზე გავრცელდა, ცვლადგანაკვეთიანი სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების დროს 3 პპ-იანი საპროცენტო განაკვეთის

შოკის გათვალისწინება გახდა საჭირო და სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადა, დროებით, 4-დან 3 წლამდე შემცირდა.

გასული წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებებისა და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად, საკრედიტო აქტივობა შენედა. 2022 წლის დეკემბერში სესხების წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 6.1 პპ-ით, 12.1 პროცენტამდე შემცირდა. გასული წლის განმავლობაში, სესხების მშპ-თან ფარდობაც შემცირდა, რაც მაღალი ნომინალური ეკონომიკური ზრდისა და გაცვლითი კურსის გამყარების ეფექტს ასახავს. შედეგად, 2022 წლის მესამე კვარტალში სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა მის გრძელვადიან ტრენდს ჩამორჩება, თუმცა საქართველოში სესხების მშპ-თან ფარდობის არსებული დონე, მსგავსი ქვეყნების მაჩვენებლებთან შესადარის დონეზეა. აღსანიშნავია, რომ წინასწარი მონაცემებით, 2022 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 10.1 პროცენტი შეადგინა, რაც ვალის ტვირთის მდგრად დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კრიზისის დასაწყისში კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენის პროცესმა და კრიზისამდე დაგეგმილი კაპიტალის დონის და ხარისხის გაუმჯობესებამ („პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესის" მიხედვით) გარკვეულწილად კონტრციკლური ბუფერის როლი შეასრულა. ამასთან, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ლარში საკრედიტო აქტივობას დამატებით ანელებს და ამით ინფლაციის შემცირებას უწყობს ხელს.

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი<sup>6</sup> განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. მათ შორის აღსანიშნავია მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის<sup>7</sup> და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესის (ტაქსონომიის რეგულაცია)<sup>8</sup> დამტკიცება. ტაქსონომიის რეგულაცია ოფიციალურად განმარტავს მწვანე, სოციალურ და მდგრად სესხებს და კომერციულ ბანკებს ტაქსონომიასთან შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნებს უწესებს. ყოველივე ეს საქართველოში მწვანე სესხების შესადარისი და თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს. 2022 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეორე ანგარიში გამოაქვეყნა<sup>9</sup>. მასში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. ამასთან, კორპორაციული მართვის კოდექსით დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2022 წელს ბანკებმა ESG

<sup>6</sup> იხილეთ: [nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-გზამკვლევი](http://nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-გზამკვლევი)

<sup>7</sup> იხილეთ: [nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-ტაქსონომია](http://nbg.gov.ge/page/მდგრადი-დაფინანსების-ტაქსონომია)

<sup>8</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/legal-acts/acts>

<sup>9</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-roadmap>

ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მეორედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2022 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე<sup>10</sup> გამოქვეყნებული, რაც ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ESG საკითხების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის ნოემბერში მდგრადი დაფინანსების ორდღიან ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა. ღონისძიება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) და IFC-თან არსებულ მდგრად საბანკო და საფინანსო ქსელთან (SBFN) თანამშრომლობით და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა. ასევე, ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს საქართველოს ეკონომიკური სექტორებისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკების რადარისა და ფინანსური სექტორისთვის მისი შესაძლო გამოყენების შესახებ ანგარიში მოამზადა. ამჟამად, ეროვნული ბანკი ESG რისკების მართვის გზამკვლევისა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სცენარების ანალიზის ჩარჩოს შემუშავებაზე მუშაობს. 2023 წელს ეროვნული ბანკი მდგრადი დაფინანსების ახალ გზამკვლევს შეიმუშავებს, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის სამოქმედო გეგმას და განსახორციელებელ ღონისძიებებს გააერთიანებს. გზამკვლევის მთავარი მიზანი სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩოს შექმნაა, რაც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) განხორციელებაზე დაიწყო მუშაობა. აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2022 წლის განმავლობაშიც, როდესაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მიმდინარე წელს IMF ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში პრეზენტაციები რეზოლუციისა და გაჯანსაღების მიმართულებით ყველა ძირითად საკითხზე ჩატარდა და შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები როგორც ეროვნული ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულების, ისე დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის. მსოფლიო ბანკის გუნდმა კი, მისიის ფარგლებში, რეზოლუციის სიმულაცია ჩატარა, სადაც ეროვნულ ბანკთან ერთად დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა. სიმულაციის ფარგლებში შემოწმდა ფინანსური კრიზისისადმი მზაობა და გაიცა პრაქტიკული რეკომენდაციები. სიმულაციის მეორე ნაწილი 2023 წელს არის დაგეგმილი, სადაც რეზოლუციის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესების ტესტირება მოხდება.

---

<sup>10</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure>

2022 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს.

2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც, ეროვნულმა ბანკმა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2022 წლის გამოცემა გამოაქვეყნა.<sup>11</sup> ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2022 წლის გამოცემაშიც უცვლელი დარჩა, ხოლო უკვე შესრულებული ამოცანების შესახებ ინფორმაცია განახლდა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებსა და ცვლილებებზე აკეთებდა. 2020-2022 წლებში კი ეროვნულ ბანკი თავის საქმიანობას შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმართავდა: ლიდერობისა და ინიციატივების წამახალისებელი კორპორატიული კულტურის გაძლიერება; დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება; საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა; საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება; მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება.

2022 წლის განმავლობაში შემუშავდა ახალი საზედამხედველო სუბიექტის - მიკრო ბანკისთვის მარეგულირებელი ჩარჩოს პირველადი საკანონმდებლო პაკეტი, კერძოდ, „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და გამომდინარე კანონპროექტები, რომლებიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. პარალელურად, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს დამატებით კანონქვემდებარე აქტებზე. საკანონმდებლო პაკეტის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, რაც სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტებას, კონკურენციის ზრდას და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო მარჟების შემცირებას შეუწყობს ხელს.

ეროვნული ბანკი 2022 წლის განმავლობაში აქტიურად განაგრძობდა ზედამხედველობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე მუშაობას. შედეგად, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილებებით დაიხვეწა და ევროკავშირში მოქმედ საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივასთან (CRD) არსებითად შესაბამისობაში მოვიდა კომერციული ბანკების ლიცენზირებასთან, ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ

---

<sup>11</sup> დაწვრილებით იხილეთ - [საზედამხედველო სტრატეგიის 2022 წლის გამოცემა](#)

განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვანი იყო, როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, ასევე ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (Single Euro Payment Area - SEPA) გაწევრიანებისათვის.

სს „პეისერა საქართველოზე“ ლიცენზიის გაცემის შემდეგ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 87.9 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 87.4 პროცენტს შეადგენს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 45 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2021 წლის ბოლოს არსებული კურსით), 13 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში გაიზარდა, ხოლო კორპორატიული სეგმენტის წილი კი შემცირდა.

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 16.6 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრისთვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.5 პპ-ით ნაკლებია.

რაც შეეხება საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილი შემცირებულია, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში უმოქმედო სესხების წილი გაიზარდა, რაც, მეტწილად, სამომხმარებლო სესხების ხარისხის გაუარესებამ განაპირობა, რის შედეგადაც დიდი მოცულობით სამომხმარებლო სესხები ჩამოიწერა. პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის შედეგად, პორტფელში რეზერვის პროცენტული წილი ყველა საცალო პროდუქტისთვის შემცირებულია.

2022 წლის განმავლობაში ლარის კურსი ძირითად ვალუტებთან გამყარდა, ხოლო ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. სავალუტო პოზიციის ლიმიტი საზედამხედველო კაპიტალის 20 პროცენტს შეადგენს. თუმცა, ბანკები სავალუტო რისკის შემცირების მიზნით, უმეტესად დახურული სავალუტო პოზიციით ოპერირებენ. წლის ბოლოს კრებსითი სავალუტო პოზიცია გრძელვადიან და საზედამხედველო კაპიტალის 1.6 პროცენტის ფარგლებშია. 2023 წლიდან სავალუტო პოზიცია წარმოდგენილია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველოს საბანკო სისტემაში

დოლარიზაცია კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით. 2022 წლის მოგების დეკომპოზიციის კუთხით, აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში გაზრდილი საკრედიტო აქტივობის ფონზე გაიზარდა წმინდა საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლები. ასევე, გაიზარდა ბანკების საოპერაციო ეფექტიანობა.

2022 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა გაიზარდა და ბანკები ადეკვატური ლიკვიდობის ბუფერებით ოპერირებენ. ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 23 პროცენტს და არასაბანკო დეპოზიტების 37 პროცენტს აღწევს. მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR). ლარისა და უცხოური ვალუტის კოეფიციენტებს შორის მერყეობები სავალუტო დერივატივებთან დაკავშირებული ოპერაციებით არის გამოწვეული. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) ასევე მაღალ დონეს ინარჩუნებდა. მინიმალური მოთხოვნა 100 პროცენტს შეადგენს, თუმცა ბანკები ადეკვატური ბუფერებით საქმიანობენ და წლის ბოლოს მდგომარეობით კოეფიციენტი 133.6 პროცენტს აღწევს.

აქტივების დოლარიზაცია ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს, რადგან არაპეჯირებული მსესხებლების სავალუტო რისკი ზრდის ბანკების საკრედიტო რისკს და, შესაბამისად, დამატებითი კაპიტალის მოზიდვა ხდება საჭირო. ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი გონივრულ მიდგომას ინარჩუნებს და პრუდენციულ მოთხოვნას აწესებს. კერძოდ, არაპეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, რომელიც ბანკის სასესხო პორტფელის დოლარიზაციის პროპორციულად იზრდება და რომლის შესრულება 2023 წლიდან არის სავალდებულო. ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატიული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად კი, ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან საოპერაციო და კიბერ-რისკების მართვის პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე. გრძელდება კომერციული ბანკების შემოწმება სეზ-ის საოპერაციო რისკების მართვის დებულების ჩარჩოსთან შესაბამისობაზე. მათ შორის, დიდი ყურადღება ექცევა კომერციული ბანკების მიერ ბიზნეს უწყვეტობის სრულყოფილად ჩატარებას სხვადასხვა სცენარების მიხედვით, რაც ასევე მოიცავს აუტოსორსინგულ პროცესებს (მ.შ. დრუბლოვან სერვისებს), მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვას და საფინანსო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას. სეზ-ის მხრიდან ბანკებს ეძლევა რეკომენდაცია, რომ იზრუნონ ცნობიერების



ასამაღლებელ ღონისძიებებზე როგორც ბანკის თანამშრომლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის.

მიმდინარე პერიოდში სეზონის საოპერაციო რისკების გუნდმა ორი დოკუმენტი შეიმუშავა: „საოპერაციო რისკების დანაკარგების აღრიცხვის სახელმძღვანელო კომერციული ბანკებისთვის“ და „რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპები“. ცვლილების პროცესშია „კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება“, სადაც აუთოსორსინგის მიმართ მოთხოვნები დაზუსტდება. გამოქვეყნდა „მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ ინფორმაციის გაცვლის“ წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის პორტალის მეშვეობით საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ ინფორმაციის დროულად და ცენტრალიზებულად გაცვლას. პანდემიური და მაკროეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უფრო აქტუალური გახდა საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრუქტურების შესწავლა და კვლევა, რაც შემდგომში კომერციული ბანკებისთვის მითითებებსა და მოთხოვნების განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

2022 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების პრაქტიკის შემოწმება განახორციელა. შედეგად, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფი პოლიტიკა-პროცედურების ფორმალიზებას, რისკების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების სათანადო კომპეტენციებით გაძლიერებას.

საფინანსო სექტორის კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციული სისტემების აუდიტის და შეღწევადობის ტესტირებების პერიოდული განხორციელება. საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და სწორედ ამ მიზნით 2022 წელს „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“ დამტკიცდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს, რათა, კიბერშეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაციის მთლიანად საბანკო სექტორისთვის მიწოდება მეყსეულად განხორციელდეს. კიბერინციდენტების შესახებ კვარტალური ანგარიშების წარმოება კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკის წარმოჩინების საშუალებას იძლევა. 2022 წლის ფარგლებში,

საბანკო სექტორში ძირითადად ე.წ. ფიშინგისა და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDos) შეტევები ფიქსირდებოდა.

2022 წელს ეროვნულ ბანკში დაინერგა კიბერსაფრთხეებზე ინფორმაციის გაზიარების პორტალი, სადაც, ეროვნული ბანკის გარდა, კომერციული ბანკები მონაწილეობენ. პლატფორმის წევრებს აქტუალური ტენდენციების, მოსალოდნელი საფრთხეებისა და წარსული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებით აკვირდება საფინანსო სექტორში მიმდინარე ტექნოლოგიურ სიახლეებს, რაც, თავის მხრივ, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების გამოწვევებს უკავშირდება. მიმდინარე ეტაპზე ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურების გამოყენების ზრდამ ფინანსური ორგანიზაციების მიერ ღრუბლოვანი აუთოსორსინგული მომსახურების გამოყენების სახელმძღვანელოს შემუშავება განაპირობა, რომლის განხილვებიც რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელდა.

კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების კამპანიის ფარგლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის კონკურსები, კონფერენციები, დამზადდა შემეცნებითი ვიდეო რგოლები და სხვა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროცესს.

2022 წელს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, აღნიშნულ რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტებში დაემატა სახელმწიფო გასაცემლების (მაგ. პენსიების) ბენეფიციარების მიმართ არსებული რისკის პოზიციების მიმართ შეღავათიანი შეწონვა 35 პროცენტის ოდენობით.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების ფარგლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლა, რომელიც 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით იყო გათვალისწინებული. ამ წლების განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა ფასს-ზე გადაყვანის კონცეფცია და ცვლილებები შეიმუშავა; დამტკიცდა „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესი“ და ცვლილებები შევიდა შესაბამის ბრძანებებში, რომელიც ძალაში 2023 წლის პირველი იანვრიდან შევიდა. ფასს-ზე გადასვლის შედეგად, კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო ნორმატივები ფასს-ზე დაფუძნებული რიცხვებითა და მიდგომებით უნდა დაიცვან. შედეგად, ქართული ბანკების

საზედამხედველო ანგარიშგება განვითარებული ქვეყნების შესაბამისი და შესადარისი გახდა.

ამასთან, ეროვნული ბანკის გაცხადებული პრინციპით, ფასს-ზე გადასვლისას, სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნებულიყო საზედამხედველო კაპიტალის ხარჯის მიმართ ნეიტრალური მიდგომა. აღნიშნული პრინციპის მიზანი იყო, რომ აღრიცხვის სტანდარტების ცვლილება საბანკო სექტორისთვის დამატებითი კაპიტალის ხარჯის გამომწვევი არ ყოფილიყო. ამავდროულად, არ უნდა გაუარესებულიყო ბანკების კაპიტალის პოზიციები. კაპიტალის ხარჯის მიმართ ნეიტრალური მიდგომა გულისხმობს საბანკო სისტემაში საზედამხედველო კაპიტალზე არსებული ბუფერის შემცირებას ძირითად პირველად და პირველად კაპიტალზე ბუფერის გაზრდის ხარჯზე (იხ. დიაგრამა 4.3). ამ მიზნით, „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესს“ დაემატა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი და მისი დათვლის განახლებული წესი. საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერის დაწესების მიზანია აქტივებისათვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა.

2022 წლის განმავლობაში საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებთან, საბანკო ასოციაციასთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან, სხვა ქვეყნების ზედამხედველებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელს მსოფლიოში ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

2022 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ღია ბანკინგის სერვისების გაფართოების და ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით. ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა

საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის სურვილის და თანხმობის საფუძველზე, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს. ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში კი საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. ღია ბანკინგის სერვისები საქართველოში უკვე 2021 წლის 31 მარტიდან არის ხელმისაწვდომი. 2022 წელს ღია ბანკინგის ხელმისაწვდომ სერვისებს დაემატა სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლის და იურიდიული პირებისთვის ანგარიშის ინფორმაციის გაცვლის სერვისები. ასევე, დაიწყო ისეთი სერვისების დანერგვა, როგორებიცაა: ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადარიცხვის ინიცირების სერვისი და ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი.

2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აგრძელებდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების სატესტო რეჟიმში მიღებას. ასევე, ინფორმაციის სრულყოფის მიზნით დაიწყო საკრედიტო რეესტრის ფორმის განახლების და მიღებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების პროცესები. საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა.

არასაბანკო საფინანსო სექტორი, 2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც განაგრძობდა ჯანსაღ და სტაბილურ განვითარებას, ინარჩუნებდა ზომიერ ზრდის ტემპს და შეუფერხებლად ურუნველყოფდა მომხმარებლისთვის მიკროდაკრედიტების მიმართულებით მთელი ქვეყნის მასტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში, ფინანსური მომსახურების გაწევას. რუსეთ-უკრაინის ომის გამო ინსტიტუციონალური კრედიტორებისგან სახსრებზე ხელმისაწვდომობის შენელების პირობებშიც, არასაბანკო საფინანსო სექტორში აქტივების 13 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა და წილი მთლიან საფინანსო სექტორში თითქმის იმავე დონეზე, 3.3 პროცენტზე შენარჩუნდა, თანხით 2.4 მილიარდი ლარი. ამასთან, მიუხედავად აღნიშნული ზრდის მაჩვენებლებისა, მიკროსაფინანსო სექტორში უზრუნველყოფილი იყო კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების საკმარისი დონე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით (396 ფილიალი), 176 სესხის გამცემი სუბიექტით (332 ფილიალი), 511 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა (689 ფილიალი) და ერთი საკრედიტო კავშირითაა წარმოდგენილი.

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი პროდუქტების განვითარების ხელშესაწყობად განხორციელებული აქტივობების კუთხით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია. ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში

მნიშვნელოვნად გაიზარდა და ზრდის ტენდენცია 2022 წელსაც გაგრძელდა. რიგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების განვითარება ამ დინამიკას შეინარჩუნებს და დამატებით ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას. წინა წლების მსგავსად, 2022 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია ფიქსირდება. წინა წელთან შედარებით, ბაზრის ეს სეგმენტი 39.4 პროცენტით გაიზარდა და მისმა ზომამ მშპ-ს 4.2 პროცენტი შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 71.3 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 49.3 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 19.7 პროცენტით გაიზარდა.

2022 წელს საპენსიო სააგენტომ აქტიურად დაიწყო საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია და ბენჩმარკ პორტფელთან<sup>12</sup> მიახლოება. საინვესტიციო საბჭოს გადაწყვეტილებით, წლის მანძილზე ეტაპობრივად მოხდა უცხოური ვალუტის შესყიდვა და შემდეგ გლობალურ და ადგილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში თანხის დაბანდება. საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, უცხოური აქციების შეძენა განხორციელდა iShares MSCI World ETF (კოდი URTH)-ის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ 1500-ზე მეტ კომპანიას აერთიანებს და დივერსიფიცირებულია ინდუსტრიების მიხედვით. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარზე ინვესტირებას, 2022 წელს საპენსიო სააგენტომ პირველად მოახდინა ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ ობლიგაციაში ინვესტირება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო აქტივების 2.0 პროცენტი განთავსებულია მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 16.2 პროცენტი ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 10.5 პროცენტი აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებში, 7.4 პროცენტი გლობალურ აქციებში, 0.8 პროცენტი ევროობლიგაციებში, 0.1 პროცენტი ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო 63.0 პროცენტი ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაბრებში.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლების ხელშეწყობა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც პრიორიტეტული საკითხი იყო. აღნიშნული მიმართულებით კვლავ არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და სექტორში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, მოიცავდა სექტორთან კონსულტაციებს და სამუშაო შეხვედრებს. კერძოდ, დამტკიცდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის

---

<sup>12</sup> ნაკლებად რისკიანი პორტფელის ბენჩმარკი შედგება სამი კლასის აქტივისგან: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (60 პროცენტი) და უცხოური აქციები (20 პროცენტი).

ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი და მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში. ამასთან, აღნიშნულ წესში ცვლილებების განხორციელება სამომავლოდაც გაგრძელდება, რაც, მათ შორის, მოიცავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ გაფორმებულ შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებულ ევროდირექტივებთან აპროქსიმაციის ნაწილს. გარდა ამისა, მუდმივად მიმდინარეობდა ფინანსური სექტორის მხრიდან დაწესებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი.

გარდა აღნიშნულისა, ეროვნული ბანკი 2022 წელსაც განაგრძობდა მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლებაზე მუშაობას. აქტიურად ფუნქციონირებდა ეროვნული ბანკის მიერ შექმნილი ფინანსური განათლების პორტალი - ფინედუ ([www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge)), რომელიც მომხმარებლებს ფულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო, სანდო, მიუკერძოებელ და უტყუარ ინფორმაციას აწვდიდა. შემუშავდა ახალი პროექტები, ტარდებოდა ვებინარები, ონლაინ შეხვედრები და კონკურსები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის, მასწავლებლებისთვისა და ზრდასრული მოსახლეობისთვის. შეიქმნა ანიმაციური ვიდეორგოლები ფინანსური განათლების საკვანძო საკითხებზე. ტრადიციულად, სხვადასხვა პარტნიორი ორგანიზაციის ჩართულობით, აღინიშნა ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებები - გლობალური ფულის კვირეული, მსოფლიო დაზოგვის დღე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, კიბერუსაფრთხოების თვე, ინოვაციების ბანაკი. საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას დაზღვევის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით, ფინანსური განათლების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან.

„საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, რისკზე დამყარებული საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიებები, რომელიც, მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით შეფასებას და ადგილზე ინსპექტირებას მოიცავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეროვნული ბანკის მიერ წლის განმავლობაში საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებები.

2022 წელს, საქართველოს პარლამენტმა ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სავალდებულო რეგისტრაციას, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების

შემოწმებასა და ზედამხედველობას ეროვნული ბანკის მიერ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით.

მეთოდური სახელმძღვანელოების ადეკვატურად დანერგვის, ასევე, მიმდინარე გამოწვევების ეფექტიანად მართვის მიზნით, წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სწავლება, ხოლო ინფორმაციის გაზიარებისა და საზედამხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით სისტემატურად იმართებოდა შეხვედრები.

საგადახდო სისტემების ეფექტიანი და შეუფერხებელი ფუნქციონირება საფინანსო სექტორის სტაბილურობისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგადახდო სისტემებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა როგორც ტექნოლოგიური, ასევე ფუნქციური თვალსაზრისით. განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო დისტანციური და მობილური ტექნოლოგიების განვითარება, რამაც ხელი შეუწყო უნაღდო ელექტრონული გადახდების სწრაფ განვითარებას განსაკუთრებით საცალო გადახდების მიმართულებით. ელექტრონული გადახდების განვითარების ამ ტენდენციას დამატებითი იმპულსი შესძინა 2019 წელს დაწყებულმა COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ, რომელმაც რიგ დარგებში ციფრული ტრანსფორმაცია დააჩქარა და ახალი ელექტრონული საგადახდო პროდუქტების განვითარების კუთხით დამატებითი საჭიროება გააჩინა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების ზრდა, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში თითქმის ყოველწლიურად ორმაგდებოდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თანხობრივი თვალსაზრისით და 2022 წელს მთლიანად უნაღდო გადახდების რაოდენობის 18 პროცენტი და თანხის 12 პროცენტი შეადგინა, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელზე შესაბამისად 15 და 10 პპ-ით მეტია. რაოდენობრივი თვალსაზრისით მობილური ბანკით გადახდები მხოლოდ საგადახდო ბარათებით განხორციელებულ უნაღდო გადახდებს ჩამოუვარდება, რომელიც 2022 წელს წინა წელთან შედარებით 34 პროცენტით გაიზარდა და მთლიანად უნაღდო გადახდების რაოდენობის 77 პროცენტი შეადგინა. საგადახდო ბარათი გადახდების ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტია. აღნიშნული ტენდენციების მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას ქვეყნის საგადახდო სისტემის ეფექტიანი და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად როგორც არსებული სისტემების სრულყოფის, ასევე ახალი სისტემების დანერგვის მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მიზნით 2022 წელს დასრულდა მუშაობა მყისიერი გადახდების სისტემის სატენდერო დოკუმენტაციაზე. სისტემის შესყიდვა 2023 წელს მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურის შესაბამისად განხორციელდება.

2022 წლის განმავლობაში, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური საქმიანობა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის მიმართულებით

განხორციელებული რამდენიმე აქტუალური პროექტით გამოირჩეოდა, რომლებიც მოწინავე საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ დანერგილ ტენდენციებს პასუხობს. კერძოდ, შემუშავდა ფულადი გზავნილებისა და უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების მონაცემთა ოჯახების გაფართოებული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს დეტალური მონაცემების შეგროვებას. განახლებული მონაცემთა ოჯახების დანერგვა 2023 წლის განმავლობაშია დაგეგმილი.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების - „სებსტატის“ სისტემაში შეგროვებული მონაცემების ხარისხზე და უტყუარობაზე. ამ მიზნით, მიმდინარე წლის განმავლობაში ანგარიშების მიზნებისათვის საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირების ერთიანი ბაზა შემუშავდა და დაინერგა. აღნიშნული ბაზა აზუსტებს იურიდიული პირის ინსტიტუციური სექტორის, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის (Nace Rev 2) და საწარმოს ზომის მახასიათებლებს.

საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებაზე მუშაობას განაგრძობდა. ნუმიზმატიკისთვის, კოლექციონერებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის საკოლექციო მონეტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გასულ წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საკოლექციო მონეტების წინასწარი შეკვეთების პრაქტიკა დანერგა, რომელიც ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით, წინასწარი შეკვეთის განთავსებას ითვალისწინებს.

2022 წელი საფინანსო სექტორის მარეგულირებელი ნორმატიული სიახლეების კუთხით საკმაოდ დატვირთული პერიოდი იყო. პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ ამ მიზნით განახლდა საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და დარეგულირდა ვირტუალური აქტივების მომსახურება. „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონისა და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული საგადახდო მომსახურების შესახებ განახლებული დირექტივა (Directive (EU) 2015/2366 on payment services) განხორციელდა, ხოლო „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა საბანკო საქმიანობის



ლიცენზიის გაცემასთან, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემძენთა/მფლობელთა და კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული მოთხოვნების ევრო დირექტივითა (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა (2013/36/EU) „საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან წვდომისა და საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ (CRD Directive 2013/36/EU)) და ევროპის საბანკო უწყების (European Banking Authority) მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ჯამში, 2022 წელი მნიშვნელოვანი მიღწევებით გამოირჩეოდა ევროინტეგრაციის მიმართულებით. გარდა აპროქსიმაციის მიზნით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და SEPA-ში გაწვევრიანების მიზნით განაცხადის წარდგენისა, აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ევროკავშირში გაწვევრიანების მიზნით კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად გათვალისწინებული კითხვარის შევსების პროცესში, კერძოდ კითხვარის ის ნაწილები, რომლებიც ფინანსურ სტაბილურობას, მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ფინანსურ სერვისებსა და ცენტრალური ბანკის კომპეტენციაში არსებულ სხვა საკითხებს შეეხებოდა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა წარადგინა.

კომერციული ბანკებისათვის დაფინანსების გრძელვადიანი, იაფი და სტაბილური ალტერნატიული წყაროს გაჩენის მიზნით, 2022 წელს მიღებულ იქნა „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები.

მნიშვნელოვანი სიახლეები იყო საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცვლილებების მხრივაც, კერძოდ კი ისეთი მიმართულებებით, როგორცაა მომხმარებელთა უფლებების დაცვა, ფიზიკური პირების დაკრედიტება, კომერციული ბანკების საზედამხედველო ჩარჩოსა და რეზოლუციის რეგულირება, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა გამოცემამ, Global Finance-მა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ზედიზედ უკვე მეხუთედ, 2022 წლის მსოფლიოს ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი Global Finance-მა თავის რეიტინგებში პირველად 2018 წელს ჩართო და ის, უკვე მეხუთე წელია, ცენტრალური ბანკების იმ საუკეთესო მმართველთა სიაში ხვდება, რომელთაც A და A- შეფასება მიიღეს. Global Finance-ის დაჯილდოება საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში ფართოდაა აღიარებული და დაჯილდოებული პირებისა და ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. ცენტრალური ბანკების მმართველების შეფასება ცენტრალური

ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის რამდენიმე მიმართულებას ეფუძნება, მათ შორის ქვეყნის შესაბამისი მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის ფონზე, სასაქონლო ბაზრებზე ზრდადი ფასებისა და გლობალური პანდემიის ჯერ კიდევ უარყოფითი შედეგების გამკლავების დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტური რეაგირება და საბანკო სისტემის მედეგობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების შენარჩუნებაში აისახა. საერთაშორისო რეიტინგების მიერ საქართველოს საინვესტიციო მდგომარეობის ასეთი შეფასება აძლიერებს საქართველოს ეკონომიკის მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ინვესტორების ნდობას და ქვეყნის ბიზნესგარემოზე პოზიტიურად აისახება.

# 1 მაკროეკონომიკური გარემო

## 1.1 მსოფლიო ეკონომიკა

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკა ახალი, მძიმე გამოწვევების წინაშე დადგა. კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აგრესიის შეკავების მიზნით დაწესებულმა სანქციებმა, ერთდროულად მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის სირთულეები წარმოშვა. გლობალური მიწოდების ჯაჭვებში მიმდინარე ომით გამოწვეული მწვავე შეფერხებების ფონზე, მთელ რიგ ქვეყნებში, ინფლაციის მაჩვენებლები უპრეცედენტოდ გაიზარდა და, ინფლაციის მოლოდინების თანმდევი გაუარესების პასუხად, მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა. შესაბამისად, 2022 წელს, განსაკუთრებით განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში, ზრდის ტემპები გაუარესდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) 2023 წლის აპრილის შეფასების<sup>13</sup> მიხედვით, 2022 წელს, გლობალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 3.4 პროცენტი შეადგინა. ზემოხსენებული სამომხმარებლო ფასების შესამჩნევი ზრდა, როგორც განვითარებულ, ისე მზარდ და განვითარებად ქვეყნებში, ასევე განპირობებული იყო პანდემიის პირობებში მიწოდების მხარეს წარმოქმნილი შეფერხებების ნაწილობრივ შენარჩუნებით, პანდემიის შესუსტებასთან ერთად გაზრდილი მოთხოვნითა და საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე პროდუქციის ფასების მზარდი დინამიკით. 2022 წელს საკვები პროდუქტების ფასების ინდექსი, საშუალოდ, წინა წელთან შედარებით 14.3 პროცენტით გაიზარდა<sup>14</sup>, ხოლო 2020 წელთან შედარებით კი - 46.4 პროცენტით. რაც შეეხება ნავთობის საერთაშორისო ფასს, ბრენტის ტიპის ერთი ბარელის ფასმა, 2022 წელს, საშუალოდ, დაახლოებით 100.9 ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც 42.4 პროცენტით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს.

ევროზონასა და დიდ ბრიტანეთში, რუსეთ-უკრაინის ომის და, ასევე, COVID-19 შემთხვევების ზრდის ფონზე, 2022 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობა შენედა, სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუარესდა, ხოლო ადგილობრივი ვალუტების გაუფასურებისა და საერთაშორისო ბაზარზე სასაქონლო პროდუქციის მაღალი ფასების შენარჩუნების ფონზე მოიმატა ინფლაციურმა მაჩვენებელმაც. შესაბამისად, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) ფართო რაოდენობრივი შერბილების პროგრამა დაასრულა და წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი რამდენჯერმე გაამკაცრა, რამაც გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე ეკონომიკური აქტივობა შენედა მზარდ და განვითარებად ეკონომიკებშიც, თუმცა უფრო ნაკლები ტემპებით


<sup>13</sup> International Monetary Fund. 2023. *The World Economic Outlook: A Rocky Recovery*. Washington, D.C. April. (შემდეგში: WEO April, 2023).

<sup>14</sup> გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).

ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული, რუსეთ-უკრაინის ომს და, ასევე, გლობალურად მაღალი ინფლაციური გარემოს უკავშირდება. კერძოდ, საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი ფასების გამო, ინფლაციურმა წნეხმა მოიმატა, რის ფონზეც ცენტრალურმა ბანკებმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები საგრძნობლად გაამკაცრეს და ერთობლივი მოთხოვნა შეზღუდეს.

2022 წლის პირველ ნახევარში აშშ-ში ეკონომიკური აქტივობის დონე შემცირდა. აღნიშნულის მიზეზი, ერთი მხრივ, წლის დასაწყისში COVID-19-ით ინფიცირების ზრდა იყო, ხოლო მეორე მხრივ კი - მკვეთრად გაზრდილი სამომხმარებლო ფასები, რის ფონზეც წმინდა ექსპორტი გაუარესდა, ხოლო სასაქონლო მარაგები კი - შემცირდა. რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, აშშ-ის მთავრობის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციების რამდენიმე პაკეტმა ქვეყნისთვის დამატებითი გამოწვევები შექმნა. წლის განმავლობაში მაღალი იყო ინფლაციის მაჩვენებელი, რის ფონზეც ამერიკის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, ფედერალური ფონდების განაკვეთი რამდენჯერმე გაზარდა. საბოლოო ჯამში, სსფ-ს 2023 წლის აპრილის შეფასებით<sup>15</sup>, აშშ-ს რეალური ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 2.1 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო წლიური ინფლაცია საშუალოდ 8 პროცენტი იყო.

### დიაგრამა N 1.1 რეალური მშპ-ის ზრდა მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

<sup>15</sup> WEO April, 2023.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე მზარდმა ჰუმანიტარულმა კრიზისმა და მაღალი ინფლაციურმა გარემომ, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, შეიქმნა ენერგეტიკული კრიზისის მოლოდინი. გერმანიაში, მაღალი ინფლაციური გარემოსა და უკრაინაში მიმდინარე ომის პარალელურად, სამომხმარებლო და ბიზნეს განწყობები გაუარესდა, ხოლო ექსპორტისა და ინვესტიციების მოცულობამ იკლო. თუმცა, წლის პირველ ნახევარში მაღალი იყო სამომხმარებლო დანახარჯები, რაც პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მოხსნას უკავშირდება. სსფ-ს შეფასებით<sup>16</sup>, გერმანიის ეკონომიკა 2022 წელს 1.8 პროცენტით გაიზარდა. წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური აქტივობა გაუმჯობესდა იტალიაში, თუმცა ენერგეტიკული კრიზისის მოლოდინის ფონზე მეორე ნახევარში გაუმჯობესების ტემპი შენედა. მაღალი იყო ინფლაციური გარემოც. საბოლოოდ, იტალიის ეკონომიკა 2022 წელს 3.7 პროცენტით გაიზარდა. წლის მეორე ნახევარში ეკონომიკური აქტივობა მცირედ შენედა საფრანგეთშიც, სადაც გაუარესდა როგორც სამომხმარებლო, ისე ბიზნეს განწყობები. საბოლოო ჯამში, სსფ-ს შეფასებით<sup>17</sup>, საფრანგეთის რეალური ეკონომიკა 2022 წელს 2.6 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების ტემპმა იკლო ესპანეთშიც, რაც მაღალი ინფლაციურ გარემოს და ასევე ენერგეტიკული კრიზისის მოლოდინებს უკავშირდება. ესპანეთის რეალური ეკონომიკა 2022 წელს 5.5 პროცენტით გაიზარდა. 2022 წლის განმავლობაში, ევროზონაში ინფლაციური მოლოდინები და ინფლაციის წლიური მაჩვენებელი საკმაოდ გაიზარდა. შესაბამისად, ევროზონის ქვეყნების წლიური ინფლაცია 2022 წელს, უპრეცედენტოდ მაღალი, საშუალოდ 8.4 პროცენტი იყო. შედეგად, ევროპის ცენტრალურ ბანკს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის გაზრდა 0 პროცენტიდან 2.5 პროცენტამდე მოუწია.

2022 წელს, 2021 წელს დაფიქსირებული მაღალი აქტივობის შემდეგ, თურქეთში ეკონომიკური აქტივობის გაუმჯობესების ტემპი შენედა, სამომხმარებლო განწყობები გაუარესდა და მოხმარება შესუსტდა. შემცირდა ინდუსტრიული წარმოება და, ასევე, საცალო გაყიდვებიც. აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო, წლის განმავლობაში, ლირის რეკორდულად გაუფასურებით, რის ფონზეც ინფლაციური წნეხი კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა, იმავდროულად, სავაჭრო ბალანსი გაუმჯობესდა. სსფ-ის შეფასებით<sup>18</sup>, თურქეთის რეალური ეკონომიკა 2022 წელს 5.6 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება ინფლაციას, ის 2022 წელს საშუალოდ 72.3 პროცენტს შეადგენდა.


---

<sup>16</sup> WEO April, 2023.

<sup>17</sup> WEO April, 2023.

<sup>18</sup> WEO April, 2023.

## დიაგრამა N 1.2 სფი ინფლაცია მსოფლიოში



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო, 2022 წლის განმავლობაში ეკონომიკური აქტივობა რუსეთში მნიშვნელოვნად გაუარესდა. შემცირდა ინვესტიციები, სამომხმარებლო დანახარჯები და საცალო გაყიდვები. სანქციების ფონზე, გაუარესდა ბიზნეს გარემოც. ომის დაწყებიდან მალევე, რუბლის რეკორდულად გაუფასურების ფონზე, მიუხედავად მისი შემდგომი გამყარებისა, საგრძნობლად გაიზარდა წლიური ინფლაციის მაჩვენებელი. პარალელურად, გაზრდილ მოლოდინებზე საპასუხოდ, თებერვალში რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 20 პროცენტამდე გამკაცრების გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც, ეტაპობრივად, შემცირდა და დეკემბერში 7.5 პროცენტი შეადგინა. ასევე, აღსანიშნავია, რომ, მარტის ბოლოდან, კაპიტალის კონტროლების აქტიური გამოყენების შედეგად რუბლის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან დასტაბილურდა. სსფ-ს შეფასებით<sup>19</sup>, 2022 წელს რეალური ეკონომიკა რუსეთში 2.1 პროცენტით შემცირდა, ინფლაციის დონე კი საშუალოდ 13.8 პროცენტი იყო.

რუსეთის მიერ წარმოებული ომის პირობებში, უკრაინაში ყოველდღიურად იზრდება გარდაცვლილთა რაოდენობა, დაახლოებით 8 მილიონზე მეტმა უკრაინელმა კი ქვეყანა უკვე დატოვა. ომის შედეგად განადგურებულია ისეთი კრიტიკული ინფრასტრუქტურული ობიექტები, როგორცაა გზები, ხიდები, პორტები, აეროპორტები და ენერგობიექტები, რაც ეკონომიკის პოტენციალს ამცირებს. სსფ-ს შეფასებით<sup>20</sup>, უკრაინის რეალური ეკონომიკა 2022

<sup>19</sup> WEO April, 2023.

<sup>20</sup> WEO April, 2023.

წელს 30.3 პროცენტით შემცირდა, ხოლო ინფლაციის დონე კი საშუალოდ 20.2 პროცენტი იყო. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ომის პარალელურად, მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი, მათ შორის საქართველოც, მხარს უჭერს უკრაინას.

2022 წელი სომხეთში მაღალი ეკონომიკური აქტივობით აღინიშნა. საქართველოს მსგავსად, აღნიშნული ძირითადად რუსეთის მოქალაქეების მაღალი მიგრაციით იყო განპირობებული. ამ უკანასკნელის ფონზე განსაკუთრებით მომსახურების სექტორი გააქტიურდა, თუმცა დამაბული გეოპოლიტიკური ვითარება და სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანთან უარყოფით გავლენას ახდენდა ეკონომიკაზე. წლის განმავლობაში მაღალი იყო ინფლაციის წლიური მაჩვენებელი (საშუალოდ - 8.7 პროცენტი), რის ფონზეც სომხეთის ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის რამდენჯერმე გაზრდა მოუწია. სსფ-ს შეფასებით<sup>21</sup>, სომხეთის ეკონომიკურმა ზრდამ 2022 წელს 12.6 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2022 წელს მის როგორც სანავთობო, ასევე არასანავთობო სექტორში ზრდის ტემპები გაუმჯობესდა. აღნიშნულს დიდწილად ხელი შეუწყო საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის მაღალმა ფასებმა და, ადგილობრივად, სამრეწველო სექტორის გაჯანსაღებამ, ინვესტიციების ზრდასთან ერთად. ამის ფონზე, სავაჭრო ბალანსიც გაუმჯობესდა. თუმცა, იმავდროულად, წლის განმავლობაში ინფლაციის დონე მაღალი იყო, რის გამოც აზერბაიჯანის ცენტრალურ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის რამდენჯერმე გაზრდა მოუწია. სსფ-ს შეფასებით<sup>22</sup>, 2022 წელს აზერბაიჯანის რეალური მშპ 4.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო წლიური ინფლაცია საშუალოდ 13.8 პროცენტი იყო.


საბოლოო ჯამში, საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკა 2022 წელს საშუალოდ 1.2 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც 2021 წელს, საშუალოდ, 6.1 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. რაც შეეხება საქართველოს, 2022 წელს რეალური მშპ, წინასწარი მონაცემებით, 10.1 პროცენტით გაიზარდა, ასევე მაღალი, 2021 წლის 10.4 პროცენტიანი ზრდის შემდგომ (იხ. დიაგრამა 1.3). ინფლაციამ კი საშუალოდ 11.9 პროცენტი შეადგინა.

---

<sup>21</sup> WEO April, 2023.

<sup>22</sup> WEO April, 2023.

**დიაგრამა N 1.3 რეალური მშპ-ის ზრდა საქართველოში და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საშუალო შეწონილი ზრდა**



*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), საერთაშორისო სავალუტო ფონდი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები*

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა, გაზრდილი ინფლაციური წნეხისა და ინფლაციური მოლოდინების საპასუხოდ, 2022 წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთები რამდენჯერმე გაზარდეს. გამონაკლისია თურქეთი, სადაც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლის მეორე ნახევარში მცირდებოდა, მიუხედავად ინფლაციის მაღალი მაჩვენებლისა. აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ, 2022 წელს, ფედერალური ფონდების განაკვეთი 4.25-4.5 პროცენტთან შუალედამდე გაზარდა. რაც შეეხება ევროპის ცენტრალურ ბანკს, მან საპროცენტო განაკვეთი 2.5 პროცენტამდე გაზარდა.

**1.2 საგარეო სექტორი და საგადასახდელი ბალანსი**

2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ და საომარი მოქმედებების მასშტაბებმა გლობალური ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუარესა. თუმცა მიმდინარე ომს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებზე არაერთგვაროვანი ეფექტი აქვს. კერძოდ, რეგიონის ქვეყნებსა და, მათ შორის, საქართველოში ომის უარყოფითი ზეგავლენა ჯერ სრულად არ ასახულა. მიმდინარე ომის გამო რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან ხანგრძლივადიან ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოში მკვეთრად გაიზარდა, რამაც საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა განაპირობა. ამ




უკანასკნელზე, COVID-19 ვირუსის გავრცელების შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად გლობალურად ტურიზმის აღდგენაც პოზიტიურად მოქმედებდა. მიგრაციის გამო გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობაც. გარდა ამისა, მაღალი იყო საგარეო მოთხოვნაც საექსპორტო საქონელზე. საბოლოოდ, აღნიშნული ტენდენციების ფონზე, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 2022 წელს საგადასახდელი ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 4.1 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსათვის ისტორიულად ყველაზე დაბალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა N 1.4).

2022 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წლის მაჩვენებელზე მშპ-ს 6.3 პპ-ით ნაკლები იყო. აბსოლუტურ გამოხატულებაში, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 926 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 1,011 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. ცხრილი N 1.1). საქონლით ვაჭრობის დეფიციტი 2022 წელს მშპ-თან ფარდობაში 20.9 პროცენტამდე გაიზარდა. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრი ზრდის ფონზე (წლიური ზრდა 182.7 პროცენტი, ასევე 2019 წელთან შედარებით ზრდა 7.7 პროცენტი), მომსახურებით ვაჭრობის პროფიციტი არსებითად გაიზარდა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 2022 წელს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე პირველადი შემოსავლის<sup>23</sup> დეფიციტმა უარყოფითად იმოქმედა, რაც, ძირითადად, საქართველოში არარეზიდენტების აქტივებზე წმინდა საინვესტიციო შემოსავლის მატებით არის გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად, როგორც გაცემული დივიდენდების, ისე რეინვესტირებული შემოსავლების მოცულობა მაღალია, რაც მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს ზრდის.

---

<sup>23</sup> პირველადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტების შემოსავლები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესებთან და ქონებასთან (მაგ. როგორცაა შრომის ანაზღაურება, საინვესტიციო შემოსავალი და ა.შ).


დიაგრამა N 1.4 მიმდინარე ანგარიშის კომპონენტების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქონლით ვაჭრობა მიმდინარე ანგარიშის კვლავ ყველაზე დეფიციტური კომპონენტია. 2022 წელს საქონლით ვაჭრობის დეფიციტის მოცულობა წინა წელთან შედარებით 35 პროცენტით გაიზარდა და მშპ-ს 20.9 პროცენტი შეადგინა. სავაჭრო დეფიციტის გაღრმავება იმპორტის სწრაფმა მატებამ განაპირობა. კერძოდ, 2022 წელს, ძლიერი ეკონომიკური აქტივობის ფონზე, საქონლის იმპორტი 35.8 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, წინა წელთან შედარებით სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებამ მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე უარყოფითად იმოქმედა (იხ. **Error! Not a valid bookmark self-reference.1.5**). რაც შეეხება საქონლის ექსპორტს, 2022 წლის განმავლობაში ის წლიურად 36.0 პროცენტით გაიზარდა. წლის მეორე ნახევრიდან ექსპორტის მატება დაჩქარდა, როგორც რეგიონის, ასევე სხვა ქვეყნებში, რაც ამ უმეტეს ქვეყნებში ეკონომიკის მოსალოდნელზე სწრაფ აღდგენას უკავშირდებოდა. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტი წლიურად მაღალი ტემპით გაიზარდა, ხოლო რუსეთში მცირედით მოიმატა - უმეტესად ფეროშენადნობების გაყიდვების კლების გამო.

დიაგრამა N 1.5 საქონლის ექსპორტისა და იმპორტის წლიური ცვლილება<sup>24</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წელს საქართველოდან საქონლის ექსპორტი უკრაინის გარდა, თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებში ექსპორტის მატება, ძირითადად, სომხეთში (128.2 პროცენტით), ყაზახეთსა (147.6 პროცენტით) და აზერბაიჯანში (26.5 პროცენტით) ექსპორტის ზრდით იყო განპირობებული. ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის მატების კუთხით გამოირჩეოდნენ: ბულგარეთი (66.8 პროცენტით) და პოლონეთი (33.4 პროცენტით), ხოლო ესპანეთში (-42.2 პროცენტით) მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან პერუსა (11.2-ჯერ მეტი) და ჩინეთში (19.7 პროცენტით) გაზრდილმა ექსპორტმა, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ზრდაში მაღალი წვლილი შეიტანა.

2022 წლის მონაცემებით, საგარეო ვაჭრობა ცენტრალური აზიის ქვეყნების მიმართულებით მნიშვნელოვნად გააქტიურდა, რაც უმეტესად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა განაპირობა. დანარჩენი ქვეყნებიდან მთლიან ექსპორტში მაღალი წილებით ჩინეთი (13.2 პროცენტი) და თურქეთი (7.8 პროცენტი) გამოირჩეოდნენ. ჩინეთში ექსპორტის

<sup>24</sup> საგადასახდლო ბალანსის საქონლის ექსპორტი და საქონლის იმპორტი. საგარეო ვაჭრობა და საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობა განსხვავებული ცნებებია, რომლებიც განსხვავებულ კონცეფციებს ეყრდნობა. თუ საგარეო ვაჭრობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაკვეთის პრინციპი, საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობისათვის განმსაზღვრელი პრინციპია რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების უფლების ცვლილება. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში ექსპორტი მოცემულია FOB ფასებში, ხოლო იმპორტი CIF ფასებში მაშინ, როდესაც საგადასახდლო ბალანსის საქონლით ვაჭრობაში როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი, FOB ფასებშია მოცემული.

90 პროცენტი კვლავ ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტმა განაპირობა, ხოლო თურქეთში ელექტროენერჯისა და ტანსაცმლის ჯგუფის ექსპორტმა წამყვანი ადგილები დაიკავა. წინა წელთან შედარებით საქონლის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა.

**დიაგრამა N 1.6 ექსპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2022 წ.**




წყარო: საქსტატი

2022 წელს საქონლის ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების რეექსპორტს ჰქონდა, რომელიც წინა წელთან შედარებით 25.6 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი ექსპორტის 18.3 პროცენტი შეადგინა. ამასთანავე, მაღალი წილი ჰქონდა მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს, რომელიც წლიურად 98.0 პროცენტით გაიზარდა და პანდემიამდელ დონესაც კი, 23.3 პროცენტით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ მსუბუქი ავტომობილების ექსპორტიდან მიღებული თანხების მატებაში გარკვეული წვლილი 2022 წელს მანქანებზე გლობალურად გაზრდილმა ფასებმაც შეიტანა. ადგილობრივი წარმოების საქონლის ჯგუფიდან, წამყვან პოზიციებს მინერალური და ქიმიური სასუქების, ელექტროენერჯის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მინერალური წყლების ექსპორტი ინარჩუნებდა, რომელთა მოცულობები, შესაბამისად, 135.5, 436.5, 75.1 და 43.0 პროცენტით გაიზარდა. გარდა ამისა, ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და დაუმუშავებელი ოქროს გაყიდვები კვლავ მაღალ ნიშნულზე იყო. ამის საპირისპიროდ, თხილი-კაკლისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტმა მცირედით დაიკლო. მთლიანობაში, 2022 წელს, საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი 31.8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ადგილობრივი საქონლის ექსპორტი კი 18.4 პროცენტით არის გაზრდილი აღსანიშნავია ისიც, რომ 2022 წელს საექსპორტო საქონელზე ფასების ზრდა

გაგრძელდა და რეალურ გამოსახულებაში საქონლის ექსპორტი საქართველოდან დაახლოებით 10.5 პროცენტით გაიზარდა. ამასთანავე, საქონლის მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა.

**დიაგრამა N 1.7 უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფების ათეული**




*წყარო: საქსტატი*

იმპორტის რეგიონული ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2022 წელს როგორც ევროკავშირიდან (33.0 პროცენტით), ისე დანარჩენი ქვეყნების კატეგორიიდან (35.0 პროცენტით) იმპორტი გაიზარდა. იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილებით რუსეთი (8.0 კპ), თურქეთი (5.4 კპ) და აშშ (3.7 კპ) გამოირჩეოდნენ. ევროკავშირის ქვეყნებიდან მთლიანი იმპორტის ზრდაში დიდი წვლილი გერმანიიდან (1.9 კპ) და რუმინეთიდან (1.1 კპ) იმპორტის მატებამ შეიტანა. ამის საპირისპიროდ, უკრაინაში მიმდინარე ომის გამო, ამ ქვეყნიდან იმპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა, უმეტესად სიგარეტები-სიგარილებისა და ნახშირბადიანი ფოლადის შესყიდვების კლების გავლენით.

წინა წლების მსგავსად, იმპორტიორ ქვეყნებს შორის, ევროკავშირის შემდეგ, თურქეთი ლიდერობდა, საიდანაც 2022 წელს იმპორტი წლიურად 29.8 პროცენტით გაიზარდა, რაც მსუბუქი ავტომობილების, სიგარეტები-სიგარილებისა და სამკურნალო საშუალებების შესყიდვების ზრდამ განაპირობა. რუსეთიდან იმპორტი 79.4 პროცენტით გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემოტანის მკვეთრი ზრდის გავლენით, ხოლო აშშ-დან იმპორტის მატება კვლავ მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების მატებამ განაპირობა. ჩინეთიდან იმპორტი პოლიაცეტალების, რეზინის საბურავებისა და ნახშირბადიანი ფოლადის ნაგლისის შესყიდვებმა გაზარდა (იხ. დიაგრამა N 1.8).


დიაგრამა N 1.8 იმპორტის სტრუქტურა ქვეყნების მიხედვით 2022 წ.



წყარო: საქსტატი

2022 წელს სამომხმარებლო საქონლის ჯგუფმა საქონლის იმპორტის ზრდაში უდიდესი წვლილი შეიტანა, რაც მძლავრ ერთობლივ მოთხოვნასა და რეექსპორტის გააქტიურებას უკავშირდება. სამომხმარებლო საქონლის იმპორტის მატება უმეტესად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტმა განაპირობა. გარდა ამისა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტი (მთლიანი იმპორტის 9.8 პროცენტი) მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც გარკვეულწილად საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობის გაზრდილი ფასის ასახვაც იყო. კერძოდ, 2022 წლის განმავლობაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე დანახარჯებმა 62.4 პროცენტით მოიმატა, აქედან ფასის ეფექტი 57.8 პპ-ია, ხოლო იმპორტი რეალურ გამოსახულებაში 4.6 პროცენტით გაიზარდა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდა უმეტესწილად ნავთობაირების, ძვირფასი ლითონების, ასევე სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხორბლის ფქვილისა და ნახშირბადიანი წნელების შემოტანის მატებამ განაპირობა. საინვესტიციო საქონლის ჯგუფებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილებით სხვა საფრენი აპარატების, მსხვილი სამშენებლო ტექნიკის, სატელეფონო აპარატების, გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების ჯგუფები გამოირჩეოდა (იხ. დიაგრამა N 1.9).

დიაგრამა N 1.9 უმსხვილესი საიმპორტო ჯგუფების ათეული




*წყარო: საქსტატი*

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქონლის იმპორტის მაღალ ზრდას იმპორტული საქონლის აშშ დოლარში გამოხატული ფასების ზრდამაც შეუწყო ხელი. ნომინალურ გამოსახულებაში, საქონლის იმპორტი 2019 წელთან შედარებითაც გაზრდილია (42.7 პროცენტით), თუმცა რეალური იმპორტი პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებელს ჯერ კიდევ მცირედით ჩამორჩება. გარდა ამისა, 2022 წელს იმპორტი საქონლის მიხედვით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული გახდა, მეტწილად მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის მკვეთრი მატების გამო.

2022 წელს მომსახურებით ვაჭრობის მნიშვნელოვნად გაზრდილმა პროფიციტმა მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე დადებითად იმოქმედა. კერძოდ, მომსახურების ვაჭრობის პროფიციტის ფარდობამ შშპ-თან 10.9 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე მთლიანი შიდა პროდუქტის 7.0 კპ-ით მეტია. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურებით ვაჭრობის დადებითი სალდო 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 1,958 მლნ აშშ დოლარით მეტი იყო და 2,682 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. კოვიდპანდემიის გამო გლობალური შეზღუდვების შემსუბუქებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მომსახურების ექსპორტზე, განსაკუთრებით ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ ბიზნესსაქმიანობებზე, დადებითად იმოქმედა. გარდა ამისა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის გამო, საქართველოში მიგრაციულმა ნაკადებმა მოიმატა, რამაც უცხოელების მიერ ადგილობრივ ბაზარზე მომსახურების, განსაკუთრებით განთავსების საშუალებებსა და კვებაზე დანახარჯები არსებითად გაზარდა. შედეგად, საერთაშორისო მოგზაურებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რომლებიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2022

წელს 3,520 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 182.7 პროცენტით აღემატება (იხ. დიაგრამა N 1.10). ამასთანავე, მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები, პანდემიამდე დონესთან, 2019 წელთან, შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლების მსგავსად, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები საქონლით ვაჭრობის დეფიციტის დაფინანსების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

**დიაგრამა N 1.10 საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლები**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, საერთაშორისო ვიზიტორების შემოსვლების რაოდენობა, გლობალური ტურიზმის აღდგენისა და ომის დაწყებიდან მიგრანტების მზარდი რაოდენობის გავლენით, წლიურად 173.3 პროცენტით გაიზარდა, თუმცა პანდემიამდე დონესთან შედარებით, მაინც ნაკლები იყო (-39.1 პროცენტი). ვიზიტორთა მატება უმეტესწილად რუსეთიდან (410.5 პროცენტით), თურქეთიდან (183.5 პროცენტით), სომხეთიდან (350.9 პროცენტით) და ისრაელიდან (108.7 პროცენტით) შემოსული ვიზიტორების ზრდამ განაპირობა. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორების მატების კუთხით გერმანია და გაერთიანებული



სამეფო გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ასევე გაიზარდა ქართველი რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობაც.


**დიაგრამა N 1.11 საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით**



წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები, მომსახურების სხვა ექსპორტისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 1.12). მთლიანობაში, მომსახურების ექსპორტიდან მიღებულმა ასეთმა მაღალმა შემოსავლებმა 2022 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის არსებითი შემცირება განაპირობა.


**დიაგრამა N 1.12 საქონლისა და მომსახურების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ფარდობა მშპ-თან**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 437 მლნ აშშ დოლარით გაღრმავდა და 1,613 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მაღალი დეფიციტის მთავარ მიზეზად საინვესტიციო შემოსავლის უარყოფითი ბალანსი რჩება, რომელიც 2022 წელს 646 მლნ აშშ დოლარით გაღრმავდა და 2.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტის მაღალი დონე სხვა ინვესტიციების საპროცენტო შემოსავლებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაწილში შემოსავლის ანგარიშის - როგორც გაცემული დივიდენდების, ასევე რეინვესტიციების - ზრდითაა განპირობებული. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე უარყოფითად მოქმედებს, თუმცა, მეორე მხრივ, ფინანსური ანგარიშის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაში აღირიცხება; შედეგად, სხვა თანაბარ პირობებში, ამ ოპერაციას, მიმდინარე პერიოდში, სავალუტო ბაზარზე გავლენა არ აქვს. რაც შეეხება მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსს, 2022 წელს ეს კომპონენტი 208 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 671 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შრომის ანაზღაურების ასეთი ზრდა, გარკვეულწილად, ჩვენი რეგიონის ქვეყნებში მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური აქტივობის და პანდემიის შემდგომი დასაქმების ზრდით არის განპირობებული.

**დიაგრამა N 1.13 პირადი გზავნილების წლიური ცვლილება**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს მეორადი შემოსავალი<sup>25</sup>, ძირითადად, საზღვარგარეთიდან მუშაკთა გზავნილების მატების გავლენით, მნიშვნელოვნად (32.5 პროცენტით) გაიზარდა. პირადი

<sup>25</sup> მეორადი შემოსავალი მიმდინარე ანგარიშის მუხლია, სადაც აღირიცხება რეზიდენტებისა და არარეზიდენტებს შორის მიმდინარე ტრანსფერები (გარდა კაპიტალური ტრანსფერებისა), როგორცაა პირადი

გზავნილები, რომლიც, როგორც წესი, მეორადი შემოსავლის ყველაზე მსხვილი ნაწილია, წლიურად 43.9 პროცენტით გაიზარდა (იხ. დიაგრამა N 1.13). აღსანიშნავია, რომ მთელი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი, წლის მეორე ნახევრიდან, სწრაფი ფულადი გზავნილები განუხრელად იზრდებოდა, რაც, დიდწილად, მიგრაციულ ნაკადებს უკავშირდება. 2022 წლის განმავლობაში ფულადი გზავნილების მატებაში დიდი წვლილი რუსეთიდან, ევროკავშირიდან და ყაზახეთიდან გაზრდილმა გზავნილებმა შეიტანა (იხ. დიაგრამა N 1.14). აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, ფულად გზავნილებში, რუსეთის წილი მცირდებოდა და წამყვანი ადგილი ევროკავშირიდან მიღებულმა თანხებმა დაიკავა, თუმცა 2022 წელს ეს ტენდენცია შეიცვალა. რუსეთიდან ჩარიცხვები წლიურად 5-ჯერ გაიზარდა, რითაც ევროკავშირიდან მიღებულ გზავნილებს 2-ჯერ გადააჭარბა. სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობა თურქეთიდან აპრილის შემდეგ თანდათანობით იკლებდა და წლიურად ფულადი გზავნილების ზრდაში უარყოფითი წვლილი შეიტანა.

**დიაგრამა N 1.14 ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, წინა წლების მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო კვლავ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყო (იხ. დიაგრამა N 1.15). საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2.0 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 61.1 პროცენტით მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უმეტესად სააქციო

ტრანსფერები, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ჩარიცხული დახმარებები და გრანტები, სოციალური დახმარებები და ა.შ.

კაპიტალში ინვესტიციების მატებამ განაპირობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი უძრავი ქონების, ენერჯეტიკისა და მშენებლობის დარგებში განხორციელდა. წინა წელთან შედარებით ინვესტიციები, უმეტესად, უძრავი ქონებისა და ენერჯეტიკის მიმართულებით გაიზარდა, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობისა და ჯანდაცვა-სოციალური მომსახურების მიმართულებით შემცირდა.

**დიაგრამა N 1.15 მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები (პროცენტულად მშპ-თან)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ამის საპირისპიროდ, 2022 წელს რეზიდენტების წმინდა პორტფელის ინვესტიციები გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რისი უდიდესი ნაწილიც საბანკო სექტორზე მოდის. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს რეზიდენტი კერძო სექტორის მფლობელობაში არსებული უცხოური ფასიანი ქაღალდების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც, დიდწილად, გლობალურად საპროცენტო განაკვეთების ზრდამ განაპირობა. გარდა ამისა, რეზიდენტებმა კვლავ გააგრძელეს საერთაშორისო საფინანსო კომპანიების მიერ ლარში გამოშვებული ობლიგაციების შესყიდვა, ხოლო „სხვა სექტორში“ ახალი სესხების აღების საშუალებით წინა წლებში გამოშვებული ობლიგაციები დაიფარა.


მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში 2021 წელთან შედარებით სხვა ინვესტიციების წვლილი შემცირდა. შემოდინებების მხრივ, ვალდებულებების ზრდის ძირითადი ნაწილი როგორც სამთავრობო, ასევე კერძო (არასაბანკო) სექტორში მოზიდულ სესხებზე მოდის. სახელმწიფო სექტორის მიერ მიღებული გრძელვადიანი კრედიტები ჯამურად 850 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, ეკონომიკური გამოცოცხლების

ფონზე, საბანკო სექტორში, ნაღდი ფულისა და დეპოზიტების სახით ჭარბი ლიკვიდობა დაგროვდა.

2022 წელს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 629 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით, მეტწილად სავალუტო ინტერვენციები და მთავრობის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდული სახსრები მოქმედებდა. ასევე არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდამ მინიმალური სავალდებულო რეზერვებით დასაცავი თანხის მოცულობა გაზარდა, რამაც თავის მხრივ სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების მატება გამოიწვია და საერთაშორისო სავალუტო რეზერვები გაზარდა. 2022 წელს სავალუტო ბაზარზე ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა (როგორც სავალუტო აუქციონების, ასევე BMatch პლატფორმის საშუალებით) 565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით საგარეო ვალის მომსახურებასა და მთავრობის სხვა სავალუტო ხარჯებს ჰქონდა გავლენა.

სსფ-ს ARA მეთოდოლოგიით<sup>26</sup> რეზერვების ადეკვატურობის შეფასების მიხედვით, 2022 წლის ბოლოსათვის საქართველოს საერთაშორისო რეზერვების დონე დაახლოებით 107 პროცენტს შეადგენს, რაც, აღნიშნული მეთოდოლოგიით, საგარეო და ლიკვიდობის შოკებისაგან დასაზღვევად საჭირო დონის (100-დან 150 პროცენტამდე) ფარგლებშია. ამასთანავე, 2022 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო რეზერვებით 2023 წლის საპროგნოზო იმპორტის გადაფარვის კოეფიციენტი 4.2 თვე შეადგინა.

### დიაგრამა N 1.16 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით (ARA metric)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>26</sup> დაწვრილებით იხილეთ <https://www.imf.org/external/np/spr/ara/>

ცხრილი N1.1 საგასადახდელო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)<sup>27</sup>


	2017	2018	2019	2020	2021	2022
<b>მიმდინარე ანგარიში</b>	<b>-1,308</b>	<b>-1,192</b>	<b>-1,025</b>	<b>-1,981</b>	<b>-1,937</b>	<b>-1,011</b>
საქონელი	-3,809	-4,116	-3,792	-3,165	-3,790	-5,133
ექსპორტი	3,570	4,407	4,946	4,347	5,539	7,536
იმპორტი	7,379	-8,522	-8,737	-7,512	-9,329	-12,669
მომსახურება	2,024	2,244	2,176	124	725	2,682
კრედიტი	3,990	4,490	4,600	1,580	2,547	5,654
აქედან: მოგზაურობიდან შემოსავლები	2,704	3,222	3,269	542	1,245	3,520
დებეტი	1,966	2,246	2,425	1,456	1,822	2,972
პირველადი შემოსავალი (წმინდა)	-794	-684	-784	-749	-1,176	-1,613
აქედან: საინვესტიციო შემოსავალი	-1,416	-1,381	-1,590	-1,238	-1,639	-2,284
აქედან: შრომის ანაზღაურება	623	697	807	488	463	671
მეორადი შემოსავალი (წმინდა)	1,273	1,364	1,375	1,810	2,304	3,052
აქედან: სახელმწიფო სექტორი	233	173	133	256	200	182
აქედან: დანარჩენი სექტორები	1,040	1,190	1,242	1,553	2,104	2,870
<b>კაპიტალის ანგარიში</b>	<b>83</b>	<b>76</b>	<b>47</b>	<b>41</b>	<b>38</b>	<b>41</b>
<b>ფინანსური ანგარიში</b>	<b>-1,255</b>	<b>-1,253</b>	<b>-1,067</b>	<b>-2,034</b>	<b>-1,920</b>	<b>-956</b>
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	1,711	1,011	1,071	567	920	1,652
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,921	1,305	1,382	552	1,267	2,034
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	76	48	-829	-75	311	1,585
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	0	1	-4	-27	-1	-3
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	-138	569	-634	1,670	1,764	1,651
აქედან: სახელმწიფო სექტორი	432	351	346	1,445	1,333	510
აქედან: კერძო სექტორი	-570	218	-980	225	430	1,141
სარეზერვო აქტივები	-242	-278	-202	-305	-453	-765
<b>წმინდა შეცდომები და გამოტოვებები</b>	<b>-29</b>	<b>-137</b>	<b>-90</b>	<b>-94</b>	<b>-21</b>	<b>15</b>
<b>მნიშვნელოვანი კოეფიციენტები</b>						
სარეზერვო აქტივები მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.6	3.5	3.5	5.1	5.0	4.2
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-81%	-83%	-86%	-66%	-73%	-84%
მიმდინარე ანგარიში / მშპ	-8.0%	-6.8%	-5.9%	-12.5%	-10.4%	-4.1%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	11.8%	7.4%	7.9%	3.5%	6.8%	8.3%
მოგზაურებიდან შემოსავლები/მშპ	16.6%	18.3%	18.7%	3.4%	6.7%	14.3%
პირადი გზავნილები/მშპ	9.5%	9.9%	10.7%	12.4%	13.4%	14.6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>27</sup> საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სახელმძღვანელოს მე-6 რედაქციის შესაბამისად.

მკვეთრად გაზრდილი საგარეო შემოდინებებისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესების ფონზე, როგორც რეალური, ასევე ნომინალური გაცვლითი კურსი საგრძნობლად გამყარდა (იხ. დიაგრამა N 1.17). კერძოდ, 2022 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 18.7 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი 27.1 პროცენტით გამყარდა, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, საგარეო კონკურენტუნარიანობის შემცირებას გულისხმობს. 2022 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარებაში მაღალი წვლილი სავაჭრო პარტნიორებიდან თურქეთის, ევროზონისა და ჩინეთის ვალუტებმა შეიტანა (იხ. ცხრილი N 1.2).

**დიაგრამა N 1.17 ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ. 2015=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ცხრილი N 1.2 ეფექტური გაცვლითი კურსების საშუალოწლიური ცვლილება (2022 წელი)**

	ნომინალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	რეალური გაცვლითი კურსის ცვლილება, პროცენტი	წვლილი რეალურ ეფექტურ გაცვლით კურსში
<b>ეფექტური გაცვლითი კურსი</b>	<b>27.1</b>	<b>18.7</b>	<b>18.7</b>
ევროზონა	24.5	28.5	5.0
თურქეთი	107.8	35.2	6.7
უკრაინა	33.0	23.4	1.6
სომხეთი	-4.6	-1.8	-0.1
აშშ	10.7	14.7	1.1
რუსეთი	3.2	1.5	0.2
აზერბაიჯანი	10.4	8.5	0.9
ჩინეთი	15.6	27.0	3.6
ბულგარეთი	24.5	20.7	0.8
პოლონეთი	27.9	24.9	0.5

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




## ჩანართი 1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახალი პროგრამა და საკრედიტო სარეიტინგო კომპანიების შეფასებები

2022 წელს სსფ-სთან "მზარდამჭერი ინსტრუმენტით" (Stand-By Arrangement) დაფინანსებულ სამწლიან ეკონომიკურ პროგრამაზე შეთანხმება დაიდო. აღნიშნული პროგრამა 210 მლნ ნასესხობის სპეციალური უფლებით (დაახლოებით 289 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი), საქართველოს ქვოტის 100 პროცენტის ოდენობის, თანხის გამოყოფას ითვალისწინებს. დეკემბერში ამ პროგრამის პირველი მიმოხილვა დასრულდა და საქართველოსთვის 30 მლნ SDR (დაახლოებით 40 მლნ აშშ დოლარი) გახდა ხელმისაწვდომი. თუმცა ეს პროგრამა პრევენციული ხასიათისაა და, შესაბამისად, 2022 წელს გამოყოფილი სესხის ათვისება არ მომხდარა. დეკემბერში გამოქვეყნებული პირველი მიმოხილვის შედეგების მიხედვით,<sup>28</sup> „საქართველოს ეკონომიკამ სიძლიერე აჩვენა, ხელისუფლებამ მაღალი საბიუჯეტო შემოსულობები დეფიციტის შემცირებაზე მიმართა, ხოლო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ეკონომიკის პოზიტიური ტენდენციები მართებულად გამოიყენა საერთაშორისო რეზერვების პროგრამით ნავარაუდევ ტემპზე უფრო სწრაფად დასაგროვებლად“.

2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის ფონზე, სასაქონლო ბაზრებზე მაღალი ფასებისა და გლობალური პანდემიის ჯერ კიდევ უარყოფითი შედეგების გამკლავების პირობებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანი რეაგირება და საბანკო სისტემის მედეგობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს საკრედიტო რეიტინგების შენარჩუნებაში აისახა. აგვისტოში საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ "Standard&Poor's"-მა (S&P) საქართველოს სუვერენული რეიტინგი სტაბილური პერსპექტივით "BB" დონეზე დაადასტურა. ივლისში „Fitch Ratings“-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB დონეზე სტაბილური პერსპექტივით შეინარჩუნა. კომპანია Fitch-ის შეფასებით, „საქართველოს ეკონომიკამ მოსალოდნელზე მაღალი ზრდა აჩვენა. ფისკალური დისციპლინა, რაც სახელმწიფო ვალის შემცირებას და დოლარიზაციის პირობებში მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რაც ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას უწყობს ხელს, ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე დადებითად აისახა“ - აღნიშნულია Fitch-ის 2022 წლის ივლისის ანგარიშში<sup>29</sup>. 2023 წლის თებერვალში კი Fitch-მა პერსპექტივა პოზიტიურამდე გააუმჯობესა. ასევე 2022 წელს, ივლისსა და დეკემბერში, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-მა საქართველოს რეიტინგი Ba2-ზე, ხოლო პერსპექტივა - ნეგატიურზე დაადასტურა.

დიაგრამა N 1.18 საქართველოს სუვერენული რეიტინგები



წყარო: საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიები (Fitch, Moody's, S&P)

თავდაპირველად პანდემიისა და, შემდგომ, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რეიტინგის შენარჩუნება გამოწვეულია იმ წარმატებებით, რასაც საქართველოს ეკონომიკამ, გლობალური გაურკვევლობისა და სირთულეების მატების ფონზე, თანმიმდევრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებითა და ეკონომიკური აქტივობების გონივრული ხელშეწყობის გზით მიაღწია. საერთაშორისო რეიტინგების მიერ საქართველოს საინვესტიციო მდგომარეობის ასეთი შეფასება კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ეკონომიკის მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნესგარემოზე.

### 1.3 ეკონომიკური ზრდა

2022 წელს საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით 10.1 პროცენტით გაიზარდა, რაც დიდწილად უცხოეთიდან მიღებული შემოსავლების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა. 2022 წლის დასაწყისისთვის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვები თითქმის სრულად მოიხსნა, რის შედეგად, უცხოელ ვიზიტორთა/ტურისტთა

<sup>28</sup> <https://www.imf.org/en/News/Articles/2022/12/21/pr22443-imf-executive-board-completes-first-review-under-the-stand-by-arrangement-with-georgia>

<sup>29</sup> <https://www.fitchratings.com/research/sovereigns/fitch-affirms-georgia-at-bb-outlook-stable-29-07-2022>

ნაკადებმა სწრაფი ტემპებით აღდგენა დაიწყო. ამავდროულად, უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებულმა ომმა ქვეყანაში მიგრანტთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა, რამაც მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლების და ფულადი გზავნილების მკვეთრი მატება გამოიწვია. საბოლოოდ, 2022 წლის განმავლობაში წინა წელთან შედარებით მოგზაურებიდან მიღებული შემოსავლები თითქმის გასამმაგდა (გაიზარდა 182.5 პროცენტით), ხოლო უცხოეთიდან ფულადი გზავნილები 86.1 პროცენტით გაიზარდა.

უცხოეთიდან ფულადი შემოსავლების მაღალი ზრდა განსაკუთრებით მომსახურების სექტორზე აისახა, რადგან ამ სექტორში უცხოელთა მონაწილეობა შედარებით მაღალია. შედეგად, მომსახურების სექტორის წილმა ეკონომიკურ ზრდაში 6.7 პპ შეადგინა. აქედან მნიშვნელოვანი წვლილი ტრანსპორტის (ზრდა-28.4 პროცენტი, წვლილი ზრდაში-1.6 პპ), ინფორმაციისა და კომუნიკაციის (ზრდა-49.9 პროცენტი, წვლილი ზრდაში-1.5 პპ), განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებს (ზრდა-16.7 პროცენტი, წვლილი ზრდაში-0.5 პპ) ჰქონდა.

ინდუსტრიული დარგებიდან აღსანიშნავია დამამუშავებელი მრეწველობა (ზრდა-7.8 პროცენტი, წვლილი ზრდაში-0.8 პპ), სადაც მაღალია ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა წონა, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება (ზრდა-38.9 პროცენტი, წვლილი ზრდაში-1.1 პპ) და მშენებლობა (ზრდა-14.8 პროცენტი, წვლილი ზრდაში-1.0 პპ). (ცხრილი 1.3).

### ცხრილი N 1.3 მთლიანი შიდა პროდუქტი დარგობრივ კრილში

	2022Q1		2022Q2		2022Q3		2022Q4		2022	
	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში	რეალური ზრდა	წვლილი ზრდაში
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	2.6%	0.1%	10.1%	0.8%	0.6%	0.0%	0.6%	0.0%	2.9%	0.2%
სამთომპოვებითი მრეწველობა	19.8%	0.3%	15.5%	0.2%	31.3%	0.4%	31.3%	0.4%	22.8%	0.3%
დამამუშავებელი მრეწველობა	20.8%	1.8%	4.7%	0.5%	5.5%	0.6%	5.5%	0.5%	7.8%	0.8%
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება	54.4%	1.6%	72.6%	1.7%	34.7%	1.0%	26.7%	0.7%	38.9%	1.1%
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	26.1%	0.2%	6.9%	0.1%	7.1%	0.1%	7.1%	0.1%	9.2%	0.1%
მშენებლობა	13.0%	0.8%	-2.6%	-0.2%	9.1%	0.6%	9.1%	0.6%	14.8%	1.0%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	5.6%	0.7%	-3.9%	-0.6%	8.8%	1.1%	8.8%	1.2%	6.1%	0.8%
ტრანსპორტი და დასაწყობება	31.0%	1.6%	26.4%	1.5%	29.0%	1.6%	29.0%	1.6%	28.4%	1.6%


განთავების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	63.7%	1.2%	9.0%	0.3%	11.7%	0.4%	11.7%	0.3%	16.7%	0.5%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	22.3%	0.7%	35.4%	1.1%	74.9%	2.2%	74.9%	2.3%	49.9%	1.5%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	3.4%	0.2%	6.9%	0.3%	6.8%	0.3%	6.8%	0.3%	5.1%	0.2%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	6.6%	0.7%	-9.1%	-0.8%	-6.3%	-0.5%	-6.3%	-0.6%	-4.8%	-0.4%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	11.9%	0.2%	-7.7%	-0.1%	-5.7%	-0.1%	-5.7%	-0.1%	-2.4%	0.0%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	36.1%	0.3%	26.8%	0.2%	6.9%	0.1%	6.9%	0.1%	17.9%	0.1%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1.0%	0.1%	4.7%	0.3%	5.1%	0.3%	5.1%	0.3%	3.3%	0.2%
განათლება	5.2%	0.3%	7.8%	0.3%	2.5%	0.1%	2.5%	0.1%	4.1%	0.2%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	19.5%	0.9%	-13.9%	-0.6%	-14.3%	-0.6%	-14.3%	-0.6%	-5.7%	-0.2%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	46.9%	1.3%	7.7%	0.3%	12.0%	0.4%	12.0%	0.4%	17.3%	0.6%
სხვა სახის მომსახურება	53.8%	0.3%	31.4%	0.2%	34.8%	0.3%	34.8%	0.2%	33.0%	0.2%
შინამეურნეობების, როგორც დამკირავებლის, საქმიანობები; არადიფერენცირებული საქონლის და მომსახურების წარმოება შინამეურნეობების მიერ საკუთარი მოხმარებისათვის	-6.0%	0.0%	11.0%	0.0%	127.8%	0.1%	127.8%	0.1%	39.4%	0.0%
(+) გადასახადები პროდუქციაზე	13.0%	1.6%	14.6%	1.8%	10.8%	1.4%	10.8%	1.4%	10.6%	1.4%
(-) სუბსიდიები პროდუქციაზე	-2.2%	0.0%	1.8%	0.0%	-0.7%	0.0%	-0.7%	0.0%	-0.8%	0.0%
<b>შპს</b>		<b>15.0%</b>		<b>7.2%</b>		<b>9.8%</b>		<b>9.5%</b>		<b>10.1%</b>
მათ შორის:										
სოფლის მეურნეობა		0.1%		0.8%		0.0%		0.0%		0.2%
ინდუსტრიული დარგები		4.8%		2.3%		2.6%		2.4%		3.2%
მომსახურება		10.1%		4.1%		7.1%		7.1%		6.7%

## მოთხოვნა

2022 წელს საქართველოში საერთაშორისო მოგზაურებიდან შემოსავლები, პრე-პანდემიურ დონესთან შედარებით, აღდგა. უკრაინაში მიმდინარე ომის გამო ქვეყანაში ხანგრძლივადიან ვიზიტორთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და უცხოეთიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმაც საგრძნობლად მოიმატა. ამ ფაქტორების ფონზე, წლის განმავლობაში მომსახურების ექსპორტი წინა წელთან შედარებით 85.7 პროცენტით გაიზარდა, ჯამურად საქონლისა და მომსახურების ექსპორტი კი 38.2 პროცენტით, რამაც საქონლისა და მომსახურების იმპორტის ზრდა (14.4 პროცენტი) მნიშვნელოვნად გადაწონა.

საბოლოოდ, წმინდა ექსპორტმა ეკონომიკის ზრდაში 7.9 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ამავე პერიოდში ინვესტიციებმა რეალური მშპ დამატებით 4.4 პპ-ით გაზარდა. ინვესტიციების მზარდი ტენდენციის საპირისპიროდ, ბოლო პერიოდში მოხმარების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითია, რაც შენელებული დაკრედიტებისა და ფისკალური კონსოლიდაციის ასახვაა. 2022 წელს მოხმარების წვლილმა მშპ-ს ზრდაში, უარყოფითი 2.2 პპ შეადგინა (დიაგრამა 1.19).


**დიაგრამა N 1.19 მშპ-ს ზრდა დანახარჯების მიხედვით**



წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასება

2021 წელს მოხმარების მაღალი ზრდისა და ინვესტიციების გარკვეული ვარდნის შემდეგ, 2022 წელს ინვესტიციების ფარდობა მშპ-სთან წინა წელთან შედარებით გაიზარდა და 21 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლებში ამ მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია ჰქონდა და ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახებოდა. ბოლო პერიოდის მანძილზე კი, ეს მაჩვენებელი დასტაბილურდა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის მეტ-ნაკლებად ადეკვატურ დონედ შესაძლებელია მივიჩნიოთ (იხ. დიაგრამა N 1.20), აქვე აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის მაღალი დონე ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებასა და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალის ზრდას.

## დიაგრამა N 1.20 ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან



წყარო: საქსტატი

### 1.4 ინფლაცია


2022 წელს როგორც გლობალურად, ისევე საქართველოში, ინფლაციის შემცირება იყო მოსალოდნელი, ვინაიდან პანდემიით გამოწვეული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი და მიწოდების ჯაჭვების მოშლისა და ლოჯისტიკური შეფერხებების ფონზე გამვირებული ტრანსპორტირება ეტაპობრივად უნდა დარეგულირებულიყო, რაც თავის მხრივ ინფლაციურ წნეხს შეარბილებდა. თუმცა 2022 წლის 24 თებერვალს, როდესაც COVID-19-ით გამოწვეული, ზემოთხსენებული, პრობლემები ჯერ კიდევ ბოლომდე დამღეული არ იყო, რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო. ომის დაწყებამდე უკრაინა და რუსეთი სხვადასხვა პროდუქტის მსხვილი ექსპორტიორი და მსოფლიო სატრანსპორტო სისტემის მონაწილენი იყვნენ. ომმა და, შედეგად, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა, მიწოდების ჯაჭვების კრიზისი და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი კიდევ უფრო გააღრმავა. ომის პირველ თვეებში საერთაშორისო ბაზრებზე საკვები პროდუქტების ფასები რეკორდულად გაიზარდა<sup>30</sup>, ხოლო ნავთობის ფასებმა მრავალი წლის მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. შედეგად, ფასების გლობალურად ზრდის ახალი, მძლავრი ბიძგი წარმოიქმნა. მსოფლიო ბაზრებზე მომატებული ფასები საქართველოსაც მალევე გადმოეცა და ადგილობრივი ფასები ისეთ ფართო მოხმარების პროდუქტებზე, როგორცაა საწვავი და სურსათი (მაგ: პური, ზეთი) მნიშვნელოვნად გაიზარდა. წლის დასაწყისში ინფლაციური მოლოდინებისა და ფასების ზრდას, ომის საწყის ეტაპზე, გაუარესებული მოლოდინებით

<sup>30</sup> გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სურსათის ფასების ინდექსი <https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

გამოწვეულმა ლარის გაუფასურებამაც შეუწყო ხელი. შედეგად, ომამდე ინფლაციის შემცირების მოსალოდნელი ტემპი შენედა და გასული წლის განმავლობაში ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, ინფლაციას წლის განმავლობაში შემცირების ტენდენცია ჰქონდა და დეკემბერში წლიური ინფლაციის დონე 9.8 პროცენტამდე შემცირდა (იხ. დიაგრამა N 1.19). წლის მეორე ნახევრიდან მსოფლიო ბაზრებზე საქონლის ფასების სტაბილიზაციისა და ტრანსპორტირების ღირებულების შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა. ამასთან ერთად, ძლიერი საგარეო მოთხოვნისა და მიმდინარე ანგარიშის გაუმჯობესებული ბალანსის შედეგად გამყარებული გაცვლითი კურსიც იმპორტირებულ ინფლაციას ამცირებდა. ინფლაციის კლებად ტენდენციას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნებამ და დამატებით მაკროპრუდენციული ინსტრუმენტების ამოქმედებამაც შეუწყო ხელი.

საქართველოში 2022 წელს წლიურმა ინფლაციამ საშუალოდ 11.9 პროცენტი შეადგინა. საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასების ცვლილებებს გამორიცხავს, მთლიან ინფლაციასთან შედარებით დაბალი, საშუალოდ 6.5 პროცენტი, იყო.(იხ. დიაგრამა N 1.21).

**დიაგრამა N 1.21 მთლიანი და საბაზო (სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაციები**



წყარო: საქსტატი


როგორც აღვნიშნეთ, ომის საწყის თვეებში სურსათის ფასები გლობალურად რეკორდულად გაიზარდა. განსაკუთრებით გაიზარდა იმ პროდუქტების ფასები, რომელთა

მსხვილი ექსპორტიორი, ომამდე, უკრაინა და რუსეთი იყო (მარცვლელი, მზესუმზირის ზეთი და ა.შ). ეს ტენდენციები საქართველოს ბაზარსაც გადმოეცა და ამ პროდუქტების ფასები მკვეთრად გაიზარდა. მომდევნო თვეებში სურსათის ფასები დასტაბილურდა და შემცირდა კიდევ, თუმცა სურსათის წვლილი ინფლაციაში წლის განმავლობაში სტაბილურად მაღალი დარჩა. საშუალოდ 11.9 პროცენტის ინფლაციიდან 5.2 პპ სურსათზე მოდიოდა.

ნავთობის ფასებსაც დაახლოებით მსგავსი დინამიკა ჰქონდა. რუსეთის უკრაინაში შეჭრისთანავე ის მკვეთრად გაიზარდა, შემდგომ თვეებში კი, თანდათან მცირდებოდა. საქართველოში 2022 წლის მარტში საწვავის ფასების წვლილი წლიურ ინფლაციაში 2.1 პპ-მდე გაიზარდა, მომდევნო თვეებში ეს მონაცემი თანდათან კლებულობდა და დეკემბერში 0.1 პპ-მდე ჩამოვიდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმდინარე ომის გამო რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან საქართველოში ხანგრძლივადიანი ვიზიტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც საცხოვრებელი ფართების დაქირავებაზე მოთხოვნისა და შესაბამისად, ბინის ქირის ფასის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. წლის ბოლოს საცხოვრებელი ბინის გაზრდილმა ქირამ მთლიან ინფლაციაში 0.7 პპ-იანი, ხოლო საბაზო ინფლაციაში კი 1.4 პპ-იანი წვლილი შეიტანა. ამასთან ერთად, მიგრანტების მაღალი მხარჯველობითი უნარით წახალისებული ფასების ზრდა სხვა მრავალ პროდუქტსაც შეეხო, რაზეც სამომხმარებლო კალათაში შემავალი დანარჩენი პროდუქტების ინფლაციაში მაღალი წვლილი მიუთითებს (წლის განმავლობაში საშუალოდ 4.2 პპ; იხ. დიაგრამა N 1.22).

**დიაგრამა N 1.22 ძირითადი კომპონენტების წვლილი ინფლაციაში**




წყარო: საქსტატი და საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები



გასული წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის შემცირება იმპორტირებული და შერეული პროდუქტების ხარჯზე ხდებოდა, რასაც საერთაშორისო ბაზრებზე სასაქონლო პროდუქტების ფასების გარკვეულ სტაბილიზაციასა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებასთან ერთად ლარის კურსის გამყარებაც უწყობდა ხელს. დეკემბერში იმპორტირებული და შერეული ინფლაცია, შესაბამისად, 5.5 და 6.4 პროცენტამდე შემცირდა.

ამის საპირისპიროდ, ადგილობრივად წარმოებული საქონლისა და მომსახურების ინფლაციას 2022 წლის განმავლობაში ზრდის ტენდენცია ჰქონდა. დეკემბერში წლიური ადგილობრივი ინფლაცია 13.8 პროცენტს შეადგენდა (იხ. დიაგრამა N 1.23). ადგილობრივი ინფლაციის მაღალი დონე, ერთი მხრივ, სურსათის (პური, ყველი, ხორცი და სხვა) მაღალ ინფლაციას, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების გაძვირებას უკავშირდებოდა, საიდანაც გამოსარჩევი ბინის ქირის მკვეთრი გაძვირებაა (იხ. დიაგრამა N 1.23).

**დიაგრამა N 1.23 იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია**



წყარო: საქსტატი

ცხრილი N 1.4 ინფლაციის მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით, მათი წონა სამომხმარებლო კალათაში და ზეგავლენა ინფლაციაზე

	2022 წლის წონები	დეკ-2022/დეკ-2021		2022 საშუალოდ/2021 საშუალოდ	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
<b>სულ</b>	100.0%	9.8%	9.8%	11.9%	11.9%
<b>სურსათი და უალკოჰოლო სასმელები</b>	32.2%	16.3%	5.4%	17.9%	5.8%
სურსათი	28.9%	15.9%	4.8%	17.7%	5.2%
პური და პურპროდუქტები	5.6%	22.1%	1.3%	27.4%	1.6%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	9.7%	0.7%	10.5%	0.7%
თევზეული	0.5%	13.4%	0.1%	16.1%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	17.5%	1.2%	18.1%	1.1%
ზეთი და ცხიმი	1.9%	6.8%	0.2%	16.7%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	6.4%	0.1%	13.2%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	27.4%	1.0%	20.9%	0.7%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	14.1%	0.3%	16.9%	0.4%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	11.5%	0.1%	10.0%	0.1%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	20.5%	0.6%	20.6%	0.6%
<b>ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო</b>	6.4%	9.3%	0.6%	7.4%	0.5%
<b>ტანსაცმელი და ფეხსაცმელი</b>	3.8%	-2.5%	-0.1%	-0.5%	0.0%
<b>საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები</b>	9.0%	15.8%	1.4%	17.0%	1.5%
<b>ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა- შეკეთება</b>	5.3%	8.8%	0.5%	10.1%	0.5%
<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	7.8%	-3.6%	-0.3%	1.2%	0.1%
<b>ტრანსპორტი</b>	13.0%	5.5%	0.6%	15.7%	1.8%
<b>კავშირგაბმულობა</b>	3.6%	-0.3%	0.0%	0.6%	0.0%

დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	3.6%	0.1%	4.2%	0.1%
განათლება	4.6%	6.6%	0.3%	4.5%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	14.8%	0.6%	14.4%	0.6%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.3%	11.6%	0.6%	8.9%	0.5%
<i>ხანმოკლე მოხმარების საქონელი</i>	<i>61.5%</i>	<i>10.5%</i>	<i>6.5%</i>	<i>14.9%</i>	<i>9.0%</i>
<i>საშუალო მოხმარების საქონელი</i>	<i>7.2%</i>	<i>3.5%</i>	<i>0.3%</i>	<i>4.8%</i>	<i>0.4%</i>
<i>ხანგრძლივი მოხმარების საქონელი</i>	<i>4.7%</i>	<i>-6.5%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.5%</i>	<i>0.0%</i>
მომსახურება	26.6%	12.2%	3.3%	9.1%	2.5%

*წყარო: საქსტატი*

## 2 ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

### 2.1 ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ეროვნული ბანკის ძირითად ამოცანას ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს<sup>31</sup>. ფასების სტაბილურობა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის ისეთი დონის არსებობას გულისხმობს, რაც გრძელვადიან პერიოდში სტაბილური ეკონომიკური ზრდისთვის ოპტიმალურია.

ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკას ინფლაციის თარგეთირების რეჟიმით ახორციელებს, რომელიც დღეს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკად არის აღიარებული. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, რაც ქვეყნისათვის ინფლაციის ოპტიმალური დონეა, წინასწარ განისაზღვრება. შემდეგ კი მონეტარული პოლიტიკა ისე წარიმართება, რომ საშუალოვადიანი პერიოდისთვის ყოველთვის იყოს ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან დაბრუნების მოლოდინი, მათ შორის, კერძო სექტორის მხრიდან. შესაბამისად, მაშინ როდესაც აღნიშნული რეჟიმი უზრუნველყოფს საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს ყოფნას, ამავე დროს ინფლაციას, ეგზოგენურ შოკებზე<sup>32</sup> საპასუხოდ, მიზნობრივი დონისაგან დროებით გადახრის საშუალებას აძლევს, რათა ჯამურად მაკროეკონომიკური მერყეობის მინიმიზაცია მოხდეს. სწორედ ამიტომ, პროფესიულ წრეებში, ინფლაციის თარგეთირებას ხშირად მოქნილი ინფლაციის თარგეთირებას (flexible inflation targeting) უწოდებენ<sup>33</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ მონეტარული პოლიტიკის მიზანი ვერ იქნება და არც უნდა იყოს ინფლაციაზე მოქმედი მოკლევადიანი და ერთჯერადი ფაქტორების სრულად განეიტრალება, რადგან ასეთი პოლიტიკის შედეგი იქნებოდა ზედმეტად მაღალი მაკროეკონომიკური მერყეობა, რაც საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის მიღწევას ართულებს. მონეტარული პოლიტიკა მოთხოვნაზე ზემოქმედების ინსტრუმენტია. სწორედ ამიტომ, ცენტრალური ბანკები, ძირითადად, მოთხოვნის შოკებზე რეაგირებენ, რადგან მიწოდების შოკებზე (მაგალითად აქციზის გადასახადის, გლობალურ

<sup>31</sup> „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონი, მესამე მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>32</sup> ეგზოგენურ შოკებში გარე, მონეტარული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი, ცვლილებები იგულისხმება.

<sup>33</sup> მაგალითად, როგორც Clinton et al (2017) კვლევაშია აღნიშნული „ინფლაციის პროგნოზზე ორიენტირებული თარგეთირების მოქნილი ჩარჩოს პირობებში, ძლიერმა ეგზოგენურმა შოკებმა ინფლაციის მისი მიზნობრივი დონიდან და გამოშვების მისი პოტენციური დონიდან მნიშვნელოვანი გადახრები გამოიწვია. თუმცა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების თანმიმდევრული ცვლილებების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად უბრუნდებოდა“. ინგლ.: „Under the flexible IFT framework, strong exogenous macroeconomic shocks did lead to significant deviations of inflation from the target, and of economic activity from potential. But monetary policy instruments were systematically adjusted to bring inflation back to target over time.“ - Clinton, Hlédik, Holub, Laxton, & Wang (2017) „Czech Magic: Implementing Inflation-Forecast Targeting at the CNB“, IMF Working Paper, pp. 30

ბაზრებზე ნედლეული პროდუქტების ფასებისა და საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა) რეაგირება ეკონომიკისთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული და ეკონომიკური ზრდის მერყეობას და, გრძელვადიან პერიოდში, დასაქმების შემცირებას გამოიწვევს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ როგორც Bernanke & Blinder (1992) და Bernanke & Gertler (1995) კვლევებიც აჩვენებს, მონეტარული პოლიტიკის ცვლილების გადაცემას ეკონომიკაზე გარკვეული დრო სჭირდება<sup>34</sup>.

ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის პირობებში, ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მისაღწევად ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია (რეფინანსირების განაკვეთი). მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ინფლაციის პროგნოზის შესაბამისად იცვლება. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური გარემოს გაანალიზების, ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების განხილვის, ინფლაციის დინამიკის პროგნოზირების, ინფლაციაზე მოქმედი მაკროეკონომიკური რისკებისა და ინფლაციის მოლოდინების შეფასების შედეგად მიიღება. თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე მაღალია, საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას ამკაცრებს და პირიქით, თუ ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი მიზნობრივ დონეზე დაბალია, ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას არბილებს. ეს მიდგომა ფასების სტაბილურობას და, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე დაბალ გრძელვადიან საპროცენტო განაკვეთებს უზრუნველყოფს. ამასთანავე, მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების და მათი გადაცემის მექანიზმის განვითარებასთან ერთად, მცირდება საზოგადოებრივი დანახარჯიც, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების დახვეწასა და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის ზრდაზე.

ეროვნული ბანკი მონეტარულ პოლიტიკას მის მიერ შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად<sup>35</sup> ახორციელებს, რომლის თანახმადაც, 2018 წლიდან მიზნობრივი ინფლაცია 3 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ განვითარებულ ეკონომიკებთან შედარებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი ინფლაცია, რაც ამ ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით,

---

<sup>34</sup> Bernanke & Blinder (1992) „The Federal Funds Rate and the Channels of Monetary Transmission”, American Economic Review; vol. 82, issue 4, 901-21.

Bernanke & Gertler (1995) „Inside the Black Box: The Credit Channel of Monetary Policy Transmission“, the Journal of Economic Perspectives, Vol. 9, No. 4 (Autumn, 1995), pp. 27-48.

<sup>35</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს 2023-2025 წლების ფულად საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, 1-ლი პუნქტი.

2022 წელს როგორც გლობალურად ისევე საქართველოში ინფლაციის შემცირება იყო მოსალოდნელი. პანდემიით გამოწვეული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი, მიწოდების ჯაჭვების მოშლა და ლოჯისტიკური შეფერხებების ფონზე გაძვირებული ტრანსპორტირება ეტაპობრივად უნდა დარეგულირებულიყო. ამ ფაქტორების მიღების ფონზე კი გლობალურად ინფლაციური წნეხი შერბილდებოდა. თუმცა 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ დაწყებული ომის შედეგად, ჯერ კიდევ პანდემიით გამოწვეული რეცესიიდან გამოსვლის პროცესში მყოფი მსოფლიო ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი შოკის ფონზე, საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი მეტად გაღრმავდა. რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო, ნავთობის მიწოდების მნიშვნელოვანი ვარდნის მოლოდინები გაჩნდა. ამის ფონზე, 2022 წლის დასაწყისში, ნავთობის ფასები მკვეთრად გაიზარდა და პიკს ივნისში მიაღწია. ამავდროულად მარცვლეულის ფასებმაც მკვეთრად მოიმატა, რადგანაც ომამდე, რუსეთი და უკრაინა მარცვლეულის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნები იყვნენ. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების მიხედვით, სურსათის საერთაშორისო ფასებმა პიკს 2022 წლის მარტში მიაღწია. ამ მოვლენების განვითარების შედეგად, გლობალურად ინფლაცია მკვეთრად გაიზარდა. საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, გლობალურად მიმდინარე მოვლენების მიმართ მოწყვლადია და მსოფლიო მასშტაბით გაზრდილი ფასები ადგილობრივ ბაზარზეც აისახა. შესაბამისად, წლის დასაწყისში ინფლაცია მაღალ დონეზე შენარჩუნდა და ინფლაციის შემდგომი შემცირების ტემპი ომამდე მოსალოდნელზე ნაკლები იყო. კერძოდ, 2022 წლის იანვარში ინფლაცია 13.9 პროცენტი იყო, წლის ბოლოს, დეკემბერში კი ორნიშნა მაჩვენებელს ჩამოცდა, თუმცა მაინც მაღალ ნიშნულზე, 9.8 პროცენტზე დაფიქსირდა. ინფლაციის შემცირება დიდწილად იმპორტირებული ინფლაციის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ომის შედეგად საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე წარმოქმნილი თავდაპირველი დისბალანსი წლის განმავლობაში ეტაპობრივად დარეგულირდა. სასაქონლო ბაზრებზე ფასების შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი, ევროკავშირის მიერ შექმნილ ჰუმანიტარულ დერეფნებთან ერთად, შავი ზღვის პორტებში მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმებამ შეიტანა. უკრაინიდან მარცვლეულის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები, შეთანხმების შედეგად, ივლისში მოიხსნა, რამაც მარცვლეულის ფასები ივლისშივე შეამცირა და კლების ტენდენცია შემდეგ თვეებშიც გაგრძელდა. წლის მეორე ნახევრიდან ნავთობის ფასებმაც შემცირება დაიწყო და წლის ბოლოს, 2022 წლის ივნისის

---


<sup>36</sup> Balassa, B. (1964), "The Purchasing Power Parity Doctrine: A Reappraisal", *Journal of Political Economy*, 72, 584-96.

Samuelson, P (1964), "Theoretical Notes on Trade Problems", *Review of Economics and Statistics*, 23, 1-60.

პიკურ მაჩვენებელთან შედარებით, 34.3 პროცენტით შემცირდა. ამავდროულად, წლის განმავლობაში საერთაშორისო გადაზიდვების ღირებულებაც მცირდებოდა. ამ ტენდენციებისა და გამყარებული გაცვლითი კურსის ფონზე, 2022 წლის განმავლობაში იმპორტირებული ინფლაციის კლება მთლიან ინფლაციას ამცირებდა. თავის მხრივ, გაცვლითი კურსის გამყარება საგარეო მოთხოვნის მოსალოდნელზე მეტად ზრდის შედეგი იყო, რაც რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მოქალაქეების დიდი რაოდენობით შემოდინებამ და ტურიზმის ეტაპობრივმა აღდგენამ განაპირობა.

მაღალი ინფლაციური გარემოს პირობებში ეროვნული ბანკი ინფლაციის შემცირებაზე ფოკუსირებული დარჩა და წლის განმავლობაში მონეტარული პოლიტიკა გამკაცრებული იყო, რაც ინფლაციის შემცირებას უწყობდა ხელს. ამავდროულად, ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის შესამცირებლად სხვა დამატებითი მაკროპრუდენციული მექანიზმებიც აამოქმედა, რომელმაც მთლიანი დაკრედიტების ზრდის ტემპი შეანელა და ამ არხით ინფლაციის შემცირების ტენდენციას დაეხმარა. გლობალურად მაღალი ინფლაციური წნეხისა და გაურკვეველობის ფონზე 2022 წლის განმავლობაში ინფლაციური რისკებიც მაღალი იყო, რაც საშუალოვადიანი ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს ქმნიდა. ერთმანეთის მიმყოლი შოკების შედეგად ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს დიდი ხანია აღემატება, ეს კი ე.წ. „მეორე რაუნდის“ ეფექტის და საშუალოვადიანი ინფლაციური მოლოდინების ზრდის რისკებს ამწვავებდა. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 30 მარტის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.5 პროცენტიდან 11.0 პროცენტამდე გაიზარდა და წლის მანძილზე გამკაცრებული პოლიტიკა ამ დონეზე შენარჩუნდა. (იხ. დიაგრამა N 2.1).



**დიაგრამა N 2.1 მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი საკრედიტო არხია. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შემთხვევაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთები მაღალია, რაც დაკრედიტების სტიმულს ამცირებს და ამ გზით ერთობლივ მოთხოვნას ბოჭავს, რაც საბოლოოდ ინფლაციის დონეს ამცირებს. 2022 წლის დასაწყისიდან მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნების მიუხედავად, საკრედიტო აქტივობა კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდით იყო გამოწვეული. ამ უკანასკნელს ხელი შეუწყო ლარის და უცხოური ვალუტის სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედის გაზრდამ, რაც მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობას ამცირებდა.

**დიაგრამა N 2.2 საპროცენტო განაკვეთების სპრედი და საკრედიტო აქტივობა (სესხების წლიური ზრდის ტემპი ვალუტების მიხედვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ეფექტიანობის გასაზრდელად ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი ზომების ამოქმედება. კერძოდ, აშშ დოლარით და ევროთი მოზიდული სახსრების სავალდებულო რეზერვებზე სარგებლის დარიცხვა, მიუხედავად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემისა და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთების ზრდისა, ფიქსირებულად 0 პროცენტზე შენარჩუნდა. შედეგად, უცხოური ვალუტის ფლობა ბანკებისთვის უფრო ხარჯიანი გახდა, რამაც, ერთი მხრივ, უცხოური ვალუტის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების დაბალ დონეზე შენარჩუნება, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოური ვალუტის სესხებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდას შეუწყო ხელი. ამას დამატა ისიც, რომ მაღალი ინფლაციური გარემოს გახანგრძლივების შედეგად ისეთმა წამყვანმა ცენტრალურმა ბანკებმა, როგორებიცაა ფედერალური სარეზერვო სისტემა და ევროპის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის განაკვეთები გაზარდეს, რამაც უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთები დამატებით გაზარდა და უცხოური ვალუტის დაკრედიტებაზე სასესხო პირობების




გამკაცრების დამატებითი ეფექტი იქონია. შედეგად წლის მეორე ნახევრიდან სესხების წლიურმა ზრდამ პიკური დონე გადალახა და, დიდწილად, უცხოური ვალუტის დაკრედიტების შენელების შედეგად, შემცირება დაიწყო. გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის მიუხედავად, სამომხმარებლო სესხები მაღალი ტემპით იზრდებოდა. სამომხმარებლო დაკრედიტების შესანელებლად, 2022 წლის აგვისტოდან სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადიანობა 4-დან 3 წლამდე შემცირდა. აღნიშნული ღონისძიების მიზანს დაკრედიტების დამატებითი შეზღუდვა წარმოადგენდა. შედეგად, წლის მეორე ნახევრიდან, საკრედიტო აქტივობა კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა და წლის ბოლოსთვის მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი 12.1 პროცენტამდე შენედა. რაც 6.1 კპ-ით ნაკლებია 2021 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე. აღნიშნულის მიზანს ერთობლივი მოთხოვნის შენელება წარმოადგენდა, რაც ფისკალურ კონსოლიდაციასთან და გამყარებულ გაცვლით კურსთან ერთად ინფლაციას კლების მიმართულებით უზიბებდა.

ინფლაციის თარგეთირების პირობებში, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკის საოპერაციო მიზანი მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთზე აისახოს და, საბოლოოდ, რეალურ ეკონომიკაზე მოახდინოს გავლენა. მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვა, თავის მხრივ, ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს გამოყენებით ხდება. საქართველოს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის მართვის ჩარჩო, როგორც ლიკვიდობის მიწოდების, ასევე ლიკვიდობის ამოღების ინსტრუმენტებს მოიცავს. ესენია ღია ბაზრის ოპერაციები (რეფინანსირების სესხები და სადეპოზიტო სერთიფიკატები), მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნები და მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები. გარდა ამისა, 2020 წლის აპრილიდან, პანდემიით გამოწვეული შოკის შესამცირებლად და საფინანსო სექტორის მდგრადობის შესანარჩუნებლად ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის მხარდაჭერის დამატებითი ინსტრუმენტი სავალუტო სვოპი ამოქმედა, რომლის გამოყენების პერიოდადაც 1 წელი განისაზღვრა. თუმცა პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების გახანგრძლივების გამო, დამატებით 1 წლით გახანგრძლივდა და საბოლოოდ 2022 წლის აპრილში დასრულდა. ასევე, საფინანსო სექტორის საჭირო ლიკვიდობით უზრუნველსაყოფად, ეროვნული ბანკი იყენებს მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტსაც, რომელიც ბანკებს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, დამატებითი რისკების აღების გარეშე, ლარის ლიკვიდობაზე გაზრდილი მოთხოვნის დააკმაყოფილების საშუალებას აძლევს. 2022 წლის 1 მაისიდან შემცირდა აღნიშნული მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპის ვადიანობა და ერთი თვის ნაცვლად 7 დღიანი გახდა. პანდემიური შოკების ამოწურვის კვალდაკვალ 2022 წლიდან შემცირებადი გრაფიკით განისაზღვრა ლიკვიდობის მხარდაჭერი დროებითი ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, რომელიც 2023 წლის ბოლოსთვის დასრულდება. ეროვნული ბანკი წლის განმავლობაში 3-თვიანი სადეპოზიტო სერთიფიკატების

გამოშვებას აგრძელებდა, რომელთა მიზანსაც შემოსავლიანობის მრუდის მოკლევადიანი ნაწილის ფორმირება წარმოადგენს. შედეგად, ამ ოპერაციებით ეროვნული ბანკი სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთს მინიმალურ დონეზე, 60-80 მლნ ლარის ფარგლებში ინარჩუნებდა.

2022 წელს, ლიკვიდობის სამართავად და ლიკვიდობის მიწოდების სხვა წყაროებიდან წარმოქმნილი მერყეობის დასაბალანსებლად, ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების სესხებს. 2021 წელთან შედარებით რეფინანსირების სესხების მოცულობა გაიზარდა. წლის მანძილზე რეფინანსირების სესხების მოცულობაზე გავლენას რამდენიმე ფაქტორი ახდენდა (იხ. დიაგრამა N 2.3). გაცვლითი კურსის გამყარების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონებისა და წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის (BMatch) გამოყენებით უცხოური ვალუტა შეიძინა, შედეგად ამ ინსტრუმენტით ბაზარს ლარის რესურსი მიეწოდებოდა, რამაც რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა შეამცირა. ასევე, რეფინანსირების სესხებზე ეროვნული ბანკის მიერ მეორად ბაზარზე მთავრობის ფასიანი ქაღალდების შექმნამ შემცირების მიმართულებით იმოქმედა. მეორე მხრივ კი, რეფინანსირების სესხებზე ზრდის მიმართულებით ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდა და, ფისკალური კონსოლიდაციის შედეგად, მთავრობის ოპერაციები მოქმედებდა. ამავდროულად პანდემიის დროს ამოქმედებული ლიკვიდობის დროებითი მიწოდების ინსტრუმენტების გამოყენება ეტაპობრივად შემცირდა, რამაც რეფინანსირების სესხებზე მოთხოვნა გაზარდა. კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, სავალუტო სვოპ ოპერაციების გამოყენება დასრულდა, ასევე წლის მანძილზე მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მხარდამჭერი ინსტრუმენტით გაცემული სესხების მოცულობა შემცირდა.


**დიაგრამა N 2.3 რეფინანსირების სესხების წლიურ ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ზემოაღწერილი ინსტრუმენტების საშუალებით, ეროვნული ბანკი ფინანსურ სექტორს მოკლევადიან ლიკვიდობას საჭიროების შესაბამისად აწვდიდა. შედეგად, როგორც დიაგრამა N 2.4-ზე ჩანს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს ნარჩუნდებოდა, რაც საუკეთესო ინდიკატორია იმის განსასაზღვრად, რომ ეროვნული ბანკი ფინანსურ სისტემას ლიკვიდობის სათანადო მოცულობით უზრუნველყოფდა<sup>37</sup>. კერძოდ, თუ სისტემას საჭიროზე ნაკლები ლიკვიდობა მიეწოდება, მაშინ ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი პოლიტიკის განაკვეთთან შედარებით გაიზრდება და, პირიქით, ჭარბი ლიკვიდობის შემთხვევაში - შემცირდება, ეს კი საპროცენტო განაკვეთების მერყეობას ზრდის და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობას ამცირებს. საბანკო სისტემისთვის ლარის საკმარისი რესურსის ხელმისაწვდომობა და, ამავდროულად, ეფექტიანი მართვა, მნიშვნელოვანია ლარის დაკრედიტების წახალისებისა და დედოლარიზაციის ხელშეწყობისთვის, რაც, თავის მხრივ, ფინანსური სტაბილურობის რისკებს ამცირებს.

დიაგრამა N 2.4 ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



\* 2013 წლამდე TIBR-ის განახლებული ინდექსის გაანგარიშება არის მიახლოებითი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მხარდაჭერი პროგრამის (Stand-By Arrangement (SBA)) პირველი მიმოხილვა დაასრულა, რის შედეგადაც, საქართველოსთვის 30 მლნ SDR (დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი) გახდა ხელმისაწვდომი, რომლის ათვისებაც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. საქართველოს პროგრამა ქვეყნის

<sup>37</sup> IMF Country Report No. 17/97 (April 2017) <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2017/04/13/Georgia-Request-for-Extended-Arrangement-Under-the-Extended-Fund-Facility-and-Cancellation-44834>

მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებაზე, ინფლაციის შემცირებაზე, ფისკალური და საგარეო მარაგების შევსებაზე რჩება მიმართული.


ლარიზაციის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის გრძელვადიანი ამოცანაა. დოლარიზაცია საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება ლარის საპროცენტო განაკვეთების ზრდასთან ერთად, რადგან ლარის და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთებს შორის სპრედის ზრდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდაში აისახება. მაღალი დოლარიზაცია კი, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის შეზღუდვასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობის რისკებს შეიცავს. ლარიზაციის წახალისება ქვეყანაში მაკრო-ფინანსური რისკების შემცირებისა და საგარეო მოწყვლადობების მიმართ მდგრადობის გაზრდის წინაპირობაა. შესაბამისად, ლარიზაციის ზრდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ პრიორიტეტია და მისი წამახალისებელი რეფორმები ეტაპობრივად ხორციელდება.

ლარიზაციის ღონისძიებები 2022 წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა. ამ მიმართულებით საგულისხმოა რამდენიმე მათგანის გამოყოფა. ერთ-ერთია აშშ დოლარით და ევროთი მოზიდული სახსრების სარეზერვო მოთხოვნებზე 0 პროცენტოანი დარიცხვა, რომლის მიზანსაც უცხოური ვალუტის დაკრედიტების შემცირება წარმოადგენდა. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს უცხოური ვალუტის იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდა. ვადიანობის შემცირება სესხების ამორტიზაციას დააჩქარებს, რაც საკრედიტო რისკებს შეამცირებს და ლარიზაციას ხელს შეუწყობს. ეს კიდევ უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ინფლაციასთან საბრძოლველად ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის მნიშვნელოვანი ზრდა მოუწია. ამავდროულად, როგორც ცნობილია, იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი ცვლადგანაკვეთიანია, რასაც თან ახლავდა საპროცენტო განაკვეთის რისკი, რომელიც, მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის წინაპირობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით საგულისხმო იყო. ამ რისკის საპასუხოდ საჭირო ბუფერების არსებობისთვის, 2022 წლის 1 მაისიდან კომერციული ბანკები ცვლადგანაკვეთიანი კრედიტის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების დროს 3 პპ-იან საპროცენტო განაკვეთის შოკს ითვალისწინებენ. აღნიშნული ბუფერის მნიშვნელობა გაზრდილია ასევე იმ ფონზე, რომ 2022 წლის განმავლობაში განვითარებულ ქვეყნებში, მაღალი ინფლაციის საპასუხოდ, საპროცენტო განაკვეთების ზრდა დაჩქარდა.

უფრო დეტალურად რომ შეფასდეს ლარიზაციის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, საინტერესოა სესხების და დეპოზიტების დოლარიზაციის ცალცალკე განხილვა. 2022 წლის განმავლობაში, როდესაც შესამჩნევად მაღალი იყო სპრედი ლარის და უცხოური ვალუტის სესხებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის, სესხების დოლარიზაცია

თავდაპირველად გაიზარდა, თუმცა ზემოთ განხილული მაკროპრუდენციული ზომების შედეგად წლის მეორე ნახევრიდან კვლავ დაუბრუნდა შემცირების ტენდენციას და 2022 წლის დეკემბერში 44.7 პროცენტი შეადგინა, რაც 2.5 პპ-ით ნაკლებია 2021 წლის დეკემბრის მაჩვენებელზე. რაც შეეხება დეპოზიტების დოლარიზაციას, რუსეთ-უკრაინის ომის გამო მნიშვნელოვნად გაზრდილი მიგრაციული ნაკადების შედეგად არარეზიდენტების დეპოზიტები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტით არის დენომინირებული. ამ ტენდენციამ დეპოზიტების დოლარიზაციის კლების ტრენდი შეანალა. წლის განმავლობაში მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციამ, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 0.7 პპ-ით იკლო და 56.2 პროცენტს გაუტოლდა. თუმცა თუ შევხედავთ რეზიდენტების დეპოზიტების დოლარიზაციას, ეს უკანასკნელი წლის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვნად მცირდება, რაც ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების რეალიზების ასახვაა.

**დიაგრამა N 2.5 საბანკო სექტორის დოლარიზაციის მაჩვენებლები (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## 2.2 ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების (გამკაცრება, შერბილება, უცვლელად დატოვება) განხორციელება მონეტარული ოპერაციებით ხდება. მონეტარული ოპერაციების მიზანი ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის პოლიტიკის განაკვეთთან ახლოს შენარჩუნებაა. ამ მიზნის მისაღწევად, ეროვნული ბანკი შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებს: რეფინანსირების სესხები, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ღია ბაზრის ოპერაციები,

მთავრობის ფასიანი ქაღალდები, ერთდღიანი სესხები და დეპოზიტები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და სხვა.

ბანკთაშორისი სადეპოზიტო/საკრედიტო ბაზარი წარმოადგენს ფულად ბაზარს, სადაც ბანკები მოკლევადიანი ლიკვიდობით ვაჭრობენ. ეს ბაზარი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, რადგანაც ის მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთებზე ზეგავლენას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთით და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ახდენს.

ფულადი ბაზრის TIBR ინდექსი ერთდღიანი საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს. იგი ბანკთაშორის ფულად ბაზარზე განხორციელებულ ფაქტიურ გარიგებებს ეფუძნება, რაც, იმავდროულად, ინდექსის მიმართ სანდოობას ზრდის. ასევე, ინდექსის საიმედოობას განაპირობებს ეროვნული ბანკის ჩართულობა ინფორმაციის შეგროვების და ინდექსის გაანგარიშების პროცესში. ბაზარზე საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ინსტრუმენტების „ბენჩმარკად“ (განსაკუთრებით ლარის ცვლადგანაკვეთიან ინსტრუმენტებში) გამოყენებისათვის 2019 წლის 14 მარტიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა TIBR ინდექსზე დაფუძნებული ფულადი ბაზრის TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გამოქვეყნება დაიწყო, რომელიც საპროცენტო რისკების მართვის უფრო ეფექტური საშუალებაა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთები (კუპონები, პროცენტები) სხვადასხვა ვადიანობისაა (თვე, კვარტალი, 6 თვე, წელი). განაკვეთების ცვალებადობით წარმოშობილი ფინანსური რისკების მართვისათვის კი შესაბამისი ვადიანობის დაზღვევის მექანიზმებია საჭირო და ფასწარმოქმნისათვის შესაბამისი ვადიანობის ინდექსებს საჭიროებს. ასეთი ინდექსები, თავის მხრივ, გამჭვირვალე მეთოდოლოგიას ეყრდნობა და ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ ინდექსებს, როგორც დამოუკიდებელ წყაროს, ენდობიან.

თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის (TIBR) ინდექსის და TIBR ვადიანი ინდექსების (Term Rates) გაანგარიშების მეთოდოლოგია ინდექსების გაანგარიშებისა და გამოქვეყნების წესებს მოიცავს, რომელიც ფულადი ბაზრების მონაწილეებთან მჭიდრო თანამშრომლობით და EBRD-ის დახმარებით შემუშავდა. აღნიშნული მეთოდოლოგია მონაცემების კონტროლისა და მეთოდოლოგიის გადახედვის პროცედურასაც ითვალისწინებს. TIBR ინდექსები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე ყოველდღიურად, დილის 9 საათზე ქვეყნდება.

2022 წელს ბანკთაშორის ბაზარზე ეროვნული ვალუტით შესრულებული გარიგებების მოცულობა წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 123.0 პროცენტი იყო და 38.3 მლრდ ლარი შეადგინა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებების ფონზე, 2022 წელს იცვლებოდა ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთებიც,

რომლებიც მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთთან ახლოს მოძრაობდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებების ფარგლებში და საბანკო სისტემაში ლიკვიდობის მოკლევადიანი პროგნოზის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკი რეფინანსირების სესხების ყოველკვირეულ და ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტების მოცულობებს განსაზღვრავდა. ეროვნული ბანკი ამ პროცესებს ისე მართავდა, რომ აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის სიახლოვეს შენარჩუნებულიყო.

### 2.2.1 რეფინანსირების სესხი

საბანკო სისტემის მოკლევადიანი ლიკვიდობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი 2022 წლის განმავლობაში ყოველკვირეულად რეფინანსირების სესხის ინსტრუმენტს იყენებდა. აღნიშნული ინსტრუმენტის მიზანი საბანკო სისტემისთვის ადეკვატური ლიკვიდობის მიწოდებაა. რეფინანსირების სესხების საშუალებით საბანკო სექტორისათვის ხელმისაწვდომია მოკლევადიან ლიკვიდობაზე საიმედო და დაბალრისკიანი წვდომა, რაც ფულად ბაზარსა და ფინანსურ სტაბილურობაზე დადებითად მოქმედებს. კერძოდ, ფულად ბაზარზე ლარის ლიკვიდობის რისკები და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობა მცირდება, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში TIBR საპროცენტო განაკვეთების დინამიკიდან თვალნათლივ ჩანს. ვინაიდან ეროვნული ბანკი ლარის ბაზარზე მოკლევადიანი ლიკვიდობის ერთადერთი მიმწოდებელია, მას რეფინანსირების ინსტრუმენტით ბანკთაშორის ბაზარზე შესაბამისი საპროცენტო განაკვეთის მიღწევის საშუალება აქვს. აუქციონის მეშვეობით გაცემული რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს ეფუძნება.

2022 წელს მონეტარული ოპერაციების გირაოს ბაზაში შედიოდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები, იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები და კომერციული ბანკების სასესხო აქტივები. სესხის უზრუნველყოფის თითოეული სახეობის აქტივებზე ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კრიტერიუმები (მაგ. მინიმალური მოცულობა, ნარჩენი ვადიანობა, ვალუტა და სხვა) იყო განსაზღვრული. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკთან მონეტარული ოპერაციების წარმოებისათვის კომერციული ბანკები გირაოს ყველა ჩამოთვლილ სახეობას იყენებდნენ.

## 2.2.2 ღია ბაზრის ერთთვისანი ინსტრუმენტი

სხვა მონეტარული ინსტრუმენტების მსგავსად, ერთთვისანი ინსტრუმენტის მიზანრიც ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მართვაა, რაც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაა და შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის რეკომენდაციებთან. ლიკვიდობის პროგნოზირების ჯგუფი საბანკო სისტემაში მოკლევადიანი ლიკვიდობის დეფიციტს ყოველკვირეულად და ყოველთვიურად აფასებს, რომლის საფუძველზეც ღია ბაზრის ერთთვისანი ინსტრუმენტის კონკრეტულ მოცულობაზე აუქციონი ცხადდება. აუქციონზე ამ ინსტრუმენტის მინიმალური საპროცენტო განაკვეთი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უტოლდება. გირაოდ კი იგივე ტიპის აქტივები გამოიყენება, რაც რეფინანსირების სესხების შემთხვევაში.

## 2.2.3 ერთდღიანი სესხები და ერთდღიანი დეპოზიტები

ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებისა და ფულადი ბაზრის აქტივობის გაზრდის მიზნით, 2022 წელს ბანკთაშორის ბაზარზე, მსოფლიოში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენებას აგრძელებდა, რაც ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის სტაბილურ ჩარჩოებში მოქცევას უწყობდა ხელს. საპროცენტო განაკვეთის დერეფანი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთიდან გადახრები საპროცენტო განაკვეთების ზედა და ქვედა ზღვრის ფორმირებისათვის. ზედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხებისათვის, ხოლო ქვედა საპროცენტო განაკვეთი საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი დეპოზიტისთვის გამოიყენებოდა. 2022 წელს მონეტარული პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთის დერეფანი 2.5 პპ-ს შეადგენდა – ერთდღიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს 0.75 პროცენტული პუნქტი, ხოლო 2022 წლის მარტიდან ერთდღიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს მინუს 1.75 პპ, რათა შენარჩუნებულიყო ბანკთაშორისი დეპოზიტების უპირატესობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიან დეპოზიტებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთის დერეფნის გამოყენება ამცირებს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ჭარბ მერყეობას და, თავის მხრივ, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის დაახლოებას მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხები საბანკო სექტორისათვის ლიკვიდობის ყველაზე სწრაფ, თუმცა, საბაზრო საპროცენტო განაკვეთთან შედარებით



უფრო მაღალი ფასით მიღების საშუალებას წარმოადგენდა. ერთდღიანი სესხებისათვის მოქმედებდა გირაოს იგივე ბაზა, რაც რეფინანსირების სესხებისათვის.

ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საკორესპონდენტო ანგარიშზე ეროვნული ვალუტით არსებული ჭარბი ლიკვიდობა დღის ბოლოს განათავსონ საქართველოს ეროვნულ ბანკში ერთდღიან დეპოზიტზე, რომელიც საკორესპონდენტო ანგარიშზე შემდგომი სამუშაო დღის დასაწყისშივე უბრუნდებათ. აღნიშნულ ინსტრუმენტს მნიშვნელოვანი როლი აქვს ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სტაბილიზაციისათვის.

#### 2.2.4 ლიკვიდობის მიწოდების დამატებითი ინსტრუმენტები

პანდემიის პირობებში, 2020 წელს საფინანსო სექტორში ლიკვიდობის შესაძლო რისკების მინიმიზირების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დროებითი ინსტრუმენტები აამოქმედა: სავალუტო სვოპი, მუდმივმოქმედი სავალუტო სვოპი და მცირე და საშუალო ბიზნესის ლიკვიდობის მიწოდების ინსტრუმენტი.

##### **სვოპ ოპერაციები**

2022 წლის პირველ კვარტალში საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის ერთ-ერთ ინსტრუმენტად ეროვნული ბანკი სავალუტო სვოპ ოპერაციებს იყენებდა. მისი საჭიროება განპირობებული იქნა, პანდემიის შედეგად, ქვეყნისა და მსოფლიოს ეკონომიკურ გარემოში წარმოქმნილი პრობლემებითა და გაურკვევლობებით, რომლებსაც, თავის მხრივ, საფინანსო სექტორში ლიკვიდობის რისკების ზრდა შეეძლო. აღნიშნული ინსტრუმენტი, კომერციული ბანკების გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვისაც ხელმისაწვდომი იყო. სვოპ ოპერაციებით ეროვნული ბანკი უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტით ერთი თვის ვადით, სპოტ კურსით, მისი უკან ფორვარდული კურსით გაყიდვის პირობით ყიდულობდა. პანდემიის დასრულებისა და ლიკვიდობის რისკების შემცირების გამო, 2022 წლის აპრილიდან აღნიშნული ინსტრუმენტი უკვე აღარ იყო აქტუალური და აპრილიდან მისი გამოყენება შეწყდა. 2022 წლის განმავლობაში იგი სულ სამჯერ ჩატარდა. მასში, სხვადასხვა სიხშირით, მონაწილეობა ხუთმა კომერციულმა ბანკმა მიიღო. სავალუტო სვოპ ოპერაციის თანხა თვეების მიხედვით განსხვავდებოდა და 72-75 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, რაც გამოყოფილი რესურსის 18-18.7 პროცენტს შეადგენდა.

##### **მუდმივმოქმედი სვოპის ინსტრუმენტი**

2020 წლის მაისიდან საბანკო სექტორისათვის დამატებითი ლიკვიდობის მხარდაჭერის მეორე ინსტრუმენტად ეროვნულმა ბანკმა ბაზარს შესთავაზა და აამოქმედა

მუდმივმოქმედი სვოპი, რომელიც ლიკვიდობის რისკის დაზღვევის ფუნქციას ასრულებდა და რომლითაც კომერციულ ბანკებს საშუალება ჰქონდათ ნებისმიერ დღეს ლარის დამატებითი ლიკვიდობა საჯარიმო საპროცენტო განაკვეთით მიეღოთ. შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო, აღნიშნული ინსტრუმენტი მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში გამოიყენებოდა. 2022 წელს კომერციულმა ბანკებმა აღნიშნული ინსტრუმენტი მხოლოდ ერთხელ გამოიყენეს და მან თანხობრივად 5 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წლის 1 მაისიდან მუდმივმოქმედი სვოპის ვადა შემცირდა და 7 დღიანი გახდა.

### **ლიკვიდობის ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად**

2020 წლის ივნისიდან, ეკონომიკაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შემცირების მიზნითა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად, ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის დამატებითი მესამე ინსტრუმენტი აამოქმედა. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად შექმნილი ლიკვიდობის ინსტრუმენტის ვადიანობა ერთთვიანი იყო, ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით. 2022 წელს აღნიშნული ინსტრუმენტი ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოიყენა. ლიკვიდობის საჭიროებიდან გამომდინარე, ინსტრუმენტის მოცულობა თვეების განმავლობაში იცვლებოდა, მაქსიმალურმა მაჩვენებელმა წლის დასაწყისში 589.7 მლნ ლარი, ხოლო მისმა მინიმალურმა მაჩვენებელმა წლის ბოლოს 371.9 მლნ ლარი შეადგინა. 2022 წელს ამ მექანიზმით ლიკვიდობის მიწოდება ეტაპობრივად მცირდებოდა. ლიკვიდობის მართვის აღნიშნული მექანიზმი 2023 წლის ბოლომდე (შემცირებადი გრაფიკით), ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით იმოქმედებს.

#### **2.2.5 ფასიანი ქაღალდები**


2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი 3 თვის ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, ხოლო საქართველოს მთავრობა 6 თვის, 1, 2, 5 და 10 წლის ვადიანობის სახაზინო ფასიან ქაღალდებს უშვებდა. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები კომერციული ბანკების მხრიდან მაღალი მოთხოვნით სარგებლობდა და მათ ხელი შეუწყეს შემოსავლიანობის სტაბილური მრუდის ჩამოყალიბებას. ეს მრუდი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა ვადიანობის საპროცენტო განაკვეთებისა და ფინანსური ბაზრის მონაწილეთა მოლოდინების შესახებ.

### **სადეპოზიტო სერტიფიკატები**

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი უშვებდა 3-თვიანი ვადიანობის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომლებიც საბანკო სექტორმა გამოიყენა როგორც ლიკვიდობის მართვის მიზნით და ეფექტიანი მოკლევადიანი ინსტრუმენტი.

2022 წლის განმავლობაში გამოცხადებული 13 აუქციონიდან კომერციულმა ბანკებმა ყველა აუქციონზე სრული ოდენობით შეიძინეს გამოტანილი სადეპოზიტო სერტიფიკატები. მთლიანობაში 260 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები განთავსდა და ამავე ღირებულების - დაიფარა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებულ 60 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატებს 5 კომერციული ბანკი ფლობდა.

**დიაგრამა N 2.6 სადეპოზიტო სერტიფიკატების პორტფელის მოცულობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სახელმწიფო ობლიგაციები**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკი 152 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ობლიგაციებს ფლობდა, რომლებიც წლის განმავლობაში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის არ გამოყენებულა.

**სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები**


ლარის ფულადი ბაზრის განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების მოცულობის ზრდა. 2022 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 6 თვიანი და 1 წლიანი ვადიანობების დისკონტური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ვალდებულებებისა - და 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი კუპონური ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების - ემისიას ახდენდა. ფასიანი ქაღალდების ემისია

ეროვნული ვალუტით, დემატერიალიზებული ფორმით ხდებოდა. ერთი ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება 1,000 ლარია. სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გაყიდვა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებული აუქციონის მეშვეობით, მრავალი ფასის მეთოდით, „ბლუმბერგის“ სისტემის აუქციონის პლატფორმის გამოყენებით ხორციელდება. აუქციონში მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს, ხოლო მათი მეშვეობით კი, ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შეუძლია.

2022 წელს სახაზინო ფასიანი ქაღალდების 54 აუქციონი ჩატარდა, რომელთა მეშვეობით 2.8 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები განთავსდა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული 6.8 მლრდ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების მფლობელი 14 კომერციული ბანკი, ეროვნული ბანკი, ასევე არასაბანკო ინვესტორები იყვნენ. არასაბანკო ინვესტორთა მფლობელობაში 882.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყო.

აღსანიშნავია, რომ ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ეკონომიკის ზომასთან შედარებით, ჯერ კიდევ მცირეა. ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად საქართველოს მთავრობამ 2 წლიანი, 5 წლიანი და 10 წლიანი „ბენჩმარკ“ ობლიგაციების გამოშვება 2018 წლიდან დაიწყო. ამან სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიის გაზრდა განაპირობა, რაც დეფიციტის დაფინანსებისთვის აღებული საგარეო ვალით წარმოშობილი სავალუტო რისკების შემცირებას უწყობს ხელს.


**დიაგრამა N 2.7 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა 2018-2022 წლებში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდები ძირითადად რეზიდენტების მფლობელობაშია. რეზიდენტების მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6,520.7 მლნ ლარი შეადგინა. ხოლო არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 284.8 მლნ ლარი შეადგინა.

**დიაგრამა N 2.8 სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების პორტფელის დინამიკა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარი მატერიალური და ინტელექტუალური ინვესტიციებით შექმნილი თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემისა (GSSS)“ და სხვადასხვა ურთიერთინტეგრირებული სისტემების სრულყოფილი ფუნქციონირების მხარდაჭერასა და უზრუნველყოფას აგრძელებდა. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია ბანკთაშორისი რეპო ბაზარი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით და კომერციული ბანკების თანხმობით შექმნილ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებულ რეპო გარიგებების ჩარჩო ხელშეკრულებას ეფუძნება. რეპო გარიგება არის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, შემდგომში იმავე ან ექვივალენტური ფასიანი ქაღალდების წინასწარ შეთანხმებული პირობებით უკან მიყიდვის ვალდებულებით. რეპო გარიგებების დადებისათვის ბანკები „ბლუმბერგის“ სავაჭრო სისტემას და „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (GSSS) სისტემას“ იყენებდნენ. აღნიშნული სისტემების

მეშვეობით, 2022 წელს კომერციულ ბანკებს შორის 1,133.7 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდებით 12 რეპო გარიგება განხორციელდა.

ფინანსური ბაზრის განვითარების მხარდაჭერის მიზნით, ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს კომპანია "ბლუმბერგთან". ბოლო ათწლეულის განმავლობაში ბლუმბერგის პლატფორმა აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული ბანკის, ისე ადგილობრივი ბაზრის მონაწილეების მიერ. 2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის და კომერციული ბანკების აქტიური მონაწილეობით ბანკთაშორის ბაზარი ახალ E-Bond პლატფორმაზე გადავიდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც დაინერგა ბლუმბერგის ეს ახალი პლატფორმა. ბლუმბერგის E-Bond პლატფორმის საშუალებით ადგილობრივი ბაზრის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ რეპო ოპერაციები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განახორციელონ. E-Bond პლატფორმა ბაზარს უზრუნველყოფს რეპო გარიგებების დადებისათვის ყველა აუცილებელი მექანიზმით, ფასების კოტირებით, ანალიტიკური მონაცემებით. აღსანიშნავია, რომ პლატფორმა, დაცული ინტერფეისის საშუალებით, ინტეგრირებულია ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ადგილობრივ GSSS (Georgian Securities and Settlement System) სისტემასთან, რომლის მეშვეობითაც დადებული გარიგებების სწრაფი და უსაფრთხო ანგარიშსწორება ხორციელდება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული პრაქტიკა და ინფრასტრუქტურა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის შემდგომი გააქტიურების კარგ საფუძველს იძლევა, რასაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიკვიდობის ზრდა უნდა მოჰყვეს.

### **ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისთვის პირველადი დილერების სისტემის საპილოტე პროგრამის მიმდინარეობა**

სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოს ფინანსური ბაზრის განვითარების და მთავრობის ვალის მართვის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა. ბოლო წლებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობა ეტაპობრივად იზრდება. 2018 წლიდან ე.წ. „ბენჩმარკ“ ბონდების გამოშვება და მოცულობების ეტაპობრივი ზრდა დაიწყო.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, ინვესტორთა ბაზის გაფართოებისა და მეორადი ბაზრის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული პირველადი დილერის ინსტიტუტის ჩამოყალიბება. პირველადი დილერის ინსტიტუტს შეუძლია

მნიშვნელოვანი შუამავლის როლი შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა, და ინვესტორებს შორის. თავის მხრივ, მთავრობის ფასიანი ქაღალდების განვითარებული ბაზარი ხელს შეუწყობს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარებას. პირველადი დილერები ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციასა და მეორადი ბაზრის ლიკვიდურობის ზრდაზე ფასების რეგულარული განახლებით და შესაბამისი სავაჭრო და საანგარიშსწორებო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით იზრუნებენ.

საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარებით, ბოლო წლებში პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები. ერთობლივად მომზადდა და ბაზრის მონაწილეებთან განხილულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი. საბოლოოდ, საქართველოში მოქმედმა ექვსმა კომერციულმა ბანკმა გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო პირველადი დილერის საპილოტე პროგრამაში და მათთან ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა. საპილოტე პროგრამა 2020 წლის ნოემბერში დაიწყო და საწყის ეტაპზე მისი მოქმედების საორიენტაციო ვადა მინიმუმ 1-1.5 წლით განისაზღვრა. პერიოდულად წარმოებს საპილოტე პროგრამის მიმდინარეობის შეფასება, ხოლო მისი შემდგომი განვითარების კვალობაზე საპილოტე პროგრამის შედეგები შეჯამდება და განვითარების სამომავლო გეგმები დაისახება.

### **ეროვნული ბანკის ოპერაციები მეორად ბაზარზე**

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად მუშაობს მონეტარული ინსტრუმენტებისა და ლიკვიდობის მართვის ჩარჩოს დახვეწასა და განვითარებაზე. ღია ბაზრის ოპერაციების მეშვეობით ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და ის ლიკვიდობის მართვის ამოცანას ემსახურება.

2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი ღია ბაზრის ოპერაციების ფარგლებში ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე შესყიდვას აგრძელებდა. აღნიშნული ოპერაციების მიზანი ლარის ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესება და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა იყო.

2022 წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 12 აუქციონი ჩაატარა და ჯამში 900 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდები იყიდა. აქედან, 2022 წლის განმავლობაში დაფარული, აგრეთვე წინა წლებში შეძენილი ფასიანი ქაღალდების ნაშთების გათვალისწინებით, 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ეროვნული ბანკის მფლობელობაში არსებულმა ფასიანი ქაღალდების პორტფელმა 2,043.8 მლნ ლარი შეადგინა. 2021 წლის ბოლოს აღნიშნული პორტფელის მოცულობა 1,477.0 მლნ ლარი იყო.

## 2.2.6 მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები

მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ინსტრუმენტით საქართველოს ეროვნული ბანკი დანარჩენი მონეტარული ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების წინაპირობას ქმნის. ბოლო პერიოდში მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ლარით მოზიდული სახსრებისთვის არ შეცვლილა. თუმცა, 2021 წლის მეორე ნახევრიდან შეიცვალა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის და 2022 წლის განმავლობაში იგი 10-25 პროცენტის ფარგლებში იყო, თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტის მიხედვით. კერძოდ, რაც უფრო მაღალია თითოეული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაცია, მით მეტია ამ ბანკისთვის სარეზერვო მოთხოვნა. მეორე მხრივ, ნარჩენი ვადიანობების მიხედვით, ეროვნული ვალუტით 1 წელზე მეტი ვადიანობის და უცხოური ვალუტით 2 წელზე მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები სარეზერვო მოთხოვნებისაგან გათავისუფლებულია.

2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ მინიმალურ რეზერვებს ეროვნული ბანკი შესაბამის პერიოდში მონეტარული პოლიტიკის არსებულ განაკვეთს<sup>38</sup> არიცხავდა. 2022 წლის 13 მაისამდე, აშშ დოლარით ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს საქართველოს ეროვნული ბანკი არიცხავდა აშშ ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკის განაკვეთის ზედა ზღვრის შესაბამის განაკვეთზე 50 საბაზისო პუნქტით ნაკლებს, ხოლო 2022 წლის 13 მაისიდან წლის ბოლომდე არიცხავდა 0 (ნულ) პროცენტს. ევროთი ფორმირებულ მინიმალურ რეზერვებს, 2022 წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს ეროვნული ბანკი არიცხავდა ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთზე 20 საბაზისო პუნქტით ნაკლებ პროცენტს, ხოლო 2022 წლის 15 სექტემბრიდან წლის ბოლომდე არიცხავდა 0 (ნულ) პროცენტს.

## 2.2.7 საქართველოში ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორების სისტემის განვითარება

საქართველოს ეროვნულ ბანკში ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემა 2010 წლიდან მოქმედებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მართვის და ოპერაციების თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური, სწრაფი და დაცული ელექტრონული სისტემა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების ოპერაციებს უზრუნველყოფდა.

---

<sup>38</sup> დეტალები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე:  
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=558>



2018 წლის 3 დეკემბრიდან ამოქმედდა და 2022 წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების განახლებული სისტემა (Georgian Securities Settlement System – GSSS). ახალი სისტემით ფინანსური ბაზრის როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო მონაწილეებს მაღალი სტანდარტების სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდება. ამ სისტემით როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორება სრულდება. ფასიანი ქაღალდებით ტრანზაქციები უფრო სწრაფი, იაფი, მოსახერხებელი და სრულად დაცული გახდა. პროექტი ეროვნული ბანკის და კერძო საფინანსო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. GSSS სისტემა თავისი ფუნქციებით ინოვაციურია და ისეთ თანამედროვე მიდგომებს მოიცავს, როგორებიცაა ლიკვიდობის მართვის ეფექტიანი მექანიზმები, ნაწილობრივი გადახდები, საპირისპირო ტრანზაქციების გაქვითვა (ნეტ ანგარიშსწორების პრინციპით), ავტომატური დაგირავების და დღის შიდა სესხების მოქნილი მექანიზმები. GSSS სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად ჩართულები არიან საბროკერო კომპანიები, რაც მათ სრულიად ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს. სისტემა ინტეგრირებულია როგორც საფონდო ბირჟის, ასევე ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმებთან, რაც ვაჭრობის და ანგარიშსწორების მთლიანი ციკლის ავტომატიზაციას უზრუნველყოფს. შედეგად, გარიგების დადებიდან მის ანგარიშსწორებამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი გადის. ახალი სისტემის დანერგვით განახლდა მოქმედი პროცედურები და ანგარიშსწორების წესები, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ პრინციპებს ეფუძნება. ინვესტორების ფასიანი ქაღალდები უფრო საიმედოდ იქნება დაცული და საჭიროებისამებრ მათი ფულად გადაქცევა (გაყიდვის, დაგირავების ან რეპო ოპერაციების გზით) უფრო ადვილი და მოსახერხებელი ხდება. ეს კი უდავოდ ზრდის ქართული კაპიტალის ბაზრის მიმზიდველობას როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორებისთვის.

ანგარიშსწორების განახლებული GSSS სისტემით ასევე შესაძლებელი გახდა მასში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ჩართვა, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა მონაწილისათვის მომსახურების გაწევა, ამ სისტემაში საქართველოში ყველა ტიპის ფასიანი ქაღალდის (კერძო კომპანიების მიერ გამოშვებული ობლიგაციების და აქციების ჩათვლით) რეგისტრაცია და ანგარიშსწორება. სრულად ავტომატიზებული ხდება ამ სისტემაში რეგისტრირებული კერძო ფასიანი ქაღალდის გამოშვების, დაფარვის, ყიდვა-გაყიდვის, რეპოს, კუპონისა და დივიდენდის ანგარიშსწორების ოპერაციები, ასევე მათი ეროვნულ ბანკში და/ან ბაზრის პროფესიონალ მონაწილეებს შორის დაგირავება.

განახლებული GSSS სისტემა ხელს უწყობს უცხოური საფინანსო ინსტიტუტების და ინვესტორების საქართველოს ფინანსურ ბაზრებით დაინტერესებას, ვინაიდან ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურა უფრო საიმედო და თანამედროვე გახდა.

## 2.3 სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვების მართვა

### სავალუტო პოლიტიკა

საქართველოში მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი მოქმედებს, რომელსაც, წინა წლების მსგავსად, 2022 წლის განმავლობაში გატარებული სავალუტო პოლიტიკა ემყარება. შესაბამისად, გაცვლითი კურსი ბაზრის მოთხოვნა-მიწოდებისა და, შესაბამისად, მაკროეკონომიკური ფუნდამენტური ფაქტორების საფუძველზე ყალიბდება. ისეთი მცირე ზომის, ღია ტიპის ეკონომიკისათვის როგორც საქართველოა მცურავი გაცვლითი კურსის მექანიზმი ოპტიმალურ სავალუტო რეჟიმად მიიჩნევა. ეკონომიკისათვის ამ რეჟიმის უმთავრესი ძლიერი მხარე გაცვლითი კურსის, როგორც ავტომატური სტაბილიზატორის ფუნქციის შესრულება და საგარეო შოკების ზემოქმედების დროს ნეგატიური გავლენის შემცირებაა.

რეგიონში გაგრძელებული კრიზისის მიუხედავად, 2022 წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის სწრაფმა აღდგენამ, ტურიზმის სექტორის წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანმა ზრდამ და ომში მონაწილე ქვეყნებიდან მიგრანტების ზრდამ გამოიწვია ფულადი გზავნილების არსებითი მატება და დამატებითი სავალუტო შემოდინებები. 2022 წლის განმავლობაში სავალუტო კურსის მკვეთრი რყევების შემცირების მიზნით, და რეზერვების ადეკვატურ დონეზე შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენციები ხორციელდებოდა, სავალუტო აუქციონების და BMatch პლატფორმის მეშვეობით. სავალუტო აუქციონების მეშვეობით, 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაყიდულ იქნა 93.8 მლნ აშშ დოლარი და ნაყიდი იქნა 80.0 მლნ აშშ დოლარი.

საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ბანკი აქტიურად იყენებდა 2020 წელს ამოქმედებულ BMatch პლატფორმას. BMatch პლატფორმაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციები წესებზე დაფუძნებულია და წინასწარ განსაზღვრული ოდენობის და პირობის ფარგლებში ხორციელდება. ეს იძლეოდა შესაძლებლობას, რომ კონკრეტული შემთხვევებისათვის ადეკვატური ოდენობებით ინტერვენციების მეშვეობით სავალუტო ბაზარზე ჭარბი მერყეობა შემცირებულიყო მაშინ, როდესაც კურსის მერყეობა სავალუტო ბაზარზე დაბალი ლიკვიდურობით (დაბალი აქტივობით) ან ჭარბი მიწოდებით იყო გამოწვეული. 2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მიერ BMatch პლატფორმის მეშვეობით ძირითადად განხორციელდა უცხოური ვალუტის შესყიდვის ოპერაციები და შესყიდვის წმინდა მოცულობამ 578.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


ამდენად, საანგარიშო წელს, ეროვნულმა ბანკის წმინდა შესყიდვებმა მთლიანობაში 565.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი საანგარიშო პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გამყარდა. 2022 წელს ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 27.1 პროცენტით, ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი კი წლიურად 18.7 პროცენტით გამყარდა.

### საერთაშორისო რეზერვების მართვა

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 628.98 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 4.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 2.9).

**დიაგრამა N 2.9 ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 1997-2022 (მლნ აშშ დოლარი, წლის ბოლოს მაჩვენებელი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების დინამიკაზე 2022 წელსაც, ტრადიციულად, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი მოქმედებდა: საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები, საქართველოს მთავრობის ვალის მომსახურება და სავალუტო ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები, სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების ცვლილება. 2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ნეტო მყიდველი იყო - წმინდა ყიდვები სავალუტო აუქციონებისა და Bloomberg-ის Bmatch პლატფორმის მეშვეობით 564.6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2022 წლის განმავლობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და დონორი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა პროგრამების და პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფოს მიერ უცხოური ვალუტით ეროვნულ ბანკში მიღებული გრანტებისა და სესხების ოდენობა დაახლოებით 520.9 მლნ აშშ დოლარი იყო. ასევე 2022 წელს

არარეზიდენტების უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდამ კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების მინიმალური სავალდებულო რეზერვებით დასაცავი მოცულობა გაზარდა, რამაც თავის მხრივ სარეზერვო ანგარიშებზე ნაშთების მატება გამოიწვია და საერთაშორისო სავალუტო რეზერვები გაზარდა. ამავდროულად, სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებამ და სავალუტო ხარჯებმა დაახლოებით 978.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საინვესტიციო პოლიტიკა კვლავინდებურად კონსერვატიული და საკრედიტო რისკების შემცირებაზე ორიენტირებული იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები განთავსებული იყო აშშ-ს, ევროზონის ქვეყნების, კანადის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებში, ამავე ქვეყნების სახელმწიფო სააგენტოებისა და სუპრანაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მაღალი ლიკვიდურობის მქონე ფასიან ქაღალდებსა და მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე საერთაშორისო საბანკო დაწესებულებებში. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვიდან მიღებულმა შემოსავალებმა 202,2 მლნ ლარი შეადგინა. რეზერვების შემოსავლიანობის დინამიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა 2022 წლის პირველი კვარტლის ბოლოდან გლობალური მასშტაბით საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდით იყო განპირობებული.

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობდა მსოფლიო ბანკთან სუვერენული ინვესტიციების პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობას. ეროვნული ბანკი ამ პროგრამის წევრი 2009 წელს გახდა და ის ითვალისწინებს ტექნიკურ მხარდაჭერას ეროვნულ ბანკში საერთაშორისო რეზერვების მართვის სფეროს შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნისა და ცოდნის დაგროვების მიზნით ასევე მოიცავს პორტფელისა და რისკების მართვის, ანგარიშსწორების, ბუღალტრული აღრიცხვის, სამართლებრივ და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მსოფლიო ბანკის მიერ გამოცდილების გაზიარებას.

2022 წლის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის (BIS) თანამშრომლობა, რომლის საინვესტიციო პროგრამაში BIS Investment Pool (BISIP) საქართველოს ეროვნული ბანკი 2014 წლის ბოლოს ჩაერთო. აღნიშნული პროგრამა სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ერთ პორტფელში გაერთიანებული სახსრების მართვას გულისხმობს. BISIP-ის პროგრამა ასევე რეზერვების მართვის სფეროში დახმარებას და გამოცდილების გაზიარებას მოიცავს.

### 3 ფინანსური სტაბილურობა

#### 3.1 ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკა

ფინანსური სტაბილურობის, როგორც მდგრადი ეკონომიკური ზრდის წინაპირობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანია. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ეროვნული ბანკის მანდატს წარმოადგენს, თუკი ეს უკანასკნელი წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნული ბანკის ძირითადი მანდატის, ფასების სტაბილურობის, შესრულებასთან. ფინანსური სტაბილურობა გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ფინანსურ სისტემას შესწევს უნარი ბაზრის მონაწილეებს შეუფერხებლად მიაწოდოს მომსახურება როგორც კარგ, ასევე სტრესის პირობებში.

ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ეროვნული ბანკი მაკროპრუდენციულ პოლიტიკასა და საფინანსო სექტორის ზედამხედველობას ახორციელებს. სისტემური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის გზით ეროვნული ბანკი ამ რისკების შემცირებისთვის საპასუხო პოლიტიკას შეიმუშავებს, რითაც ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას უწყობს ხელს. ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი, რომელსაც სებ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს, ეროვნული ბანკის მანდატის ფარგლებში მაკროპრუდენციულ პოლიტიკას უწყევს კოორდინაციას. ფინანსური სტაბილურობის კომიტეტი სისტემურ რისკებსა და მათი შემცირების გზებს აფასებს და აანალიზებს, შესაბამისი მაკროპრუდენციული ზომების გატარების შესახებ გაცემს რეკომენდაციებს და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფად საჭირო ღონისძიებებს უწყევს კოორდინაციას.

ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად კაპიტალის კონტრცკლური ბუფერი გამოიყენება. მისი მიზანია, საჭიროების შემთხვევაში ეკონომიკის ისეთი ჭარბი დაკრედიტება შეზღუდოს, რომელიც სისტემური რისკების ზრდას იწვევს. ბუფერის კონტრცკლურობა ხელს უწყობს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითად მიზანს, შეამციროს ფინანსური სტაბილურობის სისტემური რისკები. უარყოფითი შოკების დროს კონტრცკლური ბუფერი ფინანსურ სისტემას უნდა დაეხმაროს, რომ ეკონომიკის დაკრედიტება მკვეთრად არ შეიზღუდოს და ამით როგორც ფინანსური სექტორის, ისე მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობა დამატებით არ გაუარესდეს. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციის გათვალისწინებით კონტრცკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების

გადაწყვეტილება მიიღო.<sup>39</sup> თუკი არსებული სტანდარტული კონტრცეკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნულის ტოლია და დადებით მნიშვნელობას ჭარბი დაკრედიტების შემთხვევაში იღებს, ნეიტრალური პოზიტიური კონტრცეკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნორმალურ პირობებშიც დადებითი იქნება. ახალი ჩარჩოს მიხედვით, კონტრცეკლური ბუფერის ჯამური მოთხოვნა ნეიტრალური და ციკლური მოთხოვნების ჯამისგან შედგება. თავის მხრივ, ნეიტრალურ მოთხოვნას დადებითი მნიშვნელობა ნორმალურ პირობებშიც გააჩნია, ანუ მაშინაც კი, როდესაც, ეკონომიკის აღდგენა კრიზისის შემდგომ დასრულებულია, საკრედიტო აქტივობა არ არის ჭარბი, საბანკო სისტემის აქტივების ხარისხი გაუმჯობესებულია, მომგებიანობა მდგრადია, ხოლო ეკონომიკის მიმდინარე ტენდენციები დადებითია. ციკლური მოთხოვნა სესხების ჭარბი ზრდის ფონზე ციკლური რისკების მატების შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს, რისი ანალიზიც დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობისა და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის შესაბამისი ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვადასხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები და სხვა.

2022 წლის ბოლოსთვის საკრედიტო აქტივობა მდგრად დონეზე, ეკონომიკური ზრდა კი მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა, ასევე, გაუმჯობესდა ბანკების ფინანსური მაჩვენებლები, ხოლო უძრავი ქონების ბაზარზე ფასებისა და ქირის ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა ჩათვალა, რომ მნიშვნელოვანია ფინანსურმა სექტორმა კაპიტალის ბუფერები დააგროვოს და სტრესულ პერიოდებში გამოიყენოს, როგორც ეს პანდემიის დასაწყისში მოხდა. რეგიონში არსებული ვითარებიდან მიმდინარე რისკების გათვალისწინებით, კაპიტალის ბუფერების დაგროვება ბანკებს რისკების მიტიგაციაში დაეხმარება და სტრესის პერიოდში ეკონომიკის დაფინანსების გაგრძელებას და სწრაფ აღდგენას შეუწყობს ხელს. ქვეყნების მზარდმა ნაწილმა საბაზისო განაკვეთად პოზიტიური ბუფერი უკვე დააწესა. აღნიშნული ქვეყნებისთვის ნეიტრალური პოზიტიური კონტრცეკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი 1 პროცენტსა და 2 პროცენტს შორის მერყეობს. ეროვნული ბანკი იკვლევს ნეიტრალური პოზიტიური კონტრცეკლური ბუფერის დაწესების საერთაშორისო გამოცდილებას და ბუფერის ზომას 2023 წლის პირველ კვარტალში, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის პირველ სხდომაზე განსაზღვრავს.

გარდა კონტრცეკლური ბუფერისა, მაკროპრუდენციული პოლიტიკის გასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე კაპიტალის სხვა ბუფერებსაც იყენებს, რომლებიც

<sup>39</sup> [nbg.gov.ge/fm/ფინანსური\\_სტაბილურობა/კომიტეტის\\_გადაწყვეტილებები/eng/fsc-pressrelease-q4-eng.pdf?v=5gpx8](http://nbg.gov.ge/fm/ფინანსური_სტაბილურობა/კომიტეტის_გადაწყვეტილებები/eng/fsc-pressrelease-q4-eng.pdf?v=5gpx8)

დანერგულია ბაზელ III-ის ჩარჩოსთან დაახლოების ფარგლებში. მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებია, ასევე, სესხის მომსახურებისა და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები, სექტორული რისკის წონები და სხვა ინსტრუმენტები.

ეროვნული ბანკის მიერ პანდემიამდე გატარებული მაკროპრუდენციული და მიკროპრუდენციული ზომების, პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ შემუშავებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შედეგად, ფინანსურმა სექტორმა მდგრადობა შეინარჩუნა და ეკონომიკის დაკრედიტება წარმატებით განაგრძო. ბანკების უმრავლესობამ პანდემიის შოკის დროს გამოთავისუფლებული ბუფერები უკვე აღადგინა და რეგიონში გეოპოლიტიკურ დამახულობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს სოლიდური ბუფერებით შეხვდა. ფინანსური სექტორის მზაობას, ასევე, ხელი შეუწყო ბანკების აქტივების ხარისხის მდგრადობამ, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი კრიზისამდელ პერიოდში შინამეურნეობების ჭარბვალუარიანობისა და სესხების დოლარიზაციის შემცირების მიზნით გატარებულმა მაკროპრუდენციულმა ზომებმა შეიტანა. გატარებული ღონისძიებების ფონზე გაუმჯობესებულია ფინანსური მაჩვენებლები, რაც ქვეყნის ფინანსური სისტემის სიჯანსაღეზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, პირდაპირი სანქციები მხოლოდ ერთ, რუსული ბანკის შვილობილ ბანკს შეეხო და ეს პრობლემა აქტივ-ვალდებულებების ნაწილის სხვა ბანკებზე გაყიდვით მალევე გადაიჭრა. მდგრადია არასაბანკო სექტორიც, რომელსაც ასევე დაწესებული აქვს პრუდენციული მოთხოვნები.


ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ფონზე 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, შინამეურნეობების საკრედიტო რისკი შემცირდა. პანდემიის დროს შინამეურნეობების გაუარესებული გადახდისუნარიანობა უმოქმედო სესხების წილის ზრდაში აისახა, თუმცა, ეკონომიკის გაჯანსაღებასთან ერთად, სესხების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, საყურადღებოა სამომხმარებლო სესხების მაღალი ზრდის ტემპი და ინფლაცია. ეს უკანასკნელი უარყოფითად აისახება შინამეურნეობების რეალურ შემოსავლებზე. აღნიშნული რისკის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადია დაბალშემოსავლიანი და ვალის მომსახურების მაღალი ტვირთის მქონე შინამეურნეობები. გლობალურად გაზრდილი ინფლაციის ფონზე ასევე საყურადღებოა უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც შინამეურნეობების სესხის მომსახურების ტვირთზეც აისახა. კლებადი ტენდენციის მიუხედავად, სესხების დოლარიზაცია ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. აღნიშნული რისკების საპასუხოდ და მსესხებელთა გადახდისუნარიანობის ზრდის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეული მოთხოვნები განაახლა. კერძოდ, უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 10 წლამდე შემცირდა, სესხის მომსახურების კოეფიციენტის 25 პროცენტიანი მოთხოვნა 1,500 ლარამდე შემოსავლის მქონე პირებზე გავრცელდა,

ცვლადგანაკვეთიანი სესხის გაცემისას მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების დროს 3 კპ-იანი საპროცენტო განაკვეთის შოკის გათვალისწინება გახდა საჭირო და სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადა, დროებით, 4-დან 3 წლამდე შემცირდა.

გასული წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებებისა და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შედეგად, საკრედიტო აქტივობა შენედა. 2022 წლის დეკემბერში სესხების წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, 6.1 კპ-ით შემცირდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 12.1 პროცენტი შეადგინა. გასული წლის განმავლობაში, სესხების მშპ-თან ფარდობა შემცირდა, რაც მაღალი ეკონომიკური ზრდისა და გაცვლითი კურსის გამყარების ეფექტს ასახავს. შედეგად, 2022 წლის მესამე კვარტალში სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობა მის გრძელვადიან ტრენდს ჩამორჩება, თუმცა საქართველოში სესხების მშპ-თან ფარდობის არსებული დონე, მსგავსი ქვეყნების მაჩვენებლებთან შესადარის დონეზეა. აღსანიშნავია, რომ წინასწარი შეფასებით, 2022 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 10 პროცენტი შეადგინა, რაც ვალის ტვირთის მდგრად დონეზე შენარჩუნებას უწყობს ხელს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კრიზისის დასაწყისში კაპიტალის გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენის პროცესმა და კრიზისამდე დაგეგმილი კაპიტალის დონის და ხარისხის გაუმჯობესებამ („პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესის" მიხედვით) გარკვეულწილად კონტრციკლური ბუფერის როლი შეასრულა. ამასთან, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ლარში საკრედიტო აქტივობას დამატებით ამცირებს და ამით ინფლაციის შემცირებას უწყობს ხელს.



## დიაგრამა N 3.1 სესხებისა და ნომინალური მშპ-ის ზრდის ტემპების შედარება



\*სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ სესხებსა და ასევე, კომპანიების მიერ ადგილობრივად გამოშვებულ ობლიგაციებს.

\*\*სესხების მშპ-თან ფარდობის გაპი წარმოადგენს სესხების მშპ-თან ფარდობის სხვაობას მისი გრძელვადიანი ტრენდიდან. ტრენდის შესაფასებლად, ბაზელის რეკომენდაციის შესაბამისად, გამოყენებულია HP ფილტრი.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

### 3.2 ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს განვითარება ფინანსური სტაბილურობის მანდატის ნაწილია, ფინანსური სტაბილურობა კი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ფინანსური სტაბილურობის საკითხების და მაკროპრუდენციული პოლიტიკის აქტუალობა მსოფლიოში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, გაიზარდა. 2020 წელს განვითარებულმა პანდემიის შედეგად წარმოქმნილმა გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და 2022 წელს რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე გაჭიანურებულმა გლობალური ეკონომიკის აღდგენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობა. ფინანსური სტაბილურობის გამართული და ქმედითი ჩარჩო ეკონომიკური დადმასვლის პერიოდშიც კი ფინანსური რესურსების შეუფერხებლად მიწოდებას უზრუნველყოფს და ეკონომიკის სწრაფ გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით, საჭიროა ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური და სიღრმისეული ანალიზი, რაც გულისხმობს არა მხოლოდ საბანკო სექტორის რისკების შეფასებას, არამედ საგარეო ფაქტორების გათვალისწინებასაც, რომლებიც, როგორც ბოლო წლებმა დაგვანახა, შესაძლოა მნიშვნელოვანი რისკების წყარო აღმოჩნდეს. ფინანსური სტაბილურობა, ასევე,

ითვალისწინებს მაკროფინანსურ გარემოს, შინამეურნეობებს, კომპანიებსა და არასაბანკო ინსტიტუტებს.

ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ჩამოყალიბებას და განვითარებას ეროვნული ბანკი სხვა ცენტრალური ბანკების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინებით ახორციელებს, რისთვისაც ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით, პირველ ეტაპს, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ფინანსური სტაბილურობის კომპლექსური ინდიკატორების შემუშავება და განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ინდიკატორები გამოიყენება ციკლური მაკროპრუდენციული პოლიტიკის შესამუშავებლად. შემდგომ ეტაპზე კი ეროვნულმა ბანკმა მაკროპრუდენციული პოლიტიკის სტრატეგია<sup>40</sup> გამოაქვეყნა. აღნიშნული სტრატეგია ეროვნული ბანკის მაკროპრუდენციული პოლიტიკის განხორციელების ძირითად პრინციპებს ასახავს და მიზნად გადაწყვეტილების მიღების პროცესის, კომუნიკაციისა და საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას ისახავს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი მუდმივ რეჟიმში მუშაობს ანალიტიკური ინსტრუმენტების განვითარებაზე. აღნიშნული ინსტრუმენტები როგორც საერთაშორისო გამოცდილებას, ასევე ქვეყნის სპეციფიკურ მახასიათებლებს ეფუძნება. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2020 წელს ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში მომზადებული კვლევითი ნაშრომი,<sup>41</sup> რომელმაც სისტემური რისკების დროულად გამოვლენის უზრუნველსაყოფად და, ამგვარად, მაკროპრუდენციული პოლიტიკის სანდო სახელმძღვანელოს ჩამოსაყალიბებლად, ანალიტიკური ინსტრუმენტები შეიმუშავა.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს მნიშვნელოვანი ნაწილია მაკროფინანსური მოდელირება. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს მაკროფინანსური მოდელის განვითარებაზე, რომლის მიზანია ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკების ანალიზი; მაკროფინანსური სცენარების გენერირება და ანალიზი; მაკროეკონომიკური სტრეს-ტესტების ჩატარება; ეს ყველაფერი შესაბამისი მაკროპრუდენციული პოლიტიკის შემუშავების ძირითადი ქვაკუთხედაა. ფინანსური სისტემის განვითარება და ამ განვითარების თანმდევი გამოწვევები მაკროფინანსური მოდელის გამოყენების არეალს აფართოებს და მის მიმართ მზარდ მოთხოვნებს წარმოშობს. შესაბამისად, მაკროფინანსური მოდელის განვითარება და დახვეწა უწყვეტი პროცესია, რომელშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ დახმარებას.

---

<sup>40</sup> იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=738>

<sup>41</sup> „საკრედიტო გეპის შეფასება საქართველოში მაკროპრუდენციული პოლიტიკის სახელმძღვანელოდ“ იხილეთ: [bit.ly/36me1EE](http://bit.ly/36me1EE)

ფინანსური სტაბილურობის ჩარჩოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესებაა. ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები მუდმივად განახლების რეჟიმშია. კერძოდ, მოცემულია ინფორმაცია ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის ამოცანებისა და მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტების შესახებ; ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის სხდომების კალენდარი, კომიტეტის განცხადებები და გადაწყვეტილებები; *ფასს 9*-სთან<sup>42</sup> დაკავშირებული საკითხები; მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შესახებ ინფორმაცია და სხვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი ფინანსური ინსტიტუტების ფინანსური ანგარიშგების *ფასს 9* სტანდარტზე ეფექტურ გადასვლას უწყობს ხელს. ფინანსური კომპანიების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალედ, თანმიმდევრულად და ეფექტიანად წარმოების, ასევე ურთიერთშედარებითობის უზრუნველყოფის მიზნით, ეროვნული ბანკი *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური და ფინანსური გარემოს რისკ-სცენარების დამუშავებას ახორციელებს და მაკროეკონომიკური ტენდენციების რაოდენობრივ შეფასებას<sup>43</sup> რეგულარულად აქვეყნებს, რომელიც შემდგომ, შესაძლოა, ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისას იქნეს გამოყენებული. *ფასს 9*-ის მიზნებისთვის მაკროეკონომიკური საპროგნოზო სცენარები მაკრო-ფინანსურ მოდელს ეფუძნება და, ასევე, დამატებით ანალიზსა და ექსპერტულ შეფასებებს ითვალისწინებს. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სცენარები თავისი შინაარსით კონტრციკლურია, რაც შესაძლო ფინანსური ციკლების შერბილებას უწყობს ხელს. 2022 წელს, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შედეგად გამოწვეული მაღალი გაურკვეველობის პირობებში, ფინანსური ინსტიტუტების მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაციით დროულად უზრუნველყოფის მიზნით ეროვნულმა ბანკმა საპროგნოზო სცენარების ორი განახლება გამოაქვეყნა. აღნიშნულმა, ფინანსურ კომპანიებს შესაძლებლობა მისცა, დროულად აესახათ მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებებში.

ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია მდგრადი ფინანსური სისტემა, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვას და, ამასთანავე, მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის სექტემბრიდან მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (Sustainable Banking and Finance Network, SBFN) წევრია და მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარებაზე აქტიურად მუშაობს.

<sup>42</sup> ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (*ფასს 9*).

<sup>43</sup> იხილეთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=694>

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობდა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი<sup>44</sup> განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას. მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი საქართველოსთვის ყველა იმ შესაძლო ღონისძიებას აერთიანებს, რომელთა გატარებაც ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის ბოლომდე იყო დაგეგმილი. 2023 წელს ეროვნული ბანკი ახალ მდგრადი დაფინანსების გზამკვლევს შეიმუშავებს, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის სამოქმედო გეგმას და განსახორციელებელ ღონისძიებებს გააერთიანებს. გზამკვლევის მთავარი მიზანია, შექმნას სანდო, პროგნოზირებადი და სტაბილური რეგულატორული ჩარჩო, რომელიც ბაზარს მდგრად დაფინანსებაზე გადასვლისთვის მოამზადებს.

კორპორაციული მართვის კოდექსით დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად, 2022 წელს ბანკებმა ESG ინფორმაცია ეროვნული ბანკის შაბლონის გამოყენებით მეორედ გაამჟღავნეს. ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2021-2022 წლებში შევსებული შაბლონები ეროვნული ბანკის ვებგვერდზე<sup>45</sup> გამოქვეყნებული. მსგავს ანგარიშგებას ბანკები ყოველწლიურად გააკეთებენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ESG საკითხების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ინვესტორებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის.

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა მდგრადი დაფინანსების რიგით მეორე ანგარიში გამოაქვეყნა. ეს უკანასკნელი ყოველწლიური გამოცემაა, რომელიც 2021 წლიდან ეროვნული ბანკის ვებგვერდზე<sup>46</sup> ქვეყნდება. მასში წარმოდგენილია მდგრადი დაფინანსების მიმართულებით საქართველოში არსებული ტენდენციების, გატარებული პოლიტიკისა და სამომავლო გეგმების მიმოხილვა. აღნიშნულის ფარგლებში გაანალიზებულია ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯები, აღწერილია მიმდინარე და უახლოეს პერიოდში დაგეგმილი პროექტები და შეჯამებულია კომერციული ბანკების მიერ ESG ფორმებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ანგარიშში ასევე წარმოდგენილია საქართველოში მწვანე და მდგრადი ობლიგაციების გამოშვებისა და ზოგადად, კაპიტალის ბაზრის ტენდენციები ამ მიმართულებით.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის<sup>47</sup> შემუშავება წარმოადგენს, რაც ეროვნული ბანკისთვის მდგრადი დაფინანსების გზამკვლევიტ განსაზღვრული ერთ-ერთი ნაბიჯია. ამ მიმართულებით საერთო განმარტებებისა და კლასიფიკაციის სისტემების ნაკლებობა მდგრადი დაფინანსების განვითარების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევადაა აღიარებული.

---

<sup>44</sup>იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-roadmap>

<sup>45</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure>

<sup>46</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-in-georgia>

<sup>47</sup> მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია წარმოადგეს დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს და აკლასიფიცირებს ისეთ საქმიანობებსა და ეკონომიკურ აქტივობებს, რომელთაც გააჩნია დადებითი გარემოსდაცვითი ან/და სოციალური ზეგავლენა.

სწორედ ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია<sup>48</sup> და ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი (ტაქსონომიის რეგულაცია)<sup>49</sup> დაამტკიცა. ტაქსონომიის რეგულაცია ოფიციალურად განმარტავს მწვანე, სოციალურ და მდგრად სესხებს და კომერციულ ბანკებს ტაქსონომიასთან შესაბამისი სესხების ანგარიშგების მოთხოვნებს უწესებს. რეგულაციის მიხედვით, 2023 წლიდან კომერციულმა ბანკმა სესხს მწვანე, სოციალური ან/და მდგრადი შეიძლება უწოდოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიაში განსაზღვრულ ტექნიკურ კრიტერიუმს. გარდა ამისა, ბანკები ვალდებული არიან მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება მწვანე სესხის თვიური ანგარიშგების ტაქსონომიის რეგულაციით განსაზღვრული ფორმით მოახდინონ. ასევე, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში<sup>50</sup>, მწვანე/სოციალურ/მდგრად სესხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება ტაქსონომიის რეგულაციასთან შესაბამისად უნდა მოხდეს. ყოველივე ეს საქართველოში მწვანე სესხების შესადარისი და თანმიმდევრული მონაცემების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს და მდგრადი დაფინანსების ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს.

საქართველოსთვის ტაქსონომიის შემუშავების აუცილებლობა სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა. მათ შორისაა საქართველოს ფინანსური სისტემის თავისებურების, მდგრადი დაფინანსების განვითარების ეტაპისა და არსებული მდგრადობის საკითხების აქტუალურობის გათვალისწინების აუცილებლობა. მდგრადი დაფინანსების ტაქსონომია ეფუძნება და შეესაბამება საქართველოს მდგრადი განვითარების პრიორიტეტებს, ითვალისწინებს და ითავსებს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, მოიცავს მწვანე და სოციალურ ტაქსონომიებს და შემუშავებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კერძოდ, ტაქსონომიის ტექნიკური სტანდარტების განსაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დარგობრივი ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს საერთაშორისო ექსპერტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები და ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების უკუკავშირი წარმოადგენდა. ტაქსონომიის ეფექტიანად და თანმიმდევრულად დასაწერად ეროვნულმა ბანკმა მწვანე ზრდის ფონდის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამის დახმარებითა და PwC-ის საქართველოსა და ჩეხეთის ოფისების ჩართულობით სქრინინგისა და ანგარიშგების ინსტრუმენტი შეიმუშავა და ფინანსურ ინსტიტუტებთან კონსულტაციები, და კომერციული ბანკების წარმომადგენლებისთვის ტრენინგები ჩაატარა.

<sup>48</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-taxonomy>

<sup>49</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/legal-acts/acts>

<sup>50</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/financial-stability/esg-reporting-and-disclosure>

მდგრადი დაფინანსების გზამკვლევით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის ნოემბერში მდგრადი დაფინანსების ორდლიან ღონისძიებას უმასპინძლა, რომელიც ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა. ღონისძიება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან (IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) და IFC-თან არსებულ მდგრად საბანკო და საფინანსო ქსელთან (SBFN) თანამშრომლობით და შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნოს (SECO) მხარდაჭერით გაიმართა. პირველი დღე მდგრადი დაფინანსების ფორუმს დაეთმო. აღნიშნულ ფორუმს 55 ქვეყნიდან 300-მდე მონაწილე დაესწრო, მათ შორის ევროკავშირისა და SBFN-ის წევრი ქვეყნებისა და ცენტრალური ბანკების მაღალი რანგის წარმომადგენლები, ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები, საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. მეორე დღეს კი SBFN-ის წევრი ქვეყნების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიმდინარე და სამომავლო პროექტები განიხილეს. მდგრადი დაფინანსების საკითხებისადმი მიძღვნილი ეს ფორუმი ეროვნული ბანკის მასპინძლობით, IFC/SBFN-სთან ერთად გამართული მეოთხე ღონისძიებაა. პირველი შეხვედრა 2018 წელს გაიმართა და მას შემდეგ ის ყოველწლიურ ღონისძიებად იქცა, რომელიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში მდგრადი დაფინანსების განვითარების შესახებ, ნაყოფიერი დისკუსიების პლატფორმას წარმოადგენს.

ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს საქართველოს ეკონომიკური სექტორებისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკების რადარისა და ფინანსური სექტორისთვის მისი შესაძლო გამოყენების შესახებ ანგარიში მოამზადა. ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური სექტორების კლიმატის რისკი და, რისკების რუქის გამოყენებით, შეფასებულია კომერციული ბანკების დამოკიდებულება გამოვლენილ მაღალი რისკის მქონე სექტორებზე. სექტორების კლიმატის რისკის შეფასება მოიცავს როგორც მწვავე ქრონიკულ ფიზიკურ რისკებს, ასევე გარდამავლობის რისკებს. ანალიზი ასევე ითვალისწინებს სხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) რისკებს. აღნიშნული პროექტი German Sparkassenstiftung for International Cooperation-თან თანამშრომლობით განხორციელდა. პროცესში აგრეთვე გათვალისწინებული იყო ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციები და შეფასებები. მეთოდოლოგიის აღწერა და დეტალური შედეგები წარმოდგენილია ანგარიშში, რომელიც ეროვნული ბანკის ვებგვერდზე<sup>51</sup> ხელმისაწვდომი.

მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს განვითარების მიმართულებით ამ და სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯების შედეგია საქართველოს პროგრესის საერთაშორისო დონეზე აღიარება. 2022 წლის მანძილზე საქართველოს ეროვნული ბანკი მისი წარმატებული

---

<sup>51</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar>

გამოცდილების გასაზიარებლად მიწვეულ იქნა მდგრადი დაფინანსების სხვადასხვა კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებზე. მათ შორის აღსანიშნავია, 2022 წლის მაისში მსოფლიო ბანკის ფინანსური სექტორის საკონსულტაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, სადაც ეროვნული ბანკი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად პოსტ-პანდემიურ გარემოში საზედამხედველო გამოწვევებსა და მწვანე დაფინანსების საკითხებზე სამსჯელოდ იყო მიწვეული. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის მიერ მდგრადი დაფინანსების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებზე ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ცენტრალური ბანკებისა და ზედამხედველთა ქსელთან ფინანსური სისტემის "გამწვანებისთვის" (NGFS) ისაუბრა<sup>52</sup>. მან ხაზი გაუსვა ფინანსური სტაბილურობისთვის ფინანსური სისტემის მდგრადობის მნიშვნელობას, რაც სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვას გულისხმობს. ამასთან, ეროვნულმა ბანკმა რეგიონალურ ფორუმში „მწვანე ეკონომიკის განვითარება ცენტრალურ აზიაში“ მიიღო მონაწილეობა, რომელიც ყირგიზეთის რესპუბლიკაში გაიმართა და მოიცვა ისეთი საკითხები, როგორებიცაა მწვანე ეკონომიკის განვითარება, რეგიონის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და ფინანსური სექტორის როლი წმინდა ნულოვან ეკონომიკაზე გადასვლაში. ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა მონაწილეებს ეროვნული ბანკის მდგრადი დაფინანსების რეგულაციები და პოლიტიკა გააცნო და ქვეყნის მდგრად განვითარებაში ფინანსური სექტორის როლის გაძლიერების მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

მდგრადი დაფინანსების განვითარებისა და ეროვნული ბანკის მიერ ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესის ფონზე 2022 წლის ნოემბერში ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტში მდგრადი დაფინანსების განყოფილება შეიქმნა. მდგრადი დაფინანსების განყოფილების არსებობა მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს კიდევ უფრო განვითარებასა და ამ მიმართულებით ფინანსური სექტორის როლის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს ფინანსური სტაბილურობის წლიური ანგარიშის<sup>53</sup> მორიგი გამოცემა გამოაქვეყნა. ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის განახლებული ვერსია, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა, 2019 წლიდან ქვეყნდება. ანგარიში მომავალზე ორიენტირებულ მაკროფინანსურ ანალიზზეა დაფუძნებული და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ითვალისწინებს. ანგარიშში წარმოდგენილია ფინანსურ სისტემაში არსებული მოწყვლადობისა და რისკების შეფასება, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საშუალო

52

იხილეთ:

[https://www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/ngfs\\_in\\_conversation\\_with\\_national\\_bank\\_of\\_georgia\\_papuna\\_lezhava\\_final.pdf?fbclid=IwAR1uzCeHhrIZAxoVlqppTIJkC-RwC3gx5ArT9JdthEGUxINAGmX08-LTTtc](https://www.ngfs.net/sites/default/files/medias/documents/ngfs_in_conversation_with_national_bank_of_georgia_papuna_lezhava_final.pdf?fbclid=IwAR1uzCeHhrIZAxoVlqppTIJkC-RwC3gx5ArT9JdthEGUxINAGmX08-LTTtc)

53 იხილეთ: <https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports>

და გრძელვადიან პერიოდზე, ფინანსური სექტორის სტრუქტურულ მახასიათებლებსა და საქართველოს ეკონომიკის იმ ასპექტებზე, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის არის მნიშვნელოვანი. ფინანსური სტაბილურობის ანგარიში ასევე მოიცავს ადგილობრივი ფინანსური სისტემის მდგრადობის ანალიზს. გარდა ამისა, ანგარიშში ვრცლად არის წარმოდგენილი ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებები. კერძოდ, დეტალურადაა მიმოხილული მთლიან საბანკო სისტემაზე ორიენტირებული მაკროპრუდენციული ღონისძიებები და ცალკეული ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობის ზრდისკენ მიმართული მიკროპრუდენციული ზომები.

ფინანსური სტაბილურობის ანალიზის ჩარჩოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია სტრეს-ტესტები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, 2019-2020 წლებში სსფ-ს ტექნიკური მისიის მხარდაჭერით, მნიშვნელოვნად განავითარა სტრეს-ტესტის მოდელი. სტრეს-ტესტის ძირითადი მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე<sup>54</sup>. სტრეს-ტესტის მთავარი მიზანი ბანკების უარყოფითი შოკების მიმართ მდგრადობის შეფასებაა. აღნიშნული ინსტრუმენტი ცენტრალურ ბანკებს საშუალებას აძლევს განსაზღვრონ შოკის მიტიგაციის გზები და შეიმუშაონ პოლიტიკა, რომელიც სტრესულ პირობებში ფინანსური უამაველების შეუფერხებელ ფუნქციონირებას ისახავს მიზნად, რაც სტრესის ხანგრძლივობის შემცირებასა და ეკონომიკის სწრაფად აღდგენას უწყობს ხელს.

2022 წელს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, კომერციული ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების მიზნით, ინტერაქტიული სტრეს-ტესტის განახლებული შედეგები გამოაქვეყნა<sup>55</sup>. ინტერაქტიული პლატფორმის მეშვეობით, დაინტერესებული საზოგადოება თავად შეძლებს თითოეული მაკროეკონომიკური ცვლადისთვის ჰიპოთეტური სტრესული სცენარის არჩევასა და კომერციული ბანკის კაპიტალის კოეფიციენტის დინამიკაზე დაკვირვებას. სტრეს-ტესტის შედეგების მიხედვით, ზომიერი და მკაცრი სტრეს სცენარის შემთხვევაში ყველა ბანკი მდგრადობას მაინც ინარჩუნებს, ხოლო ექსტრემალური სტრეს სცენარის დროს ზოგიერთი ბანკი მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დამატებით კაპიტალს საჭიროებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სტრეს-ტესტი არ განიხილავს ბანკების მხრიდან შოკების საპასუხოდ აქტიურ რეაგირებას ან ბიზნეს მოდელის ცვლილებას, რამაც შესაძლოა შოკის გავლენა შეარბილოს. თუმცა, მიმდინარე შეფასებით, მფლობელობის არსებული სტრუქტურიდან გამომდინარე, ბანკებს კაპიტალის შევსების კარგი შესაძლებლობა აქვთ. შესაბამისად, კაპიტალის ჰიპოთეტური დანაკარგები სისტემის სტაბილურობას და მდგრადობას საფრთხეს არ უქმნის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ

<sup>54</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/-top-down-stress-test>

<sup>55</sup> იხილეთ: <https://nbg.gov.ge/en/page/interactive-stress-test>



ექსტრემალურ სტრეს სცენარში კაპიტალის კოეფიციენტი აღდგენას მეორე წლიდან იწყებს, რასაც აქტივების ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად, მდგრადი საოპერაციო მომგებიანობაც უწყობს ხელს.

### 3.3 გაჯანსაღების და რეზოლუციის ჩარჩო

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლიდან კომერციული ბანკების გაჯანსაღებისა და რეზოლუციის ჩარჩოს (შემდგომში - რეზოლუციის ჩარჩო) იმპლემენტაციაზე დაიწყო მუშაობა.

აქტიური სამუშაოები გაგრძელდა 2022 წლის განმავლობაშიც, რა დროსაც ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან. მიმდინარე წელს IMF ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაციები რეზოლუციისა და გაჯანსაღების მიმართულებით ყველა ძირითად საკითხზე და შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები როგორც ეროვნული ბანკის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულების, ისე დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის. მსოფლიო ბანკის გუნდმა კი, მისიის ფარგლებში, ჩაატარა რეზოლუციის სიმულაცია, სადაც ეროვნულ ბანკთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებმაც. სიმულაციის ფარგლებში შემოწმდა ფინანსური კრიზისისადმი მზაობა და გაიცა პრაქტიკული რეკომენდაციები. სიმულაციის მეორე ნაწილი 2023 წელს არის დაგეგმილი, სადაც მოხდება რეზოლუციის აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესების ტესტირება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე მიმდინარე წელს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ, რეზოლუციისა და ლიკვიდაციის განყოფილება გამოეყო საზედამხედველო მიმართულებას და დაექვემდებარა ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტს. აღნიშნული მიდგომა (ზედამხედველობისა და რეზოლუციის მიმართულებების გამიჯვნა) შესაბამისობაშია ევროპულ პრაქტიკასთან.

2022 წელს საბანკო სექტორის თითოეულმა მონაწილემ მოამზადა გაჯანსაღების გეგმები, რომელიც მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების შექმნისას ან/და კრიტიკული ფუნქციების შეფერხებისას, კომერციული ბანკის მიერ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კრიტიკული ფუნქციების აღსადგენად და შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს აერთიანებს. ეროვნულმა ბანკმა დოკუმენტები თითოეული ბანკის ჭრილში შეისწავლა და, მარეგულირებელი წესის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაბამისი უკუკავშირი განახორციელა.

კომერციული ბანკის მხრიდან შემუშავებული გაჯანსაღების გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტი არის კრიტიკული ფუნქციების თვითშეფასება და მათი შეწყვეტის შემთხვევაში ბაზრის სხვა მონაწილეების მხრიდან დროულად ჩანაცვლებადობის შეფასება, კონტრაქტებსა და რეალურ ეკონომიკაზე ზეგავლენის გათვალისწინებით.

*სისტემისთვის კრიტიკულად ფასდება შემდეგი ფუნქციები:*

- ✓ დეპოზიტების მიღება;
- ✓ სესხების გაცემა;
- ✓ საგადახდო მომსახურება, ნაღდი ფულის მომსახურება, კლირინგი, საანგარიშსწორებო მომსახურება, შემნახველი მომსახურება;
- ✓ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობა;
- ✓ საბითუმო დაფინანსება.

ზემოაღნიშნული გეგმის მიმართ მოთხოვნებს გაჯანსაღების ჩარჩოს შემადგენელი შესაბამისი წესი არეგულირებს. დოკუმენტის ფოკუსში ექცევა: გაჯანსაღების მიზნებისთვის ინდიკატორების მონიშვნა და მათი ზღვრების კალიბრაცია, გაჯანსაღების ზომების განსაზღვრა, ბანკისათვის რელევანტური მკაცრი სტრეს სცენარების გამოყენებით ფინანსური ზიანის მასშტაბისა და გაჯანსაღების ზომ(ებ)ის ეფექტურობის ტესტირება, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. დოკუმენტში ასევე ყურადღება ექცევა მმართველობითი საკითხების მოწესრიგებას, რომლის მიზანია ბანკის მხრიდან ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ადრეული გამოვლენა და შემდგომი ორგანიზებული მართვა.

*გაჯანსაღების გეგმის ინდიკატორების სავალდებულო კატეგორიებია:*

- ✓ კაპიტალი;
- ✓ ლიკვიდობა;
- ✓ მომგებიანობა;
- ✓ აქტივების ხარისხი.

კომერციული ბანკების მხრიდან გაჯანსაღების გეგმების განახლება, ხოლო ეროვნული ბანკის მიერ მათი შეფასება ყოველწლიურად მოხდება და შეფასების დოკუმენტი ბანკების რისკების მართვის საერთო ჩარჩოში ინტეგრირდება.


რეზოლუციის მექანიზმი, რომელიც შესაბამისი სარეზოლუციო ინსტრუმენტებითაა წარმოდგენილი, მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი ბანკის რეაბილიტაციის შესაძლებლობას წარმოადგენს. ის გამოიყენება მაშინ, როდესაც გაჯანსაღების ზომების გონივრულ ვადაში განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია (ან უშედეგოა) და ფინანსური სექტორის

სტაბილურობაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტის ასარიდებლად მიზანშეწონილია ფინანსური ინსტიტუტის ფუნქციონირების (კრიტიკული ფუნქციების) შენარჩუნება, ამასთან გადასახადის გადამხდელთა სახსრების გამოყენების საჭიროების შემცირება.

ეროვნული ბანკის სარეზოლუციო უფლებამოსილება აქციონერების ან/და კრედიტორების თანხმობის და წინასწარი შეტყობინების გარეშე შემდეგი სარეზოლუციო ინსტრუმენტების ინდივიდუალურ ან კომბინირებულ გამოყენებას მოიცავს:

- ✓ კომერციული ბანკის შერწყმა;
- ✓ კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების გასხვისება;
- ✓ კომერციული ბანკის აქციების, აქტივების ან/და ვალდებულებების დროებითი ბანკისთვის გადაცემა;
- ✓ კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია ახალი აქციების გამოშვებით;
- ✓ კომერციული ბანკის რეკაპიტალიზაცია მისი ვალდებულებების ჩამოწერით ან კონვერტაციით (bail-in).

**დიაგრამა N 3.2 სისტემური ბანკების კონცენტრაცია საბანკო ბაზარზე (2022 წლის 31 დეკემბრის მიხედვით)**



*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

საბანკო სექტორის კონიუქტურა და საბანკო ბაზარზე სისტემური მნიშვნელობის მქონე (სისტემური) ბანკების მაღალი კონცენტრაცია მათი ეკონომიკური ფუნქციების კრიტიკულობას და რეზოლუციის გეგმების არსებობის საჭიროებას ცხადყოფს. ეროვნულმა ბანკმა სისტემური ბანკებისთვის რეზოლუციის გეგმები განაახლა. აგრეთვე IMF

ექსპერტების რეკომენდაციით, რეზოლუციის გეგმა მომზადდა ერთ-ერთი შედარებით მსხვილი არასისტემური ბანკისთვისაც. რეზოლუციის გეგმებში საკვანძო ელემენტებად მიჩნეულია რეზოლუციის განხორციელების შესაძლებლობის (resolvability) შეფასება და უპირატესი სარეზოლუციო სტრატეგიის განსაზღვრა, შემდეგი ასპექტების მოცვით: გეგმის ტრიგერები, ინსტრუმენტების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რეზოლუციის ფაზები, ძირითადი პროცესები და სხვა. საერთაშორისო მოცემულობის მიხედვით, რეზოლუციის შესაძლებლობის გაფართოვება და ინსტრუმენტების ოპერაციული გამართვა განვითარების გზას გადის და, მათ შორის მოწინავე ქვეყნებშიც, კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. რეზოლუციის ჩარჩოს ოპერაციული გამართვისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა IMF რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიწყო აქტიური სამუშაოები რეზოლუციის ინსტრუმენტების ე.წ. Playbook - ების შექმნის მიმართულებით. აღნიშნულ საკითხებზე ეროვნული ბანკი მომავალ წელსაც გააგრძელებს აქტიურ სამუშაოებს.

2022 წელს გეგმიური გრაფიკის მიხედვით და თემატური საკითხების განსახილველად რეზოლუციის ჩარჩოს ფარგლებში შექმნილი რეზოლუციის კომიტეტის სხდომა ჩატარდა. 2022 წლის მანძილზე საბანკო სექტორში რეზოლუციის საჭიროება ან მისი ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები არ გამოვლენილა, ასევე არ შეინიშნებოდა გაჯანსაღების ზომების ამოქმედების საფუძვლები.

### **3.4 ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისო კომიტეტი**

ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით, ინფორმაციის რეგულარული მიმოცვლის, ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებისა და ეფექტური კოორდინაციის უზრუნველსაყოფად 2020 წელს შეიქმნა თანამშრომლობის ახალი პლატფორმა - ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტი, რომელსაც ფინანსთა მინისტრი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი წარმოადგენენ. უწყებათაშორისი კომიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობს, ხოლო სამდივნოს ფუნქციებს ეროვნული ბანკი ასრულებს. დებულების თანახმად, უწყებათაშორისი კომიტეტი სხდომას წელიწადში არანაკლებ ერთხელ ან ეროვნული ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში გამართავს. კომიტეტის ძირითადი ამოცანა ფინანსური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით კრიზისული სიტუაციებისა და ფინანსური კრიზისის მართვის მექანიზმების შემუშავებაა.

2022 წელსაც ყოველწლიურად განსაზღვრული ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა ჩატარდა. კომიტეტს ფინანსთა მინისტრი თავმჯდომარეობდა და მონაწილეობდნენ ეროვნული ბანკის, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე საუბარი შეეხო რეზოლუციის ჩარჩოს საკვანძო ელემენტებსა და ასპექტებს, ეროვნული ბანკის საბანკო სექტორთან ურთიერთქმედებასა და უწყებებს შორის თანამშრომლობის გააქტიურების საჭიროებას. გარდა ამისა, კომიტეტის წევრებს გაუზიარდათ ინფორმაცია საბანკო სექტორში ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების დინამიკის, საკრედიტო ციკლის მიმდინარე შეფასების და სტრეს-ტესტის შედეგების შესახებ. სხდომაზე კომიტეტის წევრებმა ასევე განიხილეს და მხარი დაუჭირეს ფინანსური სტაბილურობის უწყებათაშორისი კომიტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებს, რომელიც IMF რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა და მიზნად ისახავდა უწყებათაშორისი ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის როლის მეტად დაკონკრეტებასა და უფლებამოსილებების მკაფიოდ განმარტებას.

### 3.5 საფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაცია

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოში ფუნქციონირებდა 15 კომერციული ბანკი, 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, 1 საკრედიტო კავშირი და საგადახდო მომსახურების 30 პროვაიდერი.

2022 წლის განმავლობაში ბანკის ლიკვიდაცია არ დაწყებულა, ბოლო ლიკვიდაცია კი საბანკო სექტორში 2019 წელს დასრულდა.

ეროვნული ბანკი საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდაციის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ ახორციელებს კრედიტორებისგან მოუკითხავი ფულადი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე აღრიცხვას, მათ ადმინისტრირებას და, მფლობელის გამოვლენის შესაბამისად, ამ თანხების მესაკუთრისთვის დაბრუნების უზრუნველყოფას.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკი განკარგავს კომერციული ბანკის ლიკვიდაციის შემდგომ აღმოჩენილ აქტივებს (ასეთ თავისებურებას ადგილი ჰქონდა ადრეულ წლებში წარმოებული სალიკვიდაციო პროცესის დასრულების შემდგომ), რომლის რეალიზებიდან მიღებული ფულადი სახსრები, წესისამებრ, ლიკვიდირებული ბანკის დარჩენილ კრედიტორებს შორის, შესაბამისი რიგითობის დაცვით ნაწილდება<sup>56</sup>. 2022 წელს ეროვნული


---

<sup>56</sup> იმ აქტივის ამოღების შემთხვევაში, რომელიც კომერციული ბანკის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე ამ კომერციული ბანკის აქტივი იყო, იგი ავტომატურად ჩაითვლება ლიკვიდირებული კომერციული ბანკის აქტივად და მისი განკარგვის უფლებას იძენს ეროვნული ბანკი („კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 37<sup>12</sup> მუხლის მე-15 პუნქტი).

ბანკის წარმოებაში ლიკვიდირებული კომერციული ბანკების ორი ახლად აღმოჩენილი აქტივის განკარგვის საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომელთაგან ერთის შემთხვევაში, ნაწილობრივ ამოღებული და კრედიტორებზე განაწილებული თანხები წინა წლებშიც გაიცემოდა. ზემოაღნიშნული აქტივების საქმისწარმოება 2023 წელსაც გრძელდება.

სალიკვიდაციო ფუნქციების განხორციელებისას ქვემოთ მოცემულ საზედამხედველო სუბიექტებთან მიმართებაში, ეროვნული ბანკი შესაბამისი კანონებითა და ბრძანებებით ხელმძღვანელობს. გარდა არსებული სამართლებრივი აქტებისა, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს პროცედურებს და შიდა კონტროლის სხვა ტექნიკურ დოკუმენტებს, რომელიც ლიკვიდაციის მიმდინარეობისას მმართველობითი საკითხების გაუმჯობესებას უწყობს ხელს და პროცესებს უფრო ორგანიზებულს და სტანდარტიზებულს ხდის.

### დიაგრამა N 3.3 ფინანსური ორგანიზაციების ლიკვიდაციის მიმდინარეობა 2022 წელს



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის თანაავტორობით, 2020-2022 წლებში საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავდა, რომელიც დასამტკიცებლად პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ცვლილებები იგეგმება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონებში, და სხვა რამდენიმე ნორმატიულ აქტში. საკანონმდებლო ცვლილებების ამოცანას ეროვნული ბანკის უფლებამოსილების გაფართოება წარმოადგენს, რათა სამართლებრივი აქტით განსაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების როგორც ლიკვიდაციის, ასევე გადახდისუუნარობის/გაკოტრების, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმის შემოღებისა და მოქმედების საკითხი. აღნიშნული ცვლილებები ეროვნულ ბანკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების ერთპიროვნულ უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც ხელს შეუწყობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის კრედიტორთა მოთხოვნების

დაკმაყოფილების პროცესის დროულ და ეფექტიან წარმართვას. აღნიშნული საზედამხედველო სუბიექტების ლიკვიდატორს, ასევე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დროებით ადმინისტრატორს ეროვნული ბანკი დანიშნავს და ისინი ანგარიშვალდებულნი ეროვნული ბანკის წინაშე იქნებიან. კანონპროექტის დამტკიცების შედეგად განმტკიცდება ეროვნული ბანკის საზედამხედველო ჩარჩო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართულებით.

## 4 საბანკო ზედამხედველობა

### 4.1 საზედამხედველო ჩარჩოს განვითარება

2022 წლის განმავლობაში შემუშავდა ახალი საზედამხედველო სუბიექტის - მიკრო ბანკისთვის მარეგულირებელი ჩარჩოს პირველადი საკანონმდებლო პაკეტი, კერძოდ, „მიკრო ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და გამომდინარე კანონპროექტები, რომლებიც პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. პარალელურად, ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს დამატებით კანონქვემდებარე აქტებზე. საკანონმდებლო პაკეტის მიზანს წარმოადგენს საფინანსო სექტორში საშუალო ზომის, სტაბილური ბიზნეს მოდელისა და მაღალი რეპუტაციის მქონე ახალი ფინანსური ინსტიტუტის შექმნა, სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაკრედიტების ხელშეწყობა, კონკურენციის ზრდა და საკრედიტო პროდუქტებზე საპროცენტო მარჟების შემცირება.

ზედამხედველობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებაზე მუშაობას ეროვნული ბანკი 2022 წლის განმავლობაში აქტიურად განაგრძობდა. შედეგად, "კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილებებით დაიხვეწა და ევროკავშირში მოქმედ საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივასთან (CRD)<sup>57</sup> არსებითად შესაბამისობაში მოვიდა კომერციული ბანკების ლიცენზირებასთან, ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ცვლილებები მნიშვნელოვანი იყო როგორც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების, ასევე ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (Single Euro Payment Area – SEPA) გაწევრიანებისათვის.

საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, მნიშვნელოვანი ეტაპი იყო განახლებულ მოთხოვნებთან ეროვნული ბანკის მარეგულირებელი აქტების შესაბამისობის უზრუნველყოფა. სწორედ ამ მიზნით, ეროვნულმა ბანკმა, 2022 წლის ბოლოს, კომერციული ბანკების ლიცენზირებისა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განახლებული წესები, ხოლო მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ახალი დებულება დაამტკიცა.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც საკანონმდებლო ცვლილებებზე, ასევე კანონქვემდებარე აქტებზე მუშაობის პროცესი სექტორთან კონსულტაციებისა და განხილვების ფონზე წარიმართა. განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სექტორს ვადა 2023 წლის 1-ელ აგვისტომდე განესაზღვრა.

<sup>57</sup> იხ. ბმულზე <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02013L0036-20220101>



საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალები იხ. ჩანართში N2.

## **ჩანართი 2 ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით განხორციელებული ცვლილებები**

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის სექტემბერში განხორციელებული ცვლილებები სამ მნიშვნელოვან თემას შეეხო:

- ლიცენზირების მოთხოვნები;
- ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნები;
- მნიშვნელოვანი წილის შექმნა და აქციონერთა შესაფერისობის მოთხოვნები.

ცვლილებების მიზანი, ევროკავშირში მოქმედ საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ დირექტივასთან (CRD) საქართველოს კანონმდებლობის არსებითი შესაბამისობის უზრუნველყოფა იყო. ცვლილებები, არსებითად, 2019 წლის განმავლობაში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული TWINNING-პროექტის ფარგლებში, პოლონეთის ფინანსური ზედამხედველობის უწყების (UKNF) ექსპერტების მიერ მომზადებული ანგარიშებსა და რეკომენდაციებს დაეფუძნა.

**ლიცენზირების მოთხოვნები** - სალიცენზიო კრიტერიუმების ნაწილში, კანონში ტექნიკური ხასიათის ცვლილებები შევიდა. სალიცენზიო კრიტერიუმები ცალკე მუხლად განისაზღვრა, ხოლო მოთხოვნების შინაარსი უცვლელი დარჩა და კვლავ შემდეგ საკითხებს მოიცავს: მინიმალური კაპიტალი, აქციონერების და ადმინისტრატორების შესაფერისობა, მფლობელობის/ჯგუფის სტრუქტურის გამჭვირვალობა, ბიზნეს გეგმის ადეკვატურობა და სათავო ოფისის ადგილსამყოფელი.

მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა პროცედურულ ნაწილში, კერძოდ, სალიცენზიო განაცხადის განხილვის ვადა 3 თვიდან 6 თვემდე გაიზარდა. დაზუსტდა ხარვეზის დადგენისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის საკითხები და განისაზღვრა სალიცენზიო განაცხადის განხილვის მაქსიმალური 12 თვიანი ვადა.

მნიშვნელოვანია პირობითი ლიცენზიის გაცემის საკითხის განსაზღვრა. კერძოდ, ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობისთვის, ასევე საბანკო სექტორის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, ადგილობრივ ბაზარზე არსებითად ახალი და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების და ფინანსურ მომსახურებაზე მომხმარებელთა წვდომის გაზრდის მიზნით, ეროვნული ბანკს იურიდიულ პირზე პირობითი ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილება მიეცა. პირობითი

ლიცენზია, კომერციული ბანკის ლიცენზირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნების დროებით გამარტივებითა და რისკების შემცირების მიზნით, შესაბამისი შეზღუდვების ან/და ინდივიდუალური/დამატებითი მოთხოვნების დართვით გაიცემა.

**ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნები** - ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების ნაწილი (განათლება/გამოცდილება, რეპუტაცია) კანონში ცვლილებების განხორციელებამდეც დირექტივის მსგავსად იყო განსაზღვრული. ცვლილებების შედეგად, დაიხვეწა არსებული და გაჩნდა შემდეგი ახალი კრიტერიუმები: **განსჯის დამოუკიდებლობა და საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის საკმარისი დრო.**

შეიცვალა პარალელურად დაკავებული პოზიციების დაშვებული ოდენობა, კერძოდ, ერთი აღმასრულებელი პოზიცია თავსებადია ორ არააღმასრულებელ პოზიციასთან, ან დასაშვებია 5 არააღმასრულებელი პოზიცია, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში დაკავებული პოზიციები მხედველობაში არ მიიღება. ამასთან, ერთ პოზიციად ითვლება ერთი ჯგუფის შიგნით დაკავებული პოზიციები (ჯგუფი გულისხმობს კომერციულ ბანკს, მის სათავეო საწარმოს/საწარმოებს და კომერციული ბანკის შვილობილ საწარმოს/საწარმოებს) და პოზიციები იმ საწარმოში/საწარმოებში, რომლის მნიშვნელოვან წილს ფლობს ბანკი.

ადმინისტრატორის შესაფერისობის პროცედურული საკითხები, წარმოსადგენი ინფორმაცია და სხვა დეტალები, მათ შორის კრიტერიუმების შინაარსიც, ეროვნული ბანკის აქტით დაზუსტდა.

**მნიშვნელოვანი წილის შეძენა და აქციონერთა შესაფერისობის მოთხოვნები** - ცვლილების შედეგად დაიხვეწა როგორც კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, ასევე მნიშვნელოვანი წილის შემძენთა/მფლობელთა შესაფერისობის კრიტერიუმები.

ცვლილების განხორციელებამდე, ეროვნული ბანკისათვის შეტყობინებასა და ნებართვას საჭიროებდა კომერციული ბანკის 10, 25 და 50 %-იანი წილის გადაჭარბება. ცვლილების შედეგად, აღნიშნული შეტყობინების ზღვრები დირექტივის მსგავსად განისაზღვრა და შეტყობინებას და ნებართვას დაექვემდებარა ბანკის 10, 20, 30 და 50%-იანი წილის გადაჭარბება, ასევე ბანკზე კონტროლის შეძენა. დაზუსტა კონტროლის, შვილობილი და მშობელი საწარმოს განმარტებები დირექტივის მიხედვით.

ცვლილება შეეხო პროცედურულ ნაწილსაც, კერძოდ, განაცხადის განხილვის ვადა 1 თვიდან 60 სამუშაო დღემდე გაიზარდა. ასევე დაზუსტდა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისა და ხარვეზის დადგენის საკითხები.

შესაფერისობის კრიტერიუმების ნაწილში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. კრიტერიუმების დიდ ნაწილს კანონი ცვლილებებამდეც ითვალისწინებდა. სიახლეა ის, რომ რეკუტაციის ნაწილში შესაბამისი კომპეტენციის არსებობაც შეფასდება. ასევე სიახლეა, რომ თუ წილის შეძენა იმ ოდენობით ხდება, რაც შემძენ ბანკს ადმინისტრატორების დანიშვნის უფლებასაც აძლევს, წილის შეძენაზე თანხმობის გაცემის დროს, წილის შემძენის მიერ სავარაუდო ადმინისტრატორებად შერჩეული პირები ადმინისტრატორთა შესაფერისობის მოთხოვნებთან თავსებადობაც გაითვალისწინება.

### *კანონქვემდებარე აქტების განახლება*

2022 წლის სექტემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ეროვნულ ბანკს კანონქვემდებარე აქტების კანონის განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად ვადა იმავე წლის 1 ნოემბრამდე განესაზღვრა. ეროვნულმა ბანკმა კანონქვემდებარე აქტებზე მუშაობა შესაბამის ვადაში დაასრულა და 1 ნოემბრისთვის კომერციული ბანკების ლიცენზირებისა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ განახლებული წესები, ხოლო მნიშვნელოვანი წილის შეძენის შესახებ ახალი დებულება დაამტკიცა.

კანონქვემდებარე აქტებით უფრო დეტალურად მოწესრიგდა კანონით განსაზღვრული ცალკეული ცნებებისა და კრიტერიუმების შინაარსი, პროცედურული საკითხები და როგორც ლიცენზირების, ასევე ადმინისტრატორთა და აქციონერთა შესაფერისობის შეფასების მიზნებისთვის, ეროვნული ბანკისათვის წარსადგენი სრული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

კანონქვემდებარე აქტებში გათვალისწინებული საკითხები, თავის მხრივ დაეფუძნა როგორც CRD-დირექტივას, ასევე ევროპის საბანკო უწყებისა და ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების უწყების ერთობლივ სახელმძღვანელოებს "[მნიშვნელოვანი წილის შეძენის პრუდენციული შეფასებისა](#)"<sup>58</sup> და "[ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასების შესახებ](#)".<sup>59</sup>

FSAP-ის რეკომენდაციისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს მთავრობასა და ეროვნული ბანკის მიერ 2022 წელს ხელმოწერილ განზრახვათა წერილის (Letter of intent) ფარგლებში აღებული ვალდებულების შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა „კომერციული ბანკის მიმართ საზედამხედველო ზომების, ადრეული

<sup>58</sup> იხ. ბმულზე <https://www.eba.europa.eu/regulation-and-policy/other-topics/joint-guidelines-for-the-prudential-assessment-of-acquisitions-of-qualifying-holdings>

<sup>59</sup> იხ. ბმულზე <https://www.eba.europa.eu/joint-esma-and-eba-guidelines-assessment-suitability-members-management-body-revised>

ინტერვენციის ზომის გამოყენებისა და საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ზოგიერთი საფუძვლის განმარტების შესახებ სახელმძღვანელო“, რომელიც „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საზედამხედველო ზომების, ადრეული ინტერვენციის ზომის გამოყენებისა და საბანკო საქმიანობის ლიცენზიის (შემდგომში - ლიცენზია) გაუქმების ზოგიერთ საფუძველს განმარტავს და ასევე აღნიშნულთან დაკავშირებულ პროცედურულ წესებს განსაზღვრავს.

ეროვნულმა ბანკმა ფინანსური ორგანიზაციებისთვის გამჭვირვალობის ახალი მოთხოვნები შეიმუშავა, რომელიც გულისხმობს, რომ ფინანსურმა ორგანიზაციებმა, მომხმარებლებისთვის საფინანსო პროდუქტების კომბინირებულად შეთავაზებისას, მომხმარებელს უნდა მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია, როგორც კომბინირებული შეთავაზების, ისე ცალკეული საფინანსო პროდუქტის სარეალიზაციო ფასის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მთავარი მიზანი კომბინირებული საფინანსო პროდუქტების ფასების გამჭვირვალობა, მომხმარებელთა მიერ მაქსიმალურად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და ბაზარზე კონკურენციის წახალისებაა.

2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც ეროვნულმა ბანკმა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის 2022 წლის გამოცემა გამოაქვეყნა.<sup>60</sup> ეროვნული ბანკის საზედამხედველო პრიორიტეტები სტრატეგიის 2022 წლის გამოცემაშიც უცვლელი დარჩა, ხოლო უკვე შესრულებული ამოცანების შესახებ ინფორმაცია განახლდა. სტრატეგიის ყოველწლიური დოკუმენტი განსაკუთრებულ აქცენტს მომდევნო 12-18 თვის პერიოდში დაგეგმილ საზედამხედველო პრიორიტეტების ძირითად ამოცანებსა და ცვლილებებზე აკეთებდა. 2020-2022 წლებში კი ეროვნულ ბანკი თავის საქმიანობას შემდეგი საზედამხედველო პრიორიტეტების გათვალისწინებით წარმართავდა: ლიდერობისა და ინიციატივების წამახალისებელი კორპორატიული კულტურის გაძლიერება; დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება; საფინანსო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების ხელშეწყობა; საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება; მდგრადი ფინანსური ტექნოლოგიების ეკოსისტემის განვითარება.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს საზედამხედველო პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაციაზეც, რის ფარგლებშიც, ეროვნული ბანკი მუშაობს რიგ შიდა პოლიტიკა-პროცედურების შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე. აღნიშნულის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) შიდა პროცედურა, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებსა და ვადებს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს. ამასთან, რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობისა და პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირების შესაბამისად განახლდა რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE)

<sup>60</sup> დაწვრილებით იხილეთ - [საზედამხედველო სტრატეგიის 2022 წლის გამოცემა](#)

სახელმძღვანელოც, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან და გათვალისწინებული იქნა FSAP შეფასებით განსაზღვრული რეკომენდაციები, რომლებმაც უფრო ეფექტური და გამჭვირვალე გახადა რისკების შეფასების პროცესები.

2022 წლის განმავლობაში საჯარო კონსულტაციების გამართვის მიზნით, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ზედამხედველობასთან დაკავშირებული არაერთი ცვლილებისა თუ რეგულაციის პროექტი გამოქვეყნდა, რომლებზეც ფართო საზოგადოებას შენიშვნებისა და რეკომენდაციების გაზიარების შესაძლებლობა მიეცა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკი მომავალშიც განაგრძობს ნორმატიული აქტების პროექტების გამოქვეყნებას, ვებ-გვერდის განახლებასთან ერთად აღნიშნული პროცესი უფრო მეტად დაიხვეწება და შესაბამისობაში მოვა ამ კუთხით არსებულ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან.

#### 4.2 კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკი

საბანკო სექტორის კორპორაციული მართვის გაჯანსაღებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, 2022 წელს მიმდინარეობდა კორპორაციული მართვის კოდექსში 2021 წელს შეტანილი ცვლილებების კომერციულ ბანკებში პრაქტიკულად იმპლემენტაციის მონიტორინგი. კერძოდ, კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, ბანკების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცდა სებ-ის ინსტრუქციის შესაბამისად იდენტიფიცირებული მატერიალური რისკის ამღები პირების სიები, რომელზეც იმოქმედებს კოდექსით განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკის პრინციპები. აღნიშნული, მნიშვნელოვნად შეზღუდავს ბანკებში მატერიალური რისკის ამღები პირების მხრიდან გადამეტებული რისკის აღების სტიმულს. მიმდინარეობდა სამეთვალყურეო საბჭოს განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი, მათ შორის, შესრულებული ფუნქცია-მოვალეობები, დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობა და კომიტეტების შემადგენლობა. კომერციულ ბანკებთან კონსულტაციების შედეგად, მოხდა ანაზღაურების პოლიტიკების კოდექსის განახლებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში გენდერული მრავალფეროვნების გაუმჯობესების მიზნით, „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსში“ 2022 წლის 24 აგვისტოს შევიდა ცვლილებები, რომლითაც კიდევ უფრო გაიზარდა გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნა. კერძოდ, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის წილი არანაკლებ 33 პროცენტს უნდა შეადგენდეს, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა არანაკლებ 40 პროცენტს. ამასთან, კოდექსს პირველად დაემატა სარეკომენდაციო ჩანაწერი, ბანკების დირექტორატის შემადგენლობის მიმართ, რომლის მიხედვითაც,

დირექტორატში სასურველია განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა არანაკლებ 33 პროცენტის წილი. აღსანიშნავია, რომ გენდერული დივერსიფიკაციის მოთხოვნა „კორპორაციული მართვის კოდექსში“ პირველად 2018 წელს გაჩნდა (სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 20 პროცენტის განსხვავებული სქესის წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტება), რის შედეგადაც, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ჯამურად, საბჭოებში ქალ წარმომადგენელთა წილი 30 პროცენტს შეადგენს, რაც დაწესებულ მოთხოვნას მნიშვნელოვნად აჭარბებს. აღნიშნული მოთხოვნის გაზრდა უახლეს საერთაშორისო პრაქტიკასა და სხვადასხვა კვლევებს დაეფუძნა. კვლევის თანახმად, გენდერულ დივერსიფიკაციასა და რისკიანობას შორის უარყოფითი ურთიერთკავშირია და ქალები საშუალოდ უფრო მეტად არიან რისკის მიმართ ნეგატიურად განწყობილნი, ვიდრე მამაკაცები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ IMF-ის თანახმად, სამუშაო ძალაში ქალების თანაბარი ჩართულობა იწვევს მაღალ ეკონომიკურ ზრდას<sup>61</sup>, ამასთან სამეთვალყურეო საბჭოებში ქალების მაღალი წილი ფინანსური ინსტიტუტის მეტ სტაბილურობასთან ასოცირდება<sup>62</sup>. ლიდის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის კვლევით საბჭოში მინიმუმ ერთი ქალი წევრის დამატება კომპანიის გაკოტრების ალბათობას 20 პროცენტით ამცირებს<sup>63</sup> და აკადემიური კვლევების კონსესუსის თანახმად, საბჭოებში, რომლებშიც მეტი ქალია უმჯობესდება კორპორაციული მართვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, თანამშრომლებთან კომუნიკაცია, მომხმარებელთა კმაყოფილება, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და მცირდება გადაცდომა/ჯარიმების რაოდენობა<sup>64</sup>.

კორპორაციული მართვის კოდექსის ერთ-ერთ მოთხოვნას ასევე, წარმოადგენს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასება. აღნიშნული შეფასება მოიცავს როგორც თვითშეფასებას, ასევე პერიოდულად გარე შემფასებლის შეფასებასაც. ეროვნული ბანკის მიერ ბანკის კორპორაციული მართვის შეფასების კუთხით გააქტიურდა აღნიშნული შეფასების დასკვნების შესწავლა და ამავდროულად შიდა აუდიტის ფუნქციის შესწავლა, მისი დამოუკიდებლობისა და ჯანსაღი ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული შეფასებები გათვალისწინებული იქნება რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE - General Risk Assessment Program) ფარგლებში.

კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასება საქართველოს ეროვნული ბანკის რისკების შეფასების საერთო პროგრამის ნაწილია. ჯგუფის სტრუქტურის შეფასება მოიცავს როგორც ბანკის მფლობელობის სტრუქტურას, ინვესტიციებთან დაკავშირებულ რისკებსა და საბანკო ჯგუფის წევრებთან განხორციელებულ ტრანზაქციებს, ისე ბანკების ინვესტიციებისა და საინვესტიციო

<sup>61</sup> იხ. ბმული [IMF Working Paper: Gender Equality and Inclusive Growth](#)

<sup>62</sup> იხ. ბმული [IMF Staff Discussion Note - Women in Finance: A Case for Closing Gaps](#)

<sup>63</sup> იხ. ბმული [Women on boards February 2011](#)

<sup>64</sup> იხ. ბმული [Journal of Corporate Finance: Gender diversity and bank misconduct](#)

საქმიანობის რისკების შეფასებას. შეფასების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებს საქართველოში წარმოდგენილი საერთაშორისო საბანკო ჯგუფების მშობელ ქვეყნებში განვითარებული პროცესების მონიტორინგსა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი ინვესტორების შეფასებას.

უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიული საომარი მოქმედებების გამო რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების კვალდაკვალ, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად ახორციელებდა საბანკო ჯგუფების სტრუქტურის შეფასებასაც, მათ შორის, საქართველოში ლიცენზირებული ბანკების მშობელ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შეფასებას და არსებული რისკების ბანკზე გადმოცემის შეფასებას. ზემოთ აღნიშნული სანქციები ასევე გავრცელდა საქართველოში მოქმედ სს "ვითიბი ბანკ საქართველოზე". სს "ვითიბი ბანკი საქართველოს" დეპოზიტარების და მსესხებლების დაცვის მიზნით მოხდა მათი გადაყვანა და სს "ბაზის ბანკსა" და სს "ლიბერთი ბანკში".

2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობდა ბანკების ინტერესთა კონფლიქტის დებულების განახლებაზე, რისთვისაც შემუშავებულ იქნა დებულებაში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილებები. ბანკის მიერ დაკავშირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები და დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობა წარმოადგენს კომერციული ბანკების კორპორაციული მართვისა და ჯგუფის სტრუქტურის რისკის შეფასების ნაწილს.

2022 წლის ნოემბერში, საბანკო საქმიანობის ლიცენზია მიიღო ციფრულმა ბანკმა „პეისერა საქართველომ“. სს "პეისერა საქართველოს" ბიზნეს მოდელი ევროკავშირის ფინანსურ სისტემასთან ინტეგრაციას ეფუძნება და მომხმარებლებისთვის ინოვაციური ციფრული პროდუქტების შეთავაზებას გულისხმობს. სს "პეისერა საქართველო" საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან ოთხი თვის მანძილზე სატესტო რეჟიმში იმუშავებს და რეალურ გარემოში საბანკო საქმიანობის განხორციელება შეზღუდული ექნება. საბანკო საქმიანობების რეალურ რეჟიმში განხორციელების უფლებამისილების მინიჭება, სალიცენზიო მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული თანხმობის საფუძველზე, ეტაპობრივად მოხდება.

სს „პეისერა საქართველოზე“ ლიცენზიის გაცემის შემდეგ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორში 15 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. ამავე პერიოდში არარეზიდენტი მესაკუთრეების მონაწილეობა ბანკების აქტივებში, საბოლოო მფლობელობის მიხედვით, 87.9 პროცენტს, ხოლო სააქციო კაპიტალში - 87.4 პროცენტს შეადგენს.

ეროვნული ბანკი აქტიურად განაგრძობს კონსოლიდირებული ზედამხედველობის ჩარჩოზე მუშაობას, რომლის დასრულება 2023 წლის ბოლომდეა დაგეგმილი. ზედამხედველობის საბანკო ჯგუფის დონეზე (ე.წ. კონსოლიდირებული ზედამხედველობა)

განხორციელების მანდატი ეროვნულ ბანკს 2017 წლის ბოლოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ტენდენციის კვალდაკვალ, საქართველოში არსებულმა საბანკო ჯგუფებმა აქტიურად დაიწყეს ელექტრონული ვაჭრობის პლატფორმებისა და შესაბამისი ეკოსისტემების განვითარება. შესაბამისად, 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ბანკებსა და ელექტრონულ პლატფორმებს შორის თანამშრომლობის გამჭვირვალობისა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით, ბანკებისათვის დამატებითი მოთხოვნები შეიმუშავა, რომლის პროექტი დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციოდ გაზიარდა.

### 4.3 კაპიტალის ადეკვატურობა

საქართველოს საბანკო სისტემა 2022 წლის ბოლოსათვის, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში, COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების გათვალისწინებით, კაპიტალის ადეკვატურ დონეს კვლავაც ინარჩუნებდა.

2022 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა, [ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის \(BCBS\) რეკომენდაციების გათვალისწინებით](#)<sup>65</sup>, კონტრციკლური ბუფერის დაწესების ჩარჩოს განახლების გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გულისხმობს სტრესული პერიოდებისთვის კაპიტალის ბუფერების დაგროვების მიზნით ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის დაწესებას (იხ. ჩანართი 3).

2023 წლის იანვარში განახლდა სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების წესი, რომლითაც დადგინდა სისტემური მნიშვნელობის ქულების განმსაზღვრელი ინდიკატორები და შესაბამისი წონები. ახალი წესის შესაბამისად სისტემურობის ბუფერი შემდეგი განაკვეთებით დაუწესდა სამ ბანკს:

კომერციული ბანკი	სისტემურობის ბუფერის განაკვეთი
სს „საქართველოს ბანკი“	2.5%
სს „თიბისი ბანკი“	2.5%
სს „ლიბერთი ბანკი“	1%

<sup>65</sup> Buffer usability and cyclical in the Basel framework, October, 2022 - <https://www.bis.org/bcbs/publ/d542.pdf>



ამას გარდა, იმ შემთხვევაში თუ ბანკის საბაზრო წილი დეპოზიტებში აღემატება 40 პროცენტს, სისტემურობის ბუფერის ზღვარი 3 პროცენტამდე გაიზრდება. სისტემურობის ბუფერის 3 პროცენტამდე გაზრდის შემთხვევაში, მისი დაცვისთვის ბანკებს ექნებათ 12 თვე.


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 17.06 პროცენტს, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი - 20.25 პროცენტს შეადგენს, რაც ჯამურ მოთხოვნებზე, შესაბამისად, 3.88 და 3.47 პპ-ით მეტია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე მაღალია ლევერიჯის კოეფიციენტი<sup>66</sup>, რომელიც 12.97 პროცენტს უტოლდება და მოთხოვნას 7.97 პპ-ით აღემატება.

---

<sup>66</sup> კაპიტალის შეფარდება აქტივებთან.

დიაგრამა N 4.1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები ბაზელ III-ის შესაბამისად



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნას საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერს, საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE ბუფერის განსაზღვრის წესს.

მნიშვნელოვანია, რომ პილარ 2-ის ფარგლებში დაწესებული კაპიტალის ბუფერები (გარდა საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერისა) კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო კაპიტალის ელემენტები იმავე პროპორციით უნდა დააკმაყოფილონ, როგორც ეს მინიმალურ მოთხოვნებშია მოცემული (ძირითადი პირველადი კაპიტალი - 4.5 პროცენტი, პირველადი კაპიტალი - 6 პროცენტი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი - 8 პროცენტი). შესაბამისად, პილარ 2-ის ფარგლებში მოთხოვნილი კაპიტალის 56 პროცენტი დაცული უნდა იყოს ძირითადი პირველადი კაპიტალის ელემენტებით, ხოლო 75 პროცენტი პირველადი კაპიტალის ელემენტებით. აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით, კომერციულ ბანკებს შესაბამისი ვადები მიეცათ (ცხრილი N 4.1).

**ცხრილი N 4.1 კონცენტრაციისა და წმინდა GRAPE ბუფერების დაწესების ვადები COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში**

კონცენტრაციის (სახელობითი და სექტორული) ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის განაკვეთები	31/03/2021	31/03/2022	31/03/2023 და შემდგომ
ძირითადი პირველადი კაპიტალი	30%	45%	56%
პირველადი კაპიტალი	40%	60%	75%
მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი	100%	100%	100%

COVID 19-ის კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის პირველ იანვარს დაიწყო. ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად ვადა 2023 წლის პირველ იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კი 2024 წლის პირველ იანვრამდე განესაზღვრათ. მიუხედავად აღნიშნული ვადებისა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების უმეტესობას აღნიშნული ბუფერები აღდგენილი აქვს, ხოლო შეღავათებით მხოლოდ ხუთი კომერციული ბანკი სარგებლობს. ამას გარდა, 2022 წლის განმავლობაში ბანკები აქტიურად ახორციელებდნენ კაპიტალის ინსტრუმენტების მოზიდვას, როგორც მეორადი კაპიტალის, ასევე დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტების სახით. კერძოდ, 2022 წლის განმავლობაში, დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტი გამოუშვა ორმა ბანკმა, მათ შორის, ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული „მწვანე“ კაპიტალის ინსტრუმენტია, რაც გულისხმობს აღნიშნული კაპიტალის გამოყენებას მწვანე ინიციატივების დასაფინანსებლად.


მიუხედავად საგრძნობი შემცირებისა, დოლარიზაცია ფინანსური სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ამის გათვალისწინებით, 2022 წლის მარტში დამტკიცდა არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის დათვლის ახალი მეთოდოლოგია, რომელიც სავალდებულო გახდა 2023 წლის მარტიდან. აღნიშნული ცვლილებით, 40 პროცენტი ან ნაკლების დოლარიზაციის შემთხვევაში, რისკის წონა 40 პროცენტის ტოლი იქნება (ნაცვლად 75-ისა) და ყოველი ერთი კპ-ით დოლარიზაციის ზრდა რისკის წონას 3 კპ-ით გაზრდის, მაქსიმუმ 100 პროცენტამდე. გადასვლის ეტაპზე სისტემის დონეზე CICR-ის დათვლის აღნიშნული სქემა მთლიანად საბანკო სისტემისთვის კაპიტალის მოთხოვნის მატერიალურ ცვლილებას არ გამოიწვევს, თუმცა ცალკეული ბანკებისთვის ბუფერის მოთხოვნა მათი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე შეიცვლება.

2022 წელსაც ეროვნულ ბანკს არ დაუწესებია წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი, ვინაიდან კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს მიმართ ეროვნული ბანკის მიდგომა მოთხოვნების

კონტრციკლურად გავრცელებას გულისხმობს - კაპიტალის ბუფერების დაგროვებას ეკონომიკური ზრდის პერიოდში და მათ გამოთავისუფლებას სტრესულ პერიოდში. თუმცა 2023 წელს განახლებული სტრეს-ტესტების შედეგებიდან გამომდინარე და თუ გარემო ამის შესაძლებლობას იძლევა, საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს სტრეს-ტესტ ბუფერის დაწესებას.

2018 წელს წმინდა GRAPE ბუფერი ამოქმედდა, რომელიც რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის უწყვეტი ციკლის ფარგლებში განისაზღვრება და რომლის მიზანიც კომერციული ბანკების რისკების შეფასებაა. GRAPE-ის საფუძველზე თითოეული კომერციული ბანკის რისკის პროფილი ფასდება. 2022 წლის აგვისტოში ეროვნულმა ბანკმა კიდევ ერთხელ განაახლა წმინდა GRAPE ბუფერები, რის შემდეგაც ინდივიდუალური GRAPE ბუფერების მოცულობა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.3-9.3 პროცენტის შუალედში განისაზღვრა.

**დიაგრამა N 4.2 პილარ 2-ის ჯამური მოთხოვნები ბანკების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით<sup>67</sup>**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს ეროვნული ბანკი კვლავ აგრძელებდა კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტების უფრო მეტად დაახლოებას ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ რეგულაციებთან. კერძოდ, აღნიშნულ რეგულაციებში განხორცილებული ცვლილებების


<sup>67</sup> პილარ 2-ის მოთხოვნები მოცემულია COVID-19-თან დაკავშირებული საზედამხედველო ღონისძიებების ფარგლებში არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის მოთხოვნის შემცირების გათვალისწინებით.

შესაბამისად, კაპიტალის ადეკვატურობის სტანდარტებში დაემატა სახელმწიფო გასაცემლების (მაგ. პენსიების) ბენეფიციარების მიმართ არსებული რისკის პოზიციების მიმართ შეღავათიანი შეწონვა 35 პროცენტის ოდენობით.

საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების ფარგლებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლა, რომელიც 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით იყო გათვალისწინებული. ამ წლების განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა ფასს-ზე გადაყვანის კონცეფცია და ცვლილებები; დამტკიცდა „ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესი“ და ცვლილებები შევიდა შესაბამის ბრძანებებში, რომელიც 2023 წლის პირველი იანვრიდან შევიდა ძალაში. ფასს-ზე გადასვლის შედეგად, კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო ნორმატივები უნდა დაიცვან ფასს-ზე დაფუძნებული რიცხვებითა და მიდგომებით. შედეგად ქართული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგება გახდა განვითარებული ქვეყნების შესაბამისი და შესადარისი.

ამასთან, ეროვნული ბანკის გაცხადებული პრინციპით, ფასს-ზე გადასვლისას, სხვა თანაბარ პირობებში, მაქსიმალურად უნდა შენარჩუნებულიყო საზედამხედველო კაპიტალის ხარჯის მიმართ ნეიტრალური მიდგომა. აღნიშნული პრინციპის მიზანი იყო აღრიცხვის სტანდარტების ცვლილება საბანკო სექტორისთვის არ ყოფილიყო დამატებითი კაპიტალის ხარჯის გამოწვევი. ამავდროულად, არ უნდა გაუარესებულიყო ბანკების კაპიტალის პოზიციები. კაპიტალის ხარჯის მიმართ ნეიტრალური მიდგომის ხომალს საბანკო სისტემაში საზედამხედველო კაპიტალზე არსებული ბუფერის შემცირებას ძირითად პირველად და პირველად კაპიტალზე ბუფერის გაზრდის ხარჯზე (იხ. დიაგრამა 4.3). ამ მიზნით, „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი“ დაემატა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი და მისი დათვლის განახლებული წესი. საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერის დაწესების მიზანია აქტივებისათვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა.

დიაგრამა N 4.3 კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები და მოთხოვნები ადელოზრვი აღრიცხვისა და ფასს-ის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### ჩანართი 3 კაპიტალის კონტრციკლური ბუფერის განახლებული ჩარჩო

კონტრციკლური ბუფერი ბაზელის საბანკო ზედამხედველობის კომიტეტის (BCBS) მიერ შემოთავაზებული კაპიტალის ელემენტია. მისი მოცულობის განსაზღვრა ძირითადად სესხების მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრას ეფუძნება. თუმცა მისი განსაზღვრისას სხვა საზომებიც გამოიყენება, როგორცაა საკრედიტო ტენდენციები, ფინანსური სექტორის ციკლური პოზიციის სხვა მაჩვენებლები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროფინანსური გარემოს მახასიათებლები. ამასთანავე, ნაცვლად მექანიკური და ავტომატიზებული მიდგომისა, აღნიშნული მეთოდოლოგია ექსპერტულ შეფასებებს ეყრდნობა.

ქვეყნების უმეტესობამ, რომლებსაც კონტრციკლური ბუფერის დადებითი მოთხოვნა ჰქონდათ დაწესებული, ეს მოთხოვნა COVID-19 პანდემიის დაწყებისთანავე შეამცირა. ხოლო რიგმა ქვეყნებმა კაპიტალის სხვა მოთხოვნები შეამცირეს. შესაბამისად, პანდემიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა კონტრციკლური ბუფერების აუცილებლობა. თუმცა, პანდემიის დაწყებამდე, ქვეყნების ნაწილს კონტრციკლური ბუფერი დაწესებული არ ჰქონდა, რადგან ინდიკატორები მკაფიოდ ან საერთოდ არ მიუთითებდა კაპიტალის გაზრდის საჭიროებაზე.

ბაზელის კომიტეტის<sup>68</sup> მიერ შემოთავაზებული ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერი სწორედ ზემოთ ხსენებული ნაკლოვანების აღმოფხვრას ემსახურება. იგი არის შოკურ პირობებში გამოთავისუფლებადი ბუფერი, რომელიც წინმსწრებ საკრედიტო ზრდასთან არ არის დაკავშირებული.

თუკი სტანდარტული კონტრციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნულის ტოლი იყო, ნეიტრალური პოზიტიური კონტრციკლური ბუფერის საბაზისო განაკვეთი ნორმალურ პერიოდში დადებითი იქნება. ქვეყნების მზარდმა ნაწილმა, როგორცაა ავსტრალია, ნიდერლანდები, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, ჰონგ-კონგი, ესტონეთი, ლიეტუვა და ირლანდია, საბაზისო განაკვეთად პოზიტიური ბუფერის 1%-2% შორის შემოღება დაიწყო.

იმისთვის, რომ შოკურ პერიოდებში ეკონომიკის დაკრედიტება გაგრძელდეს, საჭიროა, საბანკო სისტემას გააჩნდეს ისეთი ბუფერები, რომელთა შოკის დროს შემცირებაც იქნება შესაძლებელი.

<sup>68</sup> Buffer usability and cyclicalities in the Basel framework, October, 2022 - <https://www.bis.org/bcbs/publ/d542.pdf>

#### 4.4 ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობა

კომერციული ბანკების საზედამხედველო ანგარიშგებების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) გადასვლა 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიით იყო გათვალისწინებული. ფასს-ზე გადასვლით საბანკო სექტორის საჯარო და საზედამხედველო ანგარიშგებები ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას დაუახლოვდება. ფასს-ზე გადასვლის შედეგად, კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო ნორმატივები უნდა დაიცვან ფასს-ზე დაფუძნებული რიცხვებითა და მიდგომებით. შესაბამისი ცვლილებები საზედამხედველო ნორმატიულ ბაზაში 2023 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში.

„ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესი“ ფასს 9-ს ეფუძნება და გარკვეულ საკითხებზე აკონკრეტებს მიდგომას, რომლითაც კომერციულმა ბანკებმა საზედამხედველო ანგარიშგებაში ფასს 9-ის გამოყენებისას უნდა იხელმძღვანელონ. წესის დანერგვა ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოთვლის მიდგომების შესადარისობასა და ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად თანამშრომლობდა კომერციულ ბანკებთან, საბანკო ასოციაციასთან, აუდიტორულ ფირმებთან და მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან.


2022 წლიდან დაიწყო პარალელური ანგარიშგება, რაც საანგარიშგებო ფორმების როგორც ადგილობრივი (მიმდინარე), ასევე ფასს-ის შესაბამისი მოთხოვნებით წარდგენას მოიაზრებს. აღნიშნული პროცესი დროებითია და მიზნად ისახავს მყარი ნიადაგის მომზადებას ადგილობრივი საანგარიშგებო სტანდარტების სრულად ფასს-ით ჩასანაცვლებლად. გაგრძელდა მუშაობა FINREP ანგარიშგების ფორმების დანერგვაზე, რომელიც ფასს-ზე გადასვლის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნული ფორმები კომერციული ბანკების მიერ სატესტო რეჟიმში 2018 წლიდან ივსება. 2022 წლიდან FINREP ანგარიშგების ფორმების წარდგენის პერიოდულობა ყოველთვიური გახდა.



## 4.5 საკრედიტო რისკი

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საბანკო სისტემის მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 45 მილიარდ ლარს მიაღწია და მისი წლიური ზრდა, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე (2021 წლის ბოლოს არსებული კურსით), 13 პროცენტი იყო.

დიაგრამა N 4.4 მთლიანი სასესხო პორტფელის ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) შედგენილობა, სეგმენტების ჭრილში მცირედით შეცვლილია, კერძოდ, წლის მანძილზე გაიზარდა საცალო და მცირე და საშუალო სეგმენტების წილი მთლიან პორტფელში, ხოლო კორპორატიული სეგმენტის წილი შემცირდა.


ცხრილი N 4.2 საკრედიტო პორტფელის (ბანკთაშორისი სესხების გარდა) კომპოზიცია სეგმენტების მიხედვით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2021 წლის ბოლოს არსებული კურსით)

	დეკ-21		დეკ-22		ცვლილება %	ცვლილება რეკლასიფიკაციის ეფექტის გარეშე %
	მლნ ლარი	წილი %	მლნ ლარი	წილი %		
კორპორატიული სესხები	14,632	34%	15,437	32%	5.5%	4.2%
მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები	11,501	27%	13,438	28%	16.8%	18.8%
საცალო სესხები	16,949	39%	19,413	40%	14.5%	14.3%
სულ:	43,082	100%	48,289	100%	12.1%	12.1%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წელს სესხები საშუალოდ 1 პროცენტით მაღალი განაკვეთით გაიცემოდა ვიდრე 2021 წელს, რაც თავის მხრივ, ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთის ზრდით იყო გამოწვეული.

**დიაგრამა N 4.5 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სეგმენტების მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 4.6 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები კორპორატიულ პორტფელში**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### დიაგრამა N 4.7 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები მცირე და საშუალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### დიაგრამა N 4.8 სესხების ნაკადებზე არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები საცალო საკრედიტო პორტფელში



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელი სექტორულად დივერსიფიცირებულია. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბრის ბოლოს, ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების (უძრავი ქონების

დეველოპმენტი, უძრავი ქონების მენეჯმენტი, სასტუმროები და ტურიზმი, რესტორნები და კვების ობიექტები, ავტოდილერები) ჯამურმა წილმა პორტფელში 16.6 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის დეკემბრის თვის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1.5 პპ-ით ნაკლებია.

### ცხრილი N 4.3 საკრედიტო პორტფელის სექტორული განაწილება

სექტორი ბანკთაშორისი სესხების გარდა (მილიონი ლარი)	წილი მთლიან პორტფელში	სესხის ნაშთი	სესხის რეზერვი	სესხის რეზერვი / პორტფელი
<b>ბიზნეს სესხები</b>	<b>59.6%</b>	<b>26,700</b>	<b>1,092</b>	<b>4.1%</b>
სახელმწიფო ორგანიზაციები	0.3%	121	2	2.0%
საფინანსო ინსტიტუტები	1.4%	611	13	2.1%
ლომბარდული სესხები (საბითუმო)	1.3%	561	16	2.9%
უძრავი ქონების დეველოპმენტი	3.6%	1,633	79	4.8%
უძრავი ქონების მენეჯმენტი	5.6%	2,500	104	4.2%
სამშენებლო კომპანიები (არა დეველოპერები)	1.8%	792	44	5.6%
სამშენებლო მასალების მოპოვება, წარმოება და ვაჭრობა	2.7%	1,189	46	3.9%
სამომხმარებლო საქონლის ვაჭრობა	3.6%	1,593	49	3.1%
სამომხმარებლო საქონლის წარმოება	3.5%	1,570	95	6.1%
ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა	1.0%	458	15	3.2%
ფეხსაცმლის, ტანსაცმლის და ტექსტილის წარმოება და ვაჭრობა	0.8%	353	11	3.2%
ვაჭრობა (სხვა)	4.0%	1,798	73	4.1%
წარმოება (სხვა)	1.6%	722	23	3.2%
სასტუმროები და ტურიზმი	5.6%	2,498	132	5.3%
რესტორნები, ბარები, კაფეები და სწრაფი კვების ობიექტები	1.3%	599	31	5.2%
მძიმე მრეწველობა	1.5%	671	42	6.3%


ბენზინგასამართ სადგურებსა და ბანზინის იმპორტიორებზე გაცემული სესხები	0.8%	360	15	4.2%
ენერგეტიკა	3.6%	1,625	38	2.4%
ავტომობილების დილერები	0.5%	204	5	2.6%
ჯანდაცვა	2.0%	894	22	2.5%
ფარმაცევტიკა	0.3%	133	3	2.5%
ტელეკომუნიკაცია	0.5%	202	12	6.2%
სერვისი	5.5%	2,471	93	3.7%
სოფლის მეურნეობის სექტორი	6.1%	2,735	108	3.9%
სხვა ბიზნეს სექტორები	0.9%	407	17	4.3%
<b>საცალო პროდუქტები</b>	<b>40.4%</b>	<b>18,077</b>	<b>703<sup>69</sup></b>	<b>3.9%</b>
სატრანსპორტო სესხები	0.4%	170	6	3.7%
სამომხმარებლო სესხები	16.6%	7,416	338	4.6%
მომენტალური განვადება	0.8%	378	12	3.1%
ოვერდრაფტები	0.1%	52	6	10.9%
საკრედიტო ბარათები	1.0%	429	22	5.2%
იპოთეკური სესხები - უძრავი ქონების რემონტისათვის	1.8%	800	23	2.9%
იპოთეკური სესხები	19.7%	8,832	296	3.3%
<b>საკრედიტო პორტფელი (ბანკთაშორისი სესხების გარეშე)</b>	<b>100.0%</b>	<b>44,776</b>	<b>1,800<sup>70</sup></b>	<b>4.0%</b>

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>69</sup> რეზერვი საცალო პროდუქტებზე მოიცავს საერთო რეზერვს.

<sup>70</sup> რეზერვი საკრედიტო პორტფელზე (ბანკთაშორისი სესხების გარეშე) მოიცავს საერთო რეზერვს.

**დიაგრამა N 4.9 ეკონომიკურად მოწყვლადი სექტორების წილი ჯამურ საკრედიტო პორტფელში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, საცალო პროდუქტების ზრდის ტემპმა, 2021 წელთან შედარებით, მოიმატა. ზრდა დაფიქსირდა ყველა პროდუქტში, გარდა ოვერდრაფტებისა. ამასთან, ფიქსირებული კურსის გათვალისწინებით, საცალო პროდუქტების ზრდის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი იპოთეკური და სამომხმარებლო სესხების დაკრედიტების ზრდა იყო, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე იპოთეკური სესხები.


**ცხრილი N 4.4 საცალო პროდუქტების ზრდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, 2021 წლის ბოლოს არსებული კურსით)**

პროდუქტი	დეკ-21		დეკ-22		ცვლილება, % ფიქსირებული კურსით	ცვლილება, მლნ ლარი
	მლნ ლარი	წილი, %	მლნ ლარი	წილი, %		
<b>საცალო პროდუქტები</b>	<b>16,540</b>	<b>100%</b>	<b>18,954</b>	<b>100%</b>	<b>14.6%</b>	<b>2,414</b>
ავტო-სესხები	145	1%	181	1%	24.9%	36
სამომხმარებლო სესხები	6,260	38%	7,541	40%	20.5%	1,281
მომენტალური განვადება	359	2%	378	2%	5.3%	19
ოვერდრაფტები	54	0%	53	0%	-1.8%	-1
საკრედიტო ბარათები	380	2%	430	2%	13.0%	49
სესხები ბინის რემონტისათვის	761	5%	837	4%	10.1%	77
იპოთეკური სესხები	8,581	52%	9,534	50%	11.1%	953

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


წინა წელთან შედარებით, საცალო პროდუქტების პორტფელის სტრუქტურა მცირედით შეიცვალა, რაც სამომხმარებლო სესხების წილის ზრდით და ბინის რემონტისთვის და იპოთეკური სესხების წილის შემცირებით გამოიხატება. იპოთეკური სესხების წილის შემცირება, ძირითადად, გამოწვეულია სამომხმარებლო სესხების უფრო მაღალი ზრდის ტემპითა და, ასევე, ლარის გაცვლითი კურსის გამყარებით წინა წლის დეკემბერთან შედარებით, რადგან იპოთეკურ სესხებში დოლარიზაცია უფრო მაღალია.

**დიაგრამა N 4.10 სეგმენტების ნაშთები ვალუტების ჭრილში 2022 წლის ბოლო მდგომარეობით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 4.11 საცალო პორტფელის კომპოზიცია ვალუტების ჭრილში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ცხრილი N 4.5 საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით**

კატეგორია (ბანკთაშორისი სესხების გარდა)	თანხა მლნ ლარი	წილი	რეზერვი
სტანდარტული	40,898	91.3%	2%
ნეგატიური სესხები	3,879	8.7%	25%
საყურადღებო	2,040	4.6%	10%
უმოქმედო სესხები	1,838	4.1%	42%
არასტანდარტული	1,042	2.3%	30%
საექვო	347	0.8%	47%
უიმედო	449	1.0%	66%
<b>სულ:</b>	<b>44,776</b>	<b>100%</b>	<b>4%</b>

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ცხრილი N 4.6 პორტფელის ხარისხი სეგმენტების მიხედვით**

სეგმენტი	ნეგატიური სესხები	უმოქმედო სესხები	საშუალო რეზერვი
კორპორატიული	12.06%	3.30%	3.96%
მცირე და საშუალო	9.18%	5.32%	4.25%
საცალო	5.82%	3.90%	3.88%


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პორტფელის ხარისხობრივი მაჩვენებლები - ნეგატიური/უმოქმედო სესხების და სესხების შესაძლო დანაკარგების პროცენტული მაჩვენებლები.

რაც შეეხება, საცალო საკრედიტო პორტფელის ხარისხს, მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს, წინა წელთან შედარებით იპოთეკურ სესხებში უმოქმედო სესხების წილი შემცირებულია, მთლიანი საცალო პროდუქტების პორტფელში გაიზარდა უმოქმედო სესხების წილი, რაც, მეტწილად, განპირობებულია სამომხმარებლო სესხების ხარისხის გაუარესებით. აღნიშნულმა გამოიწვია დიდი მოცულობით სამომხმარებლო სესხების ჩამოწერა. რეზერვის პროცენტული წილი პორტფელში ყველა საცალო პროდუქტისთვის შემცირებულია, პორტფელის ჩამოწერის და ზრდის ეფექტის გათვალისწინებით.




**დიაგრამა N 4.12 საცალო პორტფელის ხარისხი და რეზერვის წილი პროდუქტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საცალო პროდუქტების პორტფელისთვის გაიზარდა რისკის ხარჯი, თუმცა ავტო სესხებისთვის, საკრედიტო ბარათებისთვის, სესხები ბინის რემონტისათვის და იპოთეკური სესხებისთვის რისკის ხარჯი წინა წელთან შედარებით შემცირდა. სამომხმარებლო სესხებისთვის, მომენტალური განვადებისთვის და ოვერდრაფტებისთვის წინა წელთან შედარებით რისკის ხარჯის ზრდა აღნიშნული პროდუქტების სესხების გაზრდილმა ჩამოწერამ გამოიწვია.

**დიაგრამა N 4.13 რისკის ხარჯის ცვლილება (დეკ-2022 - დეკ-2021)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.14 საკრედიტო პორტფელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ბანკთაშორისი სესხების გარდა)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.15 რესტრუქტურირებული სესხების წილი ვალუტების მიხედვით მთლიან სასესხო პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.16 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით ბიზნეს სესხებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.17 უმოქმედო სესხების წილი ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.18 სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის მთლიან პორტფელთან თანაფარდობა<sup>71</sup>



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.19 ცვლად განაკვეთიანი სესხების მოცულობა და თანაფარდობა (წმინდა სესხებთან)<sup>72</sup>




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>71</sup> მოიცავს საერთო რეზერვს

<sup>72</sup> წმინდა სესხები - სესხის მოცულობა შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოკლების შემდეგ.


2022 წელს წმინდა ჩამოწერილი სესხების მოცულობა 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 109.5 პროცენტით გაიზარდა. წინა წლის მსგავსად მიმდინარე წელსაც, წმინდა ჩამოწერილი სესხების დიდი წილი მოდის საცალო სეგმენტზე. ზრდა ფიქსირდება როგორც ჩამოწერილ აქტივებში, ისე ჩამოწერილი აქტივების ამოღებაში, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებადაა გაზრდილი, ვიდრე აქტივების ჩამოწერა.

**დიაგრამა N 4.20 სესხების ჩამოწერა და ამოღება**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 4.21 პრობლემური აქტივები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, დასაკუთრებული ქონების წილის მოცულობა მთლიან დაბანდებებში (სესხებს დამატებული დასაკუთრებული ქონება) მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

### დიაგრამა N 4.22 დასაკუთრებული აქტივები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### უძრავი ქონების დეველოპმენტის კვლევა

უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორი განსაკუთრებით მგრძობიარეა ეკონომიკური შოკების მიმართ. ამასთან ბოლო ოთხ წელიწადში სექტორის საკრედიტო პორტფელი საბანკო სისტემაში დაახლოებით 2.5-ჯერ გაიზარდა და 2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით 1.516 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც საბანკო ბიზნეს სესხების პორტფელის 5,9 პროცენტია.<sup>73</sup> ამ სექტორის მნიშვნელობის გამო საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჩაატარა უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორული კვლევა. დოკუმენტი მიმოიხილავს საქართველოს საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარს და ახდენს მის შედარებას ევროპის ქვეყნებთან. კვლევაში ასევე წარმოდგენილია სექტორის საკრედიტო პორტფელის შესახებ ინფორმაცია.

სექტორზე მოქმედი ფაქტორები შეგვიძლია დავყოთ უძრავი ქონების მოთხოვნასა და მიწოდებაზე მოქმედ ფაქტორად. პანდემიის შემდგომ მშპ-ს სწრაფი აღდგენა და მაღალი ზრდის ტემპი<sup>74</sup> სექტორში დადებით მოლოდინებს ქმნის. აღსანიშნავია, რომ პანდემიით

<sup>73</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>74</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო

გამოწვეული სტრესის დროს სექტორმა მოსალოდნელზე უკეთესი შედეგები აჩვენა, რაც გარკვეულწილად როგორც სახელმწიფო, ისე საფინანსო სექტორიდან მიღებულმა შედეგებმა განაპირობა. მეორე მხრივ, სექტორზე გავლენას ახდენს მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი, რაც უკვე გლობალური გამოწვევაა. ინფლაციის სამართავად მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები და საქართველოს ეროვნული ბანკიც ამკაცრებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს.<sup>75</sup> თავის მხრივ ეს გადაცემა სესხების საპროცენტო განაკვეთებს საბანკო სექტორში, როგორც ბიზნეს სესხებზე, ასევე იპოთეკურ სესხებზე. შედეგად იზრდება დეველოპერის ხარჯები, ხოლო საცხოვრებელი ფართის იპოთეკური სესხით მყიდველთათვის ამცირებს ბინის შეძენის მოტივაციას. ასევე იმ ინვესტორისთვის, რომელიც ბინას შემდგომი გაქირავების მიზნობრიობით ყიდულობს, ერთის მხრივ უძვირდება საინვესტიციო დანახარჯი, მეორეს მხრივ კი მეტად მიმზიდველი ხდება ინვესტირება ნაკლებ რისკიან საბანკო დეპოზიტზე (გაზრდილი სარგებლის გამო). საჯარო რეესტრის მონაცემებით სახლი/ბინის ნასყიდობის ტრანზაქციების რაოდენობა 2021 წელს უკვე აჭარბებდა პრეპანდემიურ შესაბამის პერიოდს. ტრანზაქციების უმეტესი ნაწილი თბილისზე მოდის თუმცა მისი წილი ბათუმის ზრდის ხარჯზე კლებულობს. საქართველოში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის უდიდეს ნაწილს მეორადი ბაზარი შეადგენს (77 პროცენტი, 2022 წლის 11 თვის მონაცემებით), საიდანაც გამონაკლისია ბათუმი (27 პროცენტი, 2022 წლის 11 თვის მონაცემებით). ბათუმის 2022 წლის 11 თვის განმავლობაში ნასყიდობის ტრანზაქციებში 73 პროცენტი მშენებარე ბინა იყო.<sup>76</sup>

**მოთხოვნის ფაქტორები:** მოსახლეობის ზრდა საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორისთვის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის წყაროა. გასული წლის მიგრაციული სალდოს შესახებ მონაცემები ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა სხვადასხვა წყაროს მონაცემებით დასტურდება, რომ რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენების გამო გაზრდილია მიგრანტების შემოდინება რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან. მათი გრძელვადიანი დანიშნულების ვიზიტიდან გამომდინარე ფაქტია, რომ ისინი მონაწილეობენ ადგილობრივ საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდაში. საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით უცხოელების მონაწილეობა თბილისში სახლი/ბინის ნასყიდობის ტრანზაქციებში 8,8 პროცენტამდეა გაზრდილი (სექტემბერი) იანვართან შედარებით, როცა იგივე მაჩვენებელი 5 პროცენტი იყო, თუმცა ეს ჩამორჩება 2019 წლის მაქსიმუმს, რომელიც 9 პროცენტი იყო ივლისის თვეში. ზრდა ძირითადად რუსეთის მოქალაქეებზე მოდის. ბათუმი არა მარტო რუსეთის მოქალაქეებში, არამედ დანარჩენ უცხოელებშიც უფრო პოპულარობით სარგებლობს ვიდრე თბილისი. ფაქტია, რომ ბათუმი მისი საინვესტიციო დანიშნულებიდან გამომდინარე მეტ უცხოელს იზიდავს. მოსახლეობის დაბალი ზრდის მიუხედავად ასევე მნიშვნელოვანი მოთხოვნის გენერირება შეუძლია

<sup>75</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>76</sup> სეზონის კალკულაციები საჯარო რეესტრის ბაზაზე დაყრდნობით

ურბანიზაციის დონის ზრდას ან შინამეურნეობის საშუალო ზომის შემცირებას. დინამიკაში ამ პარამეტრებს უძრავი ქონების ბაზრისთვის ხელისშემწეობი ტრაექტორია აქვს. ეს პარამეტრები აყალიბებენ უძრავ ქონებაზე სტაბილურ მოთხოვნას გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, ევროკავშირის ქვეყნებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია როგორც ურბანიზაციის ზრდა, ასევე ოჯახის წევრთა საშუალო რაოდენობის შემცირება. მართალია, ამ მაჩვენებლებს შორის არსებული მაღალი კორელაცია არ ნიშნავს უპირობო მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, თუმცა თუ დავუშვებთ, რომ საქართველოშიც იგივე ტენდენცია შენარჩუნდება, საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაძლიერების შესაძლებლობა არსებობს. ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებისას ასევე გასათვალისწინებელია საქართველოსთვის დამახასიათებელი კულტურა და ტრადიციები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ კავშირის იგივე პროპორციით გავრცელებას საქართველოს ბაზარზე (მაგ. დიდი ოჯახის ტრადიცია). გარდა ურბანიზაციის ევროკავშირთან შედარებით დაბალი დონისა (60 პროცენტი vs 72 პროცენტი) და შინამეურნეობების წევრების დიდი რაოდენობისა (3,2 vs 2,3)<sup>77</sup>, საქართველოში მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთი შინამეურნეობის მიერ საცხოვრებელი სახლის მფლობელობის მაჩვენებელიც. საქართველოში არსებული შინამეურნეობების 91 პროცენტი ფლობს საცხოვრებელ ადგილს, რაზეც გავლენას ახდენს როგორც ტრადიციები, ასევე ურბანიზაცია და ეკონომიკური განვითარების დონე. აღმოჩნდა რომ ევროპის ქვეყნების შემთხვევაში საცხოვრებლის ფლობის მაჩვენებელსა და მშპ ერთ სულ მოსახლეზე (მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის აშშ დოლარით) ძლიერი უარყოფითი კორელაციაა, ხოლო იპოთეკურ სესხებთან ძლიერი დადებითი. თუ ჩავთვლით, რომ პერსპექტივაში საქართველოც მსგავს ტენდენციას გაჰყვება, მოსალოდნელია, რომ უფრო ნაკლები შინამეურნეობა იცხოვრებს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში და მეტი ნაქირავებში, რაც საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნას გაზრდის, მაგრამ უფრო ინვესტორების და ნაკლებად უშუალოდ მაცხოვრებლის მხრიდან. საქართველოში 30 წელზე მეტი ასაკის საცხოვრებელი უძრავი ქონებები 70 პროცენტია, რაც ნიშნავს რომ ამ კორპუსების ნაწილი უკვე ამორტიზირებულია ან ახლო პერიოდში მოითხოვს ახლით ჩანაცვლებას. შესაბამისად უძრავი ქონების ბაზარზე სხვა ხელშემწეობი ფაქტორების უცვლელობის შემთხვევაშიც კი საჭირო გახდება არსებული ბინების ახლით ჩანაცვლება, რაც დამატებით გააძლიერებს მოთხოვნას ბაზარზე. საქართველოში ფიზიკური პირებისთვის საცხოვრებელი უძრავი ქონების შესყიდვის დაფინანსებისთვის რამდენიმე ძირითადი წყაროა, მათ შორის ხელფასი, გზავნილები და იპოთეკური სესხი. ეს სამივე მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება და მოსალოდნელია არსებული ტენდენციის შენარჩუნება.

---

<sup>77</sup> საქსტატი; EUROSTAT



**მიწოდების ფაქტორები:** მომავალი მიწოდების მოცულობის გასაზომად შესაძლებელია დავაკვირდეთ გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობასა და მოცულობას კვადრატულ მეტრებში (კვ.მ). 2021-2022 წლებში გაცემული ნებართვების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება პრეპანდემიური პერიოდისას (2018-2019), რის გამოც მოსალოდნელია მიწოდების ზრდა ბაზარზე. საინტერესოა, რომ ბათუმში გაცემული ერთი ნებართვის საშუალო მოცულობა კვ.მ-ში მნიშვნელოვნად აღემატება თბილისისას. საქსტატის გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით მშენებლობის ღირებულების ინდექსი 2022 წლის თებერვლიდან ოქტომბრამდე 8,17 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ინდექსის გამომანგარიშებისას სამშენებლო მასალებს გაცილებით დიდი წონა აქვს (ჩვენი გათვლებით 57 პროცენტი) სახელფასო ხარჯთან შედარებით (22 პროცენტი), ინდექსის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი მაინც ხელფასებს მიუძღვის, ხოლო შემდეგ სამშენებლო მასალების გაძვირებას. ამავე წყაროს მიხედვით, ამ სექტორში გადახდილი საშუალო ხელფასი სიდიდით მესამეა (2,305ლ) სხვა ეკონომიკურ სექტორებს შორის და 2021 წლის მე-2 კვარტლიდან მზარდია.<sup>78</sup>


მიმდინარე წელს საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე ფასების ზრდას აქვს რამდენიმე ფუნდამენტური საფუძველი, როგორც მოთხოვნის ისე მიწოდების მხრიდან. დეველოპერულ კომპანიებს ფასის ზრდის საშუალებას აძლევს გაძლიერებული მოთხოვნა, რომელიც მოდის როგორც რეზიდენტებიდან, ასევე არარეზიდენტებიდან. გარდა ამისა, გაზრდილია თვითღირებულებაში შემავალი ხარჯები. დოლარში გამოსახული ფასების ზრდას ხელი შეუწყო ასევე ლარის კურსის გამყარებამ.

უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორის საკრედიტო პორტფელი საბანკო სისტემის ბიზნეს სესხებში მეშვიდეა 1,5 მილიარდი ლარის მოცულობით (2022 წლის ოქტომბრის მდგომარეობით). მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შემდეგ პორტფელი ნელი ტემპით კლებულობს, რაც ლარის გამყარებისა და პორტფელის მაღალი ვალუტიზაციითაა გამოწვეული. თუმცა წინა წელთან შედარებით ჯერ ისევ უფრო მაღალ დონეზეა. სექტორი ძირითადად საბრუნავი საშუალებებისთვის (მშენებლობა) ფინანსდება და იშვიათია გრძელვადიანი აქტივების დაფინანსების მიზნობრიობით გაცემული სესხები. შესაბამისად ბიზნეს სესხების საშუალო შეწონილი ვადიანობა ერთ-ერთი ყველაზე მოკლეა სხვა ბიზნეს სექტორებს შორის (ნარჩენი ვადიანობა 30 თვემდე) და დაფარვის პირობები მორგებულია ბიზნეს სპეციფიკას. როგორც უკვე ითქვა სექტორი მნიშვნელოვნად რეაგირებს ეკონომიკურ შოკებზე, რის გამოც სექტორში ბანკებისთვის ინვესტირება შეიცავს შედარებით მაღალ რისკს, რაც თავის მხრივ აისახება სესხების მაღალ საპროცენტო განაკვეთებში.

---

<sup>78</sup> საქსტატი; სებ-ის კალკულაცია


დიაგრამა N 4.23 საპროცენტო განაკვეთები თვის შიგნით გაცემაზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პორტფელის ხარისხი პანდემიის დროს გაუარესების შემდეგ აღდგენას განაგრძობს. უმოქმედო სესხების გადაფარვის კოეფიციენტი (NPL coverage ratio) გაუმჯობესებულია 2019 წლის დეკემბერთან შედარებით, ხოლო უმოქმედო სესხების წილი მცირდება.

დიაგრამა N 4.24 უმოქმედო/საყურადღებო სესხების მოცულობის წილი პორტფელში



### უმოქმედო/საყურადღებო სესხების მოცულობის წილი პორტფელში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პანდემიის დროს რესტრუქტურირებული სესხების უდიდესი მოცულობა უცხოური ვალუტის სესხებზე მოდის. ვადაგადაცილებული სესხების ყველა კალათა (გრძელვადიანი, საშუალოვადიანი, მოკლევადიანი) მნიშვნელოვნადაა შემცირებული პანდემიის პირველი წლის შემდეგ.

### დიაგრამა N 4.25 რესტრუქტურირებული სესხების ვალუტების მიხედვით

#### რესტრუქტურირებული სესხების ვალუტების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

უძრავი ქონების სექტორზე გაცემული სასესხო პორტფელი საკმაოდ კონცენტრირებულია, ტოპ 5 ჯგუფს პორტფელის 24 პროცენტი უჭირავს.<sup>79</sup>

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 11 კომერციულ ბანკში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელიც მოიცავდა 93 სამშენებლო პროექტს საქართველოს მასშტაბით, დეველოპერული კომპანიების გაყიდვების ძირითადი ნაწილი შიდა განვადებებზე მოდის, შემდეგ იზოთექურ სესხებზე. თუმცა აქვე უნდა ვახსენოთ, რომ მშენებლობის დასრულების

<sup>79</sup> სეზ-ის კონსოლიდირებული ანგარიშგებები

შემდეგ დარჩენილი შიდა განვადებების დიდი ნაწილი ხშირ შემთხვევაში იპოთეკურ სესხებად გარდაიქმნება, კომერციულ ბანკსა და დეველოპერულ კომპანიას შორის წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად. იპოთეკური სესხების ყველაზე დაბალი წილი ბათუმშია, ამავდროულად ბათუმია ლიდერი არარეზიდენტებზე გაყიდვებით (50 პროცენტი), რაც ამ შედეგს ხსნის. არარეზიდენტებს ქართულ საბანკო სისტემაში ნაკლებად მიუწვდებიათ ხელი საკრედიტო პროდუქტებზე. შესაბამისად მათი ალტერნატივაა საკუთარი თანხით უძრავი ქონების შეძენა ან შიდა განვადება. ბათუმში მდებარე სამშენებლო პროექტების 88 პროცენტი სთავაზობს კლიენტებს შიდა განვადების სერვისს, რითაც ის ლიდერია სხვა ქალაქებთან შედარებით.<sup>80</sup> ყველაზე გრძელვადიანი შიდა განვადების შეთავაზებაც ბათუმში ფიქსირდება (დაახლოებით 3 წელი, ხოლო დანარჩენ ქალაქებში 2 წელი). ამავე კვლევის თანახმად დეველოპერული კომპანიების გაყიდვების პროცესი თითქმის არასდროს გრძელდება 4 წელზე მეტი ხნით, ხოლო გაყიდვების დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში საშუალოდ იყიდება სარეალიზაციო ფართის 66 პროცენტი. მნიშვნელოვნად განსხვავდება საცხოვრებელი ფართების დაპროექტება. კერძოდ თბილისში საშუალოდ უფრო დიდი ბინები პროექტდება (85 კვ.მ.) ვიდრე სხვა დანარჩენ ქალაქებში. ბათუმში სანაპირო ზოლში მდებარე კორპუსებში ბინები საშუალოდ მხოლოდ 38 კვ.მ-ია, ცენტრალურ ნაწილში კი 75 კვ.მ. სხვაობა ბინების მიზნობრიობიდან გამომდინარეობს. სანაპირო ზოლი ნაკლებად გამოიყენება საცხოვრებლად და ის უფრო საინვესტიციო დანიშნულებისაა (საკურორტო ზონა), რისთვისაც დიდი ბინების საჭიროება ნაკლებადაა. ასევე განსხვავებაა თბილისის უბნებს შორისაც. კერძოდ ცენტრალურ უბნებში უფრო დიდი ფართობის მქონე ბინები პროექტდება ვიდრე გარეუბნებში. მსგავსი პროპორციებია საპარკინგე ადგილებზე. კორპუსში წილობრივად ყველაზე დიდი საპარკინგე ადგილი ცენტრალურ უბნებშია. ზოგადად თბილისის ერთი კორპუსი საპარკინგე ადგილების საშუალო მოცულობით ბევრად აღემატება ნებისმიერი სხვა ქალაქისას. კერძოდ ერთ ბინაზე დაანგარიშებული პარკინგების რაოდენობით თბილისი 3-ჯერ აღემატება ბათუმს, სადაც პარკინგების გათვალისწინება ფაქტობრივად არ ხდება. პარკინგების კუთხით უფრო ცუდი ვითარებაა ბაკურიანში განსხვავებით დიდი ქალაქებისგან. შერჩევაში მოხვედრილი თბილისის პროექტების მიხედვით 1 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ფასი საშუალოდ ყველაზე მეტად თეთრი კარკასით ჩასაბარებელ ბინებზე გაიზარდა. თბილისში კომერციული ფართების ფასი უფრო ნაკლებადაა გაზრდილი, ისიც ძირითადად ცენტრალურ უბნებში. ბათუმის სანაპირო ზოლში კი მისი ფასი გაორმაგდა. თუმცა კომერციულ ფართებს ბათუმის სანაპირო ზოლში მდებარე კორპუსებში უმნიშვნელო ნაწილი უჭირავს. ზამთრის კურორტებზე კი ფაქტობრივად კომერციული ფართი არც იგეგმება პროექტში. საინტერესოა თვითღირებულებაში ხარჯების კომპოზიცია რეგიონების მიხედვით. მიწის ხარჯს ყველაზე დიდი წილი ზამთრის

<sup>80</sup> სებ-ის უძრავი ქონების დეველოპმენტის კვლევა

კურორტებზე უჭირავს, ყველაზე ნაკლები კი ბათუმსა და სხვა რეგიონებში. ბათუმისა და ზამთრის კურორტების შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამშენებლო პროექტების მოცულობა, რაც მასშტაბის ეკონომიას აძლევს დეველოპერულ კომპანიებს ბათუმში, ხოლო უკუეფექტს ზამთრის კურორტებზე. სხვა რეგიონში კი მიწა იაფი, კურორტებისა და თბილისისგან განსხვავებით. ზამთრის კურორტებზე შედარებით ნაკლებია რკინა-ბეტონის ხარჯის წილიც თვითღირებულებაში (მიწის გარეშე) რაზეც კურორტის სპეციფიკურობა ახდენს გავლენას. პირველ რიგში მაღალსართულიანთან შედარებით დაბალსართულიან შენობებს ნაკლები რკინა-ბეტონი სჭირდება. ასევე ზამთრის კურორტებზე ვიზუალური ეფექტისა და დათბუნების მიზნობრიობით უმეტეს შემთხვევაში ფასადების მოპირკეთება ხდება ხის მასალით, რაც ჯამში ამცირებს რკინა-ბეტონის ხარჯის წილს თვითღირებულებაში. საცხოვრებელი ფართების საინვესტიციო დანიშნულებიდან გამომდინარე საერთო მოგების მარჯა კურორტებზე (ბათუმი 43 პროცენტი, ზამთრის კურორტები 40 პროცენტი) უფრო მაღალია ვიდრე თბილისში (37 პროცენტი), თუმცა მატერიალური სხვაობა არ არის. მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება დანარჩენ რეგიონებში დეველოპერი კომპანიების საერთო მოგების საშუალო მარჯა (21 პროცენტი).<sup>81</sup>

ეროვნული ბანკი გარე პირობების ცვალებადობის ფონზე აგრძელებს მუდმივ მონიტორინგს უძრავი ქონების დეველოპმენტის სექტორზე.

### **Bottom-Up სტრეს-ტესტი რუსეთ-უკრაინის ომის საბანკო სისტემაში საკრედიტო პორტფელზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესაფასებლად**

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისთანავე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების მიმართ საბანკო სისტემის მზაობის შეფასება, რისთვისაც წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით ჩატარდა bottom-up სტრეს-ტესტი. კერძოდ, საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელიდან სტრეს-ტესტის მიზნობრიობისთვის შეირჩა ისეთი მსესხებელი კომპანიები, რომელთა საქმიანობის ეკონომიკური სექტორი წინასწარ შეფასებით ყველაზე მეტად იყო დამოკიდებული რუსეთისა და უკრაინის ბაზარზე. ექსპორტის მიმართულებიდან ასეთი იყო ალკოჰოლური სასმელები, უალკოჰოლო სასმელები და ტურიზმი (სასტუმროები). იმპორტის მიმართულებიდან კი სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობა, ბენზინგასამართი სადგურები და ბენზინის იმპორტი, თამბაქოს პროდუქციით ვაჭრობა და სოფლის მეურნეობის სექტორი. სასტუმროების გარდა ყველა სხვა სექტორის წარმომადგენელი თითოეული მსესხებელი კომპანია ინდივიდუალურად შეირჩა. შერჩევის დამატებით კრიტერიუმს წარმოადგენდა მატერიალური დავალიანება საბანკო სექტორში (>5,000,000 ლ) და ამავდროულად მთლიან შემოსავალში (იმპორტიორების შემთხვევაში თვითღირებულებაში) რუსეთისა და უკრაინის

<sup>81</sup> სებ-ის უძრავი ქონების დეველოპმენტის კვლევა

მაღალი წილი. ამ კრიტერიუმების მიხედვით სულ შეირჩა 26 ჯგუფი, (ურთიერთდაკავშირებულ კომპანიათა ჯგუფი) 230 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო დავალიანებით. სტრესის შედეგების შეფასებისთვის გამოანგარიშდა სტრესის შემდგომი Debt/EBITDA მაჩვენებელი. სცენარში გათვალისწინებული იყო ვალუტის კურსის სტრესიც. სტრესი მიესადაგა მხოლოდ რუსეთ-უკრაინასთან დაკავშირებულ ბრუნვებს.

განსხვავებით საქონლის ექსპორტ-იმპორტიორებისა, სასტუმროების სექტორში გაკეთდა შემთხვევითი შერჩევა საბანკო სისტემის მიკრო, SME და კორპორატიულ საკრედიტო პორტფელში (სულ შეირჩა 121 ურთიერთდაკავშირებული ჯგუფი, 801 მლნ. ლარის პორტფელი). ჯგუფის სტრუქტურისა და დივერსიფიცირებული დაფარვის წყაროს გასათვალისწინებლად ტოპ 6 მსესხებელზე ინდივიდუალურად მოხდა სტრესის შედეგის დაკორექტირება. მთლიან შერჩევაზე მიღებული შედეგის ექსტრაპოლაცია მოხდა სექტორის სრულ პორტფელზე.

საცალო პორტფელში შეფასდა რუსეთიდან და უკრაინიდან მიღებული ფულადი გზავნილების საფუძველზე გაცემულ სესხებზე სტრესული სცენარის შესაძლო გავლენა. დაშვებები ითვალისწინებდა, როგორც გზავნილების მოცულობის მატერიალურ შემცირებას, ასევე უმუშევრობის ზრდას აღნიშნულ ქვეყნებში. სტრესის ეფექტის დასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა სესხის მომსახურების (PTI) კოეფიციენტი და გათვალისწინებული იყო ვალდებულებების დაგრძელებების შესაძლებლობა.

სტრეს-სცენარის შედეგად გაუარესებული პორტფელის ხარისხი საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში არ შეფასდა კრიტიკულად, რამაც ომის საწყის პერიოდში არსებული ბუნდოვანების ფონზე ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა დალოდებოდა მოვლენების განვითარებას უფრო ზუსტი პროგნოზების გასაკეთებლად. ამავდროულად, ალკოჰოლური სასმელების ექსპორტიორების რუსეთის ბაზარზე განსაკუთრებით მაღალი დამოკიდებულების გამო გადაწყდა ამ სექტორის მსესხებლებზე უფრო კომპლექსური კვლევა გაკეთებულიყო განგრძობით რეჟიმში. კერძოდ, გაირკვა რა იყო უშუალოდ ბანკისა და მსესხებელი კომპანიების მოლოდინები შექმნილ სიტუაციებში, რამდენად ხდებოდა ან შეიცვალა დებიტორებიდან მიღებული ჩარიცხვები რუსეთიდან და უკრაინიდან, შეცვალეს თუ არა სესხის გადახდის შეთანხმებული პირობები და ა.შ., უფრო მეტი დეტალით გაანალიზდა ექსპორტის პარამეტრები. კვლევის შედეგები მოკლედ შესაძლოა შემდეგნაირად შეჯამდეს:

2021 წლის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტირებული იქნა 400 მლნ აშშ დოლარის ღვინო და სპირტიანი სასმელები. 2021 წელს რუსეთის და უკრაინის წილი შეადგენდა მთლიანი ექსპორტის 44 და 17 პროცენტს.

2022 წელს, 6 თვის განმავლობაში საქართველოდან ექსპორტირებული იქნა 153 მლნ აშშ დოლარის ღვინო და სპირტიანი სასმელები. 2021 წლის შესაბამის ექვს თვესთან შედარებით დაფიქსირდა 13 პროცენტის შემცირება.

ცხრილში წარმოდგენილია ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის შესახებ ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით:

#### ცხრილი N 4.7 ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი ქვეყნების მიხედვით


ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი	2021 წელი	%	2021 6 თვე	2022 6 თვე	ცვლილება
რუსეთი	\$ 175 031 984	44%	\$ 62 610 455	\$ 57 938 492	-7%
უკრაინა	\$ 68 611 867	17%	\$ 10 233 631	\$ 3 402 967	-67%
ბელარუსი	\$ 20 179 603	5%	\$ 2 274 850	\$ 2 271 894	0%
ჩინეთი	\$ 18 379 877	5%	\$ 7 535 574	\$ 7 195 420	-5%
პოლონეთი	\$ 14 701 006	4%	\$ 5 932 317	\$ 7 507 517	27%
სხვა ქვეყნები	\$ 102 992 432	26%	\$ 88 134 388	\$ 74 861 730	-15%
<b>სულ ექსპორტი</b>	<b>\$ 399 896 770</b>	<b>100%</b>	<b>\$ 176 721 216</b>	<b>\$ 153 178 021</b>	<b>-13%</b>

წყარო: საქსტატი

ომიდან გამომდინარე 2022 წლის მარტსა და აპრილში დაფიქსირდა ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო შემდეგ თვეებში ექსპორტის დინამიკის გაუმჯობესება.

ქვემოთ წარმოდგენილია თვეების მიხედვით 2021-2022 წლის ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის დინამიკა.

#### დიაგრამა N 4.26 2021-2022 წლების ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტის დინამიკა (ათასი აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

კვლევის ჩატარების პერიოდისთვის ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტიორ კომპანიებზე საბანკო სისტემაში შექმნილი იყო 155 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო პორტფელი. ომის საწყის პერიოდში არსებული გაურკვევლობიდან გამომდინარე რუსეთის და უკრაინის ბაზარზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ ექსპორტიორთა მცირე რაოდენობამ ისარგებლა რამდენიმეთვიანი საშეღავათო პერიოდით ძირითადი თანხის მომსახურებაზე. პარალელურად ბანკების მიერ მოხდა ექსპორტიორი კომპანიების დამატებითი ანალიზი მათზე ომიდან გამომდინარე გამოწვევების შეფასების მიზნით და წარმოშობილი რისკების შესაბამის სასესხო რეზერვში ასახვის კუთხით.

## **4.6 საბაზრო რისკი**


### *4.6.1 სავალუტო რისკი*

2022 წლის განმავლობაში ლარის კურსი ძირითად ვალუტებთან გამყარდა, ხოლო ბანკები სტაბილური სავალუტო პოზიციებით განაგრძობდნენ საქმიანობას. წლის ბოლოს კრებსითი სავალუტო პოზიცია 1.6 პროცენტის ფარგლებშია.

საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის აქტივ-ვალდებულებების წილი კვლავ მაღალია, რის შედეგადაც, სავალუტო რისკის ფაქტორი ქართული ბანკებისთვის კვლავ მნიშვნელოვანი რჩება. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო მუშაობას სავალუტო რისკის მართვის არსებული მიდგომების სრულყოფის მიმართულებით და მათ შორის ღია სავალუტო პოზიციაში უცხოური ვალუტის აქტივების რეზერვის ასახვის მიდგომების დახვეწასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სებ-ის მიერ განსაზღვრული გრაფიკი წლის ბოლოს დასრულდა და 2023 წლიდან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღრიცხული სავალუტო პოზიცია არის წარმოდგენილი, სადაც სრულად არის დაქვითული უცხოური ვალუტის აქტივის შესაძლო დანაკარგის რეზერვები.



დიაგრამა N 4.27 კომერციული ბანკების საბალანსო და კრებსითი სავალუტო პოზიციები საზედამხედველო კაპიტალთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.6.2 საპროცენტო რისკი

2022 წელს რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა 0.5 პპ-ით. მნიშვნელოვანი ზრდა იყო აშშ დოლარის და ევროს საერთაშორისო განაკვეთებშიც. საპროცენტო განაკვეთების მსგავსი მერყეობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ბანკებში საპროცენტო რისკის და მისი რეგულარული მონიტორინგისა და ადეკვატური შეფასების მნიშვნელობას.

საქართველოში მოქმედ ბანკებს სავაჭროდ განკუთვნილი ფასიანი ქაღალდები თითქმის არ გააჩნიათ. თუმცა, ის ბანკები, რომელთაც სავაჭრო წიგნი<sup>82</sup> აქვთ, ვალდებული არიან შესაბამისი პროცედურები შეიმუშაონ და ეროვნულ ბანკთან ანგარიშგება აწარმოონ. იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგის შედეგად, პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდის შესაძლებლობა გამოვლინდება, სავაჭრო წიგნის რისკის მართვისათვის განკუთვნილი რეგულაცია ამოქმედდება.


<sup>82</sup> სავაჭრო წიგნი მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც კომერციული ბანკი ფლობს:

- ა) მოკლევადიან პერიოდში გაყიდვის მიზნით;
- ბ) ფასის მოსალოდნელი ცვლილების გამო გადაფასებით მიღებული მოგების მოლოდინით;
- გ) მისი გამოყენებით არბიტრაჟის გზით შემოსავლების მისაღებად;
- დ) „ა“-„გ“ ქვეკუნძულების მიზნებისთვის შექმნილი ინსტრუმენტების რისკის პოზიციების დასაზღვევად.

მიმდინარე ეტაპზე, მთლიანი ბალანსისთვის საბანკო წიგნის საპროცენტო რისკისთვის განკუთვნილი რეგულაცია და მიდგომები გამოიყენება. საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ ჩარჩოს მიზანია საბანკო წიგნში წარმოშობილი საპროცენტო რისკის იდენტიფიცირება, შეფასება, მართვა და მასთან დაკავშირებული ლიმიტების დაცვა. საპროცენტო რისკი საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ ბანკის მგრძობელობას გამოხატავს. იგი ეხება ბანკის კაპიტალსა და შემოსავლებზე მოქმედ ახლანდელ ან სამომავლო რისკს, რომელიც საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად წარმოიშვება და საბანკო წიგნის პოზიციებზე ახდენს გავლენას. საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად იცვლება მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა ახლანდელი ღირებულება და ნარჩენი ვადიანობები, რაც ცვლის შესაბამის აქტივებს, ვალდებულებებს, გარესაბალანსო მუხლებსა და მათ ეკონომიკურ ღირებულებას (EVE). ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავალზეც (NII) აისახება, რაც საპროცენტო რისკის მიმართ მგრძობიარე შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილების შედეგია. აღნიშნული რისკის მართვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბანკის მომგებიანობასა და კაპიტალზე.

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპროცენტო რისკის არსებული მიდგომის საფუძველზე, სისტემის ეკონომიკურ ღირებულების (EVE) და წმინდა საპროცენტო შემოსავლის (NII) ცვლილების პირველად კაპიტალთან ფარდობა, შესაბამისად, 7.2 და 4.4 პროცენტს შეადგენს. 2022 წლის განმავლობაში არსებული მაჩვენებლები მაქსიმალურ საზედამხედველო ლიმიტზე მნიშვნელოვნად ნაკლები რჩება.

**დიაგრამა N 4.28 კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) ცვლილების შეფარდება პირველად კაპიტალთან**




წყარო:საქართველოს ეროვნული ბანკი

## 4.7 მომგებიანობის რისკი

2022 წელს უკუგებამ საშუალო აქტივებსა და კაპიტალზე<sup>83</sup>, შესაბამისად, 3.2 და 24.7 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებს, რომლებიც 3.6 და 30.7 პროცენტი იყო, შედარებით ჩამორჩება. გასული წლებისგან განსხვავებით, მომგებიანობაზე მოქმედი COVID-19 პანდემიით გამოწვეული ერთჯერადი ფაქტორების როლი ამოიწურა, საბანკო სისტემის მაჩვენებლები სტაბილურობით ხასიათდება და აქციონერებისთვის კაპიტალზე მისაღებ უკუგების დონეს აკმაყოფილებს.

დიაგრამა N 4.29 უკუგება კაპიტალსა და აქტივებზე




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის მოგების დეკომპოზიციის კუთხით, აღსანიშნავია საბანკო სისტემის მომგებიანობაზე მოქმედი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. წლის განმავლობაში გაზრდილი საკრედიტო აქტივობის ფონზე წმინდა საპროცენტო შემოსავლები 19.4 პროცენტით, ხოლო არასაპროცენტო შემოსავლები 49.8 პროცენტით გაიზარდა. საოპერაციო ხარჯების შემოსავლებთან შედარებით ნაკლებმა ზრდამ ეფექტიანობის ზრდა განაპირობა, არასაპროცენტო ხარჯების 24.6 პროცენტის ზრდის მიუხედავად ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი 41.4 პროცენტიდან 39.9 პროცენტამდე

<sup>83</sup> ROE - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო სააქციო კაპიტალთან, ხოლო ROA - წმინდა მოგება შეფარდებული წლის საშუალო აქტივებთან. ამ გაანგარიშებებში წმინდა მოგება დათვლილია როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლის ჯამს გამოკლებული სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის თანხა, გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა და გადასახადების გადახდის შემდეგ.

შემცირდა. ხარჯების აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი უმნიშვნელოდაა გაზრდილი 2.9 პროცენტამდე.

**დიაგრამა N 4.30 ხარჯების შემოსავალსა და აქტივებთან თანაფარდობა**



*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*


საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს ბანკების მომგებიანობის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვას, ცალკეული ინსტიტუტების ბიზნეს მოდელისა და სტრატეგიის ანალიზს, მომგებიანობის რისკის შესაბამისი მიტიგანტების შეფასებას. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასშტაბის ეფექტის, ბაზრის ნიშის ან/და სხვა კონკურენტული უპირატესობისა და საპროგნოზო საკრედიტო დანაკარგების ფაქტორებს. გრძელდება ბანკების პროდუქტების ფასდადების მონიტორინგი.

## 4.8 ლიკვიდობის რისკი

### 4.8.1 ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა

2022 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების მოცულობა გაიზარდა. შედეგად, ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 23 პროცენტს აღწევს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 37 პროცენტამდე დასაფარად.

**დიაგრამა N 4.31 ლიკვიდური აქტივების დონე**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის განმავლობაში მაღალ დონეზე ნარჩუნდებოდა ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR). ლარისა და უცხოური ვალუტის კოეფიციენტებს შორის მერყეობები სავალუტო დერივატივებთან დაკავშირებული ოპერაციებით არის გამოწვეული.


2022 წლის განმავლობაში კვლავ აქტიური იყო COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკების წარმოშობის შემდეგ საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან შემოღებული ლიკვიდობის მხარდამჭერი რამდენიმე ღონისძიება:

- 2022 წლის 15 აპრილამდე აქტიური იყო ფინანსური სექტორისთვის შემუშავებული დაბალპროცენტიანი და ხელმისაწვდომი ლარი/აშშ დოლარის სებ-თან სვოპ ოპერაციები, ხოლო მუდმივმოქმედი სვოპ ოპერაციების ვადა შემცირდა, გახდა 7 დღიანი, და ინსტრუმენტის გამოყენება გაგრძელდა მანამ, სანამ ეროვნული ბანკის საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მისი შეწყვეტის შესახებ.
- გაფართოებული რჩება ლარის გირაოს ბაზა, რაც კომერციულ ბანკებს საშუალებას აძლევს ეროვნული ბანკიდან, მცირე და საშუალო სეგმენტზე გაცემული სესხების უზრუნველყოფით, ლარის დამატებითი რესურსი მოიზიდონ, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კი სასესხო პორტფელის მოცულობის მიხედვით, კომერციული ბანკებიდან დამატებითი რესურსი მოიზიდონ. აღნიშნული მექანიზმი, 2022 წლიდან შემცირებადი გრაფიკით, 2023 წლის ბოლომდე იმოქმედებს ყოველთვიური განახლების შესაძლებლობით.

დანარჩენი დროებითი ღონისძიებების გაუქმებას არ ჰქონია მატერიალური გავლენა სისტემაზე, რადგან ბანკები ლიკვიდობის მაღალი ბუფერებით ფუნქციონირებდნენ. წლის მეორე ნახევარში კოეფიციენტების ზრდა დეპოზიტების მაღალ ზრდასთანაა


დაკავშირებული. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR) ასევე მაღალ დონეს ინარჩუნებდა და წლის ბოლო მდგომარეობით 133.6 პროცენტს აღწევს.

**დიაგრამა N 4.32 ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR) დინამიკა (10 დღის მცურავი საშუალო)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 4.33 წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი\***




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

\*ზრბანება ამოქმედდა 2019 წლის 1 სექტემბრიდან


2021 წლის განმავლობაში ლიკვიდური აქტივების გეპის სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებდა როგორც 1 წლამდე, ისე 1 წელზე მეტ დროის კალათებში.

**დიაგრამა N 4.34 ლიკვიდობის გეპი - აქტივების თანაფარდობა ვალდებულებებთან**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 4.35 ლიკვიდური აქტივების მოცულობა და სტრუქტურა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**4.8.2 ვალდებულებების სტრუქტურა**

ვალდებულებების სტრუქტურა სტაბილურობას ინარჩუნებს. წინა წელთან შედარებით მცირედით გაზრდილია მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშების წილი. უცვლელია ნასესხები სახსრების და უმნიშვნელოდ შემცირებულია ვადიანი დეპოზიტების წილი. ამასთან, ბანკები ვალდებულებების სტრუქტურის რისკების შესაბამისი ლიკვიდური აქტივების საკმაოდ კომფორტულ დონეს ინარჩუნებენ.

**დიაგრამა N 4.36 ვალდებულებების სტრუქტურა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



### 4.8.3 საცალო დაფინანსება

2022 წლის განმავლობაში არასაბანკო დეპოზიტები 7.1 მლრდ ლარით (19.1 პროცენტი, გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 29.0 პროცენტი) გაიზარდა და დეკემბრისათვის 44.3 მლრდ ლარი შეადგინა. დეპოზიტარების სტრუქტურის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირების ანაზრების ზრდა, შესაბამისად, 18.3 პროცენტი და 19.9 პროცენტი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე, შესაბამისად, 30.6 და 27.1 პროცენტი) იყო. 2022 წლის განმავლობაში გაიზარდა დეპოზიტების ლარიზაციაც და დეკემბრის ბოლოსთვის 43.9 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 4.37 არასაბანკო დეპოზიტების წლიური ზრდა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი მთლიან არასაბანკო დეპოზიტებში 2022 წლის განმავლობაში 4 პპ-ით გაიზარდა და დეკემბრის ბოლოსთვის 18.2 პროცენტს მიაღწია. წარმოშობის მიხედვით გაზრდილია რუსეთის რეზიდენტების წილი არარეზიდენტების მთლიან დეპოზიტებში 37 პროცენტამდე, თუმცა ჯამურად ეს დეპოზიტები კვლავ დივერსიფიცირებულია, როგორც ქვეყნების, ისე დეპოზიტების ტიპების მიხედვით, რაც რისკიანობის კუთხით დადებითი ფაქტორია. ამ ტიპის დაფინანსებაზე ჭარბი დამოკიდებულების პრევენციის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი არარეზიდენტებისგან მოზიდული დეპოზიტებისთვის<sup>84</sup> დამატებითი ლიკვიდობის მოთხოვნას ინარჩუნებს. არარეზიდენტების დეპოზიტების მაღალი წილის მქონე ბანკებში

<sup>84</sup> ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის და წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის კალკულაციის მიზნით, არარეზიდენტების დეპოზიტებს რეზიდენტებთან შედარებით უფრო მაღალი ლიკვიდობის მოთხოვნები მიეყენება.


დამატებითი ლიკვიდობის საჭიროება ამ ტიპის დეპოზიტების პორტფელის მოზიდვის სტიმულს ამცირებს.

დიაგრამა N 4.38 არარეზიდენტი კლიენტების დეპოზიტების წილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.39 არარეზიდენტების დეპოზიტების სტრუქტურა (2022 წლის დეკემბერი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.40 არარეზიდენტების დეპოზიტები ქვეყნების ჯრილში (2022 წლის დეკემბერი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

4.8.4 საბითუმო დაფინანსება

2022 წლის განმავლობაში სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობის კოეფიციენტები შედარებით შემცირებულია, რაც დეპოზიტების მაღალ ზრდას უკავშირდება, თუმცა კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. აღსანიშნავია, რომ ლარის სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილი იგივე კოეფიციენტი კვლავ აჭარბებს უცხოური ვალუტით სესხებისა და დეპოზიტებისთვის დათვლილ მაჩვენებელს, რასაც, გარკვეულწილად, სავალუტო რისკებისა და ლარიზაციის ღონისძიებების გამო ლარის სესხების მაღალი ზრდის ტემპიც განაპირობებს.

**დიაგრამა N 4.41 მთლიანი სესხების შეფარდება არასაბანკო დეპოზიტებთან ვალუტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბითუმო დაფინანსების გარე წყაროებიდან მიღებული თანხები საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც კრედიტორების ტიპის, ისე დაფარვის ნარჩენი ვადიანობის მიხედვით. აღნიშნული დაფინანსების 45 პროცენტზე მეტის ნარჩენი ვადიანობა 2 წელს აჭარბებს, რაც სისტემის ფონდირების რისკებს ამცირებს.

საბითუმო დაფინანსების 58.6 პროცენტი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის, 8.9 პროცენტი – მშობელ/დაკავშირებულ კომპანიებზე, ხოლო 32.5 პროცენტი - სხვა კერძო ინსტიტუტებზე. დაბალ რისკად შეიძლება შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მაღალი წილი და დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი. ფონდირების რისკების მართვის მიზნებისთვის, ეროვნული ბანკი რეგულარულად ახორციელებს კოვენანტების<sup>85</sup> მონიტორინგს.

**ცხრილი N 4.7 საბითუმო დაფინანსების გარე წყაროები და მათი დაფარვის გრაფიკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

თვე	<1	1-3	3-6	6-12	12-24	24-36	36-60	>60	ჯამი
ჯამი	11.1%	2.9%	3.3%	10.3%	27.0%	16.2%	16.9%	12.2%	100.0%
საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები	3.6%	1.8%	1.7%	7.5%	10.3%	10.1%	13.0%	10.6%	58.6%

<sup>85</sup> სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული შეზღუდვები

დაკავშირებული / მშობელი ფინანსური ინსტიტუტები	0.8%	0.0%	1.1%	1.5%	2.7%	0.6%	1.4%	0.9%	8.9%
სხვა კერძო დაფინანსება	6.7%	1.1%	0.6%	1.3%	14.0%	5.5%	2.5%	0.7%	32.5%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

#### 4.9 მაკროპრუდენციული რისკები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს სისტემური რისკების ისეთ მაჩვენებლებზე დაკვირვებას, რომლებმაც, შესაძლოა, საბანკო სექტორზე მატერიალური გავლენა იქონიოს. აღნიშნული რისკების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე ანგარიშის სხვადასხვა თავშიც არის მოცემული. ამ მიმართულებით გასული წლის მთავარ გამოწვევას რეგიონში შექმნილი გაურკვევლობა და შედეგად წარმოქმნილი ფინანსური სექტორის სტაბილურობის რისკების შეფასება და შესაბამისი მაკროპრუდენციული და საზედამხედველო პოლიტიკების შემუშავება და განხორციელება წარმოადგენდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს მაკროპრუდენციულ ზედამხედველობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: უცხოური ვალუტით გაცემული სესხების გამო არაპეჯირებული მსესხებლებისათვის ვალის გაზრდილი ტვირთი; მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის ჭარბვალიანობა; მძაფრი კონკურენცია ბიზნეს და იპოთეკურ დაკრედიტებაში პროდუქტებზე ფასდადების არასრულყოფილი მოდელების ფონზე; კიბერრისკები და თაღლითობები სისტემის მასშტაბით; ფინანსურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არარეგულირებადი ფინანსური შუამავლობის პოტენციური ზრდა; რეგიონში არსებული საფრთხეები და ა.შ.

2021-2022 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აღნიშნული რისკების მიტიგაციის მიზნით:


- ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (Financial Sector Assessment Program (FSAP)) რეკომენდაციის შესაბამისად, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების დებულების ცალკეული მოთხოვნების რეკალიბრაცია განახორციელა.
- კრიზისის დასაწყისში გამოთავისუფლებული ბუფერების აღდგენა 2022 წლის 1 იანვარს დაიწყო და 3 წელი გაგრძელდება;

- ბანკებს არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის (CICR) ბუფერის აღსადგენად დრო 2023 წლის 1 იანვრამდე, ხოლო კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 2024 წლის 1 იანვრამდე მიეცათ;
- შეიცვლება სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი და ის დამოკიდებული იქნება კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე, რაც ბანკებისთვის სესხის ლარიზაციის მოტივაციას გაზრდის;

წლის განმავლობაში, კონტრციკლური ბუფერი კვლავ უცვლელად, 0 პროცენტზე დარჩა. თუმცა ეროვნულმა ბანკმა განაცხადა მომდევნო სხდომაზე კონტრციკლური ბუფერის ზრდის შესახებ.

ფინანსური სექტორისთვის გამოწვევად რჩება დეპოზიტების დოლარიზაცია, რომელიც, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი შემცირების მიუხედავად, კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება. ეს პარამეტრი განსხვავდება კლიენტების და დეპოზიტების ტიპების მიხედვით. დოლარიზაცია ფიზიკური პირების დეპოზიტებში უფრო მაღალია; შედარებით დაბალი კი, იურიდიული პირების ანგარიშებზეა, რაც კომპანიების საოპერაციო საქმიანობაში ლარის საჭიროებიდან გამომდინარეობს. განსაკუთრებით საყურადღებოა ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების 65 პროცენტის დოლარიზაცია. დეპოზიტების აღნიშნული ტიპი მთლიანი პორტფელის ყველაზე მსხვილი მუხლია და რადგანაც მისი დოლარიზაციის ტრენდი მთლიანი დეპოზიტების დოლარიზაციაზე დიდ გავლენას ახდენს, ის ფიზიკური პირების მხრიდან სავალუტო კურსის მიმართ მოლოდინების კარგი საზომია.

**დიაგრამა N 4.42 დეპოზიტების დოლარიზაციის დინამიკა (ფიქსირებული გაცვლითი კურსით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ვალუტების შეუსაბამობით გამოწვეული საკრედიტო რისკისთვის ეროვნული ბანკი პრუდენციულ მიდგომას ინარჩუნებს. კერძოდ, არაჰეჯირებულ მსესხებლებზე გაცემული უცხოური ვალუტის სესხებისთვის დამატებითი კაპიტალის მოთხოვნა მოქმედებს, ხოლო ფიზიკური პირების შემთხვევაში, დამატებით, უფრო კონსერვატული საკრედიტო სტანდარტებია დაწესებული. ვალდებულებების ლარიზაციის მხარდასაჭერად კი, ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისთვის ლიკვიდობის და მინიმალური რეზერვების უფრო შეღავათიან მოთხოვნებს იყენებს.

#### ჩანართი 4 სისტემური ბუფერები

სისტემური მნიშვნელობის ბანკებში წარმოშობილ ფინანსურ სირთულეებს ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანი საფრთხეების შექმნა შეუძლია. შესაბამისად, სისტემურობის ბუფერის მიზანია სისტემური მნიშვნელობის მქონე კომერციული ბანკების მდგრადობის ზრდა. სისტემურობის ბუფერი დგინდება ინდივიდუალურად თითოეული იმ კომერციული ბანკის მიმართ, რომელიც მიჩნეულია სისტემური მნიშვნელობის მქონედ. სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების განსაზღვრისას სებ-ი ითვალისწინებს ბაზელის რეკომენდაციებსა და ევროპის საბანკო უწყების გამოცემულ მეთოდოლოგიებს. ასევე, მხედველობაში მიიღება ადგილობრივი ფინანსური სექტორის სპეციფიკური მახასიათებლები.

2022 წელს მიმდინარეობდა მუშაობა და 2023 წლის დასაწყისში მოხდა სისტემურობის ბუფერის მეთოდოლოგიის განახლება, რომლის მიზანია სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკებისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის განსაზღვრისას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული განახლებული მიდგომების მეტი გამჭვირვალობა, სისტემური მნიშვნელობის ბუფერების აღნიშნული მიდგომების მიხედვით განახლება და დაწესება.

აღნიშნული ცვლილებების მიხედვით სისტემური მნიშვნელობის ქულები განისაზღვრა შემდეგი ინდიკატორებითა და წონებით:

კრიტერიუმი	ინდიკატორი	წონა
ზომა (55%)	რისკის მთლიანი პოზიცია	20%
	კლიენტების დეპოზიტები	20%
	მთლიანი შემოსავალი	15%
ურთიერთკავშირი (15%)	ბანკთაშორისი სისტემის აქტივები	5%
	ბანკთაშორისი სისტემის ვალდებულებები	5%
	საბითუმო დაფინანსება	5%
ჩანაცვლებადობა (25%)	ფილიალების რაოდენობა	10%
	დეპოზიტარების რაოდენობა	7.5%
	მსესხებელთა რაოდენობა	7.5%
კომპლექსურობა (5%)	ინვესტიციები კაპიტალში	5%

ასევე, განისაზღვრა სისტემურობის ქულის ზღვარი, ბუფერის ბიჯი და კონცენტრაციის შესაბამისად ბუფერის ზედა ზღვრის განსაზღვრის მიდგომა.



განახლებული მიდგომების შესაბამისად, სისტემური მნიშვნელობის კომერციულ ბანკებად სამი კომერციული ბანკი განისაზღვრა და მათ სისტემურობის ბუფერი შემდეგი განაკვეთებით დაუწესდათ:

- ა) სს „თიბისი ბანკი“ – 2.5%;
- ბ) სს „საქართველოს ბანკი“ – 2.5%;
- გ) სს „ლიბერთი ბანკი“ – 1%.

#### 4.10 საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამომდინარეობს გაუმართავი/არაეფექტიანი შიდა პროცესებიდან, ადამიანებისგან, სისტემებიდან ან გარეშე მოვლენებიდან. ამ გარეშე ფაქტორებად, მიმდინარე წელს კვლავ აქტუალურია რუსეთ-უკრაინის ომი, რამაც ფართომასშტაბიანი ზეგავლენა იქონია მსოფლიოზე და ფინანსური სექტორი საოპერაციო რისკების თვალსაზრისით საყურადღებო არეალში მოაქცია. ამ მხრივ, საყურადღებო იყო რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები, რაც ასევე შეეხო საქართველოში მოქმედ ერთერთ კომერციულ ბანკს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საბანკო სექტორი მოქნილად გაუმკლავდა დაწესებული სანქციების ზეგავლენას და მოსალოდნელი საოპერაციო რისკები არ გამოირჩეოდა მაღალი დანაკარგით.

საოპერაციო რისკების მართვის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს ბიზნეს უწყვეტობის რისკი, კიბერ-რისკი და კიბერუსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევები. ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს კომერციულ ბანკებთან ბიზნეს უწყვეტობის მართვის პრინციპების და შესაბამისი გეგმის დანერგვა/ჩამოყალიბებაზე. ეროვნული ბანკი ასევე ყურადღებას აქცევს ბიზნეს უწყვეტობის მართვის ფარგლებში სხვადასხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, მათ შორის ინფრასტრუქტურულ გამართულობას და ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირებას. ბანკებისთვის მნიშვნელოვანია მუდმივმოქმედ რეჟიმში უზრუნველყონ ბიზნეს უწყვეტობის ჩატარება სხვადასხვა სცენარების მიხედვით, რაც ასევე მოიცავს აუთოსორსინგულ პროცესებსაც (მ.შ. ღრუბლოვან სერვისებს).

არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფინანსურმა სექტორმა და საბანკო სისტემებმა ყურადღება გაამახვილოს გაჯანსაღების გეგმაზე. სებ-ი განაგრძობს კომერციული ბანკების ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ტესტირების განხორციელების მონიტორინგს, რაშიც აქტუალურია თანამშრომელთა უწყვეტობისა და კრიტიკული პროცესების შეუფერხებლად მუშაობა. სებ-

ის საოპერაციო რისკების მიმართულება ჩართულია კომერციული ბანკების გაჯანსაღების გეგმის შეფასებაში საოპერაციო რისკების მიმართულებით.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ სებ-ი 2022 წელს, განაგრძობდა კომერციული ბანკების საოპერაციო და კიბერ-რისკის მართვის ჩარჩოს დისტანციურ რეჟიმში შეფასებას.

პანდემიური და მაკროეკონომიკური გარემოდან გამომდინარე, უფრო აქტუალური გახდა საოპერაციო რისკის პროგნოზირების ინსტრუმენტების გაფართოება. ამ მხრივ, მიმდინარეობს საოპერაციო რისკების სტრეს-ტესტების შესწავლა და კვლევა, რაც ნეგატიური სცენარის დადგომის შემთხვევაში ორგანიზაციის კაპიტალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე მოვლენის მოსალოდნელი ზეგავლენის განსაზღვრის და მისი შემცირების შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, მეტი მნიშვნელობა ენიჭება პოტენციური თუ რეალური საოპერაციო რისკების დანაკარგების ისტორიული მონაცემების აღრიცხვას და სრულყოფას, საოპერაციო რისკების მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ ანალიზსა და სისტემური ზეგავლენის შეფასებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორი საკმაოდ კარგად გაუმკლავდა პანდემიასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. პანდემიურმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ფინანსურ სექტორში ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას. გასული წლის მანძილზე, საოპერაციო რისკების ზედამხედველობა აქტიურად იყო ჩართული საბანკო სექტორში ღია ბანკინგის, ციფრული ბანკინგის, პირის დისტანციური იდენტიფიკაციის, ელექტრონული ხელმოწერების პროცესებთან დაკავშირებული საოპერაციო და კიბერ რისკების შესწავლასა და შეფასებაში.

საბანკო სექტორი ამჟამად განაგრძობს დისტანციური რეჟიმიდან ჩვეულ რეჟიმზე გადართვის პროცესს. ზოგიერთ შემთხვევაში, დამკვიდრდა ჰიბრიდული სამუშაო გარემოს პრაქტიკა, რაც ასევე სიახლესთან და ახალ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. უფრო სრულყოფილი გახდა დისტანციური მუშაობის პროცესი, მათ შორის, რისკების მართვის და პროცესის ფორმალიზაციის თვალსაზრისით. ფინანსურ სექტორში ფართოვდება დისტანციური მომსახურებებისა და გაციფრულების პროცესები, სადაც აუცილებელი ფაქტორია თაღლითობისა და ტექნოლოგიური რისკების მიმართულებით კონტროლის მექანიზმების იმპლემენტაცია და მუდმივი გაუმჯობესება.

ელექტრონული ხელმოწერის პროცესის დანერგვა დაიწყო კომერციული ბანკების მშენებლობის ნაწილმა. მიმდინარე ეტაპზე შემოთავაზებულია ელექტრონული ხელმოწერის ორი ვარიანტი: 1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა; 2. განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა. ელექტრონული ხელმოწერა ბანკებისთვის ამ ეტაპზე სიახლეს წარმოადგენს. ეს პროცესი დისტანციური მომსახურებისთვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი გახდა. მისი დანერგვა ფინანსური ორგანიზაციებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია რისკები, რომელიც

შესაძლოა ელექტრონული ხელმოწერის პროცესს თან ახლდეს. გამომდინარე აქედან, პროცესი საჭიროებს პრაქტიკაში შესწავლას.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს საფინანსო სექტორში საოპერაციო რისკების ცნობიერების ამაღლებას, საოპერაციო რისკების მართვის გაფართოებასა და საზედამხედველო პრინციპების განვითარებას. ბანკებს რეკომენდაცია მიეცათ, რომ იზრუნონ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებზე როგორც ბანკის თანამშრომლებისთვის, ისე მომხმარებლებისთვის.

სებ-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბანკო სექტორში მონაცემთა ხარისხისა და სიზუსტის რისკის დაცვის მიმართულებას. ამ მხრივ, გამოქვეყნდება და ძალაში შევა საოპერაციო რისკების დანაკარგების აღრიცხვის სახელმძღვანელო. ასევე, შემუშავდა რისკების შესახებ მონაცემთა ეფექტურად აგრეგაციისა და რისკების ანგარიშგების პრინციპები. ცვლილების პროცესში იმყოფება კომერციული ბანკების მიერ საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულება, სადაც დაზუსტდა აუთოსორსინგის მიმართ მოთხოვნები. დამატებით შემუშავდა „მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ ინფორმაციის გაცვლის“ წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის პორტალის მეშვეობით საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენის შესახებ ინფორმაციის დროულად და ცენტრალიზებულად გაცვლას.

არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისთვის შემუშავდა ლომბარდის საზედამხედველო კითხვარი და გაკეთდა სიზუსტის რისკის მართვის დოკუმენტის მონახაზი.

მოცემულ პერიოდში, საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციულ ბანკებთან ერთად, მუშაობას განაგრძობდა იმისათვის, რომ ბანკებს გააჩნდეთ სათანადო და მოქნილი კონტროლის მექანიზმები, განვითარდეს და დაინერგოს თაღლითობის მონიტორინგის გაუმჯობესებული მართვის ინსტრუმენტები და საინფორმაციო სისტემები. საქართველოს ეროვნული ბანკისთვის საგადახდო ბარათებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის თაღლითობის მოვლენების აღმოჩენისა და აღკვეთის პროცესების განვითარება ერთერთი პრიორიტეტია.

#### *4.10.1 საოპერაციო რისკი საქართველოს საბანკო სექტორში*


ადგილობრივი საბანკო სისტემა გამოირჩევა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შედარებით დაბალი სირთულით და კომპლექსურობით, მაგრამ საბანკო სექტორის მუდმივი განვითარებისა და გარდაქმნის პირობებში, სწრაფი ტემპით ინერგება ახალი საბანკო პროდუქტები და მომსახურებები, რომელიც უფრო მეტად ეფუძნება საინფორმაციო სისტემებს. ზემოაღნიშნული გარემოება ფინანსური სექტორის თანმდევ საოპერაციო რისკსაც ზრდის. ამავდროულად, 2021 წლის მსგავსად, 2022 წლის მანძილზეც გაიზარდა ციფრული მომსახურების რაოდენობა, რომელიც ნაწილობრივ განპირობებული იყო

COVID-19-თან დაკავშირებული პანდემიით და სხვადასხვა სახის ბიზნეს პროცესისა და მომსახურების დისტანციურ რეჟიმში განხორციელებით.

2022 წელს, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანმა საოპერაციო დანაკარგმა 39.3 მილიონი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის მთლიან დანაკარგზე 30 პროცენტით მეტია. მთლიანი დანაკარგი იმ სახის დანაკარგს წარმოადგენს, რომელიც საოპერაციო მოვლენასთან დაკავშირებულ თავდაპირველ თანხობრივ მაჩვენებელს უკავშირდება, საოპერაციო დანაკარგის ყოველგვარ ანაზღაურება/დაბრუნებამდე.

2022 წელს დაფიქსირდა საოპერაციო დანაკარგის 24,632 მოვლენა, რაც 2021 წლის მაჩვენებელთან შედარებით 26 პროცენტით მეტია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების ანგარიშგების ფარგლებში, კომერციული ბანკი ვალდებულია აღრიცხოს ყველა საოპერაციო დანაკარგის მოვლენა, რომლის მთლიანი დანაკარგი უდრის ან აღემატება 10 ლარს. დიაგრამა N 4.44 2022 წლის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ასახავს.


**დიაგრამა N 4.43 2022 წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა საბანკო სექტორისთვის**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 4.44 ასახავს მთლიანი საოპერაციო დანაკარგის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2018-2022წწ.). ბოლო ერთი წლის მანძილზე, პროცესების მართვის კატეგორიაში, მსხვილი საოპერაციო რისკის მოვლენა დაფიქსირდა ივლისში, რამაც მოცემული თვის საოპერაციო რისკის დანაკარგის, წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით ზრდა განაპირობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ წლის ბოლოსკენ ისტორიულად უფრო მეტი საოპერაციო მოვლენები აღირიცხება, ვიდრე წლის სხვა დროს, რაც დიდწილად საანგარიშგებო წლის დასრულებასთან არის დაკავშირებული.


**დიაგრამა N 4.44 ბოლო ხუთი წლის მთლიანი დანაკარგის დინამიკა (2018-2022 წწ.)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური სისტემის საოპერაციო რისკის განსასაზღვრად, ერთ-ერთ ყველაზე კარგ საზომს საოპერაციო რისკის დანაკარგის ინდიკატორი წარმოადგენს. მოცემული მაჩვენებელი გამოითვლება ფინანსური სისტემის მთლიანი საოპერაციო დანაკარგის მთლიან შემოსავალთან შეფარდებით. 2022 წელს, ჯამური წლიური მთლიანი დანაკარგების შეფარდება ბაზელ 2-ის მიხედვით დათვლილ მთლიან შემოსავალთან 0.83 პროცენტს შეადგენდა. დიაგრამა N 4.45-ში წარმოდგენელია საქართველოს საბანკო სექტორის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა თვეების მიხედვით.

**დიაგრამა N 4.45 2022 წლის საოპერაციო დანაკარგის ინდიკატორის დინამიკა (მთლიანი დანაკარგი შეფარდებული მთლიან შემოსავალთან)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, 2021 წლის მსგავსად, საოპერაციო დანაკარგები, ძირითადად, საცალო საბანკო მომსახურებისა და, გარკვეულწილად, კომერციულ საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზებში ფიქსირდებოდა. საცალო საბანკო მომსახურების ბიზნეს ხაზი, უშუალოდ საცალო საბანკო მომსახურებასთან ერთად, ასევე მოიცავს საგადახდო ბარათებთან დაკავშირებულ საოპერაციო დანაკარგებსაც.

თუ საოპერაციო დანაკარგებს მოვლენათა კატეგორიების მიხედვით დავყოფთ, დანაკარგების ყველაზე დიდი წილი თანხობრივად (მთლიანი დანაკარგების 58 პროცენტი), პროცესების მართვის კატეგორიაში დაფიქსირდა, ხოლო სიდიდით მეორე კატეგორია (26 პროცენტი ხვედრითი წილით) გარე თაღლითობაზე მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ გარე თაღლითობის პროპორციული ზრდა წინა წელთან შედარებით განპირობებულია გარე თაღლითობის ერთი მსხვილი მოვლენით, რომელიც ფინანსურ სექტორში 2022 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა. 2022 წლის საოპერაციო დანაკარგების სტრუქტურა ასახულია დიაგრამა N 4.46-ზე.

**დიაგრამა N 4.46 საბანკო სისტემის 2021 წლის მთლიანი დანაკარგის განაწილება მოვლენათა კატეგორიების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

#### 4.11 კიბერ-რისკი

კიბერუსაფრთხოების, როგორც საოპერაციო რისკის ერთერთი სახეობის, აქტუალურობა ციფრული ტრანსფორმაციისა და სანდოობის კვალდაკვალ მატულობს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ 2022 წლის შემაჯამებელ დასკვნაში აღნიშნულია, რომ კიბერრისკი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ფინანსური სექტორისთვის. ამავე დასკვნის მიხედვით, კიბერ-რისკმა ჩაანაცვლა საკრედიტო რისკი, როგორც ფინანსური სექტორის ყველაზე საყურადღებო რისკის კატეგორია. მსგავსად გასული წლისა, 2022 წელსაც კიბერუსაფრთხოებასა და გამოწვევებზე ყურადღების კონცენტრირება განაპირობა გლობალურმა პანდემიამ. ამას გარდა, აღსანიშნავია 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის საომარი ვითარება, რაც დღემდე წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების საერთო კონტექსტისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

დისტანციური მომსახურების არხების განვითარება-დანერგვის პირობებში, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და სათანადო დონეზე შენარჩუნება საფინანსო სექტორისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივმოქმედ რეჟიმში აკვირდება საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენებს და ახორციელებს კიბერ-რისკის მონიტორინგს, რათა კიბერ შეტევების იდენტიფიცირების შემთხვევაში, დროულად განხორციელდეს აღმოფხვრითი ღონისძიებები, შეტევის ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, მასზე დროული რეაგირების მიზნით, მთლიან საბანკო სექტორთან აღნიშნული ინფორმაციის მყისიერი შეტყობინება.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საბანკო სექტორში დაინერგა კიბერუსაფრთხოების სახედამხედველო მოთხოვნები, რომელთა საფუძველზეც საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სექტორში კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დანერგვის, გამართვისა და მუდმივი გაუმჯობესების მონიტორინგსა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს.

2022 წლის განმავლობაში, კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილებამ ზემოხსენებულ ჩარჩოსთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განახორციელა კომერციული ბანკების ციკლური შეფასებები. შეფასებები ძირითადად წარიმართა დისტანციურად, ფიზიკური ვიზიტები განხორციელდა მხოლოდ მონაცემთა საცავების შესამოწმებლად. მოცემული პროცესის ფარგლებში, გამოვლინდა რიგი მიგნებები და ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლად განისაზღვრა როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, ასევე რეკომენდაციები.

თანამედროვე გამოწვევების და კონტექსტის გათვალისწინებით, ძირითადი გასაუმჯობესებელი მიმართულებები მოიცავდა კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფი პოლიტიკა-პროცედურების ფორმალიზებას, რისკების მართვის

პრაქტიკის გაუმჯობესებას, ცნობიერების ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვასა და ინფორმაციულ და კიბერუსაფრთხოებაში დასაქმებული ადამიანური რესურსების გაძლიერებას სათანადო კომპეტენციებით. ასევე, საყურადღებოა ბიზნეს უწყვეტობისა და მზადყოფნის გეგმების არსებობა და მათი ეფექტიანობა პოტენციურად მასშტაბური კიბერ ინციდენტის დადგომისას.

ზემოაღნიშნული საზედამხედველო მოთხოვნების გარდა, კომერციულ ბანკებს დამატებით ევალებათ ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და აღნიშნულ სისტემებზე შეღწევადობის ტესტირებების განხორციელება, რაც სხვადასხვა სისუსტეების აღმოფხვრას და კიბერ რისკების შემცირებას ემსახურება. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი სათანადო დარგობრივი ტესტირებების/აუდიტების ჩატარებასა და ხარისხის კონტროლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

კიბერუსაფრთხოების ზედამხედველობის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კიბერინციდენტების მართვისთვის საჭირო ეფექტური პროცესებისა და მექანიზმების არსებობა. ამ მიმართულებით კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილება კვლავ განაგრძობს კიბერინციდენტების შესახებ კომერციული ბანკებიდან სავალდებულო წესით მიღებული ანგარიშების გაანალიზებას და კვარტალური ანგარიშების წარმოებას, რაც საშუალებას იძლევა როგორც ინდივიდუალური ბანკის, ასევე ყველა ბანკის ჭრილში წარმოჩინდეს კიბერინციდენტების ტენდენციების დინამიკა.

2022 წლის ფარგლებში, საბანკო სექტორში ძირითადად ფიქსირდებოდა ე.წ. ფიშინგისა და მომსახურების შეფერხების განაწილებული (DDos) შეტევები, რომლის შედეგადაც ჰაკერები ახორციელებდნენ მომხმარებლების კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას და შემდგომ სათავისოდ გამოყენებას (ფიშინგის შემთხვევაში) და გარკვეული დროის მანძილზე კომერციული ბანკების სერვისების შეფერხებას ან შეფერხების მცდელობას (DDos შეტევების შემთხვევაში). საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად აქტიურად მუშაობდა მსგავსი სახის მოვლენების აღსაკვეთად სათანადო კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე, ინციდენტების დროულ იდენტიფიცირება/აღმოფხვრასა და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციაზე.

კიბერუსაფრთხოების შესახებ აქტუალური ინფორმაციის არსებობა და მისი გაზიარება დაინტერესებულ მხარეთა შორის აღიარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკაა, რაც ემსახურება კიბერრისკის ეფექტურ მართვას. შესაბამისად, 2022 წელს ეროვნულ ბანკში ჩამოყალიბდა და დაინერგა კიბერუსაფრთხოებაზე ინფორმაციის გაზიარების პორტალი, სადაც, ეროვნული ბანკის გარდა, მონაწილეობენ კომერციული ბანკები. პლატფორმა უზრუნველყოფს წევრებისთვის კიბერუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის დროული, ზუსტი და ქმედითი გაფრთხილებების გაზიარების შესაძლებლობას. პლატფორმაზე კიბერუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ეხმარება პლატფორმის წევრებს აქტუალური ტენდენციების,



მოსალოდნელი საფრთხეებისა და წარსული გამოცდილების ცოდნის მიღებაში, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას კიბერრისკის პრევენციისთვის.

2022 წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად ხორციელდებოდა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ცნობიერების ამაღლების სამუშაოები როგორც საფინანსო სექტორისთვის, ასევე მისი მომხმარებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანიზებით საფინანსო სექტორი კვლავაც ჩაერთო საერთაშორისო კამპანიაში და 2022 წელს, საქართველოში მეორედ, კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების თვე მოეწყო. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ორგანიზებით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის კონკურსები, კონფერენციები, შემეცნებითი ვიდეო რგოლები და სხვა, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობაში კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების პროცესს.

როგორც უკვე ცნობილია, 2021 წელს განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წელს. გამომდინარე აღნიშნულიდან, ეროვნული ბანკის კიბერ-რისკების ზედამხედველობის გუნდმა მონაწილეობა მიიღო 3 სისტემური ბანკისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ერთობლივ შეხვედრებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის, საბანკო ასოციაციისა და კომერციული ბანკების ჩართულობით, 2022 წელს, მსგავსად გასული წლისა, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ღია ბანკინგის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით, რაც, მომხმარებლის მოთხოვნისა და ნებართვის საფუძველზე მესამე მხარის ფინანსური სერვისის პროვაიდერებს მათ საბანკო და ფინანსურ მონაცემებზე აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისების (APIs) მეშვეობით წვდომის საშუალებას აძლევს. ღია ბანკინგში საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ჩართვას, რომელთა მიერაც მოხდება სენსიტიური ფინანსური ინფორმაციის ფლობა, დამუშავება და გაზიარება, ახლავს მონაცემთა გაჟონვის, ადამიანური შეცდომის, მესამე მხარის ინფორმაციულ სისტემებში არსებული სისუსტეების, აუთსორსინგულ მომსახურებასთან და სხვა კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც კიბერ თავდამსხმელებს სენსიტიურ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების და თაღლითური ფინანსური ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობას აძლევს. შესაბამისად, ღია ბანკინგთან დაკავშირებული კიბერ რისკებისა და მათი რეალიზაციის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგების მაქსიმალურად შემცირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილებამ კიბერ უსაფრთხოების მოთხოვნები შეიმუშავა, რასაც საგადახდო მომსახურების ის სუბიექტები უნდა აკმაყოფილებდეს, რომლებსაც ღია ბანკინგში ჩართვა სურს. 2022 წლის განმავლობაში აღნიშნული მოთხოვნების შესახებ არაერთი შეხვედრა გაიმართა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

#### 4.11.1 კიბერ-რისკის მიმართულებით გადადგმული საზედამხედველო ნაბიჯები

საზედამხედველო ფუნქციისა და ინსტრუმენტების განვითარების მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“. აღნიშნული დოკუმენტი საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს შეფასების ეფექტურობას უზრუნველყოფს.

გასულ წლებში საფინანსო სექტორმა, განსაკუთრებით კი საბანკო დაწესებულებებმა, აქტიურად დაიწყო ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურებების გამოყენება. შესაბამისად, 2022 წელს ეროვნული ბანკის მიერ მომზადდა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარდა ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების სახელმძღვანელო. აღნიშნული სახელმძღვანელო თავისი არსით წარმოადგენს პრევენციული ხასიათის მოთხოვნებს, რომელთა ჯეროვნად შესრულებაც ხელს შეუწყობს საზედამხედველო სუბიექტების მიერ ღრუბლოვან გარემოსთან დაკავშირებული გამოწვევების/რისკების მართვას. სახელმძღვანელო ფინანსურ ორგანიზაციებს უყენებს მთელ რიგ მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება როგორც ღრუბლოვანი აუთსორსინგული მომსახურების მომწოდებლების წინასწარ შეფასებას, ასევე კრიტიკული ან/და მნიშვნელოვანი ფუნქციის შეფასებას, კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებას, სათანადო დარგობრივი რწმუნებების მოპოვებას, აუდიტის და ზედამხედველობის უფლებების რეალიზებას, მონიტორინგსა და მომსახურებიდან გასვლის სტრატეგიას.

2022 წელი ასევე გამოირჩეოდა ფინანსურ სექტორში ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვით, რომელიც სულ უფრო მეტად ეფუძნება საინფორმაციო სისტემებს. შესაბამისად, კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილება განაგრძობდა აღნიშნული პროდუქტების შესწავლისა და სათანადო შეფასებების პროცესში მონაწილეობას. 2022 წლის განმავლობაში გუნდმა გასცა არაერთი რეკომენდაცია/მითითება შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შემცირდა ფინანსური ორგანიზაციების მიერ ერთფაქტორიანი ავთენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურების გამოყენება ისეთ სისტემებში, რომელიც ემსახურება მომხმარებლის დისტანციურად იდენტიფიკაციას.

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი, რომლის ფარგლებშიც, ბიუროსა და პლატფორმისთვის, სხვა მოთხოვნათა შორის, ასევე დადგენილია მოთხოვნები საინფორმაციო სისტემების მიმართ. 2022 წლის განმავლობაში, პლატფორმად რეგისტრაციის მსურველი ორგანიზაციებისთვის კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილების მიერ არაერთი რეკომენდაცია გაიცა ინფორმაციული უსაფრთხოების

მომწესრიგებელი პოლიტიკა-პროცედურების, ასევე საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფესიულად შესრულებულ აუდიტსა და შეღწევადობის ტესტირებებს, რომელთა ანგარიშები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ვინაიდან კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება, საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი კომპენტენციის მქონე კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების არსებობა და სათანადო ხელშეწყობა კარიერიული განვითარებისთვის. კიბერ-რისკის ზედამხედველობის განყოფილებამ 2022 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა დარგობრივ სემინარსა და ტრენინგში, აღსანიშნავია, რომ გუნდის წევრები ფლობენ საერთაშორისოდ აღიარებულ დარგობრივ სერტიფიკატებს.

## **4.12 ფინანსური და საზედამხედველო ტექნოლოგიების განვითარება**

### *4.12.1 ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობა*

საფინანსო სექტორში ინოვაციების და ინოვაციური ორგანიზაციების წილი მზარდია, რასაც, როგორც ახალი შესაძლებლობები, ასევე ახალი რისკებიც მოაქვს. პარალელურად, საფინანსო სექტორი მთელს მსოფლიოში ეკონომიკის ყველაზე მეტად რეგულირებად სექტორად რჩება. უფრო მეტიც, ამ რეგულირებას მზარდი ტენდენცია აქვს. შედეგად, თანამედროვე საზედამხედველო ჩარჩო საკმაოდ მოცულობითი, ტექნიკური და კომპლექსურია, განსაკუთრებით ახალი საფინანსო სტარტაპებისთვის. აღნიშნულის ფონზე, საფინანსო სექტორის მარეგულირებლებისათვის ფინტექ იდეების მქონე ინოვატორების წახალისება და ამ იდეების მდგრად ფინანსურ მოდელად გარდაქმნის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ გამოწვევის საპასუხოდ, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვადასხვა საზედამხედველო მიდგომას ავითარებს და ფინტექ საქმიანობისათვის საბაზისო ინფრასტრუქტურის შექმნას უწყობს ხელს.

### **ფინანსური ინოვაციის ოფისი<sup>[1]</sup>**

ფინანსური ინოვაციების ოფისი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ფინანსური ტექნოლოგიების ინოვატორთა საზოგადოებას შორის კომუნიკაციის საშუალებაა. ფინანსური ინოვაციების ოფისის მისიაა ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიან ინოვაციებს ფინანსურ სექტორში და დაეხმაროს ფინტექ ორგანიზაციებს/სტარტაპებს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების საზედამხედველო მიდგომის გაცნობაში.

---

[1] ინფორმაცია ფინანსური ინოვაციების ოფისის შესახებ იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე, ფინანსური სტაბილურობის სექციაში <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=742>

2022 წლის განმავლობაში ფინანსური ინოვაციების ოფისის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა ჩატარდა ინოვაციური იდეების მქონე პირებთან. აღსანიშნავია 2022 წლის დასაწყისში ჩატარებული techsprint-ი, რომელსაც საკმაოდ მაღალი გამოხმაურება მოჰყვა სტუდენტებისაგან, ასევე მაისში ჩატარებული ფინანსური ინოვაციების ოფისისა და USAID-ის ერთობლივი ღონისძიება, რომელიც ეხებოდა ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტის მნიშვნელობას.

ფინანსურ სექტორში არსებულ ინოვაციებთან დაკავშირებით ინოვაციების ოფისი წლის მანძილზე მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებდა USAID-თან, გერმანიის ეკონომიკურ ჯგუფთან (GET), BaFin, GFin-სა და სხვა ორგანიზაციებთან, არსებული სიახლეების და საზედამხედველო მიდგომების გასაცნობად.

ინოვაციების ოფისის ხელშეწყობით 2022 წელს გაიცა პირველი ციფრული ბანკის ლიცენზია. 2022 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სხვა არაერთი ციფრული ბანკის ლიცენზირებაზე მუშაობა, რაც 2023 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

### **რეგულირების ლაბორატორია**

რეგულირების ლაბორატორია ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და ინოვაციური პროდუქტის ან სერვისის რეალურ გარემოში გამოცდის და ტესტირების საშუალებას იძლევა. 2022 წელს რეგულირების ლაბორატორიის რეალურ გარემოში ტესტირების ეტაპზე მონაწილეობდა ერთი სუბიექტის დისტანციური იდენტიფიკაციის ინოვაციური სერვისი. შემდეგი წლის განმავლობაში რეგულირების ლაბორატორიის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი ინოვაციური პროდუქტების განხილვა, როგორებიცაა: „ციფრული ბანკი“, „კლატფორმა“ (საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ნაირსახეობა), „ვალუტის ონლაინ კონვერტაცია“ და სხვა.

### **ციფრული ლარი**

ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა მიმდინარე ეტაპზე ცენტრალური ბანკების უმრავლესობისათვის საკმაოდ აქტუალურია. ციფრული ვალუტების მახასიათებლები და ტექნოლოგიური მხარე განსხვავდება ქვეყნებში იმის მიხედვით, თუ რა მიზნის მისაღწევად იგეგმება მისი გამოყენება. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ციფრული ვალუტის ინტერესის შესახებ საჯაროდ 2021 წლის აპრილში განაცხადა და ფინტექ კომპანიები თანამშრომლობისთვის მოიწვია. ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის მანძილზეც გააგრძელა კომუნიკაცია ტექნოლოგიურ კომპანიებთან, რომლებმაც ციფრული ლარის პროექტში ჩართვის სურვილი გამოხატეს. ციფრული ლარის პროექტი კვლავ განხილვის ეტაპზეა. 2022 წლის 4-5 მაისს თბილისში, ინოვაციების ოფისის და USAID-ის ერთობლივი ღონისძიება, ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის და დეცენტრალიზებული ფინანსების კონფერენცია ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს წამყვანმა ტექნოლოგიურმა

კომპანიებმა. კონფერენციის შემდეგ დაზუსტდა ის ტექნოლოგიური მოთხოვნები, რასაც საპილოტე რეჟიმში ციფრული ლარის ტექნოლოგია უნდა აკმაყოფილებდეს. დაზუსტდა ციფრული ლარის საპილოტე რეჟიმის მახასიათებლები და დაიგეგმა საპილოტე რეჟიმის 2023 წელს გაშვება.

### საკრედიტო რეესტრი

2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკი აგრძელებდა საკრედიტო რეესტრის მონაცემების სატესტო რეჟიმში მიღებას. ასევე, ინფორმაციის სრულყოფის მიზნით დაიწყო საკრედიტო რეესტრის ფორმის განახლების და მიღებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების პროცესები. საკრედიტო რეესტრი, რომელიც მსოფლიო ბანკის სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა, არის მონაცემთა ბაზა, რომელიც საკრედიტო რისკის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევა. ეროვნულ ბანკში მონაცემების მოწოდება ყოველთვიურად ხდება და შემდეგ მონაცემთა ჯგუფებს მოიცავს:

- საკრედიტო ვალდებულების დეტალები,
- საკრედიტო ვალდებულების უზრუნველყოფის მონაცემები,
- ინფორმაცია რეფინანსირებულ სესხებზე,
- ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ,
- ინფორმაცია უარყოფილი საკრედიტო განაცხადების შესახებ,
- ინფორმაცია საანგარიშგებო თვის განმავლობაში დახურული სესხების შესახებ.

2023 წელს დაგეგმილია განახლებული ფორმის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვების დაწყება, მონაცემების სიზუსტესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა და პარალელური რეპორტირების დაწყება.

## ჩანართი 5 „სთეიბლკოინების“ რეგულირება

2022 წელს ეროვნული ბანკი იკვლევდა ე.წ „სთეიბლკოინების“ ტიპებს, რეგულირების პრინციპებს და მთავარი მოთამაშეების მოდელს.

„სთეიბლკოინი“ არის ციფრული ვალუტა, რომლის დიზაინიც ისე არის მოწყობილი, რომ მისი ფასი სტაბილურია რომელიმე ეროვნულ ვალუტასთან ან სხვა მასზე მიბმულ აქტივთან მიმართებით, რაც მას განასხვავებს სხვა კრიპტოვალუტებისგან, როგორებიცაა ბიტკოინი, ეთერიუმი და სხვა, რომელთა ფასებიც ხშირი მერყეობებით გამოირჩევა.

### ცხრილი N 4.8 „სთეიბლკოინის“ ტიპები და მისი გამომშვებები

	ტრადიციული აქტივები	ალტერნატიული მექანიზმები
<b>უზრუნველყოფის ტიპი</b>	(i) ნაღდი ვალუტა (ii) სასაქონლო პროდუქტები (iii) ფასიანი ქაღალდები (iv) სხვა ტრადიციული აქტივები	(i) კრიპტოვალუტები (ii) ალგორითმული სტაბილიზატორები
<b>წამყვანი Stablecoin-ები</b>	(i) Tether (ტრადიციული აქტივების კალათა) (ii) USDC (ტრადიციული აქტივების კალათა) (iii) Binance (ნაღდი ვალუტა) (iv) Pax (ნაღდი ვალუტა) (v) TUSD (ნაღდი ვალუტა)	(i) Fei (ალგორითმული სტაბილიზატორი) (ii) DAI (კრიპტოვალუტები)

„სთეიბლკოინების“ შესწავლის პროცესში ორი სახის ფინანსური მოდელი გამოიკვეთა: „სთეიბლკოინების“ გამომშვები როგორც საგადახდო სისტემა და „სთეიბლკოინების“ გამომშვები როგორც ბანკი.

როგორც ინგლისის ცენტრალური ბანკის კვლევაში<sup>86</sup> ვხედავთ, იმ შემთხვევაში, როდესაც „სთეიბლკოინის“ გამომშვები მოქმედებს როგორც საგადახდო სისტემა, ის უნდა დარეგულირდეს დღეს არსებული საგადახდო სისტემების რეგულაციის საშუალებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ის მოქმედებს როგორც ბანკი, მაშინ მასზე უნდა გავრცელდეს ის რეგულაციები, რომლებიც დღეს ვრცელდება კომერციულ ბანკებზე.

მსგავსი მიდგომა აქვს შვეიცარიაში FINMA-ს, რომელსაც თავის გაიდლაინში<sup>87</sup> ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ თითოეული კატეგორიის „სთეიბლკოინის“ მიმართებით გამოიყენებს ინდივიდუალურ მიდგომას და, შესაბამისად, იმ რეგულაციას მიუსადაგებს, რომელიც მეტად შესაფერისი იქნება.

ბაზელის კომიტეტმა 2022 წლის ივნისში გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი<sup>88</sup>, რომელშიც ბანკის მხრიდან კრიპტოაქტივების პრუდენციულ მოპყრობასთან მიმართებით პირველადი შეთავაზებებია მოცემული. დოკუმენტში წარმოდგენილია ის კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კრიპტოაქტივი შესაძლოა ჩაითვალოს „სთეიბლკოინად“ და მასზე გავრცელდეს შედარებით ნაკლებად მკაცრი კაპიტალის მოთხოვნები,

ვიდრე ისეთ კრიპტოაქტივებზე, რომლებიც მოცემულ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებენ (მაგ. ბიტკოინი).

აშშ-ში, საპრეზიდენტო ჯგუფს, რომელიც „სთეიბლქოინების“ თემაზე მუშაობს, შეუერთდნენ FDIC და OCC და ერთობლივი ანგარიში<sup>86</sup> მოამზადეს, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებულ უმთავრეს გამოწვევებს ეხება.

მოცემულ ანგარიშში განსაზღვრულია „სთეიბლქოინის“ გამოშვებასთან დაკავშირებული ძირითადი ფუნქციები:

- **მართვა** - მართვის ფუნქციები მოიცავს იმ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რომლებიც დაკავშირებულია „სთეიბლქოინის“ შექმნასთან, გამოსყიდვასთან, შენახვასა და ტრანსფერთან.
- **სარეზერვო აქტივების მენეჯმენტი** - მოცემული ფუნქცია განსაზღვრავს სტანდარტებს სარეზერვო აქტივებთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ამ აქტივებისა და გამოშვებული „სთეიბლქოინების“ ნომინალური ღირებულების ერთი-ერთთან თანაფარდობა. სარეზერვო აქტივების მენეჯმენტი მოიცავს საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებას რეზერვებთან დაკავშირებით, რაც ასევე მოიცავს რეზერვში მყოფი აქტივების რისკიანობის შეფასებას.
- **ანგარიშსწორება** - „სთეიბლქოინების“ როგორც ციფრული აქტივის ტრანსფერი DLT-ზე საჭიროებს სხვა პირების მხრიდან ჩართულობას (მაგ. ავთენტიფიკაცია და ვალიდაცია)
- **განაწილება** - „სთეიბლქოინების“ განაწილების პროცესი მომხმარებლებზე მოიცავს წვდომის არხებისა და სხვა სერვისების მიწოდებას, რომლებიც მომხმარებლებს საშუალებას მისცემენ მიიღონ, შეინახონ და გადარიცხონ „სთეიბლქოინები“.

მოცემული ფუნქციების შესრულება შეუძლია თავად „სთეიბლქოინის“ გამომშვებს და ასევე სხვა მესამე მხარეებსაც. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები გადანაწილებულია სხვადასხვა მხარეებზე, აუცილებელი იქნება შესაბამისი რეგულაცია თითოეულის მიმართ ცალ-ცალკე გავრცელდეს.

2023 წელს, ეროვნული ბანკი გააგრძელებს კვლევას „სთეიბლქოინებთან“ დაკავშირებით და ეცდება უფრო დეტალურად შეისწავლოს თითოეული „სთეიბლქოინის“ სახე, რათა მასზე დღეს არსებული რეგულირების წესების გაავრცელება შეძლოს ან/და შეიმუშაოს ახალი სახის რეგულაციები, რომლებიც ამ სახის ციფრული ვალუტისაგან მომავალ რისკებს გაუმკლავდებიან.

<sup>86</sup> Bank of England 2021 – New form of digital money

<sup>87</sup> FINMA 2019 - The Swiss Financial Market Supervisory Authority Stablecoins guideline

<sup>88</sup> Basel 2022 – Prudential treatment of cryptoasset exposures

<sup>89</sup> Interagency report 2021 – Report on Stablecoins

#### 4.12.2 მოდელის რისკი

საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტატისტიკური მოდელების გამოყენება სულ უფრო ფართო სახეს იძენს. ასეთი მოდელები სესხის გაცემის, ფინანსური აღრიცხვის და რისკების მართვისას ფართოდ გამოიყენება. განსაკუთრებით იზრდება მათემატიკურ-სტატისტიკური მოდელების გამოყენება საცალო, მიკრო და მცირე ბიზნეს სექტორის დაკრედიტებისას. ბოლო დროს ისეთი მოდელების დანერგვა გახშირდა, რომლებიც მანქანური სწავლების და ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს ეფუძნება. ეს, ერთი მხრივ, მოდელის ეფექტიანობას ზრდის, მაგრამ მეორე მხრივ, შედეგების ინტერპრეტაციას, ანალიზს და რისკის შეფასებას ართულებს.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულება“ უკვე ორ წელიწადზე მეტია რაც დაამტკიცა. გასულ წელს კი დებულების განახლებული ვერსია გამოქვეყნდა.

დებულებას სამი ახალი მიმართულება დაემატა და ასევე გათვალისწინებულ იქნა საფინანსო სექტორიდან მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები. დებულებაში განხორციელებული ცვლილებები ითვალისწინებს საქართველოს ფინანსურ სექტორში არსებულ პრაქტიკას, გამოწვევებს და თანამედროვე საერთაშორისო სახედამხედველო გამოცდილებას. აღნიშნული ჩარჩო ხელს შეუწყობს ფინანსურ სექტორში მოდელების უფრო ფართოდ და ეფექტურად გამოყენებას.

სექტორში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, დღის წესრიგში მოდელის ეთიკური გამოყენების ჩარჩოს შემუშავების აუცილებლობა დადგა. საპასუხოდ, დებულებაში მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების მიტიგაციის გზები განისაზღვრა. ეს ცვლილება ძირითადად მომხმარებელზეა გამიზნული. ეთიკის პრინციპების გარეშე აგებულმა მოდელმა შესაძლოა მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფი უსამართლოდ დააკლასიფიციროს და მისი უფლებები შეზღუდოს; მეორე ცვლილება რისკზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოებას ეხება – დებულების ცვლილების ფარგლებში, შემუშავდა რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგია; მესამე ცვლილება ეხება მოდელის გამომყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭვირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფას. ამ ცვლილებით მოდელების გამომყენებლებს შეეზღუდებათ „შავი ყუთების“ გამოყენება და მოდელის შედეგებზე პასუხისმგებლობის მოდელის შემქმნელზე გადატანა.



ეროვნულ ბანკში IFRS 9 სტანდარტის შემოღებასთან დაკავშირებით საფინანსო ინსტიტუტებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვის მოდელები ინერგება. მოდელის სირთულიდან და ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ეს მოდელები მაღალი რისკის მატარებლებია. მათი ანალიზისთვის ეროვნული ბანკის რესურსებით საორიენტაციო მოდელის შექმნაზე სამუშაოები მიმდინარეობს. საორიენტაციო მოდელი საფინანსო ინსტიტუტების მოდელის შეფასების ერთ-ერთი საშუალება იქნება. ასევე, აღნიშნული მოდელის შედეგებისა და პროგრამული კოდის გაზიარება მოხდება იმ საფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც სტატისტიკური მოდელების განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფებიან.

### **TechSprint კონკურსები**

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური ტექნოლოგიებით ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის პროექტებში მონაწილეობას აგრძელებს. ფინტექ ასოციაციის ინიციატივით და ეროვნული ბანკის დახმარებით ფინანსური ტექნოლოგიების თემებზე TechSprint ჩატარდა, სადაც საკუთარი ძალების გამოცდის შესაძლებლობა მონაცემთა მეცნიერებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს ჰქონდა. კონკურსმა განსაკუთრებული ინტერესი სტუდენტებში გამოიწვია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც გააგრძელებს მსგავსი კონკურსების ორგანიზებას, ვინაიდან ასეთი ღონისძიებები ზრდის ეროვნული ბანკის ცნობადობას ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში, თავის მხრივ კი, ეროვნული ბანკი ახალისებს და ხელს უწყობს ნიჭიერ ადამიანებს.

### *4.12.3 საკრედიტო საინფორმაციო ბიურო*

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლიდან ხორციელდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს (შემდგომში „ბიურო“) საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა. მას შემდეგ ხორციელდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებულ წესებთან შესაბამისობის ზედამხედველობა, როგორც ბიუროს საქმიანობის, ისე მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პირებთან მიმართებაში. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ბიუროსთან 229 სესხის გამცემი ორგანიზაცია და არასავალდებულო წესით ჩართული 31 ორგანიზაცია თანამშრომლობს. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით ცვალებადია, ვინაიდან სესხის გამცემი ორგანიზაციების რეგისტრაციის და ლიკვიდაციის პროცესი მათ მიერ ბიუროს მონაცემთა ბაზის სარგებლობაზეც ახდენს გავლენას. სფეროს საქმიანობის გაუმჯობესებისა და ასევე, პრაქტიკაში სექტორის გამოცდილების გათვალისწინებით, ბიუროს ზედამხედველობასთან დაკავშირებული წესები პერიოდულად იცვლება. 2022 წლის სექტემბერში შევიდა ცვლილებების საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ზედამხედველობისთვის შემუშავებულ წესებში. ცვლილების მთავარი საკითხი იყო: ბაზარზე ბიუროს საქმიანობისგან

განსხვავებული, თუმცა მსგავსი სუბიექტის - პლატფორმის შემოყვანა; მონაცემთა სუბიექტისგან თანხმობის დისტანციურად აღებისას ძლიერი ავთენტიფიკაციის წესის გათვალისწინება; ფიზიკური პირების ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ ანგარიშგების მომზადება და ბიუროსთვის მიწოდება. ცვლილება მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ჩანაწერებსაც შეეხო. მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესწავლას და რეაგირებას სებ-ი დიდ ყურადღებას აქცევს მონაცემების გამართული ასახვის მიზნით.

#### 4.12.4 ღია ბანკინგი

2022 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოში ღია ბანკინგის სერვისების გაფართოების და ფინტექ კომპანიების ღია ბანკინგში ჩართვის შესაძლებლობის შექმნის მიმართულებით. ასევე, ღია ბანკინგის შესაძლებლობების და მისი შემდგომი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით არაერთი შეხვედრა გაიმართა როგორც ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტებთან, ასევე ფინტექ კომპანიებთან. ღია ბანკინგი ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციას შორის, მომხმარებლის სურვილის და თანხმობის საფუძველზე, ფინანსურ ინსტიტუტებში არსებული ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცვლას გულისხმობს. ღია ბანკინგის პროექტზე მუშაობა საქართველოს ეროვნულ ბანკში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლის დასაწყისში საქართველოს საბანკო ასოციაციის ფარგლებში შეიქმნა ღია ბანკინგის კომიტეტი, რომლის მიზანია საქართველოში ღია ბანკინგის დანერგვისთვის საჭირო საერთო სტანდარტის შემუშავება და პროექტის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა. 2021 წლის 31 მარტიდან საქართველოში ღია ბანკინგის სერვისები უკვე ხელმისაწვდომია. 2022 წელს ღია ბანკინგის ხელმისაწვდომ სერვისებს დაემატა სტანდარტულ პროდუქტებზე ინფორმაციის გაცვლის და იურიდიული პირებისთვის ანგარიშის ინფორმაციის გაცვლის სერვისები. ასევე, დაიწყო ისეთი სერვისების დანერგვა, როგორებიცაა: ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადარიცხვის ინიცირების სერვისი და ღია ბანკინგის გამოყენებით დისტანციური იდენტიფიკაციის განხორციელების სერვისი.

ღია ბანკინგის განვითარება მხოლოდ აღნიშნული სერვისებით არ შემოიფარგლება. შემდეგი ეტაპი ღია ფინანსებზე გადასვლაა, რაც მეტად ფართო ინფორმაციის მიმოცვლას მოიაზრებს. 2023 წელს სისტემაში კომერციულ ბანკებთან ერთად საფინანსო სექტორის სხვა წარმომადგენლების და ლიცენზირებული ფინტექ კომპანიების ჩართვა იგეგმება. ამან კი, თავის მხრივ, მომხმარებლებისათვის საბანკო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობისა და მრავალფეროვნების გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი.

#### 4.13 ინფორმაციის დამუშავება და საზედამხედველო ტექნოლოგიები

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს საზედამხედველო ანგარიშგებების მიმოცვლის და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო სტანდარტ XBRL-ის (Extensible Business Reporting Language - ბიზნეს ანგარიშგების გაფართოებადი ენა) საინფორმაციო სისტემის გამოყენებას. XBRL საინფორმაციო სისტემის ორ მნიშვნელოვანი კომპონენტია საანგარიშგებო პორტალი და ტაქსონომიის მართვის სისტემა (Taxonomy Management System- TMS), რომელთა მომწოდებელია დარგის წამყვან ბრიტანული კომპანია Corefiling-ი.

საანგარიშგებო პორტალის საშუალებით ბანკებს მოთხოვნილი საზედამხედველო ანგარიშგების წარმოდგენა შეუძლიათ, მათ შორის XBRL ფორმატშიც. XBRL ფორმატში წარმოდგენილი ანგარიშგების ვალიდურობა შესაბამისი ტაქსონომიით მოწმდება. პორტალის დახმარებით ბანკებს ვალიდაციის შედეგების ნახვა მონაცემების ეროვნულ ბანკში გამოგზავნამდე შეუძლიათ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მონაცემების ხარისხს და ამცირებს შეცდომის ალბათობას. მონაცემთა ვალიდურობის დადასტურების შემდეგ მოწოდებული ინფორმაცია პირდაპირ მონაცემთა ბაზაში იწერება და საბანკო ზედამხედველობისთვის საჭირო ანალიტიკის ჩასატარებლად არის ხელმისაწვდომი.

პორტალის საშუალებით 2022 წელს გაგრძელდა ანგარიშგების სრულად ფასს-ზე (IFRS) გადაყვანის პროცესის მხარდასაჭერა. ერთი მხრივ პორტალის გამოყენებით ეროვნულმა ბანკმა დაიწყო IFRS ანგარიშგების მიღება კომერციული ბაკებიდან. მეორე მხრივ, გაგრძელდა EBA-ს Reporting framework 2.8-ს შესაბამისად ევროკავშირში დამკვიდრებული ინდივიდუალური FinRep ფინანსური ანგარიშგების მიღება XBRL სტანდარტით. მომდევნო წლებში გაგრძელდება ბანკებიდან FinRep ანგარიშგების შესაბამისი განახლებებით მიღება, რისი შესაძლებლობაც XBRL საინფორმაციო სისტემას ავტომატურ რეჟიმში აქვს.

პორტალის გარდა XBRL საინფორმაციო სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია ტაქსონომიის მართვის სისტემა (TMS), რომელიც ეროვნულ ბანკს DPM არქიტექტურაზე დაფუძნებული ტაქსონომიების შექმნის საშუალებას აძლევს. ტაქსონომია ინფორმაციის ნაკრებია, რომელშიც ანგარიშგებების შესახებ მეტა მონაცემებია წარმოდგენილი. ტაქსონომიაში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს განსაზღვრებებს, ელემენტებს შორის კავშირებს, იერარქიებსა და სხვა წესებს, რითიც განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია იმისათვის, რომ სებ-ის საანგარიშგებო მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

ტაქსონომიის შესაქმნისთვის ეროვნული ბანკის ინფორმაციის დამუშავებისა და საზედამხედველო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლებმა XBRL საინფორმაციო სისტემის დანერგვის ფარგლებში ინტენსიური ტრენინგი გაიარეს. თუმცა, ტაქსონომიის

შექმნის ტექნიკური მახასიათებლები მუდმივად იცვლება და მიღებული ცოდნა საჭიროებს ყოველწლიურ განახლებას. ამ მიზნით 2022 წელს ეროვნული ბანკის თანამშრომლები დაესწრნენ 3-დღიან ვორქშოფს, მადრიდში, ევროფაილინგის 27-ე კონფერენციაზე. ვორქშოფზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილული იყოს DPM Refit განახლება და მისი მახასიათებლები, რომლის დანერგვაც ეტაპობრივად მოხდება საქართველოს ეროვნულ ბანკში ევროპის ქვეყნების კვალდაკვალ. ასევე, დიდი დრო დაეთმო ESG მოდელის განხილვას, რომელიც ევროპის ქვეყნებისთვისაც სიახლეს წარმოადგენს.

დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ეროვნული ბანკის თანამშრომლებს საშუალებას აძლევს იმუშაონ ტაქსონომიების შექმნაზე. ტაქსონომიის მართვის სისტემის გამოყენებით 2022 წელს გაგრძელდა მუშაობა ეროვნული ბანკის საზედამხედველო ტაქსონომიაზე, რომელიც EBA-ს მიერ შემუშავებული Data Point Model (DPM) მეთოდოლოგიით მზადდება. ასევე, აქტიური მზადება მიმდინარეობს IFRS რეპორტებისთვის ტაქსონომიის შექმნაზე და ESG რეპორტების XBRL ფორმატში მიღებაზე, რაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებისთვისაც გამოწვევაა.

გარდა XBRL საინფორმაციო სისტემისა, მონაცემთა დამუშავებისთვისა და ვიზუალიზაციისთვის ეროვნული ბანკი იყენებს მსოფლიოში აღიარებულ Business Intelligence სისტემა Tableau-ს, რომლის საშუალებითაც 2022 წელს გაგრძელდა ანალიტიკური დემბორდების შექმნა საზედამხედველო მიზნებისთვის. დამატებით შეიქმნა დამუშავდა საკრედიტო ბიუროს და საკრედიტო რეესტრის მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიქმნა შესაბამისი ვიზუალიზაცია. ასევე, გაგრძელდა მუშაობა, რათა ანალიტიკური დემბორდები ხელმისაწვდომი გახდეს ფართო აუდიტორიისთვისაც საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდიდან.

გარდა ამისა, 2022 წელს აქტიურად ვაზიარებდით ცოდნას როგორც ეროვნული ბანკის შიგნით, ისე პარტნიორებთან. მადრიდში ჩატარებულ ევროფაილინგის კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებმა ფართო აუდიტორიას გაუზიარეს საქართველოში XBRL საინფორმაციო სისტემის დანერგვის გამოწვევები და ეროვნულ ბანკში საზედამხედველო მონაცემების დამუშავების გამოცდილება.

2022 წელს გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო საკითხი, რომელზეც ევროპის წამყვანი ქვეყნებიც აქტიურად მუშაობენ. მათ შორის მნიშვნელოვანი გამოწვევაა გრანულარული მონაცემების დამუშავება და ESG რეპორტინგის დანერგვა. ამ და სხვა გამოწვევების საპასუხოდ ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს საზედამხედველო ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებას.

## 5 მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ფინანსური განათლება

### 5.1 მომხმარებელთა უფლებების დაცვა

#### ნორმატიული ბაზის სრულყოფა

#### მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლისა და მასთან დაახლოების მიზნით, ასევე, საქართველოს ეროვნულ ბანკში მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული მიმართვებისა და ბაზრის გამოწვევების შესწავლის და ანალიზის შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის 9 მარტის #32/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ (შემდგომში - “წესი”) 2022 წელს შესაბამისი ცვლილებები შეიტანა. აღნიშნული ცვლილებები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა:

- მოთხოვნამდე ტიპის დეპოზიტებზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისთვის საჭირო დაშვებების სტანდარტიზება, რაც სხვადასხვა პროდუქტის მარტივად შედარების საშუალებას იძლევა და პროცენტის დარიცხვის განსხვავებული სქემების გამჭვირვალობას ზრდის;
- მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კრედიტებისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებისას დამატებით მოთხოვნებს, რაც საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების უკეთ დაცვას უზრუნველყოფს;
- ოვერდრაფტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება. კერძოდ, მომხმარებლებს ბანკომატზე საკუთარი სახსრებისა და ოვერდრაფტის ოდენობის შესახებ ინფორმაციის გამიჯნულად მიღების შესაძლებლობა ექნებათ, ეს კი მათ საშუალებას მისცემს, უფრო ნათლად დაინახონ, თუ მათთვის ხელმისაწვდომი თანხის რა ნაწილია ოვერდრაფტის ლიმიტი, რაც ამ ლიმიტის ათვისების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. გარდა ამისა, წესის ცვლილებების მიხედვით, ოვერდრაფტის ლიმიტის ათვისებისას, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობოს, რაც მათ ინფორმირებულობას გაზრდის.
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის ამაღლება - ფინანსურ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ თავიანთ ვებგვერდებზე საკრედიტო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების ნიმუშები და მნიშვნელოვანი პირობების შესახებ ინფორმაცია განათავსონ. გარდა ამისა, ფინანსურ ორგანიზაციასთან გაფორმებული საკრედიტო

და სადეპოზიტო ხელშეკრულებები და ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, მათ შორის, ინფორმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ, ინტერნეტ ბანკშიც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, დაწესდა გარკვეული მოთხოვნები ე. წ. თავსართში მისათითებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ კრედიტის გაცემა ხდება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების თავსართში უნდა მიეთითოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

- **ცვლილებების შესახებ მომხმარებლების სათანადო ინფორმირება** - საკრედიტო ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებამდე ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია, მომხმარებლებს და წესით განსაზღვრულ კრედიტთან დაკავშირებულ სხვა პირებს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2022 წელს კვლავ გრძელდებოდა წესში შესატან სხვა ცვლილებებზე მუშაობაც, რომლის დამტკიცება/ამოქმედება 2023 წელს იგეგმება. ცვლილებები, მათ შორის, მოიცავს საფინანსო პროდუქტების კომბინირებულად შეთავაზებისას პაკეტში შემავალი პროდუქტების ფასების გამჭვირვალედ გამჟღავნების მოთხოვნას. კერძოდ, ფინანსურმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თითოეული საფინანსო პროდუქტის ფასის გამჭვირვალედ მითითება და მომხმარებლებისთვის სათანადოდ გამჟღავნება. ცვლილებებით მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ შეადარონ ერთი ან რამდენიმე ფინანსური ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული საფინანსო პროდუქტი, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. ფინანსური ორგანიზაციებისთვის ფასის მითითება სავალდებულო არ იქნება ისეთ საფინანსო პროდუქტზე, რომლებსაც ისინი მომხმარებელს მხოლოდ სხვა საფინანსო პროდუქტებთან კომბინაციაში სთავაზობენ და ის დამოუკიდებელ საფინანსო პროდუქტს არ წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, საკმარისი იქნება, ფინანსურმა ორგანიზაციამ მიუთითოს და მომხმარებელს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ კონკრეტულ საფინანსო პროდუქტს მომხმარებელი ცალკე ვერ შეიძენს.

წლის განმავლობაში მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ კანონმდებლობის

ევროდირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანაზე, მათ შორის, ცვლილებები ითვალისწინებს ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებას, არაუზრუნველყოფილი და მოძრავი ქონებით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში, მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, გააუქმონ ხელშეკრულება კრედიტის წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გარეშე.

### **კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი**

კრედიტის ამოღებისას მომხმარებლებთან ურთიერთობის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული წესებისა და ჩვეულებების დამკვიდრების, მომხმარებლებში ფინანსური ორგანიზაციების მიმართ სანდო პარტნიორის რეპუტაციის გამყარებისა და კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, კრედიტის ამოღების პროცესში მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, 2022 წლის 17 თებერვალს დამტკიცდა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი“ (შემდგომში - „ეთიკის კოდექსი“). ეთიკის კოდექსი განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში არსებულ მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას ეფუძნება, რომელშიც გათვალისწინებულია ადგილობრივი საფინანსო სექტორის სპეციფიკა და მომხმარებელთა მიერ დაფიქსირებული მნიშვნელოვანი საკითხები. აღსანიშნავია, რომ სექტორის მონაწილე მხარეები სამუშაო პროცესში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი, რამაც ხელი შეუწყო უფრო მეტად დახვეწილი და მაღალი სტანდარტის დოკუმენტის შემუშავებას.

ეთიკის კოდექსით მოწესრიგდა კრედიტის ამოღების პროცესში ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებლის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებები, რაც შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს:

- დოკუმენტით განისაზღვრა მომხმარებლისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების, ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვის, საქმიანი და ზრდილობიანი ფორმით კომუნიკაციის ვალდებულება;
- ასევე, ეთიკის კოდექსით დადგინდა მომხმარებლებთან, საკონტაქტო და მომხმარებელთან დაკავშირებულ მესამე პირებთან დაკავშირების წესი, რაც, მათ შორის, მოიცავს კომუნიკაციის ფორმას, დროსა და მისაწოდებელი ან/და მოსაძიებელი ინფორმაციის ჩამონათვალს. კერძოდ, საკონტაქტო პირთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი/აქტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხოლო მესამე პირებთან დაკავშირება შესაძლებელია მსესხებლის ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით. შესაბამისად, მომხმარებლის ვალდებულების შესახებ ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება დაუშვებელია. ამასთან, ხსენებულ პირებთან კომუნიკაცია შესაძლებელია მხოლოდ დღის 09:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე პერიოდში; ამავე დროს, როგორც

საკონტაქტო პირი, ისე მომხმარებელთან დაკავშირებული მესამე პირი უფლებამოსილია ფინანსურ ორგანიზაციას მასთან კომუნიკაციის შეწყვეტა მოსთხოვოს;

- დამატებით, ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსურ ორგანიზაციებს ეკისრებათ მომხმარებლებთან და/ან საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების წარმოებისა და ორი თვის ვადით მათი შენახვის ვალდებულება;
- ასევე, დოკუმენტით აკრძალულია საკრედიტო პორტფელის ისეთ პირებზე გასხვისება, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს. გამონაკლისია იურიდიული პირების შემთხვევა, როცა მხარეებს შორის შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია კრედიტის გასხვისება ისეთ პირზე, რომელიც არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სუბიექტს.

აღნიშნული კოდექსის ძირითადი მოთხოვნები ამოქმედდა 2022 წლის 1 მარტიდან, ხოლო მომხმარებელთან და საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების წარმოების ვალდებულება - 2022 წლის 1 ივნისიდან.

### **საკრედიტო საინფორმაციო ბიურო**

საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში მომხმარებელთა მიერ მიმართვების დაფიქსირება და შესაბამისი ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ყოველთვიურად მიწოდება 2019 წლიდან ხორციელდება. მიღებული ანგარიშგებისა და მომხმარებლების მხრიდან უშუალოდ სებ-ში დაფიქსირებული მიმართვების საფუძველზე, დეტალურად ხდება საკითხების შესწავლა და ანალიზი, რაც თავის მხრივ, კონკრეტული საკითხების გადაჭრისა და სისტემურ დონეზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. 2022 წელს ეროვნულმა ბანკმა “საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესში” გარკვეული ცვლილებები განახორციელა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ვალდებულება, შეიმუშაოს მომხმარებლებთან ურთიერთობის ეთიკის კოდექსი, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლებთან ურთიერთობის დროს იმოქმედებს კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე;
- მომხმარებლების მიერ საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში დაფიქსირებულ პრეტენზიებზე რეაგირებასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები. კერძოდ,



საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს განესაზღვრა ვადა, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს უნდა დაუდასტუროს/აცნობოს პრეტენზიის მიღება. ასევე, განისაზღვრა მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის შესწავლის მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 სამუშაო დღეს.

აღსანიშნავია, რომ ცვლილების პროცესში სექტორის მონაწილე მხარეების მაქსიმალური ჩართულობისა და მათი მხრიდან კომენტარების/კითხვების მიღების უზრუნველყოფის მიზნით პროექტი საჯაროდ იყო გამოქვეყნებული.

### **მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონი**

2022 წლის მარტში დამტკიცდა საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ (შემდგომში - „კანონი“), რომლის ძირითადი მოთხოვნები 2022 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა, ხოლო ნაწილი მოთხოვნები ამავე წლის 1 ნოემბრიდან შევიდა ძალაში. აღსანიშნავია, რომ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტები დიდწილად აქამდეც არეგულირებდა, თუმცა, კანონით დამატებით განისაზღვრა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობებისა და უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვა. საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან ზემოაღნიშნული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის მონიტორინგს საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს.

### **საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტების დისტანციური და ადგილზე შემოწმება**

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე შემოწმებები, როგორც 2021 წელს, ასევე, 2022 წელს არ განხორციელებულა, თუმცა, საფინანსო მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მონიტორინგის მიზნით, ეროვნული ბანკი 2022 წელსაც აგრძელებდა მის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტების დისტანციურად შემოწმებას. დისტანციურადვე ხორციელდებოდა მომხმარებლების მომართვებში დაფიქსირებული საკითხების შესწავლა და საკანონმდებლო ჩარჩოს მოთხოვნების გამოვლენილი დარღვევების საპასუხოდ, რიგი საზედამხედველო ქმედებების გატარება. აღნიშნულის ფარგლებში, წერილობითი მითითება გაეგზავნა 5 კომერციულ ბანკს, 1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და 38 სესხის გამცემ სუბიექტს, ჯამურად 35,000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარით დაჯარიმდა 4 კომერციული ბანკი, 1,000 (ათასი) ლარით - 1 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ხოლო 31,000 (ოცდათერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით - 30 სესხის გამცემი სუბიექტი.

## **მომხმარებლების მომართვიანობა**

საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებაში 2022 წელს სულ მომხმარებელთა 7,512 მომართვა დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 13 პროცენტით მეტია.

მომხმარებლების უმრავლესობა საკითხებს ტელეფონით აფიქსირებდა - 5,947 მომართვა (79.17 პროცენტი), მომართვები ფიქსირდებოდა ასევე ელექტრონული ფოსტით - 957 მომართვა (12.74 პროცენტი), წერილობით - 358 (4.77 პროცენტი), სოციალური ქსელით - 181 (2.41 პროცენტი), ხოლო, ყველაზე ნაკლები - 69 (0.92 პროცენტი) პირადი ვიზიტის სახით არის დაფიქსირებული.

შინაარსის მიხედვით, ყველაზე მეტი მომართვა ადმინისტრაცია/მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ასევე, აქტუალურია რესტრუქტურირებისა და ზოგადი სახის ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებული მომართვებიც.

პროდუქტების მიხედვით კი, ყველაზე ხშირი მომართვები სამომხმარებლო, იპოთეკურ და პრობლემურ სესხებს ეხებოდა.


## **ფინანსურ ორგანიზაციებში დაფიქსირებული პრეტენზიების მონაცემები**

ფინანსურ ორგანიზაციებში მომხმარებელთა მხრიდან დაფიქსირებული პრეტენზიების შესახებ ანგარიშგებები ფინანსური ორგანიზაციების ტიპების მიხედვით (კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტები) კონსოლიდირებული სახით საჯაროდ ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე.

აღნიშნული ანგარიშგებების მიხედვით, 2022 წლის განმავლობაში, კომერციულ ბანკებში ჯამურად - 23,236 პრეტენზია დაფიქსირდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 5.6 პროცენტით ნაკლებია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან კომერციულ ბანკებში დაფიქსირებული მიმართვების დინამიკა ძირითადად მზარდია, რაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ მომხმარებლების ინფორმირებულობის ზრდაზე მიუთითებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ 2020-2021 წლებში პრეტენზიების რაოდენობის ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო COVID-19 პანდემიის შედეგად განვითარებული მოვლენებით, შესაბამისად, 2022 წელს პრეტენზიების რაოდენობის შემცირება აღნიშნული მიმართულებით არსებული გამოწვევების შემცირებითაა განპირობებული.


კომერციულ ბანკებში დაფიქსირებულ პრეტენზიებში, წინა წლების მსგავსად, კვლავ აქტუალური იყო ტრანზაქციებთან, ადმინისტრაცია/მომსახურებასთან და ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებული საკითხები. რაც შეეხება პროდუქტების ტიპებს, ყველაზე ხშირად პრეტენზიები მიმდინარე ანგარიშებთან/სადებეტო ბარათებთან, სამომხმარებლო სესხებთან და საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა.

დიაგრამა N 5.1 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 5.2 კომერციულ ბანკებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში 2022 წლის განმავლობაში დაფიქსირებულმა პროტენზიებმა ჯამში 983 შეადგინა, რაც, წინა წელთან შედარებით, დაახლოებით 25 პროცენტით ნაკლებია. აქაც, როგორც კომერციული ბანკების შემთხვევაში, პროტენზიების კლება COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევით არის გამოწვეული.


2022 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში დაფიქსირებული პროტენზიების დაახლოებით 76 პროცენტი სამომხმარებლო სესხებს ეხება, რაც ბუნებრივია, რადგანაც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ძირითად პროდუქტს სწორედ აღნიშნული წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წლის აპრილიდან პროტენზიების აღრიცხვის მეთოდოლოგია მცირედით შეიცვალა და ანგარიშგებებში დამატებით გამოიყო სამი პროდუქტი - სადებეტო ბარათი, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო და სალომბარდე სესხები. მიუხედავად მეთოდოლოგიის ცვლილებისა, სამომხმარებლო სესხების ხვედრითი წილი, დაფიქსირებული პროტენზიების ფარგლებში, მაინც მაღალია. ასევე, მაღალია მომენტალური განვადებისა და სალომბარდე სესხების წილი ჯამურ პროტენზიებში. რაც შეეხება პროტენზიების ხასიათს, ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ჯარიმებსა და ვადაგადაცილებასთან დაკავშირებულ პროტენზიებს და ადმინისტრაცია/მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს უჭირავს.

**დიაგრამა N 5.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პროტენზიების გადანაწილება სტატუსის მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 5.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში პრეტენზიების გადანაწილება პროდუქტების მიხედვით**



წყარო:

*საქართველოს ეროვნული ბანკი*

სესხის გამცემ სუბიექტებში მომამრებლების მიერ დაფიქსირებული პრეტენზიების შესახებ სტატისტიკა 2022 წლის დასაწყისიდან ქვეყნდება და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჯამში 3,493 პრეტენზია დაფიქსირდა. ამ პრეტენზიების დაახლოებით 96 პროცენტი სამომხმარებლო სესხებს ეხება, რასაც, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, სგს-ებისთვის ამ ტიპის პროდუქტის ძირითად პროდუქტად არსებობა განაპირობებს.

რაც შეეხება პრეტენზიების ხასიათს, მათი უმრავლესობა ადმინისტრაცია/მომსახურებასა და სხვა გადასახდელს ეხება.

**5.2 ფინანსური განათლება**

**ფინანსური განათლების პორტალი, [www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge)**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2020 წლის სექტემბერში გაშვებული ფინანსური განათლების პორტალი, [www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge) (შემდგომში ფინედუ) და მისი სოციალური ქსელების არხები (Facebook, Instagram, LinkedIn და YouTube პლატფორმებზე) 2022 წლის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით ფინანსური განათლების გავრცელების ერთ-ერთ ძირითად და მოქნილ არხს წარმოადგენდა.

2022 წლის განმავლობაში ფინედუს ვებპორტალი შეივსო ახალი, სხვადასხვა ტიპის თემატური მასალით, გვერდზე აისახა ყველა ის ღონისძიება თუ სიახლე, რომელიც 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა და დაემატა შესაბამისი ტექსტური თუ ვიდეომასალა. 2023 წლის დასაწყისში ვებგვერდს დაემატება კროსვორდები, განახლდება სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფასიანი ქაღალდების კატეგორიების კალკულატორები.

ფინედუს სოციალური არხების საშუალებით 2022 წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ვებგვერდზე არსებული მასალები, ფინანსური განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, კონკურსებისა და საინფორმაციო კამპანიების შესახებ ინფორმაცია, დაიგეგმა და განხორციელდა ფეისბუქღონისძიებები. ყოველივე აღნიშნულის საშუალებით ფინანსური განათლების აქტივობები და მასალები ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს ნებისმიერ ადგილას მცხოვრები მოსახლეობისათვის.

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით ფინანსური განათლების პორტალს 209 ათასზე მეტი ახალი უნიკალური მომხმარებელი ესტუმრა, რომლებმაც 277 ათასზე მეტი სესია და 440 ათასზე მეტი გვერდის ვიზიტი დააფიქსირეს. რაც შეეხება ფინედუს ფეისბუქგვერდს, ის 2022 წელს 2 მილიონზე მეტ უნიკალურ მომხმარებელს მისწვდა და 5 ათასამდე ახალი გამომწერი მოაგროვა. ინსტაგრამისა და ლინკდინის გვერდების გამომწერების რაოდენობამ კი 2022 წელს 2,308 შეადგინა.

### **ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები**

ეროვნული ბანკი 2022 წელსაც, ტრადიციულად, განაგრძობდა ცნობიერების ასამაღლებელი ყოველწლიური ღონისძიებების - მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის, გლობალური ფულის კვირეულის, ინოვაციების ბანაკის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის, კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვისა და მსოფლიო დაზოგვის დღის აღნიშვნას. ამასთან, დაზღვევის სფეროს წარმომადგენლებთან ერთად საფუძველი ჩაეყარა ახალ ინიციატივას - დაზღვევის დღის აღნიშვნას.

### **მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე**

2022 წელს, ეროვნული ბანკის ინიციატივით, ფინანსური სექტორი უკვე მეორედ, ხოლო სადაზღვევო სექტორი პირველად შეუერთდა საერთაშორისო ტრადიციას და 15 მარტს მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა. ამ თარიღს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1983 წლიდან აღნიშნავენ და მისი მიზანი სხვადასხვა სფეროს მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღის ქართული სლოგანი იყო - „იცოდე შენი უფლებები - იყავი დაცული!“

მომხმარებელთა უფლებების დაცვის დღის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა. ფინედუსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდებსა თუ სოციალურ არხებში გავრცელდა სხვადასხვა სახის ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებებისა და მისი დაცვის შესახებ. მათ შორის: ვიდეოები, ბლოგები, სტატიები. აღნიშნული ინფორმაციის შემუშავება-გავრცელებაში ჩართული იყვნენ კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები, ასევე, საქართველოს საბანკო ასოციაცია, საქართველოს სადაზღვევო ასოციაცია, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაცია / FEA Georgia, დაზღვევის განათლების ჰაბი და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

### **გლობალური ფულის კვირეული**

2022 წელს ეროვნული ბანკისა და ფინედუს ორგანიზებით გლობალური ფულის კვირეული საქართველოში მერვედ, 21-27 მარტს აღინიშნა. ღონისძიებაში კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაცია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველოს საბანკო ასოციაცია, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველო", იყვნენ ჩართულნი.

გლობალური ფულის კვირეული მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება და მისი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო ცნობიერების ამაღლებას. 2022 წლის კვირეულის საერთაშორისო დევიზს (Build your future, be smart about money!) საქართველოც შესაბამისი ქართულენოვანი ვერსიით შეუერთდა - "შექმენი შენი მომავალი, მოეპყარი გონივრულად ფულს!".

კვირეულის დასაწყისში ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ მონაწილეობა მიიღო საიუბილეო კვირეულის გახსნით ღონისძიებაში, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) ორგანიზებით გაიმართა.

კობა გვენეტაძემ კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილ პანელზე ვრცლად ისაუბრა ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე და მონაწილეებს ეროვნული ბანკის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები გააცნო.

გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში ფინანსური განათლების ვებგვერდსა და მის სოციალურ ქსელებში განთავსდა სხვადასხვა თემატური მასალა, მათ შორის ბლოგები, სტატიები, ტესტები. ჩატარდა პირდაპირი ფეისბუქჩართვები ფულის თემატიკაზე, ასევე, ვებინარები სკოლის მოსწავლეებთან. გარდა ამისა, გამოცხადდა ორი - ბლოგების და ნახატების - კონკურსი. ორივე მათგანი დაიგეგმა უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და საომარი

მოქმედებების დაწყების რეზონანსულ პერიოდში და ორივე მათგანი უკრაინასა და მსოფლიოში მშვიდობის იდეის მხარდაჭერას მიეძღვნა.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინედუს ორგანიზებით, სს „ბაზისბანკის“, სს „ლიბერთი ბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „კრედო ბანკის“, სს „საქართველოს ბანკისა“ და სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ჩართულობითა და მხარდაჭერით ბლოგების კონკურსი განხორციელდა. კონკურსის ფარგლებში გამოვლინდა 17 გამარჯვებული, რომელთა სახელითაც საპრიზო ფონდის სახით გამოყოფილი თანხა, თითოეულისაგან 500 ლარის ოდენობით, უკრაინის მხარდასაჭერ ანგარიშებზე გადაირიცა.

ნახატების კონკურსის, სახელწოდებით „ფული და მშვიდობა“, ფარგლებში სულ 18 წლამდე ახალგაზრდების 200-მდე ნამუშევარი შემოვიდა, საიდანაც 5 გამარჯვებული ფინედუს შესაბამის ფეისბუქპოსტზე დაფიქსირებული რეაქციების რაოდენობით გამოვლინდა, ხოლო დამატებით 5 გამარჯვებული კი სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომელსაც ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა. გამარჯვებულ ავტორებს პრიზის სახით სამახსოვრო ნივთები და საგანმანათლებლო მასალები, დამატებით 5 მონაწილეს კი კონკურსის იდეის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სერტიფიკატი გადაეცა.

გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის ფულის თემაზე ვებინარები ჩატარდა. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და ფინანსური განათლების პორტალმა - ფინედუმ IV-VI კლასის მოსწავლეებისთვის ონლაინ გაკვეთილები ჩატარეს. გაკვეთილები ფულის ისტორიისა და ეროვნული ბანკის ფუნქციების მოკლე განხილვას, ფულის მართვისა და დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას დაეთმო. ონლაინ გაკვეთილებს ე.წ. ფინედუს დესპანების ფორმატით ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლები და პარტნიორი ორგანიზაციების - სს „თიბისი ბანკის“, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაციის წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ეროვნული ბანკის თანამშრომლები, ონლაინ გაკვეთილების გარდა, დამატებით თბილისის 4 სკოლას ეწვივნენ. ჯამში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პროექტში 27 სკოლა, 34 მასწავლებელი და 900-მდე მოსწავლე ჩაერთო.

მონაწილე სკოლებსა და მასწავლებლებს საქართველოს ეროვნული ბანკისგან სერტიფიკატები, ხოლო მოსწავლეებს საგანმანათლებლო ბროშურები გადაეცათ.

ფინანსური სექტორის წარმომადგენლებმა და ღონისძიების სხვა პარტნიორებმა კვირეულის ფარგლებში არაერთი საგანმანათლებლო ღონისძიება გამართეს. ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია “კრისტალისა” და სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ორგანიზებით უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ფულის თემაზე



ლექციები ჩატარდა. საქართველოს ბანკმა სოციალური ქსელების - ტიკ ტოკის, ფეისბუქისა და ინსტაგრამის არხებზე თემატური ქვიზები და სტატიები გაავრცელა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა და საქართველოს ფინანსური განათლების ასოციაციამ ბიზნესით, ტურიზმის მენეჯმენტითა და ფინანსებით დაინტერესებული დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ონლაინ შეხვედრების კურსი ჩაატარეს.

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ კვირეული ტრადიციულად, აფლატუნის წევრებთან ერთად აღნიშნა. ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველომ კი სამეწარმეო განათლების ფესტივალს უხელმძღვანელა, სადაც ჟიურის წევრების რანგში სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკისა და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აღნიშნული ღონისძიებების გარდა, პარტნიორმა ორგანიზაციებმა არაერთი საინტერესო ღონისძიება გამართეს.

### **დაზღვევის დღე საქართველოში**

2022 წლის 2 მაისს პირველად საქართველოში დაზღვევის დღე აღინიშნა. აღნიშნულ ტრადიციას საფუძველი ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში ეროვნული ბანკის, ფინედუსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მხარდაჭერითა და სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით ჩაეყარა.

დაზღვევის დღის დაწესების იდეა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე მსჯელობისას გაჩნდა და მიზნად დაზღვევის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ისახავდა. აღსანიშნავია ის სიმბოლური ფაქტი, რომ დაზღვევის შესახებ პირველ კანონს სწორედ 1997 წლის 2 მაისს მოეწერა ხელი.

ღონისძიების ფარგლებში ჩართული ორგანიზაციების მხრიდან არაერთი საინფორმაციო კამპანია განხორციელდა. ფინედუს ვებგვერდზე, ასევე, შესაბამის სოციალურ ქსელებში 2 მაისიდან დაზღვევის კვირეულის ფარგლებში მომხმარებლებს დაზღვევასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო და შემეცნებითი მასალა მიეწოდათ. ამასთან, დაზღვევის დღეს მიეძღვნა კონკურსი სახელწოდებით „მეტი დაცვა, ნაკლები რისკი“, სადაც ორ კატეგორიაში: „ბლოგი“ და „პოსტერი და სლოგანი“ სულ 140 ნამუშევარი შემოვიდა, საიდანაც 54 ნამუშევარი ბლოგების კატეგორიას, ხოლო 86 ნაშრომი სლოგანებისა და პოსტერების კატეგორიას ეკუთვნოდა.

თითოეულ კატეგორიაში ჟიურიმ 2-2 გამარჯვებული გამოავლინა, ჟიურის წევრები საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის, სს "არდი დაზღვევის", სს "დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს", სს "ნიუ ვიჟენ დაზღვევის", სს "ჰსკ დაზღვევის", სს "რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიას", სს

"სადაზღვევო კომპანია ალდაგის", სს "სადაზღვევო კომპანია იმედი ელისა" და საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლები იყვნენ.

ორივე კატეგორიაში 1-ელ ადგილზე გასულ გამარჯვებულებს 2,000 ლარის, ხოლო მეორე ადგილის მფლობელებს 1,000 ლარის ოდენობით ფულადი პრიზები გადაეცათ.

დაზღვევის დღის აღსანიშნავად ჩატარებული ღონისძიება სასტუმრო "ბილტმორში" გაიმართა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ დაზღვევის შესახებ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლებასა და ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე ისაუბრა. ამავე ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ კონკურსის გამარჯვებულებიც.

### **ინოვაციების ბანაკი ფინანსური განათლების თემაზე**

ეროვნული ბანკი "ჯუნორ ეკივმენტ საქართველო"-სთან ერთად, ინოვაციების ბანაკის ორგანიზებაში 2022 წელს მეხუთედ ჩაერთო. ღონისძიება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - "სამეწარმეო განათლების მხარდაჭერა ევროპასა და ევრაზიაში" - ფარგლებში, ხუთი კომერციული ბანკის - სს „ბაზისბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „კრედო ბანკის“, სს „საქართველოს ბანკის“, სს „ტერა ბანკის“ და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ თანადაფინანსებითა და საქართველოს საბანკო ასოციაციის ჩართულობით ჩატარდა.

ინოვაციების ბანაკი იდეების ინტენსიური გენერირების ღონისძიებაა, სადაც მოსწავლეები კონკრეტულ ბიზნესგამოწვევაზე გუნდურად მუშაობენ და მის გადაჭრას ეფექტური და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ცდილობენ.

2022 წლის ღონისძიება გაიმართა სახელწოდებით "ინოვაციების ბანაკი: ფინანსური წიგნიერება", რომელიც მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების დონის ამაღლებას, ბიზნესის ფინანსების სწორად დაგეგმვასა და მრავალფეროვანი ფინანსური პროდუქტების გამოყენებას მიემდგვნა. 12 საათიანი ღონისძიება შავი ზღვის უნივერსიტეტში ჩატარდა და მასში მონაწილეობა თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების 15-დან 18 წლამდე ასაკის 100-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო.

ბანაკის მონაწილეებს კონსულტაცია საბანკო-საფინანსო სფეროს მოწვეულმა ექსპერტებმა გაუწიეს. ეროვნული ბანკის წარმომადგენელმა კი ახალგაზრდებს ფინანსური განათლების საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს. ღონისძიების დასასრულს მონაწილე გუნდებმა თავიანთი იდეების შესახებ პრეზენტაციები წარადგინეს, რის საფუძველზეც კომპეტენტურმა ჟიურიმ გამარჯვებული გუნდი გამოავლინა. გამარჯვებულებსა და ღონისძიების სხვა მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ.

## **ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე**

ეროვნულმა ბანკმა, ფინანსური სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე 2022 წელს მეორედ აღნიშნა.

12 აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღედ გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლემ 1999 წელს გამოაცხადა. მსოფლიოს მასშტაბით ეს დღე ახალგაზრდების პრობლემების, მათი იდეებისა და ინიციატივების განხილვას ეძღვნება.

ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა იდეების კონკურსი „ახალგაზრდები მოსწავლეებისთვის“. კონკურსის ფარგლებში მონაწილეებმა სკოლის მოსწავლეებისთვის ფინანსური განათლების საკითხების სწავლების ინდივიდუალური ხედვა წარადგინეს.

კონკურსი საქართველოს ეროვნული ბანკის და ფინედუს ინიციატივით და სს „საქართველოს ბანკის“, სს „თიბისი ბანკის“, სს „კრედო ბანკის“, სს „ბაზის ბანკის“, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალის“, ფინანსური ორგანიზაცია „კრისტალისა“ და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჩართულობით ჩატარდა.

კონკურსის ფარგლებში 57 ნამუშევარი შემოვიდა, საიდანაც ჟიურიმ კონკურსის პირობებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით 12 ფინალისტი გამოავლინა.

კონკურსის ფინალი 12 აგვისტოს, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს, ეროვნული ბანკის შენობაში გაიმართა, სადაც ფინალისტებმა ჟიურის საკუთარი იდეები წარუდგინეს და მათ კითხვებსაც უპასუხეს. თითოეული გამომსვლელი ჟიურიმ კონკურსის პირობებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა და საბოლოოდ ხუთი გამარჯვებული გამოავლინა.

კონკურსის პირველი ადგილის მფლობელს სს „საქართველოს ბანკმა“ 3,000 ლარის ოდენობის ფულადი პრიზი გადასცა, მეორე ადგილის მფლობელი სს „ბაზისბანკმა“ 2,000 ლარიანი ფულადი პრიზით დააჯილდოვა, მესამე, მეოთხე და მეხუთე ადგილის მფლობელებს კი 1,000 ლარის ოდენობის ფულადი პრიზი პარტნიორი ორგანიზაციებისგან - სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“, სს „კრედო ბანკისა“ და სს „თიბისი ბანკისგან“ გადაეცათ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სამ ფინალისტს საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების განყოფილებაში სტაჟირება შესთავაზა.

კონკურსის ყველა ფინალისტს ორგანიზატორებისა და პარტნორებისგან სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

## **მსოფლიო დაზოგვის დღე**

ეროვნულმა ბანკმა მსოფლიო დაზოგვის დღე ფინანსური სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით 2022 წელს უკვე მეთერთმეტედ აღნიშნა. ღონისძიებას ფინანსური სექტორის წარმომადგენლებიდან მხარდაჭერას უწევდა სს „თიბისი ბანკი“, სს „კრედო ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ტერა ბანკი“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“

მსოფლიო დაზოგვის დღის მიზანი ბავშვებსა და ახალგაზრდებში დაზოგვის სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და დაზოგვის წახალისებაა.

2022 წელს მსოფლიო დაზოგვის დღის აღსანიშნავად დაიგემა საგანმანათლებლო კამპანია. მისი ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება საკლასო ოთახებში დაზოგვასა და დაზოგვის მნიშვნელობაზე ღია გაკვეთილების ჩატარება იყო, რომელიც კამპანიაში ჩართულმა ორგანიზაციებმა დამოუკიდებლად დაგეგმეს და განახორციელეს. მათ შორის იყო ფინედუს მიერ დაგეგმილი ღონისძიება „მოიწვიე ფინედუ კლასში“, რომელიც დაინტერესებულ კლასებში გაკვეთილების ჩასატარებლად საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების, ე.წ. ფინედუს დესპანების, ვიზიტებს ითვალისწინებდა. ფინედუს დესპანების გაკვეთილებზე რეგისტრაციის მსურველთა რაოდენობა უპრეცედენტოდ მაღალი იყო და ორ დღეში ფინედუ 230-ზე მეტ კლასში მიიწვიეს. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ბანკის თანამშრომლების რესურსებიდან გამომდინარე, ვიზიტები მხოლოდ რამდენიმე ათეულ სკოლას ითვალისწინებდა, სკოლების მოთხოვნის საპასუხოდ დამატებითი ძალების მობილიზება განხორციელდა და ყველა დაინტერესებული სკოლის ინტერესი დაკმაყოფილდა. ამ საქმეში ფინედუსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მხარდაჭერა გამოუცხადეს პარტნიორებმაც (სს „თიბისი ბანკი“, სს „კრედო ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ტერა ბანკი“, მისო „ემბისი“). მათი ჩართულობით შესაძლებელი გახდა რეგიონებში, უმრავლეს შემთხვევაში, ონლაინის ნაცვლად საკლასო გაკვეთილები ჩატარებულიყო.

კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა 150-მდე სკოლის IV-VII კლასის 5,000-მდე მოსწავლესთან.

ღონისძიების მონაწილე სკოლებს სამახსოვრო საგანმანათლებლო მასალები და სერტიფიკატები გადაეცათ.

### **კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების თვე**

2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია უკვე მეორედ ჩაატარა. აღნიშნული კამპანია ოქტომბრის თვეში საერთაშორისო მასშტაბით 2004 წლიდან აღინიშნება. წლევიანდლი კამპანიის ქათული სლოგანი იყო: „არ წამოეგო ანკესს, #იყავიკიბერფრთხილი“.

კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი აქტივობა, შემუშავდა და გამოქვეყნდა სპეციალური საგანმანათლებლო მასალები, ვიდეოები, ტესტები, ჩატარდა პირდაპირი ჩართვები კიბერუსაფთხოების თემაზე, როგორც ფიზიკური პირებისთვის, ისე ბიზნესებისთვის.

ეროვნულ ბანკსა და ფინედუსთან ერთად ღონისძიებებში ჩართულნი იყვნენ ეროვნული კიბერუსაფრთხოების ალიანსი, საბანკო ასოციაცია და ხუთი კომერციული ბანკი - სს „საქართველოს ბანკი“, სს „ბაზის ბანკი“, სს „ლიბერთი ბანკი“, სს „კრედიო ბანკი“ და სს „პროკრედიტ ბანკი საქართველო“.

## ფინანსური განათლების სხვა პროექტები

### ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „Finოსოფიური დღიურები“

2022 წელს ფინედუს ფეისბუქგვერდზე წარმატებით გაგრძელდა პროექტი „Finოსოფიური დღიურები“. პროექტი ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის (Live) ფორმატში საუბრების სერიას წარმოადგენს და მისი მიზანია ამა თუ იმ ფინანსური საკითხის განსხვავებული, საინტერესო კუთხით წარმოჩენა და ფართო საზოგადოებაში ფინანსების მიმართ გონივრული დამოკიდებულებების ფორმირების ხელშეწყობა.

2022 წლის განმავლობაში „Finოსოფიური დღიურების“ ოცდაერთი სესია გაიმართა, სადაც მოწვეული სპიკერები ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით არასტანდარტული, ორიგინალური და საინტერესო კუთხით საუბრობდნენ. საუბრების მოსმენა ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედრის მსვლელობის დროს კომენტარებში საკუთარი შეკითხვები დაეწერათ და სპიკერის პასუხები მოესმინათ.

ჩანაწერების ნახვა დაინტერესებულ პირებს ფეისბუქგვერდის გარდა როგორც ფინანსური განათლების პორტალზე, ისე, მის YouTube არხზე შეუძლიათ.

### ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „ექსპერტი ფინედუსზე“

2022 წელს ასევე წარმატებით გაგრძელდა ფინედუს ფეისბუქპროექტი „ექსპერტი ფინედუსზე“. ეს პროექტი 2021 წელს დაიწყო და ის ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის (Live) ფორმატში საუბრების სერიას წარმოადგენს. პროექტის მიზანი ისეთ მნიშვნელოვანი საკითხების ობიექტური და კომპეტენტური გამუქებაა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის ფინანსებსა თუ ფინანსურ გადაწყვეტილებებზე.

2022 წლის განმავლობაში პროექტის „ექსპერტი ფინედუზე“ თოთხმეტი სესია გაიმართა, სადაც მოწვეული სპიკერები აქტუალურ თემებზე საუბრობდნენ, მსმენელის შეკითხვებს პასუხობდნენ და განხილული თემატიკის ირგვლივ, მათთვის საინტერესო შემთხვევებს განიხილავდნენ.

ჩანაწერების ნახვა დაინტერესებულ პირებს ფეისბუქგვერდის გარდა როგორც ფინანსური განათლების პორტალზე, ისე, მის YouTube არხზე შეუძლიათ.

### **ფეისბუქის პირდაპირი ჩართვების სერია - „საუბრები ბიზნესზე“**

2022 წელს სტარტი აიღო კიდევ ერთმა პროექტმა „საუბრები ბიზნესზე“, რომელიც ფეისბუქის პირდაპირი ჩართვის (Live) ფორმატში საუბრების სერიას წარმოადგენს, სადაც მოწვეული სპიკერები საუბრობენ იმ თემებზე, რომლებიც მეწარმეების ფინანსურ გადაწყვეტილებებს უკავშირდება და ბიზნესის ფუნქციონირების უწყვეტობას უზრუნველყოფს. საუბრების მოსმენა ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეეძლო. მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ, შეხვედრის მსვლელობის დროს კომენტარებში საკუთარი შეკითხვები დაეწერათ და სპიკერის პასუხები მოესმინათ.

2022 წლის განმავლობაში პროექტის „საუბრები ბიზნესზე“ თვრამეტი სესია გაიმართა. ჩანაწერების ნახვა დაინტერესებულ პირებს ფეისბუქგვერდის გარდა როგორც ფინანსური განათლების პორტალზე, ისე, მის YouTube არხზე შეუძლიათ.

### **შემეცნებითი კონკურსები**

მოსახლეობაში ფინანსური განათლების მიმართ დაინტერესების გაზრდის მიზნით, ეროვნული ბანკი ფინედუს სოციალური არხების საშუალებით, პერიოდულად სხვადასხვა კონკურსს აცხადებდა. გარდა ცნობიერების ამაღლების ფარგლებში დაგეგმილი ზემოაღნიშნული კონკურსებისა, დაიგეგმა და განხორციელდა წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსი „ფინანსური გაკვეთილები მხატვრულ ლიტერატურაში“ და კონკურსი - „ფინანსური განათლების კროსვორდები ფინედუზე“. კონკურსებში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო. წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსის გამარჯვებულებს საჩუქრები „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ და ელექტრონული წიგნების სახლმა „საბამ“ გადასცეს, ხოლო კონკურსის - „ფინანსური განათლების კროსვორდები ფინედუზე“ გამარჯვებულები ფინედუს ბრენდირებული სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ.

### **საგანმანათლებლო მედიაჩართვები**

ფართო საზოგადოებასთან სხვადასხვა აქტუალურ საგანმანათლებლო თემებთან დაკავშირებით კომუნიკაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ეროვნული ბანკი 2022

წლის განმავლობაში კვლავ აქტიურად იყენებდა მედია საშუალებებს, კერძოდ, სატელევიზიო და რადიო ეთერებს.

წლის განმავლობაში ფინანსური განათლების მიმდინარე მდგომარეობის ანალიზით, კიბერუსაფრთხოების თემატიკით, ფინანსური განათლების კუთხით ბიზნესსაჭიროებების მიმოხილვითა და მნიშვნელოვან თარიღებთან, მათ შორის დღესასწაულებთან დაკავშირებული გონივრული ხარჯვისა და დაზოგვის თემებით არაერთი ჩართვა განხორციელდა სხვადასხვა სატელევიზიო თუ რადიო ეთერის საშუალებით.

### **ფინანსური განათლების პროექტები სკოლის მოსწავლეებისათვის**

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა და ფინანსური განათლების პორტალმა ფინედუმ VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ფინანსური განათლების ონლაინ კურსი ჩაატარეს, რომელიც 3 გაკვეთილისგან შედგებოდა და შემდეგ თემებს მოიცავდა: „პირადი ფინანსების მართვა“, „დაზოგვა“, „სესხება“.

შეხვედრები ონლაინფორმატში ჩატარდა და მას ეროვნული ბანკის წარმომადგენლები, მათ შორის, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონკურსის ფინალისტებიდან შერჩეული სტაჟიორები უძღვებოდნენ.

პროექტის ფარგლებში გაკვეთილი 19 სკოლის 300-მდე მოსწავლესთან ჩატარდა.

ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს სკოლების ინიციატივებსაც უპასუხა და სკოლებში წინასწარ დაგეგმილი ღონისძიებების გარდა, მოსწავლეებს ფინანსური განათლების თემაზე შეხვედრები საქართველოს ეროვნული ბანკის ოფისსა და უშუალოდ სასკოლო სივრცეებშიც ჩაუტარა.

### **პროექტი „სკოლა-ბანკი“**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს "სკოლა-ბანკის" პროექტის ფარგლებში, მასწავლებელთა ახალი ნაკადი გადაამზადა. ტრენინგს საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები ესწრებოდნენ.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და Child and Youth Finance International-ის (CYFI) მიერ შემუშავებული პროგრამა "სკოლა-ბანკი" 15 გაკვეთილს მოიცავს და მიზნად ისახავს VII-IX კლასის მოსწავლეების ფინანსური განათლების დონის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები მათთვის გასაგები ენითა და სახალისო აქტივობებით ეცნობიან ფინანსური განათლების ისეთ საკვანძო თემებს, როგორებიცაა დაზოგვა და ბიუჯეტირება, საბანკო პროდუქტები, გონივრული სესხება, მომხმარებლის უფლებები და პასუხისმგებლობები, ფინანსური უსაფრთხოება.

მასწავლებელთა ტრენინგზე განხილული იყო ყველა ის თემა და სწავლების აქტიური მეთოდი, რაც "სკოლა-ბანკის" სახელმძღვანელოშია მოცემული. მიღებულ ცოდნას მასწავლებლები თავიანთ სკოლებში დანერგავენ და მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ერთ კლასთან 15 გაკვეთილიან კურსს ჩაატარებენ.

### **ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა**

საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური განათლების საკითხების გავრცელებისთვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში შექმნილი სტრატეგიის მართვის კომიტეტში საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად 11 ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთიანდებიან და არაერთ ყოველწლიურ ღონისძიებასა თუ კამპანიას ატარებენ. გარდა კომიტეტის ფარგლებში თანამშრომლობისა, ეროვნული ბანკი ყოველთვის ეხმარება მოსახლეობაში ფინანსური განათლების გავრცელების შესახებ სხვადასხვა ორგანიზაციების ინიციატივებს. ამგვარი ინიციატივებით დაწყებული თანამშრომლობა ხშირად განგრძობადია და ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებიც ფორმდება.

### **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციას შორის.**

მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებში ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის და ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაციას (SMEDA) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია აქტიურად მონაწილეობდა სამიზნე სემინარების შექმნილი მასალების გავრცელებაში. ასევე, 2022 წლის განმავლობაში, ასოციაციის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ფინედუს პირდაპირ ჩართვებში. მათი ინიციატივით ფინედუსზე განთავსებული მასალა სოციალურ ქსელში არსებული მცირე და საშუალო მეწარმეების ერთ-ერთი ფართო ჯგუფისთვის გახდა ხელმისაწვდომი.

### **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის**

გლობალური ფულის კვირეულის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი მიზნად ახალგაზრდა თაობაში ფინანსურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და ცნობიერების ამაღლებას ისახავს.



მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ უნივერსიტეტში ლექცია გამართა და ვრცლად ისაუბრა ფინანსური განათლების მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ რას საქმიანობს ქვეყნის მთავარი ფინანსური ინსტიტუტი ამ მიმართულებით.

### **საგანმანათლებლო მასალების ფინანსური განათლების ეროვნულ სტრატეგიასთან შესაბამისობის დადგენის პროცესის წარდგენა**

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად გამოხატავს თანამშრომლობის მზაობას ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან, რომელსაც შეუძლია კომპეტენტური და მიუკერძოებელი ინფორმაცია გადასცეს ფინანსური განათლებით დაინტერესებულ მოსახლეობას. ამ საკითხის ხელშეწყობისთვის, 2022 წელს ფინედუზე გამოქვეყნდა პროცედურა, რომელიც ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ შემუშავებული ფინანსური განათლების მასალის (მაგ.: ბროშურა, სახელმძღვანელო, ვიდეორგოლი და ა.შ.) გასაზრცელებლად ფინედუს პლატფორმის გამოყენების კრიტერიუმებსა და პირობებს განსაზღვრავს.

პროცედურით მათ შორის განისაზღვრა ფინედუზე მასალის გამოქვეყნების ეტაპები: დაინტერესებული პირის მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო მასალის განათლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამის პრინციპებთან თავსებადობის გადამოწმება, დადასტურებულ მასალაზე შესაბამისი აღნიშვნის გაკეთება, მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით ფინედუს შესაბამის მენიუში განთავსება, მასალის უფასო და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ფინედუზე გამოსაქვეყნებელი საგანმანათლებლო მასალა შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის: ბროშურა, სახელმძღვანელო, ტრენინგ-მოდული, გზამკვლევი, აუდიო და ვიდეომასალა, თამაში, აპლიკაცია და სხვა, გარდა ბლოგებისა, რომელთა ფინედუზე გამოქვეყნებაც გათვალისწინებულია სხვა, სპეციალური პირობებით.

### **საერთაშორისო კონფერენცია ფინანსური განათლების თემაზე**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების თემაზე გამართულ საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციაში - "ფინანსური განათლება გაურკვეველ დროში" მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული კონფერენცია ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ფინანსური განათლების საერთაშორისო ქსელის (OECD/INFE) 5 წლიანი ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, 2022 წელს უკვე მეოთხედ ხორვატიის ეროვნული ბანკის თანაორგანიზებით გაიმართა. აღნიშნული ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოსთან ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყანას (ბულგარეთი, მოლდოვა, მონტენეგრო, რუმინეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, ხორვატია)

აერთიანებდა და რეგიონში ფინანსური განათლების ამაღლების ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

კონფერენციის მონაწილეებმა დეტალურად განიხილეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში ფინანსური განათლების მიმართულებით არსებული გამოწვევები და მიღწევები და ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა გაუზიარეს.

კონფერენციას, პროექტის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების გარდა, დაესწრნენ და საკუთარი გამოცდილება კოლეგებს გაუზიარეს აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, ესტონეთის, ლატვიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების მოწვეულმა ექსპერტებმა.

მონაწილეებმა იმსჯელეს რეგიონის მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების დონეზე და განიხილეს ფინანსური განათლების პროგრამები ისეთი სამიზნე ჯგუფებისთვის, როგორცაა ახალგაზრდები და ასაკოვანი მოსახლეობა. ამასთან, განიხილეს მონაწილე ქვეყნების კულტურასა და ფინანსურ განათლებას შორის დამოკიდებულება, ფინანსური განათლების ციფრული გზით გავრცელების შესაძლებლობები, პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები.

### **ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროს აღიარება**

2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტრომ ფინანსური განათლების გავრცელების თვალსაზრისით, საქართველო რეგიონის წამყვან ქვეყნად დაასახელა. ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყნის წარმატებაში დიდი წვლილი საქართველოს ეროვნულ ბანკს მიუძღვის. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ჩართულობა ფინანსური განათლების გავრცელების მიმართულებით.

### **მიმდინარე პროექტები**

#### **ფინანსური განათლების თამაში**

2021 წელს ეროვნულმა ბანკმა „ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) დაფინანსების ფარგლებში ფინანსური თამაშის პროექტზე მუშაობა დაიწყო. შემუშავდა იდეა, განხორციელდა ბაზრის მოკვლევის სამუშაოები, შეირჩა დეველოპერული კომპანია და წლის ბოლოდან შესაბამისი სამუშაოების განხორციელება დაიწყო.

პროექტის ფარგლებში დამზადდება ბიზნესსიმულატორის ჟანრის თამაში როგორც ვებ პლატფორმისთვის, ისე, მობილური ტელეფონის აპლიკაციების (iOS, Android) სახით.

თამაშით ადამიანები შეძლებენ პარალელი გაავლონ საკუთარ რეალობასთან და მიიღონ ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებები, რასაც გავლენა ექნება მათ კეთილდღეობაზე.

პროექტის მიზანია, განსხვავებული, თამაშით სწავლების გზით, მოსახლეობაში ფინანსური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, იმისათვის რომ მათ შეძლონ პირადი ფინანსების უკეთ დაგეგმვა და მართვა რეალურ ცხოვრებაში. თამაშის მიზნობრივი სეგმენტი ფართოა და ის ნებისმიერი ასაკის მომხმარებლისთვის საინტერესო იქნება.

2022 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა თამაშის ძირითადი ლოგიკა, განისაზღვრა ფუნქციონალი და შემუშავდა თამაშის ე.წ. ალფა ვერსია. პროექტის დასრულება და საზოგადოებისათვის წარდგენა 2023 წლისთვის იგეგმება.

### **საგანმანათლებლო ანიმაციური ვიდეორგოლები**

2022 წელს ეროვნული ბანკის ინიციატივით საგანმანათლებლო ანიმაციური ვიდეოების შემუშავება დაიწყო. პროექტის მიზანი მოსახლეობაში ფინანსური განათლების მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ საყურადღებო ინფორმაციის გავრცელებაა. ყოველი ვიდეო 15-20 წამი გრძელდება და ფინანსური განათლების მნიშვნელოვან შეტყობინებებს მარტივად და გასაგებ ენაზე აწვდის მაყურებელს. პროექტი 2023 წლის პირველ ნახევარში დასრულდება.

### **ინიციატივები ფინანსური განათლების თემატიკაზე**

#### **ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ახალი პროექტის წარდგენა**

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური განათლების სტრატეგიის ახალი პროექტი წარადგინა.

ფინანსური განათლების მოქმედი სტრატეგია 2016 წელს შემუშავდა და საქართველოში მსგავსი ტიპის დოკუმენტის შექმნის პირველ პრეცედენტს წარმოადგენდა. დოკუმენტი ძირითადად საერთაშორისო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნებოდა. სტრატეგია ხაზს უსვამდა ფინანსური განათლების მნიშვნელობას, ფინანსური განათლების სარგებლიანობის შესახებ ცოდნის ამაღლებას და მიზნად ისახავდა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაღრმავებასა და ფინანსური განათლების მიღების შესაძლებლობების გაფართოებას. განახლებული სტრატეგიის პროექტი კი ქვეყანაში დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავდა და, შესაბამისად, ფინანსურ განათლების არსებულ გამოწვევებს უკეთ პასუხობს.

ფინანსური განათლების ახალი ეროვნული სტრატეგია ფინანსური განათლების გავრცელებით დაინტერესებული ნებისმიერი მხარისთვის ძირითადი სარეკომენდაციო

დოკუმენტი იქნება. სტრატეგია პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს განსაზღვრავს და ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო პრაქტიკული ფორმატით თანამშრომლობას და ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ყველა სამიზნე ჯგუფის დაფარვის, მათზე მორგებული აქტივობების განხორციელებისა და ამ აქტივობების მდგრადობისა და განგრძობადობის უზრუნველყოფის გზით.

დაინტერესებული მხარეების, საჯარო, კერძო თუ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ეროვნულმა ბანკმა სტრატეგიის პროექტი ეროვნული ბანკისა და ფინედუს ვებგვერდებზე გამოაქვეყნა.

დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკაკავშირი პროექტის საბოლოო ვერსიაში აისახა და ოფიციალურად 2023 წლის იანვარში სპეციალურ ღონისძიებაზე დამტკიცდა.

## 6 არასაბანკო ზედამხედველობა

### 6.1 არასაბანკო სექტორის რეგულირება და საზედამხედველო ჩარჩო

არასაბანკო საფინანსო სექტორი, 2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც განაგრძობდა ჯანსაღ და სტაბილურ განვითარებას, ინარჩუნებდა ზომიერ ზრდის ტემპს და შეუფერხებლად ურუნველყოფდა მომხმარებლისთვის ფინანსური მომსახურების გაწევას მიკროდაკრედიტების მიმართულებით მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით კი რეგიონებში. რუსეთ-უკრაინის ომის გამო ინსტიტუციონალური კრედიტორებისგან სახსრებზე ხელმისაწვდომობის შენელების პირობებშიც, არასაბანკო საფინანსო სექტორში აქტივების 13 პროცენტისაა ზრდა დაფიქსირდა და წილი მთლიან საფინანსო სექტორში თითქმის იმავე დონეზე, 3.3 პროცენტზე შენარჩუნდა, თანხით 2.4 მილიარდი ლარი. ამასთან, მიუხედავად აღნიშნული ზრდის მაჩვენებლებისა, მიკროსაფინანსო სექტორში უზრუნველყოფილი იყო კაპიტალისა და ლიკვიდობის ბუფერების საკმარისი დონე.

პანდემიის პერიოდში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასაბანკო დაწესებულებებისთვის ამოქმედებული დისტანციური ზედამხედველობის პორტალში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სესხის გამცემი სუბიექტების კვალდაკვალ ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიც ჩაერთვნენ, რამაც აღნიშნულ სუბიექტებთან მყისიერი კომუნიკაცია და უფრო მოქნილი ზედამხედველობა განაპირობა.

შეიცვალა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ყოველკვარტალური ანგარიშგებების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოსადგენი კვარტალური ანგარიშგებების წარდგენის ფორმა და მეთოდი. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, მსგავსად სხვა არასაბანკო დაწესებულებებისა, ანგარიშგებას NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენებით წარმოადგენენ.

2022 წლის განმავლობაში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, არასაბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა.

### 6.2 არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტები


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არასაბანკო საფინანსო სექტორი 36 მიკროსაფინანსო ორგანიზაციით (396 ფილიალი), 176 სესხის გამცემი სუბიექტით (332 ფილიალი), 511 ვალუტის გადამცვლელი პუნქტითა (689 ფილიალი) და ერთი საკრედიტო კავშირითაა წარმოდგენილი.

არასაბანკო საფინანსო სექტორის მთლიანი აქტივები 2.4 მილიარდი ლარის ფარგლებშია, საიდანაც უდიდესი წილი - 1.9 მლრდ ლარი - მიკროსაფინანსო სექტორს ეკუთვნის.

### 6.2.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციები

2022 წელს ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლიკვიდირდა, თუმცა, ბაზარზე მათი უმნიშვნელო წილიდან გამომდინარე, აღნიშნულს სექტორის მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.


დიაგრამა N 6.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ფილიალების რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მოქმედი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ხარჯზე, გაიზარდა როგორც ფილიალების, ისე თანამშრომელთა რაოდენობაც.


დიაგრამა N 6.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების თანამშრომელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მიკროსაფინანსო სექტორის წილი მთლიან საფინანსო სისტემაში მცირეა (2.5 პროცენტი), თუმცა მნიშვნელოვანია მისი როლი ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით. მაღალია რეგიონალური დაფარვა, როგორც ფილიალების, ისე მსესხებელთა რაოდენობის მხედვით (შესაბამისად, სისტემის 25 და 20 პროცენტი).

**დიაგრამა N 6.3 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფილიალებისა და მსესხებლების განაწილება რეგიონების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 6.4 მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და მსესხებელთა რაოდენობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის დაწყების მიუხედავად, 2022 წლის განმავლობაში მზარდი იყო სექტორში მსესხებელთა რაოდენობა. ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა საკრედიტო პორტფელმაც (წლიური ზრდის ტემპი 16 პროცენტი) და 1.6 მილიარდი ლარი შეადგინა.


### დიაგრამა N 6.5 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელის მოცულობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიკროსაფინანსო სექტორის დაკრედიტების ძირითად მიმართულებას ფიზიკურ პირებზე გაცემული სამომხმარებლო სესხები წარმოადგენს და სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელის 80 პროცენტს შეადგენს, თანხით - 1.3 მილიარდი ლარი. დანარჩენი 20 პროცენტი ბიზნეს და სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემულ სესხებზე მოდის, თანხით 319 მილიონი ლარი.

### დიაგრამა N 6.6 საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მნიშვნელოვანია, რომ სექტორში მატერიალური ზრდა ლომბარდულ პორტფელზე მოდის, თანხით 129 მლნ ლარი, სხვა სამომხმარებლო სესხები 67 მლნ ლარით გაიზარდა.



ვაჭრობა-მომსახურებისა და სოფლის მეურნეობის სექტორის სესხებმა 24 მლნ ლარიანი ზრდა განიცადა. 6 მლნ ლარით შემცირდა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები და საერთო ჯამში 2022 წლის მთლიანი პორტფელის მაჩვენებელში მას მხოლოდ 2 პროცენტი უჭირავს.

მიკროსაფინანსო სექტორის სახსრების ღირებულების ზრდა გარკვეულწილად რეზიდენტი კომერციული ბანკებიდან მოზიდულ სახსრებზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთით იყო განპირობებული.


**დიაგრამა N 6.7 პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების და სახსრების ღირებულება**



*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

საკრედიტო პორტფელის ხარისხი, გასული წლის მაჩვენებლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. კერძოდ, უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში 8.0-დან 7.4 პროცენტამდე, ხოლო ვადაგადაცილებული პორტფელის წილი 8.0-დან 5.5 პროცენტამდე შემცირდა. აღნიშნულზე გავლენა მოახდინა ახალი სესხების გაცემამ. მთლიანი პორტფელის რეზერვი 5 პროცენტის ფარგლებშია.


### დიაგრამა N 6.8 საკრედიტო პორტფელის ხარისხი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფიზიკურ პირზე 200 ათას ლარამდე სესხის უცხოური ვალუტით გაცემის აკრძალვის თაობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საკრედიტო პორტფელის წილი მთლიან პორტფელში.


### დიაგრამა N 6.9 საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად კაპიტალის მოცულობის 15 პროცენტთან ზრდისა, დაფინანსების სტრუქტურაში, მას კვლავ 35 პროცენტთან იწილი აქვს. 14 პროცენტთან ზრდა განიცადა ვალდებულებების მოცულობამ.


### დიაგრამა N 6.10 დაფინანსების წყარო



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


2022 წელს ნასესხები სახსრები 125 მილიონი ლარით გაიზარდა და 1.1 მლრდ ლარი შეადგინა, რაც განპირობებული იყო გაზრდილი საკრედიტო აქტივობის უზრუნველსაყოფად. წინა წლების მსგავსად, ფიზიკური პირებისგან ნასესხები სახსრები 2022 წელსაც კლებით ხასიათდება. ნასესხები სახსრების ზრდა კი ძირითადად ბანკებიდან მიღებული სესხების, 149 მლნ ლარიანი, ზრდის ხარჯზე მოხდა.

### დიაგრამა N 6.11 ნასესხები სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 6.12 ფიზიკური პირებიდან მოზიდული სახსრები და კრედიტორი ფიზიკური პირების რაოდენობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნასესხებ სახსრებში არარეზიდენტი პირებისგან ნასესხები სახსრების წილი 6 პპ-ით, თანხით 24 მლნ ლარით, შემცირდა, რაც გარკვეულწილად უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეულ კრიზისს.


**დიაგრამა N 6.13 არარეზიდენტების სახსრები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელსაც, გასული წლების მსგავსად, სექტორი კაპიტალის ადეკვატურობის მაღალ მაჩვენებელს ინარჩუნებს.


### დიაგრამა N 6.14 საზედამხედველო კაპიტალი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საზედამხედველო კაპიტალის 17 პროცენტიანი ზრდა, თანხით 100 მილიონი ლარი, ძირითადად გაუნაწილებელი მოგების ზრდის ხარჯზე.


### დიაგრამა N 6.15 საზედამხედველო კაპიტალის სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საწესდებო კაპიტალში არარეზიდენტი აქციონერების წილის 29 პროცენტიდან 33 პროცენტამდე ზრდა ძირითადად ერთ-ერთი მიკროსფინანსო ორგანიზაციის სააქციო კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირდება.


დიაგრამა N 6.16 კაპიტალის სტრუქტურა რეზიდენტობის მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მნიშვნელოვანია, რომ მაღალი საკრედიტო აქტივობის ფონზე, სექტორი მაინც ინარჩუნებს ადეკვატურ ლიკვიდობას.

დიაგრამა N 6.17 ლიკვიდური სახსრების სტრუქტურა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 6.18 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ 2022 წელი მოგებით დაასრულა. დიაგრამა N 6.19 წმინდა და საოპერაციო მოგების დინამიკა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საკრედიტო პორტფელის ზრდის მაღალმა ტემპმა საოპერაციო მოგების 21.7 პროცენტით ზრდა განაპირობა. ხოლო წმინდა მოგებამ 114 მილიონი ლარი შეადგინა.


სექტორის უკუგება კაპიტალზე წინა მაჩვენებლის მსგავსად, 18 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო უკუგება აქტივებზე 6-დან 7 პროცენტამდე გაიზარდა.

მომგებიანობის ზრდაზე გავლენა საკრედიტო პორტფელის ზრდის მაღალმა ტემპმა და ხარისხის გაუმჯობესებამ მოახდინა.

### 6.2.2 სესხის გამცემი სუბიექტები

2021 წლის განმავლობაში 11 ახალი სესხის გამცემი სუბიექტი დარეგისტრირდა, ხოლო 18-ს რეგისტრაცია გაუქმდა. შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობამ 176 შეადგინა, რომლებიც ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, 332 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

დიაგრამა N 6.20 სესხის გამცემი სუბიექტების ფილიალების განაწილება რეგიონების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არასაბანკო სექტორის მსესხებლების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი სესხის გამცემ სუბიექტებზე მოდის და, ძირითადად, ფიზიკური პირებითაა წარმოდგენილი, ვინაიდან ამ სექტორის სპეციფიკა უმეტესწილად მცირე ზომის სამომხმარებლო და ლომბარდული პროდუქტების მიწოდებაა. გარდა ამისა, სესხის გამცემი ორგანიზაციები პრობლემური სამომხმარებლო სესხების ამოღების მიმართულებითაც ოპერირებენ.




დიაგრამა N 6.21 სესხის გამცემი სუბიექტები და მსესხებელთა რაოდენობა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების რაოდენობის 7 ერთეულით შემცირებას ამ სექტორის მთლიანი აქტივებისა და წმინდა სესხების მოცულობაზე გავლენა არ მოუხდენია. უფრო მეტიც, წლის განმავლობაში მთლიანი აქტივების ზრდამ 6 პროცენტი, ხოლო წმინდა სესხების ზრდამ კი 9 პროცენტი შეადგინა.

დიაგრამა N 6.22 მთლიანი აქტივების და წმინდა სესხების დინამიკა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სესხის გამცემი სუბიექტების სექტორის დაფინანსების ძირითად წყაროს პარტნიორებიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული თანხები შეადგენს. თუმცა,

აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, კაპიტალის ზრდის დადებითი ტენდენცია იკვეთება.

**დიაგრამა N 6.23 სესხის გამცემი სუბიექტების დაფინანსების წყარო**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით კაპიტალსა და აქტივებზე უკუგებამ, შესაბამისად, 24 და 8 პროცენტი შეადგინა.

### 6.2.3 ვალუტის გადამცვლელი პუნქტები


2022 წლის განმავლობაში 56 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი დარეგისტრირდა, ხოლო 106-ს რეგისტრაცია გაუქმდა, შესაბამისად, 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რაოდენობამ 511 შეადგინა, რომლებიც, ფილიალებთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით 689 ლოკაციაზე არიან განთავსებულნი.

**დიაგრამა N 6.24 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების და ფილიალების რაოდენობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 6.25 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების სტრუქტურული ერთეულების განაწილება რეგიონების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

106 ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან 58-ს რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე გაუუქმდა, რომელთა უმრავლესობაც თბილისში იყო. დანარჩენ პუნქტებს რეგისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო გაუუქმდა.

ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესით დადგენილი სარეგისტრაციო პირობების, მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების კუთხით განსაზღვრული ვალდებულებების და საქართველოს ეროვნულ ბანკში

წარმოდგენილი საანგარიშგებო მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით, 2022 წელს 312 ერთეული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (სათაო/ფილიალი) შემოწმდა.

#### *6.2.4 საკრედიტო კავშირები*

2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საკრედიტო კავშირის წევრთა რაოდენობის მაქსიმალური ლიმიტი დადგინდა და საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპები განისაზღვრა, რაც ერთი და იმავე თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანებას გულისხმობდა. აღნიშნული ცვლილებები ამ სექტორში დამკვიდრებული არაჯანსაღი პრაქტიკის აღმოფხვრას ემსახურებოდა, რაც საკრედიტო კავშირების მიერ წევრებისგან, დეპოზიტების მოზიდვის გზით, კოოპერატივის მიზნებისათვის შეუსაბამო საკრედიტო საქმიანობის დაფინანსებას ითვალისწინებდა.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ბაზარზე ფუნქციონირებას მხოლოდ ერთი საკრედიტო კავშირი განაგრძობდა, რომლის აქტივების ოდენობა 0.5 მილიონ ლარს შეადგენს.

## 7 ფასიანი ქაღალდების ბაზარი

### 7.1 ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი პროდუქტების დასანერგად განხორციელებული ღონისძიებები და გატარებული რეფორმები

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ახალი პროდუქტების განვითარების ხელშესაწყობად განხორციელებული აქტივობების კუთხით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია.

2022 წლის მარტში საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული „იპოთეკით დაცული ობლიგაციების“<sup>90</sup> შესახებ კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები წარედგინა. აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 29 ნოემბერს დაამტკიცა. აღსანიშნავია, რომ იპოთეკური ობლიგაციების ჩარჩოზე სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტები. ახალი ჩარჩო დადებითად შეაფასა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა 2022 წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ თავის სპეციალურ ანგარიშში.

ეროვნული ბანკი მონაწილეობდა 2022 წლის ივნისში პოლონეთში, ვარშავაში, ჩატარებულ ყოველწლიურ ცენტრალური ევროპის ქვეყნების იპოთეკური ობლიგაციებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც პოლონური mBank Hipoteczny-ისა და გერმანიის კომერციული ბანკების ასოციაციის (Verband deutscher Pfandbriefbanken - vdp) ორგანიზებით გაიმართა. აღნიშნული ფორუმი მიზნად ისახავს ექსპერტებისათვის (როგორც კერძო სექტორიდან, ისე მარეგულირებელი ორგანოებიდან) და აკადემიური წრის წარმომადგენლებისათვის იპოთეკურ ობლიგაციებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად ფორუმის შექმნას. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე ეროვნული ბანკის სახით საქართველო პირველად იყო წარმოდგენილი.

2022 წელს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, აქტიურად მუშაობდა სეკიურიტიზაციის<sup>91</sup> ჩარჩოს მომზადებაზე. შედეგად, საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს 2022 წლის

<sup>90</sup> იპოთეკით დაცული ობლიგაცია ეწოდება კომერციული ბანკის მიერ გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდს, რომელიც უზრუნველყოფილია ისეთი აქტივებით (ძირითადად, იპოთეკური სესხებით), რომლებიდანაც იპოთეკური ობლიგაციის მფლობელებს, როგორც კრედიტორებს, აქვთ უპირატესი და პირდაპირი დაკმაყოფილების უფლება.

<sup>91</sup> სეკიურიტიზაცია ეწოდება ისეთ ტრანზაქციას, რომლის საფუძველზეც სეკიურიტიზაციის სპეციალური მიზნობრივი ერთეული (SPV) იღებს საბაზისო აქტივებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს საბაზისო აქტივების შეძენით ან სხვაგვარად (მათ შორის, დერივატივის დადებით) და უშვებს სეკიურიტიზაციის ინსტრუმენტებს, რომელთა ღირებულება ან/და შემოსავლიანობა დამოკიდებულია ამგვარ რისკზე.

ოქტომბერში „სეკიურიტიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარუდგინა. სეკიურიტიზაციის ჩარჩოს შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტები იყვნენ ჩართული.

2022 წლის ივნისში მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მომზადებული სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების ანგარიშის (Report on the Observance of Standards and Codes - ROSC) პრეზენტაცია შედგა. ანგარიშში ხაზი გაესვა კორპორაციული მართვის რეგულაციების ბოლოდროინდელ გაუმჯობესებას, მათ შორის „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის N172/04 ბრძანებას, რომელიც 2022 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს, მათ შორის ეროვნული ბანკის, მიერ ბოლო წლებში ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა ევროკომისიამ თავის ახალ ანგარიშში<sup>92</sup>, რომლითაც მან დაასრულა 2022 წლის 17 ივნისს დამტკიცებული მოსაზრება ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით. ანგარიშში მითითებულია, რომ ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსი ასახავს ევროკომისიის შესაბამის რეკომენდაციებსა და ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პრინციპებს. ასევე, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოქმედი ინსაიდერული ვაჭრობისა და ბაზრის მანიპულაციის აღკვეთის ჩარჩო, აგრეთვე კოლექტიური საინვესტიციო სქემების (საინვესტიციო ფონდების) მარეგულირებელი კანონმდებლობა ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისია.

---

<sup>92</sup> Analytical Report following the Communication from the Commission to the European Parliament, the European Council and the Council, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union (Brussels, 1.2.2023 SWD(2023) 31).

## ჩანართი 6 „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონი

2022 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი, ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები დაამტკიცა. იპოთეკური ობლიგაციების ჩარჩოზე მუშაობა ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს დაიწყო და აღნიშნულ სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტები, აგრეთვე აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა კომერციულ ბანკებთან, როგორც პოტენციურ ემიტენტებთან.

2022 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი, ეროვნული ბანკის მიერ მომზადებული „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები დაამტკიცა. იპოთეკური ობლიგაციების ჩარჩოზე მუშაობა ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს დაიწყო და აღნიშნულ სამუშაო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აზიის განვითარების ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ექსპერტები, აგრეთვე აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა კომერციულ ბანკებთან, როგორც პოტენციურ ემიტენტებთან.

იპოთეკური ობლიგაცია საკრედიტო ინსტიტუტებისათვის, დეპოზიტებისა და სახსრების მოზიდვის სხვა ალტერნატიულ წყაროებთან ერთად, დაფინანსებაზე წვდომის იაფი და სტაბილურ საშუალებად ითვლება. იგი იპოთეკური სესხების ლიკვიდურ აქტივებად ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მექანიზმია, რომელიც ხელს შეუწყობს საფინანსო სექტორში გრძელვადიანი ლარის რესურსის მოზიდვას და გაზრდის ფიქსირებული (fixed-to-term) ფასწარმოქმნის შესაძლებლობას. იპოთეკური ობლიგაციებით დაინტერესებული ინვესტორები შეიძლება იყვნენ როგორც თავად კომერციული ბანკები, ასევე, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, რომლებიც პორტფელის დივერსიფიკაციის თუ სხვა მიზეზით ინვესტიციის განხორციელებას გადაწყვეტენ. ასევე, კომერციული ბანკები იპოთეკური ობლიგაციების ეროვნულ ბანკთან წარმოებულ მონეტარულ ოპერაციებში გირაოდ გამოიყენებას შეძლებენ.

2022 წელს სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა იპოთეკური ობლიგაციების ჩარჩოსთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნა: „იპოთეკური ობლიგაციების შესახებ საქართველოს ახალი კანონის პროექტი ბაზრის განვითარების მყარ საფუძველს ქმნის. პროექტი, ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსად, ითვალისწინებს მძლავრი დაცვის მექანიზმებს ინვესტორებისთვის, მათ შორის ნორმებს უზრუნველყოფის ბაზის ხარისხის შენარჩუნების თაობაზე და უზრუნველყოფის

აქტივების სიჭარბის მოთხოვნებს, რომლებიც უფრო მაღალია, ვიდრე ზოგიერთი დამკვიდრებული იპოთეკური ობლიგაციების ბაზრის შემთხვევაში.“.

აღსანიშნავია, რომ „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ კანონი საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და გამოცდილებას იზიარებს და, მათ შორის, შეესაბამება ევროკავშირის დირექტივას უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიისა და საჯარო ზედამხედველობის შესახებ (Directive (EU) 2019/2162 of the European Parliament and of the Council of 27 November 2019)

### ჩანართი 7 „სეკიურიტიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი

2022 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივის წესით ეროვნული ბანკისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ავტორობით მომზადებული „სეკიურიტიზაციის შესახებ“ კანონის პროექტი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები წარედგინა. სეკიურიტიზაციის ჩარჩოს შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში ჩართული იყვნენ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ექსპერტები, აგრეთვე კონსულტაციები გაიმართა საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან.

კანონპროექტის მიზანია როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო სექტორის წარმომადგენლებისათვის დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გაზრდა კაპიტალის ბაზრის მეშვეობით. სეკიურიტიზაცია შესაძლებლობას აძლევს ბიზნეს სუბიექტს განახორციელოს საბაზისო აქტივების (სამომავლო ფულად ნაკადებთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივი) გარდაქმნა ლიკვიდურ აქტივებად, რაც სპეციალური მიზნობრივი ერთეულის მიერ საბაზისო აქტივების რისკების შეძენითა და მათ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებით მიიღწევა.

კანონპროექტი იზიარებს განვითარებული სეკიურიტიზაციის ბაზრების გამოცდილებას და აგრეთვე ითვალისწინებს ევროკავშირში მოქმედი სეკიურიტიზაციის რეგულაციის ძირითად პრინციპებს (Regulation (EU) 2017/2402 of the European Parliament and of the Council of 12 December 2017).

## 7.2 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მაჩვენებლები

ადგილობრივი ობლიგაციების ბაზარი ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა და ზრდის ტენდენცია 2022 წელსაც გაგრძელდა. რიგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი რეფორმების განვითარება შეინარჩუნებს ამ დინამიკას და დამატებით ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას.




## ობლიგაციების ბაზარი

წინა წლების მსგავსად, 2022 წელს ობლიგაციების ბაზარზე ზრდადი ტენდენცია ფიქსირდება. წინა წელთან შედარებით, ბაზრის ეს სეგმენტი 39.4 პროცენტით<sup>93</sup> გაიზარდა და მისმა ზომამ მთლიანი შიდა პროდუქტის 4.23 პროცენტი<sup>94</sup> შეადგინა. გამოშვებული ობლიგაციების 71.3 პროცენტი კი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული ობლიგაციები იყო. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციების ბაზარი 49.3 პროცენტით, ხოლო კორპორაციული ობლიგაციების სეგმენტი 19.7 პროცენტით გაიზარდა.

2022 წელს კაპიტალის ბაზარზე განხორციელდა პირველი ადგილობრივი მწვანე კორპორაციული ობლიგაციის ემისია, რომლის ღირებულებამაც 80 მილიონი დოლარი შეადგინა. 2022 წელს ადგილობრივ ბაზარზე 7 საჯარო კორპორაციული ობლიგაციისა (2021: 3) და 7 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის კერძო ობლიგაციის ემისია განხორციელდა (2021: 6) (იხ. დიაგრამა N 7.1).

დიაგრამა N 7.1 კომერციული ობლიგაციების ნაშთები პერიოდის ბოლოს (2014-2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა; Bloomberg; სხვა საჯარო წყაროები


2022 წლის ბოლოს, წინა წელთან შედარებით, საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების (Fitch, Moodys, Scope) მიერ მინიჭებული რეიტინგი საჯარო კორპორაციული ობლიგაციების ემიტენტების 62 პროცენტს (2021: 62 პროცენტი) გააჩნდა, რაც ბაზარზე არსებული საჯარო ობლიგაციების ნაშთის 49 პროცენტს შეადგენს (2021: 53 პროცენტი).

<sup>93</sup> მონაცემები არ შეიცავს საქართველოს საფონდო ბირჟაზე ორმაგად დალისტულ (“Dual Listing”) არასამთავრობო სასესხო ფასიან ქაღალდებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებს.

<sup>94</sup> მთლიანი შიდა პროდუქტისთვის აღებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსალოდნელი მონაცემი 2022 წლისთვის.

საკრედიტო რეიტინგის მქონე საჯარო ობლიგაციების ემიტენტებიდან, 2022 წელს ობლიგაციების ნაშთების 12 პროცენტს BB რეიტინგი (2021: 17 პროცენტი), ხოლო 74 პროცენტს BB/BB- (2021: 64 პროცენტი) რეიტინგი ჰქონდა მინიჭებული.


**დიაგრამა N 7.2 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთები საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგების მიხედვით (2014-2022)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი ინდუსტრიების მიხედვით დივერსიფიცირებული იყო და მოიცვა ემიტენტები ცხრა ინდუსტრიიდან. კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების მიხედვით, ბაზრის ყველაზე დიდი წილი - 25 პროცენტი - ელექტროენერჯის წარმოების სექტორმა დაიკავა (2021: 24 პროცენტი - საფინანსო სექტორი), ხოლო ბაზრის 50 პროცენტს სამშენებლო, უძრავი ქონების მართვის და საფინანსო სექტორის ემიტენტები წარმოადგენდნენ (2021: 50 პროცენტი - სამშენებლო, ჯანდაცვის და საცალო ვაჭრობის სექტორები).


დიაგრამა N 7.3 კორპორაციული ობლიგაციების ნაშთების განაწილება ინდუსტრიების მიხედვით (2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს, სახაზინო ობლიგაციების ბაზარზე 2021 წლის 5.29 პროცენტის კლების შემდეგ, 24.5 პროცენტის ზრდა დაფიქსირდა და მისმა მოცულობამ მთლიანი შიდა პროდუქტის 9.5 პროცენტი შეადგინა. (იხ. დიაგრამა N 7.4)


დიაგრამა N 7.4 სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთები ვადიანობების მიხედვით (2009-2022)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქსტატი

2022 წელს ადგილობრივი ბაზრის ლიკვიდურობის მაჩვენებელი<sup>95</sup> ობლიგაციების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისთვის განსხვავებულია. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციებისათვის ეს მაჩვენებელი 9 პროცენტს შეადგენს. სახაზინო ობლიგაციებისათვის, 2022 წელს მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობამ 20.8 პროცენტის შეადგინა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სახაზინო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის გარიგებებში მნიშვნელოვანი წილი ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ოპერაციებს უკავშირდება. (იხ. დიაგრამა N 7.5 და 7.6).

**დიაგრამა N 7.5 საქართველოში გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის აქტივობა<sup>96</sup> (2015-2022)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა

<sup>95</sup> მონაცემი გამოითვლება წლის განმავლობაში მეორად ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ღირებულების შეფარდება ობლიგაციების საშუალოწლიურ ნაშთთან.

<sup>96</sup> გრაფიკზე მეორადი ბაზრის აქტივობა გამოსახულია წლის განმავლობაში მეორადი ბაზრის გარიგებების მოცულობის ფასიანი ქაღალდების საშუალო წლიურ ნაშთებთან შეფარდებით.

**დიაგრამა N 7.6 სახაზინო ფასიანი ქაღალდების განაწილება მფლობელობის მიხედვით (2014-2022)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საფონდო ბირჟა


### 7.3 ბაზრის მონაწილეების მიმოხილვა

2022 წლის ბოლოსთვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 2 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 9 საბროკერო კომპანიიდან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო.

#### საბროკერო კომპანიები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობამ 114 მილიონი ლარი შეადგინა.

**დიაგრამა N 7.7 საბროკერო კომპანიების ჯამური აქტივების დინამიკა წლების მიხედვით (2011-2022)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საბროკერო კომპანიების კვარტლური და წლიური ფინანსური ანგარიშგებები

საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების კლიენტების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება 2022 წლის ბოლოს 7.7 მილიარდ ლარს შეადგენდა და, 2021 წელთან შედარებით, 17 პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინების გარეშე). აღნიშნული ზრდა, უმეტესწილად, უცხოური ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ კლიენტების ფასიანი ქაღალდების ნაშთის 33 პროცენტს არარეზიდენტი ინვესტორების ანგარიშები შეადგენს. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საბროკერო კომპანიებისა და ბანკების საბროკერო მომსახურების მიმღები კლიენტების ჯამური რაოდენობა 26,061-ს შეადგენდა, საიდანაც ძირითადი წილი (91 პროცენტი) რეზიდენტ ფიზიკურ პირებზე მოდიოდა. 2022 წლის ბოლოს, 2021 წლის ბოლოსთან შედარებით, საბროკერო კომპანიების კლიენტთა რაოდენობა 129 პროცენტით გაიზარდა.


კლიენტის ფასიანი ქაღალდების ნაშთის 93 პროცენტი და კლიენტების რაოდენობის 94 პროცენტი ორ უმსხვილეს საბროკერო კომპანიასა და მათთან დაკავშირებულ კომერციულ ბანკებშია კონცენტრირებული.

დიაგრამა N 7.8 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების ჯამური ღირებულება (მილიარდი ლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშგებები

დიაგრამა N 7.9 საბროკერო კომპანიების და ბანკების ფასიანი ქაღალდების ანგარიშებზე რიცხული კლიენტების ფასიანი ქაღალდების პორტფელის განაწილება (უცხო ქვეყნებსა და საქართველოში გამოშვებული ფასიანი ქაღალდები)



წყარო: საბროკერო კომპანიებისა და კომერციული ბანკების ყოველთვიური ანგარიშგებები

## საფონდო ბირჟა

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში 31 ემიტენტის ფასიანი ქაღალდები იყო დაშვებული. საანგარიშო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 37.8 მლნ ლარი შეადგინა (2 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდი). აქედან, ბირჟის სავაჭრო სესიებზე, ჯამურად, დაახლოებით 7.4 მლნ ლარის ღირებულების გარიგება დაიდო, ხოლო ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების ღირებულებამ 30.4 მლნ ლარი შეადგინა.


**ცხრილი N 7.1 ჯამური ინფორმაცია სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული მაჩვენებლების მიხედვით (2021-2022)**

წელი	გარიგების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების რაოდენობა		ფასიანი ქაღალდების ღირებულება (ლარი)	
	2022	2021	2022	2021	2022	2021
საბირჟო	34	14	1,256,350	176,775	7,395,948	104,078
დაფიქსირებული	121	179	700,824	178,534,049	30,366,907	58,945,873
<b>სულ</b>	<b>155</b>	<b>193</b>	<b>1,957,174</b>	<b>178,710,824</b>	<b>37,762,855</b>	<b>59,049,951</b>

წყარო:




დიაგრამა N 7.10 ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები (სავაჭრო სესიებზე დადებული და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებები) 2011-2022 წწ.



წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

დიაგრამა N 7.11 სავაჭრო სესიებზე და ბირჟაზე დაფიქსირებული გარიგებების რაოდენობა წლების მიხედვით (2011–2022 წ)




წყარო: საქართველოს საფონდო ბირჟის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

### ცენტრალური დეპოზიტარი

2022 წელს ცენტრალურ დეპოზიტარში 1.4 მლნ ფასიანი ქაღალდი და 3.8 მლნ ლარი იყო დეპონირებული. აქედან, ფულადი დეპონირების ტრანზაქციების 69 პროცენტი და

საერთო თანხის 88 პროცენტი სს „საქართველოს ბანკის“ მონაწილეობით განხორციელდა. წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებულ ფასიან ქაღალდებზე ტრანზაქციების რაოდენობა 106 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 53 მლნ ცალი ფასიანი ქაღალდითაა შემცირებული. სულ 2022 წლის განმავლობაში ცენტრალურ დეპოზიტარში 20 ახალი ანგარიში გაიხსნა.


**დიაგრამა N 7.12 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფასიანი ქაღალდები წლების მიხედვით (2011-2022)**



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

საანგარიშო წელს ცენტრალურ დეპოზიტარში ფულადი სახსრების ბრუნვა 3.5 მლნ ლარით გაიზარდა. რაც შეეხება ფულადი სახსრების ტრანზაქციების რაოდენობას, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 156 პროცენტით მეტია.

დიაგრამა N 7.13 ცენტრალურ დეპოზიტარში დეპონირებული ფულადი სახსრები წლების მიხედვით (2011-2022)



წყარო: საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის წლიური ანგარიში საქმიანობის შესახებ

## 7.4 საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საქმიანობის მიმოხილვა

### ინვესტირება ადგილობრივ და უცხოურ ფასიან ქაღალდებში

2022 წელს საპენსიო სააგენტომ აქტიურად დაიწყო საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია და ბენჩმარკ პორტფელთან<sup>97</sup> მიახლოება. საინვესტიციო საბჭოს გადაწყვეტილებით, წლის მანძილზე ეტაპობრივად მოხდა უცხოური ვალუტის შესყიდვა და შემდეგ გლობალურ და ადგილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში თანხის დაბანდება.


საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, უცხოური აქციების შეძენა განხორციელდა iShares MSCI World ETF (კოდი URTH)-ის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ 1500-ზე მეტ კომპანიას აერთიანებს და დივერსიფიცირებულია ინდუსტრიების მიხედვით. რაც შეეხება ადგილობრივ ბაზარზე ინვესტირებას, 2022 წელს საპენსიო სააგენტომ პირველად მოახდინა ინვესტირება ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებულ ობლიგაციაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო აქტივების 2.0 პროცენტი განთავსებულია მიმდინარე სარგებლიან ანგარიშებზე, 16.2 პროცენტი ადგილობრივ სახაზინო ობლიგაციებში, 10.5 პროცენტი აშშ-ის სახაზინო ობლიგაციებში, 7.4 პროცენტი გლობალურ აქციებში, 0.8 პროცენტი ევროობლიგაციებში, 0.1 პროცენტი ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებში, ხოლო ადგილობრივ სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ვადიან ანაზრებში 63.0 პროცენტია განთავსებული.

---

<sup>97</sup> ნაკლებად რისკიანი პორტფელის ბენჩმარკი შედგება სამი კლასის აქტივისგან: საქართველოს სახაზინო ობლიგაციები (20 პროცენტი), დეპოზიტები/სადეპოზიტო სერტიფიკატები ლარში (60 პროცენტი) და უცხოური აქციები (20 პროცენტი).


**დიაგრამა N 7.14 საპენსიო აქტივების პორტფელის განაწილება, 31 დეკემბერი 2022**



წყარო: საპენსიო სააგენტო

2022 წელს გლობალურად გაზრდილი ინფლაციის ფონზე ინტენსიურად გაიზარდა საპროცენტო განაკვეთები ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რამაც საპენსიო სააგენტოს საშუალება მისცა ინვესტიცია გაეკეთებინა ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებში, როგორც აშშ-ს სახაზინო ობლიგაციები, ევროობლიგაციები და ადგილობრივი კორპორაციული ობლიგაციები.

**დიაგრამა N 7.15 საპროცენტო ინსტრუმენტების შემოსავლიანობა, 31 დეკემბერი 2022**



წყარო: საპენსიო სააგენტო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდის მოცულობა 2.95 მილიარდ ლარს შეადგენდა (აქედან წმინდა ჯამური ამონაგები 438 მილიონი ლარი) და აღნიშნული

თანხის 18.8 პროცენტი აშშ დოლარში, ხოლო 81.2 პროცენტი ლარში იყო დენომინირებული. საპენსიო ფონდის წმინდა ამონაგებმა ფონდის გაშვებიდან (2019 წლის 1 იანვარი) 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით 40.8 პროცენტი, ხოლო რეალურმა ამონაგებმა (ინფლაციის გათვალისწინებით) იმავე პერიოდში 2.69 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის განმავლობაში ჯამურად გამოძუშავებული წმინდა სარგებელი 183 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც დაახლოებით 7.3 პროცენტის, წლიური ნომინალური (-2.3 პროცენტი რეალური) ამონაგების ტოლფასია.

**დიაგრამა N 7.16 შემოსავლიანობა აქტივის კლასების მიხედვით, 2022 წელი**

2022 წელი	
აქტივის კლასები	შემოსავლიანობა (ლარი)
სახაზინო ვალდებულებები	309,998
აშშ-ს სახაზინო ვალდებულებები	(14,938,621)
საქართველოს სახაზინო ობლიგაციები	27,138,307
ადგილობრივი კორპ. ობლიგაციები	44,834
ევროობლიგაციები	665,181
სადეპოზიტო სერტიფიკატები/ვადიანი ანაზრები	177,519,588
მიმდინარე ანგარიშები	40,709,286
გლობალური აქციები	(40,050,260)
ჯამური ადმინისტრაციული ხარჯი	(8,115,000)
წმინდა დარიცხული სარგებელი	183,283,312

წყარო: საპენსიო სააგენტო

**ბროკერ-დილერების შერჩევა**

2022 წელს საპენსიო სააგენტომ ადგილობრივ და უცხოურ ფასიან ქაღალდებში ინვესტირების მიზნით შეარჩია ბროკერ-დილერები. კერძოდ, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ინვესტიციების განსახორციელებლად შეირჩა მსოფლიოში წამყვანი საინვესტიციო ბანკები Citi და JP Morgan Chase-ი, რომლებიც გახდნენ სააგენტოს მთავარი ბროკერ-დილერები უცხოური ინვესტიციების მიმართულებით და საპენსიო სააგენტოს დავალებით და კანონის მოთხოვნების შესაბამისად სავაჭრო ტრანზაქციებს უცხოურ ფინანსურ ბაზრებზე ახორციელებენ. ხოლო ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე ფასიან

ქალაქებში ინვესტირების მიზნით საპენსიო სააგენტო თანამშრომლობს ფასიანი ქალაქების ბაზრის ადგილობრივ შუამავლებთან - ბროკერებთან და პირველად დილერებთან.

### 7.5 საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მიმოხილვა

2022 წლის განმავლობაში, დარეგისტრირდა 3 კერძო საინვესტიციო ფონდი (სს “დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელი“, სს "ფორსაით კაპიტალი" და ერთობლივი საინვესტიციო ფონდი "უძრავი ქონების ფონდი ელისიუმი 1"). რაც შეეხება აქტივების მმართველ კომპანიებს, 2022 წელს რეგისტრაცია მოიპოვა ერთმა აქტივების მმართველმა კომპანიამ (შპს „ელისიუმ ასეტ მენეჯმენტი“).

ჯამში საქართველოში ოპერირებს 5 საინვესტიციო ფონდი და 4 აქტივების მმართველი კომპანია.

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, არსებული საინვესტიციო ფონდების მართული პორტფელის ჯამური მოცულობა შეადგენდა 92 მილიონ ლარს.

## 8 ფულის გათეთრების ინსპექტირება და ზედამხედველობა

საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის „გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საზედამხედველო ჩარჩოს“ შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2022 წლის, რისკზე დამყარებული საზედამხედველო სტრატეგიის ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიებები, რომელსაც როგორც სექტორული, ისე თითოეული ფინანსური ინსტიტუტის რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესი დაედო საფუძვლად.

რისკების დისტანციური ფორმით იდენტიფიცირებისა და შეფასების მიზნით, 2022 წლის განმავლობაში, ეროვნულმა ბანკმა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიმართულელებით ზედამხედველობას დაქვემდებარებული, ცხრილში მითითებული თითოეული სუბიექტისგან (დიაგრამა N8.1) ორჯერ მიიღო და დაამუშავა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგება.

### დიაგრამა N 8.1 დისტანციური ზედამხედველობა, 2022 წ.

საფინანსო სექტორი	რაოდენობა
კომერციული ბანკი	14
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	39
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	32
საბროკერო კომპანია	8
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	519
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	3
საკრედიტო კავშირი	1
სესხის გამცემი სუბიექტი	176

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის განმავლობაში განხორციელებული საზედამხედველო ღონისძიებები, როგორც კომპლექსურ, ისე თემატურ, სპეციალურ და საკონტროლო ტიპის ადგილზე შემოწმებებს მოიცავდა. საანგარიშგებო წელს, სექტორების მიხედვით იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და რისკების შესაბამისად, ადგილზე შემოწმებებისას აქცენტი შემდეგი თემების შესწავლაზე გაკეთდა:



### **კომერციული ბანკების შემთხვევაში:**

- კლიენტების (მათ შორის, დისტანციური არხებით იდენტიფიცირებული/ვერიფიცირებული) რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;

- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი; მმართველობისა და მფლობელობის სტრუქტურით ოფშორებთან და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული კლიენტების, ასევე, ასეთ ზონებთან დაკავშირებული ტრანზაქციებისა და მონაწილე მხარეების შესახებ ბანკის ცოდნა;

- აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის სანქციებთან შესაბამისობის პროცესის ადეკვატურობის შეფასება;

- ინტერნეტ ექვაირინგთან ასოცირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;

- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;

- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, ფიქტიური კომპანიების/ტრანზიტული დანიშნულებით კომპანიების გამოყენების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა, საქველმოქმედო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ბანკის ცოდნა).

- საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების მართვის პროცესის ეფექტიანობა;

### **საგადახდო მომსახურების პროვაიდერების შემთხვევაში:**

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ადეკვატურობა;

- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);

- აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის სანქციებთან შესაბამისობის პროცესის შეფასება;

- თვითმომსახურების აპარატებით განხორციელებული და გემბლინგთან დაკავშირებული ტრანზაქციების მონიტორინგის პროცესის ეფექტიანობა.

#### **საბროკერო კომპანიების შემთხვევაში:**

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი;
- საბროკერო კომპანიის ცოდნა შუამავლების შესახებ და მათი მეშვეობით განხორციელებული გარიგებების მონიტორინგის პროცესის ადეკვატურობა;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა);
- აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის სანქციებთან შესაბამისობის პროცესის შეფასება;
- ორგანიზაციული რისკის შეფასების და მართვის პროცესის ეფექტურობა;
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

#### **მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში:**

- კლიენტების რისკის მიხედვით კლასიფიკაციის პროცესის, რისკის გადაფასებისა და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების ადეკვატურობა;
- საერთაშორისო ტრანზაქციების (მათ შორის, ოფშორულ და მაღალი რისკის იურისდიქციებთან დაკავშირებული) შესახებ ორგანიზაციის ცოდნა;
- აშშ-ს, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის სანქციებთან შესაბამისობის პროცესის შეფასება;
- საექვო/უჩვეულო გარიგებების გამოვლენის პროცესის ეფექტიანობა (მათ შორის, გაეროს რეზოლუციების (TF/Proliferation) იმპლემენტაციის კუთხით გატარებული ზომები, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატურობა).
- ნაღდი ფულის წარმომავლობის დადგენის პროცესის ეფექტიანობა;
- ანგარიშგების შევსების სიზუსტის შემოწმება.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის 245 წარმომადგენელი შემოწმდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შემოწმებებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა, 2022 წელს, ზედამხედველობას დაქვემდებარებული 25 სუბიექტის დისტანციური ტიპის ე.წ. follow-up შემოწმება განახორციელა. მათ შორის, 2022 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ადგილზე ინსპექტირებას. ამ მიზნით, წლის განმავლობაში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ვალუტის გადამცვლელი 212 პუნქტის ადგილზე ინსპექტირება უზრუნველყო. ამავდროულად, 2022 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 4 უმსხვილესი სესხის გამცემი სუბიექტის შემოწმება უზრუნველყო. აღსანიშნავია, რომ შემოწმების ტიპად კომპლექსური ინსპექტირება განისაზღვრა.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ფულადი ჯარიმის ოდენობამ ჯამურად 2,275,400 ლარი შეადგინა.

**დიაგრამა N 8.2 ჯარიმების მოცულობა, 2022 წ.**

საფინანსო სექტორი	ჯარიმის მოცულობა (ლარი)
კომერციული ბანკი	270,500
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	186,500
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	45,700
სესხის გამცემი სუბიექტი	150,000
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	1,607,700
ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი	15,000

*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

ადგილზე ინსპექტირების შედეგად დაკისრებული ფულადი ჯარიმების გარდა, 2022 წლის განმავლობაში, საფინანსო სექტორის წარმომადგენლების მიმართ აქტიურად გამოიყენებოდა სხვადასხვა მაკორექტირებელი ღონისძიებები. იდენტიფიცირებული სისუსტეების დაუყოვნებლივი აღმოფხვრისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლების შესაბამისობის დონის ამაღლების მიზნით, ადგილზე ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით, 2022 წელს, არაერთი რეკომენდაცია გაიცა.

**დიაგრამა N 8.3 რეკომენდაციების რაოდენობა, 2022 წ.**

საფინანსო სექტორი	რეკომენდაციების რაოდენობა
კომერციული ბანკი	62
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	38
საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	15
საბროკერო კომპანიები	16
სესხის გამცემი სუბიექტი	0
ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	684

*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

აღსანიშნავია 2022 წლის განმავლობაში საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტს დაემატა ახალი განყოფილება - საერთაშორისო სანქციების იმპლემენტაციის ზედამხედველობის განყოფილება. განყოფილება აქტიურად მუშაობდა მეთოდოლოგიური დოკუმენტების, მითითებებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღების ფორმების შემუშავებაზე და ამავდროულად, ახორციელებდა მუდმივ მონიტორინგს სანქციებთან შესაბამისობის კუთხით. ამასთან, უნდა აღინიშნოს დეპარტამენტის მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სტრუქტურებთან, შესაბამისი გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2022 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ვირტუალური აქტივების მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებები ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების სავალდებულო რეგისტრაციას, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შემოწმებასა და ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიმართულებით.

ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, 2022 წელს დამტკიცდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული საინვესტიციო ფონდების ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი, რომლის თანახმადაც განისაზღვრა დარღვევის სიმძიმის შესაბამისი სანქცია, ასევე ჯარიმები დარღვევის განმეორებითობისა და სისტემურობის შემთხვევებისთვის.

ფინანსური ინსტიტუტების მიერ საკუთარ ორგანიზაციაში არსებული რისკების აღქმისა და ამ რისკების მიტიგაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეაფასა კომერციული ბანკების ორგანიზაციული და ჯგუფის მასშტაბით რისკის შეფასების დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს კომერციულ ბანკებს დაევალოთ ორგანიზაციული რისკის შეფასების დოკუმენტის განახლება საერთაშორისო სანქციების რეჟიმებთან შესაბამისობის ჭრილში.

კომერციული ბანკების შესაბამისობის კონტროლის სისტემების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის კანონმდებლობასთან, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ მოთხოვნებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის დისტანციურად შეფასების მიზნით, 2022 წელს კომერციული ბანკის შესაბამისობის კონტროლის სისტემის ზედამხედველობის კითხვარის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ანალიზი.

2022 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, ფულის გათეთრების ინსპექტირებისა და ზედამხედველობის დეპარტამენტის ჩართულობით, ინდივიდუალურად განიხილებოდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი პროდუქტები.

საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრევენციული საზედამხედველო ზომების განხორციელებას, რაც საზედამხედველო მოლოდინების შესახებ საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სისტემატურ ინფორმირებასა და, ამ ფორმით, მათი შესაბამისობის დონის ამაღლებას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, მეთოდური სახელმძღვანელოებისა და საზედამხედველო დოკუმენტების გაცნობისა და პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის, ასევე მიმდინარე გამოწვევების ეფექტიანად მართვის მიზნით, წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა საფინანსო სექტორის წარმომადგენლების სწავლება. სწავლების თემატიკა და შეხვედრაზე დამსწრე პირების რაოდენობა სექტორების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილის სახით:

დიაგრამა N 8.4 სწავლების თემატიკა, 2022 წ.

სწავლების თემატიკა	კომერციული ბანკი	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	საგადახდო მომსახურების პროვაიდერი	ვალუტის გადამცვლელი პუნქტი	სესხის გამცემი სუბიექტი	საბროკერო კომპანია	რეგისტრატორი	საინვესტიციო ფონდი
შესაბამისობის კონტროლის სისტემა		38	32	53	26			6
რისკის შეფასება და რისკის შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება		38	32	53	26	9	6	6
საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობა	14							

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თემატური სწავლების პარალელურად, 2022 წლის განმავლობაში საფინანსო სექტორის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. იმართებოდა ონლაინ შეხვედრები ინფორმაციის გაზიარებისა და საზედამხედველო მოლოდინების გაცნობის მიზნით. ამასთან, საფინანსო სექტორის წარმომადგენლები ყოველდღიურ რეჟიმში იღებდნენ შესაბამის ინფორმაციას მათთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვის შესახებ.

## 9 საგადახდო სისტემები

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგადახდო სისტემებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა როგორც ტექნოლოგიური, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით. განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო დისტანციური და მობილური ტექნოლოგიების განვითარება, რამაც ხელი შეუწყო უნაღდო ელექტრონული გადახდების სწრაფ განვითარებას განსაკუთრებით საცალო გადახდების მიმართულებით. გაჩნდა ელექტრონული კომერციის განვითარების სრულიად ახალი შესაძლებლობები, ახალი საგადახდო მომსახურების პროდუქტები, რომლებიც უფრო მოსახერხებელს და მარტივს ხდიან გადახდის პროცესს როგორც სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში, ასევე დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. ელექტრონული გადახდების განვითარების ამ ტენდენციას დამატებითი იმპულსი შესძინა 2019 წელს დაწყებულმა COVID-19 პანდემიამ, რომელმაც რიგ დარგებში დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია და დამატებითი საჭიროება გააჩინა ახალი ელექტრონული საგადახდო პროდუქტების განვითარების კუთხით, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატა ელექტრონული გადახდების, განსაკუთრებით კი მობილური ბანკითა და საბარათე გადახდების ზრდის ტემპების დაჩქარებაში. აღნიშნული ტენდენციების მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას ქვეყნის საგადახდო სისტემის ეფექტიანი და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად როგორც არსებული სისტემების სრულყოფის, ასევე ახალი სისტემების დანერგვის მხარდაჭერის მიმართულებით. ამ მიზნით 2022 წელს დასრულდა მყისიერი გადახდების სისტემის სატენდერო დოკუმენტაციაზე მუშაობა. სისტემის შესყიდვა 2023 წელს მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურის შესაბამისად განხორციელდება. მყისიერი გადახდის სისტემის მეშვეობით 24/7 რეჟიმში იქნება შესაძლებელი ოპერაციის ინიცირებიდან რამდენიმე წამის განმავლობაში გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესრულება.

მყისიერი გადახდის სისტემის დამატებითი უპირატესობა გადახდის მოთხოვნის (Request to Pay (RTP)) შეტყობინებების დამუშავების ფუნქციონალია. აღნიშნული სქემა მომხმარებელს საშუალებას მისცემს, მოითხოვოს გადახდა გადამხდელისაგან. გადამხდელის მიერ გადახდის მოთხოვნის დადასტურებისთანავე განხორციელდება მყისიერი (მყისიერი გადახდის სისტემის მეშვეობით, მცირე თანხობრივი ოპერაციებისთვის) ან ჩვეულებრივი (RTGS სისტემის მეშვეობით, მცირე და მსხვილი თანხობრივი ოპერაციებისთვის) გადახდა. გარდა აღნიშნულისა, მყისიერი გადახდების შესრულებისას ანგარიშის ნომრის ნაცვლად შესაძლებელი იქნება სხვადასხვა მარტივი იდენტიფიკატორების (მაგ., მობილური ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, საიდენტიფიკაციო კოდი და სხვა) გამოყენება. აღნიშნულს უზრუნველყოფს PROXY მონაცემთა ბაზა, რომლის საშუალებითაც განხორციელდება მარტივი რეკვიზიტით

(მაგ., მობილურის ნომერი და სხვა) მიმღების IBAN ანგარიშის მოძებნა და გადახდელისთვის მიწოდება.

ღია კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო სტანდარტების დანერგვასთან ერთად მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანად გააძლიერებს ფინანსურ ბაზრის ინფრასტრუქტურებს და შექმნის გარემოს, რომლის უპირატესობებით სარგებლობა საგადახდო მომსახურების სფეროს ყველა მონაწილეს შეეძლება და მხარს დაუჭერს ელექტრონული გადახდების განვითარების ტენდენციას.

მყისიერი გადახდების სისტემის დანერგვის პარალელურად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მუშაობა RTGS სისტემის განახლების პროექტზე. პროექტის ფარგლებში განხორციელდება RTGS სისტემის როგორც ფუნქციონალური, ისე ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური განახლება. ეს გააუმჯობესებს სისტემის წარმადობას და უფრო მრავალფეროვანს გახდის მის ფუნქციონალს, რაც შესაძლებელს გახდის სხვა სისტემებთან, მათ შორის მყისიერი გადახდების სისტემასთან ინტეგრაციას ლიკვიდობის მართვისა და ანგარიშსწორების მიზნებისთვის.

2022 წელი ასევე გამორჩეული იყო საგადახდო სფეროში ევროინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯების თვალსაზრისითაც. 20 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ერთიანი ევრო გადახდების სივრცეში (Single Euro Payment Area – SEPA) საქართველოს გაწევრიანების განაცხადი წარადგინა. საქართველოს SEPA-ში გაწევრიანება სარგებლის მომტანი რამდენიმე მიმართულებით იქნება: საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოს საფინანსო სექტორის სანდოობა, გაიზრდება ევროპის ეკონომიკურ სივრცესთან სავაჭრო ურთიერთობები, საქართველოს მოქალაქეები გამარტივებული და იაფი მომსახურებით ისარგებლებენ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებიდან ევროში ფულადი გზავნილების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით. წარდგენილი განაცხადი რამდენიმე თემატურ ქვეკატეგორიას მოიცავს: ევროკავშირთან მჭიდრო ეკონომიკური და სამართლებრივი ურთიერთობის დასაბუთებას, საგადახდო სფეროსა და ფინანსური სექტორის მარეგულირებელი, ასევე კონკურენციისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის ფუნქციონალური ექვივალენტურობის დადასტურებას, აგრეთვე ევროში ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობის ჩვენებას. განაცხადის მომზადებისას საქართველოს ეროვნული ბანკის გუნდი აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან ერთად.



## 9.1 საგადახდო სისტემების ოვერსაიტი

### სამართლებრივი ბაზა

მყარი საკანონმდებლო ბაზა მნიშვნელოვანია როგორც საგადახდო სფეროს განვითარებისთვის, ასევე გამოწვევებთან გასამკლავებლად და მომავალი ინოვაციების ხელშეწყობისათვის. ამგვარი საკანონმდებლო ბაზის მისაღწევად აუცილებელია ბაზრის მონიტორინგი, დაკვირვება, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების გაზიარება და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა.

საქართველოს ეროვნული ბანკი საგადახდო კანონმდებლობის გაუმჯობესების კუთხით დინამიურ მუშაობას განაგრძობდა. ამ მხრივ, 2022 წელი მეტად დატვირთული იყო, რაც განპირობებული იყო მრავალ სამართლებრივ აქტზე მუშაობით. შემდგომ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია მიღწეული პროგრესის შესახებ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანს საფუძველი გასულ წლებში ჩაეყარა:

### ცვლილებები საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ საქართველოს კანონში

„ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ (ამ თავში შემდგომ - „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას ეროვნული კანონმდებლობა ევროპის კავშირის კანონმდებლობას დაუახლოვოს. საგადახდო სისტემისა და მომსახურების ჭრილში, საქართველო ვალდებულია უზრუნველყოს საგადახდო მომსახურებების შესახებ დირექტივის (Directive 2007/64/EC, ე.წ. PSD1) იმპლემენტაცია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი, ჯერ კიდევ ასოცირების შესახებ შეთანხმებამდე მუშაობდა „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ კანონის პროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2012 წელს მიიღო. მასზე მუშაობისას საქართველოს ეროვნული ბანკი დაეყრდნო სწორედ ზემოხსენებულ დირექტივას და ბაზარზე არსებული ვითარებიდან გამომდინარე, უმეტესწილად გაზიარებული იქნა დირექტივის დებულებები. შემდგომ, პერიოდულად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, ასევე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დახვეწის ფარგლებში, უზრუნველყოფილი იყო დირექტივასთან დიდ წილად შესაბამისობა.

საყურადღებოა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება მოიცავს დებულებას დინამიური აპროქსიმაციის შესახებ, რაც გულისხმობს ევროპული კავშირის კანონმდებლობის ცვლილებისას შესაბამისი განახლებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვას. აღიშნული ფაქტორის, ასევე, საგადახდო მომსახურების ბაზრის დინამიკისა და მზაობის, ევრო-ინტეგრაციისკენ მისწრაფების და ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA - Single Euro

Payments Area) მომავალში ჩართვის პოტენციური შესაძლებლობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2018 წელს მუშაობა დაიწყო საგადახდო მომსახურებების შესახებ განახლებული დირექტივის (Directive (EU) 2015/2366, ე.წ. PSD2) იმპლემენტაციაზე (SEPA-ში გაწვევრიანების ერთ-ერთი კრიტიკულ კრიტერიუმს წარმოადგენს). 2018-2019 წლებში შემუშავდა შესაბამისობის ცხრილი, რის შემდეგაც დაიწყო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტირებაზე მუშაობა. პროცესი მოიცავდა საგადახდო მომსახურებების პროვაიდერებთან, მათ შორის ბანკებთან, აგრეთვე, ლოკალურ და საერთაშორისო საგადახდო სისტემებთან/სქემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მრავალჯერ განხილვას, მოსაზრებების/პოზიციების გაზიარებასა და მიღებას. გაიმართა არა ერთი როგორც ერთობლივი, ასევე ინდივიდუალური შეხვედრა, მათ შორის, პანდემიიდან გამომდინარე, დისტანციურ რეჟიმში.

პროექტის შემუშავებისას საქართველოს ეროვნულ ბანკს, ევროკავშირის „Twinning“-ის 2-წლიანი პროექტის ფარგლებში, მხარდაჭერას პოლონეთის ცენტრალური ბანკისა და ფინანსური ზედამხედველობის ორგანოს, ასევე, ლიეტუვას ცენტრალური ბანკის ექსპერტები უწევდნენ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს მოცულობით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე მუშაობა დაასრულა, რაც მოიცავდა შესაბამის გამომდინარე კანონპროექტებსაც. საქართველოს მთავრობამ საკანონმდებლო პაკეტი დააინიცირა, ხოლო საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები 2022 წლის სექტემბერში მიიღო. ამით, მიღწეული იქნა PSD2-თან თითქმის სრული შესაბამისობა.

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული ცვლილებები მიზნად ისახავს გადახდების სფეროს მრავალმხრივ განვითარებას. მრავალ საკითხთა შორის, კანონმდებლობას დაემატა ახალი დეფინიციები, დაზუსტდა საგადახდო მომსახურებების და დაშვებული საქმიანობების ჩამონათვალი ასევე, ის მომსახურებები, რომლებზეც კანონი არ ვრცელდება. აღსანიშნავია, რომ კანონმა წარმოადგინა ახალი საგადახდო მომსახურებები - გადახდის ინიცირების მომსახურება და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის მომსახურება, რამაც ღია ბანკინგს ჩაუყარა საფუძველი და ე.წ. ფინტექ კომპანიებს საშუალება მისცა შესულიყვნენ საგადახდო მომსახურებების ბაზარზე მათ საქმიანობასთან დაახლოებული პროფილით (გადახდის ინიცირების მომსახურების პროვაიდერები ან/და ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის პროვაიდერები) კონკურენტული გარემოს მეტად წახალისებისთვის დაიხვეწა საგადახდო სისტემებზე/სქემებზე წვდომის შესახებ საკითხები, მათ შორის, გათვალისწინებულია საგადახდო მომსახურების პროვაიდერისათვის ე.წ. არაპირდაპირი მონაწილეობის/წვდომის უფლება და, შესაბამისად, პირდაპირი მონაწილის მიერ წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულება. რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების

პროვაიდერების კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით, განისაზღვრა კომერციული ბანკების ვალდებულება, უზრუნველყონ ანგარიშზე და მასთან დაკავშირებულ მომსახურებებზე პროვაიდერების მიერ ობიექტურ, არადისკრიმინაციულ და პროპორციულ საფუძველზე წვდომა, რათა პროვაიდერებმა მომხმარებლებისთვის შეძლონ საგადახდო მომსახურებების შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელება.

გამლიერდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, პროვაიდერების მიერ მომხმარებლის საგადახდო სფეროსთან დაკავშირებულ საჩივარზე რეაგირების ერთიანი ვადები განისაზღვრა. ასევე დაიხვეწა ოპერაციის შეუსრულებლობასთან, დაგვიანებით, არასწორად და არაავტორიზებულ შესრულებასთან დაკავშირებული უფლება-ვალდებულებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვალდებულება, რომლის თანახმად, პროვაიდერი, შესაბამისი პირობების არსებობისას, ვალდებულია, არაავტორიზებული ოპერაციის თანხა აანაზღაუროს დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე. კანონი ასევე ითვალისწინებს მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმს - საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც საგადახდო მომსახურების შესახებ კანონმდებლობაში გათვალისწინებული უფლება-ვალდებულებებიდან გამომდინარე მომხმარებელსა და პროვაიდერს შორის არსებულ დავებს განიხილავს. დამოუკიდებელი დავების განმხილველი კომისია მომხმარებლებს სასამართლოს ნაცვლად დავის განხილვის უშუალოდ საგადახდო მომსახურების სფეროზე ორიენტირებულ კომისიაში განხილვის შესაძლებლობას მისცემს, თან, პროცესის გაცილებით შემჭიდროვებულ ვადებში და უსასყიდლოდ წარმართვას გულისხმობს.

### **ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრის წესი**

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და 2022 წლის 16 სექტემბრის №122/04 ბრძანებით დამტკიცდა „ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრის წესი“. იგი განსაზღვრავს ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტისადმი მოთხოვნებს, ხოლო ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებზე და რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, რომლებიც გეგმავენ ჩაერთონ ან ჩართული არიან ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საკრედიტო გადარიცხვის ან პირდაპირი დებეტის სქემაში. წესი სრულად ითვალისწინებს ევროპული კავშირის (EU) 260/2012 რეგულაციის შესაბამის დებულებებს.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ აქტში განსაზღვრული საკითხების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია წარმოადგენს SEPA-ში გაწევრიანების ერთ-ერთ კრიტერიუმს.

### **კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ დებულება**

„კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ დებულების“ პროექტირებაზე მუშაობა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2020 წელს დაიწყო და 2022 წლის ოქტომბერში დაამტკიცა. ის ეყრდნობა ევროპული კავშირის (EU) 2018/389 რეგულაციას, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს PSD2-დან/მის ნაწილს წარმოადგენს. წესის მიზანია, უზრუნველყოს ეფექტიანი და უსაფრთხო კომუნიკაცია ანგარიშის ინფორმაციაზე წვდომის და გადახდის ინიცირების მომსახურების განხორციელებისას, განსაზღვროს კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტები ყველა მონაწილე მხარისთვის, ხელი შეუწყოს ინოვაციური პროდუქტების განვითარებას, კომუნიკაციის სესიების უსაფრთხოების გაძლიერებული მოთხოვნებით უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა და მთლიანობა, ასევე, სხვადასხვა ტექნოლოგიური გადაწყვეტის ურთიერთ-თავსებადობა. აღნიშნული არსებითია კონკურენტუნარიანი ღია ბანკინგის დანერგვისთვის, განსაკუთრებით კი ე.წ. ფინტექ კომპანიებისთვის.

### **საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი**

შემუშავდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესში“ ცვლილებების პროექტი, როგორც პრაქტიკაში გამოვლენილ საკითხებზე, ასევე, PSD2-ზე დაყრდნობით. მათ შორის, დაზუსტდება დაინტერესებული პირის ადმინისტრატორის, ასევე საგადახდო მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირების შესაბამისობასთან დაკავშირებული საკითხები, ბიზნეს-გეგმასთან, სატარიფო პოლიტიკასთან, სათაო ოფისის სტრუქტურულ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ჩანაწერები. ამასთან, განისაზღვრება მნიშვნელოვან პროვაიდერად აღიარების კრიტერიუმები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირებს, ინდივიდუალური მეწარმეებსა და იურიდიული პირის სტატუსის არმქონე სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნებს როგორც გადამხდელებს, გარკვეული პირობების დაცვით შეეძლება ჩაერთონ ელექტრონული ფულის სქემაში, რაც საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს საშუალებას მისცემს საგადახდო მომსახურების სრული სპექტრი შესთავაზონ იურიდიული პირებს და ხელს შეუწყობს ბაზრის განვითარებას.

## საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესი

საქართველოს ეროვნული ბანკი 2022 წელსაც აგრძელებდა „საგადახდო მომსახურების პროვაიდერების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის შესახებ წესის“ პროექტზე მუშაობას, რის ფარგლებშიც საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან არაერთხელ მოხდა მოსაზრებების გაცვლა, პოზიციების გაზიარება და წესის ზემოქმედების იმიტირება. წესი ითვალისწინებს, მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებს და საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშების მეთოდოლოგიას, რომლებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა სავალდებულოა საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერისთვის, მათ შორის, ელექტრონული ფულის პროვაიდერისთვის. აღნიშნული წესების დამტკიცება 2023 წელს იგეგმება.

### ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების შეფასება

ოვერსაიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგადახდო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემების საქმიანობის შეფასება ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპების (CPMI-IOSCO Principles for Financial Market Infrastructures) საფუძველზე. ამ მიზნით წინა წლებში ეროვნულ ბანკს უკვე ორჯერ ჰქონდა განხორციელებული დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემის თვითშეფასება აღნიშნული პრინციპების მიხედვით. 2022 წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტების მხარდაჭერით დასრულდა ასევე ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების ორი სისტემის: ეროვნული ბანკის ცენტრალური დეპოზიტარის სისტემისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის თვითშეფასება, რითაც შესრულდა 2021 წელს ფინანსური სექტორის შეფასების (FSAP) ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია. შეფასების შედეგების მიხედვით ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემები მნიშვნელოვანწილად შეესაბამება ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპების მოთხოვნებს, გააჩნიათ მყარი სამართლებრივი ბაზა და მმართველობითი სტრუქტურა. ბიზნესის უწყვეტობისა და საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა დაფუძნებულია საერთაშორისოდ ფართოდ გამოყენებულ სტანდარტებზე. სისტემების დიზაინიდან გამომდინარე მაქსიმალურად არის თავიდან აცილებული ფინანსური რისკები, ხოლო იქ, სადაც მათი სრულად თავიდან აცილება შეუძლებელია, დანერგილია მექანიზმები აღნიშნული რისკების მონიტორინგისა და მინიმიზაციისათვის. ამასთან, შეფასების პროცესში გამოვლინდა ცალკეულ პრინციპებთან შედარებით უმნიშვნელო შეუსაბამობები და გაუმჯობესების პოტენციალი, მათ შორის უკვე არსებული წესებისა და პროცედურების ფორმალიზების კუთხით. აღნიშნული მიგნებების საფუძველზე შემუშავებული იქნა

სამოქმედო გეგმა ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის პრინციპებთან სრული შესაბამისობის მისაღწევად.

### **საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული საკომისიოების გამჭვირვალობა**

საგადახდო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალობის პრინციპების დანერგვა, რაც ხელს უწყობს როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ასევე აძლიერებს კონკურენციას. ამ მიმართულებით 2022 წელს საგადახდო ანგარიშის ევროდირექტივაზე (Payment account directive - Directive 2014/92/EU) დაყრდნობით შემუშავებული იქნა „საგადახდო ანგარიშებთან დაკავშირებული მომსახურების საკომისიოების ხელმისაწვდომობის შესახებ წესი“-ს პროექტი. ასევე, მუშაობა დაიწყო საგადახდო პროდუქტების შესახებ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების საკომისიოების ერთიანი პორტალის შექმნის პროექტზე, რომლის საშუალებით მომხმარებელი შეძლებს მარტივად შეადაროს სხვადასხვა პროვაიდერის მომსახურების/პროდუქტების ტარიფები ერთმანეთს, ასევე ისარგებლოს სხვადასხვა კალკულატორებით.

პროექტის დამუშავების პროცესში დაზუსტდა სხვადასხვა მხარის (მათ შორის საერთაშორისო საბარათე სქემების) მიერ ინფორმაციის წარმოდგენის მეთოდი. შემუშავებულ იქნა ვებ-გვერდზე დასანერგ სხვადასხვა ფუნქციონალთან (ტარიფების შედარება, კალკულატორები) დაკავშირებული ლოგიკური სქემები. წესის დამტკიცება და საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული ტარიფების ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების პროექტის ბოლო ფაზის დასრულება იგეგმება 2023 წლის განმავლობაში.

### **საგადახდო ბაზრის მონიტორინგი**

საქართველოს ეროვნული ბანკი აგრძელებს მუშაობას საგადახდო ბაზრის მონიტორინგის გაძლიერებაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზარზე არსებული ინფორმაციის შეგროვების გაუმჯობესება. 2022 წლის ნოემბერში დამტკიცდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საბარათე ინსტრუმენტის შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების და წარდგენის ინსტრუქცია. მისი მიზანია საბარათე ინსტრუმენტის შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების მომზადებისა და საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენის მეთოდოლოგიური საფუძვლების, ასევე საბარათე ინსტრუმენტის შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შინაარსის, სტრუქტურის, მათი შევსებისა და წარდგენის წესებისა და პირობების განსაზღვრა. იგი ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, რომლებიც ახორციელებენ

საბარათე ინსტრუმენტების გამოშვებას ან/და ექვირინგს. შემუშავებული ინსტრუქცია ითვალისწინებს საგადახდო ბაზრის ამ მონაწილეების სპეციფიკას. მისი ამოქმედებით უფრო სრულყოფილი იქნება იქნება საბარათე ინსტრუმენტები შესახებ მიღებული ინფორმაცია.

2022 წელს ასევე გაგრძელდა მუშაობა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის – სეზსტატის სრულყოფის მიმართულებით. განისაზღვრა დამატებითი ფორმები, რომლითაც საქართველოს ეროვნული ბანკი მიიღებს სტატისტიკურ ინფორმაციას საბარათე ინსტრუმენტით, საბარათე მოწყობილობით და სხვა დისტანციური არხებით შესრულებული არაავტორიზებული ოპერაციების/ინციდენტების შესახებ.

## 9.2 RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციები


საქართველოს საგადახდო სისტემის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არის ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS სისტემა), რომელიც ეროვნული ვალუტით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით მისი მონაწილეები იყვნენ: საქართველოში ლიცენზირებული 14 კომერციული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკი და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური. RTGS სისტემაში მუშავდება როგორც დიდი თანხობრივი სიდიდის ბანკთაშორისი გადახდები, ასევე მონაწილეების კლიენტების საცალო გადახდები. გარდა ამისა, RTGS სისტემა უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემებისა (GSSS) და საერთაშორისო საბარათე სისტემებში დამუშავებული ოპერაციების ანგარიშსწორებასაც. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, RTGS სისტემას გააჩნია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შექმნილი ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, რომლის ტესტირება წინასწარ დამუშავებული სცენარების მიხედვით რეგულარულად ხორციელდება. საქართველოს ეროვნული ბანკი სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ ახორციელებს RTGS სისტემის თვითშეფასებას ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურების პრინციპების საფუძველზე (ბოლო თვითშეფასება განხორციელდა 2021 წელს მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი მისიის „ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის“ (FSAP) ფარგლებში<sup>98</sup>).

2022 წელს RTGS სისტემით 42.2 მილიონი გადახდის ოპერაცია განხორციელდა, თანხობრივად 358.6 მილიარდი ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, რაოდენობრივად 22 პროცენტით და თანხობრივად 12.7 პროცენტით მეტია. საყურადღებოა,

<sup>98</sup> <https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2021/09/17/Georgia-Financial-System-Stability-Assessment-465911>

რომ კომერციულ ბანკებს შორის გადახდების თანხა 30 პროცენტით, ხოლო რაოდენობა 30.6 პროცენტით გაიზარდა. RTGS სისტემით განხორციელებული გადახდების თანხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების დინამიკა ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამა N 9.1-9.4-ზე იხილეთ.


**დიაგრამა N 9.1 RTGS სისტემის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვები (2002-2022 წლებში)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 9.2 RTGS სისტემაში განხორციელებული გადარიცხვები (2022 წელი)**






წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.3 RTGS ოპერაციების თანხა მონაწილეების მიხედვით (2011-2022 წწ.)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 9.4 RTGS ოპერაციების რაოდენობა მონაწილეების მიხედვით (2011-2022 წწ.)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა წლების მსგავსად, RTGS სისტემის, როგორც სხვა სისტემების ანგარიშსწორების მექანიზმის როლი, მნიშვნელოვანია. 2022 წელს, სხვა სისტემების საბოლოო ანგარიშსწორების ოპერაციების თანხა 11.6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისმა წილმა, სულ RTGS სისტემით შესრულებულ ოპერაციებში 27.7 პროცენტი (იხ. დიაგრამა N 9.5) შეადგინა, რაც, 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ ნაკლებია (0.3 პპ-ით).


**დიაგრამა N 9.5 RTGS ოპერაციების თანხა ანგარიშსწორების მიხედვით (2011-2022 წწ.)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


RTGS სისტემა არა მარტო დიდი თანხობრივი მოცულობის (საბითუმო), არამედ საცალო გადახდების კუთხითაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 2022 წელს კომერციული ბანკების კლიენტების გადახდების წილმა, სულ RTGS გადახდებში, თანხობრივად 28.9 პროცენტი და რაოდენობრივად 83.9 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საცალო გადახდების რაოდენობის ყველაზე დიდი წილი (43 პროცენტი) 10-დან 100 ლარამდე გადახდებზე მოდის, ხოლო შემდეგ (31 პროცენტი) 100-დან 1000 ლარამდე გადახდებზე (იხ. დიაგრამა N 9.6 და დიაგრამა N 9.7).

**დიაგრამა N 9.6 ბანკის კლიენტების გადახდების რაოდენობა თანხობრივი ზღვრების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დიაგრამა N 9.7 ბანკის კლიენტების გადახდების განაწილება თანხების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



2019-2020 წლებში COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო ეკონომიკაზე, რომლის შედეგებიც ჯერ კიდევ თვალსაჩინოა ეკონომიკის რიგ სექტორებში. თავისთავად ასეთი შოკი აისახა RTGS სისტემის ოპერაციებზეც. კერძოდ, 2020 წელს ხაზინასა და კომერციულ ბანკს შორის გადახდების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა 2018 და 2019 წლის შესაბამის მონაცემებთან შედარებით, ასევე შესამჩნევად იკლო კომერციულ ბანკებს შორის კლიენტების გადახდების როგორც რაოდენობის, ასევე თანხის ზრდის ტემპიც, რაც საერთო ჯამში გამოიხატა RTGS სისტემით განხორციელებული ოპერაციების თანხის ზრდის ტემპის მნიშვნელოვან შემცირებაში. თუმცა, საგადახდო ბაზრის მონაწილეებმა და მომხმარებლებმა ეფექტურად მოახდინეს ადაპტაცია შეცვლილ გარემოსთან, რის შედეგადაც უკვე 2021 წლიდან, მიუხედავად COVID-19 პანდემიის რამდენიმე ტალღის გავრცელებისა, RTGS სისტემით განხორციელებული ოპერაციების თანხის ზრდის ტემპი დაუბრუნდა ძველ ტენდენციას, რაც კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ზრდის ტემპის აღდგენით იყო გამოწვეული (2018 წელს 21.3 პროცენტი, 2019 წელს 41.1 პროცენტი, 2020 წელს 2 პროცენტი, 2021 წელს 18.6 პროცენტი). 2022 წლის მონაცემებით კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ზრდის ტემპი უდიდესი იყო ბოლო 10 წლის მანძილზე და თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით 25.9 პროცენტი შეადგინა, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით - 31.5 პროცენტი. კომერციულ ბანკებს შორის RTGS სისტემაში განხორციელებული ოპერაციების დინამიკა ნათლად ჩანს დიაგრამებზე N 9.8-9.9-ზე.

**დიაგრამა N 9.8 კომერციულ ბანკებს შორის გადახდების წლიური ზრდის მაჩვენებლების ცვლილება RTGS სისტემაში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 9.9 RTGS სისტემაში კომერციულ ბანკებს შორის გადახდების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

### 9.3 გადახდის ელექტრონული საშუალებები

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ციფრული და მობილური ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი გადახდის ელექტრონული საშუალებების გამოყენებას. აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო დააჩქარა COVID-19-ის პანდემიით ინიცირებულმა ბიზნესის ციფრულმა ტრანსფორმაციამაც. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მობილური ბანკის საშუალებით განხორციელებული გადახდები. 2015 წლიდან მობილური ბანკი, როგორც თანხობრივი, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით ყველაზე სწრაფად მზარდ გადახდის არხს წარმოადგენდა და უკვე 2020 წლიდან მყარად

დამკვიდრდა საბარათე ინსტრუმენტების შემდეგ ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებად გადახდის საშუალებად. წინა წელთან შედარებით, მობილური ბანკის გამოყენებით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 175 პროცენტით გაიზარდა და სულ უნაღდო გადახდების 18 პროცენტი შეადგინა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8 პპ-ით მეტია. ტრადიციულად, რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე ხშირად გამოყენებულ გადახდის ელექტრონულ საშუალებას საბარათე ინსტრუმენტი წარმოადგენს. 2022 წელს მისი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 34 პროცენტით გაიზარდა და მთლიანი უნაღდო გადახდების 77 პროცენტი შეადგინა. 14 პროცენტით გაიზარდა ასევე ინტერნეტ-ბანკით განხორციელებული გადახდების რაოდენობაც და სულ უნაღდო გადახდების რაოდენობის 4 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით არ არის გასაკვირი, რომ არა-დისტანციური საშუალებებით განხორციელებული გადახდების რაოდენობა 2022 წელს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 9 პროცენტით და უნაღდო გადახდების რაოდენობის 1 პროცენტი შეადგინა.


როგორც ზემოთ აღინიშნა, მობილური ბანკით გადახდები თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც ყველაზე სწრაფად მზარდი გადახდის არხს წარმოადგენს. 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, მობილური ბანკით განხორციელებული გადახდების თანხა გაიზარდა 97 პროცენტით და შეადგინა სულ უნაღდო გადახდების 12 პროცენტი, რაც 5 პპ-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, ინტერნეტბანკი რჩება თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით გადახდის უმნიშვნელოვანეს არხად. 2022 წელს ინტერნეტბანკის საშუალებით ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების თანხა 12 პროცენტით გაიზარდა და მისმა წილმა მთლიან უნაღდო გადახდებში 62 პროცენტი შეადგინა, რაც 2 პპ-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მიუხედავად წინა წელთან შედარებით 17 პროცენტით ზრდისა, უმნიშვნელოა საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული გადახდების თანხა და იგი ისევე როგორც 2021 წელს სულ უნაღდო გადახდების 8 პროცენტს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, სულ უნაღდო გადახდების 3 პროცენტი შესრულდა სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საყურადღებოა, რომ კლიენტის მიერ უშუალოდ კომერციული ბანკის სერვის-ცენტრში ინიცირებული საკრედიტო საგადახდო დავალებების თანხა ბოლო 10 წლის განმავლობაში სტაბილურად მცირდება და, 2022 წლის ჯამური მაჩვენებლებით, მთლიანი უნაღდო გადახდების თანხის 15 პროცენტს შეადგენს, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 3 პპ-ით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, თანხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ბანკის სერვის-ცენტრში ინიცირებული საკრედიტო დავალებები ჯერ კიდევ აღემატება მობილური ბანკით და საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული გადახდების თანხას და მხოლოდ

ინტერნეტ-ბანკით განხორციელებულ გადახდებს ჩამოუვარდება. სხვაგვარი სურათია რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.


უნაღლო გადახდების სტატისტიკური მონაცემები, მათი ინიცირების საშუალებების ჭრილში, ნაჩვენებია დიაგრამებზე N 9.10 და N 9.11.

**დიაგრამა N 9.10 უნაღლო გადახდის ინიცირების საშუალებების გამოყენება 2012-2022 წლებში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**დიაგრამა N 9.11 უნაღლო გადახდების განაწილება მათი ინიცირების საშუალებების მიხედვით (2022 წელი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


### 9.4 საბარათე ინსტრუმენტების ბაზარი

2022 წელს საბარათე ინსტრუმენტების ბაზარზე GooglePay-ს მომსახურება დაინერგა, რომელმაც საშუალება მისცა ანდროიდის მომხმარებლებს, ესარგებლათ მობილური აპლიკაციის გადახდებით. ApplePay საქართველოს ბაზარზე 2019 წლიდანაა

წარმოდგენილი. ახალი საგადახდო აპლიკაციის დანერგვამ მობილური აპლიკაციებში ინტეგრირებული საგადახდო ბარათების რაოდენობა 30 პროცენტით გაზარდა. საგადახდო აპლიკაციებმა საბარათე ბაზარი ორი ძირითადი მიმართულებით განავითარა, კერძოდ დაინერგა ტოკენიზაციის სერვისი და ციფრული ბარათები. ტოკენიზაცია საგრძნობლად ზრდის უსაფრთხოებას საბარათე ოპერაციებში, შესაბამისად მომხმარებელი მეტად დაცულია თაღლითებისგან.

მობილური აპლიკაციების განვითარებას თან ახლდა ამ აპლიკაციებით შესრულებული საბარათე ოპერაციების ზრდა. კერძოდ, 2021 წელთან შედარებით მობილური აპლიკაციებით შესრულებული ოპერაციები 31 პროცენტით გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად. 2019 წელთან შედარებით კი მობილური გადახდები თითქმის გაორმაგდა. სწორედ ამ ფაქტს შესაძლოა უკავშირდებოდეს საბარათე ოპერაციების ზრდის ტემპის დაჩქარება, რომლის მაჩვენებელიც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 8 პპ-ით რაოდენობრივად. რაც შეეხება თანხობრივი მაჩვენებლის ზრდის ტემპს, იგი პანდემიის პერიოდიდან გამოსვლის შემდეგ (2020-2021 წწ) უფრო მეტი იყო, ვიდრე 2021-2022 წელს (შემცირდა 3 პპ-ით), რაც ბუნებრივი მოვლენაა. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს საბარათე ოპერაციების ზრდის მაჩვენებლები შეადგენს 32 პროცენტს რაოდენობრივად და 30 პროცენტს თანხობრივად. 2015 წლიდან მოყოლებული, წინა წელთან შედარებით, საბარათე ოპერაციების პროცენტული ზრდა როგორც რაოდენობრივად, ისე თანხობრივად, გამოსახულია დიაგრამა N 9.12-ზე:

**დიაგრამა N 9.12 საბარათე ოპერაციების ყოველწლიური ზრდა, თანხობრივად და რაოდენობრივად**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



2022 წლის განმავლობაში საქართველოში გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით, სულ ქვეყნის შიგნით და გარეთ, 671.3 მილიონი (თანხობრივად 59,1 მილიარდი ლარი) ოპერაცია შესრულდა. აქედან, ქვეყნის შიგნით ოპერაციების რაოდენობის 92 პროცენტი და თანხის 90 პროცენტი შესრულდა. აღნიშნული ოპერაციების რაოდენობის 86 პროცენტი და თანხის 38 პროცენტი სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში შესრულებული გადახდის ოპერაციები იყო, ხოლო დანარჩენი - ნაღდი თანხის გატანის ოპერაციები. გადახდის ოპერაციების რაოდენობის 20 პროცენტი და თანხის 36 პროცენტი ელექტრონული კომერციის ოპერაციებია. საშუალოდ თვეში ერთი აქტიური ბარათით<sup>99</sup> დაახლოებით 16 ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 1.4 ათასი ლარი, რაც რაოდენობრივად 3 ოპერაციით, ხოლო თანხობრივად 0.3 ათასი ლარით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებზე.

2022 წლის ბოლოსთვის საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გამოშვებულმა სადებეტო და საკრედიტო საგადახდო ბარათების რაოდენობამ 7.8 მილიონი შეადგინა, რაც 14 პროცენტით მეტია 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. გამოშვებული ბარათების 84 პროცენტი არის ჩიპიანი, 7 პროცენტი - საკრედიტო, 63 პროცენტის მონაცემები დამატებულია მობილურ აპლიკაციაში. ერთ სულ მოსახლეზე გამოშვებული საგადახდო ბარათების რაოდენობა 2.1 ბარათია. საქართველოში კვლავ დომინანტური მდგომარეობა უჭირავს საერთაშორისო საბარათე სქემების ბარათებს (92 პროცენტი). წლების მიხედვით გამოშვებული საგადახდო ბარათების დინამიკა საბარათე სქემების მიხედვით გამოსახულია დიაგრამა N 9.13-ზე:

**დიაგრამა N 9.13 კომერციული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების რაოდენობა საბარათე სქემების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

<sup>99</sup> აქტიური ბარათი - გამოშვებული საგადახდო ბარათი, რომელმაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულა ერთი ოპერაცია მაინც

2022 წელს საქართველოს ბაზარზე გამოჩნდა მობილური პოს-ტერმინალები (მობილური ტელეფონის აპლიკაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელია უკონტაქტო ტექნოლოგიით საბარათე გადახდების მიღება). გარდა ამისა, შეიქმნა პლატფორმები სავაჭრო-მომსახურების ობიექტებისთვის, რომლის დახმარებით მათ შეუძლიათ საბარათე ელ. კომერციის გადახდების მიღების მიზნით განაცხადის ონლაინ შევსება და ინტეგრირება. მსგავსმა პროექტებმა ხელი შეუწყო სავაჭრო ობიექტების ჩართვას ელექტრონული გადახდების სივრცეში, 2022 წლის ბოლოსთვის საქართველოში დაახლოებით იყო 85 ათასი გადახდის პოს-ტერმინალი, 8 ათასი ელექტრონული კომერციის პოს-ტერმინალი და 8 ათასი მობილური ტერმინალი. აქედან, გადახდის პოს-ტერმინალების 69 პროცენტი და მობილური ტერმინალების 36 პროცენტი განლაგებულია დედაქალაქში. წლების მიხედვით საბარათე მოწყობილობების დინამიკა მოცემულია ცხრილი N 9.1-ში:

**ცხრილი N 9.1 საბარათე მოწყობილობების<sup>100</sup> დინამიკა (დეკემბერი 2015-2022)**


	ბანკომატი	ცვლილება %-ში	გადახდის პოს- ტერმინალებ ო	ცვლილება %-ში	POS ბანკის ფილიალში
2015	2,124		22,233		1,647
2016	2,240	5%	28,757	29%	1,589
2017	2,281	1.8%	32,456	13%	1,446
2018	2,323	1.8%	38,444	18%	1,470
2019	2,537	9.2%	51,488	34%	1,416
2020	2,655	4.7%	60,221	17%	1,184
2021	2,821	6%	72,680	21%	1,163
2022	2,902	3%	85,360	17%	1,135

*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*


საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით სულ 639.8 მილიონი ოპერაცია შესრულდა, თანხობრივად 59.1 მილიარდი ლარი. აღნიშნული მაჩვენებლები რაოდენობრივად 32 პროცენტით, ხოლო თანხობრივად 31 პროცენტით აღემატება წინა, 2021 წლის იმავე მაჩვენებლებს. 2022 წლის ოპერაციების რაოდენობის 96 პროცენტი და თანხის 94 პროცენტი ქართული საბარათე ინსტრუმენტებით შესრულდა, დანარჩენი კი უცხოური საბარათე ინსტრუმენტებით შესრულებული ოპერაციებია. შესრულებული ოპერაციების რაოდენობის 85 პროცენტი (თანხის 34 პროცენტი) არის გადახდის ოპერაციები. წლების მიხედვით გადახდის ოპერაციების და ნაღდი თანხის გატანის ოპერაციების წილების დინამიკა გამოსახულია დიაგრამა N 9.14-ზე:

<sup>100</sup> პროვაიდერის პოს-ტერმინალი - პროვაიდერის ფილიალში ან სერვის-ცენტრში განთავსებული პოს-ტერმინალი, რომელიც გამოიყენება საბარათე ანგარიშიდან ნაღდი ფულის გასატანად.

დიაგრამა N 9.14 საქართველოში განლაგებული საბარათე მოწყობილობებით შესრულებული გადახდისა და ნაღდი ფული გატანის ოპერაციების წილობრივი მაჩვენებლების დინამიკა წლების მიხედვით:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## 9.5 საგადახდო მომსახურების პროვაიდერები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნულ ბანკში საგადახდო მომსახურების 30 პროვაიდერი იყო რეგისტრირებული. 2022 წლის განმავლობაში ეროვნულ

ბანკში საგადახდო მომსახურების პროვაიდერად დარეგისტრირდა ორი სუბიექტი, ხოლო 4 სუბიექტს გაუუქმდა რეგისტრაცია და დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ანგარიშგების წარმოდგენის ავტომატიზაციის კუთხით, კერძოდ, გადამუშავდა ანგარიშგების ფორმები და პროცედურები, რის შედეგადაც პროვაიდერები 2023 წლის დასაწყისიდან სტატისტიკურ ინფორმაციას ატვირთავენ დისტანციური ზედამხედველობის პორტალზე, რაც ეროვნულ ბანკს საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანად განხორციელოს პროვაიდერების დისტანციური ზედამხედველობა. თავად პროვაიდერებისთვის კი გამარტივდება პერიოდული ანგარიშგებების წარდგენა.


### **პროვაიდერების გადახდები (გარდა ელექტრონული ფულით ოპერაციებისა)**

2022 წელს საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ 10.5 მილიარდი ლარის მოცულობის 135 მილიონი ოპერაცია განხორციელდა. 2021 წელთან შედარებით გადახდების რაოდენობა 4.1 პროცენტით შემცირდა, ხოლო თანხა 28.4 პროცენტით გაიზარდა. პროვაიდერების გადახდების (გარდა ელექტრონული ფულისა) დინამიკა მოცემულია დიაგრამაზე N 9.15.


გადახდის განსახორციელებლად ყველაზე ხშირად, ტრადიციულად, თვითმომსახურების კიოსკები იყო გამოყენებული, რომლებითაც ნაღდი ფულით ელექტრონული გადახდის ინიცირებაა შესაძლებელი. კიოსკების მეშვეობით გადახდების რაოდენობის 94.3 პროცენტი და თანხის 95.1 პროცენტი განხორციელდა, რაც 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 1.4 და 0.3 პპ-ით ნაკლებია. გადახდების ინიცირებისთვის ასევე ხშირად გამოიყენება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის ვებ-გვერდი. მისი მეშვეობით 113 მილიონი ლარის 3.3 მილიონი გადახდა შესრულდა, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, შესაბამისად, 45 და 50 პროცენტით აღემატება.

2021 წელს აგენტების გამოყენებით შესრულებული გადახდების წილი სულ პროვაიდერების მიერ შესრულებული გადახდებში, უმნიშვნელოდ შეიცვალა. კერძოდ, რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერებმა აგენტების გამოყენებით გადახდების რაოდენობის 46.5 პროცენტი და თანხის 20 პროცენტი შეასრულეს, რაც, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, შესაბამისად, 0.3 და 1.3 პპ-ით ნაკლებია.

**დიაგრამა N 9.15 საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდები (გარდა ელექტრონული ფულისა)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



**გადახდები ელექტრონული ფულით**

ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების ბაზარზე 2022 წელს, ტრადიციულად, განსაკუთრებული ადგილი წინასწარი გადახდის სატრანსპორტო ბარათებს უკავია. მათი გამოყენებით განხორციელებული ერთი გადახდის საშუალო თანხა 0.44 ლარს შეადგენს, რაც რადიკალურად განსხვავდება სხვა ელექტრონული ფულით

განხორციელებული გადახდებისაგან. საყურადღებოა, რომ სატრანსპორტო ბარათები აქტიურად გამოიყენება საქალაქო საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადასახდელად, რის გამოც, მათი მეშვეობით განხორციელებული გადახდების რაოდენობა, სხვა ელექტრონული ფულით განხორციელებულ გადახდების რაოდენობას მნიშვნელოვნად აღემატება და სულ ელექტრონული ფულით განხორციელებული გადახდების რაოდენობის 98.6 პროცენტს, ხოლო თანხის - 13 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებით, შემდგომში ელექტრონული ფულით გადახდების ბაზრის ანალიზი სატრანსპორტო ბარათების გათვალისწინების გარეშეა მოცემული.

2022 წელს ელექტრონული ფულის პროვაიდერების მიერ 337.9 მილიონი ლარის მოცულობის 1.6 მილიონი გადახდა განხორციელდა. აღნიშნული გადახდების რაოდენობის 44 პროცენტი და თანხის 72 პროცენტი ვებ-გვერდიდან განხორციელებულ გადახდებზე მოდის. ელექტრონული ფულით გადახდების მნიშვნელოვანი ნაწილი (რაოდენობის 29.1 პროცენტი და თანხის 21.4 პროცენტი) მობილური ტელეფონის/პლანშეტის აპლიკაციის გამოყენებით იქნა ინიცირებული.

**დიაგრამა N 9.16 ელექტრონული ფულით გადახდები (გარდა სატრანსპორტო საბარათე ინსტრუმენტით გადახდებისა) (2022 წ.)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**პროვაიდერებს შორის გადახდები**

საგადახდო მომსახურების განხორციელებისას, საქმიანობის უფრო ეფექტიანად წარმართვისთვის პროვაიდერები ხშირად შუამავალ პროვაიდერებს იყენებენ. 2022 წლის მონაცემებით, პროვაიდერის მიერ გადამხდელისაგან მიღებული დავალებების თანხის 29.3 პროცენტი შუამავალი პროვაიდერების გამოყენებით შესრულდა, რაც 2021 წლის

ანალოგიურ მაჩვენებელზე 5 პპ-ით ნაკლებია. რაც შეეხება მიმდების ანგარიშებზე ჩარიცხულ თანხებს, პროვაიდერების მიერ განხორციელებული გადახდების 99 პროცენტი, წინა წლის მსგავსად, საქართველოს რეზიდენტ კომერციულ ბანკებში განხორციელდა.

## 10 საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება

2022 წელს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებამ დაიწყო თანამედროვე მონაცემთა სანახი სისტემა, რომელმაც სრულად ჩაანაცვლა მოძველებული ლენტური ბიბლიოთეკის სისტემა (Tape Library) და ამოცანების შესრულების პროცესი უფრო სწრაფი და ეფექტური გახდა.

აღნიშნული სისტემის საშუალებით შესაძლებელია რეზერვების მართვის პროცედურის შესაბამისად, სარეზერვო ასლების ხანგრძლივი დროით შენახვა, მათი დაცვა და განთავსება საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა დამუშავების ორ აქტიურ ცენტრში და ასევე, ფაილურ სერვერზე განთავსებული, სხვადასხვა ტიპის ხანდაზმული ფაილების არქივაცია ე.წ. “Stubbing” ტექნოლოგიის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს სერვერების ოპტიმიზაციას და სისწრაფეს.

ასევე, თანამედროვე პროტოკოლის S3 (Simple Storage Service) გამოყენებით, აღნიშნული პროდუქტი საშუალებას იძლევა პროგრამული უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ფაილური მონაცემების შენახვა განხორციელდეს ახალ სისტემაში, რაც გააუმჯობესებს მონაცემთა ბაზების წარმადობას და სისწრაფეს.

2022 წელს განხორციელდა მოძველებული ქსელური კომპუტატორების შეცვლა ახალი მოდელებით. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს უფრო წარმად და სტაბილურ კავშირს მონაცემთა დამუშავების ცენტრებში, რაც თავის მხრივ აისახება მაღალ მდგრადობისა და ეფექტურობის ხარისხზე.

ამავე წელს განხორციელდა დამატებითი ინტერნეტ პროვაიდერის დაერთება მონაცემთა დამუშავების ცენტრში, რის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ინტერნეტ ნაკადის დატვირთვის გადანაწილება ორივე აქტიურ მონაცემთა დამუშავების ცენტრში. აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესაბამისად სერვისების მიწოდებას.

SWIFT-ის მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის (CSP) მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა მთელი რიგი ძირეული ინფრასტრუქტურული ცვლილებები:

- SWIFT-ის გარემოს იზოლირება ძირითადი ქსელისგან;
- სრულიად ახლიდან დაინერგა დომენური სისტემა და შესრულდა არსებული მომხმარებლების მიგრაციასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული სამუშაოები;
- ამავე ქსელში დაინტეგრირდა ორმაგი აუთენტიფიკაციის სისტემა;
- SWIFT-ის ქსელური გარემოს დამატებითი უსაფრთხოებისათვის, დაინერგა ახალი ქსელური ბრენდმაუერები (Firewall);



- კიბერუსაფრთხოების განყოფილებასთან ერთად აქტიური მუშაობის შედეგად ხორციელდება სვიფტის გარემოს ხდომილებების ლოგირება და პრივილეგირებული მომხმარებლების კონტროლი სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით.

2022 წელს ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს მწარმოებლის ოფიციალური ტრენინგები და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები თანამედროვე მონაცემთა სანახი სისტემების მართვასა და ბრენდმაურების ადმინისტრირების მიმართულებით.

2022 წელს ეროვნული ბანკისთვის **კიბერუსაფრთხოება** კვლავ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო.

მთელი წლის განმავლობაში კიბერუსაფრთხოების ინციდენტების რეალურ დროში აღმოჩენისა და რეაგირების ავტომატიზაციის პროცესი ბანკში დანერგილი ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მონიტორინგისა და მართვის სისტემის მეშვეობით ხორციელდებოდა.

გაიზარდა ბანკში დანერგილი პრივილეგირებული მომხმარებლების წვდომების მონიტორინგისა და ლოგირების სისტემის არეალი. კერძოდ, 2022 წლიდან აღნიშნული სისტემის მეშვეობით ხორციელდება ბანკის შიდა პრივილეგირებული მომხმარებლის მონიტორინგი.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის კომპონენტების, სერვისების და სისტემების უსაფრთხოება, მათი სისუსტეების აღმოჩენა/იდენტიფიცირება, შემდგომში მათი აღმოფხვრის მიზნით. სწორედ ამიტომ, 2022 წელს ეროვნული ბანკის ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემებზე განხორციელდა შეღწევადობის ტესტირება და სისუსტეების რამდენიმე სკანირება, შედეგებზე დაყრდნობით ჩატარდა შესაბამისი სამუშაოები და ამ მიმართულების გასაძლიერებლად დაიგეგმა სამომავლო აქტივობები.

წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განახორციელა მსოფლიოს ბანკთაშორისი ფინანსური ტელეკომუნიკაციების საზოგადოების, SWIFT-ის მიერ მომხმარებელთა უსაფრთხოების პროგრამის ჩარჩოსთან შესაბამისობის თვითშეფასების პროცესი. 2022 წლის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და თვითშეფასების პროცესის წარმატებით დასრულებისთვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის კიბერუსაფრთხოების და ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილებების მიერ გატარდა რიგი ღონისძიებები.

კიბერუსაფრთხოების განყოფილება, ტრადიციულად, აქტიურად იყო ჩართული თანამშრომელთა კიბერცნობიერების ამაღლებისა და სხვადასხვა პროაქტიულ

ლონისძიებებში. 2022 წელს მთელი ბანკის მასშტაბით განხორციელდა ორი „ფიზინგ“ სიმულაცია, რომლის მიზანიც ეროვნული ბანკის თანამშრომლების კიბერცნობიერების დონისა და ინციდენტზე რეაგირების დროის შემოწმება იყო. სიმულაციის შედეგების საფუძველზე, თანამშრომლებს კიბერცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები ჩაუტარდათ.

გასული წელი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით კიბერუსაფრთხოების განყოფილებისთვისაც ნაყოფიერი იყო. თანამშრომლები ესწრებოდნენ სხვადასხვა ონლაინ კონფერენციებს და სემინარებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული, საქართველოსა და ესტონეთს შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობის ფორმატის ფარგლებში გამართული კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების ზრდაზე ორიენტირებული სავარჯიშო Cyber Range იყო. ამას გარდა, განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს ისეთი საერთაშორისო სწავლებები, როგორცაა: CompTIA Security+, EC Council Certified Security Specialist და შესაბამისი სერტიფიკატებიც მიიღეს.

2022 წელს მონაცემთა მართვის და პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილებამ განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკში დანერგილი ელექტრონული სისტემების ფუნქციონალურ გაუმჯობესებასთან და ასევე, მოიცავს ახალი პროექტების იმპლემენტაციის პროცესებში ჩართულობას, კერძოდ თანამშრომელთა საქმიანობის მართვის ახალი ელექტრონული სისტემის (SAP SuccessFactors), სებ-ის თანამშრომელთა პორტალის მონაცემთა ბაზასთან ინტეგრაციის პროცესისთვის შეიქმნა ვებ-სერვისი, რომლის საშუალებითაც თანამშრომელთა პორტალიდან გენერირდება წინასწარ განსაზღვრული მონაცემთა ნაკრები XML ფაილის სახით. სპეციალურად შემუშავებული ინტერფეისიდან ავტორიზებულ მომხმარებელს შეუძლია აღნიშნული მონაცემების ჩამოტვირთვა, დღის ნებისმიერ მონაკვეთში.

განხორციელდა საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის (Sebstat) განახლება, სისტემაში არაავტორიზებული ოპერაციების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვისთვის დაინერგა ახალი FRD მონაცემთა ოჯახი. ამოცანის ფარგლებში განახლდა მონაცემთა ბაზა და გარკვეული ცხრილების სტრუქტურა, ფუნქციონალური ცვლილებები განხორციელდა თითქმის ყველა მოდულში, ფაილის ატვირთვის ლოგიკასა და ანგარიშგების ნაწილში. განახლდა შეტყობინებების მოდულის ფუნქციონალი, რომელიც უზრუნველყოფს კომერციული ბანკების ინფორმირებას კანონით დადგენილი მონაცემების წარდგენის ვადების შესახებ. პროცესის სრული ავტომატიზაცია გამორიცხავს პროცესში მესამე პირის ჩართულობას და წერილების გაგზავნა ხდება სებსტატის შიდა საიტზე წინასწარ მითითებული მონაცემების საფუძველზე.

ასევე, განახლდა სებ-ის კრიტიკული სისტემების მონაცემთა ბაზების როგორც ოპერაციული სისტემები, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ვერსია (SQL Server). აღნიშნული განახლებები უზრუნველყოფს მხარდაჭერის, თავსებადობის და უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილების მიერ 2022 წელს სხვადასხვა ბიზნესს აპლიკაციებში განხორციელდა სხვადასხვა ცვლილებები:


- განახლდა ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (HRMS). ცვლილებები მოიცავდა როგორც ფუნქციონალურ, ასევე, ტექნოლოგიურ კომპონენტებს;
- განახლდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (eDocument), რის შედეგადაც სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალი;
- შეიქმნა და სატესტო გარემოში გაიმართა კონფიდენციალური დოკუმენტების მართვის სისტემა.

2022 წელსაც ბანკის თანამშრომელთა უმრავლესობა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე იმყოფებოდა, რის უზრუნველსაყოფად მომსახურების განყოფილების ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა პორტატული კომპიუტერების კიდევ ერთი შესყიდვა. დისტანციური მუშაობისთვის აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით, ლეპტოპების ტექნიკური გამართვა და თანამშრომლებისთვის გადაცემა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდა.

გასულ წელს სერვის დესკის პორტალზე სულ 5,586 ინციდენტი/მოთხოვნა დარეგისტრირდა.


ბანკის თანამშრომლების მხრიდან, ყველაზე მაღალი მომართვიანობით სერვისული ტიპის მოთხოვნები გამოირჩეოდა. მოთხოვნის დაფიქსირების ყველაზე პოპულარული მეთოდი კვლავ შეტყობინების სერვის დესკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნა იყო.

დიაგრამა N 10.1 რაოდენობები მოთხოვნის ტიპების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა N 10.2 რაოდენობები რეგისტრაციის წყაროების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დიაგრამა N 10.3 ინციდენტების უმრავლესობა შემდეგ სერვისებს უკავშირდებოდა:



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინციდენტების 26 პროცენტი სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით დაფიქსირდა.


დიაგრამა N 10.4 ინციდენტები სხვადასხვა ბიზნეს აპლიკაციების მიმართულებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ინციდენტების 88 პროცენტი დადგენილ ვადებში მოგვარდა, ხოლო 12 პროცენტის შემთხვევაში აღმოფხვრას მეტი დროითი რესურსი დასჭირდა, რაც ძირითადად მესამე მხარესთან კომუნიკაციით იყო განპირობებული.

**დიაგრამა N 10.5 ყველაზე მოთხოვნილი IT სერვისების სტატისტიკა სერვის დესკის წლის ანგარიშის მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ცხრილი 10-1 საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განყოფილებებს შორის ინციდენტებისა და მოთხოვნების გადანაწილების მაჩვენებლები**

IT განყოფილება	ინფორმაციული მოთხოვნა	ინციდენტი	სერვისული მოთხოვნა
მომსახურების განყოფილება	43	360	3144
აპლიკაციების ადმინისტრირების განყოფილება	12	144	769
ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილება	2	33	397
კიბერუსაფრთხოების განყოფილება	1	116	319

მონაცემთა მართვის განყოფილებაჟ	1	34	211
-----------------------------------	---	----	-----

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელი კვლავ აქტიური და ნაყოფიერი იყო როგორც თანამშრომელთა პროფესიული ზრდის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების განახლებისა და გაუმჯობესების მხრივ, ასევე, ეროვნული ბანკისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ მიწოდებული სერვისების განვითარების მიმართულებითაც. უცვლელი რჩება საქართველოს ეროვნული ბანკის ხედვა - საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღოს მაქსიმალური სარგებელი, გააუმჯობესოს ინფორმაციის ხარისხი და მონაცემთა დამუშავების საშუალებები ბიზნეს გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად.




## 11 საკასო-საემისიო სამუშაოების ორგანიზაცია

ქვეყნის ეკონომიკის ფულის ნიშნებით სათანადო უზრუნველყოფა, ნაღდი ფულის მიმოქცევის რეგულირება, ეროვნული ვალუტის მიმოქცევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ფულის ნიშნების ხარისხის მართვა, ყალბი ფულის ნიშნების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა და ეროვნული ვალუტის პოპულარიზაცია ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანია ფუნქციებია.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის ოდენობამ 5,040.5 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის ბანკნოტები - 4,873.7 მლნ ლარი, ხოლო მონეტები - 166.8 მლნ ლარი იყო (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალის ხვედრით წილს თანხებისა და რაოდენობის მიხედვით აჩვენებს დიაგრამა N 11.1).

დიაგრამა N 11.1 მიმოქცევაში ბანკნოტების ხვედრითი წილები ნომინალების მიხედვით\*




\*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, მიმოქცევაში ნაღდი ფულის მოცულობა, წლის დასაწყისთან შედარებით, 452 მლნ ლარით, ანუ 9.8 პროცენტით გაიზარდა (2018-2022 წლებში ეროვნული ვალუტის - ლარის მიმოქცევის დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 11.12).


დიაგრამა N 11.2 ნაღდი ფული მიმოქცევაში (2018-2022 წლები)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წლის განმავლობაში მიმოქცევაში ბანკნოტების თანხობრივი რაოდენობა 436.4 მლნ ლარით გაიზარდა და მიმოქცევაში არსებული ფულის მთლიან მოცულობაში მისმა ხვედრითმა წილმა 96.7 პროცენტი შეადგინა. ამ პერიოდში მოთხოვნა 5, 20 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებზე (შესაბამისად, 10.3 პროცენტი, 8 პროცენტი და 16.7 პროცენტი) გაიზარდა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენი ნომინალის ბანკნოტებზე მოთხოვნა შემცირდა. კერძოდ, მოთხოვნა შემცირდა 10 ლარიან ბანკნოტზე 2.5 პროცენტით, 50 ლარიანზე - 5.2 პროცენტით, ხოლო 200 ლარიანზე - 28.6 პროცენტით. აქვე აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (9.9 პროცენტით) გაიზარდა მიმოქცევაში მონეტების თანხობრივი რაოდენობა და მისმა ხვედრითმა წილმა მთლიან მიმოქცევაში 3.3 პროცენტი შეადგინა (იხ. დიაგრამა N 11.3).

**დიაგრამა N 11.3 მიმოქცევაში ბანკნოტების ცალკეული ნომინალისა და მონეტების ხვედრითი წილები (2018-2022 წლები)\***




\*მიმოქცევაში არსებული 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების ჩათვლით, რომელთა დამზადებაც აღარ ხდება ამავე ნომინალის მონეტების მიმოქცევაში დამკვიდრების შემდეგ.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2016 წლამდე ემისიის ბანკნოტების ახალი მოდიფიკაციის 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტებით ჩანაცვლებისა და მიმოქცევის განახლების პროცესი საანგარიშო პერიოდშიც წარმატებით მიმდინარეობდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტი მიმოქცევაში ამ ნომინალის ბანკნოტის 89.2 პროცენტს, 10 ლარიანი ბანკნოტი - 57.3 პროცენტს, 20 ლარიანი - 93 პროცენტს, 50 ლარიანი - 95.8 პროცენტს, ხოლო 100 ლარიანი - 97 პროცენტს შეადგენს (იხ. დიაგრამა N 11.4).

**დიაგრამა N 11.4 5, 10, 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში, მოდიფიკაციების მიხედვით (პროცენტი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის, ძველი მოდიფიკაციის (2016 წლამდე) ბანკნოტების ფურცლობრივი რაოდენობის ხვედრითი წილი, მთლიანად მიმოქცევაში არსებულ იმავე ნომინალების ახალი მოდიფიკაციის ბანკნოტებთან მიმართებაში, მხოლოდ 8.9 პროცენტს შეადგენს.

საანგარიშო პერიოდში მიმოქცევაში 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების თანხობრივი ოდენობა 10.5 პროცენტით გაიზარდა და წლის ბოლოს 112.5 მლნ ლარი შეადგინა. უმნიშვნელოა 1 და 2 ლარის ნომინალის ბანკნოტების მიმოქცევიდან ამოღების მაჩვენებელი, ვინაიდან 15 წლის განმავლობაში წარმოებს მათი მიმოქცევიდან ამოღება და შესაბამისად მათი რაოდენობა მიმოქცევაში მილევადია.

2021 წელთან შედარებით, მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - თეთრის მონეტების თანხობრივი რაოდენობა 8.9 პროცენტით გაიზარდა.

ქვეყნის ეკონომიკის ნაღდი ფულით შეუფერხებელი უზრუნველყოფისა და ეროვნული ბანკის სარეზერვო მარაგების შევსების მიზნით, საანგარიშო პერიოდში დასრულდა მიმოქცევის დანიშნულების 5 თეთრის, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტების დამზადება - მოწოდების პროცესი.

ასევე, დასრულდა გერმანული კომპანია „Giesecke+Devrient Currency Technology“-ის მიერ მოწოდებული 2021 წლის ემისიის 20 ლარის ნომინალის ბანკნოტების გადათვლის პროცესი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საინვესტიციო დანიშნულების ოქროს მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები და წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პარტნიორად შერჩეულ „State Mints of Baden-Wuerttemberg“ ზარაფხანასთან. შესწავლილი და დამტკიცებული იქნა ზარაფხანიდან მიღებული 10 ლარის, 25 ლარის, 100 ლარის, 300 ლარის და 1000 ლარის ნომინალის ოქროს საინვესტიციო მონეტების სასიგნალო ნიმუშები. მონეტების მოწოდება უახლოეს მომავალშია დაგეგმილი.

საქართველოს ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებას განაგრძობდა (დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ - „საკოლექციო დანიშნულების მონეტები“).

2022 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეროვნულ ბანკში შემოსული ნაღდი ეროვნული ვალუტა გაიზარდა და თანხამ 8,411.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3.4 პროცენტით აღემატება 2021 წლის მაჩვენებელს. საქართველოს ეროვნული ბანკიდან გაცემულმა თანხებმა 8,864 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9.9 პროცენტით აღემატება 2021 წლის ამავე მაჩვენებელს.


მთლიანი შემოსავლებიდან, ლარის ბანკნოტების შემთხვევაში, უშუალოდ საკასო ცენტრში დამუშავდა შემოსავლების 69.1 პროცენტი, ხოლო საკასო ცენტრის გარე საცავების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების წილმა 30.9 პროცენტი შეადგინა. მონეტების შემთხვევაში კი, უშუალოდ ცენტრში დამუშავდა მთლიანი შემოსავლების 54.1 პროცენტი, ხოლო საკასო ცენტრის გარე საცავების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციების წილმა 45.9 პროცენტი შეადგინა.

როგორც ცნობილია, 2020 წელს, ქვეყანაში COVID-19 პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის შეუფერხებელი დაკმაყოფილებისა და ამ საქმეში არსებული რისკების მინიმიზაციის მიზნით გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, ქ. თბილისში, სამ სხვადასვა ლოკაციაზე შეიქმნა დაცვის უსაფრთხოების ზომებითა და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი საკასო ცენტრის გარე საცავები, რომლებიც, დღესაც შეუფერხებლად ფუნქციონირებენ.

ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში ქ. ბათუმში და ქ. ქუთაისში სს „თი ბი სი“ ბანკის საცავების ბაზაზე დარეგისტრირდა საკასო ცენტრის რეგიონალური გარე საცავები, რომელთა მუშაობის პრინციპი ქ. თბილისში განთავსებული საკასო ცენტრის გარე საცავების მუშაობის ანალოგიურია.

საქართველოს ეროვნული ბანკიდან გასულმა ეროვნული ვალუტის თანხამ შემოსულ თანხებს 452,4 მლნ ლარით გადააჭარბა. 2018-2022 წლებში საკასო ცენტრში შემოსული და საკასო ცენტრიდან გაცემული ლარის ბანკნოტების/მონეტების დინამიკას გვიჩვენებს დიაგრამა N 11.5.

**დიაგრამა N 11.5 საკასო ცენტრში შემოსული და საკასო ცენტრიდან გაცემული ლარის ბანკნოტების/მონეტების დინამიკა 2018-2022 წლებში**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ბანკნოტების ხარისხის მართვის მიზნით და საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემაში ფულის ნიშნების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ლარის ბანკნოტების დახარისხების დონის განსაზღვრის წესით დადგენილი პერიოდულობით ხორციელდებოდა ბანკნოტების გადათვლა-დამუშავების ტექნიკური საშუალებების მიერ ფულის ნიშნების დახარისხების გამართულობის შემოწმება და შესაბამისი რეაგირება.

ქვეყნის ტერიტორიაზე ნაღდი ფულის ბრუნვის ოპტიმიზაციის, მიმოქცევაში ლარის ბანკნოტების და მონეტების ხარისხის ამაღლებისა და პროცესში სათანადო მონიტორინგის მექანიზმების დანერგვის მიზნით, დეპარტამენტში მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ნაღდი ფულის მართვის ოპტიმალური მოდელის შემუშავების მიმართულებით.

ამ მიზნით, მოკვლევულ იქნა ნაღდი ფულის მართვის საერთაშორისო გამოცდილებები, მომზადდა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წარედგინა ინფორმაცია ნაღდი ფულის მართვის მოდელების შედარებითი ანალიზის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ნაღდი ფულის მართვის დეცენტრალიზებული მოდელის განვითარების თაობაზე, რაც გულისხმობს შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავებას კომერციული ბანკებისთვის, მათ მფლობელობაში არსებული ნაღდი ფულის გადამთვლელ-დამხარისხებელი მანქანა-დანადგარების აღრიცხვას, შესაბამის პროგრამულ განახლებებსა და კომერციულ ბანკებში პერიოდული შემოწმებების ორგანიზებას.

გასული წლის განმავლობაში ფულის ნიშნების ექსპერტიზის სამუშაოები გრძელდებოდა. კერძოდ, ექსპერტიზა ჩატარდა საკასო ცენტრის სალაროებიდან, კომერციული ბანკებიდან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტებიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან, სამართალდამცავი ორგანოებიდან გამოგზავნილ და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილ 11,546 ცალ საექვო ფულის ნიშანზე, რომლის შედეგებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები.


**ცხრილი N 11.1 2022 წელს შემოტანილი საექვო ფულის ნიშნების ექსპერტიზის შედეგები:**

	საექვო	ყალბი	ნამდვილი	არგადახდითი
ლარის ბანკნოტები	5807	3003	1567	1237
ლარის მონეტები	3441	378	3063	-
აშშ დოლარი	1904	1620	284	-
ევრო	273	156	117	-
სხვა უცხოური ვალუტა	121	107	14	-
<b>სულ</b>	<b>11546</b>	<b>5264</b>	<b>5045</b>	<b>1237</b>

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ლარის ყალბი ბანკნოტები/მონეტები ნომინალების მიხედვით პროცენტულად შემდეგნაირად აისახება:


**დიაგრამა N11.6 2022 წელს გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები და მონეტები (პროცენტი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა გასულ პერიოდთან (2021 წელი) შედარებით გაიზარდა 41.4 პროცენტით, ყალბი დოლარის ბანკნოტების რაოდენობა გაიზარდა 89.5 პროცენტით, ხოლო ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა გაიზარდა 3.1-ჯერ. აგრეთვე, სხვა უცხოური ყალბი ვალუტა გაიზარდა 44.6 პროცენტით. რაც შეეხება ყალბი ლარის მონეტების რაოდენობას 2021 წელთან შედარებით შემცირდა 2.7-ჯერ. ნომინალების მიხედვით 2018 - 2022 წლების პერიოდში გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რაოდენობას გვიჩვენებს დიაგრამა N11.7 და დიაგრამა N11.8.


**დიაგრამა N11.7 ნომინალების მიხედვით 2018-2022 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი ბანკნოტები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



**დიაგრამა N11.8 ნომინალების მიხედვით 2018-2022 წლებში გამოვლენილი ლარის ყალბი მონეტები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა როგორც საკოლექციო, ისე ნუმისმატიკური დანიშნულების ფასეულობების რეალიზაცია.

კერძოდ, 2022 წლის განმავლობაში რეალიზებული იქნა 2.6 მლნ ლარის ღირებულების (338.5 ათასი ერთეული) საკოლექციო, ნუმისმატიკური და სხვა სახის სარეალიზაციო პროდუქცია, მათ შორის:


- ნაღდი ფულით შეძენილი იქნა 1.1 მლნ ლარის პროდუქცია;
- პლასტიკური ბარათის მეშვეობით - 1.2 მლნ ლარის პროდუქცია;
- ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით - 153.7 ათასი ლარის პროდუქცია;
- წინასწარი ანგარიშსწორებით - 122.4 ათასი ლარის პროდუქცია;
- შემდგომი ანგარიშსწორებით - 24.3 ათასი ლარის პროდუქცია.

საკოლექციო მონეტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი წინა, 2021 წელთან შედარებით, 2.1-ჯერაა შემცირებული, ხოლო ნუმისმატიკური ფასეულობის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 3.1-ჯერ მოიმატა.

2018-2022 წლებში რეალიზებული ფასეულობის დინამიკას სახეობების მიხედვით გვიჩვენებს

დიაგრამა N 11.99.

**დიაგრამა N 11.9 2018-2022 წლებში რეალიზებული ფასეულობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქართული ფულის ისტორიისა და საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის განვითარებისა და მისი ძირითადი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმში, ქვეყანაში მოქმედი პანდემიური რეგულაციების გათვალისწინებით, 2022 წლის 2 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, საზოგადოებას საგანმანათლებლო კურსებს სთავაზობდა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუზეუმს 3,055 ვიზიტორი (მათ შორის 2,897 ადგილობრივი და 158 უცხოელი) ესტუმრა.

2022 წლის განმავლობაში ფულის მუზეუმში 90 საგანმანათლებლო ტური (ექსკურსია) ჩატარდა, რომელიც ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვას და უშუალოდ ექსპონატების დათვალიერებას მოიცავდა. კურსი 1,246-მა მოსწავლემ და 90-მა პედაგოგმა მოისმინა.

2022 წლის მაისში, მუზეუმების საერთაშორისო დღისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ფულის მუზეუმმა გამოფენას „1900-1920-იანი წლების ქართული საბანკო-საფინანსო ორგანიზაციების ისტორია“ უმასპინძლა.

**ნორმატიული ბაზის დახვეწა-სრულყოფის მიმართებით გაწეული სამუშაოები:**

საანგარიშო პერიოდში ნორმატიული ბაზის დახვეწა-სრულყოფის მიმართებით გაწეული სამუშაოებიდან აღსანიშნავია:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის N3 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების

გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესი“, რომლის მიზანია ქვეყანაში ნაღდი ფულის ოპერაციების განმახორციელებელი საფინანსო და არასაფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ, გამოვლენილი ყოველი ყალბი და/ან საეჭვო ფულის ნიშნების დაუყოვნებლივ მიმოქცევიდან ამოღებით და სათანადო ორგანოების დროულად ინფორმირების გზით, არსებითად შეიზღუდოს საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გავრცელება;

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ფასეულობის რეალიზაციის პროცესის სრულყოფის, ოპტიმიზაციისა და რისკების მინიმიზაციის მიზნით, ცვლილებები იქნა შეტანილი „საქართველოს ეროვნულ ბანკში ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 დეკემბრის N 184/04 ბრძანებაში, რომლის მიხედვით წინასწარ შეკვეთილი ფასეულობის სალაროდან გაცემის პროცესი დაიხვეწა და მასზე კონტროლის ხარისხი გაიზარდა; დაიხვეწა პლასტიკური ბარათის მეშვეობით რეალიზაციის პროცესი; მოქნილი გახდა ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით რეალიზებული და უკან დაბრუნებული ფასეულობის განმეორებით გაცემის პროცედურა; დაიხვეწა ინტერნეტ მაღაზიით რეალიზებული პროდუქციის გადამზიდავსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის არსებული პროცესები.

## საკოლექციო დანიშნულების მონეტები

საქართველოს ეროვნული ბანკი, ეროვნული ვალუტისა და ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში საკოლექციო დანიშნულების ფულის ნიშნების გამოშვებაზე მუშაობას განაგრძობდა. ნუმისმატებისთვის, კოლექციონერებისა და ყველა სხვა დაინტერესებული პირისთვის საკოლექციო მონეტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გასულ წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საკოლექციო მონეტების წინასწარი შეკვეთების პრაქტიკა დაანერგა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ინტერნეტ მაღაზიის მეშვეობით, წინასწარი შეკვეთის განთავსებას. საანგარიშო პერიოდში წინასწარი შეკვეთების მიღება განხორციელდა შემდეგ მონეტებზე:

სერიიდან "საქართველოს მეფეები", გიორგი ბრწყინვალე, ოქროსა და ვერცხლის მონეტები;



სერიიდან "საქართველოს მეფეების", ბაგრატ III, ოქროსა და ვერცხლის მონეტები;





სერიიდან "საქართველოს მეფეების", ფარნავაზ I, ოქროსა და ვერცხლის მონეტები;



აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პარტნიორის შერჩევის პროცედურები და პარტნიორად შერჩეულ ზარაფხანასთან წარიმართა შესაბამისი სამუშაოები მათი დამზადების უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში გამოშვებულ იქნა შემდეგი საკოლექციო დანიშნულების მონეტები :

**ევრობასკეტი 2022**

2022 წელს განხორციელდა „ევრობასკეტი 2022“ თემაზე საკოლექციო დანიშნულების 5,000 ცალი ვერცხლის მონეტის დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები და წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პარტნიორად შერჩეულ ბადენ-ვიურტემბერგის სახელმწიფო ზარაფხანასთან. საანგარიშო პერიოდში მოხდა აღნიშნული მონეტების დამზადება-მოწოდება, გამოშვების პრეზენტაცია და რეალიზაცია.



*მონეტის დიზაინი: ავერსი - ალექსანდე ვერულაშვილი, რევერსი - სოფიო წიქარიძე*

მონეტის ავერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს კალათბურთის ფარისა და ბურთის სტილიზებული გამოსახულება. მარჯვენა მხარეს კი სტილიზებული სახით შესრულებულია ნომინალის აღმნიშვნელი წარწერა „5 ლარი“. წრიულ რკალზე მარჯვენა ნაწილში დატანილია წარწერები „ქართული კალათბურთი - 100 წელი“ და „საქართველო. Georgia“, რომელთა შორის გამოსახულია ევრობასკეტის თასი.

მონეტის რევერსის მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ცენტრში განთავსებული ევრობასკეტი 2022-ის ლოგო ქვეყნისა და ქალაქის წარწერით, კალათბურთის ბურთის კონტურული გამოსახულების ფონზე. მონეტის ქვედა მარცხენა ნაწილში დატანილია გამომშვების წელი „2022“.

**ვახტანგ გორგასალი (სერიიდან „საქართველოს მეფეები“).**

2022 წელს განხორციელდა მეფე ვახტანგ გორგასალი თემაზე (სერიიდან „საქართველოს მეფეები“) საკოლექციო დანიშნულების 1,800 ცალი ოქროს და 7,500 ცალი ვერცხლის მონეტების დასამზადებლად პარტნიორის შერჩევის პროცედურები და წარიმართა შესაბამისი სამუშაოები პარტნიორად შერჩეულ ნიდერლანდების სამეფო ზარაფხანასთან. საანგარიშო პერიოდში მოხდა ოქროს მონეტების დამზადება, პრეზენტაცია და რეალიზაცია. ვერცხლის მონეტების სრული ოდენობის მოწოდება მოხდება უახლოეს მომავალში.





*მონეტის დიზაინი: ელენე გოგორელიანი*

**მონეტის ავერსის** მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს მეფის გამოსახულება (ვერცხლის მონეტაზე მეფის გვირგვინის დეტალები მოოქროვილია), რომელიც შექმნილია მხატვარ გიორგი გეგეჭკორის ფერწერული ნამუშევრის მიხედვით. მონეტაზე, დატანილია წარწერა „ვახტანგ I გორგასალი“ და მისი მეფობის პერიოდი „V ს.“. მონეტის უკანა ფონზე წარმოდგენილია თბილისი, კერძოდ მეტეხის მიმდებარე ტერიტორიის ილუსტრაცია.

**მონეტის რევერსის** მთავარ კომპოზიციას წარმოადგენს ფარის გამოსახულება. მუხარადზე გამოსახულია მგლის თავი (როგორც მეფე ვახტანგ გორგასლის სიმბოლური ზედწოდება). მონეტაზე დატანილია წარწერები: „5 ლარი“, „საქართველო“, „2022“, „GEORGIA“.

## 12 შიდა აუდიტი და რისკების ცენტრალიზებული მართვა

### შიდა აუდიტი

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა ეყრდნობოდა საქმიანობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებულ მარწმუნებელი მომსახურების 2022 წლის გეგმას, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის აუდიტის გეგმას, საკონსულტაციო მომსახურების გეგმას და საორიენტაციო, გრძელვადიან გეგმას, რომელიც დამტკიცდა სებ-ის საბჭოსა და აუდიტის კომიტეტის მიერ. რისკზე დაფუძნებული შიდა აუდიტის თანამედროვე მიდგომის შესაბამისად, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ორგანიზაციის „რისკის მომწიფებულობის“ შეფასების შედეგები და შეირჩეულ იქნა შიდა აუდიტის შესაბამისი სტრატეგია: გასცეს რწმუნება რისკის მართვის პროცესისა და საპასუხო კონტროლების ეფექტურობაზე, კონსულტაცია გასწიოს რისკის მართვის გაუმჯობესების საკითხებზე, დაგეგმვისას გამოიყენოს საოპერაციო მენეჯმენტის შეხედულებები და შეფასებები რისკების თაობაზე. ამდენად, შიდა აუდიტის სამსახურის მარწმუნებელი საქმიანობის გეგმის შემუშავება, ძირითადად დაეყრდნო სებ-ის რისკების რეესტრის მონაცემებს. ამასთან, 2022 წლის გეგმის შედგენის პროცესში, აუდიტის ობიექტების პრიორიტეტიზაციის დროს, ობიექტის რისკის რეიტინგთან ერთად, მხედველობაში იქნა მიღებული ბოლო აუდიტის განხორციელების თარიღები, აუდიტის სამწლიანი ციკლი და წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგების მიხედვით მინიჭებული შეფასებები. ასევე, დაგეგმვის დინამიურობის პრინციპის გათვალისწინებით, აუდიტის სამუშაო გეგმის ექვსთვიან ინტერვალში გადახედვის ფარგლებში, განახლდა აუდიტის ობიექტების ნუსხა და შესაბამისი ცვლილებები აისახა წლიურ გეგმაში.

საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა 2022 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 28 ობიექტის აუდიტი/მიმოხილვა.

ამასთან, დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახური აწარმოებდა საკონსულტაციო მომსახურებას, სებ-ის სტრუქტურული ერთეულების მომართვის კვალობაზე, სხვადასხვა საკითხებთან თუ პროცედურული დოკუმენტის პროექტთან მიმართებაში.

ასევე, SWIFT Customer Security Programme-ით და Independent Assessment Framework გათვალისწინებით შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა SWIFT Customer Security Controls Framework v 2022-ით განსაზღვრული სავალდებულო და რეკომენდებული კონტროლების შესაბამისობის შეფასება.

2022 წელს, შიდა აუდიტის სამსახური აგრძელებდა აუდიტის შედეგად გაწეული რეკომენდაციების მონიტორინგის პრაქტიკას, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის



გადამოწმებას. Follow-up აუდიტი, წარიმართებოდა აუდიტის მართვის სისტემის მეშვეობით, რომელიც იძლევა აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა მიერ ინფორმაციის განახლების, შესაბამისი მტკიცებულებების ატვირთვის და სისტემაში განთავსებული ინფორმაციის კონსოლიდირების შესაძლებლობას.

საანგარიშო პერიოდში, სხვადასხვა საკითხების ანგარიშგებას შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებდა სეზ-ის საბჭოსთან, აუდიტის კომიტეტთან და სეზ-ის ხელმძღვანელობასთან.

არსებული პრაქტიკის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურს შესაბამისი კომუნიკაცია ჰქონდა გარე აუდიტორულ კომპანია „KPMG Georgia“-ს წარმომადგენლებთან, საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში. გარე აუდიტორს წარედგინა შას-ის მეთოდოლოგიური და პროცედურული დოკუმენტები, შიდა აუდიტის ანგარიშები, რეკომენდაციების მონიტორინგის ანგარიშები და სხვა.

2022 წელს განხორციელდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის Safeguards Assessment-ის მისია. აღნიშნული მისიის საკონტაქტო მხარეს წარმოადგენდა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფდა ორგანიზაციული საკითხების კოორდინირებას მისიის მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნულის ფარგლებში, აპრილში მომზადდა და გაიგზავნა მისიის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტები; მაისის დასაწყისში მომზადდა და მიეწოდა მისიას სეზ-ის სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ შევსებული კითხვარები, შეფასების არეების მიხედვით; ასევე, მაისში გაიმართა სამუშაო შეხვედრები და დისკუსიები, განხილულ იქნა მისიის შეფასების წინასწარი შედეგები და რეკომენდაციები; ივნისის ბოლოს და ივლისის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა შეფასების ანგარიშის პროექტის განხილვა. სსფ-ს Safeguards Assessment-ის მისიის მიერ შეფასების საბოლოო ანგარიში წარმოდგენილ იქნა ივლისის ბოლოს (Safeguards Assessment Report, July 27, 2022, Finance Department, IMF).

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა სეზ-ის ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ISO 27001 სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატის საკონტროლო აუდიტი. აღნიშნულ პროცესში, შესაბამისი მონაწილეობა მიიღო შიდა აუდიტის სამსახურმა.

2022 წლის პირველ ნახევარში შედგა საბოლოო შეთანხმება ნიდერლანდების ცენტრალური ბანკის წარმომადგენელთან, საქართველოს ეროვნული ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასების განხორციელების თაობაზე. დამოუკიდებელი შეფასების ჯგუფი დაკომპლექტდა შიდა აუდიტის ინსტიტუტის მიერ სერტიფიცირებული ექსპერტებით, რომელთაც აგვისტოში განახორციელეს დისტანციური ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, შეფასების კითხვარების, ადგილზე ვიზიტის სამუშაო შეხვედრების განრიგის, შეფასების ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციისა და

დოკუმენტაციის მომზადებისა და გაგზავნის ჩათვლით. შეფასების მისიის ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის ოქტომბრის დასაწყისში, რომლის ფარგლებში, შედგა არაერთი შეხვედრა ექსპერტთა მიერ შერჩეულ შიდა აუდიტორებთან, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობასთან და ეროვნული ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტების მენეჯერებთან. ხარისხის სრული გარე შეფასების შედეგების მიხედვით, ექსპერტთა მიერ სამსახურის სამუშაო დოკუმენტაციის, პროცესებისა და პროცედურების დეტალური შესწავლისა და ანალიზის კვალობაზე, შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობას უმაღლესი კატეგორია - „შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო ჩარჩოსთან და ეთიკის კოდექსთან ზოგადად შესაბამისი (Generally Conforms with International Professional Practice Framework (IPPF) and the Code of Ethics of the Institute of Internal Auditors (IIA))“ მიენიჭა. გარე შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, შიდა აუდიტის სამსახურს გადაეცა შესაბამისი სერტიფიკატი.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურის 2021-2023 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების მონიტორინგის ფარგლებში, შიდა აუდიტის სამსახურმა განახორციელა სტრატეგიის გადახედვა და გაანალიზდა სტრატეგიული მიზნებით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. მათ შორის აღინიშნა, რომ სტრატეგიის შესაბამისად, წარმართა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების პროცესი და დასრულდა პროგრამის განახლებული ვერსიის ტესტირების ფაზა. ასევე, სტრატეგიის გათვალისწინებულ მიზნებში განხორციელდა შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურის ცვლილება და სპეციალიზებული მიმართულებების შესაბამისად, ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი: ოპერაციული და ფინანსური აუდიტის განყოფილება და ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის განყოფილება. მონაცემთა დამუშავების პროცესის განვითარებისთვის, დაიწყო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი. ასევე, დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინების შესწავლის მიზნით, განხორციელდა როგორც სებ-ის საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტის წევრების, ასევე შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა გამოკითხვა და აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და გამოვლენილი გაუმჯობესების პოტენციალის კვალობაზე, შემუშავდა დამატებითი ღონისძიებათა გეგმა.

საანგარიშო პერიოდში, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები აგრძელებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებსა და ვორქშოპებში, რომელიც იმართებოდა უმთავრესად ონლაინ პლატფორმების გამოყენებით.

შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პოტენციალის რეალიზების მიზნით, შიდა აუდიტის სამსახური პერიოდულად ახორციელებს მეთოდოლოგიური დოკუმენტების გადახედვას

და განახლებას. აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა შიდა აუდიტის სამსახურის „ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების პროგრამის“ განახლებაც, რომლის ფარგლებშიც „ხარისხის პროგრამას“ დამატა ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის მიმდინარე მონიტორინგით განსაზღვრულ ძირითად აქტივობებს და მათ პერიოდულობას. ამასთან, შიდა აუდიტის პროცესების ავტომატიზაციის კვალობაზე, განახლდა „სავალდებულო პროცედურების საკონტროლო ნუსხა“, რომელიც ასახავს ყოველი ინდივიდუალური აუდიტის პროცესში განსახორციელებელ საფეხურებს და წარმოადგენს სამახსოვროს, როგორც კონკრეტული აუდიტის ჯგუფისათვის, ასევე აუდიტის პროცესის დამოუკიდებელი ზედამხედველისათვის. ამასთან, გარკვეულწილად შეიცვალა ძირითადი პირობითი ინდიკატორები და განახლდა აუდიტის ობიექტის მესაკუთრეთა მოსაზრებების შესასწავლი კითხვარი. გარდა ამისა, შემუშავდა შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ახალი პროგრამა, რომელიც შიდა აუდიტის სამსახურის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტისა და დასახული მიზნების მისაღწევად, ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის უზრუნველყოფას; შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროცესის ეტაპობრივ წარმართვასა და პროფესიული სერტიფიცირების ხელშეწყობას.

### **არაფინანსური რისკების მართვა**

საქართველოს ეროვნული ბანკი რისკების მართვის „დაცვის სამ-ხაზიან მოდელს“ იყენებს, რომელიც ფუნქციების და პასუხისმგებლობების ბანკის სხვადასხვა რგოლებს შორის გადანაწილებას გულისხმობს. დაცვის პირველ ხაზს სტრუქტურული ერთეულები (რისკის მფლობელები) წარმოადგენენ, მეორე ხაზს - რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი, ხოლო მესამე ხაზს - შიდა აუდიტის სამსახური.

ეროვნულ ბანკს დანერგილი აქვს რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო, რომელიც არაფინანსური რისკების (საოპერაციო და რეპუტაციული) იდენტიფიცირების, ანალიზის, შეფასების, მონიტორინგის და საპასუხო ღონისძიებების განსაზღვრის ერთიან და თანმიმდევრულ მიდგომას აყალიბებს. 2022 წლის მანძილზე, აღნიშნული ჩარჩოს შესაბამისად, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი აგრძელებდა იდენტიფიცირებული რისკების ალბათობის, ზეგავლენის, კონტროლების, გარე და შიდა მოვლენების ცვლილებების გათვალისწინებით, ბანკის რისკების რეესტრის მუდმივად განახლებას. რისკების შეფასების პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის, დეპარტამენტი რისკებისა და კონტროლების თვითშეფასების (Risk and Control Self-Assessment) მეთოდს გამოიყენებდა და რეგულარულად ახორციელებდა.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა საოპერაციო რისკების მართვის კიდევ ერთი ინსტრუმენტის ინციდენტების მართვის სისტემის გამოყენება. მისი მიზანია, ბიზნეს-

პროცესებთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიკაცია, დაფიქსირება, ანალიზი, სუსტი მხარების გამოვლენა და გაუმჯობესების გზების პოვნა მისი განმეორებით მოხდენის შესამცირებლად.

რისკის კულტურის ამაღლების მიზნით, ეროვნული ბანკის თანამშრომელთა სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის, რისკების და ინციდენტების მართვის, ბანკში მოქმედი შესაბამისი წესების, პროცედურების და სისტემის გამოყენების თაობაზე 2022 წელს ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები.

ეროვნული ბანკის პროცესების სწორი ადმინისტრირების, ამ პროცესების ფორმალიზების და კორპორატიული მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, ეროვნული ბანკი შიდა პროცედურებს შეიმუშავებს. მიმდინარე წელს, არსებული შიდა პროცედურების განახლებისა და ახალი პროცედურების შემუშავების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა. აღნიშნული, თავის მხრივ, რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩოს მხარდაჭერის, ადეკვატური შიდა კონტროლის გარემოს შექმნისა და შენარჩუნების ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს.

რისკების მართვის ჩარჩოს გაფართოების და გაუმჯობესების მიზნით, 2022 წელს შემუშავდა „საქართველოს ეროვნულ ბანკში მოდელის რისკის მართვის ჩარჩო“. დოკუმენტის მიზანი, ეროვნულ ბანკში მოდელის ინვენტარიზაციის, აღწერის, შეფასების, მათთვის დოკუმენტაციის შემუშავებისა და არაფინანსური რისკების მართვის ერთიანი მიდგომის და პროცესის ჩამოყალიბებაა.

ასევე, მიმდინარე წელს ბანკში რისკების მართვის კომიტეტი შეიქმნა. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რისკების მართვის მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, რისკების მართვის კომიტეტის ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნულ ბანკში რისკების მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებასა და შენარჩუნებას, რისკების მართვის კუთხით მიმდინარე საქმიანობის მონიტორინგს და ამ სფეროში კოლეგიური გადაწყვეტილებების მიღებას.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო არაფინანსური რისკების მისაღები დონის (რისკის მადა) განსაზღვრას მოიცავს. რისკის მისაღებ დონეს ეროვნული ბანკის საბჭო ყოველწლიურად ადგენს. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს არაფინანსური რისკების მიმართ კონსერვატიული მიდგომა აქვს და დადგენილი მისაღები დონე დაბალი რისკის ზონაშია მოქცეული. მისაღებ დონესთან შესაბამისობის და შენარჩუნების მიზნით, ეროვნული ბანკი ადეკვატური მოცულობის რესურსებს გამოყოფს და ბანკის შიდა კონტროლის გარემოს მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნავს.

## **ბიზნესის უწყვეტობის მართვა**

საქართველოს ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის წარმომადგენელი ორგანიზაცია, მისი სერვისების უწყვეტობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ეროვნული ბანკი მუდმივად გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, რომლებიც მისი კრიტიკული სერვისების უწყვეტ მიწოდებასა და ზოგადად ბანკის რეზისტენტულობის ამაღლებას უწყობს ხელს. 2022 წელს, გრძელდებოდა მუშაობა ადამიანური, ტექნოლოგიური და ლოჯისტიკური რესურსების მზაობის შემოწმების მიზნით და შესაბამისი ტესტირებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების განხორციელების მიმართულებით. ამასთან, ჩატარდა ტრენინგები, რომლებიც თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლების და კრიზისული სიტუაციების მართვის კოორდინირების გაუმჯობესებისაკენ იყო მიმართული.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა ბიზნესზე ზეგავლენის ანალიზის (Business Impact Analysis-BIA) განხორციელების პროცესი, რაც გულისხმობს ბანკის კრიტიკული სერვისების პროცესებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრას. იგი საშუალებას იძლევა დადგინდეს კრიტიკული სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ტექნიკური, ადამიანური და ლოჯისტიკური რესურსი, მოხდეს იმ მესამე მხარეების იდენტიფიცირება, რომლებიც ჩართულნი არიან კრიტიკული სერვისების მიწოდების პროცესში, მოხდეს იმ პოტენციური საფრთხეების შეფასება, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს სერვისების მიწოდების წყვეტა ან შეფერხება, ასევე განსაზღვროს ის მინიმალური დრო, რომლის მიმართაც ბიზნესს გააჩნია ამტანობა სერვისის წყვეტასთან მიმართებაში და დროის შუალედი, რომელიც ამ სერვისის ტექნიკური აღდგენისათვის არის სავალდებულო.

## 13 საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

### საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო თანამშრომლობა

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა საზოგადოებასთან, საფინანსო ინსტიტუტებთან, მედიასთან და სხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. კომუნიკაცია უფრო გააქტიურდა. საზოგადოება, ციფრული არხების გამოყენებით, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში ეცნობოდა ინფორმაციას ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის გამოქვეყნებასთან ერთად, მზადდებოდა მოკლე ვიდეო-რგოლები, სადაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყურადღებას ამახვილებდა გამოქვეყნებული ანგარიშის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ასევე, ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში რეგულარულად ქვეყნდებოდა ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაციის ვიდეო ჩანაწერი და მოკლე, საინფორმაციო ვიდეოები ფინანსური სტაბილურობის და მონეტარული პოლიტიკის ანგარიშების შესახებ.

2022 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის გუნდმა გამართა შეხვედრები სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან, რომ კიდევ უფრო დეტალურად აეხსნა იმ გადაწყვეტილებებისა და ნაბიჯების შესახებ, რომელიც მანდატის ფარგლებში განხორციელდა.

მოსახლეობის ფინანსური განათლების ამაღლება ეროვნული ბანკისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ეროვნული ბანკის სოციალურ ქსელში ქვეყნდებოდა თანამშრომლების ვიდეოები ინფლაციასთან დაკავშირებით აქტუალურ საკითხებზე, ასევე საინფორმაციო ვიდეოები ფინანსური სტაბილურობის, მომხმარებელთა უფლების დაცვის, მდგრადი დაფინანსების, კიბერუსაფრთხოების შესახებ. ასევე, ინფორმაციის მარტივად აღსაქმელად, მომზადდა გრაფიკული ვიდეოები საზედამხედველო სტრატეგიის პრიორიტეტებზე. ასევე, ითარგმნა და გამოქვეყნდა ბუნდესბანკის და ინგლისის ცენტრალური ბანკის გრაფიკული ვიდეოები. ასევე, პარტნიორ მედია საშუალებებზე განთავსდა საგანმანათლებლო სტატიები და სახალისო ტესტები. ასევე, ჩატარდა საგანმანათლებლო ლექციები სხვადასხვა უნივერსიტეტებში.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვა. 15 მარტს ეროვნული ბანკი და მისი ფინანსური განათლების ვებპორტალი, [www.finedu.gov.ge](http://www.finedu.gov.ge), საქართველოს საფინანსო და სადაზღვევო სექტორების ჩართულობით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავენ. ამ თარიღს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 1983 წლიდან აღნიშნავენ და მისი მიზანი სხვადასხვა სფეროს მომხმარებლებში საკუთარი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საფინანსო სექტორის

ჩართვასა და კამპანიურ ხასიათს საფუძველი გასულ წელს, სწორედ საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით ჩაეყარა.

ამასთან, ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფინანსური განათლების ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში და ამ მიმართულებით, გასული წლების განმავლობაში არაერთი ღონისძიება გაიმართა. ახალგაზრდა ეკონომისტების კონკურსი საქართველოს ეროვნული ბანკის მორიგი საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც ნიჭიერი თაობის აღმოჩენას და ეროვნულ ბანკში (სტაჟირების პროგრამა) დასაქმებას ისახავს მიზნად. ასევე კონკურსი, კარგი შესაძლებლობაა ნიჭიერი სტუდენტებისთვის კარიერული განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისითაც. კონკურსი ყოველწლიურად ჩატარდება. საკონკურსო პირობების მიხედვით, მონაწილეებს უნდა მოემზადებინათ შესაბამისი დავალებები, კერძოდ, წარმოედგინათ ნაშრომები მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური სტაბილურობის თემებზე. გამარჯვებულმა კანდიდატებმა წარმოადგინეს კვლევითი ნაშრომები მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებსა და გლობალურ გამოწვევებზე. ასევე, ეროვნული ბანკის ორგანიზებით, 2022 წელს მეორედ ჩატარდა ღონისძიება - ეკონომიკა, როგორც პროფესია. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ სტუდენტებთან შეხვედრაზე ეკონომისტის პროფესიის მნიშვნელობაზე ისაუბრა. თავის გამოსვლაში მან ყურადღება გაამახვილა ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და სტრუქტურაზე, თუ როგორ მიიღება ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაზე აისახება. ღონისძიებას 200-მდე სტუდენტი ესწრებოდა და შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში გაიმართა. ასევე, პირველად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის არსებობის ისტორიაში ღონისძიებას დაესწრნენ ახალგაზრდა ეკონომისტები, რომლებმაც მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პარალელური გადაწყვეტილება მიიღეს.

2022 წელს გაძლიერდა და გაღრმავდა თანამშრომლობა საერთაშორისო მედიასთან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემა Central Banking-ი, სადაც პერიოდულად ქვეყნდება ინფორმაციები ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, კობა გვენეტაძესთან ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა წამყვანმა საერთაშორისო გამოცემა “Euromoney”-მ. ასევე გამოქვეყნდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ინტერვიუები: Bloomberg-თან, The Banker-თან და იაპონურ წამყვან გამოცემასთან - Nikkei.Inc.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს წამყვანმა ფინანსურმა გამოცემამ, Global Finance-მა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, კობა გვენეტაძე ზედიზედ უკვე მეხუთედ 2022 წლის მსოფლიოს ცენტრალური ბანკების საუკეთესო მმართველთა შორის დაასახელა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი Global Finance-მა თავის რეიტინგებში პირველად 2018 წელს ჩართო და ის, უკვე მეხუთე წელია, ცენტრალური ბანკების იმ საუკეთესო მმართველთა სიაში ხვდება, რომელთაც A და A- შეფასება მიიღეს. Global Finance-

ის დაჯილდოება საერთაშორისო ფინანსურ საზოგადოებაში ფართოდაა აღიარებული და დაჯილდოებული პირებისა და ბანკების მაღალ რეპუტაციასა და წარმატებულ საქმიანობაზე მიუთითებს. ცენტრალური ბანკების მმართველების შეფასება ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის რამდენიმე მიმართულებას ეფუძნება.

ეროვნული ბანკის ისტორიის შესახებ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით მომზადდა წიგნი-ალბომი "საქართველოს სახელმწიფო ბანკი", რომელიც მკითხველს უფრო დეტალურად გააცნობს სეზ-ის ასწლიან ისტორიას. ასევე აღვადგინეთ საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველის, იასონ ლორთქიფანიძის ხელნაწერი შრიფტი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მარკეტერის ყოველწლიურ ღონისძიებაში „Spotlight 2022“-ში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში სეზ-მა კონკურსი გამოაცხადა, რომელიც მიზნად კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და ქცევის შეცვლას ისახავს. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გასულ წლებში საგრძნობლად გახშირდა და მრავალფეროვანი გახდა კიბერთაღლითობა. ეროვნული ბანკი, როგორც ქვეყნის მთავარი ფინანსური ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებაში. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მარკეტერის ყოველწლიურ ღონისძიებაში „Spotlight 2022“-ში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების ფარგლებში, ეროვნული ბანკის ინიციატივით და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით კონკურსი გამოაცხადა, რომელიც მიზნად კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას და ქცევის შეცვლას ისახავდა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წარადგინეს სოციალური კამპანიები და საუკეთესო კამპანიის ავტორები ფულადი პრიზებით დააჯილდოვეს.

გამჭვირვალობა ეროვნული ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიზნით, ეროვნული ბანკი პერიოდულ გამოცემებსა და თემატურ პუბლიკაციებს ამზადებს. ყოველთვიურად გამოიცემოდა - „თვის მიმოხილვა“, „მაკროეკონომიკური მიმოხილვა“ და „ყოველთვიური ბალანსები“, ასევე, ანალიტიკური ანგარიშები - „ფინანსური სექტორის ინდიკატორები“, „მიმდინარე მაკროეკონომიკური ინდიკატორები“, ყოველ კვარტალში - „მონეტარული პოლიტიკის ანგარიში“. ოპერატიულად ქვეყნდებოდა სტატისტიკური მონაცემები და მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის პრესრელიზები; გამოიკა წლიური ანგარიში (2021). გამოცემათა ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე - <https://nbg.gov.ge/publications>.

საზოგადოებისთვის ეროვნული ბანკის თანამშრომლების გაცნობის მიზნით, სოციალურ მედიაში პერიოდულად ქვეყნდებოდა თანამშრომელთა პროფილები, სადაც მათი განათლებისა და პროფესიული გამოცდილების გარდა, ეროვნულ ბანკში მათი ინიციატივითა და ჩართულობით განხორციელებული წარმატებული პროექტები იყო აღწერილი. ისტორიული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თარიღების აღსანიშნავად,



რეგულარულად ქვეყნდებოდა შემეცნებითი და საინტერესო პოსტები - ქართული ფულის ისტორია, ნობელის ლაურეატები ეკონომიკაში და სხვა.

## საკომუნიკაციო პოლიტიკა

კომუნიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინსტრუმენტია. სწორედ ამ მიზნით, მიმდინარე წელს, პრეზიდენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განყოფილების მიერ შემუშავდა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცდა ეროვნული ბანკის [საკომუნიკაციო პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტი](#), რომლის მთავარი მიზანი საქართველოს ეროვნული ბანკის კომუნიკაციის გამჭვირვალობის, მკაფიოობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაა.

დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს, რომელიც მომზადდა ეროვნული ბანკის მისიის, მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე. დოკუმენტი შექმნილია საქართველოს კონსტიტუციით და “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ეროვნული ბანკის მანდატის/ფუნქციების შესაბამისად და თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგად გამოკვეთილი ტენდენციების გათვალისწინებით; ასევე, ეროვნული ბანკის მენეჯმენტისა და თანამშრომლებისგან დაკომპლექტებული ფოკუს-ჯგუფების შედეგად.

დოკუმენტში ნათლადაა გაწერილი საქართველოს ეროვნული ბანკის კომუნიკაციის პოლიტიკის ძირითადი ამოცანები, კომუნიკაციის მიზნები და მიდგომები, რომლებსაც ქვეყნის ცენტრალური ბანკი ფართო საზოგადოებასთან და ფინანსურ სექტორთან / ბაზრის მონაწილეებთან ეფექტური კომუნიკაციის განსახორციელებლად იყენებს.

საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მონეტარული პოლიტიკის კომუნიკაციას, ვინაიდან მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აქტიური კომუნიკაცია მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებს უფრო პროგნოზირებადს ხდის, მოლოდინების არხით ეკონომიკაზე ზეგავლენას აძლიერებს და, საბოლოოდ, მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობას აუმჯობესებს, რაც ნიშნავს, რომ ფასების სტაბილურობა ნაკლები დანახარჯებით მიიღწევა.

გამჭვირვალობის ზრდა და კომუნიკაციის გაუმჯობესება ეროვნული ბანკის ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ჩარჩოს ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. კომუნიკაცია მნიშვნელოვანია როგორც ფინანსური კრიზისის თავიდან არიდების, ისე მისი მართვისთვისაც. სათანადო კომუნიკაცია დიდწილად განსაზღვრავს ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეფექტიანობას - ხელს უწყობს ფინანსური სტაბილურობის

პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და სათანადო მოლოდინების ჩამოყალიბებას, აუმჯობესებს ბაზრის მონაწილეებისა და მოსახლეობის მიერ რისკების აღქმას და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას.

ამავე დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფინანსური სექტორის საზედამხედველო პოლიტიკის და მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების მიმართულებით საკომუნიკაციო მიდგომების გაუმჯობესებას.

ასევე, განსაზღვრულია ის საკომუნიკაციო არხები, რომლებსაც ეროვნული ბანკი გარე და შიდა კომუნიკაციისას იყენებს.

დოკუმენტში განხილულია კომუნიკაციის ტიპების, ასევე საკომუნიკაციო საშუალებების, არხების, ინსტრუმენტების მრავალფეროვანი ნაკრები, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის დოკუმენტის შექმნის პირველი პრეცედენტია და შემუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად. ეროვნული ბანკის საკომუნიკაციო პოლიტიკის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

### **საერთაშორისო თანამშრომლობა**

ეროვნული ბანკი წარმოდგენილი იყო საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებზე, სადაც სეპ-ის პრეზიდენტი და მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები ეროვნული ბანკის წარმატებულ გამოცდილებას უზიარებდნენ უცხოელ კოლეგებს. ასეთი იყო "ევრომანის" ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ლიდერთა საზოგადოების პირველ შეხვედრა, რომელიც ვიდუოკონფერენციის ფორმატში გაიმართა და მონაწილეობდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მთავარი ბანკირები. დისკუსიის მთავარი თემა ცენტრალური ბანკების მანდატის განსაზღვრა და სისტემური რისკების მონიტორინგი იყო. შეხვედრის მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს გლობალურად ფინანსური სისტემის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების გათვალისწინების მნიშვნელობაზე, რაც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობია და რაშიც ცენტრალური ბანკების როლი მნიშვნელოვნად იზრდება. კობა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნული ბანკი რეგიონის ლიდერად გვევლინება და მოკლედ მიმოიხილა ეროვნული ბანკის მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული მდგრადი დაფინანსების ანგარიში.

ბელგიის ცენტრალურმა ბანკმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის ჯგუფში შემავალი ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველებისთვის კონფერენცია გაიმართა, სადაც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პირველი სესიის სპიკერად იყო მიწვეული. მან ისაუბრა თემაზე - COVID-19-

ის პანდემია და ბოლო პერიოდის გეოპოლიტიკურ გამოწვევები: მაკროეკონომიკური შედეგები და პერსპექტივები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა 2017-2021 წლებში გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით სსფ-ის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ამ პროგრამამ ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ გაჯანსაღებას.

ეროვნული ბანკი მონაწილეობდა კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ კონფერენციაში, რომლის მთავარი თემა "განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებში ინფლაციისა და ბაზარზე არსებული გამოწვევები და საპასუხო ქმედებები" იყო. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში მთავარი აქცენტი ეკონომიკის გლობალურ გამოწვევაზე - მაღალ ინფლაციაზე გააკეთა და მონეტარული ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება.

საქართველოს ეროვნული ბანკისა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ინიციატივით და მსოფლიო ბანკის ჩართულობით, ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტისა (CBDC) და დეცენტრალიზებული ფინანსების (DeFi) საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. ორდღიანი შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ხელი შეუწყო დიალოგს კერძო და საჯარო დაინტერესებულ მხარეებს შორის ცენტრალური ბანკების ციფრული ვალუტისა და დეცენტრალიზებული ფინანსების საკითხებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა CBDC & DeFi კონფერენციაზე ციფრული ლარის განვითარების მიმართულებით ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებზე ისაუბრა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. პანელურ დისკუსიაში "შესაძლებლობების განვითარება", ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ეროვნული ბანკის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, კერძოდ, თუ როგორ შეძლო საქართველოს ფინანსურმა სექტორმა პანდემიით გამოწვეული შოკის საკმაოდ მძიმე ფაზის წარმატებით გავლა. ასევე, ეროვნული ბანკის ადეკვატური პოლიტიკის შედეგად, როგორ შეხვდა ქვეყანა რეგიონში შექმნილი ვითარებიდან მომდინარე პოტენციურ საფრთხეებს. კობა გვენეტაძემ შეხვედრების ფარგლებში გამართულ სიმპოზიუმშიც მიიღო მონაწილეობა, რომელსაც უცხოელი ინვესტორები ესწრებოდნენ. მან ვრცლად ისაუბრა საქართველოს ჯანსაღ მაკროეკონომიკურ გარემოზე, ხელსაყრელ საინვესტიციო კლიმატზე და მათ დეტალურად გააცნო ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობები.

მონეტარული პოლიტიკის გამოწვევები, პოსტპანდემიური რეალობა და რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომის ეკონომიკურ შედეგები განიხილეს "სამი ზღვის ინიციატივის" (Three Seas Initiative) ფარგლებში გამართულ ცენტრალური ბანკების

კონფერენციაზე. ინიციატივა, რომელიც ხორვატიამ და პოლონეთმა 2015 წელს წამოიწიეს, მიზნად ისახავს ბალტიის, ადრიატიკისა და შავ ზღვებს შორის ფიზიკური და ციფრული კავშირების გაღრმავებას.

ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) მიერ ორგანიზებული ღონისძიება "ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის კლასტერის პოლიტიკის მაღალი რანგის დიალოგი" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით გაიმართა. კობა გვენეტაძემ, თავის გამოსვლაში, აღნიშნა, რომ სეპ-ის მიერ პანდემიამდე გატარებული მაკროპრუდენციული ღონისძიებების, პანდემიის დაწყების და რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ გატარებული ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის გამო, ფინანსური სექტორი სტაბილურობას ინარჩუნებს და ეკონომიკის დაკრედიტებას შეუფერხებლად აგრძელებს. კობა გვენეტაძემ ყურადღება გაამახვილა ფინანსური სტაბილურობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე, რაც რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრამ გლობალურად გამოიწვია.

კონკურენციისა და მომხმარებლის უფლებების შესახებ, საქართველოში პირველი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ბაზრის ხუთ მარეგულირებელი უწყებას შორის საქართველოს ეროვნული ბანკიც იყო. კონფერენციაზე კონკურენციის სამართლის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები და მარეგულირებელი უწყებების მიერ განხორციელებული აქტივობები იქნა განხილული. კობა გვენეტაძემ თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა. ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა და 20 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. მათ შორის იყვნენ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) კონკურენციისა და მომხმარებელთა პოლიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, ტერესა მორეირა და სხვა მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საბანკო ზედამხედველების (BSCEE) ჯგუფის 2022 წლის თავმჯდომარე გახდა. საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნული ჯგუფში 2013 წელს გაწევრიანდა და მას შემდეგ აქტიურად არის ჩართული ჯგუფის საქმიანობაში. BSCEE ჯგუფი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 25 ქვეყანას აერთიანებს და მისი მიზანი ჯგუფში შემავალი ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობაა. პირველად, საქართველო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყნად 2018 წელს აირჩიეს.

მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენლობითი და ორგანიზაციული ფუნქციების გარდა, საქართველომ 2022 წლის BSCEE ჯგუფის 34-ე ყოველწლიური კონფერენციის მასპინძელი ქვეყანაც იყო. კონფერენცია ორ მნიშვნელოვან თემას ეძღვნებოდა: რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ცენტრალური ბანკებისა და საბანკო სექტორის საქმიანობაზე და კიბერ რისკების

მართვა. კონფერენცია ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ გახსნა და უკრაინის ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტს სერგეი ნიკოლაიჩუკს ღონისძიებაში მონაწილეობისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ისაუბრა არასაბანკო სექტორის რეგულირებასა და ზედამხედველობის, კაპიტალის ბაზრისა და ფინანსური ტექნოლოგიების მიმართულებით გატარებულ რეფორმებზე.

2022 წლის განმავლობაში საზედამხედველო მანდატისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ეროვნული ბანკი თანამშრომლობდა ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტებთან, საბანკო ასოციაციასთან, გარე აუდიტორებთან, საჯარო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან, სხვა ქვეყნების ზედამხედველებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2022 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბანკო ზედამხედველების BSCEE (Group of Banking Supervisors from Central and Eastern Europe - BSCEE) ჯგუფის თავამჯდომარე იყო. აღნიშნულ რანგში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უმასპინძლა BSCEE ჯგუფის 34-ე ყოველწლიურ კონფერენციას, რომელიც პირველად გაიმართა ჰიბრიდულ ფორმატში.

ეროვნული ბანკი ჯგუფის წევრი 2013 წელს გახდა და მას შემდეგ სამუშაო პროცესში აქტიურადაა ჩართული. BSCEE ჯგუფი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის 24 ქვეყნის 25 ორგანიზაციას აერთიანებს და მისი მიზანი ჯგუფში შემავალი ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობაა. ჯგუფის წესების თანახმად, მისი წევრებისაგან ყოველწლიურად აირჩევა ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყანა. პირველად, საქართველო ჯგუფის თავმჯდომარე ქვეყნად 2018 წელს, ხოლო მეორედ, 2021 წლის BSCEE ჯგუფის ყოველწლიურ კონფერენციაზე აირჩიეს.

თბილისში გამართული კონფერენცია რამდენიმე მნიშვნელოვან თემას ეძღვნებოდა. კერძოდ, ბაზელის კომიტეტის სამუშაო პროგრამა და სტრატეგიული პრიორიტეტები, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა ცენტრალური ბანკებისა და საბანკო სექტორის საქმიანობაზე და კიბერ რისკების მართვა. მონაწილეებმა ერთმანეთს ომის უარყოფითი გავლენის ეფექტის შესამცირებლად გადადგმულ ღონისძიებებსა და კიბერშეტევებთან და ამ რისკების მართვასთან დაკავშირებული გამოცდილება გაუზიარეს.

კონფერენციაში საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან ერთად მოწვეული მომხსენებლებების რანგში მონაწილეობდნენ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის გენერალური მდივნის, უკრაინის, ავსტრიის, ხორვატიის, მოლდოვის, ესტონეთისა და მონტენეგროს შესაბამისი უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლები.



## 14 ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

### სტატისტიკური ინფორმაცია თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ

2022 წლის ბოლოს საქართველოს ეროვნულ ბანკში 538 თანამშრომელი იყო დასაქმებული, რომელთაგან 445 - საჯარო მოხელეს წარმოადგენს. თანამშრომელთა მთლიანი რაოდენობის 53.8 პროცენტს ქალები შეადგენდნენ, ხოლო 46.2 პროცენტს - მამაკაცები. თანამშრომელთა საშუალო ასაკი 39 წელია.

### თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

2022 წელი თანამშრომელთა პროფესიული განვითარების კუთხით არასტანდარტული იყო. წლის პირველ ნახევარში სემინარები, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ცენტრალური ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების მიერ იყო დაგეგმილი, ჩატარდა დისტანციურად. წლის მეორე ნახევრიდან კი დისტანციურთან ერთად განახლდა ადგილზე სემინარებიც. ორივე ფორმატის ტრენინგს ჯამში ეროვნული ბანკის 82 თანამშრომელი დაესწრო.

გარდა ზემოაღნიშნული ტრენინგებისა, ეროვნულ ბანკში სისტემატურად ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სასწავლო და გაცნობითი პრეზენტაციები, რაც ორგანიზაციის შიგნით ცოდნის გაზიარებას უწყობს ხელს და თანამშრომლები აქტიურად ერთვებიან. ასევე წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ისეთი ტრენინგები როგორცაა: „პროექტების მართვის საფუძვლები“, „მონეტარული პოლიტიკის კურსი“, „პიროვნული განვითარების კურსი“, „მონაცემთა მეცნიერების ტრენინგი“, „ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება“ და სხვა.

### ფინანსური სექტორის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ხელს უწყობს საბანკო სექტორის თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით, ლუქსემბურგის საფინანსო ტექნოლოგიების გადაცემის კვლევითი სააგენტოს ექსპერტებმა, 2022 წელს დისტანციურად ჩატარეს 4 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ეროვნული ბანკის, ასევე კომერციული ბანკების თანამშრომლებმა. ჯამში სემინარებს დაესწრო 52 მონაწილე. ასევე აღნიშნული სააგენტოს ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საფინანსო სექტორის წარმომადგენლები, დაესწრნენ ელექტრონული სწავლების კურსებს. აღნიშნულ კურსებში ჩართული იყო 29 მონაწილე.

### ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმი და გუნდური სულისკვეთების გაძლიერება

2022 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში დამტკიცდა ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმი, რაც გულისხმობს თვის განმავლობაში დღეების გარკვეული რაოდენობის ოფისიდან მუშაობის ვალდებულებას, ხოლო დანარჩენი დღეები კვლავ რჩება

თანამშრომლის საჭიროებაზე/სურვილზე მორგებულად - იმუშაოს დისტანციურად თუ ოფისიდან.

ჰიბრიდულ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის პარალელურად, ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების განყოფილების მთავარ გამოწვევას პროცესის უმტკივნეულოდ ჩავლა და ახალ მიდგომასთან თანამშრომლების ადაპტირება წარმოადგენდა. ამისათვის მომზადდა საინფორმაციო წერილები და დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები. შედეგად, ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმის ფარგლებში არ გამოკვეთილა კრიტიკული ხარვეზი, ხოლო თანამშრომლების მხრიდან პროცესი დადებითად შეფასდა.

გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ერთ-ერთ მთავარ მიზანს კვლავ წარმოადგენდა გუნდური სულისკვეთების ამაღლება და შიდა კომუნიკაციების გაძლიერება. შესაბამისად, ამ მიმართულებით დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი როგორც დისტანციური, ისე ტრადიციული ტიპის ღონისძიება: სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შემეცნებითი აქტივობები, ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ჭრილში დაგეგმილი ღონისძიებები, საქველმოქმედო აქციები.

### **HR პროცესების გაციფრულება**

აღსანიშნავია HR პროცესების გაციფრულების მიზნით, 2021 წელს დაწყებული პროექტის გაგრძელება, რომლის ფარგლებშიც, პირველ ეტაპზე, ეროვნულ ბანკში დაინერგა SAP Success Factors-ის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების მოდული, ხოლო 2022 წლის პირველ ნახევარში სრულად დაინერგა თანამშრომელთა შერჩევისა და ორიენტაცია-ადაპტაციის მოდულები. აღნიშნულის მეშვეობით პროცესები გაცილებით მოქნილი და ეფექტიანი გახდა.

უფრო ზუსტად, 2022 წლის ფარგლებში SAP Success Factors-ის სისტემის საშუალებით შეფასდა 510 თანამშრომელი, გამოცხადდა და დაიხურა 85 ვაკანსია (როგორც გამარტივებული, ისე ღია და დახურული კონკურსები), შეირჩა 35 ახალი თანამშრომელი, ხოლო სტაჟირების გავლის შესაძლებლობა მიეცა 25 ადამიანს. საგულისხმოა, რომ მათგან 6-მა შეძლო ორგანიზაციაში დარჩენა და საქმიანობის გაგრძელება.

ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების განყოფილების ორგანიზებით, ყველა ახალმა თანამშრომელმა და სტაჟიორმა გაიარა ორიენტაცია-ადაპტაციის სამდღიანი ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნულ ბანკში არსებული ორგანიზაციული კულტურის ძირითადი ელემენტების, ბანკის სტრუქტურის, ძირითადი პროცედურების გაცნობასა და სხვადასხვა დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციების ჩატარებას.



## 15 ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის განვითარება

ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში (SEPA) საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები

საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების მარეგულირებელი კანონმდებლობა

- 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავდა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების უდიდესი ნაწილის შესრულებას, მათ შორის, საგადახდო მომსახურების შესახებ განახლებული დირექტივის (Directive (EU) 2015/2366 on payment services) იმპლემენტაციას. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ასევე მნიშვნელოვნად უკავშირდებოდა „ერთიანი ევრო გადახდის სივრცეში“ (SEPA) საქართველოს გაწევრიანებას, ვინაიდან ევროდირექტივასთან (PSD2) დაახლოება წარმოადგენს SEPA-ს გეოგრაფიულ სივრცეში დაინტერესებული ქვეყნების გაწევრიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავალდებულო კრიტერიუმს.
- „ევროთი დენომინირებული საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტის შესრულების ტექნიკური მოთხოვნების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 16 სექტემბრის №122/04 ბრძანება, რომლის მიზანია ევროს ვალუტაში საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტის ტექნიკური მოთხოვნების სრული შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ რეგულაციასთან (EU) No 260/2012, რომელიც ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს საკრედიტო გადარიცხვისა და პირდაპირი დებეტების შესრულების დროს.
- „კომუნიკაციის ერთიანი და უსაფრთხო ღია სტანდარტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 24 ოქტომბრის №145/04 ბრძანება. აღნიშნული ბრძანება შემუშავებულია საგადახდო მომსახურების შესახებ განახლებული ევროდირექტივის (PSD2) შემავსებელი (EU) 2018/389 რეგულაციის მიხედვით და სრულად შეესაბამება აღნიშნული ევროდირექტივის მე-5 თავს.

დეტალური ინფორმაცია აღნიშნული ცვლილებების შესახებ მოცემულია წლიური ანგარიშის საგადახდო სისტემების ოვერსაიტის (9.1) ნაწილში.

დამატებით, SEPA-ს მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების სფეროში ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და დახვეწის მიზნით შემუშავდა და გამოიცა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 მარტის №33/04 ბრძანება**, რომლის შემუშავება განპირობებულია „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის 22 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით, რომლის მიხედვითაც, საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს დაუწესდათ გარკვეული ვალდებულებები, როგორც სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ უცხოურ კომპანიებთან ურთიერთობის კუთხით, ასევე პროვაიდერების მიერ გამოშვებული საბარათე ინსტრუმენტებით სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ გადახდების შეზღუდვების მიზნით. შესაბამისად, ბრძანების მიზანია კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მექანიზმის განსაზღვრა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გათვალისწინებულია პროვაიდერის უფლებამოსილებები სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი კომპანიების მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე დადგენილია პროვაიდერის ვალდებულებები სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ უცხოურ კომპანიებთან გადახდების განხორციელების შემთხვევაში. ბრძანებით, აგრეთვე, განსაზღვრულია სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ და საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობის საკითხები, რომელიც მოიცავს პროვაიდერის მიერ სსიპ „შემოსავლების სამსახურისა“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმირების ვალდებულებას, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მომხმარებელი სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი უცხოური კომპანიის სასარგებლოდ გადახდების განხორციელების მიზნით იყენებს სხვა პირებს, ასევე სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეზღუდვების დაწესებას კონკრეტული მიმღების ან მომხმარებლის ჭრილში.
- **„საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ საბარათე ინსტრუმენტის შესახებ სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების და წარდგენის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 7 ნოემბრის №156/04 ბრძანება**, რომლის მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ, რომლებიც ახორციელებენ საბარათე ინსტრუმენტების გამოშვებას ან/და ექვაირინგს, საქართველოს ეროვნულ ბანკში, დადგენილ ვადაში და შესაბამისი ფორმით საბარათე ინსტრუმენტის ემისიისა და ამ

ინსტრუმენტით განხორციელებული ოპერაციების, აგრეთვე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საბარათე მოწყობილობებისა და მათი საშუალებით განხორციელებული ოპერაციების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენის ვალდებულებისა და შესაბამისი წესის განსაზღვრა.

**საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის მფლობელთა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული სიახლეები**

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონი და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები მიზნად ისახავდა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემასთან, კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შემძენთა/მფლობელთა და კომერციული ბანკის ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული მოთხოვნების ევრო დირექტივითა (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის დირექტივა (2013/36/EU) „საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობასთან წვდომისა და საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების პრუდენციული ზედამხედველობის შესახებ (CRD Directive 2013/36/EU)) და ევროპის საბანკო უწყების (European Banking Authority) მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც თავის მხრივ მოთხოვნების დახვეწას და შეფასების პროცესში მეტ სიცხადეს უზრუნველყოფს. საკანონმდებლო ცვლილებებით, კომერციული ბანკის ლიცენზირების წესი, ასევე მისი ადმინისტრატორებისა და აქციონერების შესაფერისობის მოთხოვნები უფრო დაიხვეწა და ცხადი გახდა. ამასთან, საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის, აგრეთვე, აქციონერთა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის შეფასების პროცედურული მხარე, უფრო მეტად გაიმართა და სრულყოფილად მოწესრიგდა. აღნიშნულით როგორც დირექტივასთან სრული შესაბამისობა, ასევე შესაბამისი მხარეებისთვის (კომერციული ბანკები, მნიშვნელოვანი წილის შემძენები და ადმინისტრატორები) შეფასების უფრო ცხადი, გამჭვირვალე მოთხოვნები და პროცესები იქნა უზრუნველყოფილი. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით კომერციული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მოვალეობების განმსაზღვრელი დებულებები დაზუსტდა. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორატის კეთილსინდისიერებისა და ზრუნვის მოვალეობა, ისევე როგორც მათი შეუსრულებლობის შედეგები, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად განისაზღვრა. ცვლილება ასევე შეეხო კომერციული ბანკის აუდიტის კომიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ დებულებებს და კანონის დონეზე განისაზღვრა კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები.

ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტიდან გამომდინარე, შემუშავდა და გამოიცა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- **„კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №151/04 ბრძანება**, რომლის მიზანია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსის დაზუსტება, კრიტერიუმების შეფასების წესისა და პროცედურის, მათ შორის, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი შესაფერისობის საკითხებისა და წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალის განსაზღვრა და შედეგად, კომერციული ბანკების ადმინისტრატორების შესაფერისობის მოთხოვნების უფრო მეტად დახვეწა, ამასთან, მხარეებისთვის შეფასების ცხადი, გამჭვირვალე მოთხოვნებისა და პროცესების უზრუნველყოფა. ბრძანებით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ადმინისტრატორთა შესაფერისობის 5 კრიტერიუმი განისაზღვრა: კარგი რეპუტაცია, სანდოობა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება; სათანადო ცოდნა, უნარები და გამოცდილება; განსჯის დამოუკიდებლობა; საკმარისი დრო საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად; პარალელურად დაკავებული პოზიციების რაოდენობა. ბრძანება, თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით, იმ გარემოებების ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომლებსაც კანდიდატის კრიტერიუმთან შესაფერისობის შეფასება უნდა დაეფუძნოს. ამასთან, ბრძანების დანართის სახით, შემუშავდა კანდიდატის შესაფერისობის კითხვარი, რაც კანდიდატებს, მოცულობითი ინფორმაციის წარდგენის პროცესს კიდევ უფრო გაუმარტივებს.
- **„კომერციული ბანკების ლიცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №152/04 ბრძანება**, რომლის მიზანია საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წერილობითი მიმართვის წარდგენის საკითხისა და იმ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალის დეტალური მოწესრიგება, რომელიც თან უნდა დაერთოს აღნიშნულ წერილობით მიმართვას. ამასთან, დაიხვეწა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები, კერძოდ, სალიცენზიო განაცხადის შეფასების ვადა 3 თვიდან 6 თვემდე გაიზარდა, დაზუსტდა ხარვეზის დადგენისა და დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მოთხოვნის საკითხები; განისაზღვრა სალიცენზიო განაცხადის განხილვის საერთო მაქსიმალური 12 თვიანი ვადა. გარდა აღნიშნულისა, ფინანსური სექტორის სტაბილურობისა და განვითარების ხელშეწყობის, საბანკო სექტორის ინტერესებიდან

გამომდინარე, მათ შორის, ადგილობრივ ბაზარზე არსებითად ახალი და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების და ფინანსურ მომსახურებაზე მომხმარებელთა წვდომის გაზრდის მიზნით, დაკონკრეტდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირობითი ლიცენზიის გაცემის საკითხი. კერძოდ, დაზუსტდა, კომერციული ბანკის ლიცენზირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიმალურ კაპიტალთან დაკავშირებით დადგენილი მოთხოვნის გამარტივების საკითხი და რისკების შემცირების მიზნით, პირობითი ლიცენზიის გაცემის დროს დამატებითი შეზღუდვებისა და მოთხოვნების განსაზღვრის უფლებამოსილება.

- **„კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შექმნის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 31 ოქტომბრის №153/04 ბრძანება, რომლის მიზანია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების შინაარსის დაზუსტება, წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალის განსაზღვრა, მნიშვნელოვანი წილის შექმნასთან დაკავშირებული ცალკეული ცნებების შინაარსის განმარტება და მნიშვნელოვანი წილის არაპირდაპირი შემქმნის განსაზღვრის წესის დადგენა.** ბრძანების თანახმად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განისაზღვრა აქციონერთა შესაფერისობის 5 კრიტერიუმი: განმცხადებლის რეპუტაცია, რაც მოიცავს მის სანდოობასა და სათანადო კომპეტენციას; განმცხადებლის მიერ კომერციული ბანკის ადმინისტრატორად შერჩეული პირის (ასეთი უფლებამოსილების არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობა კანონითა და ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან; განმცხადებლის ფინანსური სიმყარე; კომერციული ბანკის შესაბამისობა პრუდენციულ საზედამხედველო მოთხოვნებთან განმცხადებლის მიერ წილის შექმნის შემდგომ; განმცხადებელთან/ტრანზაქციასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების არარსებობა. ბრძანება, თითოეულ ზემოხსენებულ კრიტერიუმთან მიმართებით, იმ გარემოებების ჩამონათვალს განსაზღვრავს, რომლებსაც განმცხადებლის კრიტერიუმთან შესაფერისობის შეფასება უნდა დაეფუძნოს. განახლებულ მოთხოვნებთან განმცხადებლის შესაფერისობის შეფასების უზრუნველსაყოფად, ბრძანებით, განისაზღვრება თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებით წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი, ასევე, დამატებით წარსადგენი ინფორმაციის/დოკუმენტაციის ჩამონათვალი, შესაძენი წილის ოდენობიდან გამომდინარე.

## ვირტუალური აქტივის მომსახურების რეგულირება

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ორგანული კანონისა და გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება განპირობებული იყო შემდეგი გარემოებით: ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მე-15 რეკომენდაციის (Recommendation 15 - New Technologies) და ამავე რეკომენდაციის განმარტებითი კომენტარის (Interpretive Note to Recommendation 15) მიხედვით, ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით რეგულირება/ზედამხედველობა, მათი ლიცენზირება/რეგისტრაცია, მნიშვნელოვანი წილის მფლობელების/ბენეფიციარი მესაკუთრეების/ხელმძღვანელი პირების შესაფერისობის კრიტერიუმების შემოწმება, ეფექტური მონიტორინგი და ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა. განმარტებით კომენტარში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ სულ მცირე ადგილობრივად დაფუძნებული ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ლიცენზირება/რეგისტრაცია. ასევე, მითითებულია, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის ზედამხედველობა და მონიტორინგი რისკზე დამყარებული მიდგომით უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც ამ მიზნით უნდა გააჩნდეს შესაბამისი უფლებამოსილებები, მათ შორის, შემოწმების განხორციელების, ინფორმაციის გამოთხოვისა და სანქციების დაკისრების კუთხით (მათ შორის, ლიცენზირების/რეგისტრაციის გაუქმების უფლებამოსილება).

ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) ანგარიშში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ შეუსაბამობად ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერის რეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩოს არარსებობა გამოვლინდა და შესაბამისად, ამ კუთხით გასატარებელი ღონისძიებები პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და იმის გათვალისწინებით, რომ ვირტუალურ აქტივებთან დაკავშირებული მომსახურება, მისი ბუნებიდან გამომდინარე (ანონიმურობის მაღალი ხარისხი, ტრანზაქციების სისწრაფე, ტრანზაქციების მიკვლევის სირთულე და სხვ.), ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მომეტებულ რისკებთან არის დაკავშირებული და მათი მომსახურების გამოყენება შეიძლება ხელსაყრელი იყოს დანაშაულებრივი საქმიანობისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერები მოექცნენ რეგულირებისა და ზედამხედველობის ჩარჩოში. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვირტუალური აქტივის

მომსახურების პროვაიდერების რეგულირების/ზედამხედველობის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის თაობაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებთან და სახელმძღვანელოსთან.

საკანონმდებლო პაკეტით განსაზღვრული რეგულირების ჩარჩო პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების ზედამხედველობას შემდეგი მიმართულებებით: საქართველოს ეროვნულ ბანკში სავალდებულო რეგისტრაცია, ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შემოწმება და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კუთხით ზედამხედველობა. აღნიშნული უზრუნველყოფს ვირტუალური აქტივების მომსახურებასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მომეტებული რისკების დროულ მართვას, ასევე, ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (Moneyval) მიერ იდენტიფიცირებული ნაკლოვანების აღმოფხვრას. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო პაკეტით, ვირტუალური აქტივის მომსახურების განხორციელების უფლება, სპეციალური კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში, ასევე მიენიჭა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ შემდეგ სუბიექტებს: კომერციულ ბანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და საბროკერო კომპანიას.

### **სხვა საკანონმდებლო ცვლილებები**

#### **დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა**

საქართველოს პარლამენტში კვლავ განიხილება საქართველოს ეროვნული ბანკის ავტორობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით, შემუშავებული „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე ცვლილებები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2021 წელს იქნა ინიცირებული.

კანონპროექტი ითვალისწინებს დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგებას. ამ ტიპის ფასიანი ქაღალდები არსებობს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ისინი თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შედეგად გაჩნდა, რომლის დამსახურებითაც აღარაა საჭირო ფასიანი ქაღალდების მატერიალური ფორმით ფლობა ან მათი რეგისტრაცია. შესაბამისად, აუცილებელია, კანონმდებლობა გვთავაზობდეს მათ მომწესრიგებელ რეგულირებას და, პირველ რიგში, ნათლად იყოს დადგენილი მათზე საკუთრების უფლებების, მისი დადასტურების და გადაცემის საკითხები.

ამ სფეროს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგულირება მნიშვნელოვანია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

- სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფა;
- საკუთრების უფლებების დაცვის უკეთესი გარანტიების შექმნა;
- ინვესტორთა დაცულობის ხარისხის გაზრდა;
- კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების (მათ შორის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების) ფლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ერთი აქტით მოწესრიგება;
- საერთო ჯამში, კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ხელშეწყობა.

### **იპოთეკით დაცული ობლიგაციები**

კომერციული ბანკებისათვის დაფინანსების გრძელვადიანი, იაფი და სტაბილური ალტერნატიული წყაროს გაჩენის მიზნით, მიღებულ იქნა „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები. კანონი მოიცავს იპოთეკით დაცული ობლიგაციების ემისიასთან, იპოთეკით დაცული ობლიგაციების ემიტენტების ზედამხედველობასა და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. კანონით ასევე მოწესრიგებულია იპოთეკური ობლიგაციების გამოსაშვებად ავტორიზაციისა და თანხმობის მოპოვება, კრედიტორთა დაცვის გარანტიები, იპოთეკური ობლიგაციების პროგრამის განცალკევება, განცალკევებული პროგრამის მართვა და ლიკვიდაცია. კომერციული ბანკების მიერ იპოთეკით დაცული ობლიგაციების გამოშვება აღნიშნული ინსტიტუტების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ და იპოთეკური დაკრედიტების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. დეპოზიტებისა და სახსრების მოზიდვის სხვა ალტერნატიული წყაროების გვერდით, იპოთეკური ობლიგაციების ემისია საკრედიტო ინსტიტუტებისათვის შესაძლოა იქცეს იაფ და სტაბილურ დაფინანსებაზე წვდომის ერთ-ერთ საშუალებად, რაც წაახალისებს რეალური ეკონომიკის დაკრედიტებას და ეკონომიკური ზრდის პროცესს.

### **საქართველოს ეროვნული ბანკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები**

#### **მომხმარებელთა უფლებები**

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა **ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსი**, რომლის მიზანსაც ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღების პროცესში კოდექსით გათვალისწინებულ პირობებთან ურთიერთობისას საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესებისა და ჩვევების დამკვიდრების ხელშეწყობა წარმოადგენს. თავის მხრივ, ამ კოდექსის ამოქმედება ხელს



შეუწყობს მომხმარებლებში ფინანსური ორგანიზაციების მიმართ სანდო პარტნიორის რეპუტაციის გამყარებას და მათი უფლებებისა და ინტერესების მაქსიმალურად დაცვას კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტის ამოღების პროცესში. ამასთან, კოდექსი უზრუნველყოფს ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან კრედიტის ამოღების პროცესში ზნეობისა და საქმიანი ურთიერთობების საუკეთესო პრაქტიკით მიღებული ნორმების დაცვასა და კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე ქმედებებს.

კოდექსი ითვალისწინებს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- განისაზღვრა ფინანსური ორგანიზაციების ვალდებულებები კრედიტის ამოღების პროცესში;
- განიმარტა საკონტაქტო პირებისა და მომხმარებელთან დაკავშირებული მესამე პირების ცნებები და განისაზღვრა მათთან ურთიერთობის წესი;
- შეიზღუდა მომხმარებლებთან და სხვა საკონტაქტო პირებთან განხორციელებული კომუნიკაციის პერიოდი, რომლის მიხედვითაც, დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ დღის 09:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე პერიოდში;
- სავალდებულო გახდა მომხმარებლებთან და სხვა საკონტაქტო პირებთან კომუნიკაციის ამსახველი ჩანაწერების შენახვა მინიმუმ 2 თვის ვადით;
- კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სუბიექტებს;
- ფინანსურ ორგანიზაციას აეკრძალა თავის საკუთრებაში არსებული საკრედიტო პორტფელის ან/და კრედიტის გასხვისება ისეთ პირებზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ფინანსურ ორგანიზაციებს.

„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №16/04 ბრძანება დაეყრდნო 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივას მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ. ბრძანებით დაზუსტდა და განისაზღვრა გარკვეულ ტერმინთა განმარტებები, მათ შორის, დაემატა „მოთხოვნამდე დეპოზიტის“ ცნების განმარტება, დაზუსტდა ტერმინი „მომხმარებელი“ და იგი მოიცავს როგორც საფინანსო პროდუქტის მიმღებს ან ასეთი განზრახვის მქონე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ბრძანებით გათვალისწინებულ თავსართში მისათითებელ ინფორმაციას დაემატა ხელშეკრულების თავსართში მისათითებელი

ჩანაწერი, იმ შემთხვევისთვის, როდესაც კრედიტის გაცემა ხდება „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით განსაზღვრული გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე.

ამასთან, ბრძანებით განისაზღვრა საფინანსო პროდუქტების მიმართ მოთხოვნები, კერძოდ, ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება, ბანკომატების ეკრანზე ოვერდრაფტის შესახებ ინფორმაციის ასახვის შემთხვევაში, გამიჯნოს ოვერდრაფტისა და მომხმარებლის კუთვნილი თანხების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია, ასევე ვალდებულება - მომხმარებლის მოკლე ტექსტური შეტყობინებით ინფორმირების შესახებ, თუ საბარათე გადახდის ოპერაციის განხორციელებისას, გარკვეული თანხის ათვისება ხდება ოვერდრაფტის შესაბამისი საკრედიტო ლიმიტიდან. ფინანსური ორგანიზაცია ვალდებული იქნება საკუთარ ვებგვერდზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განათავსოს წესის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სასესხო და სადეპოზიტო პროდუქტების მნიშვნელოვანი პირობები, ხელშეკრულების ნიმუშები და სხვა საფინანსო პროდუქტების ტარიფები. ბრძანებით, აგრეთვე, დადგინდა ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება, ინტერნეტბანკში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ სასესხო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების ასლების, სპეციფიკური საფინანსო პროდუქტების ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების, ხოლო სხვა სასესხო და სადეპოზიტო ხელშეკრულებების შემთხვევაში, გარკვეული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

გასათვალისწინებელია, რომ ბრძანებით ასევე განისაზღვრა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობის დაანგარიშების წესი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგინდა მოთხოვნამდე დეპოზიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების წესი.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ასევე გამოიკა შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 4 მაისის №50/04 ბრძანება, „მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 5 თებერვლის №16/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022

წლის 4 მაისის №51/04 ბრძანება და „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 4 მაისის №53/04 ბრძანება, რომელთა შესაბამისად, განისაზღვრა კონკრეტული ჯარიმის ოდენობები საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევაზე, აგრეთვე „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართ №8-ში მოცემული მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ სტატისტიკური მონაცემების ანგარიშგების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის დაგვიანებით წარდგენასთან დაკავშირებით.

- „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №194/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №15/04 ბრძანება, რომლის შესაბამისად, განისაზღვრა საკრედიტო შუამავლის და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ტერმინთა განმარტებები. ასევე, დაზუსტდა მსესხებლის, საპროცენტო განაკვეთის, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის და სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნებები. ბრძანებით დაზუსტდა ფინანსური ხარჯების მარეგულირებელი დებულებები და განისაზღვრა, რომ მომსახურებაზე გამსესხებლის მიერ დაწესებული გადასახდელები, როდესაც სესხის მომსახურებისთვის იხსნება ანგარიში, მათ შორის, მოიცავს ანგარიშის გახსნის და მომსახურების ხარჯებს. ასევე, ფინანსური ხარჯების ჩამონათვალს დაემატა მსესხებლის მიერ საკრედიტო შუამავლისთვის გადახდილი საკომისიო, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მსესხებლის ინფორმირება უნდა უზრუნველყოს გამსესხებელმა. დაემატა ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების ფორმულა. ამასთან, დაზუსტდა სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად გამოყენებული გარკვეული დაშვებები და დაემატა შემდეგი დაშვება: თუ არსებობს თანხის ათვისების სხვადასხვა საშუალება განსხვავებული ლიმიტებით, დაიშვება, რომ მსესხებელს

სესხის თანხა გამოაქვს პირველივე გამოტანის შესაძლებლობისთანავე სრულად, აღნიშნული ლიმიტების გათვალისწინებით. ამასთან, დაზუსტდა სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელი დაშვება, რომლის მიხედვითაც, სესხის საპროცენტო განაკვეთი მუდმივია და უტოლდება სესხის საწყის საპროცენტო განაკვეთს, როგორც ინდექსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამოყენების შემთხვევაში. ასევე დაზუსტდა სესხის ზედა ზღვრის ოდენობის დაშვება, იმ შემთხვევისთვის, როდესაც ასეთი ზღვარი მითითებული არ არის. ბრძანებით განისაზღვრა, რომ თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში სხვადასხვა პერიოდისთვის გამოიყენება განსხვავებული ტიპის საპროცენტო განაკვეთები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვლება დაშვებით, რომ ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი ინდექსის ან/და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის ოდენობა უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში; ბრძანებით ასევე გათვალისწინებულია ცვლილება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საპროცენტო განაკვეთთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნების უკეთ დაცვას. კერძოდ, განისაზღვრება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობის დაანგარიშების წესი საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულებით“ განსაზღვრულ შემთხვევებში, როდესაც სესხი მსესხებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის გარეშე გაცემული და გამსესხებლის სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებების მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

### **ფიზიკური პირის დაკრედიტება**

„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 25 მარტის №31/04 ბრძანების შემუშავება და გამოცემა შემდეგ გარემოებებმა განაპირობა: ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა საქართველოს ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (Financial Sector Assessment Program (FSAP)) რეკომენდაციის შესაბამისად, ბრძანებით გათვალისწინებული, პასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან დაკავშირებული ცალკეული მოთხოვნების რეკალიბრაცია განახორციელა. აღსანიშნავია, რომ სესხის მომსახურების კოეფიციენტის ზღვრების თავდაპირველი შეფასება 2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობოდა, რის შემდგომ რიგი ნომინალური ეკონომიკური

მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა. აღნიშნულის საკომპენსაციოდ, ფინანსური სტაბილურობის კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, სესხის მომსახურების კოეფიციენტის შესაბამისი ყოველთვიური წმინდა შემოსავლის ზღვარი გაიზარდა 1,000 ლარიდან 1,500 ლარამდე. ბრძანების შესაბამისად, სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) დათვლის მიზნით, ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთთან სესხებზე ყოველთვიური გადასახდელის დათვლა მოხდება ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთს +3 პროცენტით. იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი ითვალისწინებს ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთს, რასაც თან ახლავს საპროცენტო რისკი, რომელიც მსოფლიო ბაზრებზე აშშ დოლარსა და ევროზე საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ზრდის წინაპირობების გათვალისწინებით განსაკუთრებით საგულისხმოა. ამ რისკის საპასუხოდ, საჭირო ბუფერების არსებობისთვის, სესხის გამცემმა ორგანიზაციებმა ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხის გაცემისას, მსესხებლის გადახდისუნარიანობის შეფასების დროს, 3 კპ საპროცენტო განაკვეთის შოკი უნდა გაითვალისწინონ. ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები აღნიშნული შოკის გათვალისწინებით გადათვლილმა სესხის მომსახურების კოეფიციენტმა უნდა დააკმაყოფილოს. აღნიშნული ცვლილებები თანხვედრაშია FSAP-ის რეკომენდაციებთან და მათი მიზანია მსესხებელი ფიზიკური პირების შოკის შეწოვის უნარის შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს ფინანსურ სტაბილურობას. ამასთან, ბრძანებით, ოთხ წლამდე ვადიანობის უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხები გათავისუფლდა სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მოთხოვნისგან. იმის გათვალისწინებით, რომ დაშვებულია 4 წლამდე ვადიანობის სამომხმარებლო სესხის გაცემა უზრუნველყოფის გარეშე, მისაღებია, რომ ამავე ვადიანობის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისთვის არ იყოს დაწესებული სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) მოთხოვნა და შესაძლებელი იყოს ნაწილობრივ უზრუნველყოფილი სესხების გაცემა.

„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 4 აგვისტოს №96/04 ბრძანება, რომლის შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში სამომხმარებლო სესხების ჭარბი ზრდის ინფლაციაზე დამატებითი ზეწოლის შემცირების მიზნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადის 4-დან 3 წლამდე შემცირება.

### **კომერციული ბანკების საზედამხედველო ჩარჩოსა და რეზოლუციის რეგულირება**

2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სიახლეები იყო კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების მიმართულებით.

დამტკიცდა „კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 26 სექტემბრის №215/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ” საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 24 აგვისტოს №104/04 ბრძანება, რომლის მიზანია კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებსა და დირექტორატში გენდერული მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, განსხვავებული სქესის წარმომადგენლობასთან დაკავშირებული კვოტების გაზრდა. კერძოდ, არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, კომერციული ბანკების სამეთვალყურეო საბჭოებში განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) წილი, არანაკლებ 33 პროცენტს უნდა შეადგენდეს, ხოლო არაუგვიანეს 2025 წლის 1 ივნისისა - არანაკლებ 40 პროცენტს. ამასთან, კოდექსს დაემატა სარეკომენდაციო ჩანაწერი კომერციული ბანკების დირექტორატის შემადგენლობის მიმართ, რომლის მიხედვითაც, დირექტორატში, განსხვავებული სქესის (უმცირესობაში მყოფი) არანაკლებ 33 პროცენტიანი წილია სასურველი. აღნიშნული ცვლილება მიზანად ისახავს, უახლესი საერთაშორისო პრაქტიკების და ტენდენციების გათვალისწინებით, გენდერული მრავალფეროვნების მოთხოვნის გაზრდას, რაც კომერციულ ბანკებში კორპორაციულ კულტურას გააუმჯობესებს. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისათვის გათვალისწინებული გაზრდილი კვოტა, საერთაშორისო ტენდენციებსა და ფინანსურ სექტორში მარეგულირებლების მიერ დაწესებულ მოთხოვნებს შეესაბამება.

ცვლილება შევიდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებით დამტკიცებულ „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესში“, რომელიც განპირობებული იყო არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების საჭიროებით, რის შესახებაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული ფინანსური სტაბილურობის კომიტეტზე. სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR) დათვლის მეთოდი დამოკიდებული გახდა კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის დონეზე ბანკებისთვის სესხების ლარიზაციის მოტივაციის გაზრდის მიზნით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესი“, რომლის მიზანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიკაციის სისტემის დანერგვა. კერძოდ, ბრძანების მიხედვით, კომერციულ ბანკებს დაევალებათ, სესხის გაცემისას სესხს მიანიჭონ მწვანე სესხის კატეგორია „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესით“. ამასთან, კომერციულმა ბანკებმა საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინონ მწვანე სესხების ყოველთვიური ანგარიშგება. ასევე, პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ფარგლებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი

(Environmental, Social, and Governance - ESG) საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების ფორმაში მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების განსაზღვრისას ბანკები ვალდებული არიან იმოქმედონ ამ წესის შესაბამისად. აღნიშნული უზრუნველყოფს ფინანსურ სექტორში მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების საერთო განმარტების არსებობას და მწვანე სესხების შესახებ მონაცემების შეგროვებას.

აღნიშნული წესიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში (ცვლილებით ბანკი ვალდებულია მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებისას იხელმძღვანელოს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №93/04 ბრძანებით დამტკიცებული „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესით“) და „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებაში (ცვლილებით ბანკებს ფულადი ჯარიმა ეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ დაარღვევენ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 3 აგვისტოს №93/04 ბრძანებით დამტკიცებულ „მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით სესხების კლასიფიცირებისა და ანგარიშგების წესს“ და ეროვნულ ბანკს დადგენილი ფორმით ან/და დადგენილ ვადაში არ წარუდგენენ ან დაგვიანებით წარუდგენენ მწვანე სესხების ყოველთვიურ ანგარიშგებას).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის №228/04 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს კომერციული ბანკებისთვის ერთიანი პრინციპების დაწესებას, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა იხელმძღვანელონ კომერციულმა ბანკებმა დაკავშირებული მსესხებლების ერთ ჯგუფად აღრიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ცვლილების ფარგლებში შემუშავდა ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურად გაიწერა აღნიშნული პრინციპები. ინსტრუქცია დაეხმარება კომერციულ ბანკებს დააიდენტიფიცირონ განსხვავებულ მსესხებლებს შორის იმ ტიპის ურთიერთკავშირები, რომლის შედეგად ერთი მათგანის ფინანსურმა პრობლემამ შესაძლებელია მატერიალური ნეგატიური გავლენა მოახდინოს მეორე მათგანზე. მსგავსი ურთიერთკავშირი გამომდინარეობს მსესხებლებს შორის კონტროლის ტიპის ურთიერთობიდან ან მათ შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებიდან. მსესხებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულება ბანკისთვის წარმოშობს ერთ მთლიან რისკს, შესაბამისად იმ მიზნით, რომ ბანკს ჰქონდეს სწორი ხედვა პოტენციურ რისკებზე, საჭიროა მოხდეს დაკავშირებული მსესხებლების ერთ ჯგუფად აღრიცხვა. ჯგუფად ფორმირების პრინციპები

შემუშავებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ადგილობრივი რეალობის სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით. სტანდარტიზებული მიდგომა უზრუნველყოფს საბანკო სისტემის დონეზე კონცენტრაციის რისკის უკეთ მართვას.

აღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე ცვლილება შევიდა ასევე „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესის“ შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებაში, სადაც ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფთან დაკავშირებით გაკეთდა პირდაპირი მითითება „კომერციულ ბანკებში რისკის პოზიციების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 21 ნოემბრის №228/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრულ ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფზე და ამოღებული იქნა ურთიერთდაკავშირებულ მსესხებელთა ჯგუფის განსაზღვრის ტერმინი და ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე შესაბამისი პუნქტები.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის არსებული სტანდარტებისა და პრაქტიკების გაუმჯობესების და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით „კომერციული ბანკების კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 22 მარტის N56/04 ბრძანებაში განხორციელდა ცვლილებები, კერძოდ, კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დანართის სახით დაემატა „კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის სახელმძღვანელო“, რომლის საფუძველზეც კომერციულმა ბანკებმა ყოველწლიურად უნდა ჩაატარონ საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს დამოუკიდებელი აუდიტი. აუდიტის სახელმძღვანელო განსაზღვრავს კომერციულ ბანკებში საინფორმაციო სისტემებისა და კიბერუსაფრთხოების მართვის ჩარჩოს აუდიტის პროცესის, აუდიტის ანგარიშისა და აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა გუნდის კომპეტენციის, მიუკერძოებლობისა და ოპერირების მოთხოვნებს. სრულფასოვანი, მიუკერძოებელი და სანდო აუდიტის შედეგების მიღების მიზნით დაზუსტდა აუდიტის მიზანი და გავრცელების სფერო, შემუშავდა მოთხოვნები აუდიტის განხორციელების უფლებამოსილების მქონე პირებისთვის, მათ შორის, აუდიტის განმახორციელებელი გუნდის წევრების მინიმალურ კომპეტენციებთან დაკავშირებით, განისაზღვრა აუდიტის პროგრამის, პროცესის, ანგარიშის და შეფასების სისტემის მახასიათებლები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობების და შესაძლებლობების არსებობა ყველა კომერციული ბანკისთვის.



კომერციულ ბანკებში საოპერაციო და კიბერ-რისკების მართვის საკითხების გაუმჯობესების, საოპერაციო რისკების მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის, მათ შორის, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მეთოდოლოგიასა და საერთაშორისო პრაქტიკასთან მიახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის **პრეზიდენტის 2022 წლის 4 მაისის №52/04 ბრძანებით დამტკიცდა „საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაცვლის წესი“**. ბრძანების შემუშავება ემსახურება ინფორმაციის გაზიარებისა და ანალიზის პორტალის მეშვეობით საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკს შორის საოპერაციო რისკის მოვლენების შესახებ ინფორმაციის დროულად და ცენტრალიზებულად გაცვლის უზრუნველყოფას, მათ შორის, ეროვნული ბანკის მიერ ადგილობრივი და საერთაშორისო საოპერაციო რისკის მოვლენების გაზიარებას კომერციული ბანკებისთვის, ასევე, ეროვნული ბანკის მიერ მსხვილი საოპერაციო, მათ შორის, კიბერ-რისკების, სისტემური გავრცელების პრევენციას.

საქართველოს ეროვნული ბანკის **პრეზიდენტის 2022 წლის 22 ივლისის №89/04 ბრძანებით დამტკიცდა „XBRL საინფორმაციო სისტემის გამოყენების წესი“**, რომლის საფუძველზეც ექსპლოატაციაში შევიდა ეროვნული ბანკის XBRL საინფორმაციო სისტემა, რომელსაც კომერციული ბანკები გამოიყენებენ ანგარიშგებების, ინფორმაციის და დოკუმენტაციის წარმოსადგენად. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის, ძირითადი ფუნქციებისა და ამოცანების ეფექტურად განხორციელებისათვის ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება. მონაცემთა გაცვლის ერთიანი სტანდარტის დანერგვა მნიშვნელოვანია სხვადასხვა ინფორმაციის მოსაგროვებლად, რადგან ეს საგრძნობლად გააუმჯობესებს მონაცემების ხარისხს და ზედამხედველობითი ანგარიშგების პროცესს. XBRL-ის საინფორმაციო სისტემა ხელს უწყობს საქართველოს ძალისხმევას, შეიქმნას ზედამხედველობითი ანგარიშგების ეფექტური ჩარჩო საქართველოს საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რაც ასევე შეესაბამება ევროკავშირის „კაპიტალის მოთხოვნების“ დებულებას.

ევროკავშირში მოქმედი საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობისა და პრუდენციული რეგულირების შესახებ რეგულაციის (CRR - 575/2013) მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით, ცვლილება შევიდა „**კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე**“ საქართველოს ეროვნული ბანკის **პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებაში**. ცვლილების საფუძველზე, დებულებაში არსებულ საცალო კლასს დაემატა სესხები, რომელთა დაფარვის წყაროს წარმოადგენს ისეთი უვადო ფულადი გასაცემლები, როგორცაა სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გასაცემი ნებისმიერი სხვა გასაცემელი ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით. აღნიშნული სესხები, დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინების შემთხვევაში, კაპიტალის

ადეკვატურობის კოეფიციენტების დათვლის მიზნებისთვის, შეღავათიანი რისკის წონით შეწონვას ექვემდებარება.

ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ 200 000 ლარამდე სესხის/საბანკო კრედიტის გაცემის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 იანვრის №7/04 ბრძანებაში. ცვლილების მიხედვით, სესხის გაცემის შედეგად იმავე გამსესხებლის მიმართ მსესხებლის ჯამური ვალდებულებების დათვლისას არ უნდა იქნას გათვალისწინებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი ვალდებულებები. ცვლილება ემსახურება ბაზარზე დღეს მოქმედი რეგულაციების გვერდის ავლის პრაქტიკის აღკვეთას.

ანგარიშგების პროცესის ვადების დაზუსტების მიზნით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში. წესით განსაზღვრული ვადა ანგარიშგებების გამოქვეყნებასთან ერთად გავრცელდება ანგარიშგებების საქართველოს ეროვნული ბანკისთვის მიწოდებაზეც, რაც ვადების უკეთ გაკონტროლების შესაძლებლობას მისცემს ეროვნულ ბანკს.

„კომერციული ბანკების მიერ ფილიალების, წარმომადგენლობებისა და სხვა ანალოგიური ქვედანაყოფების შექმნის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 17 თებერვლის №20/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 26 ივლისის №91/04 ბრძანების შესაბამისად გაუქმდა კომერციული ბანკების ვალდებულება, საქართველოს ტერიტორიაზე ფილიალის ან სხვა ანალოგიური ქვედანაყოფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მისი ფუნქციონირების დაწყებამდე ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების თაობაზე, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება შესაბამისი ანგარიშგების ფორმით. ამდენად, აღარ დგას მისი დამატებითი სხვა ფორმით მიღების საჭიროება. ამასთან, ამ ბრძანებით გათვალისწინებული, ეროვნული ბანკისთვის შეტყობინების ვალდებულებები უცვლელია საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალთან ან სხვა ანალოგიურ ქვედანაყოფთან მიმართებით.

„მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 17 აგვისტოს №151/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 2 მაისის №46/04 ბრძანების შემუშავება განაპირობა საერთაშორისო არენაზე, საფინანსო სექტორში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაცემებზე დაფუძნებული მოდელების სულ უფრო ფართო გამოყენებამ. პარალელურად იზრდება მოთხოვნები

მოდელის უსაფრთხო და ეთიკური გამოყენების მიმართ. ამდენად, საქართველოს საფინანსო სექტორში არსებული პრაქტიკის, მიმდინარე ტენდენციების, გამოწვევებისა და თანამედროვე საერთაშორისო საზედამხედველო გამოცდილების, აგრეთვე, სექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ბრძანების შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა სამი ძირითადი მიმართულებით: უპირველესად, მოდელის გამოყენებისას ეთიკის პრინციპების დაცვის მიზნით, შემუშავდა შესაბამისი ჩარჩო, რომლითაც განისაზღვრა მოდელის განვითარების, დანერგვისა და გამოყენების პროცესში გასათვალისწინებელი ეთიკის პრინციპები და მოდელის შესაძლო არაეთიკური გამოყენების მიტიგაციის გზები. ასევე, ცვლილება შეეხო რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, რისკიანობის მიხედვით მოდელების რანჟირების/დაჯგუფების მეთოდოლოგიის შემუშავებას. დამატებით, დადგინდა მოდელის გამოყენებელი სუბიექტების მიერ სტატისტიკური მეთოდის საშუალებით მოდელის გამჭირვალობისა და ინტერპრეტირებადობის უზრუნველყოფის ვალდებულება.

**„ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კატეგორიებისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №192/04 ბრძანება** გამოიცა საქართველოს ეროვნული ბანკის 2020-2022 წლების საზედამხედველო სტრატეგიის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და საზედამხედველო მიზნით არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების პრინციპების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტთან (ფასს) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ბრძანება მიზნად ისახავს კომერციული ბანკების მიერ ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოთვლისათვის გამოყენებული მიდგომების ერთმანეთთან შესადარისობის უზრუნველყოფას და ფინანსური ანგარიშგების პროცესის ხელშეწყობას. ბრძანების შესაბამისად, გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტების სამი დონის საკრედიტო რისკის კატეგორია და შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრის სავალდებულო კრიტერიუმები. ამასთან, კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ბრძანებით გათვალისწინებული კონტამინაციის პრინციპის დაცვა, რაც საცალო და მიკრო პორტფელების მსესხებლის შემთხვევაში გულისხმობს ერთი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას, რაც იწვევს ამავე მსესხებლის სხვა ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას/გაუფასურებას. ბრძანებით ასევე განისაზღვრა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორები. დამატებით, განისაზღვრა, რომ თუ ბრძანებით გათვალისწინებული რომელიმე მოთხოვნის შეუსრულებლობა, თავის მხრივ არ იწვევს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით დაწესებული მოთხოვნების დარღვევას, კომერციულ ბანკს უფლება აქვს,

აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ბრძანებისგან განსხვავებული მიდგომით დაითვალოს. ამ შემთხვევაში, კომერციული ბანკი ვალდებულია გაამჟღავნოს კაპიტალის ადეკვატურობაზე ამ ბრძანებასა და ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის შემუშავებულ დარეზერვების მიდგომას შორის სხვაობის ეფექტი. აგრეთვე, კომერციულ ბანკებს აქვთ შესაძლებლობა საზედამხედველო მიზნებისთვისაც გამოიყენონ ბრძანებისგან განსხვავებული მიდგომები, აღნიშნული მიდგომების დასაბუთებისა და საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე, საბანკო სისტემის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (IFRS) გადასვლით გამოწვეულ ცვლილებებთან შესაბამისობის, მათ შორის, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, უზრუნველყოფის მიზნით, გამოიცა შემდეგი ნორმატიული აქტები:

- „ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №193/04 ბრძანება;
- „ინტერესთა კონფლიქტის მართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 10 მარტის №26/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №194/04 ბრძანება;
- „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №195/04 ბრძანება;
- „კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №196/04 ბრძანება;
- „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №197/04 ბრძანება;

- „პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკებისათვის კაპიტალის ბუფერების განსაზღვრის წესი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 18 დეკემბრის №176/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 29 დეკემბრის №198/04 ბრძანება.

ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკის კრიტიკული ფუნქციების განსაზღვრისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 ივნისის №129/04 ბრძანებაში. ცვლილებით, კრიტიკული ფუნქციების ჩამონათვალს დაემატა საბითუმო დაფინანსება შესაბამისი განმარტებით, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა ბრძანების დანართი №1-თან, ამ უკანასკნელში კი, თავის მხრივ, შევიდა ტექნიკური ცვლილებები.

ფინანსური სექტორის შეფასების პროგრამის (FSAP) რეკომენდაციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილება შევიდა ასევე „სპეციალური მმართველის დანიშვნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 დეკემბრის №243/04 ბრძანებაში, კერძოდ, მკაფიოდ განისაზღვრა, რომ სპეციალური მმართველი უნდა იყოს დამოუკიდებელი მესამე პირი, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება იყოს ეროვნული ბანკის თანამშრომელი. ამასთან, დაზუსტდა სპეციალური მმართველის შესაფერისობის კრიტერიუმები.

ევროპის საბანკო უწყების (EBA) შესაბამის ტექნიკურ სტანდარტებთან/მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილება შევიდა „კომერციული ბანკის გაჯანსაღების გეგმის შემუშავებისა და შეფასების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 29 ივნისის №131/04 ბრძანებაში, კერძოდ, წესში გაჩნდა განმარტება, რომლის თანახმად, გაჯანსაღების გეგმაში ინდიკატორის ზღვრის განსაზღვრა უნდა მოხდეს მინიმალური რეგულატორული მოთხოვნებისგან დაშორებით, რაც კომერციული ბანკის მმართველ ორგანოს მისცემს დროული რეაგირების საშუალებას და შესაბამისი მოქმედებების ეფექტურად წამოწყების შესაძლებლობას.

### საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობის რეგულირება

„საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №193/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის №120/04 ბრძანება ითვალისწინებს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს პლატფორმის ფორმით არსებობის შესაძლებლობას და განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი რეგისტრაციისა და რეგულირების პრინციპებს. პლატფორმა არის საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, რომელიც მხოლოდ აგროვებს, ამუშავებს და გაცემს პირის შესახებ

საკრედიტო ინფორმაციას. შესაბამისად, პლატფორმის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, რომ იგი არ შეინახავს საკრედიტო ინფორმაციას, ასევე სესხის გამცემი ორგანიზაციები სავალდებულო წესით მას ინფორმაციას არ მიაწვდიან. პლატფორმისთვის ნებადართულია, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსგან პირის (მონაცემთა სუბიექტი) შესახებ საკრედიტო, არასაკრედიტო ინფორმაციის ან/და სხვა რელევანტური მონაცემების მიღება, დამუშავება და მესამე პირისათვის გადაცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრძანების შესაბამისად, პლატფორმის მიმართ გამარტივებული/განსხვავებული სარეგისტრაციო მოთხოვნები განისაზღვრა. ამასთან, პლატფორმის საქმიანობაზე არ ვრცელდება „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანების მოთხოვნები. ბრძანების მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მოითხოვოს პლატფორმის მიერ წარდგენილი პროდუქტის განხილვა „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 25 მაისის №110/04 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესით და მოთხოვნების დაცვით. ხოლო, თუ პლატფორმის მიერ წარდგენილმა პროდუქტმა წარმატებით ვერ გაიარა აღნიშნული დებულებით განსაზღვრული ტესტირების ეტაპები, საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, პლატფორმას გაუუქმოს რეგისტრაცია. ამასთან, ბრძანება ითვალისწინებს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს სამეთვალყურეო საბჭოში მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი წევრის არსებობის ვალდებულებას, განსაზღვრავს დამოუკიდებელი წევრის ცნებას და აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს.

„საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 სექტემბრის №121/04 ბრძანება ითვალისწინებს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის მისაწოდებელი არსებული ვალდებულებების საწყისი თანხების ჯამური მოცულობის ლიმიტის 3 მილიონიდან 10 მილიონ ლარამდე გაზრდას. შესაბამისად, სესხის გამცემმა ორგანიზაციებმა ბიუროს უნდა მიაწოდონ მის ხელთ არსებული, ზუსტი და უტყუარი დეტალური ინფორმაცია იმ მონაცემთა სუბიექტის ყველა სესხის/კრედიტის, გარესაბალანსო ვალდებულებების (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) შესახებ, რომლის მიმდინარე ვალდებულებების საწყისი თანხების ჯამი გაცემისას მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური

გაცვლითი კურსის შესაბამისად არ აღემატება 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს. ბრძანებით განსაზღვრულია არასანქცირებული ვალდებულების მინიმალური ნაშთი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, სესხის გამცემი ორგანიზაცია უფლებამოსილია არ მიაწოდოს ინფორმაცია საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროს. კერძოდ, ინფორმაცია პირის 100 (ასი) ლარის ან უცხოურ ვალუტაში მისი ეკვივალენტის ჩათვლით ოდენობის (ვალდებულების საწყისი თანხის) არასანქცირებული ვალდებულების შესახებ. ამასთან, ზუსტდება ელექტრონული თანხმობების მიმართ მოთხოვნები. დამატებით, ბრძანებით განისაზღვრა სესხის გამცემი ორგანიზაციის ვალდებულება, მასთან განაღდებული ფულადი გზავნილის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ხოლო საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, თავის მხრივ, ვალდებული იქნება ინფორმაცია, განაღდებული ფულადი გზავნილების შესახებ ასახოს საკრედიტო ან სხვა ტიპის ანგარიშისაგან დამოუკიდებელ ანგარიშგებაში, რომელზეც წვდომა ექნებათ მხოლოდ სესხის გამცემ ორგანიზაციებს მომხმარებლის შესაბამისი თანხმობის შემდეგ. ბრძანების შესაბამისად, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსთვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ნუსხას დაემატა/დაზუსტდა ინფორმაცია, რაც სესხის გამცემ ორგანიზაციებს, სესხის გაცემის პროცესში, სრულყოფილი ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. ბრძანება ასევე ითვალისწინებს პრაქტიკაში გამოვლენილი რიგი საკითხების დაზუსტებას და რეგულაციების დახვეწას, მათ შორის, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს თანამშრომლების მიერ ბაზებში ინფორმაციაზე წვდომის კუთხით. ასევე დაზუსტდა გარკვეული საკითხები მომხმარებელთა პრეტენზიის მოკვლევის მიმართულებით.

2022 წლის ნოემბერში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს №195/04 ბრძანებაში. ცვლილებით საკრედიტო საინფორმაციო ბიურო უფლებამოსილია იყოს სახელმწიფო უწყებებს და სესხის გამცემ ორგანიზაციებს შორის შუამავალი იმ ტიპის ინფორმაციის გაზიარებისთვის, რომელიც საჭიროა პირის გადახდისუნარიანობის ანალიზისათვის. ინფორმაცია მათ შორის შეიძლება მოიცავდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით მისაღებ ინფორმაციას. ცვლილების მიზანი იყო დაეზუსტებინა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს უფლებები, ისეთი ინფორმაციის მიღების და გაზიარების ნაწილში, რომელიც პირის გადახდისუნარიანობის ანალიზის განხორციელებაში დაეხმარება სესხის გამცემ ორგანიზაციებს. ცვლილების მიზანს ასევე წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ფიზიკური პირების დაკრედიტების დებულებით დადგენილი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო პრინციპების დაცვის

ხელშეწყობა, სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის შესაძლებლობის მიცემა დაკრედიტების პროცესში მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა. ცვლილება აძლევს საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საშუალებას იყოს ისეთი ინფორმაციის გამტარი, რომელიც დაეხმარება სესხის გამცემ ორგანიზაციებს, აარიდონ მომხმარებელს ჭარბვალთანობა.

### **საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ანგარიშგებების წარდგენა**

საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარსადგენი ცალკეული ანგარიშგებების, რომლებიც ამ დროისთვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით იგზავნება, NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით წარდგენის უზრუნველსაყოფად, ცვლილება შევიდა „NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 აპრილის №69/04 ბრძანებასა და „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებაში. შედეგად, სესხის გამცემი სუბიექტები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №8-ში მოცემულ სტატისტიკური მონაცემების ანგარიშგებას მომხმარებელთა პრეტენზიების შესახებ, ასევე, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები - „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 28 თებერვლის №37/04 ბრძანებით გათვალისწინებულ კონსოლიდირებულ კვარტალურ ანგარიშგებას ელექტრონულად, NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით წარადგენენ. ცვლილება შევიდა ასევე „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებაში. ცვლილება მოიცავს სესხის გამცემი სუბიექტებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ პრეტენზიების ყოველთვიური ანგარიშგებების გამოგზავნისას, აღნიშნული ანგარიშგების დამატებით NBFი დისტანციური ზედამხედველობის პორტალის მეშვეობით ატვირთვას, რაც საშუალებას მისცემს ორგანიზაციებს, თავიდან აიცილონ ტექნიკური ხარვეზები და საქართველოს ეროვნულ ბანკს დაეხმარება სწრაფ და ხარისხიან მონიტორინგში.

### **საკენსიო აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგია**

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის №258/04 ბრძანებით დამტკიცებული „დაგროვებითი საპენსიო სქემის საინვესტიციო



ფინანსური ინსტრუმენტების მინიმალური დასაშვები საკრედიტო რეიტინგისა და დაგროვებითი საპენსიო სქემის აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის მიმართ მოთხოვნების შესახებ წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 11 მარტის №22/04 ბრძანებით დამტკიცდა „საპენსიო აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგიით განისაზღვრა საპენსიო აქტივების ღირებულების გამოთვლისა და შეფასების ზოგადი პრინციპები. კერძოდ, გაიწერა შეფასების მიდგომები აქტივის ყველა კლასისთვის (მაგ. ვადიანი დეპოზიტები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, მიმდინარე ანგარიშები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ.), დაზუსტდა, როგორი მიდგომა იქნება საპენსიო სააგენტოს აქტიური ბაზრის მქონე/არმქონე აქტივების შეფასებისას და როგორ მოხდება აქტივების შეფასება ბაზარზე არაიდენტიფიცირებადი მონაცემების გამოყენებით; ასევე, დაკონკრეტდა, როგორ მოხდება საპენსიო აქტივების წმინდა ღირებულების გამოთვლა და რა მიდგომა იქნება შეფასებისას დაშვებული შეცდომებისადმი.

### **ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა**

2022 წელს ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა დაიხვეწა ფულის გათეთრების კუთხითაც. „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 13 ივნისის №62/04 ბრძანების მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან, რომელიც მაღალი რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიმართ გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების გამოყენების ვალდებულებას ადგენს, ხოლო იმავე კანონის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი, უფლებამოსილია, დაბალი რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტის მიმართ განახორციელოს გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, შეამციროს საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის განხორციელებისას გარიგებების შესწავლის სიხშირე და მოცულობა გონივრული თანხობრივი ზღვრის ფარგლებში. ბრძანების შესაბამისად, კომერციული ბანკის მიერ გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დამატებითი დოკუმენტების ასლების გამოთხოვა დამოკიდებული იქნება კლიენტის რისკის დონის შესაბამისად განსაზღვრულ თანხობრივ ზღვარზე, რაც თანხვედრაშია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც, ანგარიშვალდებული პირის მიერ გამოყენებული ღონისძიებები უნდა იყოს კლიენტის რისკის დონის შესაბამისი.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის მიმართ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და ევროკავშირის მიერ დაწესდა მთელი რიგი სანქციები. საქართველოს საფინანსო სექტორის საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით 2022 წლის 26 თებერვალს საქართველოში მოქმედ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებს ეროვნული ბანკის მითითების საფუძველზე დაევალით დაიცვან რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის მიმართ დაწესებული საერთაშორისო ფინანსური სანქციების მოთხოვნები და უზრუნველყონ ამ მიმართულებით ეფექტიანი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვა/შემუშავება. საქართველოს ეროვნული ბანკის მითითებების სათანადოდ აღსრულებისა და სანქციათა რეჟიმებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები განხორციელდა მთელ რიგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. ცვლილებები მიზნად ისახავს ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში ფინანსური სექტორის წარმომადგენლების, კერძოდ, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, სესხის გამცემი სუბიექტების, საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების მიმართ ჯარიმების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლის შექმნას.

ფულის გათეთრების მიმართულებით მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ასევე საინვესტიციო ფონდებისა და მისი მმართველი ორგანოს წევრების მიმართ ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის, ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესი, რომლის შემუშავების მიზანს წარმოადგენდა საინვესტიციო ფონდების ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა ფულადი ჯარიმების განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების გზით, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკი დაადგენს, რომ საინვესტიციო ფონდმა დაარღვია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის კანონმდებლობის ან/და ეროვნული ბანკისა და სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები.

ცვლილება შევიდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ პრევენციული ღონისძიებების ელექტრონულად განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 30 მარტის №48/04 ბრძანებით დამტკიცებულ წესშიც, რომელიც ემსახურება პროცესის დახვეწას ელექტრონული იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის მიზნობრიობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესი

სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის, ასევე სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკების გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა „საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესი“. პროექტის შემუშავება განპირობებული იყო „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის ფაქტებზე რეაგირების წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო.

აღნიშნული წესის მიზანია ყალბი ფულის ნიშნების გამოვლენის პროცესში ფართოდ ჩაერთონ არა მარტო საფინანსო სექტორის, არამედ არასაფინანსო სექტორის ის ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ ნაღდ ფულთან დაკავშირებულ ოპერაციებს და მათ მიერ გამოვლენილი ყოველი ყალბი ან/და საექვო ფულის დაუყოვნებლივ მიმოქცევიდან ამოღებით და სათანადო ორგანოების დროულად ინფორმირების გზით, არსებითად შეიზღუდოს საქართველოს ტერიტორიაზე ყალბი ფულის ნიშნების გავრცელება. წესში დეტალურად არის გაწერილი ყალბი ან საექვო ფულის ნიშნების გამოვლენისას პირთა უფლება-მოვალეობები, გამოვლენილი ყალბი ფულის ნიშნებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკის რეაგირება და ასევე ეროვნული ბანკის და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის საკითხები.

### **საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემა**

ცვლილება შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებაში, რომელიც უკავშირდება საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური ინფორმაციული სისტემის - სებსტატის გაფართოებას. კერძოდ, ამ ბრძანებით მოქმედებაში შევიდა სებსტატის კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემთა ოჯახი - „საბარათე ინსტრუმენტით, საბარათე მოწყობილობით და სხვა დისტანციური არხებით შესრულებული არაავტორიზებული ოპერაციების/ინციდენტების სტატისტიკა“, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს ეროვნული ბანკის განკარგულებაში არსებულ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზას.

### **კონფიდენციალურობის წესი**

საზოგადოების მხრიდან საბანკო მონაცემებზე მზარდი ინტერესების გათვალისწინებით, საფინანსო სექტორისადმი ნდობისა და ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა „ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის, მისი გაცემის წესისა და კონფიდენციალური ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2021 წლის პირველი ნოემბრის №4 დადგენილებაში

და კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკისთვის ყოველთვიურად მიწოდებული ის ძირითადი საფინანსო მაჩვენებლები, რომლებიც თავმოყრილია ბანკის მიერ წარმოდგენილ ყოველთვიურ საფინანსო ანგარიშგებაში, როგორცაა „საბალანსო უწყისი“, „მოგება-ზარალის უწყისი“, „ძირითადი მაჩვენებლები“, გასაჯაროვდა.

## 16 სტატისტიკური საქმიანობა

2022 წლის განმავლობაში, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური საქმიანობა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკის მიმართულებით განხორციელებული რამდენიმე აქტუალური პროექტით გამოირჩეოდა, რომლებიც მოწინავე საერთაშორისო სტატისტიკური ორგანიზაციების მიერ დანერგილ ტენდენციებს პასუხობს. აგრეთვე, წინა წლებში წამოწყებული პროექტები წარმატებით დასრულდა და მონაცემთა ბაზების გაფართოებისა და დეტალური მონაცემების შეგროვების მიმართულებით განსახორციელებელი სამუშაოები დაიგეგმა.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს ფინანსური და სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების - „სებსტატის“ სისტემაში შეგროვებული მონაცემების ხარისხზე და უტყუარობაზე. ამ მიზნით, 2021 წლის მიწურულს საქართველოში რეგისტრირებული მოქმედი იურიდიული პირების ერთიანი ბაზის წარმოება დაიგეგმა. აღნიშნული ბაზა მოიაზრებს საქართველოში რეგისტრირებული თითოეული იურიდიული პირისთვის განისაზღვროს ინსტიტუციური სექტორის კატეგორია, ეკონომიკური საქმიანობის სახეობა, რეზიდენტობა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი ზომითი კატეგორია. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, „სებსტატის“ სისტემაში არსებულ მონაცემებთან ერთად, გამოყენებული იქნა საქართველოს სტატისტიკის სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ მიწოდებული მონაცემები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური და მონეტარული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგიის გათვალისწინებით შემუშავდა იურიდიული პირებისთვის მახასიათებლების განსაზღვრისა და მინიჭების წესი. 2022 წლის აგვისტოში ერთიანი ბაზის მომზადება წარმატებით დასრულდა. მისი რედაქტირება და განახლება ყოველთვიური პერიოდულობით მიმდინარეობს. ერთიანი ბაზის დანერგვის შემდეგ, განახლებული მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე დაზუსტდა ინსტიტუციური სექტორები, მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გაუმჯობესდა შეგროვებული მონაცემების ხარისხი ბიზნეს-სესხების ინსტრუმენტის კრილში. კერძოდ, იურიდიული პირების განახლებული ზომითი კატეგორიების მიხედვით ბიზნეს-სესხების მოცულობების რეკლასიფიკაცია განხორციელდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022 წლის განმავლობაში წარმატებით გადავიდა ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის მეორე რედაქციაზე (NACE Rev.2),

რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის მიერ სხვადასხვა სახელმწიფოში წარმოებული ოფიციალური სტატისტიკის თავსებადობისა და ჰარმონიზების დონის ამაღლების მიზნით. კლასიფიკატორის განახლებული რედაქცია უფრო მეტად დეტალიზებულია და მორგებულია ეკონომიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესებთან, რომ უკეთ ასახოს ახალი და მიმდინარე ეკონომიკური აქტივობები. აღნიშნულმა ცვლილებამ მოგვცა საშუალება მეტი სიზუსტით შევაგროვოთ მონაცემები ეკონომიკური საქმიანობის ჭრილში და უკეთ გავაანალიზოთ მასთან დაკავშირებული პროცესები.

ეროვნული ბანკი მუდმივად ზრუნავს, აწარმოოს მომხმარებლების ინტერესებზე მორგებული ანგარიშგებები. მათ შორის, გამოირჩევა ფულადი გზავნილების ანგარიშგება, რომელიც როგორც ცხრილის ფორმატში, ასევე ინტერაქტიული ანგარიშგების სახით ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული. ფულადი გზავნილების ნაკადების დეტალური გაანალიზების და პროგნოზირების გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლის მეორე ნახევარში დაიგეგმა მონაცემთა ოჯახის გაფართოება. კერძოდ, კომერციული ბანკებიდან და სხვა ფინანსური ორგანიზაციებიდან ყოველდღიური სიხშირის სტატისტიკური მონაცემები ყოველთვიურად შეგროვდება. დამატებით მივიღებთ აგრეგირებულ მონაცემებს ტრანზაქციაში მონაწილე მხარეების შესახებ. შესაძლებელი იქნება მონაცემების დაჯგუფება როგორც ასაკობრივი ჯგუფების, ასევე მუნიციპალიტეტების მიხედვით, სადაც განხორციელდა გზავნილის განაღდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და შემუშავდა შემდგომი მოქმედების გეგმა. დაიგეგმა ფულად გზავნილებზე არსებული მონაცემთა სტრუქტურის მოდერნიზება და ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართვა. მთლიანობაში, ფულადი გზავნილების მონაცემთა ოჯახის გაფართოება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ფულადი სახსრების წარმოშობისა და დანიშნულების, ჩართული ვალუტის და ტრანზაქციის მონაწილე მხარეების შესახებ ინფორმაციის გაანალიზების და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

ფულადი გზავნილების მონაცემთა ოჯახის გაფართოებასთან ერთად კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი დაიგეგმა, რაც გულისხმობს უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების მონაცემთა ოჯახის გაფართოებას. შეგროვდება კომერციული ბანკების მიერ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია. კერძოდ, არსებული მონაცემთა ბაზა შეივსება დეტალური ყოველდღიური მონაცემებით ფორვარდული და სვოპის სახის ფინანსური წარმოებულებისა და სპოტის ოპერაციების შესახებ. ერთიანი მონაცემთა ბაზის მოსამზადებლად მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტმა ფინანსური ბაზრების დეპარტამენტთან ერთად დაიწყო ერთობლივი სამუშაოს დაგეგმვა კომერციულ ბანკებთან, რომლებიც ახორციელებენ ამ ტრანზაქციებს. ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა მონაცემთა სტრუქტურის გაცნობა კომერციული ბანკების შესაბამისი სამსახურებისთვის და

შედეგად სამუშაო ჯგუფები. აღნიშნული მონაცემთა ბაზა უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე უცხოური ვალუტის ოპერაციების სრულყოფილ აღქმას. ამ მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით დაინტერესებულ ფინანსურ ინსტიტუტებსა და აკადემიური წრის წამომადგენლებს შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია უცხოური ვალუტის ოპერაციებთან დაკავშირებული ტენდენციების, რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მონეტარული პოლიტიკისა და ფინანსური სექტორის რეგულირების და რისკების მართვის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

2022 წელს დასრულდა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების (FSI) ცხრილების მიგრაციის პროცესი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის ინიციატივით დაიწყო. აღნიშნული მიგრაციის პროცესი, რომელიც გულისხმობდა არსებული ცხრილების მოდიფიკაციასა და მეთოდოლოგიურ ცვლილებებს, ფაქტობრივად, უმოკლეს ვადაში განხორციელდა. არსებული, 2006 წლის, მეთოდოლოგია ჩანაცვლდა 2019 წლის, უახლესი მეთოდოლოგიით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ არის მომზადებული. მონაცემთა მიგრაციის პროცესში დეპოზიტების მიმღები სექტორის ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების დაანგარიშების მეთოდოლოგია ძირეულად გადაიხედა, ასევე შეგროვდა დამატებითი მონაცემები ახალი ინდიკატორების დასაანგარიშებლად. გაწეული სამუშაოების შედეგად, სრულად განახლდა დეპოზიტების მიმღები სექტორის FSI ინდიკატორები და 2022 წლის თებერვლიდან ხორციელდება ყოველთვიური მონაცემების საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა. ფინანსური სექტორის სხვა ქვესექტორების წარმომადგენლების FSI ინდიკატორების დასაანგარიშებლად შესასრულებელი სამუშაოები კვლავ გრძელდება.

2022 წლის მეორე ნახევარში, სებ-მა მონაცემთა ვიზუალიზაციისა და ანალიზის პლატფორმის Tableau BI მოძველებული ვერსია განაახლა. განახლებულ ვერსიას დაემატა ბევრი ახალი ფუნქციონალი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ანგარიშების მომზადებისა და სერვერის მართვის ფუნქციებს. კერძოდ, უკვე შესაძლებელია მონაცემების დამუშავება Python-ის, R-ის და სხვა ანალიტიკური ხელსაწყოების გამოყენებით. გაუმჯობესდა ინტერაქტიული საინფორმაციო დაფის წარმადობა, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია დიდი მოცულობის ანგარიშგებების აქსელერაცია. შედეგად, Tableau BI პლატფორმის ვერსიის განახლება მნიშვნელოვანი ნაბიჯია დასახული მიზნების რეალიზაციისა და ბიზნეს პროცესის პროდუქტიულად წარმართვის მიმართულებით. აგრეთვე გაიმართა ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც აღჭურვილია მანქანური სწავლებისთვის განკუთვნილი აპლიკაციებით. ამ ინსტრუმენტზე დაყრდნობით დაგეგმილია ალგორითმებისა და მოდელების შემუშავება, რომლებიც გამოყენებული იქნება დიდი მოცულობის მონაცემების სწრაფად და ეფექტურად დამუშავებისთვის, რაც საგრძნობლად გაამარტივებს მონაცემთა გადამოწმებისა და პროგნოზირების პროცესს და

საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და განვახორციელოთ სტრატეგიული ქმედებები ზუსტი და სანდო მონაცემების საფუძველზე.

ინტერაქტიული სტატისტიკის რუბრიკის მომხმარებელთა ფართო სპექტრის ინტერესების გათვალისწინებით, ოფიციალური გაცვლითი კურსების ინტერაქტიული ანგარიშების განზოგადება ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსების დამატებით განხორციელდა. აღნიშნული ანგარიშგება მიმდინარე წლის განმავლობაში გადიოდა ტესტირების ეტაპს და უკვე მომდევნო წელში დაგეგმილია ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. აგრეთვე, ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებლად მომზადდა სხვადასხვა დანიშნულებისა და დატვირთვის ანგარიშგებები, რომლებიც მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი იქნება მომდევნო წლის მეორე კვარტალში. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა დამუშავებისა და ტრანსფორმაციისთვის ეგრეთ წოდებული ETL<sup>101</sup> მექანიზმის ინსტრუმენტის გამოყენებით განხორციელდა ვებ-გვერდზე ცხრილის ფორმატში გამოქვეყნებული ანგარიშგებების გარდაქმნა Tableau BI პლატფორმის ფორმატში და მათი ნაწილი განთავსდა ვებ-გვერდზე. აღნიშნული მიმართულებით სამუშაო პროცესი კვლავ გრძელდება და დაგეგმილია Tableau BI პლატფორმის გამოყენებით ცხრილის ფორმატის ანგარიშგებების სრულად ჩანაცვლება. აღნიშნული მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს პერიოდული ანგარიშგებების მომზადების პროცესში ადამიანური ფაქტორის გამოყენებისა და რისკების მინიმიზაციაში. აგრეთვე, ბმულის გამოყენებით მონაცემების ფილტრაცია და სასურველ ჭრილებში მონაცემების ინტერაქტიული სტატისტიკის პორტალიდან ამოღება შესაძლებელი. ამრიგად, საქართველოს ეროვნული ბანკი მუდმივად ცდილობს სტატისტიკურ საქმიანობაში მოიძიოს და დანერგოს ინოვაციური პრაქტიკა და ფოკუსირდეს თანამედროვე ტენდენციებზე.

---

<sup>101</sup> ETL (Extract, Transform, Load) - ზოგადი პროცედურა სხვადასხვა წყაროდან (MS SQL, MS Excel და ა.შ.) მონაცემების შემოტანის, გარდაქმნის და საჭირო ფორმატში შენახვის შესახებ.





საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრით  
დასრულებული წლისათვის

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## სარჩევი

---

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4 -6
ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:	
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7- 8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9 - 10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11 - 12
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	13 - 14
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	15 - 73

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საქართველოს ეროვნული ბანკის („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საოპერაციო საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
  - ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის, საიმედო, შესაძარის და აღქმად ინფორმაციას;
  - დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით მუშაობის გაგრძელების უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომლებიც წარმოადგენენ და განმარტავენ ბანკის ოპერაციებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფენ ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (ფასს) შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაცემად 2023 წლის 21 აპრილს.

ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი  
არჩილ მესტირიშვილი



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
ანდრია მანელაშვილი



შპს „KPMG Georgia“  
ჯი ემ თი პლაზა, სართული 5  
მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი, N4, (ნაკვ.66/4)  
თბილისი, საქართველო 0105  
ს/კ 404437695  
ტელეფონი: +995 322 93 5713  
ინტერნეტი: www.kpmg.ge

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

### დასკვნა

ჩვენ მოვახდინეთ საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისად, ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვაპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

### სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს წლიური ანგარიშის შემადგენელ ინფორმაციას, თუმცა არ მოიცავს მასში შემავალ ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის დასკვნას.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არ გამოვთქვავთ არავითარ რწმუნებას მასზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმით, რომ გავეცნოთ სხვა ინფორმაციას, რათა, განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან არის თუ არა სხვაგვარად არსებითად უზუსტო.

შპს „KPMG Georgia“, კომპანია რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, KPMG-ის დამოუკიდებელი წევრი ფირმების გლობალური ორგანიზაციის წევრი ფირმა, რომელიც ერთიანდება გარანტიით შეზღუდულ კერძო ინგლისურ კომპანიაში KPMG International Limited.



იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაო საფუძველზე, სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას აღმოვაჩინოთ, ჩვენ გვაქვს ამ ფაქტის მოხსენების ვალდებულება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ არაფერი აღმოგვიჩენია.

**ხელმძღვანელობის და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბანკის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ბანკის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძველის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ბანკის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საადრიცხო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.



- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ბანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ბანკი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ კეჟერაძე



შპს „KPMG Georgia“  
თბილისი, საქართველო  
21 აპრილი 2023

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნები	დასრულებული	დასრულებული
		წლისათვის 31 დეკემბერი 2022	წლისათვის 31 დეკემბერი 2021
<b>საპროცენტო შემოსავალი საერთაშორისო რეზერვების მართვის ოპერაციებიდან</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		20,413	1,014
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		105,079	65,088
სხვა		15,305	535
		<b>140,797</b>	<b>66,637</b>
<b>საპროცენტო შემოსავალი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან</b>			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		356,846	275,850
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		157,006	110,004
უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		5,209	17,478
		<b>519,061</b>	<b>403,332</b>
<b>სხვა საპროცენტო შემოსავალი</b>			
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით უარყოფითი საპროცენტო ხარჯი ფინანსურ ვალდებულებებზე		11,844	13,906
სხვა		110	300
		<b>3</b>	<b>20</b>
		<b>11,957</b>	<b>14,226</b>
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით</b>		<b>671,815</b>	<b>484,195</b>
<b>საპროცენტო ხარჯი მონეტარული პოლიტიკის ოპერაციებიდან</b>			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ		(6,628)	(5,639)
		<b>(74,318)</b>	<b>(53,026)</b>
		<b>(80,946)</b>	<b>(58,665)</b>
<b>სხვა საპროცენტო ხარჯები</b>			
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ		(46,347)	(19,857)
ვალდებულებები კლიენტების მიმართ		(562)	-
საპროცენტო ხარჯები საიჯარო ვალდებულებებზე უარყოფითი საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე (საერთაშორისო რეზერვები)		(117)	(58)
		<b>(1,204)</b>	<b>(4,240)</b>
		<b>(48,230)</b>	<b>(24,155)</b>
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>		<b>(129,176)</b>	<b>(82,820)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>542,639</b>	<b>401,375</b>
გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	28	(8)	202
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების შემდეგ</b>		<b>542,631</b>	<b>401,577</b>
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან:			
- ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(475,157)	(259,086)
- მოგება სავაჭრო ოპერაციებიდან		147,720	68,336
გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები	4	4,981	3,439
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები	4	(3,717)	(3,067)

დასრულებული

დასრულებული


მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)  
 (ათასი ლარი)

	შენიშვნები	წლისათვის 31 დეკემბერი 2022	წლისათვის 31 დეკემბერი 2021
წმინდა რეალიზებული (ზარალი)/მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(24,490)	7,607
წმინდა რეალიზებული მოგება ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		47,698	13,694
წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით		34,647	14,036
სხვა შემოსავლები	5	3,452	6,317
<b>წმინდა არასაპროცენტო (ხარჯი)/შემოსავალი</b>		<b>(264,866)</b>	<b>(148,724)</b>
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	6	(32,955)	(31,155)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(13,269)	(12,580)
ფულის ბეჭდვის ხარჯი		(12,076)	(25,128)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(8,210)	(7,657)
სხვა ხარჯები	5	(4,176)	(5,004)
<b>არასაპროცენტო ხარჯი</b>		<b>(70,686)</b>	<b>(81,524)</b>
<b>წლის მოგება</b>		<b>207,079</b>	<b>171,329</b>
<b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)</b>			
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირებულ იქნას მოგებაში ან ზარალში:</i>			
წმინდა არარეალიზებული (ზარალი)/მოგება წლის განმავლობაში იმ ფინანსური ინსტრუმენტების გადავსებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(156,546)	(117,890)
წმინდა რეალიზებული ზარალი ფინანსური ინსტრუმენტებიდან, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში		24,490	(7,607)
<b>სულ სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი</b>		<b>(132,056)</b>	<b>(125,497)</b>
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>75,023</b>	<b>45,832</b>

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 73-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 21 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარის  
 მოვალეობის შემსრულებელი  
 არჩილს მესტვირიშვილი



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
 დეპარტამენტის უფროსი  
 ანდრია მანელაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<b>აქტივები:</b>			
<b>აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>			
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	3,867,452	3,623,929
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,249,154	1,506,927
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	45,653	14,235
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,372	329,975
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,809,221	7,759,488
<b>სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>			
სხვა აქტივები	17	657	8
		<b>13,244,509</b>	<b>13,234,562</b>
<b>აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>			
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები</b>			
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	8	3,456,584	3,147,015
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	734	3,864
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	2,272,589	1,649,777
<b>სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>			
ინვესტიციები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით	13	121,390	161,461
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი იჯარის მიხედვით	14	1,537	387
ძირითადი საშუალებები	15	54,127	57,297
არამატერიალური აქტივები	16	5,312	5,446
სხვა აქტივები	17	4,744	4,586
		<b>5,917,017</b>	<b>5,029,833</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>19,161,526</b>	<b>18,264,395</b>

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგებისა.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
<b>ვალდებულებები და კაპიტალი:</b>			
<b>ვალდებულებები:</b>			
<b>უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები</b>			
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები</b>			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,499,478	5,120,817
<b>სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>			
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	217,265	224,018
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	623,860	788,312
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,408,008	2,945,597
სხვა ვალდებულებები	17	8,621	3,485
		<b>8,757,232</b>	<b>9,082,229</b>
<b>ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებები</b>			
მიმოქცევაში გაშვებული ფული	21	5,040,547	4,589,034
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები</b>			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,135	59,124
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	1,225,303	444,053
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	10	1,649	-
<b>სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>			
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	1,155,878	894,785
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	20	7,187	605
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,175	2,620
სხვა ვალდებულებები	17	475,183	366,951
		<b>7,967,057</b>	<b>6,357,172</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>16,724,289</b>	<b>15,439,401</b>
<b>კაპიტალი:</b>			
საწესდებო კაპიტალი	23	15,000	15,000
სარეზერვო ფონდი	23	939,559	754,750
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	23	1,620,491	2,095,648
სხვა გადაფასების რეზერვი	23	48,683	14,036
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	23	(186,496)	(54,440)
გაუნაწილებელი მოგება	23	-	-
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>2,437,237</b>	<b>2,824,994</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>19,161,526</b>	<b>18,264,395</b>

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 73-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 21 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი  
არჩლ მესტვირიშვილი



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
ანდრია მანელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>1 იანვარი 2021</b>	<b>15,000</b>	<b>475,292</b>	<b>2,354,734</b>	<b>-</b>	<b>71,057</b>	<b>359,139</b>	<b>3,275,222</b>
<b>სულ სრული შემოსავალი</b>							
წლის მოგება	-	-	-	-	-	171,329	171,329
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>							
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:</i>							
წმინდა არარეალიზებული მოგება რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	(117,890)	-	(117,890)
წმინდა რეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	(7,607)	-	(7,607)
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	(125,497)	-	(125,497)
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(125,497)</b>	<b>171,329</b>	<b>45,832</b>
<b>კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები</b>							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადარიცხვა 2020 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(140,000)	(140,000)
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2021 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(356,060)	(356,060)
გადატანა სარეზერვო ფონდში 2020 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	219,139	-	-	-	(219,139)	-
გადატანა სარეზერვო ფონდში 2021 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	60,319	-	-	-	(60,319)	-
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	(259,086)	-	-	259,086	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	14,036	-	(14,046)	-
<b>სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები</b>	<b>-</b>	<b>279,458</b>	<b>(259,086)</b>	<b>14,036</b>	<b>-</b>	<b>(530,469)</b>	<b>(496,060)</b>
<b>31 დეკემბერი 2021</b>	<b>15,000</b>	<b>754,750</b>	<b>2,095,648</b>	<b>14,036</b>	<b>(54,440)</b>	<b>-</b>	<b>2,824,994</b>

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება


2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)


(ათასი ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო ფონდი	უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვი	სხვა გადაფასების რეზერვი	რეალ. ღირ. შეფ. სხვა სრულ შემოს. ასახ. ინვესტიციების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>სულ სრული შემოსავალი</b>							
წლის მოგება	-	-	-	-	-	207,079	207,079
<b>სხვა სრული შემოსავალი</b>							
<i>მუხლები, რომლებიც შეიძლება შემდგომში რეკლასიფიცირდეს მოგებაში ან ზარალში:</i>							
წმინდა არარეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასებიდან წლის განმავლობაში	-	-	-	-	(156,546)	-	(156,546)
წმინდა რეალიზებული ზარალი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციებიდან, რომლებიც რეკლასიფიცირდა მოგებაში ან ზარალში	-	-	-	-	24,490	-	24,490
<b>სულ სხვა სრული შემოსავალი</b>	-	-	-	-	<b>(132,056)</b>	-	<b>(132,056)</b>
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>	-	-	-	-	<b>(132,056)</b>	<b>207,079</b>	<b>75,023</b>
<b>კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები</b>							
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2022 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	-	-	(462,780)	(462,780)
გადატანა სარეზერვო ფონდში 2022 წლის მოგებიდან, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	184,809	-	-	-	(184,809)	-
უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში გადატანა, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	(475,157)	-	-	475,157	-
გადატანა სხვა გადაფასების რეზერვში, კანონის* მოთხოვნების შესაბამისად (შენიშვნა 23)	-	-	-	34,647	-	(34,647)	-
<b>სულ კაპიტალში პირდაპირ ასახული ოპერაციები</b>	-	<b>184,809</b>	<b>(475,157)</b>	<b>34,647</b>	-	<b>(207,079)</b>	<b>(462,780)</b>
<b>31 დეკემბერი 2022</b>	<b>15,000</b>	<b>939,559</b>	<b>1,620,491</b>	<b>48,683</b>	<b>(186,496)</b>	-	<b>2,437,237</b>

\* საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 73-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 21 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:

  
საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი  
არჩილ მესტიერიშვილი

  
ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
ანდრია მანელაშვილი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	დასრულებული წლისათვის შენიშვნები 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		
მიღებული პროცენტი	663,498	565,337
გადახდილი პროცენტი	(118,239)	(81,854)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	4,981	3,439
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(3,717)	(3,067)
წმინდა მოგება რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა, მოგებაში ან ზარალში ასახვით	47,698	13,694
წმინდა რეალიზებული მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან	147,720	68,336
სხვა მიღებული შემოსავალი	3,442	4,080
თანამშრომლებზე გადახდილი ხარჯები	(32,955)	(31,155)
ფულის ბეჭდვაზე გადახდილი ხარჯი	(9,633)	(25,128)
სხვა გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(14,083)	(12,803)
<b>ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>	<b>688,712</b>	<b>500,879</b>
<i>წმინდა (ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</i>		
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	(308,699)	68,929
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	(4,421)	(883,497)
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	1,644	10,698
ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით	(7,727)	(174,052)
სხვა აქტივები	(348)	7,523
<i>წმინდა ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:</i>		
მიმოქცევაში გაშვებული ფული	451,513	(72,394)
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1,903,599	95,462
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ	200,721	316,291
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	6,582	(790)
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ვალდებულებები	1,649	-
სხვა ვალდებულებები	1,945	(469)
<b>ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,935,170</b>	<b>(131,420)</b>

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (გაგრძელებული)

(ათასი ლარი)

	შენიშვნები	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისათვის 31 დეკემბერი 2021
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>			
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული თანხები			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(3,617)	(7,208)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(1,884)	(2,557)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების შესყიდვა		(13,267,050)	(13,220,941)
რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების დაფარვით მიღებული შემოსავალი		11,485,798	12,630,788
<b>ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(1,786,753)</b>	<b>(599,918)</b>
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:</b>			
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის გადარიცხვა	23	(356,060)	(140,000)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება		253,383	254,212
სავალო ფასიანი ქაღალდების დაფარვა		(253,968)	(254,912)
საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან თანხების მიღება	9, 26	-	1,273,308
საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის თანხების დაბრუნება	26	(46,991)	(10,962)
<b>ფულადი სახსრების წმინდა (გადინება)/შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>(403,636)</b>	<b>1,121,646</b>
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისთვის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი		(501,258)	(368,866)
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		243,523	21,442
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში</b>	<b>7</b>	<b>3,623,929</b>	<b>3,602,487</b>
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს</b>	<b>7</b>	<b>3,867,452</b>	<b>3,623,929</b>

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც წარმოდგენილია 15-დან 73-ე გვერდებზე, დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 21 აპრილს და ხელმოწერილია ბანკის საბჭოს სახელით:



საბჭოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი  
არჩილ მესტიერიშვილი



ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის  
დეპარტამენტის უფროსი  
ანდრია მანელაშვილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს თანდართულ შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## ორგანიზაცია

საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) წარმოადგენს საქართველოს ცენტრალურ ბანკს და საქართველოს მთავრობის ბანკირსა და ფისკალურ აგენტს. ბანკი შეიქმნა 1991 წლის 2 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე. ამჟამად ბანკი საკუთარ საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს (შემდგომში „კანონი“).

ბანკის ძირითადი ამოცანა და პასუხისმგებლობა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, ფინანსური სექტორის სტაბილურობა და ეფექტურობა, ეროვნული ვალუტის ემისია და საერთაშორისო რეზერვების მართვაა. ეს პასუხისმგებლობები განიხილება ქვემოთ აღწერილი ფუნქციების შემადგენელ ნაწილად.

## მონეტარული პოლიტიკა

ბანკის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ფასების სტაბილურობა გულისხმობს ზომიერი და პროგნოზირებადი ინფლაციის განაკვეთის არსებობას, რომელიც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. გარდა ამისა, ეროვნული ბანკი ახორციელებს ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერას და ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, თუ ამ უკანასკნელი მიზნების განხორციელება თანხვედრაშია მთავარ მიზანთან - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან. მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკა მიზნად ისახავს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოტენციალისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

## ზედამხედველობა და ფინანსური სტაბილურობა

ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. ამ მიზნების განხორციელებისთვის ეროვნული ბანკს აქვს უფლებამოსილება ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური და ფასიანი ქაღალდების ბაზრების სხვადასხვა წარმომადგენლების - კომერციული ბანკების, საბანკო ჯგუფების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების (გარდა სადაზღვევო ბროკერებისა), საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, საინვესტიციო ფონდების, საგადახდო სისტემის ოპერატორების, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, სესხის გამცემი სუბიექტების, ვირტუალური აქტივის მომსახურების პროვაიდერების და საქართველოს საპენსიო სააგენტოს (საინვესტიციო საქმიანობასთან მიმართებით) საქმიანობას.

საქართველოს ეროვნული ბანკი შესაბამისი საზედამხედველო ჩარჩოს ფარგლებში ხელს უწყობს მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვას. ამასთან ერთად, ფინანსური სტაბილურობისა და ფიზიკური პირების კეთილდღეობის ხედვით, სამთავრობო სტრუქტურებიდან, კერძო ფინანსური სექტორიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით, ბანკმა განავითარა ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგია, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის და ფინანსური ჩართულობის მიმართულებით გაწეული ძალისხმევის შემავსებელი ნაწილი.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## ვალუტის ემისია

მხოლოდ ბანკს აქვს მიმოქცევისათვის განკუთვნილი ლარის ბანკნოტების და მონეტების დამზადებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მათი ემისიის უფლება. ბანკი განსაზღვრავს ლარის ბანკნოტებისა და მონეტების დიზაინს, მასალასა და სხვა მახასიათებლებს, ბანკნოტების ბეჭდვა და მონეტების დამზადება ხდება წამყვანი საერთაშორისო მომწოდებლების მიერ.

## საერთაშორისო რეზერვების მართვა

სავალუტო პოლიტიკისა და ოპერაციების მიზნებისთვის, ბანკი ფლობს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული რეზერვების პორტფელს, რაც განკუთვნილია, მაგალითად ფინანსური კრიზისის პერიოდში საგარეო შოკების ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად შესაბამისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფით, საქართველოს მთავრობისათვის და ასევე ბანკისთვის უცხოური ვალუტით გადახდების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობისთვის.

## საგადახდო სისტემები

ბანკი ახორციელებს ქვეყანაში უდიდესი საგადახდო სისტემის „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა“-ის (RTGS) ოპერირებას, რომელიც უზრუნველყოფს ბანკთაშორის ანგარიშსწორებას და საქართველოს მთავრობის გადახდებს ეროვნულ ვალუტაში.

## ხელმძღვანელობა

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის საბჭო (შემდგომში „საბჭო“) შედგება შემდეგი წევრებისაგან:

თანამდებობა	სახელი, გვარი (2022)	სახელი, გვარი (2021)
თავმჯდომარე	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)	კობა გვენეტაძე (პრეზიდენტი)
წევრი	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)	არჩილ მესტვირიშვილი (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)	პაპუნა ლეჟავა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	ნიკოლოზ გაგუა (ვიცე-პრეზიდენტი)	ნიკოლოზ გაგუა (ვიცე-პრეზიდენტი)
წევრი	რობერტ ჰ. სინგლეთარი	რობერტ ჰ. სინგლეთარი
წევრი	ეკატერინე გალდავა	ეკატერინე გალდავა
წევრი	ეკატერინე მიქაბაძე	ეკატერინე მიქაბაძე
წევრი	ნათელა თურნავა	-

საბჭო შედგება 9 წევრებისგან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბჭოს 1 წევრის პოზიცია იყო ვაკანტური (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 2 პოზიცია).

კობა გვენეტაძის პრეზიდენტობის ვადა ამოიწურა 2023 წლის მარტში. ბანკის პრეზიდენტისა და საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ასრულებს არჩილ მესტვირიშვილი.

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, 0114, თბილისი, საქართველო. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს სალარო მომსახურების ერთი ცენტრი. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკში დასაქმებული იყო 538 და 552 თანამშრომელი, შესაბამისად.



# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარით)

## ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

### შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად („ფასს“).

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეკონომიკური და ბუღალტრული აღრიცხვის ფარგლებში, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ პოზიციას და ამავდროულად ხელს უწყობს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ ანალიზს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები გაყოფილია უცხოურ და ეროვნულ ვალუტებად (წარმოდგენილია შესაბამისი სათაურების ქვეშ), რაც უკეთ ასახავს ბანკის ოპერაციების ეკონომიკურ შინაარსსა და რისკებს. ბანკის აქტივები უცხოურ ვალუტაში ძირითადად დაკავშირებულია ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვის ფუნქციასთან. ამავდროულად, ბანკის აქტივები და ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში აღიარებულია იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია მონეტარული პოლიტიკის გატარებასთან, ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან და კანონით განსაზღვრულ ბანკის სხვა ფუნქციებთან. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ეკონომიკური კონცეფცია დამატებით ნაჩვენებია საერთაშორისო რეზერვებისა და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ქვე-სათაურების ქვეშ, შესაბამისად. მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება განცალკევებით წარმოადგენს საპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს და არასაპროცენტო შემოსავლებს/ხარჯებს ბანკის ოპერაციების მიხედვით. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდის გამოყენებით.

### შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ასევე ინვესტიციებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

### სამუშაო და ანგარიშგების წარდგენის ვალუტა

ვინაიდან ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს ღია ბაზრის ოპერაციების მნიშვნელოვან როლს მონეტარული პოლიტიკის განხორციელებაში, მისი ძირითადი საქმიანობა, შესაბამისად, არის ლარის ბანკნოტებისა და მონეტების გამოშვება, რომელიც საქართველოს ეროვნული ვალუტაა და რომელიც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის სამუშაო და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს. მაშასადამე, ყველა ნაშთი და ოპერაცია, რომელიც ასახულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში განიხილება როგორც „უცხოური ვალუტა“.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი ლარში, დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც სხვანაირად არის მითითებული.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა არის გამოყენებული ამ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის და ბანკი მას იყენებს თანამიმდევრულად.

### ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი მხარის ფინანსურ აქტივს ასევე მეორე მხარის ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ბანკის ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელში წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდები ეროვნულ ვალუტაში, უცხოური ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (სუპრა-ნაციონალური) და სახელმწიფო სააგენტოების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდები, საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერული კონტრაქტები და ოფციონები, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (სსფ) ანგარიშები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ, ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს, სფ-სა და ადგილობრივი კომერციული ბანკების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს აღრიცხავს ფასს 9 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ შესაბამისად და წარადგენს ამ ინსტრუმენტებს ფასს 7- „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ და ფასს 13 „რეალური ღირებულებით შეფასება“ შესაბამისად.

### კლასიფიკაცია

ბანკი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შემდეგ კატეგორიებად: შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით (AC), შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). კლასიფიკაცია დამოკიდებულია ბიზნეს მოდელზე, რომლის მიხედვითაც იმართება ფინანსური აქტივები და მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე. ბანკის ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოადგენენ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია განისაზღვრება მათი თავდაპირველი აღიარების მომენტში.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

სავალო ფინანსური ინსტრუმენტი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის საკუთარი შეხედულებისამებრ არ არის კლასიფიცირებული როგორც შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტების შემოსულობა და ზარალი, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, გარდა შემდეგისა, რაც აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმავე სახით როგორც აქტივებისთვის, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით:

- საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და მისი ანულირება; და
- სავალუტო კურსების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი

როდესაც ხდება იმ სავალო ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, რომელიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარების მომენტში, ბანკს შეუძლია იმ ფინანსურ აქტივს, რომელიც სხვა მხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რათა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკუთარი ინიციატივით, მიანიჭოს კატეგორია „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“, თუ ამგვარი კლასიფიკაცია მთლიანად აღმოფხვრის, ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობებს, რაც სხვა მხრივ წარმოიქმნებოდა.

### ბიზნესმოდელის შეფასება

ბანკი პორტფელის დონეზე აფასებს იმ ბიზნესმოდელის მიზანს, რომლის პირობებშიც ის ფლობს აქტივს, რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ იმართება საქმიანობა და თუ როგორ მიეწოდება ინფორმაცია ხელმძღვანელობას. გაითვალისწინება შემდეგი ინფორმაცია:

- პორტფელის ფლობის მიზანი;
- გაყიდვების (როგორც წარსული, ისე მომავალი) სიხშირე, მოცულობა და დრო;
- ის, თუ როგორ ხდება ბიზნესმოდელისა და ფინანსური აქტივების შედეგების შეფასება და ანგარიშგება ბანკის ხელმძღვანელობასთან;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესმოდელის შედეგებზე, კერძოდ, თუ როგორ იმართება ეს რისკები (რათა მიზანი მიღწეულ იქნას);
- თუ რამდენად შეადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (მაგალითად, საპროცენტო შემოსავალი) პორტფელზე უკუგების მნიშვნელოვან ნაწილს;

*შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას*

იმის შესაფასებლად, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ძირი თანხა განისაზღვრება, როგორც ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების (მაგალითად ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები) სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟა.

იმის შეფასებისას, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, ბანკი

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. აღნიშნული მოიცავს შეფასებას, თუ რამდენად შეიცავს ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობას, რომელსაც შეუძლია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადის ან მოცულობის შეცვლა ისე, რომ აღარ კმაყოფილდებოდეს ეს მდგომარეობა. შეფასებისას ბანკი ითვალისწინებს:

- პირობით მოვლენებს, რომლებიც შეცვლიდა ფულადი ნაკადების მოცულობას და ვადას;
- ლევერიჯის მახასიათებლებს;
- წინასწარი გადახდის და ვადის გაგრძელების პირობებს;
- პირობებს, რომლებიც ზღუდავენ ბანკის მოთხოვნას ფულად ნაკადებზე კონკრეტული აქტივებიდან (მაგალითად, რეგრესის უფლების არმქონე შეთანხმებები), და
- მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ ფულის დროითი ღირებულების ანაზღაურების მოდიფიცირებას - ანუ საპროცენტო განაკვეთების პერიოდული განახლება

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი აღიარება

ბანკი ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ფინანსური აქტივის და ვალდებულებების ჩვეულებრივი ყიდვის ან გაყიდვის აღიარება ხდება განადგობის დღის მდგომარეობით აღრიცხვის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, რომლებიც არ აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას ან ფინანსური ვალდებულების ემისიას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მოგებაში ან ზარალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მათი შემდგომი შეფასების სააღრიცხვო პოლიტიკა გამჟღავნებულია ქვემოთ, შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკებში.

### ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

#### ფინანსური აქტივები

ბანკი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა ამოიწურება, ან თუ ის სხვა საწარმოს გადასცემს ფინანსურ აქტივებს და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს, ან თუ ბანკი არ გადასცემს და არ ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე. თუ ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და ასევე მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულიად შეწყვეტისას სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებული და მისაღები ანაზღაურების და სხვა სრულ შემოსავლებში აღიარებული და კაპიტალში დაგროვილი მოგებისა ან ზარალის ჯამს შორის, ექვემდებარება აღიარებას მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, გარდა მთლიანი შეწყვეტისა (მაგალითად, როდესაც ბანკი ინარჩუნებს უფლებას გამოისყიდოს გადაცემული აქტივის ნაწილი), ბანკი ანაწილებს ფინანსური აქტივის ადრინდელ საბალანსო ღირებულებას იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

გრძელდება მონაწილეობის პროპორციულად და იმ ნაწილზე, რომლის აღიარებაც უკვე შეწყდა, ამ ნაწილების გადაცემის განხორციელების დღისათვის არსებულ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. მოგებაში ან ზარალში აღიარდება სხვაობა შეწყვეტილ ნაწილზე გადანაწილებულ საბალანსო ღირებულებასა და შეწყვეტილ ნაწილზე მიღებული კომპენსაციისა და ნებისმიერი აკუმულირებული შემოსულობის ან ზარალის ჯამს შორის, რომელიც გადანაწილებული იყო სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ნაწილზე. აკუმულირებული შემოსავალი ან ზარალი, რომელიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში, გადანაწილდება იმ ნაწილებს შორის, რომელთა აღიარებაც გრძელდება და რომელთა აღიარებაც უკვე შეწყდა ამ ნაწილების შესაბამის რეალურ ღირებულებებზე დაყრდნობით.

### ფინანსური ვალდებულებები

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება, ან ვადა გაუვა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება იმავე მსესხებლისაგან მიღებულ მეორე ვალდებულებას, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ანუღირება და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. სხვაობა ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ ან გადახდილ თანხას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

### შეფასების პრინციპები

#### რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ძირითად ბაზარზე ან მისი არარსებობის შემთხვევაში უფრო საიმედო ბაზარზე, რომელიც ბანკისათვის ხელმისაწვდომია მოცემული დღისათვის. ვალდებულების რეალური ღირებულება ასახავს მისი გადაუხდელობის რისკს.

ბანკი ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას აფასებს ამ ინსტრუმენტისათვის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასების გამოყენებით იმ შემთხვევაში თუ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ბაზარი არის აქტიური, თუ გარიგებები წარმოებს საკმარისი სიხშირით და მოცულობით, რაც უზრუნველყოფს ფასების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიღებას.

იმ შემთხვევაში, თუ აქტიურ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასები, ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ შესაბამისი ბაზრის მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობიან არადაკვირვებად მონაცემებს. შერჩეული შეფასების ტექნიკა ითვალისწინებს ყველა ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ არსებულ პირობებში.

ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელი არის გარიგების ღირებულება, ანუ მიღებული და გადახდილი თანხების რეალური ღირებულება. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან და რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება ვერც კოტირებული ფასების საშუალებით აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივის ან ვალდებულებისათვის, ვერც შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და სხვაობა გარიგების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის გადავადდება. შემდგომში ეს სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში ფინანსური ინსტრუმენტის სიცოცხლის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს მომენტისა, როდესაც შესაძლებელი გახდება შეფასება ან ტრანზაქცია დაიხურება.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

რეალური ღირებულების დასადგენად ბანკი იყენებს კოტირებულ საბაზრო ფასებს. კოტირებული საბაზრო ფასები საერთაშორისო ფასიანი ქაღალდებისათვის მიიღება ყოველდღიურად ბლუმბერგის სისტემიდან და ეფუძნება მიმდინარე მიწოდების ფასებს. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ეს ფასები საკმარისად ასახავს ფასიანი ქაღალდების ღირებულებას საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე მომენტისათვის არსებულ საბაზრო ინფორმაციაზე დაყრდნობით და სრულად შეესაბამება ბანკის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო პოლიტიკას.

თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი ინვესტიციებისთვის, ბანკი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს წმინდა ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების ანალიზისა და შეფასების სხვა სათანადო მეთოდების საშუალებით. შეფასების ტექნიკები მოიცავს საფონდო ბირჟაზე გათვითცნობიერებულ და სურვილის მქონე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით დადებული უკანასკნელი გარიგებების გამოყენებას, არსებითად ისეთივე სხვა ინსტრუმენტის მიმდინარე რეალური ღირებულების გამოყენებას და დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზს, რომელიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად ეყრდნობა ორგანიზაციის სპეციფიკურ მონაცემებს.

### ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიიღება შემდეგნაირად: ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ღირებულებას თავდაპირველი აღიარების დროს, გამოკლებული ძირითადი გადასახდელი თანხები, დამატებული ან გამოკლებული აკუმულირებული ამორტიზაცია თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერ სხვაობაზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და გამოკლებული გაუფასურების ზარალი. პრემია და დისკონტი, საწყისი ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და მისი ამორტიზაცია ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

### ფინანსური აქტივები

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში დენომინირებულს უცხოურ ვალუტაში, თავისუფალ სახსრებს საკორესპონდენტო ანგარიშებზე და გაცემის დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე დაფარვის საწყისი ვადის მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, ვადიან დეპოზიტების ჩათვლით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შემდგომ შეფასებულნი არიან ამორტიზებული ღირებულებით.

#### საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (IMF) და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წევრობა

„კანონის“ მე-5 მუხლის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, აქვს უფლება აიღოს ვალდებულებანი და აწარმოოს საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად “IMF”, მსოფლიო ბანკი) მუშაობაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული ოპერაციები, რაც ასევე მოიცავს ამ ორგანიზაციებისათვის საწევრო შენატანების გადახდას.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### *ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები*

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ბანკი ფლობს სესხებს, დეპოზიტებს, მიმდინარე ანგარიშებს და სხვა მოთხოვნებს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ სხვადასხვა პერიოდულობით. ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის პირობებშიც იმართება ეს ფინანსური აქტივები, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. ამ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. ამ კატეგორიაში მოიაზრება მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ და სხვა ფინანსური აქტივები. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ბანკის ინვესტიციები აგრეთვე მოიცავს საქართველოს მთავრობის ფასიან ქაღალდებს.

იმ სავალ ფინანსური ინსტრუმენტის პრემია და დისკონტი, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულების გამოთვლის მეშვეობით. დარიცხული პროცენტი აღიარდება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შესაბამის მუხლებში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი ითვალისწინებს თანდაყოლილი განაკვეთის გამოყენებას, რომლის მიხედვითაც ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე, ისე რომ პროცენტი აღიარდეს მუდმივი შემოსავლიანობის მქონე განაკვეთის საფუძველზე.

### *რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები*

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შედგება საერთაშორისო რეზერვების ნაწილისგან, რომელიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ, რაც წარმოადგენს ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში (BISIP CNY). ბიზნესმოდელის მიზანი, რომლის მიხედვითაც იმართება ინვესტიცია, მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით. თუმცა, სახელშეკრულებო პირობები არ წარმოქმნის კონკრეტულ თარიღებში ისეთ ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითად თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

### *წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*

ბანკი უცხოური ფასიანი ქაღალდების პორტფელის საპროცენტო რისკის მართვისათვის იყენებს საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერულ კონტრაქტებს და ოფციონებს, რომლებით ვაჭრობაც მიმდინარეობს საზღვარგარეთის ბირჟებზე. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერული კონტრაქტები არის პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე მიბმული ფიუჩერული კონტრაქტები, რომლებიც ბანკს საშუალებას აძლევს პროცენტის მატარებელ ინსტრუმენტზე დააფიქსიროს ფასი მომავალი თარიღისათვის. ბირჟაზე ნავაჭრი საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერული კონტრაქტების ოფციონი წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს მფლობელს მიიღოს სარგებელი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისაგან. ბანკი ასევე იყენებს უცხოური ვალუტის წარმოებულ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში არსებულ ინვესტიციებზე სავალუტო რისკის მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთების ფიუჩერები და ოფციონები კლასიფიცირდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით კონტრაქტის დადების თარიღისათვის და შემდგომ ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის გადაფასდება რეალური ღირებულებით. ანგარიშგების თარიღისათვის რეალური ღირებულება ეფუძნება ბლუმბერგით მიღებულ მიწოდების ფასებს და მიღებული გადაფასების მოგება/ზარალი ასახება არარეალიზებული მოგება/ზარალის მუხლით მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წარმოებული ინსტრუმენტები ასახულია აქტივებად თუ მათი რეალური ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად, თუ რეალური ღირებულება უარყოფითია.

### *რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ინვესტიციები*

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ბანკის ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს საქართველოს და უცხო ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური სახელმწიფო სააგენტოების მიერ გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს. ფასიანი ქაღალდები წარმოადგენენ ბანკის საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ნაწილს ან მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტს. აღნიშნული სავალო ფასიანი ქაღალდები იმართება იმ ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანიც მიიღწევა როგორც ფინანსური აქტივების ფლობით სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით. სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იმ პირობით, რომ ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ბანკი აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით იმ სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ბანკის ზარალის რეზერვი შეფასებულია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლებსთვისაც ზარალის რეზერვი შეფასებულია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით:

- სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ანგარიშგების თარიღისთვის დაბალი საკრედიტო რისკის მქონეა;
- სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ბანკი მიიჩნევს რომ სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მათი საკრედიტო რისკის რეიტინგი საერთაშორისოდ მიღებული „საინვესტიციო რანგის მქონეს“ განმარტების ეკვივალენტურია. ბანკის მკაცრი საინვესტიციო პოლიტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს უმაღლესი საკრედიტო რანგის მქონე ინვესტიციების ფლობას, ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც ბანკი ფლობს როგორც საერთაშორისო რეზერვებს, განიხილება დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ. გარდა ამისა, ბანკი, საქართველოს მთავრობის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, რომლებიც დენომინირებულია ლარში, განიხილავს როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონეს. ასეთი მიდგომა ასახავს ზოგად დაშვებას, რომ სახელმწიფოს ვალი დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში მიიჩნევა დეფოლტის მინიმალური რისკის მატარებლად (ჩვეულებრივ მოიხსენიება როგორც „ურისკო“ ბაზრის მონაწილეთა გადმოსახედიდან), ისევე როგორც იმ ფაქტს, რომ, ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული განსაკუთრებული კავშირის გამო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბანკში გახსნილი აქვს თავისი ძირითადი მიმდინარე ანგარიში. ბანკი არ იყენებს გამონაკლისს დაბალი საკრედიტო რისკის დაშვების თაობაზე არც ერთი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამონგარიშება

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევის შედეგად. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილ სიდიდეს. ის ფასდება შემდეგნაირად:



# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

- ფინანსური აქტივები, რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული საანგარიშგებო თარიღისთვის: მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (მაგალითად სხვაობა ბანკისთვის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ბანკი მოელის). ფულადი სახსრების დეფიციტი ფასდება ისტორიულ კორპორაციულ და სახელმწიფო დეფოლტისა და აღდგენის განაკვეთებზე დაყრდნობით;
- ფინანსური აქტივები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის: სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებას შორის;

## საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე ბანკი აფასებს, რამდენად არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით და სავალო ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ფინანსური აქტივი მიიჩნევა საკრედიტო რისკით გაუფასურებულ ფინანსურ აქტივად, თუ მომხდარია ერთი ან მეტი ისეთი მოვლენა, რომელმაც უარყოფითი გავლენა იქონია ამ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებაზე.

ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულებებს განეკუთვნება, მაგალითად, დაკვირვებადი მონაცემები შემდეგი მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან მსესხებელი საწარმოს მნიშვნელოვანი ფინანსური სიმძნელები;
- სახელშეკრულებო პირობების დარღვევა, როგორცაა, მაგალითად დეფოლტი ან გადახდის ვადაგადაცილება;
- ბანკის მიერ სესხის ან ავანსის რესტრუქტურისა, იმ პირობებით რომლებსაც, სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მსესხებელი დაიწყებს გაკოტრების პროცედურას, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესს;
- მოცემული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სიმძნელების გამო;

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც ვადაგადაცილებულია 90 დღით ან მეტით, ითვლება რომ დეფოლტირებულია, გარდა საქართველოს მთავრობის მიმართ არსებული მოთხოვნისა, რომელიც ჩაითვლებოდა დეფოლტირებულად 180 დღეზე მეტი დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. ეს წარმოადგენს ფასს 9-ით გათვალისწინებული ვარაუდის უარყოფას, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული. თუმცა, ეს მიდგომა ასახავს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცების პროცესის გარემოებებს და ბანკის განსაკუთრებულ ურთიერთობას სახელმწიფოსთან, გამომდინარე იქიდან, რომ ბანკი მოქმედებს როგორც მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია შემდეგნაირად:

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები: აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან გამოქვითვის სახით;
- სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ზარალის რეზერვი არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის მუხლში რამეთუ ამ აქტივების საბალანსო ღირებულება არის მათი

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

რეალური ღირებულება. თუმცა, ზარალის რეზერვი გამჟღავნებულია და აღიარებულია იმ ინვესტიციების გადაფასების რეზერვში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

### ჩამოწერა

ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული აქტივები ჩამოიწერება (ნაწილობრივ ან სრულად) მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი, მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურდება. აღნიშნული ძირითადად წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც ბანკი დაასკვნის, რომ მსესხებელს არ გააჩნია აქტივები ან შემოსავლის წყარო, რომელთაც შეეძლოთ საკმარისი ფულადი ნაკადების გენერირება იმ თანხების დასაფარად, რაც ჩამოწერას ექვემდებარება. შეფასება კეთდება ინდივიდუალური აქტივის დონეზე.

ადრე ჩამოწერილი თანხების ანაზღაურება ჩართულია ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების ზარალის/(აღდგენის) მუხლში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავალის ანგარიშგებაში.

### ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო მოთხოვნების გამო ბანკს აქვს ვალდებულება გადასცეს ნაღდი ფული ან სხვა ფინანსური აქტივები ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელს. ასეთი ინსტრუმენტები მოიცავენ ვალდებულებებს მთავრობის, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების და კლიენტების მიმართ, გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, ვალდებულებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი თავდაპირველად აისახება მიღებული სახსრების რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. პირველადი ასახვის შემდგომ ეს ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

### მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული მოიცავს ბანკის მიერ კანონისა და მისი, როგორც ცენტრალური ბანკის ფუნქციის ფარგლებში გამოშვებულ ბანკნოტებსა და მონეტებს. მიმოქცევაში არსებული ბანკნოტები და მონეტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნომინალური ღირებულებით, შემცირებული ბანკის სალაროში ნაღდი ფულის ოდენობით.

ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ხარჯები აისახება ხარჯებში მათი გაწვევითანავე.

კომერციული ბანკებისგან უკან დაბრუნებული ბანკნოტები და მონეტები ამოიღება მიმოქცევაში არსებული ფულადი სახსრებიდან და მათი მდგომარეობიდან ან სტატუსიდან გამომდინარე, ხდება მათი განადგურება ან ბანკის სარეზერვო ფონდებში შენახვა, რომელიც არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### ანარიცხები (წარმოდგენილი სხვა ვალდებულებებში)

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები, რომელნიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და, სავარაუდოდ, ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია განხორციელდეს ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

### არამონეტარული ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები (წარმოდგენილი სხვა აქტივებში)

ოქროს საინვესტიციო მონეტები და ოქროს ზოდები აღიარებას და შემდგომ შეფასებას ექვემდებარება ბასს 2 – „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების“ შესაბამისად. ოქროს საინვესტიციო მონეტები

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

და ოქროს ზოდები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით დამზადების, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების გათვალისწინებით. შემდგომში მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საინვესტიციო მონეტების და ზოდების გაყიდვისას, შესაბამისი შემოსავალი და ხარჯი აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სხვა სამახსოვრო მონეტებზე გაწეული ხარჯები აღიარებას გაწევისთანავე ექვემდებარება როგორც მიმდინარე ხარჯები და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მიწა არ ექვემდებარება ცვეთას.

თუ ძირითადი საშუალებების რომელიმე კომპონენტს აქვს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ იგი აღირიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ქვემუხლში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოიქვითება მათი ისტორიული ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მისი შეძენის დღიდან ან საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივისათვის იმ მომენტიდან როდესაც აქტივის შექმნა დასრულებულია და ის მზად არის გამოყენებისთვის. ცვეთის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

	%
შენობა-ნაგებობები	2
კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	10-20
სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	20

რემონტისა და შენახვის ხარჯები აისახება მათი გაწევისთანავე და მიეკუთვნება სხვა ხარჯებს, გარდა შემთხვევებისა როდესაც ისინი კაპიტალიზაციას ექვემდებარებიან.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს ალემატება თუ არა მათი საბალანსო ღირებულება მათ ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს: გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და არსებულ გამოყენების ღირებულებას შორის. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებაზე გადამეტების შემთხვევაში, აქტივები ექვემდებარება შემცირებას მათ ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურებით მიღებული დანაკარგების აღიარება ხდება შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში და აისახება მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების ასახვის შემდეგ, ხდება ძირითადი საშუალებების ცვეთის კორექტირება შემდგომ პერიოდებში, იმისათვის, რომ გაანგარიშებული აქტივების საბალანსო ღირებულება ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურად გადანაწილდეს დარჩენილ სასარგებლო მოხმარების პერიოდზე.

### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები ინდივიდუალურად აღირიცხება და თვითღირებულებით აისახება თავდაპირველი აღიარებისას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება როგორც შეზღუდული, ან განუსაზღვრელი ვადის მქონე. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური

## საქართველოს ეროვნული ბანკი

### ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

აქტივები ამორტიზებულია 5 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და მათი შემოწმება გაუფასურებაზე ხდება გაუფასურების ნებისმიერი მაჩვენებლის არსებობისას. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის პერიოდისა და მეთოდების გადახედვა ხორციელდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

#### იჯარა

ბანკმა დროდადრო შესაძლოა, ისარგებლოს აქტივების იჯარით ადმინისტრაციული მიზნებისთვის.

ბანკი გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს თავდაპირველი საიჯარო ვალდებულების ოდენობას, რომელიც კორექტირებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით, ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებულ ღირებულებას, რაც საჭიროა აქტივის დემონტაჟისთვის და გაუმჯობესებების ამოღებისთვის.

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი შემდგომში ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულების თარიღამდე პერიოდში. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი დამატებით პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალის ოდენობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების გარკვეული ხელახალი შეფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის გადაუხდელი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რისთვისაც დისკონტირებისას გამოიყენება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, ან თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა მარტივად შეუძლებელია - მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის ხელახლა ფასდება, როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება შესაბამისად, ან იმ შემთხვევაში, თუ გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება ნულამდეა შემცირებული, შესაბამისი ოდენობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბანკი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს წარადგენს ცალკე მუხლად, ხოლო საიჯარო ვალდებულებებს - „სხვა ვალდებულებების“ მუხლში.

ბანკმა აირჩია, რომ არ აღიაროს გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივები და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარით სარგებლობისას ან მოკლევადიანი იჯარის შემთხვევაში. ბანკი ასეთ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯად, წრფივად, იჯარის ვადის განმავლობაში.

#### საგადასახადო დაბეგვრა

კანონის თანახმად, ბანკის აქტივები, ქონება და შემოსავალი, ისევე როგორც მისი საქმიანობა და ოპერაციები არ ექვემდებარება დაბეგვრას და სხვა მოსაკრებლების გადახდას.

#### პირობითი ვალდებულებები / აქტივები

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა აისახება შენიშვნებში, ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, მაგრამ აისახება შენიშვნებში იმ შემთხვევაში, თუ ივარაუდება ეკონომიკური სარგებლის მიღება.

## შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც ბანკი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების (მაგალითად, აქტივის) კონტრაჰენტებისთვის გადაცემით. აქტივი გადაცემულად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც (ან როგორც კი) კონტრაჰენტი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს.

## საპროცენტო და მასთან გათანაბრებული შემოსავლები და ხარჯები

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან უფრო მოკლე ვადაში, შესაბამის ვითარებაში, მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრების დისკონტირებას ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშების დროს გათვალისწინებულია ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობა (მაგ. წინასწარი გადახდები) და მოცულია ფინანსურ ინსტრუმენტთან პირდაპირ დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული მომავალი საკრედიტო დანაკარგები. მისაღები ან გადასახდელი თანხების გადახედვის შემთხვევაში კორექტირდება ფინანსური აქტივის მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება. გადახედული საბალანსო ღირებულების თანხა გაანგარიშდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე და საბალანსო ღირებულების ცვლილების თანხა აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავლები ან ხარჯები.

## საპროცენტო შემოსავლის აღიარების საფუძველი

თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება იმ ფინანსური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების გარეშე), რომლებისთვისაც:

- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ;
- საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მაგრამ რომლებიც არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული;

იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება წმინდა საბალანსო ღირებულების მიმართ (საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით შემცირების შემდეგ).

## ფინანსურ აქტივებზე და ვალდებულებებზე უარყოფითი საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების წარდგენა

უარყოფითი პროცენტი ფინანსურ აქტივებზე განიხილება, როგორც ხარჯი და წარდგენილია საპროცენტო ხარჯების ქვეშ, განცალკევებულად. ანალოგიურად, უარყოფითი პროცენტი ფინანსურ ვალდებულებებზე განიხილება, როგორც შემოსავალი და წარდგენილია საპროცენტო შემოსავლების ქვეშ, განცალკევებულად.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

ბანკი გამოიმუშავებს გასამრჯელოებს და საკომისიო შემოსავლებს კონტრაქტებისთვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევის საფუძველზე. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები მოიცავს ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების და გადარიცხვების საკომისიოს, რომლებიც აღიარდება შემოსავლად მომსახურების გაწევისთანავე. გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები მოიცავს ნაღდი ფულის ოპერაციებს, ანგარიშსწორების საკომისიო ხარჯებს და გარე მენეჯერისათვის გადახდილ საკომისიოს, რომლებიც მომსახურების გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

## უცხოურ ვალუტაში გადაყვანა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ბანკის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. გარიგებები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად აისახება სამუშაო ვალუტაში, გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა ხდება ანგარიშგების თარიღისათვის დაფიქსირებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება თავდაპირველი გარიგებისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაყვანით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლი ანგარიშგებაში უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა მოგებაში/(ზარალში) - გადაყვანის საკურსო სხვაობებში.

სხვაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული გარიგებების გაცვლით კურსებსა და ბანკში გარიგების თარიღისათვის არსებულ კურსებს შორის აისახება წმინდა მოგებაში/(ზარალში) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან.

## გაცვლითი კურსები

ქვემოთ მოცემულია ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ბანკმა გამოიყენა წლის ბოლოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/1 ევრო	2.8844	3.5040
ლარი/100 იაპონური იენი	2.0495	2.6901
ლარი/1 კანადური დოლარი	1.9959	2.4208
ლარი/1 ნასესხობის სპეციალური უფლება (SDR)	3.5959	4.3354

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით იმ შემთხვევაში თუ ბანკს აქვს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვა და ვარაუდობს, რომ დაფარვა განახორციელოს ნეტო საფუძველზე, ან აქტივის რეალიზაცია და ვალ-დებულების დაფარვა ერთდროულად განახორციელოს. ისეთი ფინანსური აქტივის გადაცემის აღ-რიცხვის დროს, რომელიც არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ბანკს არა აქვს გადაცემული აქტივისა და დაკავშირებული ვალდებულებების ურთიერთგადაფარვის უფლება. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ მომხდარა.

## ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები არ რეკლასიფიცირდება მათი თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ბანკი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს.

## ხელმძღვანელობის განსჯის სფეროები და შეფასებების განუსაზღვრელობის წყაროები

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესი საჭიროებს ხელმძღვანელობის შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებსაც გავლენა აქვს ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების წარმოდგენილ თანხებზე და შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენილ ოდენობებზე აღნიშნული თარიღით დასრულებული პერიოდისთვის. დაშვებები და შეფასებები მუდმივად განიხილება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება მოცემულ გარემოებებში. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ დაშვებებისგან სხვადასხვა პირობებში და არსებითი დაშვებების შემთხვევაში.

კრიტიკული განსჯისა და შეფასების მნიშვნელოვანი სფეროები აღწერილია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია: ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის პირობებშიც ფლობს ბანკი აქტივებს და იმის შეფასება თუ რამდენად შეიცავს სახელშეკრულებო პირობები ისეთი ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას - შენიშვნა 3
- გამონაკლისი დაბალი საკრედიტო რისკის დაშვებასთან დაკავშირებით და იმ ვარაუდის უარყოფა, რომ დეფოლტი არ დგება იმაზე უფრო გვიან, ვიდრე ფინანსური აქტივი 90 დღით გახდება ვადაგადაცილებული - შენიშვნა 3
- ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება რეალური ღირებულებით - შენიშვნა 27

## ახალი და განახლებული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (ფასს) გამოყენება

### ახალი და განახლებული სტანდარტები:

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ცვლილებები ბასს 37-ში);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 - (ცვლილებები ფასს 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“, ფასს 9-ში „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასს 16-ში „იჯარა“ და ბასს 41-ში „სოფლის მეურნეობა“);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავლები, სანამ აქტივი მზად იქნება ხელმძღვანელობის მიერ

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

დასახული მიზნებისთვის გამოსაყენებლად (ცვლილებები ბასს 16-ში);

- მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე (ცვლილებები ფასს 3-ში);

ზემოხსენებულ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და განახლებული სტანდარტები, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენენ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გაცხადებული ცვლილებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის (ნებადართულია ვადაძედილი გამოყენება):

- ფასს 17 „სადაზღვეო კონტრაქტები“ და განახლებები ფასს 17-ში „სადაზღვეო კონტრაქტები“;
- სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკაში გამოყენების სახელმძღვანელო 2-ში);
- სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრება - (ცვლილებები ბასს 8-ში);

## გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები

გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები და ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021
<b>გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:</b>		
ფულადი სახსრების გადარიცხვა	3,765	2,927
სალაროს ოპერაციები	1,193	488
სხვა	23	24
<b>სულ გასამრჯელო და საკომისიო შემოსავლები:</b>	<b>4,981</b>	<b>3,439</b>
<b>გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:</b>		
გარე მენეჯერისთვის გადახდილი გასამრჯელო	(1,635)	(1,646)
ანგარიშსწორების ოპერაციები	(959)	(1,067)
ნაღდ ფულთან დაკავშირებული ოპერაციები	(1,123)	(354)
<b>სულ გასამრჯელო და საკომისიო ხარჯები:</b>	<b>(3,717)</b>	<b>(3,067)</b>

ბანკი ფლობს და მართავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას, რომელიც არის ბანკთაშორისი გადახდის სისტემა ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებისთვის. ფულადი სახსრების გადარიცხვა წარმოადგენს ანგარიშსწორების საკომისიო გადასახადს, რომელიც გადახდილია მონაწილეების მიერ ანგარიშსწორების შესრულების დროს.



## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

### სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021
სამახსოვრო მონეტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,435	2,321
ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი	32	19
სხვა	985	66
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>3,452</b>	<b>2,406</b>

სხვა ხარჯები შედგება:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021
სამახსოვრო მონეტებთან დაკავშირებული ხარჯი	(3,108)	(3,911)
სხვა	(1,068)	(1,093)
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>(4,176)</b>	<b>(5,004)</b>

### საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2022	დასრულებული წლისთვის 31 დეკემბერი 2021
ხელფასები და პრემიები	30,446	29,395
ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი	2,509	1,760
<b>სულ პერსონალის ხარჯები</b>	<b>32,955</b>	<b>31,155</b>
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	2,822	2,553
საინფორმაციო მომსახურების გამოწერა	2,734	2,967
სოციალური დახმარების ხარჯები	2,297	2,290
კომუნალური ხარჯები	1,729	1,739
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	530	163
უსაფრთხოება	527	522
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურება	332	180
საწვავის ხარჯები	223	187
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	210	668
სხვა	1,865	1,311
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>13,269</b>	<b>12,580</b>
ცვეთის ხარჯი (შენიშვნები 15)	6,186	5,819
ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 16)	2,024	1,838
<b>სულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები</b>	<b>8,210</b>	<b>7,657</b>

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	351,428	1,221,357
მიმდინარე ანგარიშები	2,064,016	1,603,024
ვადიანი დეპოზიტები ფინანსურ ინსტიტუტებში	1,452,008	799,548
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>3,867,452</b>	<b>3,623,929</b>

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, 3,042,432 და 2,278,849 ათასი ლარი, შესაბამისად, განთავსებული იყო მიმდინარე ანგარიშებზე და 90 დღემდე ვადიან დეპოზიტებზე შვიდ (2021 წელს - ექვს) საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კომერციულ ბანკსა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ინსტიტუტებში განთავსებულ დეპოზიტებზე წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონი შეადგენდა 4.15%-4.47% და 0.11%-0.23% (შესაბამისად).

## მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>		
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით</b>		
რეფინანსირების სესხები	2,442,215	2,071,194
ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტები	401,219	401,049
ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხები	372,995	633,539
ერთდღიანი სესხები	240,155	41,233
<b>სულ მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>	<b>3,456,584</b>	<b>3,147,015</b>
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით</b>		

რეფინანსირების სესხები წარმოადგენს ბანკის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომლებიც გაიცემა საქართველოს კომერციულ ბანკებზე ლიკვიდობის მიზნებით და გააჩნია 7 დღიანი ვადიანობა. რეფინანსირების სესხის მსგავსად, მონეტარული პოლიტიკის ერთთვიანი ღია საბაზრო ოპერაციების ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხებისა და ფიქსირებული განაკვეთის სესხების მეშვეობით ბანკი აწვდის მოკლევადიან ლიკვიდურობას ეროვნულ საბანკო სისტემას საჭიროების შემთხვევაში.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ქონდა რეფინანსირების სესხები გაცემული ორ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 2,066,874 ათასი ლარის ოდენობით, 11%-11.1020% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით და სამ რეზიდენტ კომერციულ ბანკზე 1,892,090 ათასი ლარის ოდენობით, 10.5%-10.62% წლიური საპროცენტო განაკვეთის დიაპაზონით, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის კონცენტრაცია შეადგენდა 328,698 ათასი ლარის მოთხოვნებს სამი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.067%-11.23%, და 295,773 ათასი ლარის მოთხოვნებს

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.59%-10.71%, შესაბამისად.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 301,479 ათასი ლარის მოთხოვნას ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.0402% და 512,937 ათასი ლარის მოთხოვნას ორი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 10.1984%, შესაბამისად.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ერთდღიანი სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 240,154 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.75% და 40,012 ათასი ლარის მოთხოვნას ერთი რეზიდენტი კომერციული ბანკის მიმართ, წლიური საპროცენტო განაკვეთით 11.25%, შესაბამისად.

რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ არსებული არცერთი მოთხოვნისთვის არ არის საკრედიტო რისკი არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. საკრედიტო რისკის შესახებ დამატებითი ინფორმაცია აგრეთვე იხილეთ 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

## გირაო და სხვა სასესხო უზრუნველყოფა

სესხის უზრუნველყოფის ტიპი და კრიტერიუმები თითოეული უზრუნველყოფის ტიპისთვის განისაზღვრება ბანკის საბჭოს მიერ.

უზრუნველყოფად მიღებული აქტივებია: ა) საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; ბ) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები; გ) რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ გამოშვებული ქართულ ლარში დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ქართულ ლარში დენომინირებული 2018 წლის 1 იანვრამდე კერძო შეთავაზებით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, გარდა სავალო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც გამოშვებულია საქართველოში ოპერირებადი კომერციული ბანკების მიერ; დ) კომერციული ბანკების სასესხო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს; ე) უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები ეროვნულ ბანკში. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ეროვნული ბანკის საბჭომ შესაძლოა, განსაზღვროს სხვა ტიპის აქტივი სესხის უზრუნველყოფისთვის; ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პერიოდულად განსაზღვრავს უზრუნველყოფის თითოეული სახეობის დასაკავებელ თანხას (ჰეარქატს) უფლებამოსილი აქტივების ნომინალურ ღირებულების მიმართ. კანონის თანახმად საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება მოვალის აქტივების ხარჯზე.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტებისგან უზრუნველყოფად მიღებული ფინანსური აქტივების სახეობები და რეალური ღირებულებები იყო შემდეგნაირი:

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
კომერციული ბანკების სასესხო პორტფელი	2,320,899	2,282,228
სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები)	1,386,426	1,196,058
<b>საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების და განვითარების ბანკების მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული ობლიგაციები:</b>		
Netherlands Development Finance Company	93,279	61,230
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	86,954	-
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)	83,446	-
კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ობლიგაციები	37,808	21,025
	<b>4,008,812</b>	<b>3,560,541</b>

ბანკი ახორციელებს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს, ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას არსებული ხელშეკრულების ფარგლებში და ასევე ახდენს უზრუნველყოფის ღირებულების მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შემოწმებისას. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მიერ გამოშვებული არც ერთი ფინანსური ინსტრუმენტი უზრუნველყოფის სახით არ იყო გამოყენებული.

## SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

წამოები საერთაშორისო სავალუტო ფონდის („სსფ“) მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>აქტივები:</b>		
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	<b>1,249,154</b>	<b>1,506,927</b>
<b>ვალდებულებები:</b>		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები		
მიმდინარე ანგარიში №1	2,163	2,606
მიმდინარე ანგარიში №2	12	14
	<b>2,175</b>	<b>2,620</b>
<b>საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სესხები</b>		
გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში (EFF)	1,159,590	1,447,066
ზოგადი SDR-ის სახსრების განაწილება	1,130,877	1,357,442
სპეციალური SDR-ის სახსრების განაწილება	117,541	141,089
	<b>2,408,008</b>	<b>2,945,597</b>
<b>სულ ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ</b>	<b>2,410,183</b>	<b>2,948,217</b>
<b>გარე საბალანსო წამოები</b>		
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა	865,409	1,042,446
საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები	(2,792,228)	(3,425,367)

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში

SDR-ის ანგარიში წარმოადგენს ბანკის ანგარიშს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელიც გამოიყენება სესხებთან დაკავშირებული ოპერაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ანგარიშსწორებისათვის. SDR-ის ანგარიში ძირითადად შეადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ხელშეკრულების თანახმად მიღებულ SDR სახსრების განაწილებას. SDR-ის ანგარიშზე დარიცხული პროცენტის გაანგარიშება ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ყოველკვირეულად დადგენილი განაკვეთით, რომელიც ეფუძნება ძირითად ფულად ბაზრებზე არსებულ მოკლევადიან საბაზრო განაკვეთებს. 2022 და 2021 წლების განმავლობაში საშუალო ნომინალურმა წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 0.050%-2.916% და 0.050%-0.115%, შესაბამისად.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმდინარე ანგარიშები

ბანკს მოეთხოვება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ორი ანგარიშის ფლობა: მიმდინარე ანგარიში #1 და მიმდინარე ანგარიში #2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიში #1 გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საოპერაციო ანგარიშსწორებისათვის, ხოლო მიმდინარე ანგარიში #2 განკუთვნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ლარში წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად.

## საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები მოიცავს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ (EFF) ფარგლებში მიღებულ სესხს 1,159,590 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1,447,066 ათასი ლარი). EFF პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში ყოვლისმომცველი პროგრამის განხორციელებას, რაც გულისხმობს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ზრდის ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურული რეფორმების გატარებას. 36-თვიანი „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ პროგრამა დამტკიცდა 2017 წლის 12 აპრილს 210.4 მილიონი SDR-ის ოდენობით (კვოტის 100 პროცენტი). 2020 წლის 14 აპრილს დამტკიცდა ხელმისაწვდომობის ზრდა კვოტის 130 პროცენტის ოდენობით, რის შედეგადაც ჯამური ხელმისაწვდომობა EFF-ის ფარგლებში გაიზარდა 484 მილიონ SDR-მდე (კვოტის 230 პროცენტი). 2022 წელს ბანკს პროგრამის ფარგლებში თანხები არ აუთვისებია (2021: 78 მილიონი SDR). დაფარვები დაიწყო 2021 წლიდან და სესხის სრული დაფარვა დაგეგმილია 2031 წლისთვის. სასესხო განაკვეთი მიბმულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე (ცნობილი როგორც საბაზისო განაკვეთი), რომელიც წარმოადგენს SDR-ის საპროცენტო განაკვეთს, რომელმაც 2022 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 3.916% (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1.077%).

საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრები დენომინირებულია SDR-ში.

## SDR სახსრების განაწილება

SDR სახსრების განაწილება წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ უზრუნველყოფის გარეშე, საპროცენტო განაკვეთის მქონე SDR სახსრების განაწილებას ზოგადი და სპეციალური სახსრების სახით. სახსრების ზოგადი განაწილება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ხელშეკრულების თანახმად ხორციელდება SDR განყოფილების ყველა წევრისათვის კვოტის პროპორციულად. საქართველოსთვის სახსრების ზოგადი განაწილება განხორციელდა 2009 წელს (111,419 ათასი SDR) და 2021 წელს (201,658 ათასი SDR). 2009 წელს ძალაში შევიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების მეოთხე ცვლილება SDR სახსრების სპეციალურ, ერთჯერად განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც განხორციელდა 32,540 ათასი SDR-ის სპეციალური განაწილება საქართველოსთვის. წევრები და განსაზღვრული მფლობელები უფლებამოსილნი არიან SDR სახსრები გამოიყენონ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ოპერაციების განსახორციელებლად. ბანკი სახსრების განაწილებას მიიჩნევს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე უცხოურ ვალუტაში არსებულ ვალდებულებად. საქართველო, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი და სახსრების მიმღები ქვეყანა,

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ვალდებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე იმ თანხით, რომელიც უტოლდება მასზე განაწილებულ წმინდა აკუმულირებულ სახსრებს და ნებისმიერ სხვა თანხას, რომელიც ექვემდებარება გადახდას წევრობის შეწყვეტის, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის SDR განყოფილების გაუქმების შემთხვევაში.

SDR სახსრების განაწილების საპროცენტო განაკვეთი 2022 და 2021 წლებში მერყეობდა წლიურ 0.050%-2.916% და 0.050%-0.115% დიაპაზონში, შესაბამისად.

### საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტა 210,400 ათასი SDR, წარმოადგენს საქართველოს საწევრო შენატანს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელსაც არ ერიცხება საპროცენტო განაკვეთი და მოქმედია 2016 წლის 26 იანვრიდან, მას შემდეგ რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველთა საბჭომ, ფონდის უმაღლესმა მმართველმა საბჭომ, დაასრულა მე-14 კვოტების გადაფასება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიზიდავს სახსრებს წევრი ქვეყნებიდან. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველ წევრ ქვეყანას მიეკუთვნება კვოტა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის შედარებით მდგომარეობას მსოფლიო ეკონომიკაში. წევრების კვოტა ასახავს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მათი ფინანსურ და ორგანიზაციული ურთიერთობის ძირითად ასპექტებს. გამომდინარე იქიდან რომ ბანკი წარმოადგენს ქვეყნის ფისკალურ წარმომადგენელს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობაში ინსტრუმენტი არ არის წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

### საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ შესანახად ფლობილი ფასიანი ქაღალდები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი შედგება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 865,409 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,926,819 ათასი ლარისაგან (სულ 2,792,228 ათასი ლარი).

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფასიანი ქაღალდი შედგებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტის უზრუნველსაყოფად ფლობილი 1,042,446 ათასი ლარისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან მიღებული სახსრების უზრუნველსაყოფად ფლობილი 2,382,901 ათასი ლარისაგან (სულ 3,425,367 ათასი ლარი).

ფასიანი ქაღალდი საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ იქნა 1992 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვოტასთან მიმართებაში. უზრუნველყოფის სახით არსებული ფასიანი ქაღალდი მოიცავს საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული სახსრების მთლიან ნომინალურ ღირებულებას. ფასიანი ქაღალდს ბანკი ფლობს შენახვის მიზნით, შედეგად მისი აღრიცხვა ხდება გარე-საბალანსო ანგარიშზე და წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

### წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები

	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2022	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2022	საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2021	ნომინალური ღირებულება 31 დეკემბერი, 2021
<b>წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსი:</b>				
ფიუჩერსის მარჟა	10,282		10,994	
<b>სავალუტო ფორვარდი</b>				
სავალუტო ფორვარდთან დაკავშირებული აქტივები	2,702		380	
მისაღები ოდენობა	-	488,381	-	614,161
გადასახდელი ოდენობა	-	(519,320)	-	(605,891)
<b>ნეტო სავალუტო ფორვარდი</b>	<b>2,702</b>	<b>(30,939)</b>	<b>380</b>	<b>8,270</b>
<b>საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსები</b>				
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული აქტივები	32,669	16,000	2,861	213,734
საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსთან დაკავშირებული ვალდებულებები	-	(1,691,900)	-	(5,983,634)
<b>წმინდა პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ფიუჩერსზე</b>	<b>32,669</b>	<b>(1,675,900)</b>	<b>2,861</b>	<b>(5,769,900)</b>
<b>ნეტო წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, საერთაშორისო რეზერვების მართვის ფარგლებში</b>	<b>45,653</b>	<b>(1,706,839)</b>	<b>14,235</b>	<b>(5,761,630)</b>
<b>წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში</b>				
<b>სავალუტო სვოპები</b>				
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული აქტივები	734		3,864	
სავალუტო სვოპებთან დაკავშირებული ვალდებულებები	(1,649)		-	
მისაღები ოდენობა	-	385,822	-	431,333
გადასახდელი ოდენობა	-	(386,737)	-	(427,469)
<b>ნეტო სავალუტო სვოპი</b>	<b>(915)</b>	<b>(915)</b>	<b>3,864</b>	<b>3,864</b>
<b>სულ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები, მონეტარული ოპერაციების ფარგლებში</b>	<b>(915)</b>	<b>(915)</b>	<b>3,864</b>	<b>3,864</b>

თავდაპირველად, წარმოებულ ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მხოლოდ დაპირებების ურთიერთგაცვლას, ანაზღაურების მცირე გადაცემით ან ყოველგვარი გადაცემის გარეშე, თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები ხშირად მოიცავენ მაღალი ხარისხის ბერკეტებს და ცვალებადნი არიან. აქტივის ღირებულებაში, განაკვეთში ან ინდექსში შედარებით მცირე მოძრაობას შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ფიუჩერული ხელშეკრულებები წარმოადგენენ სახელშეკრულებო შეთანხმებებს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტის კონკრეტული ფასით და სამომავლო თარიღით ყიდვაზე ან გაყიდვაზე. ფიუჩერული ხელშეკრულებები ხორციელდება სტანდარტიზებული თანხებით რეგულარული გაცვლების საფუძველზე და ექვემდებარება ყოველდღიური ფულადი ზღვარის მოთხოვნებს. ფიუჩერულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი განიხილება, როგორც მინიმალური, ვინაიდან გაცვლის ფულადი ზღვარის მოთხოვნები უზრუნველყოფენ იმას, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შესრულდება და ანგარიშსწორება განხორციელდება ნეტო საფუძველზე.

ბანკი ვაჭრობს ევროდოლარის ფიუჩერსებით 2012 წლის მარტიდან, პორტფელის აქტიური მართვის ფარგლებში. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტი კოტირებულია ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე და ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე. ევროდოლარის ფიუჩერსები ფულადი ბაზრის ყველაზე ლიკვიდური და ყველაზე მეტად გაყიდვადი წარმოებული ხელშეკრულებებია. თითოეული ევროდოლარის ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენს 3-თვიანი ევროდოლარის ვადიანი ანაბარი, რომლის პირობითი თანხაა 1 მილიონი აშშ დოლარი. ევროდოლარის ფიუჩერსებით ვაჭრობისას, ბანკი დგას მხოლოდ “საკლირინგო სახლის” საკრედიტო რისკის წინაშე, სადაც ხდება ევროდოლარის ფიუჩერსების ყიდვისა და გაყიდვის ურთიერთგადაფარვა.

ბანკი იყენებს ევროდოლარის ფიუჩერულ კონტრაქტებს ჰეჯირების მიზნებისთვის, რაც, ამ შემთხვევაში, გულისხმობს, რისკების შესაბამისობაში მოსაყვანად (დურაცია და მრუდი), აშშ-ს სამთავრობო ან საკრედიტო რისკის მქონე (სააგენტოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას და შესაბამისი მოცულობის საპირისპირო პოზიციის ევროდოლარის ფიუჩერულ კონტრაქტებში გახსნას. ამგვარი სტრატეგიების მთავარ მიზანს წარმოადგენს პორტფელის საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირება და საკრედიტო სპრედებიდან სარგებლის მიღება.

ბანკის პორტფელში არსებული ევროდოლარის ფიუჩერსები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის, ე.ი. ბანკი არ აპირებს მოგების მიღებას მათი ფასების ხელსაყრელი მოძრაობიდან.

2020 წლის აპრილიდან, სტანდარტულ რეფინანსირების სესხებთან ერთად, ბანკი ბაზარს უწევს ლიკვიდობის მხარდაჭერას სავალუტო სვოპების ოპერაციების მეშვეობით. სავალუტო სვოპი არის მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია ბაზარზე ლიკვიდობის შექმნისკენ. სავალუტო სვოპ ტრანზაქციების მეშვეობით, ბანკი 1 თვით ყიდულობს უცხოურ ვალუტას ეროვნული ვალუტის მეშვეობით მიმდინარე (სვოტ) კურსით, იმ პირობით, რომ იგი უკან გაიყიდება წინასწარ განსაზღვრული ფორვარდული კურსით.

## ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიერ. აღნიშნული წარმოადგენს ბანკის მიერ განთავსებულ ინვესტიციას საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო კალათაში („Pool“-ში) (BISIP CNY), რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვების ინვესტიციების სამართავად არსებულ ფონდს (რომელიც შედგება ჩინური სახელმწიფო ობლიგაციებისგან - CGB-ებისგან) და რომლის მთავარი მიზანია ბანკისთვის გამოცდილების გაზიარება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. ფონდში კვოტის მფლობელებმა შესაძლოა მოითხოვონ საკუთარი ინვესტიციის გამოტანა ნაწილობრივ ან სრულად ნებისმიერ დროს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის სამართავად გადაცემულმა სახსრებმა შეადგინა 272,372 ათასი ლარი (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 329,975 ათასი ლარი).



## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ინვესტიციებმა შეფასებულმა რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეადგინა:

	<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>31 დეკემბერი 2021</u>
<b>სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები</b>		
US Department of the Treasury, Washington	5,485,360	4,628,393
Government of Canada, Ottawa	343,123	338,487
Bank of Japan, Tokyo	172,194	-
Government of Sweden	-	43,282
Government of Denmark	-	30,907
	<b>6,000,677</b>	<b>5,041,069</b>
<b>სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები</b>		
European Investment Bank, Luxembourg	264,265	202,220
Asian Development Bank, Manila	112,173	257,546
European Stability Mechanism	104,878	184,537
Bank for International Settlements, Basle	94,291	46,084
Inter-American Development Bank, Washington D.C.	69,571	-
African Development Bank, Abidjan	67,211	48,652
International Bank for Reconstruction & Development, Washington	25,946	47,364
New Development Bank, Shanghai	5,685	9,813
Inter-American Investment Corporation	-	34,288
Nordic Investment Bank	-	53,436
	<b>744,020</b>	<b>883,940</b>
<b>სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები</b>		
Kommuninvest I Sverige AB, Orebro	105,977	201,781
CPPIB Capital Inc, Toronto	86,104	176,821
Kreditanstalt fuer Wiederaufbau, Frankfurt	84,065	119,108
Erste Abwicklungsanstalt, Dusseldorf	78,323	117,742
Svensk Exportkredit AB, Stocholm	75,254	98,554
Japan Bank for International Cooperation, Otemachi	74,666	93,817
Nederlandse Waterschapsbank N.V.	68,789	93,786
Korean Development Bank	61,687	93,573
Province of Alberta Canada	48,282	89,114
North Rhine-Westphalia	43,968	71,204
Bank Nederlandse Gemeenten, Den Haag	41,868	58,604
OMERS Finance Trust	38,466	53,425
Oesterreichische Kontrollbank AG, Vienna	36,417	50,714
Province of Ontario Canada, Toronto	36,167	48,574
Province of Quebec Canada, Quebec	31,673	48,418
Landeskreditbank Baden-Wuerttemberg Foerderbank	28,925	46,460
CDP Financial In, Montreal	28,770	45,088
Other	95,123	41,029
	<b>1,064,524</b>	<b>1,834,479</b>
<b>სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით უცხოურ ვალუტაში</b>	<b>7,809,221</b>	<b>7,759,488</b>
<b>სავაჭრო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>		
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	2,272,589	1,649,777
<b>სულ ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>2,272,589</b>	<b>1,649,777</b>

რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთების და დაფარვის ვადების ანალიზი იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი, 2022		31 დეკემბერი, 2021	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა
<b>დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:</b>				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	0.125%-2.875%	2023-2026	0.125%-2.50%	2022-2026
სუპრანაციონალური სავალო ფასიანი ქაღალდები	0.25%-4.125%	2023-2027	0.25%-3%	2022-2025
სააგენტოს და სხვა ფასიანი ქაღალდები	0.25%-4.75%	2023-2027	0.25%-5%	2022-2026
<b>დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:</b>				
სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები	7%-11.6%	2023-2028	7%-12.3%	2022-2028

ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით მოიცავს სახსრებს, რომლებიც იმართება RAMP პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების ნაწილის მსოფლიო ბანკის ხაზინისთვის (გარე მენეჯერი) სამართავად გადაცემას, რომელიც სპეციალიზებულია პორტფელის მართვაზე. გარე მენეჯერისათვის სამართავად სახსრების გადაცემის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბანკისთვის ნოუ-ჰაუს გადაცემა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. მენეჯერი კონტრაქტის საფუძველზე იღებს მართვის გასამრჯელოს, რომელიც გამოითვლება გადაცემული სახსრების ნეტო აქტივების ღირებულების საფუძველზე. გარე მენეჯერის პორტფელში არსებული აქტივები ბანკის სახელზეა, გლობალური მეურვის („ქასთოდინის“) პასუხისმგებლობის ქვეშ, შერჩეული სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ინვესტირებისა და რეინვესტირების მიზნით. ბანკს შეუძლია, დროდადრო, შეატყობინოს გარე მენეჯერს, საინვესტიციო თანხის დამატების ან შემცირების შესახებ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, RAMP პროგრამის ფარგლებში სამართავად გადაცემული სახსრების რეალური ღირებულება შეადგენს 597,133 ათას ლარს (2021: 684,561 ათას ლარს).

არცერთი რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ არის არსებითად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ შენიშვნა 28.

## ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები

	31 დეკემბერი, 2022		31 დეკემბერი, 2021	
	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები				
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	121,390	120,846	161,461	160,846
<b>სულ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>121,390</b>	<b>120,846</b>	<b>161,461</b>	<b>160,846</b>

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციების საპროცენტო (კუპონური) განაკვეთები და დაფარვის ვადები იხილეთ ქვემოთ ცხრილში:

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი, 2022		31 დეკემბერი, 2021	
	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	წლიური საპროცენტო განაკვეთი.	დაფარვის ვადა
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	9.549%	2023-2025	8.109%	2022-2025

საქართველოს მთავრობის სავალო ფასიანი ქაღალდები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ბანკს შორის 2006 წლის მარტში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სამთავრობო სესხის სავალო ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის შედეგად, ფულადი გადახდების განხორციელების გარეშე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიან ქაღალდებს. აღნიშნული ფასიანი ქაღალდები გამოშვებულ იქნა ექსკლუზიურად ბანკისათვის და არის არა-გადაცემადი და არასავსაჭრო ინსტრუმენტი. შესაბამისად ისინი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სამთავრობო სავალო ფასიანი ქაღალდების გადახდა ხდება ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების გზით 40,000 ათასი ლარის ოდენობით ყოველწლიურად, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ინვესტიციები, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ობლიგაციის საპროცენტო განაკვეთი ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას არსებული საბაზრო განაკვეთების გათვალისწინებით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ. იხილეთ ასევე შენიშვნა 28.

## გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივი

ბანკი სარგებლობს შენობის იჯარით პერონალის ნაწილისთვის ადმინისტრაციული მიზნებისთვის და აღიარებს შესაბამის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას:

გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2022	2021
<b>ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>387</b>	<b>1,232</b>
გამოყენების უფლების სახით არსებული აქტივის ზრდა	2,108	-
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(958)	(845)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,537</b>	<b>387</b>

საიჯარო ვალდებულების დაუფარავი ნაშთის ცვლილებები მოცემულია ქვემოთ:

	2022	2021
<b>ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>373</b>	<b>1,152</b>
საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება	2,108	-
საპროცენტო ხარჯი წლის განმავლობაში	117	58
გადახდები წლის განმავლობაში	(1,020)	(837)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>1,576</b>	<b>373</b>

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტერები, საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
<b>თვითღირებულებით:</b>					
1 იანვარი, 2021	52,652	18,764	20,591	64	92,071
შესყიდვა	196	319	7,102	-	7,617
გასვლა	-	(432)	(1,417)	(28)	(1,877)
<b>31 დეკემბერი, 2021</b>	<b>52,848</b>	<b>18,651</b>	<b>26,276</b>	<b>36</b>	<b>97,811</b>
შესყიდვა	-	2,293	795	-	3,088
გასვლა	-	(434)	(451)	-	(885)
<b>31 დეკემბერი, 2022</b>	<b>52,848</b>	<b>20,510</b>	<b>26,620</b>	<b>36</b>	<b>100,014</b>
<b>დაგროვილი ცვეთა:</b>					
1 იანვარი, 2021	(8,337)	(10,242)	(17,963)	-	(36,542)
ცვეთის დარიცხვა	(1,050)	(2,820)	(1,949)	-	(5,819)
გასვლა	-	430	1,417	-	1,847
<b>31 დეკემბერი, 2021</b>	<b>(9,387)</b>	<b>(12,632)</b>	<b>(18,495)</b>	<b>-</b>	<b>(40,514)</b>
ცვეთის დარიცხვა	(1,054)	(2,644)	(2,489)	-	(6,187)
გასვლა	-	407	407	-	814
<b>31 დეკემბერი, 2022</b>	<b>(10,441)</b>	<b>(14,869)</b>	<b>(20,577)</b>	<b>-</b>	<b>(45,887)</b>
<b>საბალანსო ღირებულება (წმინდა):</b>					
31 დეკემბერი, 2022	42,407	5,641	6,043	36	54,127
31 დეკემბერი, 2021	43,461	6,019	7,781	36	57,297

## არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა
<b>თვითღირებულებით:</b>	
1 იანვარი, 2021	15,192
შესყიდვა	2,429
გასვლა	(61)
<b>31 დეკემბერი, 2021</b>	<b>17,560</b>
შესყიდვა	1,906
გასვლა	(299)
<b>31 დეკემბერი, 2022</b>	<b>19,167</b>
<b>დაგროვილი ამორტიზაცია:</b>	
1 იანვარი, 2021	(10,336)
წლის დარიცხვა	(1,838)
გასვლა	60
<b>31 დეკემბერი, 2021</b>	<b>(12,114)</b>
წლის დარიცხვა	(2,023)
გასვლა	282
<b>31 დეკემბერი, 2022</b>	<b>(13,855)</b>
<b>საბალანსო ღირებულება (წმინდა)</b>	
31 დეკემბერი, 2022	5,312
31 დეკემბერი, 2021	5,446

## სხვა აქტივები და ვალდებულებები

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში:</b>		
წინასწარი გადახდები	485	-
სხვა	172	8
<b>სულ სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>	<b>657</b>	<b>8</b>
<b>სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში:</b>		
წინასწარი გადახდები	3,919	3,528
მარაგები	487	575
სამახსოვრო ოქროს მონეტები და ოქროს ზოდები	138	307
თანამშრომლებზე გაცემული სესხები	99	149
სხვა მოთხოვნები	155	101
	<b>4,798</b>	<b>4,660</b>
სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი	(54)	(74)
<b>სულ სხვა აქტივები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>4,744</b>	<b>4,586</b>

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა ფინანსური აქტივები, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, შეადგენს 831 ათასს და 183 ათას ლარს, შესაბამისად.

სხვა აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი წარმოადგენს თანამშრომლებზე გაცემული სესხების და სხვა დებიტორების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა წარმოადგენილია 28-ე განმარტებით შენიშვნაში.

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>		
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	8,083	2,886
სხვა ვალდებულებები	538	599
<b>მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>	<b>8,621</b>	<b>3,485</b>
<b>სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>		
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადასარიცხი მოგება	462,780	356,060
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	4,116	4,921
გადავადებული შემოსავალი	3,119	2,015
ვალდებულება რეალიზებულ ბანკნოტებსა და მონეტებზე	1,935	1,893
საიჯარო ვალდებულება (განმარტებითი შენიშვნა 14)	1,576	373
სხვა ვალდებულებები	1,657	1,689
<b>მთლიანი სხვა ვალდებულებები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში</b>	<b>475,183</b>	<b>366,951</b>
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>483,804</b>	<b>370,436</b>

2022 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა ფინანსური ვალდებულებები შეადგენს 17,905 ათას ლარს (2021 წლის 31 დეკემბრისთვის: 12,361 ათასი ლარი).

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
 (ათასი ლარი)

## ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ

ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>		
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით</b>		
საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	1,013,149	362,853
ერთდღიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	212,154	81,200
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>	<b>1,225,303</b>	<b>444,053</b>
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების მიხედვით</b>		
ბანკების სავალდებულო რეზერვები უცხოურ ვალუტაში	5,499,478	5,120,817
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>	<b>6,724,781</b>	<b>5,564,870</b>
<b>ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა</b>		
საკორესპონდენტო ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	217,265	181,271
კომერციული ბანკების სპეციალური დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	-	42,747
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ, სხვა</b>	<b>217,265</b>	<b>224,018</b>
<b>სულ ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ</b>	<b>6,942,046</b>	<b>5,788,888</b>

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებებში შედის 5,415,423 ათასი ლარის და 4,288,445 ათასი ლარის (შესაბამისად) ოდენობის სამი უმსხვილესი რეზიდენტი კომერციული ბანკის ნაშთები, რომლებიც შეადგენს ფინანსური ინსტიტუტების მიმართ მთლიანი ვალდებულების 78.01% და 74.08 პროცენტს (შესაბამისად).

რეზიდენტ კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში განათავსონ მინიმალური სარეზერვო ნაშთები. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 5 პროცენტს (2021: 5%), და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრების 10-დან 25 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2021: 10%-დან 25%-მდე). უცხოური ვალუტის ნასესხები სახსრების შემთხვევაში, დარჩენილი დაფარვის ვადით 1-2 წელი, მინიმალური სარეზერვო ნაშთები შეადგენს 10-დან 15 პროცენტამდე, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომერციული ბანკის დეპოზიტების დოლარიზაციის დონეზე (2021: 10%-დან 15%-მდე). სავალდებულო რეზერვებზე 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წლიური საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე შესაბამისად შეადგენს 11 და 10.5 პროცენტს, ხოლო აშშ დოლარში/ევროში დენომინირებულ მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებზე 0.0%/0.0% და -0.25%/-0.7%, შესაბამისად. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება ერთ წელს და უცხოურ ვალუტაში დენომირებული მოზიდული სახსრები, რომელთა დარჩენილი დაფარვის ვადა აღემატება 2 წელს, არიან განთავისუფლებული სავალდებულო რეზერვის მოთხოვნისაგან.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

### ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ:		
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში	623,860	788,312
მიმდინარე ანგარიშები დენომინირებული ეროვნულ ვალუტაში	1,155,878	894,785
<b>სულ ვალდებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ</b>	<b>1,779,738</b>	<b>1,683,097</b>

### ვალდებულებები კლიენტების მიმართ

	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2022
ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:		
ვალდებულება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიმართ	3,729	-
ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ	3,458	605
<b>სულ ვალდებულებები კლიენტების მიმართ ეროვნულ ვალუტაში:</b>	<b>7,187</b>	<b>605</b>

### მიმოქცევაში გაშვებული ფული

მიმოქცევაში გაშვებული ფული წარმოადგენს ბანკის მიერ გამოშვებულ საქართველოს ეროვნულ ვალუტას. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მოძრაობა წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	2022	2021
<b>ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>4,589,034</b>	<b>4,661,427</b>
მიმოქცევაში გაშვებული ბანკნოტები	8,808,704	8,190,450
მიმოქცევაში გაშვებული მონეტები	99,188	85,740
მიმოქცევიდან ამოღებული ბანკნოტები	(8,372,258)	(8,279,816)
მიმოქცევიდან ამოღებული მონეტები	(84,121)	(68,767)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>5,040,547</b>	<b>4,589,034</b>

### გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

	წლიური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
სადეპოზიტო სერთიფიკატები		26 იანვარი -		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9.96%-10.11%	23 მარტი 2023	60,000	59,135
სადეპოზიტო სერთიფიკატები		28 იანვარი -		
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9.45%-10.39%	25 მარტი 2022	60,000	59,124

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## კაპიტალი

კანონის შესაბამისად, ბანკის კაპიტალი მოიცავს ბანკის გაცხადებულ და მთლიანად გადახდილ კაპიტალსა და სარეზერვო ფონდს.

### საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი სრულად არის შეტანილი და შეადგენს 15,000 ათას ლარს.

### კაპიტალის მართვა

ბანკი განსაზღვრავს კაპიტალს როგორც საკუთარ კაპიტალს ფასს-ის თანახმად. კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, ყოველი საფინანსო წლისათვის ბანკის წმინდა მოგება გამოიანგარიშება, როგორც წმინდა საოპერაციო მოგების ან ზარალის და გადაფასების შედეგად მიღებული არარეალიზებული წმინდა მოგების ან ზარალის ჯამი. წმინდა საოპერაციო მოგება ან ზარალი მიიღება საანგარიშგებო წლის შემოსავლის თანხიდან ძირითადი საქმიანობის წარმართვისათვის განკუთვნილი მიმდინარე ხარჯების გამოქვითვით. გაუნაწილებელი მოგება კანონის მოთხოვნებისა და საბჭოს მიერ დამტკიცების შესაბამისად, გადადის სხვადასხვა რეზერვებში. წლიური ანგარიშის ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ საფინანსო წლის დარჩენილი წმინდა მოგება უნდა გადაირიცხოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშზე ბანკის საფინანსო წლის დასრულებიდან 6 თვის ვადაში.

### სარეზერვო ფონდი

კანონში შეტანილი ცვლილების (მუხლი 25) თანახმად, ბანკის საერთო სარეზერვო ფონდმა უნდა შეადგინოს სარეზერვო ფულის (ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში და კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში) 15 პროცენტი. ბანკის საერთო სარეზერვო ფონდი იქმნება წლის რეალიზებული მოგებიდან, რომელიც წარმოადგენს წლის წმინდა მოგებას სავალუტო და სხვა გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგების და ზარალის გამოკლებით. ბანკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების დარჩენილი თანხით საერთო სარეზერვო ფონდის მოცულობის შესაბამისი ფინანსური წლის ბოლოს არსებული სარეზერვო ფულის ოდენობის 15 პროცენტზე ნაკლები ოდენობით შევსების შესახებ.

სარეზერვო ფონდი გამოიყენება მხოლოდ ბანკის ზარალის საკომპენსაციოდ. სარეზერვო ფონდში თანხების გადატანის შემდეგ, ბანკის რეალიზებული მოგების ნარჩენი ნაშთი უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

2022 ფინანსურ წელს ბანკმა საერთო სარეზერვო ფონდში 2022 წლის რეალიზებული მოგებიდან გადაიტანა 184,809 ათასი ლარი. 2021 ფინანსურ წელს ბანკმა საერთო სარეზერვო ფონდში 2021 წლის წლის რეალიზებული მოგებიდან გადაიტანა 60,319 ათასი ლარი, ხოლო 2020 წლის რეალიზებული მოგებიდან - 219,139 ათასი ლარი (რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედიოდა გაუნაწილებელ მოგებაში).

კანონის 25-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, 2022 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა, 462,780 ათასი ლარი გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს და გადაირიცხება საანგარიშგებო წლის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. 2021 წლის რეალიზებული მოგების ნარჩენი ოდენობა - 356,060 ათასი ლარი - რომელიც გაუნაწილდა ფინანსთა სამინისტროს, გადაირიცხა 2022 წელს.



# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## უცხოური ვალუტის და სხვა გადაფასების რეზერვი

კანონის 25(ა) მუხლის თანახმად, უცხოური ვალუტის გადაფასებით გამოწვეული არარეალიზებული წმინდა მოგება მიემართება უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვში და რეალური ღირებულებით აღრიცხული მოგებაში ან ზარალში ასახვით ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების ცვლილებების წმინდა არარეალიზებული მოგება მიემართება სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ გადაფასების რეზერვში. ეს სპეციალური რეზერვები გამოიყენება შესაბამისი ზარალების დასაფარად მომავალში.

2022 წელს უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული წმინდა არარეალიზებული ზარალი 475,157 ათასი ლარის ოდენობით კომპენსირდა უცხოური ვალუტის გადაფასების რეზერვიდან (2021 წელს: არარეალიზებული ზარალი 259,086 ათასი ლარის ოდენობით). 2022 წელს სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული მოგება 34,647 ათასი ლარის ოდენობით მიიმართა გაუნაწილებელი მოგებიდან სხვა გადაფასების რეზერვში (2021 წელს: სხვა გადაფასებების ცვლილებით გამოწვეული მოგება 14,036 ათასი ლარის ოდენობით).

## რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვი

აღნიშნული რეზერვი წარმოადგენს იმ ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილებას, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

## ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი თავისი ჩვეული საქმიანობის პროცესში არის მხარე ფინანსური ინსტრუმენტებისა რომელიც დაკავშირებულია გარესაბალანსო ვალდებულებებთან. ბანკი გარესაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში ხელმძღვანელობს რისკების მართვის იმავე პოლიტიკით, რომელსაც იყენებს საბალანსო ოპერაციებში.

## ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია არსებითი ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებზე.

## საოპერაციო გარემო

როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია მაღალგანვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელიც, როგორც წესი, ახასიათებს უფრო მომწიფებულ საბაზრო ეკონომიკას. ამიტომ, განსაკუთრებით მკვეთრმა ცვლილებებმა საოპერაციო გარემოში (გლობალური გარემოს ჩათვლით) შეიძლება იქონიოს ისეთი გავლენა ბანკის ოპერაციების შედეგზე და ფინანსურ მდგომარეობაზე რომელიც ამჟამად ვერ განისაზღვრება.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ და ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, რამაც დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეფორმები საბანკო, იურიდიულ, საგადასახადო, მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით და ასევე, სხვადასხვა ღონისძიებები ეკონომიკის ლიკვიდურობისთვის საჭირო მოთხოვნების შესრულებისა და ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილიზაციისთვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რეალური ზრდის მაღალ ტემპებს და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. არსებული ტენდენცია იძლევა საფუძველს, რომ ეკონომიკის ზრდა მთლიანობაში კვლავაც გაგრძელდება.

ამასთან, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ზემოთხსენებულ რეფორმებზე და საქართველოს მთავრობისა და ბანკის მიერ მიღებული ფინანსური

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

თუ მონეტარული ზომების ეფექტურობაზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდა მაკროეკონომიკურ და ფინანსურ სტაბილურობასთან დაკავშირებით ბანკის როლის ხელშეწყობის მიზნით.

## სასამართლო დავები

ბანკის მიმდინარე სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარი სასამართლო პროცესებიდან წარმოშობილი ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე. ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი, რომელიც შესაძლოა მომავალში მოხდეს და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის გათვალისწინებული დანაკარგების ანარიცხები.

## საკრედიტო და პირობითი ვალდებულებები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნია რაიმე არსებითი საკრედიტო და პირობითი ვალდებულება.

## გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბანკი, როგორც სახელმწიფო ორგანო, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის ორგანოებთან. თავისი პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, ბანკი ინარჩუნებს სტრუქტურულ და ფუნქციურ დამოუკიდებლობას საქართველოს მთავრობისგან, იქიდან გამომდინარე რომ ბანკს შეუძლია თავისი ხელმძღვანელობით და მართვით თავად დააფინანსოს ბანკის ოპერაციები გარე დახმარების გარეშე.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში ივლისხმებიან ის პიროვნებები, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილება და აკისრიათ პასუხისმგებლობა დაგეგმონ, განკარგონ და აკონტროლონ ბანკის საქმიანობა, პირდაპირ თუ არა პირდაპირ. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას შეადგენენ: საბჭოს წევრები, აღმასრულებელი დირექტორი და დეპარტამენტების უფროსები.

ბანკი, ჩვეულებრივი საქმიანობის წარმართვის პროცესში შედის გარიგებებში დაკავშირებულ მხარეებთან და არსებითი ოპერაციები და ნაშთები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ურთიერთდამოკიდებულების შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე დაყრდნობით.

ბანკის გარიგებები და მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	სულ მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლის მიხედვით
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება: - თანამშრომლის მოკლევადიანი სარგებელი	(4,459)	(32,955)	(4,254)	(31,155)

	31 დეკემბერი, 2022		31 დეკემბერი, 2021	
	დაკავშირე- ბული შენიშვნები	სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების	დაკავშირე- ბული მხარეების	სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

	ნაშთები	მუხლის მიხედვით	ნაშთები	მუხლის მიხედვით
<b>აქტივები:</b>				
ეროვნულ ვალუტაში				
დენომინირებული				
ინვესტიციები რომლებიც				
შეფასებულია რეალური				
ღირებულებით სხვა სრულ				
შემოსავალში ასახვით-				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	12	2,272,589	2,272,589	1,649,777
ამორტიზებული				
ღირებულებით შეფასებული				
ინვესტიციები				
ეროვნულ ვალუტაში-				
<i>საქართველოს მთავრობა</i>	13	121,390	121,390	161,461
თანამშრომლებზე გაცემული				
სესხები- <i>უმადლესი რანგის</i>				
<i>ხელმძღვანელობა</i>	17	43	99	74
149				
<b>ვალდებულებები:</b>				
ვალდებულებები ფინანსთა				
სამინისტროს მიმართ	19	1,779,738	1,779,738	1,683,097
<b>მოგება ან ზარალისა და</b>				
<b>სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</b>				
საპროცენტო შემოსავალი		168,851	671,815	123,928
484,195				
- <i>საქართველოს მთავრობა</i>		<i>168,850</i>	<i>123,910</i>	
- <i>უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა</i>		<i>1</i>	<i>18</i>	

რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულების ცვლილებით მიღებულმა არარეალიზებულმა ზარალმა 2022 წელს შეადგინა 5,863 ათასი ლარი (2021: ზარალი 33,433 ათასი ლარის ოდენობით).

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ვალდებულებების ცვლილებების რეკონსილაცია საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

შენიშვნა	ფულადი მოძრაობა			არა ფულადი მოძრაობა				
	1 იანვარი 2022	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (წმინდა)	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2022 წლის მოგებიდან	31 დეკემბერი 2022	
<b>საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:</b>								
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,124	(6,032)	(585)	6,628	-	-	59,135
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	2,948,217	(35,853)	(46,991)	46,347	(501,537)	-	2,410,183
სხვა ვალდებულებები	23	356,060	-	(356,060)	-	-	462,780	462,780

შენიშვნა	ფულადი მოძრაობა			არა ფულადი მოძრაობა					
	1 იანვარი 2021	გადახდილი პროცენტი	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (წმინდა)	დარიცხული პროცენტი	საკურსო სხვაობები	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2020 წლის მოგებიდან	ფინანსთა სამინისტროსთვის განაწილება 2021 წლის მოგებიდან	31 დეკემბერი 2021	
<b>საფინანსო საქმიანობით გამოწვეული ვალდებულებები:</b>									
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22	59,273	(5,088)	(700)	5,639	-	-	-	59,124
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,900,788	(19,997)	1,262,346	19,857	(214,777)	-	-	2,948,218
სხვა ვალდებულებები	23	-	-	(140,000)	-	-	140,000	356,060	356,060

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფასს-ის თანახმად რეალური ღირებულება არის თანხა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვიდან ან იქნება გადახდილი ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი გარიგებების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის.

### რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკის ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულებით აღრიცხვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება. მომდევნო ცხრილი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ განისაზღვრება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (კერძოდ შეფასების ტექნიკები და გამოყენებული მონაცემები).

წარდგენის მიზნით, რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები დაყოფილია რეალური ღირებულების იერარქიის სამი დონის მიხედვით, რაც დაფუძნებულია რეალური ღირებულების დასადგენად გათვალისწინებული შემავალი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე:

- აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (**დონე 1**) – შეფასება დაფუძნებულია აქტიურ ბაზრებზე მსგავსი აქტივებისა თუ ვალდებულებების კოტირებულ ფასებზე, ბანკის წვდომის შესაძლებლობის შესაბამისად. ამ სახის ფინანსურ ინსტრუმენტებზე შეფასების კორექტირებები არ ვრცელდება, რადგან შეფასება დაფუძნებულია კოტირებულ ფასებზე, რომლებიც მზა სახით და საკმარისი სიხშირით გვხვდება აქტიურ ბაზარზე, ამ პროდუქტების შეფასება არ წარმოადგენს მნიშვნელოვანი შეფასების საგანს. ეს დონე მოიცავს საერთაშორისო რეზერვების პორტფელის ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებიც კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და ფინანსურ ინსტრუმენტებად, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. ინსტრუმენტები ფასდება ყოველდღიურად, ბლუმბერგის დღის საბოლოო ე.წ. „შეთავაზებული ფასების“ მიხედვით.
- შეფასების ტექნიკა, რომელიც იყენებს დაკვირვებად მონაცემებს. (**დონე 2**) - შეფასება რომელიც ემყარება მონაცემებს, გარდა კოტირებული ფასებისა რომელიც გამოიყენებოდა 1-ელ დონეში, რომლებიც დაკვირვებადია აქტივისა და ვალდებულებებისთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ. მე-2 დონე მოიცავს შემდეგს:

- ა) კოტირებული ფასები მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის აქტიურ ბაზრებზე;
- ბ) კოტირებული ფასები იდენტური ან მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის არა აქტიურ ბაზრებზე;
- გ) აქტივებსა და ვალდებულებებზე არა კოტირებული ფასების მქონე მონაცემი, რომლის დაკვირვებაც შესაძლებელია, მაგალითად:
  - საპროცენტო განაკვეთები და სარგებლის მრუდები, რომლებიც დაკვირვებადია კოტირებული ინტერვალისთვის
  - ნაგულისხმები მერყეობა, და
  - საკრედიტო „სპრედი“.

### დ) ბაზრით გამყარებული მონაცემები

საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები, კლასიფიცირებული როგორც ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, მიეკუთვნება მე-2 დონეს და ითვლება დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით, უფრო კონკრეტულად კი საბაზრო სარგებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული მსგავსი ფასიანი ქაღალდებისთვის. რეალური ღირებულების შესაფასებლად, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი გამოიყენება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთის სარგებლის მრუდზე დაყრდნობით, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადიანობას.

- შეფასების ტექნიკა, რომლის შემავალი მონაცემები არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს (**დონე 3**) – შეფასება დაფუძნებულია ყველა იმ მონაცემზე, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალურ

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ღირებულებაზე და არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს. ბანკს არ გააჩნია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ ეფუძნება საბაზრო მონაცემებს.

ბანკს მიაჩნია, რომ სააღრიცხვო შეფასება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, როდესაც არ არის ხელმისაწვდომი კოტირებული საბაზრო ფასები ან სხვა დაკვირვებადი მონაცემები არის მნიშვნელოვანი წყარო გაურკვევლობებისა შეფასებებში რადგან: (i) ის არის მიდრეკილი პერიოდული ცვლილებებისკენ, საჭიროებს მენეჯმენტისგან დაშვებებს საპროცენტო განაკვეთებზე, ცვალებადობაზე, გაცვლით კურსებზე, კონტრაჰენტის საკრედიტო რეიტინგზე, შეფასების კორექტირებებზე და ტრანზაქციების სპეციფიურ ფუნქციებზე და (ii) შეფასების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ აქტივებსა და მოგებაზე ან ზარალზე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, შეფასების დონეების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. თანხები მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ღირებულებებით:

ფინანსური აქტივები	შენიშვნები	რეალური ღირებულება				
		2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	რეალური ღირებულების იერარქიის დონეები	შეფასების ტექნიკები და მირითადი მონაცემები	არა- დაკვირვებადი მნიშვნელოვანი მონაცემები
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>						
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	45,653	14,235	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,372	329,975	დონე 1*	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,809,221	7,759,488	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები</b>						
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	2,272,589	1,649,777	დონე 2	საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მსგავსი ინსტრუმენტების-	არ მიესადაგება
წარმოებული ფინანსური აქტივები	10	734	3,864	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	10	1,649	-	დონე 1	აქტიურ ბაზარზე კოტირებული "შეთავაზებული ფასი"	არ მიესადაგება

\*ბანკის ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით წარმოადგენს საერთაშორისო რეზერვების იმ ნაწილს, რომელიც სამართავად არის გადაცემული საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისთვის და შედგება საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის საინვესტიციო

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

კალათაში (BISIP CNY) განთავსებული ინვესტიციებისგან. აღნიშნული ინვესტიციები წარმოადგენს ინსტრუმენტებს, რომელთათვისაც არსებობს აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები რაზე წვდომაც ბანკს აქვს იდენტურ აქტივებისა თუ ვალდებულებებისთვის. შესაბამისად, რეალური ღირებულების იერარქიაში ინვესტიციის რეალური ღირებულება მიჩნეულია როგორც დონე 1.

2022 წლის 31 დეკემბრით და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის ადგილი არ ჰქონია გადატანას პირველ, მეორე და მესამე დონეებს შორის.

სხვა სრულ შემოსავალში შესული მოგება და ზარალი უკავშირდება ინვესტიციებს, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და მისი ანგარიშგება ხდება როგორც რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ინვესტიციების გადაფასების რეზერვის ცვლილება.

მოგებაში ან ზარალში გაერთიანებული წმინდა არარეალიზებული მოგება/(ზარალი) ფასიანი ქაღალდებისა და წარმოებული ინსტრუმენტებიდან უკავშირდება წარმოებული ფინანსური აქტივებისა და სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ცვლილებებს რეალურ ღირებულებაში 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.

**იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით განმეორებით საფუძველზე (ამასთან აუცილებელია რეალური ღირებულების განმარტებითი შენიშვნები)**

ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ მათ გააჩნიათ ხანმოკლე დაფარვის ვადა. ეს დაშვება ასევე ეხება მოთხოვნამდე დეპოზიტებსა და ანგარიშებს დაფარვის ვადის გარეშე.

მიჩნეულია, რომ ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსური აქტივებისა (საქართველოს სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირებული როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ინვესტიციები) და ვალდებულებების (სესხები საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან) შემთხვევაში საბალანსო ღირებულება უტოლდება რეალურ ღირებულებას. დამატებით ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ სესხი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან, მისი სპეციფიკური თვისებიდან გამომდინარე წარმოადგენს ცალკე სესხების სეგმენტს, რომლებიც გაიცემა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ განვითარებადი ქვეყნებისთვის ხელშეწყობის მიზნით. შედეგად ეს სესხები განიხილება როგორც “გამოწვეული ხელის მანძილის პრინციპით” მიღებული.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასი ლარი)

## რისკების მართვა

### შესავალი

ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის რისკებთან. ეს რისკები მოიცავს ფინანსურ რისკებს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკების სახით. აგრეთვე ბანკის საქმიანობა დაკავშირებულია არაფინანსური რისკების ფართო სპექტრთან. ბანკის უნიკალური როლიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ რისკების მართვა და კონტროლი დაფუძნებულია არა მარტო ორგანიზაციული რისკისა და მოგების შესახებ მოსაზრებებზე, არამედ, ის მხედველობაში იღებს ეროვნულ ინტერესს, შესაბამის კანონმდებლობაში გაწერილი პასუხისმგებლობების მიხედვით. ბანკის ხედვით რისკების მართვის სისტემა წარმოადგენს მმართველობის პროცესის განუყოფელ ნაწილს და ძლიერი კორპორაციული მმართველობის არსებით კომპონენტს. ბანკის საბჭო, საბოლოო ჯამში, პასუხისმგებელია რისკების მართვის ჩარჩოს და მნიშვნელოვანი რისკების მართვის პროცესის ზედამხედველობაზე და ასევე რისკების მართვის პოლიტიკების და პროცედურების გადახედვაზე. ეფექტური და ეფექტიანი რისკის მართვის სისტემის უზრუნველსაყოფად ბანკში შემუშავებულია დაცვის სამსახურიანი მოდელი. ეს მოდელი სტრუქტურული ერთეულებისთვის, რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტისა და შიდააუდიტორული სამსახურისთვის გამოყოფს მკაფიო როლებსა და პასუხისმგებლობებს.

### დაცვის პირველი ხაზი: მართვა სტრუქტურული ერთეულის დონეზე

დაცვის პირველი ხაზი (ბანკის დეპარტამენტები) პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და რისკების მართვაზე სტრუქტურული ერთეულის დონეზე ადეკვატური და ეფექტური კონტროლის მექანიზმების შემუშავების, დანერგვასა და შენარჩუნების გზით.

### დაცვის მეორე ხაზი: რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი

დაცვის მეორე ხაზი (რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი) პასუხისმგებელია ეფექტური არაფინანსური რისკების მართვის ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რომელიც შესაბამისობაშია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სტანდარტებთან და მიდგომებთან. რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკების, მექანიზმების და რისკის მართვის პროცესების დამოუკიდებელ და პროაქტიულ შეფასებას და ბიზნეს უწყვეტობის მხარდაჭერას. დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია ბანკის პრეზიდენტთან.

### დაცვის მესამე ხაზი: შიდააუდიტორული სამსახური

შიდააუდიტორული სამსახური წარმოადგენს დაცვის მესამე ხაზს, რომელიც უზრუნველყოფს რისკების მართვისა და შიდა კონტროლების სისტემების ეფექტურობას და ადეკვატურობას. შიდა აუდიტი რეგულარულად ამოწმებს, როგორც შიდა კონტროლების ადეკვატურობას, ასევე ბანკის პროცესების შესაბამისობას პროცედურებთან და შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს წარუდგენს საბჭოს თავმჯდომარეს.

### რისკის მართვის დეპარტამენტის სტრუქტურა

რისკის ტიპი	მართვის დონე	სახელმძღვანელო	ზედამხედველობა
		მითითებების პოლიტიკის ავტორი	
ფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი	საბჭო
		საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტი	
არაფინანსური რისკები	დეპარტამენტის დონეზე	რისკების ცენტრალიზებული მართვის დეპარტამენტი	შიდა აუდიტი, აუდიტის კომიტეტი

### ფინანსური რისკები



# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ბანკი ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს მონეტარული პოლიტიკის მიზნების მიღწევისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის მიზნით. ამ ორ პორტფელს განსხვავებული რისკის პოლიტიკა და მახასიათებლები აქვს და ორივე მათგანი იმართება ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ. ქვემოთ მოცემულ ფინანსური რისკების დახასიათებაში წარმოდგენილია ძირითადი რისკები, რომლის წინაშეც დგას ამ ორ პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები და ამ რისკების მართვის პოლიტიკა.

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების კომპონენტების მაქსიმალურ საკრედიტო რისკს ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლისთვისაც არ ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები:

	შენიშვნა	მაქსიმალური რისკი	მაქსიმალური რისკი
		31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
<b>აქტივები უცხოურ ვალუტაში</b>			
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	45,653	14,235
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,372	329,975
<b>აქტივები ეროვნულ ვალუტაში</b>			
<b>მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები</b>			
წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები		734	3,864
<b>სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი</b>		<b>318,759</b>	<b>348,074</b>

საკრედიტო რისკი იმ ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისი აქტივების საბალანსო ღირებულებებით.

### საერთაშორისო რეზერვების პორტფელი

კანონის მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია იქონიოს და მართოს საერთაშორისო რეზერვების პორტფელი. ბანკი პორტფელს იყენებს მონეტარული და გაცვლითი კურსის პოლიტიკის წარმოებისა და შიდა და უცხოური გადახდების ნორმალური ფუნქციონირებისთვის. რეზერვები ასევე გამოიყენება ქვეყნის გარე რისკებისგან დასაცავად, რაც გულისხმობს საკმარისი ლიკვიდობის შენარჩუნებას ფინანსური კრიზისის დროს შოკის დასაძლევად. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ფლობის სხვადასხვა მიზნებია უსაფრთხოების, ლიკვიდობისა და მომგებიანობის უზრუნველყოფა. ამასთან, საერთაშორისო სარეზერვო პორტფელში შემავალი აქტივები ინვესტირდება კონსერვატიულ საფუძვლებზე, ლიკვიდობასა და კაპიტალის შენარჩუნებაზე აქცენტებით. მაგალითად, ბანკის საინვესტიციო სახელმძღვანელოში პრიორიტეტი ენიჭება კაპიტალის შენარჩუნებას და რეზერვების მაღალ ლიკვიდობას. როდესაც ეს წინაპირობები სრულდება, უნდა მოხდეს მოგების მაქსიმიზაცია.

პორტფელის მართვა ხდება საინვესტიციო სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია ბანკის საბჭოს მიერ. ბანკის რეზერვების მართვის კომიტეტი (შემდგომში „კომიტეტი“) პასუხისმგებელია აქტივების სტრატეგიული გადანაწილების მიხედვით რისკის შემცირებისთვის საჭირო ზომების დანერგვასა და მონიტორინგზე. ასევე კომიტეტმა უნდა მიიღოს

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

რწმუნება იმისა, რომ ბანკის საქმიანობა ხდება რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. კომიტეტის ჩვეულებრივი საქმიანობა მოიცავს ყოველთვიური ანგარიშების მიმოხილვას, კონტრაგენტების სიის დამოწმებას, სტრატეგიული ცვლილებების დამოწმებას საბჭოში წარდგენამდე და პერიოდულად, აქტივების გადანაწილებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ბანკის რისკის მართვისა და კონტროლის განყოფილება (შემდგომში „განყოფილება“) პასუხისმგებელია საერთო რისკების ყოველდღიურ მართვასა და დადგენილ პარამეტრებთან შესაბამისობაზე, რაც უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, მართვისა და ანგარიშგებისათვის საჭირო საერთო პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას.

### მონეტარული პოლიტიკის პორტფელი

მონეტარული პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საშუალებებია ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, სესხები გაცემული კომერციულ ბანკებზე, სადეპოზიტო სერტიფიკატები, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი პასუხისმგებელია დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს რისკის შემცირების საშუალებებს, მაგალითად როგორცაა უზრუნველყოფის მოთხოვნები რეფინანსირების სესხებისთვის.

### ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგით შეფასებული

საერთაშორისო რეზერვების ოპერაციებში გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის გაკონტროლებისთვის, „სტრატეგიული აქტივების გადანაწილება“ ზღუდავს საკრედიტო რისკს ქვეყნების, კონტრაქტების და ემიტენტების მიხედვით, საკონცენტრაციო ლიმიტებისა და მინიმალური გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგების დაწესებით (Standard & Poor's, Moody's და Fitch-სააგენტოების მიხედვით). მაგალითად, საინვესტიციო სახელმძღვანელო ნათლად განსაზღვრავს საკრედიტო რეიტინგის მინიმალურ დონედ A- რეიტინგს სავალო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, თამასუქები), ისევე როგორც ბანკთაშორის დეპოზიტებსა და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირებისას. ამასთან, ნოსტრო ანგარიშების კონტრაქტებისთვის მინიმალური საკრედიტო რეიტინგი წარმოადგენს BBB-ს.

გარდა ამისა, საინვესტიციო სახელმძღვანელო ასევე ზღუდავს ინსტრუმენტების ინვესტირებას არასაბაზისო ფინანსურ ინსტრუმენტებში. პორტფელი დივერსიფიცირებულია სხვადასხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში ფიქსირებულ და ცვალებად-განაკვეთიან ფასიანი ქაღალდებში (სახელმწიფო სავალო ფასიანი ქაღალდები, „სააგენტოს“, მათ შორის რეგიონალური მთავრობებისა და სუპრანაციონალური ფასიანი ქაღალდები) და სხვა ძლიერ ლიკვიდურ, და უსაფრთხო ინსტრუმენტებში.

კონტრაქტების შერჩევას ბანკი ითვალისწინებს მათ საკრედიტო რეიტინგს, ქვეყანას, აქტივებისა და კაპიტალის მოცულობას, საერთაშორისო ბაზრებზე და კორპორატიულ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილებას და ასევე მათთვის შეთავაზებული მომსახურებისა და ინსტრუმენტების დიაპაზონს. ზემოთ ხსენებული სარეიტინგო სააგენტოების მიერ ბანკის კონტრაქტის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგის კლების შემთხვევაში, კონტრაქტი ამოღებული იქნება დაშვებული კონტრაქტების სიიდან.

როდესაც სხვადასხვა საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოები (Standard & Poor's, Moody's და Fitch) აქტივებისთვის განსაზღვრავენ განსხვავებულ საკრედიტო რეიტინგებს, საკრედიტო რისკის შესაფასებლად გამოიყენება მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი.

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### საკრედიტო ხარისხის ანალიზი

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული იმ ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგებიდან მეორე საუკეთესოს მიხედვით:

	31 დეკემბერი 2022				31 დეკემბერი 2021			
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - არა გაუფასურებული	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
მეორე საუკეთესო საკრედიტო რეიტინგი (საკრედიტო რეიტინგების დიაპაზონი)								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	2,001,824	-	-	2,001,824	1,595,101	-	-	1,595,101
AA („A+“-დან „AA+“-მდე)	479,552	-	-	479,552	170,100	-	-	170,100
A („BBB+“-დან „AA“-მდე)	1,034,648	-	-	1,034,648	637,371	-	-	637,371
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>3,516,024</b>	-	-	<b>3,516,024</b>	<b>2,402,572</b>	-	-	<b>2,402,572</b>
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>3,516,024</b>	-	-	<b>3,516,024</b>	<b>2,402,572</b>	-	-	<b>2,402,572</b>
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში								
AAA	1,249,154	-	-	1,249,154	1,506,927	-	-	1,506,927
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,249,154</b>	-	-	<b>1,249,154</b>	<b>1,506,927</b>	-	-	<b>1,506,927</b>
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>1,249,154</b>	-	-	<b>1,249,154</b>	<b>1,506,927</b>	-	-	<b>1,506,927</b>
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით								
AAA („AA+“-დან „AAA“-მდე)	7,023,663	-	-	7,023,663	6,803,394	-	-	6,803,394
AA („A+“-დან „AA“-მდე)	534,904	-	-	534,904	947,006	-	-	947,006
A („A“-დან „A+“-მდე)	250,654	-	-	250,654	9,088	-	-	9,088
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება</b>	<b>7,809,221</b>	-	-	<b>7,809,221</b>	<b>7,759,488</b>	-	-	<b>7,759,488</b>
ზარალის რეზერვი (აღიარებული სხვა სრულ შემოსავალში)	(236)	-	-	(236)	(218)	-	-	(218)

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები - შიდა რეიტინგით შეფასებული

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ღია ბაზრის ოპერაციებთან და ინსტრუმენტებთან, რომელთა მეშვეობითაც ფინანსურ სისტემაში ხდება ლიკვიდობის მიწოდება. ბანკის ფასიანი ქაღალდების პორტფელი შედგება ექსკლუზიურად საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონე აქტივებად. საბანკო ინსტიტუტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკის შესამცირებლად, ბანკი ითხოვს უზრუნველყოფას, რომელსაც მისთვის მისაღები საკრედიტო ხარისხი ექნება. უზრუნველყოფის შეფასება ხდება მათი მიღებისას არსებული საბაზრო ფასით და შეფასებაზე შეიძლება გავრცელდეს დისკონტი ან „ჰეარკატი“ ინსტრუმენტის სპეციფიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ბანკი მისი ფინანსური აქტივების (გარდა საერთაშორისო რეზერვებისა) კლასიფიცირებას შიდა შემუშავებული რეიტინგების საფუძველზე შემდეგი სახით ახდენს:

რეიტინგი AAA - ძალიან კარგი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი AA – სტაბილური ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში არ შესულა ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი A - დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლები, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი არ არის ვადაგადაცილებული.

რეიტინგი B - სესხები გაცემული დამაკმაყოფილებელი ფინანსური მაჩვენებლების მქონე მსესხებლებზე, რომელთა სესხის ხელშეკრულების პირობებში შესულია ცვლილებები და რომელთა ძირითადი თანხა და პროცენტი ვადაგადაცილებულია.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი ახდენს რისკის ზუსტ და თანამიმდევრულ კლასიფიცირებას მის საკრედიტო პორტფელში. დაკავშირებული რისკების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს, ფინანსური ინსტრუმენტის კლასის მიხედვით, მონეტარული პოლიტიკის და სხვა ფინანსური აქტივების მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას, რომლებზეც ვრცელდება გაუფასურების მოთხოვნები, ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემის საფუძველზე:

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი 2022			31 დეკემბერი 2021		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებობის მანძილზე - გაუფასურებული	სულ
<b>აქტივები უცხოურ ვალუტაში</b>						
სხვა ფინანსური აქტივები						
AAA რეიტინგი	485	-	485	-	-	-
A რეიტინგი	166	-	166	-	-	-
B რეიტინგი	6	-	6	8	-	8
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>657</b>	<b>-</b>	<b>657</b>	<b>8</b>	<b>-</b>	<b>8</b>
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>657</b>	<b>-</b>	<b>657</b>	<b>8</b>	<b>-</b>	<b>8</b>
<b>აქტივები ეროვნულ ვალუტაში</b>						
მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები						
მოთხოვნები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ						
AAA რეიტინგი	3,456,584	-	3,456,584	3,147,015	-	3,147,015
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>3,456,584</b>	<b>-</b>	<b>3,456,584</b>	<b>3,147,015</b>	<b>-</b>	<b>3,147,015</b>
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>3,456,584</b>	<b>-</b>	<b>3,456,584</b>	<b>3,147,015</b>	<b>-</b>	<b>3,147,015</b>
<b>ინვესტიციები შეფასებული რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით</b>						
AAA რეიტინგი	2,272,589	-	2,272,589	1,649,777	-	1,649,777
<b>საბალანსო ღირებულება - რეალური ღირებულება</b>	<b>2,272,589</b>	<b>-</b>	<b>2,272,589</b>	<b>1,649,777</b>	<b>-</b>	<b>1,649,777</b>
<b>სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში</b>						
ინვესტიციები ამორტიზირებული ღირებულებით						
AAA რეიტინგი	121,390	-	121,390	161,461	-	161,461
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>121,390</b>	<b>-</b>	<b>121,390</b>	<b>161,461</b>	<b>-</b>	<b>161,461</b>
ზარალის რეზერვი	-	-	-	-	-	-
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>121,390</b>	<b>-</b>	<b>121,390</b>	<b>161,461</b>	<b>-</b>	<b>161,461</b>
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>						
A რეიტინგი	200	-	200	101	-	101
B რეიტინგი	-	54	54	-	149	149
<b>მთლიანი საბალანსო ღირებულება</b>	<b>200</b>	<b>54</b>	<b>254</b>	<b>101</b>	<b>149</b>	<b>250</b>
ზარალის რეზერვი	-	(54)	(54)	-	(74)	(74)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>	<b>200</b>	<b>-</b>	<b>200</b>	<b>101</b>	<b>75</b>	<b>176</b>

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ქვემოთ მოცემული ცხრილი მოიცავს ზარალის რეზერვის შემავალი და საბოლოო ნაშთების რეკონსილაციას იმ ფინანსური ინსტრუმენტების კლასების მიხედვით, რომლების მიმართაც აღიარდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

	2022			2021		
	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ	12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - გაუფასურებული	სულ
<i>აქტივები უცხოურ ვალუტაში</i>						
<i>საერთაშორისო რეზერვები</i>						
<i>ინვესტიციები აღრიცხული რეალური ღირებულებით</i>						
<i>სხვა სრულ შემოსავალში ასახვით</i>						
<b>ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით</b>	<b>218</b>	-	<b>218</b>	<b>337</b>	-	<b>337</b>
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	147	-	147	116	-	116
ზარალის რეზერვის გადაფასება	(71)	-	(71)	(74)	-	(74)
უცხოური სავალუტო კურსის და სხვა მოძრაობები	(13)	-	(13)	(6)	-	(6)
ფინანსური აქტივები რომელთა აღიარება შეწყდა - დაფარვა	(45)	-	(45)	(155)	-	(155)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>236</b>	-	<b>236</b>	<b>218</b>	-	<b>218</b>
<i>აქტივები ეროვნულ ვალუტაში</i>						
<i>სხვა აქტივები ეროვნულ ვალუტაში</i>						
<i>სხვა აქტივები</i>						
<b>ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით</b>	-	<b>74</b>	<b>74</b>	-	<b>156</b>	<b>156</b>
ახალი ფინანსური აქტივების აღიარება	-	-	-	-	-	-
ზარალის რეზერვის გადაფასება	-	-	-	-	(56)	(56)
ფინანსური აქტივები რომლის აღიარება შეწყდა - დაფარვა	-	(20)	(20)	-	(26)	(26)
<b>ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	-	<b>54</b>	<b>54</b>	-	<b>74</b>	<b>74</b>
<b>სულ ნაშთი 1-ლი იანვრის მდგომარეობით</b>	<b>218</b>	<b>74</b>	<b>292</b>	<b>337</b>	<b>156</b>	<b>493</b>
<b>სულ ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>236</b>	<b>54</b>	<b>290</b>	<b>218</b>	<b>74</b>	<b>292</b>

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

### ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კონტრაქტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსადაიმევე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბრად უარყოფით გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძობიარე იქნება კონკრეტულ სფეროსა თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკის კონცენტრაციის მინიმიზაციის მიზნით, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს დივერსიფიცირებული პორტფელის შექმნისა და შენარჩუნების სპეციალურ ინსტრუქციებს. რისკის კონცენტრაცია აქტივების ხარისხისა და კონტრაქტების მიხედვით წარმოდგენილია შესაბამის შენიშვნებში.

### გეოგრაფიული კონცენტრაცია

ბანკის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, გარდა საერთაშორისო რეზერვების პორტფელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალდებულებისა, კონცენტრირებულია საქართველოში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს გარეთ კონცენტრირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
<b>აქტივები:</b>								
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	287,623	2,650,812	1	122	-	577,466	3,516,024
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	1,249,154	-	1,249,154
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	10	-	-	-	-	-	45,653	45,653
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	272,372	-	272,372
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	5,485,359	562,906	19,284	642,509	744,020	355,143	7,809,221
		<b>5,772,982</b>	<b>3,213,718</b>	<b>19,285</b>	<b>642,631</b>	<b>2,265,546</b>	<b>978,262</b>	<b>12,892,424</b>
<b>ვალდებულებები:</b>								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	2,410,183	-	2,410,183
<b>წმინდა პოზიცია:</b>		<b>5,772,982</b>	<b>3,213,718</b>	<b>19,285</b>	<b>642,631</b>	<b>(144,637)</b>	<b>978,262</b>	<b>10,482,241</b>

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები  
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნები	აშშ	ევროკავშირი*	ავსტრალია	კანადა	საერთაშორისო	სხვა	სულ
<b>აქტივები:</b>								
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	117,659	1,816,828	8	1,901	-	466,176	2,402,572
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	-	-	-	-	1,506,927	-	1,506,927
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	-	-	-	-	-	14,235	14,235
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	-	-	-	-	329,975	-	329,975
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	4,628,393	1,113,351	62,567	1,003,701	837,856	113,620	7,759,488
		<b>4,746,052</b>	<b>2,930,179</b>	<b>62,575</b>	<b>1,005,602</b>	<b>2,674,758</b>	<b>594,031</b>	<b>12,013,197</b>
<b>ვალდებულებები:</b>								
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	-	-	-	-	2,948,217	-	2,948,217
<b>წმინდა პოზიციას:</b>		<b>4,746,052</b>	<b>2,930,179</b>	<b>62,575</b>	<b>1,005,602</b>	<b>(273,459)</b>	<b>594,031</b>	<b>9,064,980</b>

\*ევროკავშირი-ნორვეგიის სააგენტოს ფასიანი ქაღალდების ჩათვლით





შპს „KPMG Georgia“  
 ჯი ემ თი პლაზა, სართული 5  
 მთაწმინდის რაიონი, თავისუფლების მოედანი , N4, (ნაკვ.66/4)  
 თბილისი, საქართველო 0105  
 ს/კ 404437695  
 ტელეფონი: +995 322 93 5713  
 ინტერნეტი: www.kpmg.ge

## ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობება ბანკისთვის, როდესაც მას აქვს სირთულეები იმ ფინანსური ვალდებულებების დაფარვისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების გადინებასთან ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან.

### ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ლიკვიდობის რისკის მართვის ამოცანაა დარწმუნდეს რომ ბანკი ასრულებს ყველა აღებულ ფინანსურ ვალდებულებას. შესაბამისად, არსებობს ვადიანობის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და დაწესებული ლიმიტები, რომელთა მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ შესყიდული ფასიანი ქაღალდებით მეორად ბაზარზე ვაჭრობა შესაძლებელი იყოს აქტივების ფასების მკვეთრი ცვლილებების გამოწვევის გარეშე. ამ სახელმძღვანელო მითითებების გამო, გრძელვადიან ფასიან ქაღალდებსაც გააჩნიათ მყისიერი ლიკვიდობა.

ბანკის მონეტარული პოლიტიკისა და საერთაშორისო რეზერვების მართვის კომიტეტები განსაზღვრავენ იმ ვადადამდგარი სახსრების მინიმალური პროპორციის ზღვრებს, რომლებიც გამოიყენება ფულადი სახსრების გადინების დასაფარად. ბანკის ლიკვიდობის მართვის პოლიტიკა მოითხოვს:

- ძირითად ვალუტებში ფულადი ნაკადების პროგნოზირებას მათთან დაკავშირებული ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროს არსებობას;
- სესხების კონცენტრაციისა და პარამეტრების მართვას;
- პორტფელის მაღალ ლიკვიდურ აქტივებში განთავსებას, რომლებიც ადვილად იქნებიან ლიკვიდირებულნი, როგორც დაცვის მექანიზმი ნებისმიერი ფულადი ნაკადის შეწყვეტისას;
- ლიკვიდობისა და გაუთვალისწინებელი დაფინანსების გეგმის არსებობას.

ფინანსური ბაზრების დეპარტამენტი ბიზნეს ერთეულებიდან იღებს ინფორმაციას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდობის კრილში და სხვა დეტალებს პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შესახებ დაგეგმილი მომავალი ოპერაციებიდან. ბანკის ლიკვიდობის რისკი დაკავშირებულია ფულად ნაკადებთან უცხოურ ვალუტაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ბანკის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმძღვანელო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებზე დაფუძნებით. ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილია „3 თვეზე ნაკლებ“ კატეგორიაში, იმის საფუძველზე, რომ ბანკს შეუძლია მათი რეალიზება არა უმეტეს 3 თვის ვადის განმავლობაში ლიკვიდურობის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად:

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	3,516,024	-	-	-	3,516,024
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,249,154	-	-	-	1,249,154
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	45,653	-	-	-	45,653
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	272,372	-	-	-	272,372
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,809,221	-	-	-	7,809,221
<b>სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
სხვა ფინანსური აქტივები	17	172	-	485	-	657
<b>სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>		<b>12,892,596</b>	<b>-</b>	<b>485</b>	<b>-</b>	<b>12,893,081</b>
<b>ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,716,743	-	-	-	5,716,743
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	623,860	-	-	-	623,860
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,260,572	268,578	662,156	422,807	2,614,113
სხვა ვალდებულებები	17	3,978	870	-	-	4,848
<b>სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>		<b>7,605,153</b>	<b>269,448</b>	<b>662,156</b>	<b>422,807</b>	<b>8,959,564</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>		<b>5,287,443</b>	<b>(269,448)</b>	<b>(661,671)</b>	<b>(422,807)</b>	<b>3,933,517</b>

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	შენიშვნა	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 12 თვემდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
<b>საერთაშორისო რეზერვები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გამოკლებით)	7	2,402,572	-	-	-	2,402,572
SDR-ის ანგარიში საერთაშორისო სავალუტო ფონდში	9	1,506,927	-	-	-	1,506,927
წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული აქტივები	10	14,235	-	-	-	14,235
ინვესტიციები რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით	11	329,975	-	-	-	329,975
ინვესტიციები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	12	7,759,488	-	-	-	7,759,488
<b>სხვა აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
სხვა ფინანსური აქტივები	17	8	-	-	-	8
<b>სულ აქტივები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>		<b>12,013,205</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>12,013,205</b>
<b>ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>						
ვალდებულებები რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	18	5,344,835	-	-	-	5,344,835
ვალდებულებები ფინანსთა სამინისტროს მიმართ	19	788,312	-	-	-	788,312
ვალდებულებები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ	9	1,503,790	69,556	744,590	725,797	3,043,732
სხვა ვალდებულებები	17	1,159	2,325	-	-	3,485
<b>სულ ვალდებულებები დენომინირებული უცხოურ ვალუტაში</b>		<b>7,638,096</b>	<b>71,881</b>	<b>744,590</b>	<b>725,797</b>	<b>9,180,364</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>		<b>4,375,109</b>	<b>(71,881)</b>	<b>(744,590)</b>	<b>(725,797)</b>	<b>2,832,841</b>

### ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

მონეტარული ორგანოს მახასიათებლების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფინანსური სისტემის ლიკვიდობის კონტროლს, ბანკზე არ ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეუსაბამობის შეზღუდვები. მონეტარული პოლიტიკის ყველა ინსტრუმენტი, გარდა სავალდებულო რეზერვებისა, მოკლევადიანია.

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია ისეთი საბაზრო ფაქტორების ცვალებადობით, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსი. საბაზრო რისკები მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფასების ცვლილების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო ღია პოზიციიდან, რომლებიც არ არის დაცული ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო რყევებისა და საბაზრო ფასების ცვლილებებისგან.

### ა) საერთაშორისო რეზერვების პორტფელში არსებული ფინანსური ინსტრუმენტები

## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

საბაზრო რისკი გულისხმობს ინვესტიციების ფასების ცვლილების შედეგად შესაძლო დანაკარგებს.

სტრატეგიული აქტივების გადანაწილების პროცესი ბანკის მიერ რისკის ტოლერანტობის/ამტანობის საფუძველზე ზღუდავს საბაზრო რისკს. მოგების მაქსიმიზაციის მიზნით, მას შემდეგ რაც მოხდება სცენარების შეფასება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების მიხედვით, საბაზრო რისკის ლიმიტის ფარგლებში ისაზღვრება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელი ცალკეული პორტფელებისთვის. ვალუტის რისკები განისაზღვრება უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულების ანალიზის საფუძველზე. საერთო სავალუტო რისკის შესამცირებლად ასევე განიხილება დივერსიფიკაციის ეფექტი (იხილეთ შენიშვნა - სავალუტო რისკი)

სამუშაო კაპიტალის, ევროში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის (2015 წლის 15 დეკემბრიდან) და ავსტრალიურ დოლარში დენომინირებული საინვესტიციო პორტფელის (2021 წლის თებერვლიდან) გარდა, ყველა პორტფელი აქტიურად იმართება შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში. აქტიური საბაზრო რისკი შემოსავლიანობის სავარაუდო მაჩვენებელთან მიმართებაში განისაზღვრება რისკის ბიუჯეტირების პროცესში და თითოეული პორტფელისთვის განისაზღვრება აქტიური საბაზრო რისკის ლიმიტები წინასწარ შეფასებული სავარაუდო თვალის მიდევნების შეცდომისა („ტრეკინგ ერორი“) და გადახრის ხანგრძლივობის შეზღუდვით. აქტიური პორტფელების ბაზრის შოკებთან დამოკიდებულების შესაფასებლად ხორციელდება რეგულარული „სტრეს-ტესტი“.

ქვემოთ მოცემულია სტრატეგიული შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა და აქტიური ბაზრების რისკის ლიმიტები საერთაშორისო რეზერვების პორტფელისთვის:

ტრანშები	2022		2021	
	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“	შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა (ხანგრძლივობის გადახრის ლიმიტები)	წინასწარ ნავარაუდები „თვალის მიდევნების შეცდომა“
ლიკვიდობის პორტფელი - აშშ დოლარი	6 თვე (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი	6 თვე (+/-3 თვე)	15 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - აშშ დოლარი*	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი
საინვესტიციო პორტფელი - კანადური დოლარი	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი	9 თვე (+/-3 თვე)	30 საბაზო პუნქტი

\* სტრატეგიული აქტივების გადანაწილების გადაწყვეტილების გამო შედარებითი საფუძვლების ხანგრძლივობა ლიკვიდობის პორტფელისთვის აშშ დოლარში და საინვესტიციო პორტფელისთვის აშშ დოლარსა და კანადურ დოლარში შემცირდა 2021 წლის მარტიდან.

\*2021 წლის მარტიდან საინვესტიციო პორტფელი აშშ დოლარში მოიცავს სუპრანაციონალურ ქვე-პორტფელს 9 თვიანი საფუძვლების ხანგრძლივობითა და 15 საბაზისო პუნქტი „თვალის მიდევნების შეცდომის“ ლიმიტით.

საბაზრო რისკის მონიტორინგი ხდება ვალუტების ვადიანობის და შემადგენლობის ყოველდღიური შეფასებით და თვალის მიდევნების შეცდომის გაკონტროლებით. საერთაშორისო რეზერვების მართვის ყოველდღიური ანგარიში, რომელიც ფინანსური ბაზრების დეპარტამენტის მიერ არის მომზადებული, მოიცავს შედეგებისა და რისკის, როგორც ცალკეულ, ასევე „ბენჩმარკთან“ მიმართებაში შეფასებას და წარმოადგენს განხორციელებული საინვესტიციო სტრატეგიის შეფასებას.

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

ბანკის დამოკიდებულება რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად წარმოიშვება მისი ინვესტიციებით საერთაშორისო რეზერვების პორტფელში, რომლებიც ხასიათდებიან მერყეობით ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების გამო.

უცხოური ვალუტის რეზერვების საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვალებადობის რისკს, რაც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

უცხოური ვალუტის რეზერვების პორტფელი, რომელსაც მართავს ეროვნული ბანკი, იყოფა ტრანშებად და ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს მის ტრანშებზე, ყველა ვალუტისთვის, საპროცენტო განაკვეთებში 1-პროცენტიან ცვლილებებზე დაყრდნობით, რაც მიუთითებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური საბაზრო ღირებულების ცვლილებას საშემოსავლო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილების შედეგად. ბანკის მიერ ფლობილი ტრანშების რეალური საბაზრო ღირებულება ექვემდებარება რყევებს, თუმცა ეს რყევები არ უშლის ბანკს ხელს მისი ვალდებულებების შესრულებაში.

### ბანკის საერთაშორისო რეზერვების საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა ტრანშების მიხედვით

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას აქტივებზე (მაჩვენებლები წარმოდგენილია ათას აშშ დოლარში).

ვალუტა	2022		2021	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	(13,872)	1%	(13,079)
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	(836)	1%	(1,428)
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	(3,121)	1%	(3,449)
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	(2,945)	1%	(3,171)
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	(1,127)	1%	(17)

ვალუტა	2022		2021	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე
საინვესტიციო ტრანში აშშ დოლარში	1%	14,114	1%	13,366
საინვესტიციო ტრანში კანადურ დოლარში	1%	850	1%	1,457
ლიკვიდობის ტრანში აშშ დოლარში	1%	3,172	1%	3,517
საინვესტიციო ტრანში ჩინურ იუანში გარე (BIS)	1%	3,106	1%	3,341
სამუშაო კაპიტალის ტრანში აშშ დოლარში	1%	1,142	1%	36

### ბ) მონეტარული პოლიტიკის პორტფელში შემავალი ფინანსური ინსტრუმენტები

ღია ბაზრის ოპერაციებისთვის, რისკი ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო ობლიგაციების საბაზრო ღირებულების და ლიკვიდობის მიწოდების ტრანზაქციებისას მიღებული უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილებასთან. უზრუნველყოფებთან მიმართებაში გაუფასურების რისკი მცირდება მარჟებისა და „haircut“-ების გამოყენებით, რომლებიც ამცირებენ მათ ღირებულებას და საშუალებას იძლევიან, რომ გასესხებული თანხის ეფექტური ნაწილი უზრუნველყოფის ღირებულებაზე ნაკლები იყოს.

### ბანკის ფინანსური აქტივებისა საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობა

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშვება იმ ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

გავლენას მოახდენს მომავალ ფულად ნაკადებზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაზე. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საპროცენტო განაკვეთში 1-პროცენტიანი ცვლილების გავლენას ბანკის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, წარმოებული ინსტრუმენტების ეფექტის გათვალისწინებით, სხვა ცვლადების უცვლელობის პირობებში.

კაპიტალის მგრძობელობა გამოითვლება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ინვესტიციების გადაფასებით საბაზრო საპროცენტო განაკვეთის 1 პროცენტიანი ცვლილებისათვის:

	2022		2021	
	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის ზრდა	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	(42,195)	1%	(34,449)
	2022		2021	
	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე	საპროცენტო განაკვეთის შემცირება	ზეგავლენა კაპიტალზე
საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდები	1%	43,913	1%	36,108

## სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსების ცვლილებებით. აქტივების სავალუტო სტრუქტურებიდან გამომდინარე, ბანკის აქტივების ღირებულებისთვის დამახასიათებელია ძირითადი ვალუტების კურსების ცვლილების რისკი. სავალუტო კურსის რისკის შემცირება გარკვეულ დონეზე შესაძლებელია აქტივების ფლობით ვალუტების დივერსიფიცირებულ პორტფელში. 2015 წლის 14 დეკემბრიდან, სამიზნე ვალუტების შემადგენლობა არის: აშშ დოლარი - 80%, ევრო - 10% და სხვა ვალუტები 10%-მდე (კანადური დოლარი, ჩინური იუანი და სხვა ვალუტები 10%-მდე). სტრატეგიული აქტივების გადანაწილების მიხედვით, დასაშვები გადახრა სამიზნე ვალუტის კომპოზიციიდან აშშ დოლარისთვის, ევროსთვის და სხვა ვალუტებისთვის +/-10%-ია.

## მგრძობელობა უცხოური ვალუტის მიმართ

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კონცენტრაციას ძირითად ვალუტებში და სავალუტო კურსების ლართან მიმართებაში 1%, 5%, 10% და 15%-ით ცვლილებების გავლენის ანალიზს მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე, სხვა ცვლადების უცვლელად შენარჩუნების პირობებში. ცხრილში მოცემული უარყოფითი თანხები ასახავს სავარაუდო წმინდა კლებას მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ხოლო დადებითი თანხები - სავარაუდო წმინდა მატებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	აშშ დოლარი			იაპონური იენი	კანადური დოლარი			სხვა	სულ
	დოლარი	ევრო	SDR		დოლარი	სხვა			
აქტივები									
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში ვალდებულებები	8,901,630	1,895,533	1,249,639	522,071	402,426	273,210		13,244,509	
დენომინირებული უცხოურ ვალუტაში წმინდა პოზიცია	(4,735,934)	(1,604,371)	(2,408,008)	-	-	(8,919)		(8,757,232)	
	<b>4,165,696</b>	<b>291,162</b>	<b>(1,158,369)</b>	<b>522,071</b>	<b>402,426</b>	<b>264,291</b>		<b>4,487,277</b>	
2021 წლის 31 დეკემბრის	აშშ	ევრო	SDR	იაპონური იენი	კანადური	სხვა	სულ		

# საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

მდგომარეობით	დოლარი			დოლარი			
აქტივები							
დენომინირებული							
უცხოურ ვალუტაში	8,346,127	2,309,178	1,506,927	255,764	486,068	330,498	13,234,562
ვალდებულებები							
დენომინირებული							
უცხოურ ვალუტაში	(4,554,046)	(1,581,096)	(2,945,597)	-	-	(1,490)	(9,082,229)
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>3,792,081</b>	<b>728,082</b>	<b>(1,438,670)</b>	<b>255,764</b>	<b>486,068</b>	<b>329,008</b>	<b>4,152,333</b>

### გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე

2022

	აშშ		SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
	დოლარი	ევრო					
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	41,657	2,912	(11,584)	5,221	4,024	2,643	44,873
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	208,285	14,558	(57,918)	26,104	20,121	13,214	224,364
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	416,570	29,116	(115,837)	52,207	40,243	26,429	448,728
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	624,854	43,674	(173,755)	78,311	60,364	39,644	673,092
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(41,657)	(2,912)	11,584	(5,221)	(4,024)	(2,643)	(44,873)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(208,285)	(14,558)	57,918	(26,104)	(20,121)	(13,214)	(224,364)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(416,570)	(29,116)	115,837	(52,207)	(40,243)	(26,429)	(448,728)
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(624,854)	(43,674)	173,755	(78,311)	(60,364)	(39,644)	(673,092)

### გავლენა სრულ შემოსავალსა და კაპიტალზე

2021

	აშშ		SDR	იაპონური იენი	კანადური დოლარი	სხვა	სულ
	დოლარი	ევრო					
სავალუტო კურსის ზრდა 1%-ით	37,921	7,281	(14,387)	2,558	4,861	3,290	41,524
სავალუტო კურსის ზრდა 5%-ით	189,604	36,404	(71,933)	12,788	24,303	16,450	207,616
სავალუტო კურსის ზრდა 10%-ით	379,208	72,808	(143,867)	25,576	48,607	32,901	415,233
სავალუტო კურსის ზრდა 15%-ით	568,812	109,212	(215,801)	38,365	72,910	49,351	622,849
სავალუტო კურსის კლება 1%-ით	(37,921)	(7,281)	14,387	(2,558)	(4,861)	(3,289)	(41,523)
სავალუტო კურსის კლება 5%-ით	(189,604)	(36,404)	71,933	(12,788)	(24,303)	(16,451)	(207,617)
სავალუტო კურსის კლება 10%-ით	(379,208)	(72,808)	143,867	(25,576)	(48,607)	(32,901)	(415,233)
სავალუტო კურსის კლება 15%-ით	(568,812)	(109,212)	215,801	(38,365)	(72,910)	(49,351)	(622,849)

# საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

## სხვა რისკები

### ანგარიშსწორების რისკი

ანგარიშსწორების რისკის (ე.ი. რისკი იმისა, რომ კონტრაქტმა შესაძლოა ვერ დაასრულოს ტრანზაქცია) შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. ბანკი მხოლოდ მას შემდეგ გადარიცხავს თანხებს, რაც დარწმუნდება რომ ტრანზაქციისთვის საკმარისი უზრუნველყოფა არსებობს. ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ტრანზაქციებისას ანგარიშსწორების რისკი იფარება ისეთი სისტემების გამოყენებით, რომლებიც ემყარება გადახდისთანავე მიწოდების პრინციპს, რაც გულისხმობს ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების თანადროულ/ერთდროულ გაცვლას. გარდა ამისა, ანგარიშსწორება ხორციელდება ბანკის მიერ ფლობილი, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მონაწილის პოზიციას რეალურ დროში ინდივიდუალური გადახდების საფუძველზე. ამის შედეგად, ავტომატურად ხდება ოვერდრაფტების თავიდან აცილება და იქიდან გამომდინარე, რომ სისტემა ამავდროულად იყენებს ბანკში განთავსებულ აქტივებს ანგარიშსწორების წყაროდ, ის საკრედიტო რისკს ამცირებს.

### არაფინანსური რისკი

არაფინანსური რისკები, რომლის მიმართაც ეროვნულ ბანკს მოწყვლადობა გააჩნია, მოიცავს საოპერაციო და რეპუტაციულ რისკებს. საოპერაციო რისკს, თავის მხრივ განაპირობებს არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესები, ადამიანური ფაქტორები, სისტემები და გარე მოვლენები. საოპერაციო რისკები თავის მხრივ აერთიანებს შემდეგ კატეგორიებს: სამართლებრივი რისკი, ტექნოლოგიური რისკი, ადამიანური რესურსების რისკი, უსაფრთხოების რისკი (ფიზიკური და ინფორმაციული), მესამე მხარის, ბიზნესის უწყვეტობის, თაღლითობისა და შესაბამისობის რისკები. არაფინანსური რისკის რეალიზებამ შესაძლოა წარმოშვას ფინანსური ზარალი, შელახოს ბანკის რეპუტაცია ან ხელი შეუშალოს ბანკს მისი მიზნების შესრულებაში. ამისათვის, ბანკში შექმნილია რისკების ცენტრალიზებული მართვის სისტემა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არაფინანსური რისკებით გამოწვეული ფინანსური ზეგავლენა და ბანკი უზრუნველყოფილ იქნას ეფექტური შიდა კონტროლის სისტემებით.

რისკების ცენტრალიზებული მართვის ჩარჩო მოიცავს არაფინანსური რისკების მართვის, ინციდენტების მართვისა და ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემებს, რომელთაც თავის მხრივ აძლიერებს შიდა კონტროლის პროცედურების სისტემა. არაფინანსური რისკების შეფასება ხდება ხარისხობრივ მეთოდზე (5 დონიანი) დაყრდნობით და აერთიანებს ბანკის ყველა პროცესს, რომელთა არასრულყოფილად ან ხარვეზებით წარმართვამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ეროვნული ბანკის მიზნების მიღწევაზე. ინციდენტების მართვის სისტემა ემსახურება ინციდენტების გამოვლენასა და მათ ანალიზს, რათა თავიდან იქნას არიდებული მათი ხელახალი განმეორება. საოპერაციო რისკების შეფასების გაფართოებისა და გაუმჯობესების მიზნით ბანკმა შეარჩია და მიიღო რაოდენობრივი შეფასების მეთოდი - სტანდარტიზებული გაზომვის მიდგომა (Standardized Measurement Approach). დანერგვის პროცესის დასრულების მიზნით, ბანკი გააგრძელებს მუშაობას ფინანსური დანაკარგების მაჩვენებლებზე, თანმიმდევრული პროცესებისა და პროცედურების განვითარებაზე. ბანკი იყენებს მოდელის რისკის მართვის ჩარჩოს, რომელიც მოიცავს მოდელის აღრიცხვას, თითოეულის აღწერას, შეფასებას, სტანდარტიზებული ფორმით დოკუმენტირებას და არა-ფინანსური რისკების განსაზღვრის პროცესებს. ბიზნესის უწყვეტობის მართვის სისტემა ახდენს ბანკის კრიტიკული პროცესების მდგრადობის მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც ადგენს საჭირო პროცედურებს, ახორციელებს მუდმივ ტესტირებასა და ახალი სცენარების შემუშავებას. 2022 წელს ბანკმა გააგრძელა თავისი საქმიანობა, მათ შორის კრიტიკული სერვისების მიწოდება, ჰიბრიდულ სამუშაო რეჟიმში, რაც ბანკის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ნაწილი გახდა. ბანკის მომსახურებისა და ფუნქციების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილ იქნა დამატებითი ტექნიკური რესურსები, პროცესები და პროცედურები, ასევე პერსონალს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგები.

ბანკმა განსაზღვრა არაფინანსური რისკის მისაღები დონე (რისკის მადა), რომელსაც ეროვნული ბანკი მიიჩნევს



## საქართველოს ეროვნული ბანკი

ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათასი ლარი)

---

მისაღებად თავისი მანდატისა და ამოცანების განხორციელების პროცესში. მთლიანობაში, ეროვნულ ბანკს კონსერვატიული მიდგომა აქვს საოპერაციო და რეპუტაციული რისკების მიმართ და ოპერირებს დაბალი რისკის მადისა და ტოლერანტულობის დონის საზღვრებში. აქედან გამომდინარე, ბანკი უზრუნველყოფს ადეკვატური რაოდენობის რესურსების გამოყოფას და ეფექტური მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებას, რათა არაფინანსური რისკის დონე შენარჩუნებული იქნას დაბალი რისკის ზონაში. რისკის მადის მაჩვენებელი გადაიხედება და მტკიცდება ყოველწლიურად ბანკის საბჭოს მიერ.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღისთვის, არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან გამჟღავნებას განმარტებით შენიშვნაში.